# აღმოსავლური კლასიკური რელიგიური ტექსტები და ასკეტთა სწავლებანი

თბილისი
2002

## შინაარსი


| | |
|---|---|
| წინასიტყვაობა | 3 |
| იოგა სუტრა | 11 |
| უპანიშადები | 37 |
| ბჰაგავატ გიტა | 81 |
| ბარდო თჰოდოლ | 165 |
| მაჰამუდრა | 237 |
| ასკეტთა სწავლებები | 245 |
| ორთოდოქსი ასკეტები | 371 |

# წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ინდური რელიგიური და ფილოსოფიური აზროვნების კანონიკურ ძეგლთა თარგმანს. ორი ტექსტი, კერძოდ "გიტა" და "იშა უპანიშადი" თარგმნილია უშუალოდ "სანსკრიტული" ტექსტიდან, ხოლო დანარჩენი ტექსტები ითარგმნა რუსული თარგმანების სხვადასხვა რედაქციების შეჯერების მეშვეობით, თუმცა ყველა ტექსტის ძირითადი ფილოსოფიური და რელიგიური საკითხების გამომხატველი სიტყვები, კერძო სახელები და ტერმინები, ზმნები და ძირები, რომლებიც წარმოადგენენ საკვანძო ადგილებს ტექსტის დანიშნულების და გააზრების გასარკვევად, უკლებლივ ყველა, თარგმნილია და გააზრებულია სანსკრიტიდან. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ყველა სხვა დანარჩენი ტექსტებიც გააზრებულია უშუალოდ სანსკრიტზე დაყრდნობით.

რაც შეეხება ტექსტის გააზრებას, იგი ეყრდნობა იმ თვალსაზრისს, რომელიც თვლის, რომ რელიგიური მოღვაწეობა არ იფარგლება მხოლოდ ღვთისადმი გარეგნული თაყვანისცემის ფორმებით ღმერთის ბუნების თეორიული გააზრებით და წესთა დაცვით წესის გულისათვის, არამედ ეყრდნობა ისეთს, რომელიც თელის, რომ არსი რელიგიური მოღვაწეობისა არის შინაგანი გონისმიერი საქმიანობა, სულიერი გარდასახვა ადამიანური ბუნებისა ღვთაებრივ ბუნებაში და რომ ამის განხორციელებას უნდა მოხმარდეს ყოველგვარი რელიგიური წესი, კანონი, ტრადიცია და თავად რელიგიური ტექსტი როგორც სახელმძღვანელო.

ტექსტში მოცემული დებულებების და მითითებების ამ მნიშვენელობით შეძლებისდაგვარად სწორედ წარმოჩენისათვის ვეყრდნობოდით მსოფლიოს რელიგიური ტრადიციების შინაგანი ღვაწლის ისეთ სკოლების პრაქტიკას, როგორებიც არიან მართლმადიდებლური ტრადიციის ისიხასტთა (მდუმარეთა) გამოცდილება, ისლამის ასკეტური განშტოების - სუფიერბის (მეუდაბნოეთა) გამოცდილება,

ასევე ბუდიზმის და დაოსიზმის ასკეტურ გამოცდილებას და ამ ტრადიციებში მოძიებული პარალელებისა და მსგავსებების მეოხებით ვადგენდით მეტ-ნაკლებად ყველაზე ოპტიმალურ მნიშვნელობას რომელიმე საკითხის გაშუქებისას, თავისთავად უპირველესი დასაყრდენი იყო თვით ინდოელ რელიგიურ მოღვაწეთა გამოცდილება, მათი გაზრება, მათი მსოფლმხედველობა და მათი ასკეტური პრაქტიკა.

რაც შეეხება რელიგიურ ტექსტთან მიახლებას და კითხვას, ყველა ტრადიციაში არსებობს ორი მიმართულება, ერთნი თვლიან, რომ ტექსტი მიღებული უნდა იქნას პირდაპირი მნიშვნელობით, სიტყვასიტყვით, მეორენი იაზრებენ ტექსტს ალეგორიულად, გადატანითი მნიშვნელობების მოძიებით, მაგრამ შინაგანი ღვაწლის მეტ-ნაკლებად უშეცდომოდ წარმართვისათვის ჭეშმარიტად ღმერთშემოსილი მოძღვრები ასწავლიან, რომ ტექსტის კითხვისას საჭიროა მიმდინარეობდეს ტექსტის აღქმა და წვდომა პარალელურად როგორც სიტყვა-სიტყვით, ისე გადატანითი მნიშვნელობებით, აღსანიშნავია ის, რომ გადატანით მნიშვნელობებს ყოველი ადამიანი აყალიბებს თავისი პირადი სარგებელიდან გამომდინარე, გამომდინარე იმ ფასეულობებიდან, რაც მისთვის არსებითია და ასევე, იმისდა მიხედვით, რა სურს და რას უნდა მიუსადაგოს ტექსტი, შესატყვის მნიშვნელობას სდებს სიტყვაში, ტერმინში თუ ამბავში, ამიტომ მიზნის სწორად გააზრებასა და იმის გარკვევას, თუ რა სურს ადამიანს, აქვს დიდი მნიშვნელობა რელიგიურ ტექსტში ჩადებული მნიშვნელობის ამოსაკითხავად. ნაკლები შეცდომა რომ იქნას დაშვებული, პირველ რიგში, საჭიროა წინამორბედ ავტორიტეტებზე და მათ განმარტებებზე დაყრდნობა, რაც ყველა რელიგიურ ტრადიციაში წარმოადგენს აუცილებელ მოთხოვნას და მეორე ის, რომ გააზრებული უნდა იქნას ტექსტის კერძო დანიშნულება, თუ რას ემსახურება იგი. ამდაგვარი მიდგომიდან გამომდინარე, ჩვენ გადატანით მნიშვნელობებს ვეძებდით იმ თვალსაზრისის მიხედვით, რომელიც მიიჩნევს, რომ ყოველი რელიგიური ტექსტი წარმოადგენს სახელმძღვანელოს საკუთარი თავისა

და ღმერთის შეცნობის საქმეში, და ყველაფერი თუ რამ არის მითითებული, შეიძლება განიხილოს როგორც ადამიანის ბუნების და თვისებების ალეგორიული გამოხატვა.

რაც შეეხება ენას, მთელი ინდური ფილოსოფიური და რელიგიური აზროვნება სალაპარაკო ენად იყენებს “სანსკრიტს“. სიტყვა “სანსკრიტი“ ნიშნავს “განწმენდილს“ ან უფრო არსებითი თარგმანებით - “გაკეთებულის, ნამოქმედარის, შექმნილის გამოხატვას“, ძირი “კრიტა“ ნიშნავს ქმნილებას, შექმნილს, გაკეთებულს, “სან“ - ნაწილობრივ ნიშნავს ერთობას, ერთობლიობას, შეერთებას, ასე რომ, ტერმინი - “სანსკრიტი“ ნიშნავს რეალობის, მოქმედების, საქმის, ცხოვრების, რაიმე აქტის სრულყოფილად ასახვას და გამოხატვას სიტყვის მეშვეობით.

და მართლაც, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სიტყვა სანსკრიტში, როგორც წესი, მატარებელია რამოდენიმე მნიშვნელობის, გამომდინარე სიტყვის ძირის მნიშვნელობიდან, ხატოვანი ასოციაციებიდან, გამოხატული საგნების სახასიათო ნიშნების მსგავსებიდან რაიმე სხვა საგანთან და სხვადასხვა ანალოგიებიდან, იგი ძალზე ტევადია, ხასიათდება გამომხატველობის ფართო დიაპაზონით და მკითხველის გონებაში ყოველი სიტყვა წარმოშობს ერთდროულად მრავალ, ერთმანეთის შემავსებელ მნიშვნელობებს და ამის გამო სრულად აშუქებს საგანს, მოქმედებას, გასაკეთებელ საქმეს, არსებულ სინამდვილეს, მოკლედ, სიტყვით აღნიშნულ სინამდვილეს წარმოაჩენს მრავალი კუთხიდან, მრავალფეროვანი და მდიდარი შედარებების, შეფარდებების, მსგავსებების, იგივეობების ხარჯზე.

ამრიგად, ვეყრდნობოდით რა სანსკრიტის ამ თავისებურებას, შეძლებისდაგვარად შევეცადეთ გამოგვევლინა სიტყვებისა და ტერმინების ის დანიშნულება, რომლებიც ყველაზე კარგად წარმოაჩენდნენ შინაგანი მოღვაწეობის არსს და დანიშნულებას და თან ვცდილობდით ქართული ენის საზღვრებს არ გავცდენოდით სიტყვათა მოხმარებისას.

თვალნათლივ რომ დავანახოთ მკითხველს, თუ რა პრინციპით შესრულდა თარგმანი, მოვიყვანთ მაგალითებს: იოგა სუტრების პირველი თავის მეორე მუხლი ითარგმნა ამგვარად: "საკუთარი სხეულის საზღვრებში შიგნითა სივრცეში გონებრივი მზერით ყურებისას, ფიქრებში, წარმოდგენებში და საგნებში მზერის გაქცევის ძლევა შებრუნებაა თავში". ეს მუხლი რომ გვეთარგმნა პირდაპირ, სანსკრიტული ტერმინების გადმოთარგმნების გარეშე, რასაც ხშირად აკეთებენ და რის შემდენაც საჭირო ხდება კომენტარების მიდეენა, გამოვიდოდა ასე: "ჩიტტაში ვრიტტის შეზღუდვა არის იოგა" და შემდგომ განგვემარტა, რომ სიტყვა "ჩიტტა" ნიშნავს გონების პრინციპს, გონების, აზროვნების სფეროს, ადამიანის ფსიქიკას, განწყობათა სათავეს, რასაც სხვა ტერმინით უწოდებენ "გულს", ან კიდევ "შინაგან ადამიანს", მოკლედ, ეს ტერმინი, ეს სიტყვა აღნიშნავს ადამიანის არსების გონიერ, ცნობიერ, გრძნობიერ სფეროს, გონების პირველსაწყისს, გრძნობა-განწყობის სფეროს. სიტყვა "ვრიტტი" კი ნიშნავს ტალღას, რხევას, რაიმეს თანმიმდევრულ განვითარებას, წრებრუნვას, ფიქრის ან განწყობის ტალღას წარმოშობილს გონების სფეროში, სხვა დატვირთვა ეძლევათ ამ ორ ტერმინს ერთობლივად შეერთებულებს: "ჩიტტავრიტტი" - აღნიშნავს ერთ უცვლელ განწყობილებას, ერთ რაიმე დამოკიდებულებას, ერთ გონებრივ მდგომარეობას. რაც შეხება სიტყვა "იოგა"-ს უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიტყვაში სდებენ ძალზედ არასწორ და ზერელე მნიშვნელობებს, სიტყვა "იოგა" იხმარება რაღაც ზებუნებრივი ძალების და ჯადოქრობის გამოსახატავად, ან ზღაპრული შესაძლებლობების, ილუზიონისტების, ტანვარჯიშის, ჯანმრთელობის გაუმჯობესების საშუალების დასახელებად, ასევე, "იოგებს" ეძახიან სხვადასხვა თავშესაქცევი საოცარი სანახაობების გამთამაშებლებს, იოგებად თვლიან მკითხავებს, ექსტრასენსებს, პარაფსიქოლოგებს, გიპნოზისტებს და ყველა ჯურის ფსიქოტრენინგის ეგრეთწოდებული სკოლების წარმომადგენლებს, იოგებზე და იოგაზე ჰყვებიან ათას

ბლაპრებს, იდუმალებით მოცულ რაღაც საიდუმლოებებს და სხვადასხვა არაკებს. მაგრამ თავის ჭეშმარიტ გამოყენებაში როგორც მას ხმარობენ ინდოეთში, სიტყვით "იოგა" აღინიშნება რელიგიური მოღვაწეობის უმაღლესი ღვაწლი, შინაგანი, გონისმიერი მოღვაწეობა, ის, რაც დასავლეთში აღინიშნება სიტყვით - "ასკეტიკა". ტერმინები "იოგა" და "ასკეტიკა" ერთი და იგივე მნიშვნელობისანი არიან და საერთო ჯამში სიტყვა "იოგა" ფართო მნიშვნელობით აღნიშნავს იგივეს, რასაც სიტყვა - "რელიგია".

სიტყვა "იოგა" მრავალმნიშვნელოვანია. იგი ნიშნავს შეერთებას, გაორმაგებას, გამრავლებას, ძალისხმევას, მოღვაწეობას, გონების თავმოყრას, უბრალოდ თავმოყრას, უღელს, ვალს, აზრის გარკვეული მიმართულებით მიმართვას, თავის დამორჩილებას, ნებისყოფის გამოვლენას, საერთო ჯამში კი ასკეტურ ღვაწლს ანუ რელიგიურ მოღვაწეობას.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ მოყვანილი მუხლის თარგმნა შეიძლებოდა მრავალგვარად, როგორც ზოგადი მნიშვნელობების წარმოჩენით, ისე კერძო, ასკეტური მოღვაწეობის ანუ ჭვრეტის ხელოვნების ტექნიკის ჩვენებით, მაგალითისათვის მოვიყვანთ მეორე მუხლის სხვადასხვა თარგმანების ვარიანტებს: "ერთი განწყობის შეკავება შინაგან სამყაროში არის ძალისხმევა განწყობის გამომწვევ მიზანთან შეერთებაში" ან "ცნობიერებაში ერთი იდეის შეკავება არის რელიგიური ძალისხმევის არსი" ან "გულში ზრახვათა დათრგუნვა არის მოღვაწეობა რელიგიაში" ან "გონებაში აზრთა დინების შეჩერება არის ასკეტიკა" ან "ფიქრის სფეროში ფიქრ-წარმოდგენათა შებოჭვა არის ყურადღების თავმოყრა" და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, შემოთავაზებულ თარგმანში შევეცადეთ ამოგვერჩია საუკეთესო ვარიანტი, რომელიც ყველაზე სრულად წარმოაჩენდა ტერმინის, სიტყვის, დებულების თუ მითითების მნიშვნელობას და დანიშნულებას.

რაც შეეხება კერძო სახელების თარგმნას, უნდა ითქვას, რომ კერძო სახელები ინდურ ტრადიციაში წარმოადგენენ

ეპითეტებს, რომლებიც გამოხატავენ არსების ხასიათს, მის პოტენციალს, მოქმედების უნარს, ხოლო ასკეტური მოღვაწეობის თვალსაზრისით წარმოადგენენ მითითებებს პრაქტიკის ტექნიკური მხარის განხორციელებისათვის და განსაზღვრავენ სულიერ მდგომარეობებს, მაგალითად ღვთაებრივი სახელები კრიშნა, რამა, ვიშნუ, შივა, წარმოადგენენ მითითებებს გარკვეული სულიერი მდგომარეობისას, სახელი “კრიშნა“ შედგება ორი ნაწილისაგან “კრიშ“, რაც ნიშნავს მოქმედებას, საქმის ქმნას, გამიზნულ ქმედებას, და მეორე ნაწილი “ნა“, რაც ნიშნავს ცოდნას, ყურადღებას, ასე რომ, სიტყვა “კრიშნას“ მნიშვნელობა არის რეალობაში მოქმედების მიმართ აბსოლუტური ყურადღება წარსულის დავიწყებით და მომავალზე ფიქრის-ოცნების გარეშე“. ასე და ამგვარად, ყველა სხვა კერძო სახელების მიმართ გააზრებაში, ჩვენს თარგმანში გამოვიტანეთ ამ სახელების სხვადასხვა მნიშვნელობებიდან ის მნიშვნელობები, რომლებიც ჩვენი აზრით, ყველაზე უკეთ წარმოაჩენენ რელიგიური მოღვაწეობის არსს.

ეხლა ვთქვათ ერთ-ერთ ყველაზე საკვანძო მითითებაზე, რომლის სწორად გარკვევის გარეშე მთელი რიგი მონაკვეთების სწორად გაგება არ მოხერხდება, ეს არის საკითხი ცოდნის შესახებ; ინდურ ასკეტიკაში სიტყვა “ცოდნის“ ქვეშ გულისხმობენ არა იმ შეხედულებას ცოდნაზე, რასაც ჩვეულებრივ არქმევენ ამ სახელს, არამედ ამ ტერმინით აღნიშნავენ ყურადღების არეში საგნის მოქცევის პერიოდს, მაგალითად, თუ ჩვენ ვუყურებთ ვაშლს და ფიქრითაც თუ ვფიქრობთ ვაშლზე, ანუ გონებრივი მზერაც თუ გვაქვს მიმართული მასზე, ჩვენ “ვიცით“ ვაშლი, ხოლო თუ ჩვენ მოვაშორებთ გონებრივ მზერას ვაშლს, ჩვენ “აღარ ვიცით“ ეს ვაშლი, ასე რომ, როდესაც ტექსტში ჩვენ გვხვდება მითითების ფორმულა ცოდნის შესახებ, მაგალითად, ამგვარი: ”ვინც ეს ასე იცის“ ან “იცოდეთ ეს“ ან ”ესაა ცოდნა“, ამით გვეუბნებიან, რომ საჭიროა გარკვეული ობიექტის, ცნების, გააზრების, ნივთის ან არსების ყურადღების ქვეშ შეკავება.

საცოდინარი კი ანუ ყურადსაღებნი არიან ის მოცემულობები, რომლებიც გამოხატავენ ღმერთის არსებას.

რაც შეეხება ღმერთზე ფიქრს, მისი გააზრების საშუალებებს, მსოფლიო რელიგიურ პრაქტიკაში არის ორი ხერხი: ერთს უწოდებენ დადებით ღვთისმეტყველებას, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ღმერთს მოიძიებენ საგნებში. მისი არსებობის მოძიებას აწარმოებენ მისი შემოქმედების, მისი ქმნილების მეოხებით. მეორე ხერხი არის უარყოფითი ღვთისმეტყველების გზა, რომლის გამოყენების დროსაც უარყოფენ მეთოდურად ყოველივე არსებულს, ქმნილს, როგორც არა არსებულს, მაგრამ მთავარი ორივე მეთოდში არის ის, რომ ყურადღება მიპყრობილი უნდა იყოს აწმყოსაკენ, არსებული სინამდვილისაკენ და არავითარ შემთხვევაში რაიმე წარმოსახვაზე, რაიმე წარმოდგენაზე, რაიმე აბსტრაგირებაზე აზრისა, ყველა ის განსაზღვრებები ღმერთისა, რომლებიც შეგვხედება ჩვენ ტექსტში, წარმოადგენენ "ცოდნებს" გონების თავმოსაყრელ საშუალებებს და მათი საშუალებით ღმერთის აღმოსაჩენ მოცემულობებს ამ სამყაროში და საკუთარ თავში.

წინამდებარე ტექსტებიდან დადებით ღვთისმეტყველებას უპირატესობას ანიჭებს "ბჰაგავატ გიტა", ხოლო უპანიშადები იყოფიან როგორც ერთ, ისე მეორე ღვთისმეტყველების მიმდევრობად. რაც შეეხება "იოგა სუტრას" მას თვლიან თითქოსდა ეგრეთწოდებულ "რაჯა იოგას" სახელმძღვანელოდ, მაგრამ ეს თვალსაზრისი არ შეესაბამება სინამდვილეს, შრი პატანჯალის ნაშრომი "იოგა სუტრა" წარმოადგენს თანმიმდევრულად წარმოებული შინაგანი ღვაწლის შედეგად ადამიანის განღმრთოების, სულის ცხონების, სულის განთავისუფლების საშუალებათა აღწერილობას, მითითებებისა და ხერხების ცნობარს, რომელშიც თავმოყრილია ყველანაირი შესაძლებელი რელიგიური მოღვაწეობის აღწერილობა, ეს ტექსტი არის "რელიგიის მცოდნეობის" ცნობარი და თავისი დიაპაზონით მოიცავს ყველანაირ რელიგიურ ღვაწლთა აღწერას.

აი, მოკლედ იმის შესახებ, თუ რა პრინციპით არის

ნათარგმნი შემოთავაზებული ტექსტები. უნდა აღინიშნოს, რომ მთავარი ამოცანა იყო რელიგიური ღვაწლის ტექნიკის რაც შეიძლება ნათლად და მარტივად წარმოჩენა, ამიტომ ლიტერატურული გაურანდაობისათვის ვითხოვთ შენდობას, მითუმეტეს, რომ ამ ნაშრომს, ამ მხრივ, არ გააჩნია არანაირი პრეტენზია.

# მაჰარიში შრი პატანჯალი

## "იოგა სუტრა"

### საკუთარ თავში შებრუნების განმარტება (თავისუფალი თარგმანი)

### თავი პირველი

საკუთარ თავში მიპყრობილი გონებრივი მზერის გაუტაცებლად შეკავებაზე

1. აი, განმარტება საკუთარ თავში შებრუნების ღვაწლისა.
2. საკუთარი სხეულის საზღვრების შიგნითა სივრცეში გონებრივი მზერით ყურებისას, ფიქრებში, წარმოდგენებში და საგნებისაკენ მზერის გაქცევის შეზღუდვა არის საკუთარ თავში შეტრიალების ღვაწლი.

3. ამის კეთებისას საკუთარი თავი ექცევა საკუთარი გონებრივი მზერის ქვეშ.

4. ამის კეთების გარეშე კი კარგავს საკუთარი თავის დანახვის შესაძლებლობას გამტაცებელი მიზნის მზერის გამო.

5. მზერა კი წარიტაცება ხუთი საბაბით, ან ვნებით ან ვნების გარეშე.

6. ეს ხუთი საბაბია: პირადი თვალსაზრისი, მოჩვენება, წარმოსახვა, თვლემა და ძველ შთაბეჭდილებებთან დაკავშირებები.

7. პირადი თვალსაზრისი ყალიბდება დანახვით, გააზრებით და სხვისი გამოცდილების გაზიარებით.

8. მოჩვენება, გარეგნობით მიიღებაა რაიმესი შინაარსის დაუდგენად, დაუსაბუთებელი შეფასება დამყარებული პირად სარგებელზე, წარმოსახვის ძალით ჩამოყალიბებულზე.

9. წარმოსახვა ფიქრით გამოწვეული წარმოდგენაა, დაუმტკიცებელი, დამყარებული მხოლოდ სიტყვაზე, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი სინამდვილე, რადგან წარმოდგენა თან სდევს სიტყვის წარმოებას, როცა სიტყვა

არ გამოხატავს სინამდვილეს.

10. თელემა იშვება, როცა მზერა მიპყრობილი წარმოდგენის სფეროში, რაიმე სინამდვილის მიმართ საკუთარი სარგებელის ჩამოყალიბების წარმოსადგენად, კარგავს საბაბს ამ სინამდვილის მიმართ საკუთარი სარგებლობისას.

11. დაკავშირება წარმოიშვება რაიმეს, წარსულ შთაბეჭდილებასთან მიმსგავსებით, როცა ეს "რაიმე" წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას სურვილის დაკმაყოფილებისათვის.

12. ამ ხუთისაკენ მზერის გაქცევის შეზღუდვა მიიღწევა აწმყოზე მზერის მიბმის გამუდმებული მცდელობით და გარეგან ზემოქმედებაზე გონების გამო - უპასუხებლობით.

13. აწმყოზე მზერის მიბმა ხორციელდება განუწყვეტელი და მზარდი სიბეჯითით გონებრივი მზერის საკუთარი სხეულის სივრცეში ერთ წერტილზე შეჩერების მცდელობით, კიდევ და კიდევ გაქცეული მზერის უკან მიზანზე მობრუნებით, რომ იქნას მიღწეული საკუთარ არსზე მზერის ურყევი შეჩერება და ფიქრთა წარმოშობის გაჩერება.

14. ეს მოღვაწეობა წარმატებით ხორციელდება და მყარად მკვიდრდება მხოლოდ მაშინ, როცა მოღვაწეობენ განუწყვეტლივ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაუოკებელი სურვილით საკუთარი არსის დანახვისა.

15. გარეგან ზემოქმედებაზე გონების გამოუპასუხებლობა დანახულის და მოსმენილის მიმართ სურვილისა და თვალსაზრისის არ წარმოშობაა.

16. სრულყოფილად ამ ზეგავლენისაგან დამოუკიდებლობა სახეზეა მაშინ, როცა მზერა შებრუნებული საკუთარ თავში საკუთარ თავზე, მკვიდრდება საკუთარ ყოფიერებაზე ყოველგვარი თვისების გამორიცხვით.

17. საკუთარი თავის დაკვირვება საგნობრივია, როცა აკვირდებიან საკუთარ თავს სხეულზე მზერის შეჩერებით, სხეულის შიგნითა სივრცეში მზერის მიპყრობით, საკუთარი თავის არსებობის შეგრძნებაზე მზერის შეჩერებით და საკუთარი "მე"-ს მოძიებით.

18. საკუთარ თავზე დაკვირვება უსაგნოა, როცა მზერა მიპყრობილია საკუთარი არსებობის შეგრძნების შუაგულში მცდელობით ფიქრის და წარმოდგენის წარმოშობის არ დაშვებისათვის, რათა შეჩერდეს გონება ფიქრის წარმოშობის წინა მდგომარეობაში, უფიქრელობაში, გონების უძრავ სფეროში დამკვიდრებით.

19. მის აღსრულებას თან სდევს უსხეულობისა და ბუნებასთან შერწყმის განცდა, და ასევე იგი სრულდება უსხეულობის და სხეულში განვრცობის გრძნობის განცდის თანხლებით.

20. სხვებში (განსხვავებული პრაქტიკის წარმომადგენლებში) ამ მდგომარეობის მიღწევას წინ უძღვის რწმენა აღსრულებისა, ნება მოქმედებისა, ხსოვნა სანუკვარისა, მზერის ერთი მიმართულებით შეკავება და სულის უპირატესობის გაცნობიერება ანუ მიზნის გამოცალკევება.

21. წარმატების სისწრაფე გამომდინარეობს მიზანზე მზერის შეჩერების ხანგრძლივობიდან.

22. ასევე დამოკიდებულია მოწადინების ძალაზე სუსტი, საშუალო ან ძლიერი.

23. ასევე, ფიქრთა მდინარების და წარმოდგენების წარმოქმნის შეჩერება და გონების უძრაობა იშვება მზერის მიმართვით ყველაფრის მომცველი, ყველაფრის შემომქმედი, ყველაფრის მხედველი უზენაესი არსების ზედამხედველობის ქვეშ დადგომაზე და მის ნებაზე მინდობაზე, პირადი ნებასა და საქმის ნაყოფზე უარის თქმის მეშვეობით.

24. უზენაესი ზედამხედველი არსება, უფალი ღმერთია, განსაკუთრებული და განსხვავებული ცნობიერება, მმართველი არსება, ცნობიერების უკიდურესი დონე, მხედველი არსი, განცალკევებულად მყოფი, შეუხებელი შთაბეჭდილებებისა, ნამოქმედარის უკუგების ზეგავლენისა, მოქმედებების სარგებელისა და სურვილებისაგან.

25. რადგან მასში მზერა შეუზღუდავია, გაცნობიერება აღწევს უსაზღვროებას, ცნობიერების სხვა ყველა ხარისხისათვის კი მზერა საზღვრულია, გაცნობიერება კი

ფარდობითი.

26. რადგან დროს, მანძილს, საბაბს და ნაყოფს არ აქვთ არსებობა მასში, იგი ცნობიერებების ის მდგომარეობაა, რომელიც იძლევა ყველაფრის ცოდნას, რადგან არის ფუძე გაცნობიერების ნიჭისა ყველა არსებაში, ამიტომ მისგან იღებენ სიბრძნეს ყველა მოძღვრები, უძველესებიც კი.

27. მისი, ცოცხალი, მანათობელი, უსხეულო, აღუწერელი, ცნობიერების არსის, უფალი ღმერთის გამომხატველი, აღმნიშვნელი და წარმომადგენელი არის სიტყვა, რომელიც სრულად მოიცავს შინაგან წარმოდგენა-შეგრძნებას მასზე, ეს არის მისი სახელი.

28. ამ სიტყვის, უფლის სახელის მუდმივი ღაღადი, გამეორება, ჩურჩული, აუცილებელია მზერის მასზე მიპყრობისათვის, რაც ხელს უწყობს მზერის გაჩერებას, მასში გამოხატულის შეგრძნება-აღმოჩენისა და წარმომთქმელის დანახვის მცდელობის თანხლებით.

29. ამ სიტყვის მზერა შობს საკუთარი თავის შიგნით ყურების უნარს და ხელის შემშლელი გარემოებების დაძლევას.

30. ხელის შემშლელნი კი არიან: ავადმყოფობა, მოწყინება, ეჭვი, სევდა, დაზარება, ნდომები, მოჩვენებები, უშედეგობა და არათანმიმდევრობა.

31. უკმაყოფილება, ფიქრთა ფორიაქი, სხეულის მოუსვენრობა და არათანაბარი ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა მაჩვენებელია ყურადღების გაქცევისა.

32. მათი დაძლევა შესაძლებელია მზერის საკუთარი თავის შიგნით მიმართვით და შინაგან სივრცეში ერთ ადგილზე შეკავებით, უზენაესი ერთიანი სინამდვილის მოსმენის წადილის თანხლებით.

33. კეთილგანწყობა, თანაგრძნობა, სიხარული და აღუშფოთებლობა ბედნიერთა, უბედურთა, კეთილთა და უკეთურთა მიმართ ამშვიდებს გონების სივრცეს.

34. ნელი მდინარებით ჰაერის გამოდევნა და შეკავებით ჩასუნთქვის შენელება-გაწელვა, შემდგომი მოქმედებაა, სრული გამოსუნთქვის შემდგომ ჩასუნთქვის შეკავება

უსიამოვნების გრძნობის დაწყებამდე, კუნთების მოდუნების მეშვეობით წმინდავს გონებას.

35. შემდგომ სხეულის რომელიმე ადგილის გამორჩეულად შეგრძნობა იწვევს უჩვეულო აღქმებს, რაც ხელს უწყობს მზერის უძრავ მდგომარეობაში ერთმიმართებულად გაჩერებას.

36. შემდგომია, აღქმა სხივოსანი და მშვიდობის მომგვრელი სინათლისა საკუთარი თავის შიგნითა სივრცეში, ცნობიერებაში, რომელიც იტაცებს მზერას და აქედან გამომდინარე, აჩერებს გონებას.

37. რის შედეგადაც გონება თავისუფლდება გრძნობების დამაკმაყოფილებელი საგნების ნდომისაგან, დამსგავსებით ამორჩეული წმინდანის გულს, თავისუფალს სურვილებისაგან.

38. რაც შობს ხედვას ყველაფრისას ვითარცა სიზმრისა ძილში და პირუკუ, ყველაფრის მზერა ვითარცა ზმანებისა და სიზმრისა იწვევს იგივეს, ძილისა და სიფხიზლეს შორის გარდამავალი მდგომარეობის დროს ხილვა იტაცებს მზერას და მიჰყავს აღტაცებამდე გონების დაწმენდის დროს, იშვება ძილის ფაქიზი, ფხიზელი მდგომარეობა, რის დროსაც ნანახი ხილვა მთლიანად იპყრობს გონებას გამოღვიძების ჟამს.

39. ამის შედეგად ცნობიერება უყურებს ყველაფერს სიკეთით და სიამოვნებით.

40. ეს ხედვა იძლევა ნიჭს, ნაწილის უსაზღვროსთან გაერთიანებისა, მრავალფეროვნების ერთიანობაში ხედვას, ყველაფერში გამაერთიანებელის დანახვას.

41. ამის წყალობით ცხრება საგნებისაკენ მზერის გატაცება და იშვება თანმიმდევრული გაცნობიერება სხეულისა, გონებისა და საკუთარი თავისა, მზერის შიგნით შებრუნების გამო, მზერის გაუტაცებლობის მიღწევით გონების მოქმედებები ჩერდებიან, იგი თავად იწმინდება ვნებებისა და სურვილებისაგან და ხდება გამჭვირვალე კრისტალივით, რომლის მსგავსად იგი იძენს შესაძლებლობას აირეკლოს საგანი, მოქმედება თუ პიროვნება რომლისაკენაც იქნება მიპყრობილი.

42. როცა საკუთარ თავზე მზერის მიპყრობისას არ განირჩევა სიტყვა, მნიშვნელობა და საგანი, ეს ნიშნავს საგნის გაცნობიერებას, მხედველობისა და ხედვის მიმდინარეობის გაცნობიერების გარეშე, რასაც თან სდევს სიტყვის წარმოება, განსჯა, ასეთ დროს ნარჩუნდება მანძილის გრძნობა დამკვირვებელსა და საგანს შორის.

43. როცა მზერა მიმართულია შეფასების გარეშე, ჩერდება სიტყვის წარმოება, გონება დუმს დ აღარაა წარსულისა და თვისებების ხსოვნაც, ჩერდება მსგავსებათა და დაკავშირებათა მოქმედებაც, ამიტომ იკარგება სხეულის ხსოვნაც და მზერა აღიქვამს მხოლოდ ერთ წერტილს, მაშინ ქრება მანძილი მხედველსა და დასანახს შორის, რადგან ყურადღება აღიქვამს მხოლოდ საგნის მიერ გონებაზე ზემოქმედებას, გონების შიგნით, საგანი აღარ აღიქმება საკუთარი თავისაგან დაშორებულად.

44. ასეეა, როდესაც დაკვირვების საგნად იღებენ არა სხეულს და ნივთიერს, არამედ გონების და გრძნობების მოქმედებებს, და ეს, ასევე ხდება თანმიმდევრულად, განსჯით და მანძილით და შემდგომ განსჯის გარეშე და მანძილის გაქრობით, საკუთარ თავში მზერის მიპყრობისას შინაგან სივრცესთან მანძილით და მანძილის გარეშე.

45. ყველაფერი საგნობრივდება, იმიჯნება მანძილით და დროით, თვით ყველაზე უფაქიზესი შინაგანი, გონების მდგომარეობებიც კი, ზღვარი ედება მხოლოდ დამკვირვებელთან, პიროვნებასთან, საზღვარი მანძილისა და დროის არსებობისა არის მზერის წყარო, რომლის ბუნება არის სინათლე.

46. მზერის გაჩერების ეს ოთხი სახე საგნობრივია, რადგან ინარჩუნებს დასაყრდენს მზერისათვის, დასაკვირვებელი საგნის სახით, დაშორებულს მხედველისაგან მანძილით და დროით, რაც განაპირობებს გონებაში შთაბეჭდილების მარცვლის შენარჩუნებას.

47. როდესაც მზერა შეტრიალებული შიგნით მყარად ჩერდება გონების სფეროზე, რომელშიც დარჩენილია ერთადერთი განწყობა "მე ვარსებობ" და სხვა არანაირი

სურეილი აღარ სერის მას, მაშინ მასში ისადგურებს სიწყნარე მდუმარებისა, გამოწვეული წმინდა სინათლის ნაკადის მიღებიდან.

48. ასეთ მდგომარეობაში გონება ხედავს სინამდვილეს.

49. ამ მდგომარეობაში მიღებული აღქმა სრულიად განსხვავდება იმ ცოდნისაგან, რომელიც ყალიბდება მოსმენის და განსჯის მეშვეობით, გამომდინარე მზერის განსხვავებული, საპირისპირო მიმართულების გამო.

50. ამ განსხვავებული აღქმის განცდიდან მიღებული შთაბეჭდილება სდევნის ყველა სხვა შთაბეჭდილებას, მიდრეკილებასა და ჩვევას გონებიდან.

51. მაგრამ როდესაც მზერა აღარ წარიტაცება ამ განსხვავებული აღქმის განცდიდან მიღებული შთაბეჭდილებისაკენაც, მაშინ ყალიბდება მზერის უძრაობა, მზერის მიმდინარეობა რაიმე საგნის გამოყენების გარეშე, რომელიც არ ტოვებს არანაირ კვალს გონებაში.

## თავი მეორე

### გონებრივი მზერის საკუთარ თავში შეტრიალების და ერთ წერტილზე შეჩერების ჩვევის გამოსამუშავებელი მოქმედებების თანმიმდევრობაზე.

1. სხეულის განცხრომის სურვილზე გონების თანხმობის არ დაშვება, მზერის საკუთარ თავში შეტრიალებით ზეგარდმო შეწევნის ხმობა და უზენაესი ყველაფრის მომცველი ცნობიერების ზედამხედველობის ქვეშ დგომით, საკუთარ თავში მისი მოვლენებისთვის მოქმედებების აღსრულება, წარმოადგენენ მზერის შებრუნების ჩვევის გამომუშავებას სხეულით მოქმედების დროს.

2. მათი დანიშნულებაა მზერის მოწყვეტა საგნობრივ სამყაროდან და მყარად მიპყრობა ცნობიერებისაკენ, რის შედეგად გონება თავისუფლდება სხეულის სარგებელიდან

გამომდინარე მზერის მიპყრობიდან ნივთიერებისაკენ, რითაც სუსტდებიან გონების დამაბნელებელი ყალბი შეხედულებები.

3. სინამდვილის დაუნახაობა, საკუთარი თავის გამოცალკევება მთელი არსებულიდან, მიკერძოება, დაპირისპირება და მიდრეკილება პირადი, მყუდრო გარემოს მოწყობისა, არიან ხუთი დამაბნელებელი შეხედულება გონებისა.

4. სინამდვილის დაუნახაობაა მიზეზი ყველა დანარჩენისა იქნებიან ისინი გარემოების გამო მიძინებულ, ძალისხმევის მიერ შეკავებულ, სხვა ზრახვით დათრგუნულ თუ შესაფერისი გარემოებებით განვითარებულ მდგომარეობაში.

5. სინამდვილის ვერ დანახვაა წარმავალის, ჭუჭყიანის, ტკივილის მომგვრელის და უსიცოცხლოს მიღება მარადიულ, წმინდა, ნეტარ და ცოცხალ "მე"-ს ნაცვლად.

6. საკუთარი თავის გამოცალკევება მთელი არსებულისგან, პირადული თვითშეგნება, რომლისაგანაც ვითარდება თავმოყვარეობის, პატივმოყვარეობის, ამპარტავნების და სიამაყის განწყობები, წარმოადგენს საკუთარი თავის, სუფთა ცნობიერების გაიგივებას გონებასთან, მხედველის, ხედვის იარაღთან არევას.

7. მიკერძოება, მოწონება, ნდომა, თან სდევს სიამოვნების, კმაყოფილების განცდას.

8. დაპირისპირება, დაწუნება, მტრობა, ზიზღი კი ტანჯვის, უკმაყოფილების, შეწუხების შედეგია.

9. პირადი, მყუდრო გარემოს შექმნის სურვილი და მიჩვეულის ვერ დათმობის ფორიაქი, ცხოვრებაზე ჩაჭიდებაა, გარემოს არ შეცვლის სურვილი სიკვდილის შიშია, დამახასიათებელია ყოველი ცოცხალისათვის, რომელიც გამომდინარეობს სიმშვიდისაკენ სწრაფვის ბუნებიდან, გარეგნულით სიმშვიდის მოპოვების შესაძლებლობის იმედიდან, თვით მდუმარე განდეგილებზეც მძლავრობს ეს.

10. ცნობიერებების ამ დამაბნელებელი განწყობებიდან თავის გამოხსნა, მიიღწევა მათ წარმომშობში მზერის დაბრუნებით, საკუთარ თავში შეტრიალებით, "მე"-ს მოძიებით და ფიქრის დაწყებამდე ძირში ფიქრის შეჩერებით.

11. განვითარებულნი კი აღიკვეთებიან წარმოდგენის გაჩერებით, მზერის უძრაობის მეშვეობით, უკან შებრუნების გზით.

12. ადამიანის ნიჭს, უნარს, მოქმედების შესაძლებლობას და უკუგებას ფესვები ცნობიერების ამ დამაბნელებელ შეხედულებებში უძევთ, რომლებიც თუ არ იქნენ აღმოფხვრილნი გამოიწვევენ განცდებს ხილულ ან უსილავ არსებობაში.

13. სანამ რჩებიან ეს ფესვები ნამოქმედარის შედეგი უკუგებით განაპირობებს დაბადების ახალ სახეს, ცხოვრების ხანგრძლივობას, უნარიანობას და გარემოებას.

14. მათ მოაქვთ სამაგიეროდ კმაყოფილება ან უკმაყოფილება, კეთილგანწყობა ან გაღიზიანება, სიამოვნება ან ტანჯვა არსებობისა, გამომდინარე დანაგროვები სიკეთისა და ბოროტების შთაბეჭდილებებიდან.

15. ის, ვინც მიმართულია საკუთარი თავისა და სხეულის სხვაობის გარჩევისაკენ ხედავს, რომ გონების გარეთ გამტაცებელ, ცნობიერების დამაბნელებელ განწყობებს მოაქვთ მხოლოდ მწუხარება, განუწყვეტელი ცვალებადობებით, წარმავლობით, უკუგებით და თვისებებს შორის დაპირისპირებით.

16. მომავალში მოსალოდნელი ტანჯვა უნდა აღიკვეთოს აწმყოში.

17. აღსაკვეთი კი არის საკუთარი თავის სხეულთან გაიგივება, მხედველის ხილულთან შეერთება, რაც არის ტანჯვის მიზეზი.

18. სხეული ქმნილებაა, შედგება ნივთიერებისა და შეგრძნობადობისაგან, ბუნებით სამთვისობრივია: სხივოსანი, მოძრავი და მყარი, და წარმოადგენს საშუალებას ცნობიერებისათვის მზერის აწმყოზე შესაჩერებლად და ამის მეშვეობით, წარმოსახვისა და ყალბი ხედვის ტყვეობიდან გონების გამოხსნის გამოცდილების მიღებად.

19. მზერის საკუთარ თავში შებრუნება მიმდინარეობს თანმიმდევრულად მყარიდან არამყარისაკენ, შემდგომ გონების მოქმედებისკენ და შემდგომ ცნობიერებისაკენ,

მხედველ ისაკენ, შემოსაზღვრულიდან შემოუსაზღვრავისკენ, შესამჩნევისკენ და მიუნიშნებელისკენ.

20. საკუთარი თავი სხვა არაფერია, თუ არა ხედვის უნარი, თავისთავად იგი გამჭვირვალეა, სუფთაა, წმინდაა, მაგრამ ხედავს შეგნების მიერ მოწოდებული შეფერილობით.

21. სხეულის, ქმნილების, ხილულის, დანიშნულება საკუთარი თავის გაცნობიერებისათვისაა.

22. საკუთარ თავში შებრუნებულისათვის, ვინც გააცნობიერა "მე"; ბუნება, ხილული, სხეული ქრება, როგორც სინამდვილე, კარგავს განცალკევებულად არსებულის მოჩვენებითობას, ხოლო იმათთვის, ვინც ვერ განახორციელა საკუთარ თავში შებრუნება, რჩება დამოუკიდებლად არსებულ სინამდვილედ.

23. საკუთარი თავის სხეულთან გაიგივება არის მიზეზი სხეულისათვის მისი მფლობელის უნარის მიწერისა.

24. საკუთარი თავის ვერ დანახვა სხეულისაგან დამოუკიდებლად არის მიზეზი ამისა.

25. ამ ვერდანახვის უარყოფით ქრება გაიგივებაც, რომელსაც უნდა გავურბოდეთ, ამით ხორციელდება გამონთავისუფლება საკუთარი თავისა, ეს არის დამოუკიდებლობა, განთავისუფლება.

26. საშუალება ამ ვერდანახვისაგან თავის გამოხსნისა არის ურყევად მზერის შეკავება საკუთარი თავის გამორჩევაზე ქმნილებისაგან, სხეულიდან, "მე"-ს მოძიება.

27. საკუთარი თავის მოძიება სრულდება შვიდი თანმიმდევრობით. საკუთარ თავში შეტრიალებით უკიდურეს ძირამდე (სხეული, ძალები, გრძნობები, ფიქრები, ნება, საკუთარი არსებობა, სინათლე).

28. თანდათან და თანმიმდევრულად საკუთარ თავში მზერის მიმართვისას მიიღწევა ხედვის დაწმენდა სხეულებრივი მოთხოვნებისაგან, რის შედეგად ცოდნის მომცემი ცოცხალი სინათლე აღავსებს გონებას და ააშკარავებს განსხვავებას სხეულსა და საკუთარ თავს შორის.

29. სხეულით არსებობის ნდომიდან გამომდინარე, მოქმედებებისაგან თავის შეკავება, სხეულისაგან გამმიჯნავი

მოქმედებების აღსრულება, მოთმინებით უძრაეად ჯდომა, სუნთქვის შენელება-გაფაქიზება შეკავებითა და გაწელვით, მზერის საკუთარი თავისკენ შებრუნება საკუთარ თავზე მიპყრობით, სხეულის შიგნით მზერის ერთ წერტილზე შეჩერება, ამ ადგილის გამორჩეული შეგრძნება და საკუთარ თავში საკუთარი თავის უცვლელი მზერა, წარმოადგენენ რვა თანმიმდევრულ საფეხურს მზერის შეტრიალებით საკუთარ თავთან დაბრუნების ღვაწლისა.

30. არაძალმომრეობა, უტყუარობა, სხვისის არ მითვისება, სქესობრივი თავშეკავება და არ მომხვეჭელობა წარმოადგენენ სხეულით არსებობის ნდომიდან მომდინარე მოქმედებებისაგან თავშეკავებას.

31. მათი ვერ შესრულება არ მართლდება გარემოებაზე, მდგომარეობაზე, დროზე და შესაძლებლობებზე გადაბრალებით, რადგან ექვემდებარებიან ადამიანის შესაძლებლობებს დიადი ზომით.

32. სისუფთავე ქცევისა, დაკმაყოფილება მოცემულით, სხეულის სურვილთა შეზღუდვა, საკუთარ თავში მზერის მიპყრობა ღმერთის სახელის ხმობით და საქმეთა ნაყოფის ღვთის ნებად მიღება წარმოადგენენ სხეულისაგან გამიჯვნას.

33. საკუთარ თავში მზერის შეტრიალების ხელისშემშლელი ფიქრების მომძლავრებისას საჭიროა მათი საპირისპირო ფიქრებით შეცვლა.

34. ხელისშემშლელნი კი არიან ფიქრები ძალმომრეობაზე და შემდგომნი ზემოთ აღწერილნი, სულერთია არიან თუ არა წარმოშობილნი ანგარებიდან, მრისხანებიდან თუ დაუფიქრებლობიდან, განხორციელებულნი, სხვისი მაცდუნებელნი თუ სხვაში მოწონებულნი, უმნიშვნელო, შესამჩნევი თუ დიდი ძალის, მათ სდევთ ტანჯვის მრავალსახეობა და ამხელენ სინამდვილის გარჩევის უუნარობას, ამის ხსოვნა სცვლის მათ საპირისპირო ფიქრით, აი, ისინი.

35. ვის გონებაშიც ჩამოყალიბდება ძალმომრეობის არგანხორციელების და ზიანის არ მიყენების განწყობა, წყდება ყოველგვარი მტრობა ცოცხალ არსებებში მისი

თანდასწრებით, როგორც ერთმანეთის მიმართ, ისე მის მიმართ.

36. უტყუარობა სიცრუის არ თქმაა, გულწრფელობაა, გულახდილობაა, როდესაც გონებაში დამკვიდრდება მხოლოდ სინამდვილის აღნიშენა, იგი იძენს ძალას მოქმედებათა შედეგების ფლობისას, ნაყოფის მიღებისა მხოლოდ სიტყვით.

37. სხვისი კუთვნილების არ მითვისების განწყობის დამკვიდრებით გონებაში, მოიპოვება ძალა სანუკვარი და ძვირფასი საუნჯის მიახლოებისა.

38. სქესობრივი თავშეკავება იძლევა გონებრივი ძალის დაგროვებას.

39. მომხვეჭელობის უარყოფა, უანგარობა, არ გამორჩენა, საჩუქრის არ ნდომა იძლევა სიცოცხლის მიზნის და მიზეზის ცოდნის წარმოქმნას.

40. სისუფთავე ქცევისა შობს სხეულის დაკვირების უნარის ზრდას მისგან გამიჯვნის მეშვეობით და სხვა სხეულებთან შეხების სურვილის ქრობას იწვევს.

41. ასევე გონების სივრცის სიმშვიდით აღვსებას, სიხარულის განწყობას, ყურადღების გაუტაცებლობას, გრძნობის ორგანოების მართვას და საკუთარ თავში ყოფნის უნარის ხანგრძლივობის ზრდას.

42. დაკმაყოფილება მოცემული შესაძლებლობით, არსებული გარემოებით, სინამდვილის მიმართ უკმაყოფილების არ ქონა, იძლევა განსვენებისა და ბედნიერების უკიდურეს განცდას.

43. სხეულის სურვილთა შეზღუდვა, სხეულის განცხრომის მოთხოვნაზე არ დაყაბულება შობს გრძნობის ორგანოების მოქმედების გაფაქიზებას და გაძლიერებულ შეგრძნობადობას ორგანოების გამოყენების გარეშე.

44. საკუთარ თავში ჩახედვის გამუდმებული მცდელობა და უზენაესი არსების განუწყვეტელი ხმობა იწვევს კავშირს მასთან საკუთარ თავში.

45. გარემოსთან დაუპირისპირებლობით და მოქმედებათა ნაყოფის უკმაყოფილების გრძნობის გარეშე მიღებით,

სრულდება ღვთის ნებაზე მინდობა, რითაც ყალიბდება მზერის გაუტაცებლობა.

46. ჯდომა მოთმინებითი მოლოდინით, უძრავად, ერთ მდგომარეობაში, სასიამოვნო და დაუძაბავი უნდა იყოს.

47. ძალდატანების შეწყვეტით, კუნთების მოდუნებით, წონისა და სითბოს შეგრძნების მეშვეობით და უსაზღვროზე ფიქრით ანხორციელებენ ამას, ამის აღსრულება მნიშვნელოვანია შემდგომი მოღვაწეობისათვის.

48. აღსრულების სისწორე იძლევა წინააღმდეგობათა დავიწყებას და დაძაბულობისა და მოუსვენრობის გაქრობას.

49. ამ მდგომარეობაში ხორციელდება ჩასუნთქვისა და გამოსუნთქვის თანდათანობითი შენელება სუნთქვის გაწელვით და შენელებით.

50. ყურადღებას მიაპყრობენ ან გამოსუნთქვას ან შესუნთქვას ან შეკავებას, მზერის მიპყრობით რაიმე ადგილზე, დროით და თვლით, თანდათანობითი გაწელვით და შენელებით, გაფაქიზებისათვის შეუმჩნევლობამდე.

51. მეოთხე სახე კი, შესუნთქვისა და გამოსუნთქვის ერთობლივი მოცვაა მზერით, ერთ წერტილზე მზერის მიპყრობის თანხლებით, შეძლებისდაგვარად სუნთქვის უკიდურესად შენელების შეკავებით.

52. ამის წყალობით ირღვევა ზღუდე სინათლისა.

53. და გონება იღებს ძალას მზერის ერთ წერტილზე შეჩერებისა, საკუთარ თავში მიმართული.

54. როცა გონებრივი მზერა მიმართულია გონების სივრცეში, მაშინ გრძნობის ორგანოებიც წყვეტენ საგნებთან კავშირს და მიჰყვებიან მზერას შიგნით, ეს არის შიგნით შებრუნება.

55. ამით მიიღწევა გრძნობის ორგანოების გამოუპასუხებლობა გარეგან ზემოქმედებებზე ცნობიერების სრული სიფხიზლის თანხლებით.

# თავი მესამე

## შინაგანში მოქმედებების შესაძლებლობებზე

1. საკუთარი თავის საზღვრებში, ერთ წერტილში მზერის შეჩერება არის თვით დაკვირვების და წერტილებით გონების მოკრება.

2. ამ წერტილის განუწყვეტელი შეგრძნება კი, არის გონების გაჩერება ერთ მიმართულებაში.

3. როცა ამ ადგილის გრძნობა ისე გაძლიერდება, რომ დაიკარგება საკუთარი სხეულის შეგრძნება, გონება კი თავისუფალია ყოველგვარი წარმოდგენიდან, ეს უკვე არის გონების უძრავობა.

4. ეს სამი ერთობლიობაში წარმოადგენენ საკუთარ თავში შესვლას.

5. ამის დაუფლებით მოდის სინამდვილის დანახვის მომცემი ცოცხალი სინათლე, გონიერი ნათელი.

6. მისი გამოყენებით ხდება თანმიმდევრული შესვლა ცნობიერების სიღრმეში.

7. ეს სამი, სხეულის საზღვრებს შიგნით აღსრულებული მოქმედებებია, გონებითი საქმიანობა გარეგნული მოქმედებების დახმარების გარეშე, წინა ხუთ მოქმედებასთან შედარებით.

8. მაგრამ ესენიც საკუთარი თავის გარეთ ქმნილი მოქმედებებია, ყოველგვარი საცნის გამოყენების გარეშე აღსრულებულ გონების უძრაობასთან შედარებით.

9. საკუთარ თავში მზერის შებრუნების მცდელობა და მისი გატაცების არ დაშვების მეთვალყურეობა თავად მზერის მიმართვაა და გონების ძალისხმევა, მაგრამ ქმნილი საკუთარი არსების ფარგლებში, რის დროსაც გონება ღებულობს უძრავ ფორმას, ამის მეშვეობით ხდება გამტაცებელი შთაბეჭდილებების ჩანაცვლება შეკავების შთაბეჭდილებით.

10. ამ უძრაობის ძალდაუტანებელი და წყნარი მიმდინარეობა მკვიდრდება ჩვევის მეშვეობით, რაც

გამომდინარეობს გონების ბუნებიდან, რომელიც არის წმინდა, მშვიდი და ნეტარი და რომელიც ელინდება ზრახვათა დაწმენდის შემდეგ.

11. მრავალი მიმართულებით მზერის გატაცების აღქვეთა მზერის ერთ წერტილზე მიბრუნებით დასაწყისში სრულდება მონაცვლეობით, გაქცეული მზერის ისევ საკუთარი სხეულის საზღვრებში მობრუნებით, განუწყვეტელი მცდელობა კი თანდათან ცვლის გონებას უძრავ მდგომარეობაში და როცა ეს აღსრულდება სამყაროს დანაწევრებული აღქმა ირღვევა და იშვება მისი, როგორც ერთი მთლიანის აღქმა.

12. ერთი მიმართულებით მიპყრობილ უძრავად მყოფ გონებაში წარსულის შეგრძნება ქრება აწმყოში, რადგან ერთ წერტილში თავმოყრილი ყურადღება აღწევს მთლიანობის მდგომარეობას, აერთიანებს რა ერთობლიობაში ზრახვების აღმოცენების და მათი შეჩერების პროცესებს და ამით იწვევს აზროვნების სფეროდან გამიჯვნას და სინამდვილის უშუალოდ აღქმას დროის გარეშე.

13. ამით აიხსნება ის, რომ სხეულებრივობის, ნივთობრივობის, საგნობრივობის, დროის და მდგომარეობის თვისობრივად და ხარისხობრივად გარდაქმნის აღნუსხვა, ნივთიერების მყარ და არამყარ მდგომარეობაში, ასევე გრძნობის ორგანოებში, წარსულ, აწმყო და მომავალ დროში არის გონების მოძრაობის შედეგი.

14. წარსული, აწმყო, მომავალი, ეს თანმიმდევრობა მოქმედებს იმაზე, რაც მატარებელია თვისების, თვისებას კი იძენს ის, რაც ექვემდებარება მოძრაობას, რაც არის პირობითი, ეს არის გონება.

15. გონების მოძრაობა ცვლილებების თანმიმდევრობის გარჩევაში, არის გონების მრავალფეროვნების და სივრცეში დროის დანახვის მიზეზი.

16. საკუთარ თავში შესვლით გონების აწმყოში შეკავებისას, მზერის მიმართვა ჩვევების განვითარების სამი თანმიმდევრობის ცვლაზე იწვევს წარსულისა და მომავლის დანახვას.

17. სიტყვა, შინაარსი და გაცნობიერება ჩვეულებრივ ვერ სხვავდებიან, საკუთარ თავში შესვლით გონების აწმყოში შეკავებისას მზერის მიმართვა მათ განცალკევებაზე იწვევს ყველა ცოცხალი არსების მიერ გამოთქმული ხმების მნიშვნელობის გაგებას.

18. მზერის მიმართვით მიდრეკილებების ანაბეჭდებზე მიიღწევა წარსული არსებობის დანახვა.

19. საკუთარ თავში შესვლით გონების აწმყოში შეკავებისას მზერის მიმართვით სხვისი სხეულის და გონების მოქმედების ნიშანდობლივ თავისებურებებზე მიიღწევა მისი გონების ბუნების ცოდნა.

20. მაგრამ არ გაიგივება ამ გონებასთან, რადგან ეს არ არის მიზანი დაკვირვებისა.

21. საკუთარ თავში შესვლით გონების აწმყოში შეკავებისას მზერის მიმართვა სხეულის გარე ფორმასა და სინათლის მასზე არეკვლის განცალკევებაზე შობს სხეულის გაუჩინარებას, ასევეა სიტყვასა და სხვა დანარჩენის შემთხვევაში.

22. უკუგება არის შედეგით ახლოს და შედეგით შემდგომში, საკუთარ თავში შესვლით გონების აწმყოში შეკავებისას მზერის მიმართვა ნამოქმედარის მიზეზებზე, შობს სხეულიდან გასვლის დროის ცოდნას და უჩვეულო მიმანიშნებელი მოვლენების ხილვას.

23. საკუთარ თავში შესვლით გონების აწმყოში დამკვიდრებისას მზერის მიმართვა კეთილგანწყობაზე და სამ დანარჩენზე იძლევა შესატყვის ძალთა მოპოვებას.

24. საკუთარ თავში შესვლით გონების აწმყოში შეკავებისას მზერის მიმართვა ძალაზე მაგალითად სპილოსი, ან რაიმე სხვაზე, იძლევა მსგავსი ძალის მოპოვებას.

25. საკუთარ თავში შესვლით გონების აწმყოში შეკავებისას მიღწეული ცნობიერების წყნარი გამჭვირვალების დროს მზერის მიმართვა მბრწყინავ, სხივოსან და ცისკროვან სინათლეზე, წარმოშობილზე შინაგანში, გულში, რომელიც წარმოადგენს ცნობიერების არსის ნათებას, მიიღწევა უფაქიზესის, მოფარებულის და

შორს მყოფი საგნების ხილვის უნარი.

26. მზერის მიმართეა მზეზე, შობს სამყაროს ცოდნას.

27. მთვარის მიმართ, ვარსკვლავთა ბუნების და მათი სფეროებით ცოდნას.

28. ჩრდილოეთის ვარსკვლავის მიმართ, ვარსკვლავთა მოძრაობის ცოდნას.

29. ჭიპის მიმართ, სხეულის ცოდნას.

30. ყელზე ლავიწებს შორის ღრმულში, შიმშილისა და წყურვილის ჩაქრობას.

31. მკერდის ფიცრის უკან სივრცეში, წონასწორობის შუაგულში დამკვიდრებას და სხეულის სიწყნარეს.

32. საკუთარ თავში შესვლით გონების აწმყოში დამკვიდრებისას, ცნობიერების გამჭვირვალე სიწყნარის დროს მოვლენილ სინათლეზე მზერის მიმართვით შუბლის უკან სივრცეში თავში, იძლევა სხივოსანი სამყაროს და მის არსებათა ხილვას ასევე სულის შესაძლებლობების აღქმას.

33. უშუალოდ ამ სინათლეში მზერის მიმართვა იძლევა ყოვლისმცოდნეობას.

34. გულში მზერის მიმართვა ამ სინათლეზე იძლევა ცნობიერების არსის ხილვას და ცოდნას ყოველი ცოცხალი არსების გონებისას, სხვათა გონებაში ზრახვათა ხილვას.

35. სხეულად თავის ჩათვლა და ტკბობის ნდომა მომდინარეობს გონების მოქმედების, ფიქრის და წარმოსახვის და საკუთარი თავის, ერთმანეთისაგან ვერ განსხვავდებიან, გონების სივრცე თუნდაც სრულიად სუფთა, ნათელი და გამჭვირვალე და საკუთარი თავი, დამკვირვებელი, სინამდვილეში სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან და დამოუკიდებლად და შეურევლად არსებობენ. პირველი არსებობს მეორეს საჭიროებისათვის, რადგან გონება ექვემდებარება დაკვირვებას. მზერის შემოტრიალება საკუთარი თავისკენ იწვევს გონების დადუმებას, გამჭირვალებას და დამკვირვებელის არეკვლას, რომელიც ხედავს თავის თავს უსაზღვრო სინათლეში.

36. ეს შობს საკუთარ არსობაში ჩაბრუნებული მზერის ჩაღრმავებისა და შეჩერების ძალის ზრდას, ამით კი მოდის

გონების სინათლით აღვსება და სმენის, შეხების, მხედველობის, გემოს და ყნოსვის მოქმედების უნარი ორგანოების გარეშე.

37. ეს შესაძლებლობა გონების ზებუნებრივი უნარისა, ხელისშემშლელია მზერის შემდგომი შებრუნებისა და გონების სიმშვიდის შენარჩუნებისათვის, რადგან იტაცებენ ყურადღებას და აღძრავენ ჩაწყნარებულ ლტოლვებს, მაგრამ ასევე წარმოადგენენ დამამტკიცებელ სინამდვილეს მოღვაწეობის გზაზე.

38. როდესაც შესუსტდება მიზეზი სხეულით ცნობიერების შეზღუდვისა და მოიპოვება ცოდნა ცნობიერების დამოუკიდებლობისა სხეულიდან, მაშინ ცნობიერების დინების თავისუფალი მიმართვის მეშვეობით გონებას ძალუძს შესვლა სხვის სხეულში.

39. სხეულის და მეტყველების მამოძრავებელი ძალის მიმართ მზერის მიმართვა საკუთარ თავში შესვლისას, გონების აწმყოში დამკვიდრებით, ცნობიერების გამჭვირვალე სიწყნარის დროს, იწვევს უნარს არ ჩაიძიროს წყალში, ჭაობში, ესვენოს ეკლებზე და დატოვოს სხეული თავისი ნებით.

40. სხეულის ორგანოების მოქმედების მამოძრავებელი ძალის მიმართ მზერის მიმართვა, კი შობს სხეულის მკვეთრ ნათებას.

41. საკუთარ თავში შესვლით გონების აწმყოში დამკვიდრებისას, ცნობიერების გამჭვირვალე სიწყნარის დროს მზერის მიმართვა სმენისა და სივრცის ურთიერთკავშირზე, საკუთარი თავის სივრცეში საკუთარი სმენის ორგანოთა მიერ შინაგანი ხმების მოსმენაზე, შობს ღვთაებრივი ბგერების აღქმის უნარს.

42. საკუთარ თავში შესვლით გონების აწმყოში დამკვიდრებისას ცნობიერების გამჭვირვალე სიწყნარის დროს მზერის მიმართვა სხეულისა და სივრცის ურთიერთკავშირზე და სხეულის ბუმბულივით მსუბუქად შეგრძნების თანხლებით მოიპოვება უნარი ჰაერში გადაადგილებისა სხეულით.

43. საკუთარ თავში შესვლით გონების აწმყოში შეკავებისას ცნობიერების გამჭვირვალე სიწყნარის დროს მზერის მიმართვა პირადულობისა და კერძოობის გაქრობისათვის შობს გონების სწორ, ნამდვილ გამოყენებას, რომელიც იწვევს გონების სხეულის საზღვრებისგან დამოუკიდებლად გარეთ განვრცობას, წარმოდგენების, შეფასების, გაიგივების და მიმსგავსების გარეშე, არსებულ სინამდვილეზე მზერის მიპყრობით, რასაც ეძახიან დიად უსხეულობას, რისი წყალობითაც ქრება უმეცრება, რომელიც ფარავს სინამდვილის დანახვის შემწე სინათლეს ცნობიერების არსისას.

44. საკუთარ თავში შესვლით გონების აწმყოში შეკავებისას ცნობიერების გამჭვირვალე სიწყნარის დროს მზერის მიპყრობა სხეულზე, თანმიმდევრობით ჯერ მის მყარ ნივთიერებრივ მდგომარეობაზე, შემდგომ მის ფაქიზ, სხივოსან, ორეულ მხარეზე, შემდგომ სხივოსან და ნივთიერ სხეულთა შეერთებასა და სხვაობაზე, და ბოლოს სამყაროს შემოქმედებაში მისი დანიშნულების რაობაზე, შობს სხეულის ნივთობრივი და მასში მოქმედ ძალთა დაუფლების უნარს.

45. შედეგად ამისა მოიპოვება შემცირებისა და სხვა რვა ძალა (მიკროსკოპია, ტელესკოპია, რენდგენოგრამა, ექოსკოპია, ანტიგრავიტაცია, მაკროგრავიტაცია, სენსორული ზონდირება და ტრანსფორმაცია) აქედან კი სხეულის სრულყოფილება და ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ არ მოქცევა.

46. სხეულის სრულყოფილება კი მდგომარეობს მოხდენილობაში, მიმზიდველობაში, ძალასა და ამტანობაში.

47. საკუთარ თავში შესვლით, გონების აწმყოში შეკავებისას, ცნობიერების გამჭვირვალე სიწყნარის დროს მზერის მიმართვა შეგრძნებაზე, აღქმაზე, პირად დამოკიდებულებაზე და აღმქმელზე, შობს გრძნობებზე ბატონობას.

48. შედეგად ამისა დამკვირვებელის გადაადგილება ფიქრის სისწრაფით, აღქმა ორგანოთა გარეშე და ნივთიერი ბუნების ზემოთ დადგომა, მფლობელობა.

49. საკუთარ თავში შესვლით გონების აწმყოში შეკავებისას ცნობიერების გამჭვირვალე სიწყნარის დროს მზერის მიპყრობა გონების სუფთა სხივოსან სივრცესა და საკუთარ თავს შორის განსხვავებაზე შობს მზერის უსაზღვრობას და მოქმედების შეუზღუდაობას, ყოვლისმცოდნეობასა და განუსაზღვრელ ძალაუფლებას არსებობის ყველა სახეზე.

50. მაგრამ ამ შესაძლებლობებითაც არ ცდუნება, მათგან გამიჯვნა, ანადგურებს გონების გარეთ წარმტაც დამოკიდებულების ყოველგვარ ჩანასახს, რითაც იშვება სრული დამოუკიდებლობა, თავისუფლება ვნებებისაგან, რადგან ცნობიერება გამოსული დანაწევრებიდან, საკუთარისა და სხვისის დაყოფისგან, თავისუფლდება ყოველგვარი საბაბიდან უკუგების მიღებისა.

51. საჭიროა სრული გულგრილობა ნივთიერი სამყაროსა და სხეულის მიმართ, თავმოყვარების და წარმატების სიხარულის უკუგდებით, რომ არ წარმოიშვას თავმომწონება და ტკბობის სურვილი, როცა ხდება ურთიერთობა სხვადასხვა საფეხურზე მყოფ უსხეულო არსებებთან და ასევე ადამიანთა საზოგადოებაში მათი მხრიდან ცდუნების, ქების და ხმობის დროს, რადგან ამით დაიკარგება მიღწეული მდგომარეობა განახლებული დამოკიდებულების გამო.

52. საკუთარ თავში შესვლით აწმყოში დამკვიდრებით, ცნობიერების გამჭვირვალე სიწყნარის დროს მზერის მიმართვა აწმყო მონაკვეთზე წარსულისა და მოსალოდნელის უყურადღებობით შობს გარჩევის უნარს.

53. ხოლო გამოირჩევა ამით ის, რომელიც არ ისაზღვრება სახით, ნიშნით და ადგილით, ანუ თვისებით, დროით და სივრცით, ე.ი. საკუთარი არსი.

54. განმასხივოსნებელი, ყოვლისმომცველი, ერთდროული, დაუნაწევრებელი და აწმყოსეული არის ხედვა მიღებული ამ გამორჩევით, რომელიც მოიცავს ყველა საგანს მრავალფეროვნებაში ერთბაშად დროისა და თანმიმდევრობის გარეშე, უმზერს რა არსებულ სინამდვილეს წარსულზე ან მომავალზე ფიქრის და ყოველგვარი

წარმოდგენების გარეშე.

55. როდესაც სუფთა, ვნებებ დამცხრალი გონება მიაღწევს მხედველი არსის გამჭვირვალების მაგვარ სის·უფთავეს, გაუთანაბრდება რა მას სიწმინდით, მაშინ იშვება სრული დამოუკიდებლობა, გამოცალკევება, განმხოლოვება, რომელიც არის უცილობელი სინამდვილე.

## თავი მეოთხე

### დამოუკიდებლობაზე

1. გონების მოქმედების შესაძლებლობა, კერძოდ აღქმის ზეჩვეულებრივი თვისება, ნების აღსრულება ორგანოთა გამოყენების გარეშე, რაც მოიპოვება წარმოდგენილის სხეულით შეგრძნების უნარიდან და საკუთარ თავეში შებრუნების სიღრმის ხარისხიდან, მომდინარეობს დაბადების ხარისხით, ქიმიური ზემოქმედებით, სიტყვის ძალის მეოხებით, სხეულის მოთხოვნების მღუდვით და გონების მოქმედებების შეჩერებით.

2. სინამდვილის აღქმის ერთი სახიდან მეორე სახეში გადასვლა ცნობიერების შევსების გზით ხდება.

3. გონების საკუთარი ძალისხმევა არაა მიზეზი ცნობიერების გადაყვანისა ყოფიერების განსხვავებულ ან სრულყოფილ აღქმაზე და არც შემძლეა ამისა, ნივთიერება განუყოფელი იარაღია და გამოვლენის მიზეზია შემოქმედებითი ძალისა, ასე რომ თავად არ გარდაიქმნება შემოქმედების მატარებელ ძალად, მაგრამ ამ ძალისხმევის წყალობით იშლებიან ცნობიერების შევსების ხელისშემშლელი ზღუდენი, მსგავსად ნაკადულისთვის კვალში გზის გახსნისა გლეხის მიერ.

4. ცნობიერებაში მრავალი შემზღუდველი და საზღვრული შეგნებების ჩამოყალიბების ერთადერთი მიზეზი არის პიროვნულობის გრძნობა, საყოველთაო პიროვნ·ულობის საწყისი, საიდანაც ყოველი გონება იღებს პიროვნების შეგრძნებას.

5. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი შეგნება შექმნილი საჭიროებისადა მიხედვით, ამოქმედებს გონებას საკუთარი შეხედულების მიხედვით, ყველა ისინი ექვემდებარებიან პირველ საწყის გონების წყობას.

6. მათ შორის ის შეგნება, რომელიც ჩამოყალიბდა გონების უძრაობის შედეგად, მისი მოქმედების შეჩერების მეშვეობით, საკუთარ თავში შებრუნებისა და ერთ წერტილზე მზერის შეკავების შედეგად, აღარ განიცდის შთაბეჭდილებების ზეგავლენას და თავისუფალია სურვილებისაგან და აღარ რჩება მასში კვალი მოქმედებიდან და უკუგებიდან.

7. ასეთი გონებისათვის მოქმედება და უკუგება არ შეიძლება იყოს ან თეთრი და ან შავი, რადგან ყოფიერი აღარ აღიქმება დაპირისპირებულ ძალთა მიერ ორად გაყოფილად, სხვა ყველა დანარჩენისათვის კი სამგვარია, თეთრი, შავი და შერეული.

8. ამ სამი დამსახურებული უკუგებიდან მოქმედებენ და ვლინდებიან მხოლოდ ის ჩვევები და შესაძლებლობები და იშვებიან მხოლოდ ის სურვილები და მიდრეკილებები, რომელთათვის არის ხელსაყრელი გარემო პირობა და დრო.

9. და ამიტომ აუმოქმედებელი ჩვევები უწყვეტ კავშირში არიან გონებასთან და სურვილები იწვევენ სხვა სურვილებს მიუხედავად დაშორებისა დაბადების სახით, დროით და სივრცით, გარემოს გამოცვლის, ადგილის გამოცვლის თუ დროის გასვლით, შთაბეჭდილებების შენახვის გამო გონების მიერ.

10. ჩვევები, მიდრეკილებები, სურვილი და შესაძლებლობები აურაცხელი და უსასრულონი არიან თავიანთი მდინარებით, იწვევენ განპირობებას გონებისას, მათ არა აქვთ დასაწყისი, რადგან ლტოლვა სიცოცხლისაკენ მუდმივია.

11. რადგან ყოფიერში ყოფნის სურვილები, მიდრეკილებები, ჩვევები და შესაძლებლობები აღიძვრიან და გროვდებიან სხეულით ტკბობის მიღების, წარმოსახვის, ხილვის და თავად საგნის მიზეზით და მეშვეობით, მათი უარყოფით და მათგან განშორებით თავადაც ქრებიან.

12. შესაძლებლობების გამომწვევი წარსული და მოქმედებიდან გამომდინარე მოსალოდნელი მომავალი არსებობენ ფარულ მდგომარეობაში აწმყოში, მათი ამოქმედება დამოკიდებულია გონების სამ ხარისხზე კერძოდ, ინერტულზე, ვნებიან და სხივოსანზე და ისაზღვრებიან გარკვეული დროით.

13. აღსრულდებიან, დარჩებიან ფარულ მდგომარეობაში თუ ქრებიან ეს დამოკიდებულია გონების სამ ხარისხზე, ამიტომ განეკუთვნებიან ქმნილების სფეროს.

14. ხილვადობა საგნისა დამოკიდებულია გონების ხარისხის საგნის ხარისხთან გათანაბრებისა, როცა საგნები ერთი და იგივე ხარისხის საზღვრებში იმყოფებიან, ერთმანეთისათვის წარმოადგენენ სინამდვილეს, საგანთა ერთიანობა გამომდინარეობს გარდაქმნათა ერთიანობით, რომელიც საერთოა ყველასათვის.

15. ერთი და იგივე საგანი სხვადასხვანაირად აღიქმება და ცნობიერდება სხვადასხვა შეგნების მიერ და იწვევს განსხვავებულ სურვილებს, რადგან ცნობიერება და ნივთიერება სხვადასხვა დონეებია არსებობისა, განსხვავებული მდგომარეობებია ყოფიერში და არსებობენ ურთიერთდამოუკიდებლად.

16. და ასევე საგანი დამოუკიდებელია გონებისაგან, რადგან თუ გონება ვერ აღიქვამს და ვერ აცნობიერებს მას, ამით საგანი არ ჰკარგავს თავის არსებობას.

17. საგანი ცნობილია ან უცნობია გონებისათვის იმისა და მიხედვით, თუ როგორ აირეკლება იგი გონებაში, ხედავს იგი მას თუ ვერა, გამომდინარე იქიდან, ზემოქმედებს იგი მასზე თუ არა, შეუძლია თუ არა საგანს გახდეს დაკვირვების მიზანი თუ არა.

18. გონების მდგომარეობები და მოქმედება ყოველთვის ცნობილია მხედველისათვის, ვინაიდან ექვემდებარება დაკვირვებას ცნობიერების მხრიდან, რადგან ხედვის უნარი, თავად მხედველი არ განიცდის ცვლილებას მასთან დამოკიდებულებაში, როგორც მარადიულად უცვლელი.

19. ექვემდებარება რა დაკვირვებას, გონებას არ გააჩნია

საკუთარი სინათლე.

20. და ასევე იმიტომ, რომ ორივე ერთდროულად არ აღიქმება, შეუძლებელია საგნისა და დამკვირვებელის ერთდროულად დანახვა.

21. რომ დავუშვათ გონების ერთი მოქმედებით მისი მეორე მოქმედების აღქმა, გამოვა, რომ ერთი გონება აღიქვამს მეორე გონებას და მაშინ უნდა დავუშვათ ასეთი აღქმების უსასრულო რიგი, ეს კი გამოიწვევდა მეხსიერების სიმრავლეს და მათ არევას, ასე რომ, უაზრობაა არ ვაღიაროთ უცვლელი მუდმივი მოწმის არსებობა გონების მღვარს იქით.

22. მზერა არ მიმართული საგნებისაკენ ხდის გონებას გამჭვირვალედ, წმინდად და მიპყრობილად მხედველისაკენ, რის შედეგად ირეკლავს მას და იღებს მის სახეს, რომელიც არის უცვლელი, ყველგან მყოფი, ყოვლისშემძლე.

23. გონება ამრეკლავი როგორც მხედველისა, ისე საგნისა ხდება ყველაფრის დამნახავი და მწვდომი.

24. გონება უსასრულო შთაბეჭდილებების მრავალფეროვნებაა, არსებობს როგორც იარაღი მხედველისათვის დამაკავშირებელი უნარის გამო.

25. ვინც ხედავს სხვაობას გონებასა და საკუთარ თავს შორის, მას უქრება საკუთარი თავის გონებასთან გაიგივების გრძნობა და უქრება ეჭვი საკუთარი თავის დამოუკიდებლად არსებობის შესახებ.

26. მზერის შეჩერებით ამ სხვაობაზე გონება ქრება და ცნობიერება მიედინება გამოცალკევებულად ყველაფრისაგან.

27. შესაძლოა ამ დროს წარმოიშვან გამტაცებელი მიმართულებები გამოწვეულნი შთაბეჭდილებებით.

28. მათი მოშორება ისევეა, როგორც ვერდანახვისა და მის შემდგომთა შემთხვევაში.

29. თუკი ყურადღება არ იქნება გატაცებული ამ გამორჩევის შედეგად მოპოვებული ცოდნისა და ძალებისაკენ, მაშინ მიიღწევა ცნობიერების უძრაობა მზერის მიმართვით სრული გამოცალკევებისაკენ, ამის შედეგად ხდება ზეშთამოსელა ცნობიერი, ცოდნის მომცემი სინათლისა, რომელსაც უწოდებენ "ჭეშმარიტების ღრუბელი".

30. რომლის წყალობით წყდება უკუგება და ქრებიან მოქმედების გამომწვევი სურვილები, წყდება ზეგავლენა და ნაყოფის ნდომა, წყდება ტანჯვა და ქრება მწუხარება, ტკივილი და შრომა.

31. და მაშინ მზერა განთავისუფლებული ზღუდეებისაგან ხდება უსაზღვრო, უკიდეგანო, ხოლო დასანახი კი ძალზე უმნიშვნელო.

32. ამით მთავრდება გონების სამ ხარისხობრივ მდგომარეობაში თანმიმდევრული გარდაქმნა, მათი დანიშნულების ამოწურვის გამო, რამე თუ დამთავრდა ყველაფერი.

33. თანმიმდევრობის ბოლო ზღვარი არის აწმყოზე მზერის გაჩერება.

34. სრულყოფილი დამოუკიდებლობა არის გონების ამამოქმედებელი ხარისხების უკუქცევა და სრული ჩაცხრობა მათი უსარგებლობის გამო ცნობიერებისათვის, რომლებიც უკვე აღარ წარმოადგენენ მოქმედების გამომწვევ მიზეზებს გონებისათვის, რადგან იგი დაბრუნებული თავის პირველ საწყის მდგომარეობაში, ხედვის წყაროში, საკუთარ თავში, დამოუკიდებლად ბრწყინავს საკუთარ ბუნებაში.

35. ამ მდგომარეობაში იშლება ფორმებად და სხეულებად დანაწევრებული ხედვა სამყაროსი და ქრება დამოკიდებულება რაიმეზე არსებობის გულისათვის, დაუნაწევრობა და დამოუკიდებლობა ერთი და იგივეა ამ შემთხვევაში.

36. დამოუკიდებლობა არის ის მდგომარეობა, როცა არსებობს მხოლოდ ერთი და ამიტომ არ შეიძლება რომ იყოს დამოკიდებული რაიმეზე ან რაიმესგან, რადგან როდესაც აღარ არსებობს აღარაფერი განცალკევებულად საკუთარი თავისგან, მაშინ აღარაა დამოკიდებულება რაიმეზე და მხედველი არსებობს დამოუკიდებლად ყველაფრისგან განუსაზღვრელ, უკიდეგანო, მარადიულ ნათელში, ცოცხალი ცოცხალში, ცნობიერი ცნობიერში, რაიმე ნიშანთვისების გარეშე, თავისუფალი ყველაფრისაგან.

37. თავისუფლების ამ მდგომარეობაში მთელი ყოფიერი

და მთელი არსებული არის საკუთარი თაეი და ასევე მთელს ყოფიერში და მთელს არსებულში არსებულად მყოფობს საკუთარი თავი, მხედველი ხედავს საკუთარ თავს მთელს სამყაროდ და მთელს სამყაროს საკუთარ თავად.

38. არსებობა აწმყო წამია უდროო და ამიტომ მარადიული, ცნობიერება აწმყო წამია უდროო და ამიტომ მარადიული, ნეტარება აწმყო წამია დროს არდაქვემდებარებული ამიტომ არის მარადიული, არსებობისა და ცნობიერების გაწონასწორებული შეერთების განცდისა, ეს სამი ერთობლიობაში განუყოფლად განყოფილი მთლიანობაა მთელი ყოფიერებისა, უკიდეგანო, სხივოსანი, მარადიული ცნობიერებაა ყოფიერში მყოფობისა, ამაზე მაღლა არის მხედველი, მოწმე, მაყურებელი ყველაფერი ამის, ეს არის ზღვარი დასასრულისა და დასაწყისისა.

## "იშა უპანიშადი"

## საუფლო დამოძღვრება
### (თავისუფალი თარგმანი)

### (1-ლი ვერსია)

1. უფალით გარემოცულია (და აღვსებული) ეს ყველაფერი, რაც არ უნდა იყოს არსებული სამყაროში, იგი უსაზღვრავს აუცილებელს ყოველს და ყველას, ნუ მიისწრაფეი არაკუთვნილი ქონებისაკენ (თუ გინდა დატკბე ამ ქვეყნით მისგან განდგომის მეშვეობით).

2. გააგრძელებს თუ კი ასე მოქმედებას ცხოვრებაში ადამიანი (მიუჯაჭვავად, მოქმედების შედეგის მიმართ) თუნდ მან ისურვოს (ცხოვრების) ასი წელი, ასევე შენთვის, არა სხვა (გვარად) მხოლოდ ასეთი გზით არსებობს არ შემბოჭველი ქმედება კაცის.

3. უმზეო ჰქვია იმათ სამყოფელს (არანათელ, გაუსხივოსნებელ მდგომარეობას სულის (ბრმა უკუნეთით ფარულს (სევდიანი, აზრის სიბნელუნგით მოცულს), რომელშიც მიდიან გარდაცვალების შემდეგ ყველა ისინი, ვინც საკუთარი არსის მკვლელი არი თავის თავში (ვინც საკუთარი გონების, საკუთარი თავის გაცნობიერების მკვლელია სურვილებით, ვნებებით და ბრაზით).

4. უძრავი, ერთიანი, ფიქრზე (გონებაზე) უსწრაფესი, გრძნობებისათვის მიუწვდომელი, პირველი მომქმედი უსწრაფესი (ეს უზენაესი არსი, ცნობიერების ფუძე-საწყისი, უცვლელი თავისი ბუნებით, შეგრძნებებზე ზემდგომი (უძრავია და წინ უსწრებს ყველაფერ მოძრავს, მასში ნაყოფიერება (ძალა სიცოცხლის) აღასრულებს მოქმედებას თავისს.

5. ის მოძრაობს - და ამავ დროს უძრავია, იგი შორია და ამავ დროს აქვეა ახლოს, იგი ყველაფერს შიგნით და ამავ დროს მიღმაა ყოველის.

6. ვინც მთელის არსებულს ხედავს (აღიქვამს) მყოფს თავის არსებაში გამუდმებით და მთელს არსებულში საკუთარ

არსებას ხედავს. ის მაშინ აღარ უგულველყოფს რაიმეს, არ იწუნებს, არ ეჭიდება ამ წუთისოფელს და არ შფოთავს.

(ვინც ყველა არსებას ხედაეს ერთიანი არსების გამომხატველად და ყველა არსებაში ვინც თაეისი თაეის მსგაესს არსებას ხედავს განუწყვეტლივ...)

7. ამ მდგომარეობაში მთელი არსებული არსებაა (არსია) მხოლოდ (უკიდეგანო სიცოცხლეა მხოლოდ), ვინც ასე იცის" (ასე ხედავს, შეიგრძნობს და ახსოვს) ასეთისათვის რაღაა ცვალებადი (წარმავალი) და რაღაა საგანგაშო, სამწუხარო, ერთიანობას, განუყოფლობას ვინც უმზერს მუდმივ.

8. იგი განვრცობილია ყოველგან (მსჭვალავს ყველაფერს) ნათელი (ნარნარი სხვისოვნობით) უსხეულო, შეუხებელი, ძარღვგარეშე, დაურღვეველი, წმინდა, უკეთურებისაგან შეუბღალავი, ყველაფრის მხედველი (მცოდნე ყოველის), მოაზროვნე, ზემდგომი, თვითარსი, სინამდვილეში ერთადერთი აღმსრულებელი დასახულ მიზანთა დაუსაბამო დროიდან.

9. უკუნ სიბნელეში მიდიან ისინი (ბრმა, სევდიან, დამთრგუნველ უსინათლობაში), ვინც არ ცოდნას (უმეცრებას, განუსჯელობას) თაყვანსა სცემენ, და კიდევ უფრო დიდ სიბნელეში ვინც ცოდნაში (განსწავლულობაში, განსჯაში) განცხრომას ეძებს.

ა) (უსინათლობაში ხვდებიან ისინი, ვინც არ აყალიბებს რეალობაში ღმერთის აღმოსაჩენ შეხედულებას ღმერთზე და კიდევ უფრო ღრმა უსინათლობაში ვინც რეალობისაგან მოწყვეტით ჰქმნის საკუთარ წარმოდგენას ღმერთზე).

ბ) (ვერ მიაღწევს განსხივოსნებას გონება იმათი, ვინც უშუალოდ მხოლოდ ფიქრის დათრგუნვას ცდილობს და კიდევ უფრო შეუძლებელია განსხივოსნება იმის, ვინც საკუთარ წარმოდგენას მიჰყვება და მასზე ფიქრობს).

10. განსხვავდებაო ამბობენ იგი (ჭეშმარიტება) ჭეშმარიტად ცოდნიდან (დასწავლულიდან, წარმოდგენილიდან, განსჯილიდან) განსხვაევდება იგი არ ცოდნიდან (მისი არ განსაზღვრებიდან, არწარმოდგენიდან) ასე გვსმენია მდუმარე ბერთაგან, ვინც ჩვენ ეს გვასმინა

ძეელთაგან.

ა) განსხვავდება სინამდვილე მის შესახებ ჩვენი წარმოდგენიდან და არც მისი არ წარმოდგენა მხოლოდ არ იწვეეს მის აღქმას).

11. ცოდნა და არცოდნა (განსაზღვრა და არ განსაზღვრა) და მან ვინც იცის ეს ორივე ერთობლივ, არ განსაზღვრების (არცოდნის, არ განსჯის) მეშვეობით სიკვდილის ზღვარს იქით გადის, აღწევს უკვდავებას განსაზღვრულის (გააზრებულის, განსჯილის) აღქმით.

ა) (გააზრება, მაგრამ არ წარმოდგენა, ამის აღსრულება ვინც შესძლო ერთობლივ არ წარმოდგენის მეშვეობით აღწევს უკვდავებას გაზრებულის აღქმით).

12. უკუნ სიბნელეში მიდიან ისინი, ვინც ხილულს, მოვლენილს თაყვანსა სცემენ და მათზე კიდევ უფრო უკუნ ბნელში ვინც დაფარულისკენ, უხილავისკენ მიმართავს ფიქრებს,

ა) (შთაინთქმებიან სიბნელის მიერ ვინც რაიმე ფორმას, მოვლენას მიიჩნევს არსებითად, და კიდევ უფრო გამოუვალ სიბნელეში ვინც უსაგნობის და უფორმობის წარმოდგენას მისდევს).

13. განსხვავდებაო ამბობენ ჭეშმარიტად იგი (უფალი) გამოუვლენელიდან, უხილავიდან, განსხვავდებაო იგი ხილულიდან, მოვლენილიდან, ასე გვსმენია მდუმარე ბერთაგან, ვინც ჩვენ ეს გვასმინა ძეელთაგან.

14. დაფარული და მოვლენილი და მაინ ვინც იცის ეს ორივე ერთობლივ (ვინც ხილულის იქით უხილავს მზერს გონების თვალით და უხილავის ხსოვნით ვინც უყურებს ხილულს) გამოვლენილის მეშვეობით სიკვდილის ზღვარს იქით გადის, აღწევს უკვდავებას დაფარულის აღქმით.

15. ოქროსფერი ბრწყინვალებით შემოსილია და დაფარული ჭეშმარიტების სხივნათელი სახე, ის (სახე, რომელიც სუფევს ცოცხალ სინათლეში, უხილავი პიროვნება) შენ მფარველო გახსენ ჭეშმარიტების მაძიებლისთვის, რომ ჰვერიტოს.

16. მფარველო, სიბრძნეე ერთადერთო, ნებავ, მიზანო

სხივნათელო, სიცოცხლის წყაროე, მზეო მზეთაო, განფინე სხივები, შეარბილე ბრწყინვა, რომ შენი ხატება ვიხილო უმშვენიერესი, ის შენი სახე ვიხილო სავსე მოწყალებით და სიკეთით, ის, შენი, ვიხილო ნათელი არსი, რომელიც აგრეთვე არსია ჩემი.

17. დე (ამის შემდგომ) სიცოცხლის ძალამ უკვდავებაში დაისადგუროს (დე ჩემი სუნთქვა შეერწყას ყოვლისმომცველს, რომელიც მსჭვალავს ყველაფერს ცოცხალ სივრცეში) შემდგომ იმისა, როცა სხეულს აქცევენ ფერფლად (სიკვდილის ჟამს) სადიდებელი სიტყვით, ღმერთის სახელით (მისი ღაღადით, გამეორებით, ხმობით, რომ არ გაგვიწყდეს მახსოვრობის ძაფი) აღმქმელო გახსოვდეს აღსაქმელი, აღმქმელო გახსოვდეს აღსაქმელი, გახსოვდეს აღსაქმელი - ნამოქმედარი (გახსოვდეს საკუთარი თავი).

18. ო მხურვალებავ, მგზნებარე ცეცხლო (რომელიც იშვები უზენაესზე გონების თავმოყრით შინაგანში (გაგვიძეხ სათნოების გზით (მიზნის) აღსრულებამდე ჩვენ, ო, ღვთაებაო ყოველი გზის მცოდნევ, გვაშორე ყოველი ზღუდე, უკეთურება (და ხიბლი) ჩვენ, განუზომელ ქებას მოგაგებთ შენ (რომ განუზომელი ქება მოგაგოთ შენ). (რომ უსაზღვრო ქების მიძღვნა შენდამი შევძლოთ ჩვენ).

## "იშა უპანიშადი"

## საუფალო დაფოძღვრება (თავისუფალი თარგმანი)

### (2-ე ვერსია)

1. გამიზნულად მომქმედი ყოვლისმომცველი ნებით გამსჭვალულია ქმნილ სამყაროში ყოველნაირი აღსრულება აღსასრულებელისა, ამიტომ დაკმაყოფილდი საკუთარი ნების უარყოფით, რომ დაამშვიდო ძოლოდინის აღტკინება მოუმწიფებელი ნაყოფის მიმართ, თუკი გსურს ტკბობა ჭვრეტის ხელოვნებით.

2. ამგვარი განწყობით საჭიროა მოღვაწეობა წესთა აღსრულებაში თუნდ დასჭირდეს ასე მოქმედებას ასი წელი, ასი რომ შენთვისაც, მოსალოდნელ ნაყოფზე არ ფიქრით არის მოქმედება, გონებაში კვალის არ დამჩნევი.

3. უსინათლოა ცნობიერების მდგომარეობა იმ გარდაცვლილთა, რომელთაც საკუთარი თავის გაცნობიერების შესაძლებლობა ჩაკლეს ვნებით და ნაყოფის მიღების ნდომით, საკუთარ თავში.

4. ცნობიერების უზენაესი მდგომარეობა უცვლელია და უძრავი, ერთიანია, გონებაზე და ფიქრზე უსწრაფესი. შეგნებას არ ძალუძს შეწვდომა მისი, გრძნობის ორგანოებით აღუქმელი,პირველი დამწყები მოქმედების, უძრავი, იგი წინ უსწრებს ყველა მოძრავს, მხოლოდ მისი თანდასწრებით და შემწეობით მოქმედებს სიცოცხლე ცოცხალ სივრცეში.

5. უზენაესი მდგომარეობა ცნობიერებისა მოძრავია და ამავ დროს არ იძვრის, იგი მიუღწეველია თითქოსდა თავისი სიშორით, და ამავ დროს მიღწეულია უკვე, ვით მყოფი უზომოდ ახლოს. იგი სხეულის შიგნითაა და ამავე დროს მიღმაა სხეულის, ყველაფერშია და ასევე მიღმაა ყველაფრის.

6. ვინც საკუთარ თავში შესვლით უმზერს ყველაფერს ვით საკუთარ ცნობიერებაში არეკლილ ანარეკლს და მთელ არსებულში საკუთარი ცნობიერების გამოსახვას თუკი ხედავს, ის აღარ განიცდის აღშფოთებას, აღარ ეჭიდება წუთისოფელს.

7. რაღაა არასწორი ან სამწუხარო ისეთისათვის, ვინც საკუთარ თავში საკუთარი ცნობიერება აღიქვა და გააცნობიერა, რომ იგია ერთი უწყვეტი არშობილი მხედველი ყველაფრის, მდგომი ყველა არსების უკან, ცნობიერება უწყვეტი, გამაერთიანებელი ყველაფრის ცნობიერების განუყოფლობით.

8. იგი, ცნობიერება მსჭვალავს ყველაფერს, ნათელი, ნარნარი სხივოსნობით, უსხეულო, შეუხებელი, დაურღვეველი, შეუზღუდავი, ნაწილების გარეშე, უბიწო, წმინდა, უცვლელი, აღმქმელი ყველაფრის, მოაზროვნე, ზემდგომი, ყველგან მყოფი, თვითარსი, დასახულ მიზანთა

აღმსრულებელი ერთადერთი დაუსაბამო დროიდან.

9. უკან სიბნელეში იძირება ცნობიერება იმისი, ვინც ყოფიერის უარყოფის მეშვეობით ცდილობდა საკუთარი ცნობიერების აღქმას და კიდევ უფრო დიდ სიბნელეში იმისი, ვინც არსებულის გაცნობიერებისას ცდილობდა ცნობიერების არსის ნახვას.

10. სულ სხვაა ცნობიერების ხილვა და სულ სხვა ხილულის უარყოფიდან მიღებული მდგომარეობა, და ასევე სხვა არის ხილვა ცნობიერების და სულ სხვა ხილულის გაცნობიერებისას შეცნობა ცნობიერების, ასეთია გადმოცემული სწავლება ძველ მჭვრეტელთაგან.

11. ხილულის უარყოფა და არსებულისგამთლიანება, ამ ორის ურთიერთშეთავსება, საგანთა ზღვარს მიღმა ერთიანის ხილვა და ყოველი საგნის მნიშვნელობის არ დავიწყებით თვითეულ მათგანში ერთი და იგივეს დანახვა იწვევს ცნობიერების გაღწევას დროის წყვეტადობის გაღმა და ცნობიერების ერთ მთლიანობაში დამკვიდრებით დროის გარეშე ყველაფრის აღქმას.

12. უკუნ სიბნელეში იძირება ცნობიერება იმისა, ვინც ხილული შესაგრძნობით ცდილობს ცნობიერების სახესთან მიახლებას, და კიდევ უფრო დიდ სიბნელეში, ვინც ზეგრძნობიერ უსახურ ძალად მიიჩნევს ცნობიერებას.

13. სულ სხვაა ცნობიერების სახე და სულ სხვა ხილული შესაგრძნობით მისი გამოხატვა და ასევე სხვაა ცნობიერების სინამდვილე და სულ სხვა ხილულის ზღვარს იქით არსებულ ძალთა სინამდვილე, ასეთია სწავლება გადმოცემული ძველ მჭვრეტელთაგან.

14. ხილულად არსებული ფორმათა სამყარო და ფორმათა დაწყების ზღვარს იქით არსებული ყოფიერების ერთობლიობა და ვინც შეათავსა ერთობლივ საკუთარ ცნობიერებაში, უხილავი ერთიანობის დანახვით ხილულ სამყაროში, აღწევს დროის ზღვარს მიღმა ცნობიერების გაღწევას და ხილულის მრავალფეროვან ცვალებად სამყაროში უცვლელი მარადისობის აღქმას.

15. ოქროსფერი ბრწყინვალებითაა დაფარული სახე

უზენაესი ცნობიერებისა, რომლის პიროვნებას ვერ აღიქვამ სინათლის განუზომელი სიუხვის გამო, იგი ბოლო ზღვარია პირადულისა, რომელიც უნდა გახსნას იმან, ვინც ეძებს სინამდეილეს.

16. იგია საფარველი სინათლის, სიუხვით მოსილი, შემოქმედი ნება სამყაროსი, ერთადერთი სიბრძნე, სინათლის სიცოცხლის მშობელი, განმფენი სხივების, განმერცობი ნათელის, ეს სახე უბრწყინეალესი, რომ სჭვრიტო და რომელსაც ჭვრეტს ცნობიერება, არის თავად ცნობიერება, შინაგანი ადამიანი საკუთარ თავში შებრუნებით ჩასუნთქვა გამოსუნთქვაზე თვითშეგრძნების მიყოლის მეოხებით და ფიქრის სუნთქვასთან შეთავსებით: შენ უფალო და მე, ვართ ერთნი, შენ - მე, ვით ჩასუნთქვა-გამოსუნთქვა, ორი ნაწილი ერთისა.

17. დე ამის შემდგომ გონება შეერწყას უსაზღვრო ყველაფრისმომცველს, რომელიც მსჭვალავს ყველაფერს, ცოცხალი სივრცე ცოცხალ სივრცეში და ამგვარად მანამდე, სანამ სხეულს არ აქცევენ ფერფლად, გამუდმებული შეხსენებით ღმერთის სახელის ღაღადის მეშვეობით,მხედველო გახსოვდეს დასაკვირვებელი, მხედველო გახსოვდეს დასაკეირეებელი, რომ არ გაგიწყდეს ძაფი მეხსიერების, რომ გახსოვდეს საკუთარი არსი.

18. მხურვალება, მგზნებარე ცეცხლი, არის უტყუარი გამყვანი სწორი გზით შინაგან საუნჯემდე, იგი, კეთილი მეგობარი, ცოცხალი მხურვალება, მომცემი ცოდნის, ამხსნელი შეცდომის, გამქარწყლებელი მანკის, ჭეშმარიტად ღირსია შინაგანში ყურადღების მიპყრობის, ერთადერთი ის და ისევ და ისევ, მხოლოდ ის, ათასგზის.

რასაც ვერ ვხედავთ ის მთლიანია, ხილული ჩვენს მიერ ასევე მთლიანია, მთლიანობა ხილულისა მომდინარეობს მთლიანობიდან ფარულის, იღებს რა ხილული მთლიანად ყველაფერს უხილავიდან, ფარულს არ აკლდება რაიმე , რჩება მთლიანად ისევე - ასე რომ უხილავი და ხილული ერთი მთლიანია ორივე. ასეთია დამოძღვრება საუფლო დამოძღვრებისა.

## "ატმა უპანიშადი"

### საკუთარი თავის შეცნობის დამოძღვრება, თვითდაკვირვების და თვითყურადღების განსახორციელებელი მითითება.

1. ჭეშმარიტად, დიდება უფალს, სთქვა და აგვიხსნა საკუთარი არსის შემცნობმა (მოძღვარმა): საკუთარი "მე"-ს თვითშეგრძნება, თავის შეცნობა არის სამი სახის, კერძოდ: გარეგანი თვითაღქმა, შინაგანი თვითაღქმა და უზენაესი თვითაღქმა.

დაკვირვების, ყურადღების თავმოყრის და მიბმის საგნად როდესაც იღებენ იმას, რასაც გააჩნია გარშემოწერილობა, კანი, ფრჩხილები, ხორცი, თმები, თითები, ცერა თითი, ხერხემალი, ფრჩხილები ფეხზე, წვივები, სტომაქი, ჭიპი, სასქესო ორგანო, ბარძაყები, ლაჯები, ლოყები, წარბები, შუბლი, ხელები, გვერდები, თავი, ძარღვები, თვალები, ყურები, რაც იბადება და კვდება, ამათზე ყურადღების თავმოყრა (ერთობლიობაში ან ცალკე რომელიმე აქ ჩამოთვლილზე) იწოდება გარეგან თვითაღქმად.

2. ეხლა შინაგანი თვითაღქმის, თვითჭვრეტის შესახებ: როდესაც შინაგან სამყაროში წვდომისა და ყურადღების მოჭიდების მეოხებით და უნარით სიმყარე, სითხე, სითბო, ჰაერი, სივრცე, სურვილები, სიძულვილი, ბედნიერება და უბედობა, ვნება, ხიბლი, ეჭვი და სხვა გამუდმებით ახსოვეთ, ასევე როდესაც მაღალი, დაბალი, მოკლე, ხანგრძლივი, გრძელი, ჩაჩუმებული, ღრიალა, მგრგვინავი და არეული ხმების სმენისას ჭვრეტის დროს და აგრეთვე (რიტუალური) ცეკვის, გალობის, დაკვრის, გულის წარტაცების (ექსტაზის) სუნთქვის აღტაცების და სხვათა დროს ყურადღებას მიაპყრობენ იმას, ვინც არის მსმენელი, მყნოსველი, მგალობელი, მფიქრელი, მწვდომი, მომქმედი, ვინც არის გამომკვლევი აღმქმელი, აღქმის სრულყოფილი მფლობელი, ვინც არის შემსწავლელი წმინდა წერილის, მოძღვართა დარიგების და სწავლების, ზნეობის კანონის, ვინც ადგენს

განსხვავებას სმენის, ყნოსვის, ლტოლვის მოქმედებებს შორის, ის იწოდება შინაგან აღმქმელად და მასზედ ყურადღების მიპყრობა, მისი გამუდმებით არ დავიწყება - ხსოვნა, იწოდება შინაგან თვითაღქმად.

3. ეხლა უზენაეს თვითაღქმაზე, უზენაეს "მე"-ზე. იგია ის, ვისაც საჭიროა მივაგოთ პატივი ვითარცა სიტყვას წარუშლელს - სახელს ღვთისას, რომელიც განუცხადდება იმას, ვინც ფიქრობს უზენაეს აღმქმელზე, უმაღლეს სულზე საკუთარ არსებაში ყურადღები შებრუნების და გონების თავმოყრის, სუნთქვის შენელების - გაფაქიზება-გაწელვის, გრძნობათა მოქმედებების აღკვეთის და სრული გარინდების, შინაგანი გონებითი მდუმარების მეოხებით (განუცხადდება თვალნათლივ იმას (ვინც გრძნობს, შეიგრძნობს, ფიქრობს) ღმერთზე, მის არსებაზე, საკუთარ სულზე (ვითარცა ლელვის თესლის, მუხუდოს, ცერცვის ან თმის წვერის ასი ათასგზის გაკვეთილის ზომისაზე, მიუწვდომელზე, შეუცნობელზე (ნივთიერად საგნობრივად), დაუბადებელზე, უკვდავზე, უშრობზე, უწვავზე, უძრავზე, დაუშლელზე, განუყოფელზე, თვისებათა არ მქონეზე, ყოველის მოწმეზე, წმინდაზე, არ მქონეზე პირადი აზრის, ბგერის არ გამომცემზე, შეუხებელზე, გემოს არ მქონზე, არ მქონზე შესახედაობის და სურნელის, არ მქონზე ეჭვისა და მოლოდინის, ყოვლის განმსჭვალავზე, ვინც ფიქრობს მასზე ვითარცა გაუაზრებელზე (წარმოუდგენელზე) აღუწერელზე, წაბილწულობისა და უწმინდურობისაგან განმწმენდზე, ვითაცა უმოქმედოზე, წარსულ არსებობასთან არ დაკავშირებულზე (წარსული არსებობისგან გამოწვეულ ზეგავლენის ქვეშ არ მოქცეულზე) წარსულ არსებობასთან არ დამოკიდებულზე, აი ასეთია ფიქრი (შეგრძნება, ჭვრეტა) უზენაეს თვითაღქმაზე (საკუთარი სულის უზენაეს ბუნებაზე, ხარისხობრივად უზენაესი ჭვრეტის წარმოებაზე).

## "ბრაჰმაბინდუ უპანიშადი"

### უზენაესი ერთარსი გონის (ცოდნების სხივოსანი ფუძის) ერთი წვეთის (ჭერეტის საწარმოებელი საყრდენის) დამოძღვრება.

1. ჭეშმარიტად, ამბობენ, რომ გონება ორი სახისაა: წმინდ და არაწმინდა. არაწმინდა მიმართულია სურვილებისაკე( წმინდა თავისუფალია სურვილებიდან.

2. ნამდვილად, გონება არის მიზეზი შებორკვის დ განთავისუფლების კაცთა, მიჯაჭვულის აღსაქმელ საგნებ მას მიჰყავს ბორკილებისკენ, მოშორებულს აღსაქმელ საგნებ - განთავისუფლებისაკენ.

3. და რადგან აღსაქმელ საგნებს გარიდებულ გონება მიგვყავართ განთავისუფლებისაკენ, ის ვინც ესწრაფვი| განთავისუფლებას, გამუდმებით უნდა ეცადოს განარიდო| გონება აღსაქმელ საგნებს (ნდომის საგნებს).

4. როდესაც უკუგდებულია აღსაქმელ საგნებისადმი მიჩნევ და გონება დამკვიდრდება გულში, მიიღწევა აღტაცებ გონებაზე ზემდგომ და ეს არის მდგომარეობა უზენაესი.

5. ამიტომ საჭიროა მოვთოკოთ გონება მანამ, სანამ ა( მიაღწევს გაუჩინარებას გულში, ეს არის ცოდნაც დ განთავისუფლებაც, სხვა ყველაფერი - განსწავლულ მრავალსიტყვაობაა მხოლოდ.

6. წარმოუდგენელი და არა წარმოუდგენელი ამავე დრო წარმოუდგენელი და წარმოსადგენი ერთდროულად მიიღწევა მაშინ ერთარსი გონი (ფუძე, საწყისი, ძირ( სამყაროსი) თავისუფალი წამბაძველობიდა წამხედურობიდან, მიმდევრობიდან.

7. დე ჭვრეტის ღვაწლს შეუდგეს ადამიანი უზენაესი სახელის ხმობით (ჩურჩულით, ხსოვნით) დე უმაღლე მდუმარებაში დამკვიდრდეს იგი, რადგან მდუმარებაშ ყოფნის მადლით წარმოიშვება უზენაესი ყოფნა და არ არყოფნა.

8. ეს ერთარსი გონია, რომელსაც არ გააჩნი

დანაწევრება, უცვლელი, შეუბღალავი, ცოდნით" (ხსოვნით, შეგრძნებით, ხედვით, გააზრებით, რწმენით): "მე ვარ ეს ერთარსი გონი" ადამიანი უცილობელად აღწევს ერთარს გონებას.

9. აღიარებს რა უცვლელს, უსასრულოს, მიზეზის და მსგავსების არ მქონს, განუზომელს და დაუსაბამოს, იგი (ადამიანი) შეიცნობს სიკეთეს უზენაესს.

10. იქ არ არის არც რღვევა, არც წარმოშობა, არც ქების ღირსი და არც სასჯელი, არც განთავისუფლებისაკენ სწრაფვა და არც განთავისუფლება - ასეთია ეს უზენაესი არსი, უზენაესი სული (სამყაროს აღმქმელი).

11. საჭიროა რომ გააზრდეს აღმქმელი (საკუთარი" მე", არსი, მაყურებელი), როგორც ერთიანი და განუყოფელი სიფხიზლეში, მსუბუქ (შინაგანის, ფაქიზის) ჭვრეტაში და ღრმა (წარმოდგენების გარეშე წარმოებულ) ჭვრეტაში, ვინც გადალახავს ამ სამ მდგომარეობას (და დამკვიდრდება მეოთხეში, ზეცნობიერში) მისთვის აღარაა კელავ დაბადება (და სიკვდილი) ამ წუთისოფელში.

12. რადგან ერთიანი, განუყოფელი აღმქმელი არსებათა, იმყოფება ყოველ არსებაში, იგი წარმოჩინდება როგორც ერთი ან მრავალი, ვით ანარეკლი მთვარისა (სხვადასხვა ჭურჭელში ჩასხმულ) წყალში.

13. როდესაც ქოთანში შემოფარგლული სიერცე ქოთნის დამსხვრევისას არ იმსხვრევა, არამედ იმსხვრევა ქოთანი, ასევეა სიცოცხლე ქოთნის მაგალითის დარად.

14. მსგავსად ქოთნისა, ისევ და ისევ ნადგურდებიან სხვადასხვა სახეები, მან კი, აღმქმელმა, არც კი იცის, რომ ისინი დაიმსხვრენ და ამავ დროს მუდმივად იცის.

15. იგი მკვიდრობს გრძნობების შუაგულში მანამ, სანამ სიტყვის ხიბლით არის შებორკილი, ხოლო რაჟამს გაიფანტება ბნელი (განსხივოსნების მადლით) იგი ჭვრეტს ერთობას მხოლოდ (განუყოფელობას ხედავს თავისს).

16. წარუშლელი სიტყვაა - უფლის სახელი, სიტყვა ამოუწურავი და არ მქონი საზღვრის, სახელი ღვთისა უზენაესი ერთარსი გონია - თვით უფალია, როდესაც ეს

ბგერა, ეს სიტყვა, მასში (ღმერთში) ქრება (ღმერთზე ფიქრის დროს მისი სახელის ღაღადის მეშვეობით) და დე ვინც ეს ასე იცის" (ჭვრეტის ეს ხელოვნება ვინც იცის) ჭვრიტოს და იფიქროს წარუშლელზე (ღვთის სახელზე) თუ სურს სიმშვიდე თავისთვის მოიღვაწოს.

17. ორი ცოდნაა საჭირო იცოდე: (ანუ ორი რაიმე გახსოვდეს, ორზე ფიქრობზე და ორს გრძნობზე, ორ რამეზე გონების თავმოყრას ანხორციელებზე) უფლის სახელზე და თვით უფალზე, ღმერთის სახელის მცოდნე (არ დამვიწყებელი და გამუდმებით მისი მხსომი) აღწევს შემდგომ თვით ღმერთსაც, გონებას ერთარსს და უზენაესს (ფუძეს გონიერების სხვისონობის) (ცოცხალ სხივოსნობას სამყაროს არსობის).

18. გონიერი (კაცი) შეისწავლის რა წიგნებით (საქმის) არსს უზენაესი ცოდნისას (ღმერთისკენ გონის მიმართვის უზენაეს მითითებას, ხერხს და საშუალებას) და ამქვეყნიურის გამოცნობისას (ჭეშმარიტი ფასეულობის განსაზღვრისას), ტოვებს სრულიად წიგნებს, ვითარცა მარცვლის მძებნელი ფუჩეჩს.

19. ძროხები არიან სხვადასხვა ფერის, რძე კი ყოველთვის ერთი ფერის, უზენაესი ცოდნა რძის მაგვარია, ხოლო ყველაფერი ნიშან-თვისებების მქონე - გვანან ძროხებს.

20. ვითარცა რძეში ჩამალულია კარაქი ასევე მკვიდრობს შემეცნება ყოველ სულდგმულში, და (ამიტომ) საჭიროა, რომ გამუდმებით ვდღვიბოთ იგი გონებით (ყურადღებითი გამოძიებით) როგორც სადღვებით.

21. უმაღლეს ცოდნას (ღმერთის გააზრების, ღმერთზე ფიქრის, მისი შეგრძნების, მისი ხსოვნის, არ დავიწყების უპირატეს მოცემულობას) ვით წინამძღვარს ჩაჭიდებულმა დე (მისი მეშვეობით) შემდგომ აღაგზნოს (გონების თავმოყრისაგან შობილი) სიმხურვალე უზენაესი კაცმა: განუყოფელი უნაკლო სიმშვიდე, გარინდება და ერთარსი გონი ვარ მე" - აი, ასეთი ფიქრით, განწყობით, შეგრძნებით და ამის ჭვრეტით.

22. არსებათა სამყოფელი და ის, ვინც არსებებში

მკვიდრობს მოწყალების გულისათვის ყველასადმი - ეს მე ვარ სიკეთის ნათელი, ეს მე ვარ სიკეთის ნათელი (აი ამგვარი გულის განწყობით, ამგვარი ხედვით).

## "კაივალია უპანიშადი"

### დამოუკიდებლობის დამოძღვრება

1. მაშინ (როდესაც) გრძნობაგარინდებული (შეგირდი) მოწიწებით და კრძალვით მიეახლა უზენაესი არსის მჭვრეტელს, ღირს მოძღვარს თხოვნით: მასწავლეო მე ცოდნა (ხედვა, ხერხი ფიქრისა, მოცემულობა, გააზრება, თვალსაზრისი) ერთარსი გონებისა (ანუ ღმერთისა) - ცოდნა, რომელიც უმჯობესია და შემცველი ყველა სხვა შეხედულების, საზრისის, ყველა სხვა ცოდნის, ღირსთა მამათა მიერ გამუდმებით პატივებული და სანუკვარი, რომლის მეშვეობით, წყალობით და გამოყენებით მცოდნე (მისი) უკუაგდებს უკეთურებას და ჟამში მოკლეში ალიტაცება უზენაეს აღმქმელთან, უზენაესთა შორის უზენაესთან.

2. დიადმა მოძღვარმა მას უთხრა ასე: ჩასწვდე ამ ცოდნას (ამ სწავლებას) შესაძლებელია (მხოლოდ) რწმენის, ერთგულების და ჭვრეტის გზით (შინაგანი გონებითი მოღვაწეობით) და არა ქმედებით (წესთა აღსრულებით, გარეგნული მოღვაწეობით) არც შთამომავლობით-წარმომავლობით (ნიჭით და მიდრეკილებით) არც სიმდიდრით (საჩუქრების შეწირვით ან გონებრივი ცოდნის დაგროვებით), რადგან მხოლოდ განდგომით თუ მიაღწიეს ზოგიერთებმა მარადისობაში უკვდავებას (რომელის არის).

3. ცათა სასუფეველებზე (ყოველგვარ საზღვრულზე) მაღლა, დაფარული საუნჯეში გულის, მბრწყინავი (სახით) (ვის (სამყოფელშიც) მჭვრეტელნი თუ შეაღწევენ (და აღწევდნენ) მხოლოდ.

4. მჭვრეტელნი საგულდაგულოდ ჩამწვდარნი არსს ჭეშმარიტის გამოცნობისას, საკუთარი თავის განმწმენდნი განდგომილების მეშვეობით, ჟამის დასასრულს

თავისუფლდებიან ყველანი, გიარებულნი უკვდავებას, ერთარსი გონების სასუფეველში და სამყოფელში.

5. განმარტოვებულ ადგილას, მჯდომი თავისუფლად, დაუძაბავ მდგომარეობაში, წმინდა, თავის, კისრის და სხეულის სწორად დაჭერით, მყოფი მიუკერძოებელ განწყობაში, შემკავებელი ყველა გრძნობისა, ერთგულებით პატივისმცემელი საკუთარი მოძღვრისა.

6. ფიქრი-განწყობით: ენებისგან თავისუფალ, გულის ყვავილზე, რომლის შუაგულში ბრწყინვალე, ჭმუნვისაგან თავისუფალი, წარმოუდგენელი, გამოუვლენელი, უსასრულოდ სახიერი, ბედნიერების მომტანი, მშვიდი, უკვდავი, ერთარსი გონების საწყისი რომ სუფევს.

7. ფიქრი-განწყობით იმაზე, რაც მოკლებულია დასაბამს, შუალედს და ბოლოს, ერთიანზე, ყოვლგანმყოფზე, რომელიც არის მხოლოდ ფიქრი (გონი) და ნეტარება (შეგრძნება), მოკლებული ყოველგვარ სახეს, (ფიქრი-განწყობით) საოცარზე, ვისაც მეგზურად ჰყავს სიკეთე, უზენაეს უფალზე, მბრძანებელზე. სამ სახოვანზე, მშვიდზე, მასზე ფიქრით და მისი (აქ ჩამოთვლილის მეშვეობით) ჭვრეტით განდეგილი აღწევს არსებათა საწყისს, საყოველთაო მოწმეს უკუნითის ზღვარს იქით რომ სუფევს.

8. იგი - ერთარსი გონია, იგი - სამყაროს ჭვრეტაა, იგია - ნება, იგი - წარუშლელი, უზენაესი მეუფეა, იგია ასევე შინაგანი თვითშემეცნება, იგია - სიცოცხლის სუნთქვა (ვინც არსებებში აწარმოებს სუნთქვას), იგია - დრო, იგია - მხურვალება, იგია - ნათელი ბნელში.

9. იგია ყველაფერი, რაც იყო და რაც იქნება, მარადიული, მისი შემცნობი დაჯაბნის სიკვდილს, სხვა გზა არ არის განთავისუფლებისაკენ მავალი.

10.თუ მთელს არსებულში აღმქმელს ხედავს და მთელს არსებულს აღმქმელის (მზერის) ქვეშ მყოფს ხედავს (კაცი) მიემართება იგი უზენაეს ერთარს გონებასთან, მხოლოდ ასეთი და არა სხვა გზით.

11. საკუთარი თავი ზემდგომად (მეთვალყურედ, დამკვირვებლად, მაყურებლად) ჰქნას (ჭვრეტისას კაცმა) და

ხმობის სახელი (ლოცვის ღაღადი, სახელი ღვთისა) ქვემდგომად (ობიექტად (ყურადღების ქვეშ) "ცოდნის" (გააზრების, შეგრძნობის, განწყობის) ბეჯითი შეთავსებით სიტყვასთან, თვითშეხსენებით (უწყვეტი განმეორებით) მცოდნე (ჭვრეტის ამნაირად აღსრულებისა) სწვავს ზღუდეს.

12. ეს აღმქმელი, დაბრმავებული უმეცრებისგან, სხეულში დამკვიდრებული იქმს ყოველივეს, სიფხიზლეში იგი სიამოვნებას იღებს სხვადასხვა გართობებში - ქალით, ჭამით, სმით და სხვა რამით.

13. მსუბუქი ჭვრეტის დროს, სიცოცხლის საწყისი განიცდის სიხარულს და წუხილს მთელს სამყაროში, შექმნილში მისი საკუთარი მოჩვენებით, ოცნებით, ღრმა ჭვრეტის დროს კი, როდესაც ყველაფერი უჩინარდება უკუნით მოსილი, იგი წარმოჩნდება სიხარულის სახით.

14. და კვლავ, მოქმედებათა ძალით წარსულში ქმნილით ეს სიცოცხლის საწყისი იღვიძებს და სძინავს, ამავე სიცოცხლის საწყისიდან, რომელიც ერთობა სამ სამყაროში შობილია მრავალსახეობა ამ სოფლის, იგია ფუძე, ნეტარება, განუყოფელი წვდომა და შემეცნება, რომელშიც უჩინარდება ეს სამი სამყარო.

15. მისგან იშვება სუნთქვა, ცნობა და ყველა გრძნობა, სივრცე, ჰაერი, სინათლე, წყალი და მიწა მყარი.

16. ის, ვინც არის უზენაესი ერთარსი გონი, აღმქმელი ყველასი და ყოვლის, მარადიული, ის - ვარ მე, მე ვარ ის (დე ამგვარად ახსოვდეს და გრძნობდეს მოღვაწე კაცი).

17. ის, ვინც სამყაროს მოვლენებს უმზერს და აღმოაჩენს სიფხიზლეში, მსუბუქ ჭვრეტაში და ღრმა ჭვრეტაში და სხვა დროს, ის ერთარსი გონი - ვარ მე, ამგვარად "მცოდნე" (შემგრძნობის ამის და ამის მხსომი) ბორკილებიდან თავისუფლდება და სიდუხჭირეს თავს აღწევს.

18. ყველაფერი, რაც ამ სამ მდგომარეობაში არის მისაღები, მიმღები და მიღება მათგან განსხვავებულია "მე" - (ამათი ყველაფრის) მოწმე, მაყურებელი, რომელიც არის მხოლოდ ფიქრი, მუდამ კეთილგანწყობილი.

19. ხომ ყველაფერი ჩემში იშვა, ჩემშია ყოველი

დამკვიდრებული, ჩემში ყველაფერი უჩინარდება, მე ვარ ეს ერთარსი გონი, განუყოფელი და არა ორი.

20. მე უმცირესზე უმცირესი ვარ და უდიადესის თანაარსი, მე - ვარ მთელი ეს სამყარო მრავალფერი, ვარ - მე უძველესი, მე- ვარ აღმქმელი, მე - ვარ ოქროსფერი ბრწყინვალე ნათელი, გარეთ მიმართული სიმშვიდის სახით.

21. მე არ მაქვს ხელი, ფეხი (ვარ) წარმოუდგენელი ძალის, ვხედავ თვალთა გარეშე და მესმის გარეშე ყურთა, მე ვარ მცნობელი, გარჩევის თვისებით შემკობილი და არვინ არ მიცნობს მე, რადგან ყოველთვის ვარ მე ფიქრი (საწყისი ფუძე გონების).

22. მე შემიცნობენ სხვადასხვა ცოდნათა" (საზრისთა, ხედვათა, გააზრებათა, ხატებათა) მადლით და მეშვეობით მხოლოდ. მე ვარ ცოდნათა შემომქმედი და (ასევე) ცოდნათა" მცოდნი, არა მაქვს მე დამსახურება და შეცოდება, არ ვნადგურდები და არ ვიბადები, არა მაქვს სხეული, გრძნობები, წედომის უნარი ჩემი არ არი.

23. არა მაქვს მე სიმყარე, მდინარება, სითბო, ჰაერი და არც სივრცე არ არის ჩემი, ამრიგად (ზემოთჩამოთვლილი მითითებების მეოხებით) შეიცნობს რა სახეს უზენაესი აღმქმელის, რომელიც ბუდობს საუნჯეში გულის, განუყოფელის, ყოველგვარ დანაწევრებას მოკლებული, საყოველთაო მეთვალყურეს, მოწმეს, არსებობის და არ არსებობისგან ხსნილის, ადამიანი მიიწევს წმინდა, უზენაესი აღმქმელის სახისკენ.

24. ვინც თავს იმოძღერის განუყოფელი და ერთარსი უფლის მოძღერებით, ხდება იგი განწმენდილი მხურვალებით (გონების თავმოყრისაგან შობით) ხდება განწმენდილი აღმავალი ტალღით (ქარით), ხდება განწმენდილი საკუთარი თავით, განიწმინდება დაპირისპირებისაგან, განიწმინდება გონების კვლისგან, განიწმინდება მომხვეჭელობისაგან, განიწმინდება (განსჯა-განკითხვა-შეფასებისგან) სწორისა და არასწორის აწონ-დაწონისაგან, ამიტომ იგი შემძლეა თანაცხოვრების ისეთთან, ვინც (ყველა ამდაგვარიდგან) არაა განთავისუფლებული, დე ამაღლებულმა წეს-ჩვეულებებზე

მუდმივად ან დღეში ერთხელ იღაღადოს სადიდებელი ღვთისა.

25. ამის მეშვეობით იგი მიაღწევს ცოდნას (ხედვას, რეალურად აღქმას), რომელიც ანადგურებს წუთისოფლის უსასრულო წრებრუნვას, ამიტომ ვინც ეს ასე იცის (ახსოვს აქ თქმული) იგი აღწევს ამ უზენაეს ერთიანობის მდგომარეობას, აღწევს მდგომარეობას უზენაეს ერთობისას.

## "მანდუკა უპანიშადი"

### სიხარულის მომტანი დამოძღვრება

1. უფლის სახელი - ეს ყველაფერია (არსებული), იგია წარსული, აწმყო და მომავალი და ეს ყველაფერი ერთობლიობაში არის სწორედ ეს ბგერა, ეს სიტყვა, სახელი უფლისა, და ის დანარჩენიც, რაც ამ სამ დროის მიღმაა, ასევე აღინიშნება ამ ბგერით, სიტყვით, უფლის სახელით.

2. რამეთუ ყველაფერი ეს (არსებული) ერთარსი გონია (უფალია, უფრო მართებულად კი ქმნილებაა ღვთისა ღმერთშივე მყოფი, ასე რომ) ეს აღმქმელი (ჩემი არსებაც, ჩემი სულიც) - უზენაესი ერთარსი გონია (მისი ქმნილებაა და მისი ქმნილია, მისი ერთარსია), ამ აღმქმელს (სულს, არსს ჩემში ჩემსას) გააჩნია ოთხი საყრდენი (შესაძლებლობა) ანუ სახე ჭვრეტის.

3. ფხიზელ მდგომარეობაში, გარეგანის აღქმისას, აღქმის ორგანოების და შეგრძნებების მეშვეობით იგი გებულობს გარეგნულს, რაც შესაძლებელია ყველასათვის, ეს არის სითბო (მხურვალება გონების თავმოყრის) აი პირველი საყრდენი (პირველი ხარისხი, პირველი სახე) ჭვრეტის.

4. ქვეცნობიერში ჩაძირვისას ჭვრეტის დროს, როდესაც შეიცნობს შინაგანს, აღქმის ორგანოებისა და შეგრძნებების მეშვეობით იგი გემულობს შინაგანს, ფაქიზს, ეს არის (შინაგანი) ნათლის ჭვრეტა (გონების თავმოყრის შედეგად შინაგან გონებრივ სინათლესთან ზიარება), აი მეორე

საყრდენი (ხარისხი, სახე) ჭვრეტის.

5. როდესაც ჭვრეტაში არა აქვს არავითარი წადილი და გონებას არ სურს არანაირი ხილვა - ეს არის მაღალი ხარისხის ჭვრეტა, ამ მდგომარეობაში მყოფი, ხდება დაუნაწევრებელი, ერთიანი, აღვსებული მხოლოდ ცოდნით, რომელიც შედგება ამ ცოდნის შეგრძნებით, იგი გემულობს ნეტარებას ამ გრძნობის, რომლის სახე არის მხოლოდ ფიქრი, ეს არის ყოვლის დამაკმაყოფილებელი ცოდნა, აი მესამე საყრდენი (ხარისხი და სახე) ჭვრეტის.

6. იგია (ამ მესამე სახის ჭვრეტით მიღებული ცოდნა და ასევე ამ ცოდნის აღქმელი, ცოდნა და მცოდნელი ერთობლივ) საყოველთაო მეუფე, უფალი, იგია (სული ამ ცოდნით აღვსილი) ყოველის მცოდნე, იგია შინაგანი მმართველი, იგია წყარო ყოველის, დასაწყისი და ბოლო არსებათა.

7. როდესაც არ არის მიმართული ჭვრეტა შინაგანის შეცნობისაკენ, და ასევე, როდესაც არ არის მიმართული გარეგანის შეცნობისაკენ და ასევე არ არის მიმართული ამ ორის ერთდროულად შეცნობისაკენ და არც ცოდნისაკენ და არც შეცნობის ან არ შეცნობისაკენ, არამედ უხილავის, გამოუთქმელის, მოუხელთებელის განურჩევლის, გაუაზრებელის (წარმოუდგენელის) მიუნიშნებელი ერთიანი (განუყოფელი) აღმქმელის არსის აღმოჩენისაკენ, ხილული სამყაროს გაუჩინარების (უგულველყოფის) მეშვეობით და შემდგომ, არის სიმშვიდის და ბედნიერების მომტანი განუყოფლობის მდგომარეობა, ამას თვლიან მეოთხე საყრდენად და მდგომარეობად ჭვრეტის, ეს მდგომარეობა არის არსი (ბუნება) აღმქმელისა (სულისა), ეს საჭიროა, რომ შეცნობილი (აღსრულებული) იქნას.

8. ეს აღმქმელი ნაწილებთან (საგნებთან) შეფარდებით არის ვითარცა სიტყვა ბგერებთან შეფარდებით, აღმქმელის ჭვრეტის (ზემოთჩამოთვლილი) საყრდენები (ჭვრეტის ხარისხები, სახეები) ნაწილებია მისი ისევე, როგორც სიტყვის ნაწილები (ანუ ბგერები, მარცვლები, ასოები) საყრდენებია ამ სიტყვის.

9. ქმედითი მოღვაწეობა ანუ გარეგნული, მოქმედებითი

ღვაწლი, გარეგნულის ჭვრეტის მდგომარეობა არის ის, რაც შესაძლებელია და დამახასიათებელია ყველასთვის (შინაგანი) მხურვალების გამომწვევი და თავად სითბო, იგი შეესატყვისება სიტყვის დასაწყის ბგერას, პირველ ასოს (ასე რომ შინაგანი სითბოს აღგზნება არის მხოლოდ დასაწყისი ჭეშმარიტი ჭვრეტის, რასაც მოსდევს შემდგომ).

10. შინაგანის, ფაქიზის ჭვრეტა, იგი არის შინაგანი ნათლის ხილვა, მას შეესატყვისება სიტყვის მომდევნო ბგერათა ჯამი, წარმომჩენი სიტყვის დანიშნულების და მნიშვნელობის, ვინც ამას მიაღწევს და განახორციელებს მაღლდება უწყვეტი ცოდნით (გამუდმებული ხსოვნით, შეგრძნებით და ფიქრით) და არის გაწონასწორებული.

11. გულში ჭვრეტის მდგომარეობა არის დამამშვიდებელი ცოდნა (შეგრძნება, გონის თავმოყრის საშუალება და მიზნის ხსოვნა) - შეესატყვისება მას ბოლო, დამამთავრებელი ბგერა სიტყვის, მესამე ნაწილი ვითარცა შთამბეჭდავი და მდუმარების გამომწვევი, ამის მიმღწევი მსჭვალავს მთელს ყოფიერს და აუჩინარებს საკუთარ თავში.

12. არ გააჩნია ნაწილი მეოთხე მდგომარეობას ჭვრეტის (ვითარცა სიტყვის მნიშვნელობას) გამოუთქმელი, ხილული სამყაროს გაუჩინარების (მიზეზი), მომტანი ბედნიერების, განუყოფელი (არა ორი), ასე რომ, სიტყვა ღვთის სახელის გამომხატავი არის თავად აღმქმელი (სული, უფალი, ჭეშმარიტი ადამიანი) და ვინც ეს ასე იცის (სჯერა, ახსოვს, გრძნობს და ხედავს), უფლის სახელის გამოყენებით და მეშვეობით, მასზე გონების და გრძნობის თავმოყრით, საკუთარ გულში მისი სამყოფელის მოძიებით) შეაღწევს საკუთარი თავით საკუთარ თავში. შეაღწევს საკუთარ თავში საკუთარი თავით.

## რამაკურვანაკანია უპანიშადიდან

1.7. ეს დიადი ქმედების უწყვეტი ცოდნა, რომელიც შესდგება მხოლოდ აზრისაგან, იშვა სათნო ცხოვრების ხვედრიდან, ენებათა დამშვიდების შემდგომ და ამიტომ მას უწოდებენ - თავის მსხვერპლად მიძღვნას, სიმდიდრეს

საკუთარი თავისას, მოღვაწენი (ასკეტნი, მდუმარე განდეგილნი) ხარობენ საკუთარ არსში ჩაძირულნი, რაც არის მხოლოდ ფიქრი (გონების პირველსაწყისი) და უსასრულო ნეტარება (გაწონასწორება) და ამრიგად უზენაესი ერთარსი გონი იწოდება საკუთარი თავის განძად, საუნჯედ, შემდგარი მხოლოდ ფიქრისაგან, განუყოფელი, დაუნაწილებელი, უსხეულო; უზენაეს გონს მიაწერენ ხატებებს, სახეებს, გარეგნობას, თვისებებს (თაყვანისმცემლების საჭიროებისა და მიხედვით...

## კაუშიტაკა უპანიშადიდან

3.8. დაე, ნუ მიისწრაფის ადამიანი შეიცნოს მეტყველება, დე შეიცნოს ვინ არის მეტყველი.

დაე, ნუ მიისწრაფის შეიცნოს სუნი, დე შეიცნოს ვინ არის მყნოსველი,

დაე, ნუ მიისწრაფის შეიცნოს სამზერი, დე შეიცნოს ვინ არის მმზერი,

დაე, ნუ მიისწრაფის შეიცნოს ხმა, დე შეიცნოს ვინ არის მსმენელი,

დაე, ნუ მიისწრაფის შეიცნოს გემო საკვების, დე შეიცნოს ვინ არის საკვების გემოს შემცნობი,

დაე, ნუ მიისწრაფის იგი შეიცნოს მოქმედება, დე შეიცნოს ვინ არის მომქმედი,

დაე ნუ მიისწრაფის იგი შეიცნოს სიამე ან წუხილი, დე შეიცნოს ვინ არის სიამოვნების და მწუხარების შემცნობი.

დაე, ნუ მიისწრაფის იგი შეიცნოს განცხრომა, ვნების სურვილი, თაობათა მქმნელი, დე შეიცნოს ვინ არის განცხრომის შემცნობი, ვნების სურვილის, თაობათა მქმნელი.

დაე, ნუ მიისწრაფის შეიცნოს მოძრაობა, დე შეიცნოს ვინ არის მმოძრავი.

დაე, ნუ მიისწრაფის იგი შეიცნოს შეგნება, დე შეიცნოს ვინ არის შემგნები.

ასეთია ეს ათი ნაწილი არსებისა, რომლებიც

მიეკუთვნებიან შემეცნებას და ათი ნაწილი შემეცნებისა, რომლებიც მიეკუთვნებიან არსებას (ასეთია ეს ათი პროცესი თვითჭვრეტისა მოქმედებაში და ათი ობიექტი თვითყურადღებისა) - რადგან, რომ არ ყოფილიყო არსების ნაწილები არ იქნებოდა შემეცნების ნაწილებიც და რომ არ ყოფილიყო შემეცნების ნაწილები, არ იქნებოდა არსების ნაწილები, რადგან მეორის დაუხმარებლად ამ ორიდან მხოლოდ ერთის მეშვეობით ვერ წარმოიშვებოდა ვერავითარი სახე (შეცნობის უნარი ეკუთვნის ცნობიერებას, შეცნობის გარეშე კი ეს უნარი არ განხორციელდებოდა, საკუთარი თავის შეცნობისათვის კი თავად ეს უნარი უნდა იქცეს საგნად შეცნობის და დაკვირვების, ანდა ასევე ცნობიერება და მისი უნარი შეცნობისა არსებობენ მე-ს ხარჯზე და ასევე თავად მე, შეცნობის ხარჯზე იქმნება "მე"-დ) იგი ("მე") - არ არის მრავალი, როგორც ბორბალში რკალი დამაგრებულია ბჯენებზე და ბჯენები ღერძზე, ასევე ეს, არსების ნაწილები დამყარებულია შეცნობის ნაწილებზე და შეცნობის ნაწილები დამყარებულნი არიან სუნთქვაზე (მსუნთქველზე) ეს სუნთქვა (მსუნთქველი) - შემცნობი არსია, იგი ბედნიერებაა, სიბერეს მორებული, უკვდავი, იგი არ მატულობს კეთილი ქმედებით და არ კლებულობს უკეთურებით, რადგან ჭეშმარიტად იგი აღძრავს კეთილის ქმედებისაკენ იმას, ვისი აღმასვლაც სურს ამ სამყაროდან და იგი ღძრავს ცუდი ქმედებისაკენ იმას დაღმა სვლა ვისიც მას სურს, იგი სამყაროს მფარველია, იგი მბრძანებელია მსოფლიოსი, იგი მპყრობელია, უფალი სამყაროსი, "იგი ჩემი არსია", დე ადამიანმა "იცოდეს" (გრძნობდეს, ახსოვდეს) ეს, "იგი ჩემი არსია", დე იცოდეს ეს.

### ამონაკრები ჩხანდოგია, ბრიხადარანიაკა, მუნდაკა, ტაიტირეია, პრაშნა, შვეტაშვატარა და კაუშიტაკი უპანიშადებიდან

გონებით (გონებითი, შინაგანი ღვაწლით და არა გარეგნული სხეულებრივი მოღვაწეობით) მიიღწევა

საკუთარი არსის, აღმქმელის აღქმა, ამის მიმღწეეი თავისუფლდება სიკვდილისაგან.

არსებობს უზენაესი ერთარსი გონი“ თქვა იმან, ვინც იცის ცოდნა ერთარს გონებაზე (ვინც გამოცდილებით განახორციელა ღვთის შემეცნება).

თავის დაძლევა კარია მისკენ მავალი, მდუმარება უსიტყვო კი - სიდიადე მისი, ასე რომ, ერთარსი გონი მიიწვდომება ცოდნით (გააზრებით, მისი არ დავიწყებით), ძალისხმეეით (ხორცის დათრგუნეით) და მდუმარებითი ჭვრეტით (გონებაში გრახვათა ცვლილებების შეჩერებით). ვინც ამ სამით თაყვანს სცემს ერთარს გონებას, მიემართება უზენაეს აღმქმელთან იგი.

ვინც ვის ეთაყვანება იმის სამყაროში იღებს ის სიხარულს, ამიტომ დე უმეთვალყუროს გრძნობებს ზემდგომად, სუფთა გონებით, მტკიცედ, მიმართოს მან მზერა საკუთარი თავის შიგნით. (კაცმა), მან შინაგანი არსების გზა გაზომოს გარეგანი არსების გზის შემდგომ.

იქ, სადაც აღმქმელი აღიქვამს რაიმე საგანს არის გაყოფა და რაიმეს მიღწევი ნდომა, ხოლო იქ, სადაც განუყოფლობა სუფევს და არ არის საკუთარი თავისგან მდგომი რაიმე ცალკე (ვითარცა ობიექტი) იქ აღარ არის შედეგი, მიზეზი ან მოქმედება; უსიტყვო, შეუდარებელი, აღუწერელი, როგორია? - ეს გამოუთქმელია.

დე ჭვრიტოს (შეიცნოს მჭვრეტელმა) აღმქმელი, სული, საკუთარი თავი, ორის მეშვეობით (ორი საშუალებით): სუნთქვის მხურვალებით და მისი ყველაფერში აღმოჩენით, დანახვით, შემჩნევით (სუნთქვაზე გონების თავმოყრით, ამით შინაგანი მხურვალების აღგზნებით და ღმერთის არსობის გამუდმებული შეგრძნებით).

ისევე როგორც ცარიელ სახლში შემავალ უცხოს არ შეეხება არავინ, ასევე ის, ვინც არ ეხება შთაბეჭდილებებს შემოსულთ საკუთარ თავში (გულში, საკუთარ არსებაში) არის განდეგილი (ჭეშმარიტი) მსხვერპლის შემწირველი (საკუთარი თავით) საკუთარ თავში.

თავის თავში ხედავს იგი ერთარსს, მთლიანს, უკიდეგანო

აღმქმელის სიერცეს. წარმოუდგენელია ეს უზენაესი აღმქმელი, უზენაესი სული, უსაზღერო, დაუსაბამო, ფიქრისთვის (წარმოდგენისთვის) მიუღწეველი, ეს აღმქმელი სიერცის და თაეად სიერცე, როცა ყეელაფერი და ყოეელიეე იღუპება და ქრება იგია ერთადერთი რომ არსებობს.

ჭეშმარიტად ამ სიერციდან იგი აღაგზნებს აზროენებას, მისი მადლით ყეელაფერი შეიგრძნობს და ფიქრობს და მასშიეე ასეეე ქრება.

ეს მისი მბრწყინაეი სახეა მზეში, რომელიც ათბობს, საოცარი სინათლე უკვამლო ნათებაში უმაღლესი ჭერეტისას ან და ასეეე იგია სითბო, რომელიც სტომაქში ინელებს საკვებს, ასე რომ, ის, ვინც (რაც) ცეცხლშია, და ის, ვინც (რაც) გულშია და ის, ვინც (რაც) მზეშია არის ერთი და იგივე "სიერცე".

აი, საშუალებანი მისი მიღწევისა: სუნთქვის შეკავება-გათანაბრება-შენელება. გრძნობათა დაოკება, თქმულის გააზრება, გააზრებულის შეგრძნება-ხსოენა, შეგრძნობილის ჭერეტა და თავად მჭერეტელის ძებნა-შეცნობა.

ანდა (არის სხვა საშუალება გონის თაემოყრის): გონების შეკავება გარეშე საგნებისაგან და მხოლოდ სუნთქვით ყურადღების შემოფარგვლა, დე გაირინდოს ყოველნაირი წარმოდგენის უარყოფის მდგომარეობაში გონი.

ანდა ასევე, დე ჯერ დამკვიდრდეს შეკავებულ (შენელებულ, შეუმჩნეველ) სუნთქვაში, შემდგომ უკიდურეს ზღვარს მიღწეული (სუნთქვის შენელებისა) დე შეერწყას უსაზღვროებას თავის ქალაზე, ნათხემში (ყურადღების მიბმით ნათხემის ადგილს).

ანდა ასევე ჭერეტა მიმართოს საკუთარ შინაგანში უზენაეს ნათელზე და ღვთის სახელის ხმობით.

ასევე - მხურვალება ღვთისა (მისი სიყვარულისა, რომელიც შემდგომ თავად შობს მხურვალებას შინაგანს) სხეულის სითბოს გამჩენია და თავად ნათელია გულის საუნჯეში რომ არის დაფარული, გონების თაემოყრის მეოხებით ფანტავენ გულის სიერცეს, რომელიც ხდება თითქოსდა მისი ნათელი, და იგი მალე აღივსება მისი

(ჭეშმარიტი ნათლის) თვისებით და როგორც ცეცხლისთვის სულერთია მასში ჩადებული რკინა, ასევე ქრება აზრი თავის მიზეზთან ერთად ამ ნათელში, გულის საუნჯეში რომ არის, რამეთუ საუნჯე გულის სივრცეში არის ნეტარება და თავშესაფარი, ეს არის "მე" ჩვენი და ერთარსობა, ასევე მხურვალება ცეცხლის და მზისა.

ვინც მოღვაწეობს ჭვრეტის ღვაწლში, აღწევს სიწყნარეს, დაკმაყოფილებას, მოთმენას, არა აქვს შიში სხვებისა, როგორც საკუთარი თავის მიმართ, სურვილებდატევებული ბედნიერია, რადგან, ვინც სურვილებით აღვსებულია და დაატარებს გადაწყვეტილებას, განსჯას და დასკვნას, წარმოდგენას - თვალსაზრისს, შეხედულებას და შემაფასებელ ცოდნას, არის შეკრული იგი ამ განწყობებისგან, ამათ საპირისპირო კი - განთავისუფლებული, გახსნილი.

რამეთუ ვინმეს შეკავებული აქვს გადაწყვეტილების და შეფასების მანკი იგი ამით არის შებორკილი, ხოლო როდესაც მანკი განსჯისა მოშორებულია მიიღწევა განთავისუფლება.

რადგან კაცი ხედავს გონებით, ისმენს გონებით (გამოდის აქედან ის, რომ), მისთვის, სიყვარული, წარმოდგენა, ეჭვი, რწმენა, ურწმუნოება, სიმტკიცე და მერყეობა, სირცხვილი, ფიქრი და შიში - ყველაფერი ეს არის გონი.

ვინც ფიქრობს: "მე სხვა ვარ - ის სხვა" ან "ჩემი და მისი" ასეთი ფიქრით იგი თავს იბორკავს (ასე რომ), ვინც თავის თავში ატარებს შეფასებას, შეხედულებას, წარმოდგენას, ის ბორკილშია, საპირისპირო კი - თავისუფალი.

ამიტომ, დე კაცი განთავისუფლდეს შეფასებისგან, გადაწყვეტილებისაგან, წარმოდგენისგან, თავდაჯერებისგან, შეხედულებისგან, განკითხვისაგან.

როდესაც ხუთი საშუალება ცოდნის მიღების (გრძნობები) გონებასთან ერთად და წვდომის ნიჭიც აღარ მოქმედებს - ეს იწოდება უზენაეს გზად, რადგან გონება ორი სახისაა: სუფთა და არასუფთა, არასუფთა გრძნობებთან კავშირშია სუფთა კი გაურბის გრძნობებს.

გონების განწმენდა საჭიროა სიზარმაციდან და

უყურადღებობისაგან (სხეულებრივი ღვაწლით და გონების თავმოყრით), რომ გახდეს ურყევი და ამის შემდგომ განსჯისგან მისი განთავისუფლება გულში შეკავებით სანამ არ გაუჩინარდება იგი მას შიგნით, ესაა ცოდნაც და განთავისუფლებაც, სხვა ყველაფერი კი დამბმელი მარწუხი ამ წუთისოფელში.

ჭეშმარიტად არის ორი სახე უზენაესი გონის, ერთია მშვიდი, მეორე კი ყველაფრის მომცველი, მშვიდის დასაყრდენი - სივრცეა, ყველაფრის მომცველის კი ეს წუთისოფელი.

ჭეშმარიტად ეს აღმქმელი გულში ძალზედ პატარაა, ანთებული ცეცხლის, ჩირაღდნის დარი, იგია (ეს) ყველაფერი (არსებული).

ჭეშმარიტად არსი სივრცისა გულის შიგნით არის მხურვალება უმაღლესი და სიტყვა დაუსაბამო - სახელი ღვთისა.

სიტყვით უხმობენ ძღვენის მიმრთმევნი, ადიდებენ და ქებას ასხამენ წესით მსხვერპლის შემწირველნი უფალს.

არამყარია ეს ღვაწლი, წესის მსხვერპლის სახით, რადგან მათშია მხოლოდ ქმედება გარეგანი.

ის მედიდურნი მათ რომ შეჰხარიან როგორც სათნოებას, ისევე ბერდებიან და კვდებიან, როგორც ყველა სხვა დანარჩენნი.

უმეცრებაში ღრმად მყოფნი, მაგრამ თავისი თავის გონიერად და მცოდნედ ჩამთვლელნი, უკმაყოფილებიდან ვერ გამოსულნი, დაუდგრომელად მიმოიღწევიან ვითარცა ბრმანი ბრმით წინამძღვრულნი,

მრავალგვარ უვიცობაში მყოფნი, უბირნი, სთვლიან: “ჩვენ მივაღწიეთ გადარჩენასო“, წესთა აღსრულებაზე დაიმედებულნი ვერ სწვდებიან ჭეშმარიტებას და ამიტომ მიკერძოებით შებოჭილნი კვდებიან როდესაც ელევათ ძალნი, ისევე, როგორც ყველა სხვანი,

თვლიან რა მსხვერპლშეწირვის წესებს და სხვა წესების აღსრულებას ყველაზე მთავარ რამედ, დაბრმავებულნი ვერ ხედავენ სხვა სიკეთეს, დატკბებიან რა ამ წესთა

აღსრულებით, ისინი მიდიან ამდაგვარ (ამ წუთისოფლის მაგვარ) ან და კიდევ უფრო დაბალ სამყოფელში (ამჟამინდელზე უფრო დაბალ სულიერ მდგომარეობაში).

ხოლო ისინი, ვინც რწმენით განდეგილობაში იღწვიან ჭვრეტის ღვაწლში, დამშვიდებულნი, ცოდნით აღესილნი, უპოვარების ღვაწლის მტვირთელნი, მიემართებიან "მზის კარის" (შინაგანი ხელთუქმნელი ნათელის) გაელით იქ მზის წნულში, მკერდში, სადაც სუფევს აღმქმელი, აზროვნების საწყისი, ცნობიერება უკვდავი,

ჭვრეტის ღვაწლის მეშვეობით დე მოღვაწემ მიაღწიოს გულგრილობას (აუღელვებლობას გულის) - არ მოიპოვება დაუსაბამო ქმნილის მეშვეობით, არ არსებობს უხილავი ხილულის მეშვეობით (არ არსებობს მნიშვნელობის, შინაარსის წვდომა გარეგნულის მიმართ - ბრმა თაყვანისცემით).

ნათელი, არსებული, მყოფი საუნჯეში გულის შიგნით (რომელიც) ჭეშმარიტად დიადი ადგილია, სადაც თავმოყრილია ყველაფერი ეს (მთელი სამყარო), ყურადღების გაუფანტავად საჭიროა შევიცნოთ იგი.

იცოდეთ: (გახსოვდეთ, შეიგრძნობდეთ, ფიქრობდეთ) მხოლოდ ის ერთი - საკუთარი არსი, აღმქმელი (სული, არსობა თქვენი, საკუთარ თავი, თქვენი შუაგული, სუფთა "მე" თქვენი).

შეეშვით სხვა ყველა სიტყვას (მრავალსიტყვაობას ლოცვის, უფლის სახელის გარდა) ეს არის ხიდი უკვდავებისკენ წამყვანი, გაამახვილეთ გონება საკუთარ არსზე (საკუთარ "მე"-ზე, საკუთარ თავზე) მხოლოდ ერთი სიტყვის წარმოთქმით (უფლის სახელით), გახსოვდეთ გამუდმებით იგი (გახსოვდეთ, შეიგრძნობდეთ, საკუთარ არსობას, გააცნობიერეთ საკუთარი თავი). იცოდეთ (გახსოედეთ) ის - აღმქმელი (მასზე ფიქრობდეთ, მას შეიგრძნობდეთ, არ ივიწყებდეთ, რომელიც არის) დამკვიდრებული სივრცეში გულის, შემდგარი გონისგან, ვინც ამოქმედებს სუნთქვას და სხეულს, მისი შემცნობი არ ლაპარაკობს სხვა არაფერზე,

ეს აღმქმელი მიიღწევა გულწრფელობით, თავდადებით,

თავშეკავებით, და მისი მუდმივი შეგრძნება-ხსოვნით.

იგი იმყოფება სხეულის შიგნით, შემდგარი სინათლისაგან, წმინდა, რომელსაც სჭვრეტს მოღვაწე კაცი თავის თავში.

მხოლოდ სიმართლე იმარჯვებს და არა სიცრუე, სიმართლით არის განსაზღვრული გზა (წარმატებულად) მოღვაწეობის.

იგი (სული, საკუთარი არსი) არ შეიცნობა არც თვალით, არც განსჯით და არც სხვა გრძნობებით, არც რაიმე მოქმედებით ან ძალისხმევით, არც გააზრებით და არც ახსნა-განმარტებით, არ მოიპოვება კვლევა-ძიებით, მაგრამ ვისაც თვით იგი აირჩევს, იმას აძლევს უფლებას თავისი თავის შეცნობის.

იგი არ მიიღწევა უძლურის მიერ, ან და დაუდევარი ან უაზრო ღვაწლით, მაგრამ ვინც მისი გააზრებით აღვსილია (მასზე განუწყვეტელი ფიქრით) და ბეჯითობს (თვითგანწმენდის) ღვაწლში, დასახულ მიზანს აღწევს (ჭვრეტაში) მოღვაწეობის მეშვეობით.

ადამიანმა თუნდა ათასი წელი, რომ იმოღვაწოს სხეულის ძალისხმევით (მისი დამორჩილებით, ანუ გარეგანი ღვაწლით, წესთა და განრიგთა გარეგნულად აღსრულებით) ვერ მოიღვაწებს იმის მეთექვსმეტედს, ვინც გონებითი (შინაგანი, ჭვრეტის) ღვაწლით იღწვის.

დაუსრულებელი წესები და მსახურება, ლოცვათა კითხვა და მსხვერპლშეწირვა, წმინდა ადგილთა მოლოცვა, ხილვა, ყველაფერი ეს - მხოლოდ მანამდე, სანამ უმაღლეს არსებითს არ იპოვნის კაცი, "მე ვარ ერთარსი გონი" - ეს ერთი აზრი არის განთავისუფლების საწინდარი.

"ჩემი"-ს და "არა ჩემი"-ს განსხვაება კი აი, ეს არის: "ჩემი" - კრავს, "არა ჩემი" - ანთავისუფლებს, რადგან გონებაზე აღტაცებული გონი ვერ არჩევს განსხვავებას (საკუთარ თავსა და სხვას შორის ამ ქვეყანაზე).

აღმქმელი (საკუთარი არსი "მე) არის სინამდვილე (არსობა), უფიქრო მთლიანი გონი (სხივმოსილი ფუძე ცნობიერების) და სიხარული (შეგრძნება უკვდავების ნეტარების).

დე, ნუ დამოძღვრავს ადამიანი ისეთს, ვინც ჯიბრი იცის, ვინც არ არის დამჯერი, ერთგული, დინჯი, ვინც მოუთმენელია და უკმაყოფილო, ვინც ღიზიანდება და თვლის, რომ რაღაც იცის.

ვისაც რაიმე სურს კიდევ ამ წუთისოფელში, არ შეუცვნია ჭეშმარიტება ჯერ ასეთს და (ცოდნაც ჭეშმარიტებისა) მან არ იცის, არ უწყის.

ჭეშმარიტად, რასაც უწოდებენ ერთარს გონებას ის ჭეშმარიტად არის ეს სივრცე ადამიანის გარეთ და ირგვლივ.

ჭეშმარიტად, ის, რაც არის სივრცე ადამიანის მიღმა, არის ის ჭეშმარიტად სივრცე ადამიანის შიგნით.

ჭეშმარიტად, ის, რაც არის სივრცე ადამიანში, არის ჭეშმარიტად სივრცე გულში, იგი სრულია და უცვლელი, ვინც ეს ასე იცის (გრძნობს ამას და მუდამ ახსოვს) ღებულობს სრულყოფილ და უცვლელ ბედნიერებას იგი და ასევე სიხარულს.

ის ნათელი, რომელიც ბრწყინავს ზეცარდმო ამ ცაზე და ყველაფერზე და ყოველივეზე, უზენაეს აღუმატებელ სამყაროებზე, ჭეშმარიტად იგი არის ის ნათელი, რომელიც არსებობს ადამიანში, და იგი (ეს ნათელი) იხილება, როდესაც გონებით ეხებიან სხეულის სითბოს, იგი მოისმინება, როდესაც ყურთა დახშობით სმენას მიაპყრობენ შიგნით (და ისმენენ სივრცეს)...

ვინც როგორ მოქმედებს, ვინც როგორ იქცევა ისეთია თავად, კეთილის მკეთებელი კეთილი არის, უკეთურის მქნელი კი უკეთურია,

სათნო მოქმედების მეშვეობით იგი (კაცი) არის სათნო, ბოროტის მეშვეობით კი ბოროტი ხდება.

ნათქვამია: შინაგანი კაცი შედგებაო სურვილებისგან, როგორიცაა მისი სურვილები ისეთივეა მისი ნება, ხოლო როგორიცაა ნება მისი, ისეთ საქმეს ის აღასრულებს, როგორ საქმესაც მოიმოქმედებს ისეთ ხვედრს დაიმსახურებს, რამედაც არის მიბმული კაცის გონება, მოქმედებით მასთან არის კავშირში მისი შინაგანი არსებაც, მისი შინაგანი ადამიანი.

ეს, შემდგარი ცნობიერებისაგან "შინაგანი კაცი", რომლის არსი არის ნათელი, სხივმოსილი, მყოფობს შუაგულში, საუნჯეში გულის, ვითარცა ბრინჯის მარცვალი (თავისი ზომით), იგია - უფალი ყველაფრის, ბატონი ყოვლის, იგი მმართველია ყველაფერი არსებულის.

ვინც შეიცნო სუნთქვა სუნთქვის, მზერა მზერის, სმენა სმენის, გონება გონის, ის შთაწვდა უძველესს, პირველსაწყის ერთარს გონებას, ჭეშმარიტად იგია - დიადი დაუსაბამო არსი, შემდგარი შეცნობისაგან, მყოფი გრძნობათა შუაგულში (გულის გულში), ამ სივრცეში, გულში, განისვენებს უფალი ყოვლის, მპყრობი ყველაფრის, ბატონი არსებულის, იგი არ მატულობს კეთილი საქმეებით და არ კლებულობს უკეთურებით.

შემდგარი ცნობიერებისაგან, ვისი სხეულიც არის სუნთქვა, ვისი სახეც არის სინათლე, ვისი ნებაც არის სიმართლე, ვისი არსიც არის სივრცე, ვისშიც არის ყველა სურნელი, ყველა ნდომა, ყველა ქმედება, ყველა გემოვნება, გარემომცველი ყოფიერებისა, უხმო, მიუკერძოებელი - "აი ჩემი არსი გულში, მდოგვის, ბრინჯის ან ცერცვის მარცვალზე უფრო მცირე ზომით, აი ჩემი არსი გულში, უდიადესი დედამიწაზე, უდიადესი ცის კამარაზე, უკიდეგანო უსაზღვრო ცაზე, უდიადესი ამ სამყაროზე" (დე ასე ახსოვდეს, გრძნობდეს, ფიქრობდეს კაცი თავის საკუთარ სულზე და ღმერთზე).

ამ სივრცეში გულის შიგნით იმყოფება აღმქმელი, სული, რომელიც არის გონი, უკდავი, ოქროსფერი, იქ, სადაც სასაა ყელში არის ადგილსამყოფელი ნებისყოფის, იქ, სადაც ნათხემია თავის ქალის იქ არის ადგილი გონის აღტაცების, სადაც აღწევს ის ბატონობას სიტყვის, მზერის, სმენის, შეცნობის, იქ იგი ხდება ერთარსი გონი, ვისი სხეულიც არის სივრცე, არსი კი სინამდვილე, შეგრძნობა მისი - სუნთქვა დამშვიდებული და წყნარი, გონიერება კი - განსვენებაა მისი, იქ იგი (სული, აღმქმელი) ჩაძირული უკვდავ სიწყნარეში სუფევს.

თვითარსმა გახსნა სარკმელნი გარეთ, ამიტომ ადამიანი

იმზირება გარეთ და არა საკუთარი თავის შიგნით, მაგრამ
მდუმარე ბრძენი, მისწრაფებული უკვდავებისკენ, იმზირება
თავისი საკუთარი თავის შიგნით დახუჭავს რა თვალებს.

მხოლოდ გონებით უნდა ჩასწვდე ამას, სხვა გასარკვევი
არაფერი აქ არ არის (რადგან ღვაწლი ჭვრეტისა გონებითია
სხეულით მოქმედება მას ვერ წარმოშობს, სხეულმა
უბრალოდ ეცადოს, რომ გონებას ხელი არ შეუშალოს).

შინაგანი არსება, ცერა თითის ზომის, იმყოფება სხეულის
შუაგულში, იგი უკამლო ალის მაგვარია.

მხოლოდ იმ მდუმარებაში მყოფ განდეგილებს, რომელნიც
ხედავენ მას თავის თავში უწერიათ ნეტარება მარადიული
და არა სხვაგვართ, მხოლოდ იმას, ვინც უმზერს მას საკუთარ
არსებაში, უწერია მშვიდობა საუკუნო და არა სხვა გვარს.

იგი შეიცნობა გულით, გონებით და ცნობით
(ერთობლიობაში გაერთიანებულით)

როდესაც ხუთი გრძნობა დამშვიდდება გონებასთან -
განსჯასთან ერთად და არ იმოქმედებს შეფასების ნიჭი -
ამას ეძახიან გზას უმაღლესს, გრძნობათა მტკიცე ფლობა
არის მოსაგრეობის ღვაწლის არსი.

შინაგანი ადამიანი, ცერა თითის ზომის, მყოფი სხეულის
შიგნით, მუდამჟამს არსობს ადამიანთა გულში.

(სხეულის) სამი ნაწილის - მკერდის, კისრის და თავის
გამართულად დაჭერით, გონებისა და გრძნობების გულში
მოთავსებით დე შეაკაოს (ჭვრეტაში მოვარჯიშემ) სუნთქვა,
ისუნთქოს სუსტი, ფაქიზი სუნთქვით ნესტოთა გავლით
(ცხვირის წვეროზე ყურადღების და თვალთა მზერის მიბმით),
დე ყურადღების გაუფანტავად მართოს გონება ვითარცა
შმაგი ცხენებით შეკაზმული ეტლი.

როდესაც ალმქმელის თვალთახედვით, მოღვაწე
(განსხივოსნებული ალმქმელის არსით, სულის ნათელით
ვითარცა სანათურით მოსილი უმზერს არსობას ერთარსი
გონისას (ამ სამყაროში და მის ზღვარს იქით) მაშინ
შეიცნობს რა დაუსაბამოს, მარადიულს, ყოველგვარი
არსისგან განსხვავებულ და თავისუფალ უფალს (და მაშინ)
იგი, ადამიანი თავისუფლდება შებორკვისაგან როგორიც

არ უნდა იყოს.

შინაგანი არსება, ცერა თითის ზომის, მუდმივად მყოფი სხეულის შიგნით, ადამიანთა გულში, შეიცნობა გულით, გონებით და ცნობით (სხვა არანაირი საშუალებით).

იგი ისაა, რაც ცერა თითის ზომის, მზის მაგვარი სახით, ნებით და თვითშეგნებით არის აღჭურვილი, სხეულის და შეგნების თვისებათა მეშვეობით გვეჩვენება ნემსის წვეროზე უმცირესი ზომის, საჭიროა შევიცნოთ ეს არსება და იგი შემძლეა იყოს უსასრულო ზომით.

იგი არც მდედრია და არც მამრი, და ასევე არც უსქესო არ არის, რა სხეულსაც ღებულობს იგი, იმით იფარგლება, იმ სახით,

ერთნი ბრძნობენ საკუთარ ბუნებრიობაზე ამით მოხიბლულნი, სხვანი კი - დროზე, მაგრამ მხოლოდ ღმერთის სიდიადეა სამყაროში ჭეშმარიტი - ის (რითაც) ვისითაც ბრუნავს ეს წუთისოფელი.

როდესაც ადამიანი დაახვევს სივრცეს ვითარცა გრაგნილს, მაშინ ღვთაების გამოცნობის გარეშეც დაუდგება დრო ტანჯვის გათავების.

## ჩხანდოგია უპანიშადიდან

4.4.22. იგი, ეს აღმქმელი (საკუთარი არსი, სული, "მე") შეიცნობა (გამოიძიება, გამოიყოფა არ არსებითისგან) ასე: "ეს არა, ეს არა" (ამ ფორმულის შესატყვისი განწყობით ყველაფრის უარყოფით, თანმიმდევრულად ყველაფრის გაობიექტურებით და შემდგომ გამიჯვნით, უარყოფით ვითარცა არა არსებითის. და ერთდროულად საკუთარი არსის, "მე"-ს მიმართ, აი ასეთი ფიქრით, ამ განწყობით: ( - იგი მიუწვდომელია რამე თუ დროის ზღვარს იქითაა, დაუნაწევრებელია რამეთუ არ იყოფა ვითარცა არსებული სივრცის მიღმა, იგი მიუბმელია, რადგან არ მყოფობს რაიმე ადგილზე, შეუბორკავია, ურყევია, ბოროტისათვის მიუღწეველია, ვინც ეს იცის (ასე გრძნობს, ახსოვს, სჯერა

და ფიქრობს) იგი აღარ ჭმუნავს: - მე ამ მიზეზით ვქენი ცუდიო და აღარ ხარობს: - მე ამ მიზეზით ვქენი კარგიო, იგი ამორ ზრახვაზე მაღლა ადის და აღარ მანთავს მას ქმნილი და არ ქმნილი.

4.4.23. სიდიადე უზენაესი ერთარსი გონის არ მატულობს და არ კლებულობს რაიმე მოქმედებით, დე კაცმა შეიცნოს ბუნება მისი, შემცნობი აღარ იბილწება ბოროტებით.

ამიტომ, ვინც ეს ასე იცის (ასე ახსოვს, ასე გრძნობს) ხდება მშვიდი, თვინიერი, შეკავებული, დამთმენი და გონმოყრილი, ხედავს აღმქმელს (სულს) თავის თავში და ხედავს ყველაფერ არსებულს ვითარცა აღმქმელს (სულში, აღმქმელში).

5.3. უიმედოა უკვდავების მიღწევა ქონების მეშვეობით (იქნება ნივთი, ძალა თუ რაიმე ნიჭი).

5.6. ჭეშმარიტად თუ რამ ძვირფასია ვინმესთვის, არსება, ქონება თუ ნივთი, არა თვით იმ არსების, ქონების ან ნივთის გამო, არამედ ყველაფერი ეს ძვირფასია საკუთარი თავის, საკუთარი აღქმის გამო, ამიტომ, ჭეშმარიტად მხოლოდ აღმქმელის დანახვაა საჭირო, აღმქმელის მოსმენაა საჭირო, მხოლოდ აღმქმელზე ფიქრია საჭირო, მხოლოდ აღმქმელის შეცნობაა საჭირო, ო, კეთილო მეგობარო! ჭეშმარიტად, როდესაც აღმქმელს უმზერენ და მას უსმენენ, როცა მასზე ფიქრობენ და მას შეიცნობენ, მაშინ ყოველივე ხდება ნათელი (განსხივოსნებული).

5.7. ყოველი საქმე ტოვებს იმ ადამიანს, ვინც თვლის, რომ საქმე არსებობს დამოუკიდებლად მისი არსებისაგან, სამყაროები ტოვებენ ჲმას, ვინც თვლის, რომ ისინი განცალკევებულნი არიან მისგან, ღვთაებები ტოვებენ იმას, ვინც განასხვავებს მათ საკუთარი არსისგან, ცოდნა ტოვებს იმას, ვინც თვლის, რომ ის არსებობს დამოუკიდებლად მისგან, ეს ყველაფერი (მთელი ეს სამყარო, წუთისოფელი) არის - სული, აღმქმელი, არსი ადამიანის.

5.13. როგორც მარილის ნატეხს არ გააჩნია სხვაობა შიგნით და გარეთ და შედგება მხოლოდ გემოსგან, ასევე, ჭეშმარიტად ამ აღმქმელს არ გააჩნია არაფერი შიგნით და ან გარეთ განსხვავებული რამე, არამედ შედგენილია

შეცნობისაგან მხოლოდ, არ არსებობს სიკვდილის შემდგომ შეცნობა რამის.

5.14. შესაცბუნებლად არ იყო ნათქვამი ეს განაცხადი, ჭეშმარიტად ეს აღმქმელი (ადამიანის არსი, მე") არ ქრება, არ იღუპება, რამეთუ დაურღვეველი არის იგი ბუნებით.

5.15. (ხოლო შეცნობა არ ხდება რამის სიკვდილის შემდგომ, რომ იყო თქმული იმიტომ, რომ) სადაც არის რაიმე სხეაობის მსგავსი, იქ ერთი ხედავს მეორეს, იქ ერთი შეისუნთქავს სურნელს სხვისას, იქ ერთი გემულობს სხეას, იქ ერთი ებაასება მეორეს, იქ ერთი უსმენს სხეას, იქ ერთი შეიცნობს მეორეს, მაგრამ როდესაც სუყველაფერი ხდება მხოლოდ აღმქმელი, არსი, სული, მაშინ (აღმქმელმა) ვინღა უნდა იხილოს, ვისი სურნელი შეიყნოსოს, ვინღა უნდა იგემოს, ვის ელაპარაკოს, ვის მოუსმინოს, ვიზე იფიქროს, ვის შეეხოს, ვინ შეიცნოს? (როდესაც მთელი სამყარო არის არსი მხოლოდ?) როგორ შეიძლოს მან (აღმქმელმა) ის შეიცნოს, ვისი მეოხებითაც იგი (კაცი) ყოველივეს ამას შეიცნობს? იგია თვით აღმქმელი, იგია ეს მაყურებელი (თვით ადამიანი).

იგი, ეს აღქმელი, ეს არსი ადამიანის, გამოიძიება ასე: "ეს არა, ეს არა" (ყველაფრისაგან გამიჯენით და სუბიექტის აღმოჩენით).

იგი (სული) მიუწვდომელია (გონებით, წარმოდგენით, გააზრებით), რამეთუ არ წარმოიდგინება, იგი განცალკევებულად არსად არ არის, რამეთუ რაიმე ადგილს არ ექვემდებარება, იგი არ შემოიფარგლება, არ იცვლება, არ იბილწება, როგორ შესძლოს (ადამიანმა) შეიცნოს თავად შემცნობი? ჭეშმარიტად ასეთია უკვდავება (ობიექტურად დაუნახავი და) შეუცნობი.

---

ჭეშმარიტად, დასაწყისში ეს იყო ერთარსი გონი, ერთიანი, უსასრულო, უსასრულო აღმოსავლეთით, უსასრულო დასავლეთით, უსასრულო სამხრეთით, უსასრულო ჩრდილოეთით, უსასრულო ზევით და ქვევით და ყველა მიმართულებით, რამეთუ მისთვის არ არსებობს აღმოსავლეთი და სხვა მიმართულება, სიგანე, ან ქვემო, ან

ზემო, წარმოუდგენელია ეს უზენაესი აღმქმელი, უზენაესი სული, უსაზღვრო, დაუსაბამო, წარმოუდგენელი, გაუაზრებელი, ეს აღმქმელი, სული, არსი სივრცის, როდესაც ყველაფერი იღუპება, იგია ერთადერთი რომ არსობს...

მან გასმსჭვალა ეს სხეული ფრჩხილებამდე, აღავსო ვითარცა მახვილმა ქარქაში, ან ცეცხლმა ღუმელი, მას ვერ ხედავენ, რადგან არ შეუძლიათ მისი მოცვა სრულად, მსუნთქველი იგი იწოდება სუნთქვად, მეტყველი - იგი იწოდება სიტყვად, მხედველი - იგი იწოდება მზერად, მსმენელი - იგი იწოდება სმენად, მოაზროვნე - იგი იწოდება გონებად. ესენი მხოლოდ სახელებია მისი მოქმედების, მისი საქმეების, ვინც მხოლოდ ერთს რომელიმეს აქცევს ყურადღებას ვერ ფლობს იგი ცოდნას, რადგან ყურადიღებს მხოლოდ ნაწილს და არა სრულს, ამიტომ დე ყურადიღონ და მასზე იფიქრონ, მას ეთაყვანონ ვითარცა საკუთარ არსობას, "მე"-ს, რადგან ამის განხორციელებისას ყველა მისი მოქმედება ექცევა ყურადღების ქვეშ ერთბაშად, ეს "მე" კვალია, ანაბეჭდი მთელი არსებულის და ჭეშმარიტად ვითარცა ნაკვალევით მიაკვლევენ მისაკვლევს, ასევე მისით (საკუთარი "მე"-თი) შეიცნობენ მთელს არსებულს, ვინც ეს ასე იცის (ასე სწამს, ახსოვს, ასე ფიქრობს და გრძნობს) იგი ჰპოვებს დიდებას (ზეციურს) და მოწონებას (სათნოთა მიერ).

როდესაც არ ხედავენ სხვას (განსხვავებულს საკუთარი თავისგან), როდესაც არ ისმენენ სხვას, არ შეიცნობენ სხვას, ეს არის უსასრულო.

იქ კი, სადაც ხედავენ მეორეს, უსმენენ მეორეს, შეიცნობენ მეორეს ეს არის მცირე, ზღვრული,

ჭეშმარიტად, უსასრულო არის უკვდავი, სასრული კი მოკვდავი, იგი (უსასრულო) არაფერზე არ არის დამყარებული და არც არ დამყარებულია იგი, რაიმე როცა რაიმეზეა დამყარებული, მაშინ ერთი ემყარება მეორეს.

ეს უსასრულო ქვევითაცაა, ზევითაც, იგი უკანაა, იგია წინაც, იგი მარჯვენივაა იგი მარცხნივაა, იგი მთელი ეს სამყაროა (აი, ამრიგად უნდა შეიგრძნობდეს ადამიანი, როცა თვალგახელილი იყურება გარეთ).

ასევე საკუთარი "მე"-ს მიმართ - მე ქვევითა ვარ, მე ვარ ზევითაც, მე უკანა ვარ, მე ვარ წინაც, მე ვარ მარჯვნივ და მე ვარ მარცხნივ, მე ვარ ეს სამყარო მთელი (ყურადღებით მიმართულით ერთდროულად ყოველი მხრისკენ, რაიმე ერთზე განკერძოებით არ შეჩერებით).

ასევე აღმქმელის, სულის მიმართ - აღმქმელია ზევით, აღმქმელია ქვევით, აღმქმელია უკან, აღმქმელია წინ, აღმქმელია მარჯვნივ და მარცხნივ, აღმქმელია მთელი ეს სამყარო (შეიგრძნობდეს აღმქმელის მზერას ყოველის მხრივ), ჭეშმარიტად, ვინც ასე ხედავს, ასე ფიქრობს, ასე გრძნობს, ასე შეიცნობს, იგი ხდება თავისუფალი, ვინც კი სხვანაირად ფიქრობს და თვლის, რომ ჰყავს სხვა მეთვალყურე თავზე მდგომი, ვერ აღწევს განთავისუფლებას იგი.

ვინც თავის თავში კრებს და თავს უყრის ყველა გრძნობებს, ზიანს არ აყენებს არცერთ არსებას განსაკუთრებული შემთხვევის გარდა.

## ბრიხადარანიაკა უპანიშადიდან

1.4.2. დასაწყისში ეს ყველაფერი იყო აღქმა აღმქმელის სახით, პირველი რაც ითქვა იყო: "მე ვარ", ასე წარმოიშვა სახელი "მე". ვინც ეს იცის სწვავს ყველა ცოდვას.

მარტომყოფს შეეშინდა. ამიტომ ეხლაც ადამიანს მარტოდ მყოფს ეშინია. მაგრამ გაიაზრა: "რისი ან ვისი უნდა მეშინოდესო, ჩემს მეტი ხომ არავინაა, შიში მეორისაგან მოდის".

(ასევე კაცი, როდესაც გაიაზრებს ერთარსობას ყოველის და ყველაფრის, მთელი სამყაროსი, განუდგება მაშინ შიშს).

1.4.10. ჭეშმარიტად, დასაწყისში ეს იყო ერთარსი გონი, მან შეიცნო თავისი თავი თქმით: "მე ვარ ერთარსი გონი". ამიტომ იგი იქცა ყველაფრად, ვინც გაიღვიძა ამ ჭეშმარიტებისადმი, ამ ცოდნისადმი, იგიც გახდა იგივე, მისი მსგავსი, მაშ ასე, ამჟამადაც ვინც იცის (ვისაც ახსოვს, ვინც გრძნობს): "მე ვარ ერთარსი გონი" იგი ხდება ამ ყველაფრად არსებულად და ღმერთებსაც არ ძალუძთ ხელის შეშლა,

რადგან იგი ხდება მათი არსი.

ხოლო, ვინც მიმდევარია განსხვავებული ღვთაების და თელის: "იგი სხვაა და მე სხვა" ასეთი კაცი ვერ ფლობს ცოდნას სრულყოფილს, იგი ვითარცა პირუტყვი ღვთაებების წინაშე, ვით პირუტყვს და საქონელს მოაქვს სარგებელი კაცთათვის, ასევე ყოველი კაცი სარგებელია ღვთაებათათვის, ამიტომ ღვთაებებს არ სიამოვნებთ, როცა ადამიანებმა იციან ეს (როდესაც ადამიანებმა იციან თავისი ღვთაებრივი საწყისი და შინაარსი საკუთარი განღმრთევების).

2.3.1. ჭეშმარიტად, არსებობს ორი სახე უზენაესი ერთარსი გონის: გამოვლენილი, ქმნილი, ხილული და გამოუვლენელი, ფარული. მოკვდავი და მარადიული, მომქმედი და უძრავი, არსებული (დროში და სივრცეში) და ნამდვილი, ჭეშმარიტი (მიღმა დროისა და სივრცის).

ქმნილი არის ის, რაც განსხვავდება სივრცისაგან (საგნობრივი, ნივთიერი) ამ ქმნილის სახის არსი არის ნათება.

ფარული - არის, სივრცე ცისა, მისი არსი არის შინაგანი აღმქმელი ("მე" ცნობიერება, არსებობა) იგია არსი არსებულისა, ეს, რაც შეეხება გარეთ (როდესაც გონება იმზირება გარეთ და სჭვრეტს წუთისოფელს, გამოვლენას).

ეხლა რაც შეეხება სხეულს: (თუ როგორ და რა ჭვრიტოს მჭვრეტელმა თავის თავში) ქმნილი - არის ის, რაც განსხვავდება სუნთქვისგან და სხეულის შიგნითა სივრცისგან, არსი მისი არის მზერა (ყველა ადგილი, მოვლენა, ნაწილი და ორგანო სხეულში რაზედაც შეჩერდება მზერა, სუნთქვის და შიგნითა სივრცის გარდა, არის ნივთიერი ობიექტი გონების თავმოყრის და ამრიგად ხატება გამოვლენილის, ხილულის).

ხოლო ფარული - არის სუნთქვა და სივრცე სხეულის შიგნით, არსი მისი არის აღმქმელი (თვითშეგრძნება საკუთარი არსებობის, საკუთარი თავის თვითყურადღება და დაკვირვება აწმყოში), რამეთუ იგი (ეს აღმქმელი, "მე") არის არსი არსებულისა, ხატი ამ აღმქმელისა არის - თითქოსდა

ცეცხლის ალი, თითქოსდა თეთრი ყვავილი, თითქოსდა ელვა მოულოდნელი, მითითება მისი მოძიებისა არის: "ეს არა, ეს არა" (უარყოფა ყველაფრის ყურადღების ქვეშ მოხვედრილის, რაც არ წარმოადგენს არსებითს) რამეთუ არ მოიძებნება აღნიშვნა სხვა რაიმენაირი, გარდა იმისა, რომ სთქვა: "ეს არა" (როდესაც ჭვრეტისას აღქმის არეში არა არსებითი წარმოჩნდება).

სახელი (აღნიშვნა, გააზრება, შეგრძნება) მისი - "სინამდვილე სინამდვილისა" (არსებულში არსებულის მოძიებისა) გრძნობები სინამდვილეა და ეს აღმქმელი (არსებ საკუთარი, საკუთარი თავი) - სინამდვილეა მათი.

ერთარსი გონი, რომელიც აღიქმება და არ არის დამალული, რომელიც არის აღმქმელი შინაგანი ყოველიევეში, სად არის და ვინ არის? - ეს არის აღმქმელი საკუთარ არსებაში, და ის არის ყველას შიგნით და შიგნით ყველაფრის.

3.7. დანახვა თავად დამნახავისა შეუძლებელია, მოსმენა თავად მომსმენისა შეუძლებელია, გააზრება თავად მოაზროვნისა შეუძლებელია, ეს არის ადამიანის საკუთარი აღმქმელი, საკუთარი თავი, მისი არსი, რომელიც არის ყველაფრის შიგნით, მის გარდა ყველაფერი ტანჯვის მომცველია.

ჭეშმარიტად, აღმქმელის შემცნობნი, შემცნობნი საკუთარი თავისა, საკუთარი არსისა, მაღლდებიან ნდომებზე და უპოვარ ბერობის ცხოვრებას მისდევენ და თავს დებენ, ამიტომ დე სწავლულობიდან განსდგეს მოღვაწე და იქმნეს ვით ბალღი, შემდეგ განუდგეს ბალღობას და იქცეს მდუმარედ, განდეგილად, შემდეგ განსდგეს მდუმარებიდან და არმდუმარებიდან და იქმნეს ერთარს გონებად, გამთლიანებულ, განუყოფელ ცნობიერებად.

ვისი წყალობით იქმნას იგი ერთარს გონებად?

შინაგანი მმრთველის, რომელიც მართავს შიგნიდან, როგორც თვით მას (ადამიანს) ასევე ამ წუთისოფელს და იმ ქვეყანასაც და მთელს არსებობას, მთელს არსობას, ჭეშმარიტად ვინც იცის ის, შინაგანი მმართველი, მან იცის

უზენაესი ერთარსი გონება, მან იცის ყველაფერი, მთელი არსობა.

ეს შინაგანი მმართველი კაცის, - მმართველია შინაგანი ყველაფრის.

ის, ვინც მიწაშია, მიწისგან განსხვავებულია, ვისაც მიწა ვერ სცნობს, ვისი სხეულიც არის მიწა, ვინც მიწას შიგნიდან მართავს, ის არის ადამიანის არსი მის შიგნით მყოფი, აღმქმელი უკვდავი,

ის, ვინც წყალშია, წყლისგან განსხვავებულია, ვისაც წყალი ვერ სცნობს, ვისი სხეულიც არის წყალი, ვინც წყალს შიგნიდან მართავს, ის არის ადამიანის არსი მის შიგნით მყოფი, აღმქმელი უკვდავი.

ის, ვინც სინათლეშია, სინათლისაგან განსხვავებულია, ვისაც სინათლე ვერ სცნობს, ვისი სხეულიც არის სინათლე, ვინც სინათლეს შიგნიდან მართავს, ის არის ადამიანის არსი მის შიგნით მყოფი, აღმქმელი უკვდავი.

ის, ვინც ჰაერშია, ჰაერისაგან განსხვავებულია, ვისაც ჰაერი ვერ სცნობს, ვისი სხეულიც ჰაერია, ვინც ჰაერს შიგნიდან მართავს, ის არის ადამიანის არსი მის შიგნით მყოფი, აღმქმელი უკვდავი,

ის, ვინც სივრცეშია, სივრცისგან განსხვავებულია, ვისაც სივრცე ვერ სცნობს, ვისი სხეულიც სივრცეა, ვინც სივრცეს შიგნიდან მართავს, ის არის ადამიანის არსი მის შიგნით მყოფი, აღმქმელი უკვდავი.

ის, ვინც ყველაფრის შიგნითაა, ყველაფრისაგან განსხვავებულია, ვისაც ვერავინ ვერ სცნობს, ვისი სხეულიც ეს ყველაფერია, ვინც შიგნიდან მართავს ყველაფერს, ის არის ადამიანის არსი მის შიგნით მყოფი, აღმქმელი უკვდავი.

3.18.8. ჭეშმარიტად, მცოდნენი მას უწოდებენ წარუშლელს, იგი არც დიდია, არც მცირე, არც მოკლე, არც გრძელი, არც ფერიანია და არც უფერო, არც თხიერია, არც შეფერილი, არც ბნელი, იგი არც ჰაერია, არც სივრცე, არაფერთან არ არის კავშირში, არა აქვს არც გემო, არც სუნი, არც თვალი, არც ყური, არც პირი, არა აქვს მას ზომა, არა აქვს არაფერი გარეგანი და არა აქვს არაფერი შინაგანი, იგი არავის არ

ნთქავს და მას არ ნთქავს არავინ.

3.18.9. მაგრამ ჭეშმარიტად, მისი ნებით არის ქმნილი ეს ყველაფერი...

3.18.10. ჭეშმარიტად, ვინც არ იცის იგი, წარუშლელი და იღწვის თუნდ ათასი წელი, მის ღვაწლს აქვს ზღვარი, და ვინც მის შეუცნობლად მიდის ამ წუთისოფლიდან, ვერ იქნება ბედნიერი იგი.

ხოლო ვინც იგი იცის (გააზრებულია, ახსოვს, შეუგრძვნია და აღუქვია) და ამ ცოდნით მიდის ამ ქვეყნიდან - უზენაესი ერთარსი გონების არის თანაარსი და თავად არის გონება უზენაესი და ერთარსი.

3.18.15. უგნურია ის, ვინც ფიქრობს, რომ იგი სადღაც სხვაგანაა და არა საკუთარ თავში, რაზეა იგი დამყარებული? - სუნთქვაზე (მწარმოებელზე სუნთქვის).

ეს აღმქმელი საკუთარ თავში გამოიძიება ასეთი მზერით: "ეს არა, ეს არა".

იგი შეუცნობია რამეთუ არ შეიცნობა, ურღვევია რამეთუ დაურღვეველია, მიუბმელია რამეთუ არ ებმის არაფერს, შეუბოჭავია, ურყევია, უკეთურებისათვის მიუწვდომელია.

დე უზენაესს თაყვანი სცენ როგორც გონს (საკუთარ თავში მისი ადგილსამყოფელი გონებაში დაინახონ) - ეს რაც შეეხება სხეულს.

ეხლა, რაც შეეხება ღვთაებებს, დე უზენაეს ეთაყვანონ როგორც სივრცეს (გარეთ მისი ადგილსამყოფლის სივრცეში მოთავსებით), ასეთია ორგვარი მითითება (ღმერთზე ფიქრის ორგვარი საშუალება საკუთარ თავში და გარეთ, მისი შეგრძნობისათვის) სხეულის შესახებ და ღვთაებების შესახებ.

8.1.1. უზენაესი ერთარსი გონის საცავეში, მის სამფლობელოში, მის სასუფეველში არის ადგილი - სამყოფელი, საუნჯე მცირე, ამ საუნჯეში არის სივრცე მცირე, და ის, რაც მის შიგნითაა, ის უნდა მოვიძიოთ ჭეშმარიტად, შეცნობით სწორედ ის უნდა შევიცნოთ,

ჭეშმარიტად, რამდენადაც დიდია ეს სივრცე, იმდენადვე დიდია სივრცე გულის შიგნით, მასშია მოთავსებული ორივე

- ზეცა და მიწა, ცეცხლი და ქარი, მზე და მთვარე, და ყველაფერი, რაც კი არის და რაც არ არის - ყველაფერი ეს მასშია მოთავსებული, და თუ ამ სამფლობელოში უზენაესისა მოთავსებულია ყველა არსება და ყველა ნდომა, როცა ბერდება კაცი და სხეული კვდება, მათ რა ემართებათ? (შეიძლება დაიბადოს კითხვა).

სამფლობელო ღვთისა არ ბერდება სხეულთან ერთად, არ კვდება ასევე სიკვდილის ჟამის დადგომისას, იგი ჭეშმარიტად, საუფლოა სულის, მასში არიან სურვილნი მოთავსებულნი ამ წუთისოფლის, ეს არის აღმქმელი ("მე" - სუფთა, შინაგანი კაცი) ბოროტებას შორებული, თავისუფალი სიბერისაგან, სიკვდილისაგან, ჭმუნვისაგან, შიმშილისა და წყურვილისაგან, ვისი სურვილიც არის - სინამდვილის ცოდნა, ვისი ნებაც არის - სინამდვილის ქმნა.

ისინი, ვინც მიდიან ამ ქვეყნიდან თავისი არსის, სულის შეუცნობლად, ვერ მოქმედებენ თავისუფლად საკუთარი ნება-სურვილით იმ ქვეყნად,

ისინი კი, ვინც აქედან საკუთარი არსის ცოდნით ტოვებს სხეულს და ჭეშმარიტი მნიშვნელობა სურვილთა ვინც იცის, შემძლეა იმოქმედოს თავისი ნებით, საკუთარი ნების მიხედვით ყველა სამყაროში იმ ქვეყნად.

ასე რომ, რომელ არსებათა სამყაროს ხილვას მოისურვებს იგი, მხოლოდ მისი ნების მეშვეობით, მისი სურვილით მის წინ აღიმართებიან ის არსებები და ის სამყაროები.

რისკენაც არ უნდა ილტვოდეს, რა საგანიც არ უნდა სურდეს, მხოლოდ მისი ნების მეშვეობით ის ნასურვები აღიმართება მის წინ.

14.2.3.4. ჭეშმარიტად, ეს წარუშლელი უხილავია, მაგრამ ხედავს, მას ვერ მოისმენ, მაგრამ თვით იგი ისმენს ყველაფერს, მას ვერ გაიაზრებ თუ როგორია, მაგრამ თვით იაზრებს ყველაფერს, შეუცნობელია, მაგრამ თავად შემცნობი ყველაფრის, არ არის მეორე ვინმე მის გარდა, რომ იყურებოდეს, არ არის სხვა მეორე, რომ ისმენდეს, არ არის სხვა, რომ აზროვნებდეს, არ არის სხვა მის გარდა, რომ შეიცნობდეს, ამ წარუშლელზეა განფენილი და მოქსოვილი სიგრძე-სიგანით სივრცე.

## ᲕᲘᲕᲔᲙᲐᲜᲐᲜᲓᲐᲣᲞᲐᲜᲘᲨᲐᲓᲘ ᲐᲜᲣ "ᲡᲐᲜᲘᲐᲡᲐ ᲑᲘᲢᲘ"

### ᲒᲐᲜᲓᲔᲒᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ (ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ)

1. ისმინეთ სიმღერა, რომლის სამშობლო შორსაა, სადაც ვერ აღწევს ვერასდროს ბიწი ქვეყნისა - მთათა ქვაბებში, ღრმა ტყეთა შორის, რომელთა სიმშვიდე ვერ შესძლო ვერასდროს დაერღვია თუნდ ერთ ვნებიან კვნესას, არც დიდებისა და სიმდიდრის სურვილს, იქ სადაც მიედინება დინება არსებული სინამდვილის გონებრივ სივრცედ შეგრძნებისა - იმღერე ეს სიმღერა ხმამაღლა გულადო განდეგილო, "უფალო, ჩემი არსებობა და მთელი ეს ყოფიერი აწმყო ხარ შენ".

2. დაამსხვრიე ბორკილნი, რომელნიც გაბამენ მდაბალ სამყაროს, ბრწყინვალე ოქროსაგან არიან ისინი ქმნილნი თუ შავი არაკეთილშობილი ლითონისაგან, სიყვარულისგან თუ სიხარულისგან, სიკეთისგან თუ ბოროტისგან, ან და სულერთია რისგანაც არ უნდა იყვნენ ქმნილნი თუნდ განუყოფლობის (ერთარსობის) რწმენისაგანაც კი, იცოდე მონა მონად რჩება ეფერებიან მას თუ სცემენ, იგი არაა თავისუფალი, რადგან ბორკილები თუნდ ოქროსაგან ქმნილი არანაკლები მყარია, ვიდრე ყოველი სხვა, მაშ დაჰყარე ისინი გულადო განდეგილო და ირწმუნე (შეიგრძენ, დაინახე): "უფალო, ჩემი არსებობა და მთელი ეს ყოფიერი აწმყო ხარ შენ".

3. დე განჰქრეს ბნელი და ის მოხეტიალე ბრწყინვალებანი, რომელნიც თავიანთი ათინათებით მხოლოდ აძლიერებენ ბნელს, დე შენში ჩაქრეს ცხოვრების სურვილი, იგი ხომ ლტოლვას უღვიძებს სულს დაბადებიდან სიკვდილამდე და სიკვდილიდან ახალ გამოვლენამდე, ის იმარჯვებს ყველაფერზე, ვინც გამარჯვებას შესძლებს საკუთარ თავზე, იცოდე ეს და არასოდეს არ დაიხიო უკან გულადო განდეგილო და იგალობე: "უფალო, ჩემი არსებობა და მთელი ეს ყოფიერი აწმყო ხარ შენ".

4. ნათქვამია, მთესველმა უნდა მოიმკას და ყოველი მიზეზი

შედეგის მომტანია უცილოდ - კარგი კარგისა, ცუდი - ბოროტისა და ვერავინ ვერ აუქცევს გვერდს ამ კანონს, და ის, ვინც მატარებელია ფორმის როგორიც არ უნდა იყოს ის, იგი იძულებულია ატაროს ბორკილი. ასეთია კანონი, ყველა ფორმაზე და ყოველ სახელზე უცილოდ მაღალია და უპირატესია არსი (სინამდვილე, ჭეშმარიტება, აღმქმელი) თავისუფალი მუდამ, იცოდე ეს გულადღ განდეგილო, რომ შენ ხარ ის, და იღაღადე: "უფალო, ჩემი არსებობა და მთელი ეს ყოფიერი აწმყო ხარ შენ".

5. სინამდვილე, ჭეშმარიტება ვინ არის არ იციან იმათ, ვისაც ეზმანება უაზრო სიზმრები - მამა, დედა, შვილები, ცოლი და კეთილი მეგობარი, ო, სქესის არ მატარებელო არსო, - ვისი მამაა იგი ან და შვილია ვისი? ვისი მეგობარია ან ვისი მტერია ის, ვინც ერთი იყო მუდამ და ერთი იარსებებს მუდმივ. იგი ყველაფერია ყველაფერში და მის გარეთ არ არსებობს არაფერი და შენ გულადღ განდეგილო, შენ ხარ ის, და ამის ცოდნით იღაღადე: "უფალო, ჩემი არსებობა და მთელი ეს ყოფიერი აწმყო ხარ შენ".

6. არის მხოლოდ ერთი - თავისუფალი, ყოველის მცოდნე, არსებული, სახელის გარეშე, ფორმის გარეშე და ფერის გარეშე, მასშია ფარდობითობა (გონის), რომელსაც ესიზმრებიან ეს სიზმრები გამოვლენილი ბუნების და სულის სახით, ის კი მოწმეა მათი, შენ ხარ ის იცოდე გულადღ განდეგილო და იგალობე: "უფალო, ჩემი არსებობა და მთელი ეს ყოფიერი აწმყო ხარ შენ".

7. იქ, სადაც შენ ფიქრობ მიაღწიო თავისუფლებას, არც ეს ქვეყანა და ვერც იმქვეყნიური შენ ვერ მოგცემენ მას, უნაყოფოა შენი ძიება სიწმინდეებში და წიგნებში, შენს ხელში მაშველი ძაფია შემეცნებისა და თავისუფლებისაკენ შენი წარმტაცი, ნუ ჩიეი ტყუილუბრალოდ, შეეშვი ყველაფერს, რაც გაკავებს შენ გულადღ განდეგილო და იგალობე: "უფალო, ჩემი არსებობა და მთელი ეს ყოფიერი აწმყო ხარ შენ".

8. უთხარი სუყველაფერს და ყოველს: "მშვიდობა თქვენ" "მე არანაირი სიცოცხლისათვის საშიშროებას არ

წარმოვადგენ" "მე ყოველივეში ვარ ყოველივე და ყველაფერში ვარ ყველაფერი, როგორც იმათში, ვინც იმყოფება ზე ისე ყოველში რომელნიც ხოხავენ ქვე" "მე უარვყოფ ცხოვრებას როგორც აქ, ასევე იქ. ყველა ზეცას და ყოველნაირ სამყაროს და თვით ჯოჯოხეთს, ყველანაირ შიშს და იმედებს", მაშ გაწყვიტე, გაგლიჯე შენი ბორკილნი გულადო განდეგილო და იგალობე: "უფალო, ჩემი არსებობა და მთელი ეს ყოფიერი აწმყო ხარ შენ".

9. ყურადღებას ნუ მიაქცევ ცოცხლებს თუ არა სხეული შენი, ან თუ კი კვდება, მისი ამოცანა დამთავრებულია და ქმედებათა ჯაჭვმა დე წარიტაცოს ის, დე ერთი გვირგვინს ადგამდეს ამ ფორმას, მეორე კი დარტყმებით მოსავლეს მას, მაგრამ შენ კი გაჩუმდი, იყუჩე და იცოდე (დაიმახსოვრე, გწამდეს, გჯეროდეს), რომ იქ არ შეიძლება იყოს არც ქება და არც კიცხვა, სადაც ქებული და განკიცხული, მკიცხველი და მეხოტბე - ერთია, და მაშ ასე, იყავ მშვიდად გულადო განდეგილო და იგალობე: "უფალო, ჩემი არსებობა და მთელი ეს ყოფიერი აწმყო ხარ შენ".

10. ჭეშმარიტება არ მოდის იმ სავანეში, სადაც სიხარბე, დიდების სურვილი და ვნებათა ღელვა ცხოვრობენ. სრულყოფილი ვერ იქნება ის, ვინც ქალს უყურებს ვითარცა ცოლს, ვერც ის, ვინც მფლობელია თუნდაც სულ მცირედის რამის, ვერც ის, ვინც მრისხანების მონაა, ვერც ერთი ამათთაგანნი ფარდობითობის ზღვარს ვერ გაიელის, შეეშვი ყველაფერს გულადო განდეგილო და იგალობე: "უფალო, ჩემი არსებობა და მთელი ეს ყოფიერი აწმყო ხარ შენ".

11. შენ არ მჭირდება სახლი - დე ვერცერთმა ჭერმა ვერ დაგაკაოს შენ, ცის კამარაა შენი ურყევი ჭერი, ბალახი კი საწოლი, საკვები კი ის, რასაც შემთხვევა გამოგიყოფს შენ, კარგადაა მომზადებული თუ ცუდად, დე შენთვის ეს იყოს სულერთი, არ არსებობს ისეთი საკვები ან სასმელი, რომელსაც შეუძლია შეურაცხყოს და წაბილწოს შემეცნებისაკენ მისწრაფებული შენი არსება, შენი მე (შინაგანი ადამიანი), დაემსგავსე მუდამ მსრბოლ დინებას, დაემსგავსე, გულადო განდეგილო და იგალობე: "უფალო,

ჩემი არსებობა და მთელი ეს ყოფიერი აწმყო ხარ შენ".

12. ჭეშმარიტება ცოტათათვის თუა ცნობილი, უმეცართათვის საძულველი იქნები შენ და მასხრად აგიგდებენ, ო, დიადო, მაგრამ ნუ მიაქცევ ყურადღებას მათ, იარე თავისუფლად ერთი ადგილიდან მეორეში და დაეხმარე მათ, რომ გამოვიდნენ ფარდობითობის საფარის ბნელიდან ყოველგვარი თრთოლვის გარეშე ტანჯვისადმი, რაიმე წამიერი წარმავალი სიხარულის სურვილის გარეშე, იყავ ამათზე მაღლა გულადო განდეგილო და იგალობე: "უფალო, ჩემი არსებობა და მთელი ეს ყოფიერი აწმყო ხარ შენ".

13. ამრიგად, განუწყვეტლივ დღიდან დღემდის გაიკაჟე სული შენი, მანამდე, სანამ მოქმედებათა ჯაჭვი არ დაილევა - და აღარაა აწი დაბადება, არც მე, არც შენ, არც მოკვდავი, არც უკვდავი, მე გავხდები ყოველი, ყოველივე იქნება მე, (მე ვიქნები ყველაფერში და ჩემში იქნება ყველაფერი ეს) და დაუბინდავი (ნეტარებით) თვითშეგრძნებით. იცოდე, გულადო განდეგილო, რომ - შენ ხარ ის, და იგალობე: "უფალო, ჩემი არსებობა და მთელი ეს ყოფიერი, აწმყოში, ხარ შენ".

---

ვივეკანანდას ამ ნაწარმოებში, მოცემული ფორმულის ადგილზე დგას საყოველთაოდ ცნობილი ფორმულა აუმ ტატ სატ აუმ", რომლის პირდაპირი მნიშვნელობით თარგმნა შეუძლებელია, "აუმ" აღმნიშვნელია ღმერთის, როგორც პიროვნულ, ასევე ზეპიროვნულ არსებობაში, ასვე ყველანაირ ფორმაში და გამოხატულებაში "ტატ" - მიმართებითი ფორმაა ღმერთის გამოხატულებისა, "სატ" აწმყოს, სინამდვილეს, არსობას გამოხატავს, ასე რომ, ჩვენი თარგმანი: უფალო, ჩემი არსებობა და მთელი ეს ყოფიერი აწმყოში ხარ შენ" წარმოადგენს ძალზედ თავისუფალ თარგმანს ამ ფორმულისა.

## "ზჰაგაეატ გიტა"
## ანუ
## გეციური ბრწყინვალების სიმღერა, ან გეციური სიკეთის ნათელის სიმღერა ან ღვთაებრივი სიმღერა
## (თავისუფალი თარგმანი)

## თავი პირველი, "ნათელი გონების" ჭვრეტაზე

ნება თავისუფალი" თუმც ურყევი, მაგრამ ბრმა, საკუთარ თავში მიმდინარე ბრძოლის მიმდინარეობაში გარკვევის მსურველი უნდა დაეკითხოს საკუთარ თავზე გამარჯვების წადილს" იმის დასადგენად, თუ რა ხდება ბრძოლის ველზე (კაცის გულში მოთავსებულზე).

თავის დაძლევის წადილი" კი მსახური უტყუარი არა ორგულად აღუწერს აღსაწერს.

1. ღირსების ველზე, უსინათლო ველზე (რომელიც არის სხეული, გონება და გული ადამიანის) ურთიერთსაპირისპიროდ არიან შეყრილნი სათნოებისა" და თავდაჯერების" მომხრენი, პირველთ სათავეში უდგათ და წინამძღვრობს "გონება ნათელი", ეისი დამხმარე და გვერდზე მდგომი არის თვით უფალი "აწმყოში მოქმედებისკენ მიპყრობილი ყურადღება ურყევი და განუყოფელი, ბრძოლის დაწყების წინ განიხილავენ ისინი რიგებს მებრძოლთა, როგორც თავის მომხრეთა, ასევე წინააღმდგომთა.

2. "გონება ნათელი" - რომელიც არის "კარი საუნჯის", ეისი მოძღეარიც არის თვით უფალი "ყურადღება განუყოფელი", განიხილავს უფლის შემწეობით მოწინააღმდეგეებს თავისს - "თავდაჯერებულ ცოდნათა", "ჩვევათა", "მიდრეკილებათა", "წესთა", "შეხედულებათა", "მიკერძოებათა" რიგებს, "უძლურ ცოდნათა" აუარება რიგებს, რომელნიც კერპთაყვანისმცემლობის" არიან უშუალო ნაშიერნი.

3-6. მათ რიგებში დგანან მოქმედების აღმძერელნი თითქმის ისეთივე ძალის წადილნი და განწყობანი, ეითარცა

სათნოების მომხრე განწყობანი “მიზანსწრაფვაში გულადობა“ და თვით “გონება ნათელი“, ესენი არიან: “უტიფრობა“, “შური“, “თვალთმაქცობა“, “სიამეთა ფლობა“, “პირველობის ნდომა-ჯიბრი“, “მოპოვებულის დაცვის სურვილი“, “კამათის ჟინი“, - ეს ვნება უძლიერესი, მაძღრობის ნაშიერი, მათ მწყობრში სდგანან ასევე “კერპთა თაყვანისცემისაგან“ შობილი დიადი ზღუდენი, სხვადასხვა ვნებები და მიკერძოებანი.

7-8. საპირისპირო მხარეს კი განლაგებულან: თავად უფალი - “ყურადღება ურყევი და განუყოფელი“. ასევე “გამბედაობა“, “ნება კეთილი“, “ცოდნა საქმისა“, “მოქმედების დაცვა“, “მოსმენის ნიჭი“, “შინაგანი გულისყური“, “გონის თავმოყრა“ და ასევე “თვითშემეცნების ნაშიერნი“.

14... ამ ორ წყობას შორის მოქცეულია ეტლი საბრძოლო ცხენებშებმული (სხეული ადამიანის და გრძნობა ხუთი - ცხენები, გონებით ეით აღვირით დაბმულნი) მეეტლე აქ არის თავად უფალი “ყურადღება ურყევი და განუყოფელი“, მშვილდოსანი კი, ანუ მიზნისკენ მიმმართველი არის, “გონება ნათელი“, მოწაფე და შეგირდი “განუყოფელი ყურადღების“ - თავად უფალის.

მოღვაწეობა საკუთარი ძალით, საკუთარი თავის იმედით არის წარუმატებელი თუ არ იქნა შეწევნა, მოსული უფლისგან წყალობით, რამეთუ “გონების ნათელს“ თუმც სათნოებით აღვსილს არ ძალუძს გარჩევა სწორად საკეთებელსა და არ საქმნელს შორის, და როგორც წესი, მას იპყრობს ჭმუნვა როცა იღწვის საკუთარი ძალით.

ჭმუნავს გონება-განსჯა, როცა არჩევანის წინაშე დგება, ჭმუნავს რადგან თავად არ იცის თუ რაა უკუსაგდები ან რაა დასატოვებელი, ჭმუნავს იმისგან, რომ ენანება განადგურება წინაპართა მონაპოვარის და ბოძებულის, უარყოფა-უკუგდება დაჩვეულის, ჩვეულის, გასამართლებლად სჯის ყოველთვის სასარგებლოდ ძველის, ჩვეულის, შიშობს, რომ ძველის უარყოფით და მოკვდინებით მოკვდება ჩვეულება, რჯული და წესი, მამათა დანატოვარი, და გამომდინარე აქედან, დამკვიდრდება უკანონობა და უწესობა, რასაც

შედეგად სულმოკლეობა და ვნებათა ღელეის გაუკუღმართება უნდა მოჰყეეს, აღრევა რიგის და წყობის, რასაც მოჰყვება დაღუპვა გარდუვალი, შიშობს, რომ ძველის დარღვევით და განადგურებით დაირღვევა ის, რაც იყო აწყობილი და ჩვეული, თუნდ არასრულყოფილი.

ამგვარი ფიქრი კი უიმედობას და უმოქმედობას შობს ბრძოლის ღვაწლის დროს სულში, თუ არ მიმართა "ნათელმა გონებამ" უფალს შეწევნისათვის გულში.

ასე და ამგვარად, ღვთაებრივი სიმღერის დიად მოძღვრებაში "ერთარსი გონების" შესახებ, სწავლებაში, ჭვრეტის ღვაწლის განმარტებაში ნეტარ "ურყევ და უცვალებელ ყურადღებასა" და "ნათელ გონებას" შორის გაბაასებაში გვიქადაგებს თავი პირველი ჭმუნვა-გარკვევა "ნათელი გონებისა".

## თავი მეორე, ბანსჯაგე

1-10. მორჩილებით და მოთმინებით თუ მიენდობა უფლის შეწევნის იმედს, უფალი რომელიც არის "ტკბობის სწორად წარმმართველი", მოაშორებს ჭმუნვის და გაურკვევლობის საბურველს "გონებას ნათელს".

საუფლო მითითება კი მოკლედ გამოთქმული მდგომარეობს შემდგომში: კერძოდ იმაში, რომ სასუფეველის დამკვიდრება შეუძლებელია სულმოკლეობიდან განდგომის გარეშე ანუ თმენაში დამკვიდრების გარეშე, საკუთარ ვალდებულებების და მოვალეობის, რაც არის განწესებული სულისთვის ამ წუთისოფელში აღსრულების გარეშე, დრტვინვის და შიშის უგულვებელყოფით, თავმდაბლობით, ღმერთის ნებაზე მინდობით (ვალი კი "ნათელი გონების" არის მოპოვება ღვთის შემეცნების).

გონება კი საკუთარ ნებაზე დაყრდნობილი, ეჭვს და ჭმუნვას ვერ გაქცეული, საუფლო სიტყვას თუ სრულყოფილად არ არის მინდობილი, გაუბედაობაში გაჩერებული იმის შიშის ქვეშ იქნება ყოველთვის მოქცეული, რომ არ ასცდეს გზას ჭეშმარიტს, ღვთისადმი ცრუ შიშისა და ძველი ხატებების

უარყოფით, ძველთაგან, რომ იყვნენ პატივდებულნი ვითარცა საშუალებანი და სწორი გზით წარმმართველნი მამათა მიერ (აქ ლაპარაკიც არა გვაქვს მდაბიო გონებაზე, რომელიც თავდაჯერებით საკუთარ თავზე დაიმედებით აბიჯებს ყოველგვარ წესს და ჩვეულებას წინაპართა მიერ დატოვებულს და ღვთის სიტყვის საკუთარი პირადი სარგებლობისთვის გამომყენებლის, გონება ამდაგვარი არის ბნელი).

11-12. რაც შეეხება "ნათელ გონებას", რომელიც ფრთხილია, აღვსებული რიდით და კრძალვით, მას, ასეთს, ღმერთი არ მიატოვებს და ჭეშმარიტების შესაცნობად სწორ გზაზე დააყენებს, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ჭმუნვა და შიში მოღვაწეობის გარერანი სახის მიმართ როგორი ძველიც არ უნდა იყო სიგი, ფუჭია და ამაო, თუ შინაგანში ჭეშმარიტებისაკენ არ არის მიმართული ღვაწლი, გარეგნულით თავის შებორკვა მცდარია და არასწორი, თუმცა სიტყვით იგი შეიძლება სიბრძნესაც ჰგავდეს.

ჭეშმარიტების შემმეცნებელნი არ მღელვარებენ არც გარდასულთაზე და არც მყოფთაზე, რამეთუ არ იყო ჟამი, რომ არ არსებულიყო "ყურადღება მოუნაცვლებელი და ურყევი" - თავად აღმქმელი, სული, უფალი, ისევე, როგორც "გონება ნათელი" - ცნობა-გონება, ნიჭი შემეცნების, და ასევე შემდგომშიც არ შეწყვეტენ ისინი არსებობას თავისს.

13. ვითარცა სხეული გადის ჩვილობის, ყრმობის, სიმწიფის და ხნოვანების ასაკს, იღებს რა შესატყვის სახეს და გარეგნობას, ასევე გონი, საკუთარი შეგნების შესატყვისი სახის სხეულს ღებულობს შემდგომ, მყარი გონება არ აღელდება ამით.

14. ამ გამოვლენილ სამყაროსთან შეხებას მოაქვს სიცივე, სიცხე, მწუხარება და სიამოვნება, მოდიან და უკუიქცევიან ისინი, არ არიან მუდმივნი, უნდა წინ აღუდგეს აუღელვებლობით მათ ადამიანი.

15. და მხოლოდ ის, ვისაც ვერ აცბუნებენ ეს ცვლილებები, ვინც ერთგვარია სიხარულში და წუხილში და უცვლელი, ხდება ღირსმყოფი უკვდავებისა, მარადიული ცხოვრების,

მყარად მდგომია იგი გაწონასწორების (უშფოთველობის, გონის ერთგვარობის) ნეტარ გრძნობაში.

16. არ არსებობა არ არის არსებობაში, არ არსებობაში არ არის არსებობა, ზღვარი მათ შორის ნათელია, შესამჩნევია ჭეშმარიტების, სინამდეილის მჭვრეტთათეის.

17. საჭიროა შეიგნოს ადამიანმა და ახსოვდეს, რომ გაუნადგურებელია ის, რითაც (ვისითაც) განმსჭვალულია ეს სამყარო დაუსაბამო, წარუვალი არვის არ ძალუძს, რომ ხელყოს და გაანადგუროს.

18. წარმავალნი არიან სხეულნი განხორციელებულნი, რომელთა იქით სდგას სული, აღმქმელი, მარადიულად, შეუცნობელად და წარუშლელად წოდებული, ასე რომ, ბრძოლაზე არაა საჭირო, რომ ითქვას უარი.

19. ვინც ფიქრობს, რომ ანადგურებს იგი, ან ვინც თელის, რომ განადგურებას ექვემდებარება იგი, სცდებიან, არც ერთმა (ჭეშმარიტება) არ იცის, იგი (სული) არ ანადგურებს (არაფერს და არვის) და არ ნადგურდება (არც თავად იგი).

20. იგი არასდროს არ იბადება და არ ქრება, არ წარმოშობილი იგი ახლიდან არ წარმოიშვება, არშობილი, მუდმივი, უსაზღვრო, იგი - უძველესი, არ კვდება, როდესაც სხეული კვდება.

21. მან, ვინც "იცის" (ახსოვს, შეიგრძნობს და ფიქრობს) გაუნადგურებელი, არსებული, დაუბადებელი, არ წარმავალი, ასეთი ადამიანი როგორ აიძულებს მკვლელობას ვინმეს, როგორ მოკლავს იგი ვინმეს.

22. როგორც ძველ სამოსს გადააგდებს და ახლით იმოსება ადამიანი, ასევე ტოვებს რა ძველ სხეულს (სული პიროვნული) განხორციელებული იმოსება ახლით.

23. რამეთუ მას ვერ ჰკვეთს მახვილი და ვერ სწვავს ცეცხლი, ვერ ქლინთავს წყალი და ვერ აშრობს ქარი.

24. არ ხელიყოფება იგი, არ იწვის, არ სველდება, არ შრება, მუდმივი, ყველგანმყოფი, ურყევი (უძრავი) მყარი და უცვლელად მყოფი.

25. მას უწოდებენ გამოუვლენელს, წარმოუდგენელს, უცვლელს, ამგვარად მისი "მცოდნი" (მასზე მფიქრელი, მისი

შემგრძნობი და მისი ასე მხსომი) არ უნდა წუხდეს ხორცზე.
26. მაგრამ რომ სთვლიდეს ახლიდან შობადად მას ვინმე და შემდგომ კი მოკვდავად მუდმივ, ასეთ დროსაც კი ნამდვილად დამწუხარება თავის არ ღირს.
27. დაბადებულისათვის გარდაუვალია სიკვდილი, გარდაცვლილისთვის კი დაბადებაა გარდაუვალი და გამომდინარე აქედან, წუსილი იმაზე, რაც გარდაუვალია, არ ღირს.
28. გამოუვლენელი არსება დასაწყისში, ხილული შუაგულში, უხილავი დასასრულში რა ბედენაა და ნეტა რაა საწუხარი.
29. ერთნი მას უმზერენ (ხედაეენ, სწვდებიან გააზრებით) ვითარცა სასწაულს (ზებუნებრივს), მეორენი მასზე ვითარცა სასწაულზე ლაპარაკობენ, მაგრამ არავინ არ იცის იგი და ვერავინ ვერ სცნობს მას (გააზრებით, განსჯით).
30. ამ სხეულით ხორცშესხმული სული მარადიული, ვერ ხელიყოფება და ამიტომ დამწუხარება ქმნილებებზე არ ღირს.
31-36. ასევე (გამომდინარე აქედან) საკუთარ ვალდებულებას არ უნდა განუდგეს კაცი, მერყეობა ამაში არ არის სწორი, თუ თავის შესასრულებელს არ აღასრულებს ვინმე, სცოდავს ამგვარი მოქმედებით იგი, ხდება კიცხვის და დაცინვის საგანი, და განა არის კი სიკვდილი ამაზე ცუდი?
37. ბრძოლაში მოკლული აღწევს სასუფეველს ცათას, გამარჯვებული კი სიხარულს მოგებისას გემულობს ამ ქვეყანაზე, ასე რომ, ბრძოლაზე არ უნდა თქვას უარი კაცმა.
38. აღიარებს რა თანასწორად ბედს და უბედობას, აღსრულებას და ხელმოცარვას, გამარჯვებას და წაგებას დე აღიმართოს საბრძოლველად კაცი, რომ არ ჩაიგდოს უნებლიეთ ცოდვაში თავი.
39. რაც ითქვა აქამომდე არის გააზრება განსჯით მიღებული, მაგრამ იგივე მტკიცდება ჭვრეტის ღვაწლის მეშვეობით, რომლის აღსრულებით პირობითისგან თავისუფლდება კაცი.
40. არ იკარგება ამ მოღვაწეობაში, ამ ღვაწლში ძალისხმევა, არ ქრება, არ არის მასში უკუღმართობა, სულ

მცირედიც კი ჭვრეტაში მოღვაწეობისა უდიდეს ტანჯვაშიც კი უშველის ადამიანს.

41. გაბედული და მტკიცე კაცის აზრი უყოყმანო და ერთია, გაუბედავთა და ჭოჭმანთა ზრახვები კი მრავალხლართნი და ულევნი, ბევრნი.

42. არაგონიერი წარმოსთქვამს მაღალფარდოვან და ზეიად სიტყვას, დაკმაყოფილებულნი წმინდა წერილის ასოთი, მხოლოდ მათი კითხვით, (არსის არ გამოკელევით) ამბობენ: "არ არსებობსო სხვა არაფერიო" (კმაყოფილნი მხოლოდ ამგვარი, გარეგნული ღვთისმსახურებით).

43. მათი მოქმედების და საქმიანობის არსი და წარმმართველი - არის სურვილი და ნდომა, მიილტვიან სამოთხისაკენ ისინი, სწავლება მათი იძლევა პირობას, რომ საქმეთა შედეგით განისაზღვროს დაბადება ახალი; სავსეა მრავალი წესით და ჩვეულებით, რომელთა აღსრულებით როგორც ამბობენ, აღვსება და ძალა უნდა მიიღწეს ღვთაებრივი.

44. ვინც მიჯაჭვულია განცხრომისა და ძალაუფლების სურვილს, ვისი გონებაც გატაცებულია მათი ნდომით, მისთვის მიუღწეველია გადაწყვეტილად მოკრება აზრის, გულისყურის, ჩაღრმავებულის ჭვრეტით, ერთაზროვნებით.

45. წერილი წმინდა მიეკუთვნება სამყაროს პირობითს, საჭიროა კი პირობითს, ფარდობითს, თვისობრივს, საგნობრივ სამყაროს განუდგეს კაცი, თავისუფალი ორმხრივობისგან, მუდმივად აწმყოში, სინამდვილეში მყოფი ყურადღებით, თავისუფალი საკუთრებიდან ("ჩემის" გრძნობიდან) ერთგული არსისა (სულისა, საკუთარი არსობის გრძნობის ყურადმღები) დე იყოს იგი.

46. რაოდენი სარგებელია ერთ წყაროში ერთ ნაკადულში, როდესაც ყოველი მხრიდან წყლის ნაკადულები მოედინებიან და სჩქეფენ, იმდენივე სარგებელია ყველა წერილში იმისთვის, ვინც აღვსილია "ერთარსის" ხედვით გამუდმებით.

47. ასე რომ, დე იყოს ყურადღება მოქმედებისკენ და დე ნურასოდეს ნუ იქნება ნაყოფისაკენ, სარგებელისკენ (აწმყოში ყურადღებით და არა ოცნებით მომავალში) დე ნუ იქნება

მოქმედების ნაყოფი და სარგებელი მაცდუნებელი კაცის, მაგრამ ასევე თქმულიდან არასწორად გამოტანილი დასკვნით, დე ნუ იქნება მიჯაჭვული უმოქმედობას კაცი.

48. ჭვრეტის ღვაწლში მყოფმა დე მოვალეობანი და საქმენი აღასრულოს თვისი, მიკერძოებისა და ვნების გარეშე, ერთნაირი განწყობით წარმატებაში და მარცხში, რამეთუ წონასწორობაა გონების თავმოყრის და ჭვრეტის არსი.

49. და რადგან სხეულებრივი, მოქმედებითი გარეგნული წესით აღსრულებული ღვაწლი ბევრად დაბალია გონებით შინაგან ღვაწლზე, გონებით მოღვაწეობაზე - (გონით ლოცვაზე, ღმერთის არდავიწყებით სამყაროს ხედვაზე, გონის თავმოყრით "გულის" განწმენდაზე, ჭვრეტის მოღვაწეობაზე) დე "ცოდნის" (გონებრივი ობიექტის) ხსოვნაში - გონებით ღვაწლში ეძიოს კაცმა თავშესაფარი. საცოდავია ნაყოფით, სარგებლით აღტკინებული კაცი.

50. ურყევი გონებით (შინაგანი მზერით) უძრავი ყურადღებით (გაუფანტავი შეგრძნობით) კარგ და ცუდ ნაყოფის ნდომა-არნდომის ზეგავლენას შეუძლია განუდგეს კაცი, ასე რომ, ჭვრეტის ღვაწლს შეუდგეს იგი, თავმოყრილ გონებით, ყოველნაირი მოქმედების დროს მან უნდა ჭვრიტოს თავისი თავი (დაკვირვების საგნად აქციოს თავის თავი).

51. ადამიანი გონებით ღვაწლის ერთგული, ერთგული "ცოდნისა" (ერთგული ჭვრეტის ხელოვნებისა, შინაგანი ღვაწლისა, "გულით" ლოცვისა) ნაყოფს არ გამოკიდებული, რომელიც მოქმედების შედეგად მოდის (ნაყოფისაკენ, შედეგისაკენ, მოლოდინით არ მიპყრობილი ყურადღებით) დაბადების ბორკილებიდან თავდახსნილი მიემართება სიმშვიდისა და უვნებობის სამყაროში.

52. როდესაც გონება გადალახავს უმეცრების ბარდებს (რომელიც იშვება გამოცალკევების და განყოფის გრძნობიდან) მაშინ მიაღწევს გულგრილობას იმის მიმართ, თუ რა სურს მოისმინოს და რას ისმინს (მიუკერძოებლად განიხილავს სინამდვილეს).

53. და როცა გონება არ შებოჭილი განაგონით (წმინდა წერილთა ზეგავლენით, წესთა და ჩვევათა

კანონმდებლობით) გახდება გაუნძრეველად შეკავებული ერთაზროვნებაში, მაშინ იგი უძრაეად თაემოყრილი, მდგომარეობას ჭვრეტისას მიაღწევს უეჭველი.

54. თუ როგორია ჭვრეტის ღვაწლში მყოფი კაცი, თუ როგორია კაცი მყოფი გონებით ერთაზროვნებაში, უცვლელ ყურადღებაში, თუ როგორ იქცევა, როგორ დადის, ზის, ლაპარაკობს, თუ როგორია ის, ვინც უდრეკია აზრში, ქეემოთ ავხსნით:

55. როდესაც გონება (ფიქრი, წარმოდგენა და ნდომა) სტოვებს ყველა (ამქვეყნიურ) სურვილს და ნდომას, ყურადღებით (შინაგანი გონებრივი მზერით) შესული "გულში" (გრძნობის შუაგულში, საკუთარი არსობის შეგრძნების შუაში) ხარობს საკუთარ თავში საკუთარი არსობის ჭვრეტით, აი ასეთი გონება იწოდება მდგომი მყარად შეცნობაში, საკუთარი თავისჭვრეტის ღვაწლში.

56. უბედობაში შეურყეველი გულით, სიხარულში კი ვნებათა და სურვილთა არ ქონით, განრიდებული ვნებებს, შიშს და მრისხანებას, ურყევი სულით - არაცვალებადი გუნება-განწყობით თუ არის ვინმე, იგი იწოდება ჭვრეტის მდუმარებაში მყოფი.

57. ვინც არაფრის მიმართ არ გრძნობს ლტოლვას სასიამოვნოს როდესაც იღებს და არ განიცდის აღტკინებას ან და არ გაურბის და არ იძულებს სამწუხაროს, გონება ასეთი კაცისა არის ურყევი, "ცოდნის" ჭვრეტაში შეკავებული (რაიმე ხედვის, თვალსაზრისის, გრძნობების ან გააზრების მიმართ თავმოყრილი).

58. და ასევე ის, ვინც ვით კუ კიდურებს ბაკანში კრებს და კუმშავს, საკუთარ გრძნობებს თუ კი არიდებს გრძნობათა საგნებს და საკუთარ არსებაში კრებს და კუმშავს, ასეთის გონებაც ჩაითვლება უძრავად და მყარად.

59. საგნები ქრებიან (მზერის არედან) განდეგილისთვის (მხოლოდ სხეულით, გარეგნული წესით), მაგრამ არა გემო მათ მიმართ, მაგრამ გემოც უქრება იმას, ვინც იგემა უზენაესი (მდუმარების და განსხივოსნების) განცდა.

60. რადგან გრძნობები ბუნებით ძალუმნი, ძალდატანებით

იტაცებენ თვით მდუმარე და გონმოკრებაში მოღვაწე განდეგილის გულსაც (და ამიტომ).

61. დე მოთოკოს კაცმა ყველა ისინი (ერთ რაიმეზე) ყურადღების მიპყრობით და თავმოყრით, გონმოკრებილი დაჯდეს და გულის განწმენდა (მოღვაწეობის) მიზნად დაისახოს, რადგან გრძნობებს ვინც დაიმორჩილებს გონება იმისი ხდება ურყევი და მტკიცე.

62. იმას, ვინც ფიქრობს გრძნობათა საგნებზე, უჩნდება დამოკიდებულება მათ მიმართ, დამოკიდებულებიდან იშვება ლტოლვა მათკენ, ლტოლვა კი შობს მრისხანებას (ვერ აღსრულების შემდეგ).

63. მრისხანებას მოსდევს ცდომა, მოჩვენება, ეჭვი, შცდომისაგან და ეჭვისაგან იბნევა გონი, რასაც მოსდევს დაბინდვა, დაბნეულობა ხსოვნის, მეხსიერების დაკარგვით კი - მოდის სიკვდილი ცნობიერების, რასაც თავისთავად მოსდევს დაცემა ადამიანის.

64. ვინც ნდომისგან და ზიზღისგან დგება განზე და საგნებისაგან გრძნობის ორგანოებს განარიდებს, საკუთარ თავს ჭვრეტის საგნად (ობიექტად) საკუთარი თავის მეთვალყურეობის ქვეშ ვინც აყენებს, იგი ამით განთავისუფლებას და (ღმერთისთვის საუკეთესო მსხვერპლს) მოძღვნას (შეწირვას) აღასრულებს და აღწევს.

65. ვინც ამგვარად სწირავს ძღვენს (ამგვარს) სრულყოფით, სულის განთავისუფლებით (საგნებისადმი დამოკიდებულებიდან) მწუხარებას თავს აღწევს იგი, რამეთუ თუ დაიწმინდა აზრთა სათავსი - "გული", მსწრაფლ ძლიერდება ცნობიერება - გონი.

66. არ არსებობს ცნობიერების დაწმენდა მისთვის, ვინც თავმოუყრელია და საკუთარ თავში არ შესულია და არ არსებობს თავმოუყრელისთვის შემოქმედებითი ფიქრი (ერთმიმართულებითი გამიზნული დინება შინაგანი მზერის), ვისაც არა აქვს ფიქრი შემოქმედებითი, არ გააჩნია მას სიმშვიდე "გულის" და თუ არა აქვს ვინმეს სიმშვიდე გულში, როგორღა ექნება ბედნიერება აღელვებული გულით.

67. რადგან ვინც თავის გულს და მოქმედებებს მიმართავს

მოხეტიალე გრძნობების კვალდაკვალ, ვნება გაიტაცებს მის გონებასაც, ვით ქარი აფრააშლილ გემს ბობოქარ ტალღებში.

68. ასე რომ, ვისი ყველა გრძნობაც განშორებულია გრძნობის აღმძვრელ საგნებს, გონება მისი და ხედვა, ცოდნა" მყარია და არაცვალებადი.

69. იქ, სადაც ღამეა ყველა არსებისათვის არის სიფხიზლე, დღე, ზრახვათა შემკავებლისთვის, რაც სიფხიზლეა არსებათათვის არის იქ ღამე მდუმარე მჭვრეტელთათვის.

70. ვით როგორც სავსე და უცვლელ ოკეანეში შეედინებიან წყლები, თუ კი ასევე ყველა სურვილნი შედიან კაცში (არ აღელვებენ მის სიმშვიდეს ოკეანეს მსგავსად) იგი იმკვიდრებს სიმშვიდეს მყარად და არა ის, ვინც მიელტვის სურვილებს.

71. ვინც დაუტევა ყველა გულისთქმა ნაღვლის გარეშე, მიმოიძვრის "მეობის" (თავმოყვარების, პატივმოყვარების) გარეშე, "ჩემობის" (საკუთრობის, მიკერძოების) გრძნობის გარეშე, კაცი ასეთი სიმშვიდეს აღწევს.

72. ამდაგვარია უზენაესი "ერთარსი გონის" მდგომარეობა, ბუნება (პიროვნულობისა და საკუთრების არგრძნობით) გაწონასწორებისა და განუზომელი სიმშვიდის, ვინც მას მიაღწევს, ის აღარ სცდება, და თუ მიაღწევს მას ვინმე თუნდ სიკვდილის ჟამს, იგი აღასრულებს დამშვიდობებას უზენაეს გონებაში" საკუთარ სულის შუაგულში.

ასე და ამგვარად, ღვთაებრივი სიმღერის დიად მოძღვრებაში, "ერთარსი გონების" სწავლებაში, ჭვრეტის ღვაწლის განმარტებაში, ნეტარ ურყევ ყურადღებასა" და "ნათელ გონებას" შორის გაბაასებაში გვიქადაგებს თავი მეორე წოდებული "განსჯით ჭვრეტა" (გააზრება).

## თავი მესამე, ქმედებაზე

1-2. "ნათელ გონებას" შესაძლოა დაებადოს კითხვა: თუ შინაგანი, გონებით ღვაწლი - "ცოდნის" (ხედვის, შეგრძნების, ხსოვნის, გააზრების) ჩამოყალიბება და მისი ჭვრეტა უპირატესია მოქმედებით აღსრულებულ ღვაწლზე (წესებზე,

მოქმედებით ღეთისმსახურებაზე, სხეულებრივ, გარეგნულ მოღვაწეობაზე), მაშ ამ წუთისოფელში მოქმედებისკენ და ბრძოლისკენ მოწოდება რაღა საჭიროა? და რომელი ღვაწლით უმჯობესია იმოღვაწეოს კაცმა?

3. პასუხი უფლისა მდგომარეობს შემდეგში, კერძოდ: ის, რომ ამ ქვეყანაზე არსებობს და არსებობდა შეხედულება მომდინარე ძველთაგან, თვალსაზრისი ორი, ერთი უპირატესობას ანიჭებს ჭვრეტას, ღვაწლს გონებით ქმნილს, ჭვრეტას "ცოდნისას" გონებით მოღვაწეთათვის (და უგულვებელყოფით სხეულებრივი ღვაწლის) და ასევე მეორე აზრი, ჭვრეტის განხორციელება მოქმედების დროს, ჭვრეტა მოქმედებისა მოქმედებით მოღვაწეთათვის.

4. ადამიანი თუ არ იქმს საქმეს და მოქმედებაზე უარს ამბობს, ამით ვერ აღწევს თავს სურვილთა მოქმედების ზეგავლენას, არც მარტო განდეგილობით აღწევს ის სრულყოფილებას, თუ ამას იქმს მხოლოდ გარეგნულად.

5. რამეთუ ვერავინ თუნდ ერთი წამით უმოქმედობაში ვერ იმყოფება, იძულებული მორჩილად, ძალაუნებურად იმოქმედოს ბუნების თვისებების ზეგავლენით.

6. ვინც შებოჭა გრძნობათა გამოვლენა და არ ანხორციელებს მათ მოქმედებით, მაგრამ ზის და გულში გრძნობის აღმძვრელ საგნებზე ფიქრობს, ასეთი კაცი თავს იტყუებს და მოღვაწეობაში არასწორ გზას ადგას და წინ ვერ იწევს.

7. იმან კი, ვინც გულით და გონებით დაიმორჩილა ნდომა-წადილი, გრძნობის მოქმედებებს და ორგანოებს მოქმედებებში ჭვრეტს და უმზერს მათგან გამიჯნული, განზე გამდგარი, ასე მომქმედი ადამიანი იწოდება მიუკერძოებულად მქმედი.

8. სავალდებულო საქმე საჭიროა, რომ აღსრულებულ იქნას, მოქმედება სჯობს უქმობას, რადგან სხეულის საჭიროებებიც კი ვერ აღსრულდება მოქმედებათა გარეშე, უმოქმედობის ჟამს.

9. იმ მოქმედების და საქმის გარდა, რომელიც სრულდება მსხვერპლის გაღების გულისთვის (საკუთარი თავის და

მიწიერი სარგებელის უარყოფით) სხეა ყველა მოქმედებაში ძევს ანგარება, რითაც იბოჭება ეს წუთისოფელი, ამიტომ საჭიროა მოქმედების აღსრულება, საქმის კეთება, მიკერძოებისა და რაიმეს ნდომის, ამქვეყნიური, საგნობრივი ნაყოფის მოლოდინის გარეშე. მსხვერპლის გაღების გარეშე არანაირი წარმატება არანაირ საქმეში არ არის ამ ქვეყანაზე (მოქმედებდეს უნდა ადამიანი ან საქმის ან სხვისი სარგებლის და წარმატების გულისთვის).

10. სიცოცხლის საწყისმა არსებები შექმნა მსხვერპლის გაღების განწყობასთან შეერთებით და სთქვა: ამით, მსხვერპლის გაღებით მრავლდებოდეთ, დე იყოს მსხვერპლი თქვენთვის სურნელი სასურველი.

11. მისით აძლიერებდეთ ცნობიერების საწყისებს, და ცნობიერების ძალები ძალმოსილებით შეგმოსავთ თქვენ, ურთიერთ შეწევნით უზენაეს სიკეთეს მიემთხვევით.

12. ცნობიერების ნიჭთათვის მსხვერპლის გაღებით სასურველ სიკეთეს მოგანიჭებენ მაგიერ, ხოლო ვინც ნაყოფს გემულობს მსხვერპლის გაუღებლად იგი ქურდია მოქმედი მზაკერულად.

13. მართალნი, მსხვერპლის გაღების ნაშთებით კმარობენ, თავისუფლდებიან ყველა ცოდვისგან, ხოლო, ვინც პირად სარგებლით გემულობს, იგი ცოდვის მეტს ვერ იმკის ვერაფერს.

14. საკვებისაგან, მიღების ჭაშნიკით იშვა ყოველი არსება, ზეგარდმო მადლისგან იშვება სიტკბო გემოენების, მსხვერპლისგან იშვება მიღება მადლის, მსხვერპლი კი იშვება მოქმედებით.

15. მოქმედება იშვა ცნობიერების საწყისით, ცნობიერების საწყისი კი უხილველი პიროვნებით, ამიტომ არსი ყოფიერების პიროვნებაა ყველგან მყოფი, ყოველთვის მყოფობს მსხვერპლის გაღებაში იგი.

16. ვინც არ არის დამცველი ამ თანმიმდევრობის, იგი გამტარია ბოროტების, არის იგი სარბიელი ვნებათა ღელვის და ამაოდ მცხოვრები.

17. მაგრამ ის, ვინც საკუთარი თავის შეცნობით არის

დაკავებული, საკუთარ თავში ივსება საკუთარი თავის "ცოდნით" (ვინც საკუთარი თავის მიმართ თვითდაკვირვებით ივსება საკუთარი არსობის თვითშეგრძნებით), ვინც საკუთარ თავში პოულობს გრძნობათა დაკმაყოფილებას, აღარაა ვალდებულება მსხვერპლმოქმედებისა მისთვის (გარეგნულად, მოქმედებით ქმნილი).

(მაგრამ იმას, ვინც საკუთარ თავში შესულია, საკუთარ არსობის შუაში საკუთარი არსებობის შემგრძნობი, საკუთარი არსებობის გრძნობით აღავსებს ყველა ასოს და ყველა გრძნობას, განიცდის ნეტარებას არსებობის შეგრძნებით საკუთარ თავში, დაკმაყოფილებულია საკუთარი არსობის გრძნობით აღვსებული, ასეთს აღარა აქვს ვალდებულება აღარანაირი).

18. ასეთ ადამიანს არა აქვს მიზნის მიღწევის სურვილი მოქმედებით და არც უმოქმედობისათვის აქვს მიზეზი მას რაიმე, და ასევე, იგი არცერთ არსებაში არ ეძებს თავისთვის მფარველს და შემწეს.

19. მაშ ასე, საჭიროა, რომ აღსრულდეს გასაკეთებელი საქმე, მიკერძოებისა და გატაცების გარეშე, რამეთუ შემსრულებელი საქმისა ვალის მოხდისთვის, გატაცებისა და მიჩვევის გარეშე, აღწევს უზენაესს ამდაგვარი მოქმედებით.

20. მოქმედება საჭიროა სამყაროს მთლიანობის ხედვით-შეგრძნებით (საყოველთაოდ მომცველი მშვიდობით), ადამიანთა არადამაბრკოლებელი, არაშემაცბუნებელი მოქმედებებით და საქმეებით.

21. იმას, რასაც იქმს უპირატესი იმეორებენ იმასვე სხვები, მიმდევრები მისი, რა კანონს მისდევს იგი, იმასვე მისდევს ხალხი.

22-24. უფალი თავად იქმს და მოქმედებს ყოველ წამში, თუმც შეუძლია, რომ იყოს უქმი, იქმს იგი რადგან სხვა მხრივ დაიქცეოდნენ სამყაროები და დაიღუპებოდნენ არსებები ირგვლივ.

25. ისევე, როგორც მოქმედებს საკუთარი სურვილის აღსასრულებლად უმეცარი და ანგარებიანი, ძუნწი ადამიანი, დე ასეთივე შემართებით და მიზანსწრაფვით აღასრულოს

საქმე სამყაროს მთლიანობის განწყობით კაცმა უანგაროდ და მცოდნემ შინაგანი ღვაწლის (დე მოქმედებდეს სხეულით გარეგნულად ხოლო ყურადღებით საკუთარი არსების შიგნით შეტრიალებით და თვითდაკვირვებით, საკუთარი თავის, მოქმედებაში მოქმედების ჭვრეტით).

26. დე შინაგანი ღვაწლის მცოდნე, და ამ ღვაწლის მფლობელი კაცი, გონიერი, ნუ შეაშფოთებს და ნუ შეაცბუნებს ანგარებიან და უმეცარ ადამიანთა გულებს ამ ღვაწლის თავზე მოხვევით და საკუთარი უპირატესობით, რომ არ წარმოშვას მან მათ გულებში შური და წყენა, უძლურების შეგრძნებით გამოწვეული, დე მოქმედებდეს იგი ერთგულებით, რომ წარმართოს მათი საქმენი სათნოების გზით, მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით და შეთავსებით.

27. "მე ვარ მომქმედი" ფიქრობს (და ასე შეიგრძნობს) მოხიბლული თავმოყვარეობით კაცი, ვერ ამჩნევს იმას, რომ ბუნების თვისებათა კანონზომიერების ზეგავლენით აწარმოებს მოქმედებებს თავისს.

28. ვინც იცის სინამდვილე, ჭეშმარიტებას ვინც ხედავს, ხედავს თვისებებსა და მოქმედებებს შორის განსხვავებებს, ხედავს ზღვარს მათ გამმიჯნავს, ხედავს იმას, რომ თვისებები თვისებათა სფეროში რჩებიან და მათთვის განკუთვნილ ზღვარს ვერ სცილდებიან - ამის გააზრებით, ამ ფიქრით, ამის შეგრძნობით არ ებმება და არ ექვემდებარება მოქმედებების შედეგს და ნაყოფს იგი.

29. ხოლო ბუნების თვისებებით მოხიბლული, თვისებათა მოქმედებას, მათ ზეგავლენას მიჯაჭვული თუა კაცი, არმცოდნე და სუსტი, დე ასეთს ნუ შეაშფოთებს სრულყოფილი ცოდნის" მცოდნი და ცოდნის მქონი.

30. უფალს მიუძღვნას მან ყოველი მოქმედება, ყოველი საქმე, გარეგნულისადმი გულით განზემდგომით, უზენაესი მეთვალყურის მუდმივი ხსოვნით-შეგრძნობით, უარმყოფელი თავმოყვარეობის, საკუთრობის და სხვადასხვა ნდომის-სარგებლის, დე იბრძოლოს გატაცებისა და გაცხარების, თავდავიწყების გარეშე.

31. ვინც მუდმივად იცავს და მისდევს ამ დარიგებას, არის

დამჯერი, უკმაყოფილების და ეჭვის არ მქონი, იგი შემძლეა მარტო მოქმედებით ღვაწლის აღსრულებითაც კი, მხოლოდ წესთა აღსრულების მოღვაწეობით განთავისუფლების მიღწევის, სულის ცხოვნების.

32. ის კი, ვინც არის მუდამჟამ უკმაყოფილო, დაუჯერებელი და ამ დარიგების არ მიმყოლი, მცდელობა მისთვის ყოველნაირი ღვაწლის და ცოდნა ამაოა და ფუჭი, ასეთი კაცი უდაოდ არ მცოდნეა არანაირი ცოდნის" და არის გზააბნეული, დაცემული.

33. თვით მცოდნენიც კი (ჭვრეტის, ხედვის, გააზრების, გონებითი ღვაწლის, შინაგანი გონებრივი მუშაობის) იქცევიან და მოქმედებენ თავიანთი ბუნების თვისებების შესატყვისად, საკუთარ ბუნებას მისდევენ ყველა არსებები, არაფრის მომცემია დათრგუნვა ბუნების მოქმედების.

34. გრძნობათა ლტოლვა და უკუქცევა გრძნობის გამომწვევ საგნებში არის, დე ნუ მოექცევა ადამიანი მათი გავლენის ქვეშ, ისინი მისი არიან მტრები.

35. სჯობს საკუთარი ვალდებულება, საკუთარი გასაკეთებელი აღსრულებული თუნდ ცუდად, არასრულყოფით, ვიდრე საკეთებელი სხვისი შესრულებული თუნდაც სრულყოფით, სჯობს სიკვდილი საკუთარი ვალდებულების აღსრულებისას, სახიფათოა სხვისი ვალდებულების აღება საკუთარ თავზე (სულისთვის).

36. შესაძლოა იკითხოს კაცმა თუ ვისგან აღძრული სჩადის ცოდვას ადამიანი, თუნდ საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, თითქოს და ძალით იძულებული.

37. ეს არის ვნება (აჟხორცობა), მრისხანება (ამპარტავნება), სიხარბე (ფლობა) ყოვლის შთამთქმელი უძლები, მრავალცოდვილი, უნდა იცნობდეს მას, როგორც მტერს ადამიანი, თავმოყვარეობიდან არის შობილი იგი.

38. ვითარცა კვამლით იფარება ცეცხლი, სარკე კი ქანგით, როგორც ჩანასახი დაფარულია გარსით, ასევე ეს სამყარო დაფარულია მისით.

39. ცოდნაც" მცოდნისა დაფარულია ამ მუდმივი მტრის მიერ, გაუმაძღარი სურვილის, ნდომის ალის სახით რომ არის.

40. გრძნობის ორგანოები, გონება (აზროვნების და წარმოდგენის სფერო) და ცნობა (შეცნობის ნიჭი) არიან მისი ადგილსამყოფელნი, „ცოდნას“ ხშავს მათი მეშვეობით იგი და შეცდომაში შეჰყავს სული სხეულში განხორციელებული.

41. ასე რომ, თავდაპირველად საჭიროა მოთოკვა გრძნობების და ამის შემდგომ შესაძლო იქნება დამარცხება ამ მოჩვენების, დამთქმელის ცოდნის და შემეცნების.

42. გრძნობებს უწოდებენ დიადებს, გრძნობებზე მაღლა სდგას გონი, გონზე მაღლა მდგომი არის ცნობა, იგი (სული, აღმქმელი) კი ცნობაზე არის ზემდგომი.

43. ამრიგად საკუთარი ცნობიერებით საკუთარ ცნობიერებაზე ზედადგომით, ურყევად საკუთარი თავით საკუთარ თავში დგომით მარცხდება მტერი, სურვილის, ავხორცობის ქინის სახით რომ არის კაცში.

ასე და ამგვარად, ღვთაებრივი სიმღერის დიად მოძღვრებაში, “ერთარსი გონების“ სწავლებაში, ჭვრეტის ღვაწლის განმარტებაში ნეტარ „ურყევ ნეტარებას“ და “ნათელ გონებას“ შორის გაბაასებაში გვიქადაგებს თავი მესამე წოდებული “მოქმედების ჭვრეტა“ (გააზრება).

## თავი მეოთხე, მსხვერპლის შეწირვაზე

1-3. ეს წარუშლელი ღვაწლი ჭვრეტისა წარმოებდა მზის მიმართ, რაც “ურყევი ყურადღებისაგან“ იყო ნაშობი, შემდგომ ხელოვნება ჭვრეტისა წარმოებული იქნა “აზრთა მშობელის“ - გონების მიმართ, ამის შემდგომ კი ჭვრეტის საგნად არჩეულ იქნა სიტყვა. ასე და ამგვარად ეუფლებოდნენ ამ ხელოვნებას საკუთარი თავის ფლობაში გამოცდილი მდუმარე განდეგილნი, მაგრამ დრო-ჟამთა შორის ეს მოღვაწეობა და ხელოვნება ჭვრეტისა დაიკარგა და ნელ-ნელა გაჰქრა (და დარჩა მისგან მხოლოდ გარეგნულად წესთა აღსრულების ღვაწლი), მაგრამ სწორედ შინაგან ღვაწლშია ჭვრეტის ხელოვნების (და ყოველნაირი ღვთისმსახურების წესის) არსი ძველთა მიერ ძველთაგან მიჩნეული.

4. “გონების ნათელს” შეიძლება კითხვა დაებადოს იმაში გასარკვევად, რომ: გაცილებით გვიან ნაშობია “მოქმედების ურყევი ყურადღება”, უფრო ადრინდელი კი არის “მზის ბრწყინვალების ჭვრეტა” და როგორ შევათავსოთ ის შეხედულება, რომ მეორეს პირველმა გზა დაულოცა - ჭვრეტის ხელოვნება აუწყა, გადაულოცა.

5. მრავალი აქვს დაბადება “საყოველთაო ურყევ ყურადღებას” ისევე როგორც “ნათელ გონებას”, პირველმა იცის სუყველა ისინი, ამ უკანასკნელს კი არ ახსოვს არცერთი.

6. მიუხედავად იმისა, რომ “წმინდა ყურადღება” დაუსაბამოა და არ წარმოშობილი, მიუხედავად იმისა, რომ ის არის არაწარმაეალი არსი, მიუხედავად იმისა, რომ იგია უფალი ყოველი არსების, საკუთარ ბუნებაზე აღმატებული ევლინდება საკუთარი ფარდობითობის ძალით.

7. რადგან ყოველთვის, როდესაც ხდება დაცემა ზნეობის და ზრდა ულირსობის, მაშინ განსაკუთრებით საკუთარ თავს იგი წარმოაჩენს და ავლენს ბუნებას თავისს.

8. სათნოთა საშველად და უკეთურთა დასათრგუნავად, კანონზომიერების აღსადგენად იგი ევლინება წუთისოფელს ჟამიდან ჟამში.

9. საოცარია მისი ეს დაბადება და მისი საქმე, ვინც ეს ჭეშმარიტად “იცის” (აღუქვია, შეუგრძვნია, ახსოვს ან გაუაზრებია მაინც), როდესაც დატოვებს სხეულს აღარ მიდის ახალ დაბადებამდე, ასეთი “ცოდნით” აღვსილი კაცი მიემართება მის სამყოფელში.

10. ნდომის, შიშის და მრისხანების დატოვებით, აღვსილები საყოველთაო ყურადღებით, მინდობილები უფალს, განწმენდილნი “ცოდნის” ღვაწლით (შინაგანი, გონებითი მუშაობით - გაზრების, ხსოვნის, შეგრძნების განუწყვეტელი შეკავებით) მრავალმა შესძლო შესვლა მის სამყოფელში.

11. ვინც როგორ მას მიმართავს, იგი მას ისე ღებულობს, მისი გზით მიდის ყოველი არსი.

12. ვისაც სურს წარმატება აქ დედამიწაზე რაიმე, მსხვერპლს სწირავს ღვთაებას, არსს მიზნისას, რამეთუ მალე მიაღწევს წარმატებას მოქმედების წყალობით ამ

წუთისოფელში ადამიანი, მიზნისთვის მსხვერპლის გამღები.

13. უფლის მიერაა შექმნილი ბუნების თვისებათა განაწილება და მის მიერაა დადგენილი მოქმედებები შესატყვისი და მოვალეობები, ადამიანთა ოთხ ხასიათს შორის, იგია მათი დაუსაბამო შემომქმედი ადამიანთა ხასიათების ოთხ ნიჭად დამყოფი, ვინც გააზრებით მიდის შეცნობასთან, ვინც მოქმედებით მიეახლება ცოდნის დამტკიცებას, ვინც ცოდნასთან მიდის სარგებლის გულისთვის და ბოლოს ვინც ცოდნას მიეახლება დასჯის არ ნდომისთვის.

14. შეუბღალავია მოქმედებათაგან უფალი, არ გააჩნია მას სურვილი-ნდომა მოქმედებისგან, საქმიდან მომდინარე ნაყოფის, ვინც მას ამდაგვარს შეიცნობს იმას ვეღარ შებოჭავენ მოქმედებები და საქმენი.

15. ეს რომ შეიგნეს, წინაპრები ძველები, განთავისუფლების მოწადინენი, იქმოდნენ საქმეს ნაყოფს არ გამოკიდებულნი და ამის გამო ამჟამადაც კაცმა გონიერმა უნდა აღასრულოს ის წესი და საქმე, რომელთაც იქმოდნენ მისი წინაპრები (ნაყოფის არ გამოკიდებით).

16. რა არის მოქმედება (გარეგნული ქმედება) და რა არის არქმედება (გარეგნულ მოქმედებასთან შინაგანად არ მიბმა, გარეგნულად მოქმედებისას შინაგანად სიმშვიდის დაურღვევლობა) - თვით ძველნიც კი ცდებოდნენ ამის გარჩევაში, - ავხსნათ თუ რა არის მოქმედება, რომლის შეცნობით ბოროტისაგან თავისუფლდება კაცი.

17. საჭიროა გარკვევა და იმის ცოდნა, თუ რა არის მოქმედება (გამიზნული, გაცნობიერებული მოქმედება, რომელიც იწვევს მიზანთან მიახლოებას) ასევე საჭიროა იმის გარკვევა, თუ რა არის აკრძალული მოქმედება (წესი და საქმე, რომელიც არ იწვევს უშუალოდ იმ შედეგს, რომლის გულისთვისაც მოქმედებენ) ასევე უმოქმედობა და არქმედებაა საჭირო გავიგოთ რა არის და გავარჩიოთ; იდუმალია (ფარულია, აღსასრულებელი შინაგანად) გზა მოქმედებითი ღვაწლისა.

18. ვინც ხედავს და ამჩნევს მოქმედებას უმოქმედობაში და უმოქმედობას ხედავს მოქმედებაში, იგი ბრძენია კაცთა

შორის (იგი მდუმარეა და განდეგილი) ასეთისათვის ყოველნაირი საქმის კეთება, ყოველნაირი მოქმედება საშუალებაა მხოლოდ ჭვრეტისთვის, მოქმედებაში თვითდაკვირვებისთვის.

19. ვისი ყველა წამოწყებაც მოკლებულია შედეგის წადილს და ანგარებას, ვისი მოქმედებები "ცოდნის" (ყურადღების მოკრების, შინაგანი გონებრივი ობიექტის ხსოვნის) კოცონზე დაიფერფლა, მას საქმის მცოდნენი უწოდებენ - "გონებას წმინდას".

20. მოქმედებათა და საქმეთა შედეგს მიუბმელი, დაკმაყოფილებული მუდმივ, არაფერზე არ დაყრდნობილი, თუმც კი მოქმედებით და საქმით დაკავებული, არ მოქმედებს კაცი ამგვარი, არ იქმს არაფერს შინაგანი განწყობით იგი.

21. მოლოდინის გარეშე, საკუთარ ზრახვათა მომთვინიერებელი, ყოველნაირი საკუთრების მიმტოვებელი, მხოლოდ სხეულით, გარეგნულად მოქმედების მქნელი, არ დგება ცოდვაში ასეთი ადამიანი.

22. კმაყოფილი მიღებული ხვედრის, თავისუფალი დაპირისპირებულობისა ჯიბრის და შურისგან, კეთილმოსურნე, გაწონასწორებული წარმატებასა და მარცხში, რომც მოქმედებდეს არ იბოჭება იგი.

23. თუ არაფრის მიმართ არაა მიჯაჭვული, თავისუფალი, გონებით-ფიქრით შინაგანი მზერით ჩაძირული "ცოდნის" (შინაგანი გონებრივი ობიექტის, გააზრების, ხედვის) შეგრძნებაში, თუ მოქმედებებს აღასრულებს ვითარცა მსხვერპლის მიძღვნას, აღარ განიცდის მოქმედების ზეგავლენას ადამიანი.

24. ღმერთი არის გაღებული მსხვერპლი, ღმერთი არის თავად წირვაც, ღმერთის ცეცხლზე მას სწირავს თავად ღმერთი (ყურადღება არის გაღებული მსხვერპლი, ყურადღება არის თავად წირვაც, ყურადღების ცეცხლზე მას სწირავს თავად ყურადღება) ამგვარად წირვის მოქმედების ჭვრეტით და ამ განწყობით საჭიროა ღვთისმსახურებისას ღმერთთან მიახლება.

25. ზოგიერთი მოღვაწენი ასეთივე განწყობით უძღვნიან

მსხვერპლს ღვთაებებს (და ანგელოზებს) სხვები კი (სხვადასხვაგვარ) შესაწირავებს უზენაესის ცეცხლში სწვავენ (დანთებულს ყურადღების სხეულთან შეხებით).

26. სმენა და სხვა გრძნობები მოაქვთ ზოგიერთებს თავშეკავების ტრაპეზზე მსხვერპლად, ხმას და სხვა გრძნობით საგნებს სხვები სწირავენ გრძნობათა მოთოკვის ცეცხლში.

27. ყველა გრძნობის და სუნთქვის მოქმედებას აგრეთვე სხვები საკუთარი თავის ჭვრეტის და თვითჩაღრმავების ცეცხლში სწირავენ "ცოდნით" (შინაგანში ყურადღებით) ანთებულნი.

28. სხვები აღასრულებენ მსხვერპლშეწირვას ქონებით, თავის შეზღუდვით, გონის თავმოყრით, ლოცვათა ჩურჩულით, ღვთაებრივი ჭეშმარიტების ხსოვნა-შეგრძნებით, აღთქმების ურყევი დაცვით.

29. სხვები შესუნთქვას სწირავენ გამოსუნთქვას და გამოსუნთქვას სწირავენ შესუნთქვას, ჩასუნთქვა-გამოსუნთქვის მოძრაობის შეკავებით მთლიანად მიძღვნილნი სუნთქვის შენელების ვარჯიშს მთელი არსებით.

30. სხვები საკვების მიღებაში თავშეკავებით საკუთარი სხეულის ძალებს, ვითარცა მსხვერპლს ჰკლავენ, სუყველა ისინი მცოდნენი არიან მსხვერპლის გაღების და მსხვერპლით აქრობენ ცოდვებს.

31. მსხვერპლის გაღების ნაყოფი მომცემია ტკბობისა უკვდავებით, მსხვერპლის გამღები მიემართება მარადისობაში ღმერთთან, არ გამღები მსხვერპლისა კი ამ ქვეყანაშიც ვერ იღებს ვერაფერს, მითუმეტეს იმ ქვეყანაში, როგორ დაიმკვიდრებს რაიმე უკეთესს.

32. აი, ამგვარია სხვადასხვაგვარ მსხვერპლთა ნაირსახეობა უზენაესის პირი-სახის წინ, რომ არიან გადაშლილნი (აღსრულებულნი მისი მზერის ქვეშ კეთების განწყობით), მოქმედებით არიან შობილნი ისინი სუყველა, საჭიროა ცოდნა ამისა, რადგან თუკი, ეს "იცის" კაცმა (თუ ახსოვს, აცნობიერებს მოქმედებას, თუ შეუგნია ის, რომ მოქმედება თავად ჭვრეტაა, თუ მოქმედებს კაცი

არდავიწყებით ღმერთის), ამგვარი "ცოდნით" ამგვარი მოქმედებით, აღწევს განთავისუფლებას ადამიანი.

33. საგონბრივ (სხეულებრივ, ნივთობრივ, მოქმედებით აღსრულებულ) მსხვერპლს სჯობს მსხვერპლი "ცოდნისა" (ყურადღების ერთი მიმართულებით შეკავებისა, გონებრივი ღვაწლისა) შეწირული გონებით, რადგან ყველა ნამოქმედარს სხეულით მსხვერპლშეწირვისას (იქნება ეს წესი, ხორცთ დათრგუნვა, მოწყალება თუ სხვა რამ სათნოება) მოიცავს მსხვერპლის გაღება, "ცოდნის" მოღვაწეობისა, გონებითი ღვაწლი მათ ყველას სცელის (ყველაფერს სცელის ჭვრეტის მოღვაწეობა).

34. მსხვერპლშეწირვის ხელოვნების სწორი გაგება შესაძლოა მხოლოდ თავმდაბალი შეგირდობის, მორჩილების გზით, უთვალთმაქცო და უმზაკვრო გამოკითხვით, დამრიგებლის პატივისცემით, რადგან მხოლოდ ამდაგვარი გულის განწყობით არის შესაძლებელი ზიარება იმ ცოდნასთან, რომელიც მოეპოვებათ მცოდნეებს ამ საქმის, შემცნობებს ჭეშმარიტების.

35. ამის შემცნები (ჭვრეტაში მოღვაწეობის სწორად გამგები და ჭვრეტის სახით ღმერთისთვის მსხვერპლის შემწირველი) აღარ მოტყუვდება შემდგომ, რადგან ყველა არსებას მზერს და აღიქვამს უკლებლივ თავის საკუთარ თავში, საკუთარ არსში, ან რომ ვთქვათ სხვაგვარად, აღიქვამს ყველაფერს ღმერთში.

36. (რელიგიური მოღვაწეობის სწორად გამგები ანუ შინაგანი მოღვაწეობის ღვაწლის უპირატესობის დამნახველი და) მისი აღმსრულებელი რომც იყოს უცოდვილესზე უცოდვილესი, (შინაგანი მოღვაწეობით, ყურადღების თავმოყრით, ჭვრეტის განხორციელებით) გადასცურავს უკეთურების (გონებრივ) ოკეანეს "ცოდნის" (შინაგანი გონებითი ობიექტის, გონებრივი დასაყრდენის) ხომალდის მეოხებით.

37. როგორც შეშას ცეცხლი მოგიზგიზე გადააქცევს ფერფლად მალე, ასევე და ამგვარადვე "ცოდნის" სიმხურვალე (გონებრივი თავმოყრის შედეგად შობილი სითბო, სიმხურვალე მგზნებარება ყურადღების მოკრების) ფერფლად

აქცევს კაცის ყველა ნამოქმედარსა და საქმეს.

38. რამეთუ არ არსებობს არაფერი "ცოდნის" (ყურადღების, მთელი არსების ერთი რაიმესაკენ მიმართვის) დარი განმწმენდი ამ ქვეყანაზე, რომლის აღსრულებასა და ჩამოყალიბებას თავის თავში აღწევს ჭვრეტაში სრულყოფილად მოღვაწე კაცი თავის დროზე.

39. რწმენით აღსავსე და არ დაეჭვებული ღვაწლში აღწევს მიზნის განხორციელებას, ერთგული "ცოდნისა" (რაიმე ხედვისა, იდეისა, გონებითი ღვაწლისა) და სხვა არაფრისა, გრძნობებში თავშეკავებული და ცოდნა მიღებული იგი მალე უზენაეს სიმშვიდეს აღწევს.

40. გაუგონარი და ურწმუნო კაცი, აღვსილი ეჭვებით, ეცემა, არ არის მისთვის არც ეს და არც ის სამყარო, ასევე ბედნიერებაც ეჭვიანისთვის არ არის სადმე.

41. ჭვრეტის ღვაწლის ხელოვნების მეოხებით ვინც განშორდა მოქმედებათა ზეგავლენას, ვინც "ცოდნით" (ღმერთის გააზრებით, შეგრძნებით, ხსოვნით და ხედვით) გაფანტა ეჭვი, ვინც მყარად ჭაღრმავდა თავის თავში, შემბოჭველი ველარ იქნება მისთვის მოქმედება და საქმე.

42. ამიტომ საკუთარ თავში შეტრიალებით, საკუთარ "გულში" (შუაგულში, "მე"-ში, შეგრძნებების შუაგულში, საკუთარი არსებობის გრძნობაში) დგომით - შეგრძნებათა მოკრებით, საკუთარი თავის ხსოვნით - "ცოდნით" (გაცნობიერებით, თვითშეგრძნებით, გაობიექტიურებით) არცოდნიდან (საკუთარი თავის გაუცნობიერებიდან) შობილი ხიბლი და ეჭვი დე განდევნოს საკუთარი თავის (არსის) ჭვრეტის მეშვეობით ჭვრეტის (ამგვარად წარმართვის) ღვაწლში მყოფი კაცმა, დე აღიმართოს იგი საკუთარ არსებაში (დე გონება დადგეს საკუთარი თავის დამკვირვებლობის განწყობაში).

ასე და ამგვარად, ღვთაებრივი სიმღერის დიად მოძღვრებაში "ერთარსი გონების" სწავლებაში, ჭვრეტის ღვაწლის განმარტებაში ნეტარ "ურყევ ყურადღებასა" და "ნათელ გონებას" შორის გაბაასებაში გვიქადაგებს თავი მეოთხე წოდებული - "მსხვერპლშეწირვათა ჭვრეტა" (გააზრება).

# თავი მეხუთე, მოქმედებიდან განდგომაზე

1. მოქმედებიდან (საქმიდან) განდგომას (და განყენებულად მხოლოდ ჭვრეტაში მოღვაწეობას) და ასევე ჭვრეტის ღვაწლს მოქმედებისას (საქმის ქმნის დროს) ვაქებთ, მაგრამ მათ შორის უმჯობესი, უპირატესი რომელია საჭიროა იქნას ეს გარკვეული.

2. როგორც განდგომა ასევე მოქმედება ჭვრეტით, ორივე შეიქმს უმაღლეს სიკეთეს, მაგრამ ამ ორთაგან მოქმედება ჭვრეტის თანხლებით უპირატესია მოქმედებათაგან (და საქმეთაგან) განდგომაზე.

3. ის უნდა მივიჩნიოთ მტკიცე განდეგილად, ვისაც არ აქვს არც ზიზღი და არც ტკბობის წადილი, თავისუფალი დაპირისპირებიდან, შებოჭვიდან თავდახსნილი, ბედნიერია და ბუნებრივი.

4. განსჯითი გამოთვლა - ანალიზი (გააზრება, შესამეცნებელი საგნის მიმართ აზრის წარმართვა) და ჭვრეტა (გონის და გულის თავმოყრა) სხვადასხვააო - ამას იტყვის მხოლოდ ბალღი, და არა მცოდნე საქმის, ვინც მიაღწია ერთის აღსრულებას იგი მეორის შედეგის აღსრულებასაც იღებს.

5. ის მდგომარეობა, რაც მიიღწევა თანმიმდევრული განსჯის მეშვეობით (რომელიც იწარმოება რაიმე ხედვის ჩამოსაყალიბებლად), მიიღწევა აგრეთვე ჭვრეტის ღვაწლით (ყურადღების ერთ რაიმეზე თავმოყრით, საკუთარ თავში უკან შეტრიალებით) და ვინც ხედავს, რომ განსჯა და ჭვრეტა (ღმერთის გააზრება, ღვთისმეტყველება და გონის თავმოყრა, შინაგანი ლოცვა) ერთი და იგივეა იგი ჭეშმარიტად (საქმის არსს ჩამწვდარია და) მხედველია.

6. განდეგილობის ღვაწლი ძნელი მისაღწევია იმისთვის, ვინც ვნებებს არ იოკებს ჭვრეტის მეშვეობით. ჭვრეტის ღვაწლს ზიარებული კი ამ ღვაწლის ერთგული, მყოფი მდუმარებაში, მიემართება შეუფერხებლად ღმერთის სამყოფელში.

7. ჭვრეტის ღვაწლის ერთგული ამ ხელოვნების მეოხებით

საკუთარი თავის განმწმენდი, საკუთარ თავზე გამარჯვებული, გრძნობების დამპყრობი, ყველა არსების სულის ვით საკუთარი სულის შემგრძნობი: კაცი ასეთი, რომც მოქმედებდეს არ იბოჭება მოქმედებით და საქმით.

8. რადგან ღვთის ზედამხედველობის ქვეშ დგომის შეგრძნების განწყობით მყოფი, არსებული სინამდვილის საზღვრებს იქით ყურადღების არ გაქცევით, აწმყოს მხსომი, ყოფიერების დამკვირვებელი, ფიქრით და ხედვით: "მე არ ვიქმ არაფერს - როდესაც ეუმზერ, ვისმენ, ვეხები, ეყნოსავ, ვგემულობ, ვმოძრაობ, ვიძინებ ან ვსუნთქავ".

9. "როცა ვლაპარაკობ, გამოვყოფ, ვღებულობ, ვაღებ და ვხუჭავ თვალებს, გრძნობის ორგანოები უკავშირდებიან გრძნობის გამომწვევ საგნებს (მე აქ არაფრის მქნელი არ ვარ, მე მაყურებელი ვარ ამის მხოლოდ) ამგვარი განწყობით და შეგრძნება-ხედვით (არის მოქმედების დროს ჭვრეტის აღმსრულებელი კაცი).

10. ღმერთს ვინც მიუძღვნის მოქმედებას და მოქმედებს შემდგომ მიკერძოებისაგან განმდგარი, ის არ იბორკება (მოქმედებათა) ზეგავლენით, როგორც ლოტოსის ფოთოლი არ იფარება წყლით.

11. მხოლოდ სხეულით, გონებით, ცნობით და ასევე შეგრძნებებით ანხორციელებენ მოქმედებებს მჭვრეტელნი (ყველა ამათგან საკუთარი არსებით განზე განმდგარნი (თვითგანწმენდის გულისთვის, ჩვევათა დატევებით (სხეულიდან განდგომით, მისი გაობიექტურებით).

12. ღმერთისკენ ერთგულებით ყურადღების მიმმართავი კაცი, ღმერთის მეთვალყურეობის ქვეშ საკუთარი თავის დგომის განწყობით მომქმედი, ყოველნაირი საქმის და მოქმედების შედეგის დამტოვებელი იღებს სიმშვიდეს სრულყოფილს, არა ერთგული კი წადილის ძალით შედეგებზე მიბმული, ვარდება დამოკიდებულებაში შედეგის ნდომის გამოისობით.

13. არანაირ საქმეზე გულით არ მიჯაჭვული, მოქმედებებისაგან და საქმისაგან გრძნობით გამოყოფილი და განდგომილი დამკვირვებელი აღმქმელი, სული,

მკვიდრობს ბედნიერად სხეულში ვითარცა მოწმე, არ მომქმედი და არც მაიძულებელი მოქმედების

14. არც საქმესთან და არც მოქმედებებთან არ არის კავშირში სული, ყოველის მცოდნე, და ასევე არ უკავშირდება მოქმედებების და საქმის ნაყოფს იგი, მოქმედებს ბუნება თავისთავად მისთვის.

15. არ ეხებიან და არ სწვდებიან ცოდვები ან სიწმინდე ვინმესი უფალს, არცოდნაშია გახვეული სიცხადე "ცოდნისა" (სინამდვილის მიმართ უყურადღებობაშია გახვეული სიცხადე სინამდვილის, აწმყოს ყურადღებისა) და ამით ტყუვდება ადამიანი.

16. მაგრამ, ვინც "ცოდნის" (ყურადღების მიპყრობის) მეშვეობით გაფანტავს უმეცრებას საკუთარ თავში, იმისთვის მისი "ცოდნა" (შინაგანი ღვაწლი, ხედვა, ხსოვნა, გონითი ლოცვა) ამომავალი მზის მაგვარად გააცისკროვნებს უზენაესობას მისას.

17. უფალში გრძნობით, უფალში გულით - მთელი არსებით, უფალში მთელი ერთგულებით და თავმოყრით დამკვიდრდება და ჰპოვებს თუკი ვინმე თავშესაფარს ის განთავისუფლების ღვაწლში სულ წინ მიდის უკან მოუბრუნებლად, "ცოდნით" (ხედვით, შინაგანი ღვაწლით, შინაგანი თვითყურადღებით) ეჭვის და ცოდვების დამთრგუნველი.

18. განათლებულ და თავმდაბალ კეთილმორწმუნეში, ცხოველში, პირუტყვში და უკეთურ კაცში (კაცი) მოღვაწე გონითი ღვაწლით ხედავდეს უნდა ერთი და იგივეს.

19. ვისი გულიც გაწონასწორებაში მყოფობს უკვე აქ ამ საწუთროში მან ჰპოვა გამარჯვება წუთისოფელზე, რამეთუ გაწონასწორებაა (უცვლელობა) ბუნება ერთარსი გონის, ბუნება ღმერთის, ამრიგად მიმღწევი გონის უცვლელობის (ღმერთს დამსგავსებული) განისვენებს ღმერთში, უზენაეს წმინდა სულში.

20. დე სასიამოვნოს მიღებით ნუ აღტკინდება და უსიამოვნოს მიღებით ნუ ითრგუნება მოღვაწე კაცი, ნუ დაიბნევა დე იგი, არ მოტყუვდება და არ შეცდება კაცი მომპოვებელი გონის ურყევობის, ერთი რაიმეს მიმართ

ყურადღების სიმტკიცით, გონის ერთარსობის მხილეელი (გონის არსის, საფუძელის მხილველი) გონების საწყის არსში მდგომი, გონების ერთარსობაში მდგარი.

21. ვინც გარე სიამოენებებს არ არის მიბმული გულით, და ტკბობას პოულობს საკუთარ თავში ჩაღრმაეების ბედნიერებით, გონების ფუძის და არსის ჭერეტის ზიარი, საკუთარ თავში ჩაძირული უსაზღერო ბედნიერებით დატკბება იგი (ერთარს გონებაში უკვდაეების მხილველი).

22. მიზეზები მწუხარებისა სიამოვნებანი არიან გარეგანნი, მომტანნი უბედურების, არიან ისინი წარმავალნი, მათ არ ესწრაფვის სული ფხიზელი.

23. ვისაც ჯერ კიდევ აქ, სხეულიდან არგანთაეისუფლებულს ძალუძს დაძლევა ნდომისა და ბრაზისგან შობილი ლტოლვების, იგი ნაზიარებია (სიმშვიდეს) და ადამიანია ბედნიერი.

24. ვინც ბედნიერია შიგნით (საკუთარ თავში ჩაღრმაეებით), ვინც ხარობს შიგნით, ვინც ასევე შიგნიდან ნათლდება (ზეგარდმო სხივოსნებით), ის მჭვრეტელია, ერთარსი გონების სიმშვიდეს, ერთარსი გონების სასუფეველს აღწევს იგი.

25. გონების ფუძის, გონების არსის სიმშვიდეს იპოვებენ შინაგანი, გონებითი ღვაწლის მქონენი, (ამ ღვაწლით) ცოდვათა დამთრგუნველნი, ორმხრივობის და დაპირისპირების უგულისმყოფელნი, თავის შემზღუდველნი, საკუთარი თავით დაკავებულნი (საკუთარი თავის განხილვით დაკავებულნი), საკუთარი თავის ფარგლებს გარეთ შინაგანი გონებრივი მზერის და ყურადღების არ მიმმართველნი, ყველას მიმართ კეთილგანწყობილნი.

26. ვინც განუდგა წადილს და მრისხანებას, მოღვაწეობს გულისა და გონების გაერთიანების დაუფლებაში, იგი ახლოა ერთარსი გონის სიმშვიდესთან, საკუთარი თავის ხედვის ფლობის მომპოვებელი და მქონი.

27. გარეგანი ზემოქმედებების მიმართ უყურადღებობით, თვალებისა და შინაგანი გონებრივი მზერის წარბთა შუა სივრცისკენ მიმართვით, ჩასუნთქვა-გამოსუნთქვის

გათანაბრებით და შეკაეებით, ნესტოებს შიგნით სუნთქვის მიმდინარეობის შეგრძნებით.

28. გულის, გონების და ცნობის (სურვილის, აზროვნების და ნების სფეროების) დამორჩილებით, საბოლოო განთავისუფლებისაკენ მისწრაფებით, მდუმარე მოღვაწე მდუმარებით თავისუფლდება მარადისობაში, შიშის და მრისხანების ამ მოღვაწეობის მეოხებით გამგდები.

29. ღმერთი (ერთარსი გონი, ფუძე გონების, საფუძეელი ყოვლის) მიმღებია მსხვერპლშეწირვის, ყველანაირი აღთქმის და ღვაწლის, მპყრობელი უდიადესი, ყველანაირი სფეროსი და სამყაროსი, მეგობარია ყველა არსების, აი, ამ თვალთახედვით ღმერთზე მფიქრელი, ღმერთის ამგვარად შემგრძნები, ანუ "მცოდნი" აღწევს ამ "ცოდნით" მიღწევას საუკუნო განსვენებისას.

ასე და ამგვარად, ღვთაებრივი სიმღერის დიად მოძღვრებაში "ერთარსი გონების" სწავლებაში ჭვრეტის ღვაწლის განმარტებაში "ნეტარ ურყევ ყურადღებასა" და "ნათელ გონებას" შორის გაბაასებაში გვიქადაგებს თავი მესუთე წოდებული "მოქმედებიდან განდგომის ჭვრეტა" (გააზრება).

## თავი მეექვსე, ჭვრეტის წარმოებაზე

1. ვინც აღასრულებს სავალდებულო მოქმედებებს (დაწესებულ წესს და კანონს) და არ ეძიებს ამ საქმეთაგან სარგებელს და ნაყოფს, იგია განდეგილიცა და მჭვრეტიც, და არა ის, ვინც წესის, რჯულის და ჩვეულების გარეშეა, დამტოვებელი მათი, ურჩი მოვალეობის.

2. ის, რაც იწოდება განდეგილობად, იწოდება აგრეთვე მჭვრეტელობად, რამეთუ სურვილთაგან განდგომის გარეშე არ არსებობს არავითარი ჭვრეტა.

3. ჭვრეტის განხორციელებისაკენ მიმართულ მდუმარე მოღვაწისათვის (დამწყებისათვის) მოქმედება (სხეულებრივი, გარეგნულად, აღსრულება საქმის) იწოდება საშუალებად,

ჭერეტა განხორციელებულისათვის კი სიწყნარე (შინაგანი გონებითი ძალისხმევა) იწოდება საშუალებად.

4. რამეთუ, როცა კაცი არც გრძნობაალმძერელ საგნებზე და აღარც მოქმედებებზე მიჯაჭვული აღარ არის და ასევე განმდგარია იგი ყველა სურვილისგან, იწოდება იგი მაშინ ჭერეტას მიღწეულად, ჭვრეტაში შესულად.

5. დე საკუთარი ძალისხმევით საკუთარ თაეში აღსდგეს კაცი, დე საკუთარ თავს იგი ნუ დააკნინებს, ნუ დასცემს, რამეთუ ჭეშმარიტად, ყოველი კაცი თვითეეა საკუთარი თავის შემწე ისევე, როგორც თვითეეა ყოველი კაცი საკუთარი თავის მტერი.

6. თავის თავის შემწე კი არის ის, ვინც შემძლეა თავის თავზე გამარჯვების, ის კი, ვინც საკუთარი თავის ვერ მძლობელია იგი საკუთარი თავის მტერობით საკუთარ თავთან მტრობაშია.

7. გამარჯვებული საკუთარ თავზე, სრულ სიმშვიდეს მიღწეული, უზენაეს სულს ("მე"-ს, აღმქმელს, გონების ფუძეს) მინდობილი, სიცხეში და სიცივეში, სიხარულში და წუხილში, პატივში და ძაგებაში (უძრავია მშვიდობაში).

8. "ცოდნის" (საღვთისმეტყველო ჭეშმარიტების, ღმერთის გაამრების, შინაგანი მზერის მისაბმელი ობიექტის, შინაგანი ფარული გონებითი ღვაწლის) და ამ "ცოდნის" მიმღწევი (საკუთარ თაეში ამ შინაგანი მიზნის მიმღწევი, ანუ საკუთარი თავის შემცნობი) ამ ცოდნის" შეგრძნობის შემკავებელი თავის საკუთარ თავში, ურყევი ყურადღებით (საკუთარი არსების) შუაგულში, "მწეერვალზე" - შუბლის არეში (საკუთარი არსების შეგრძნების თავმოყრით) დგომით, გრძნობების დამმორჩილებელი ჭვრეტასთან ზიარებულად იწოდება ამ მდგომარეობაში მყოფი კაცი, ერთნაირი განწყობით მიწის, ქვის და ოქროს მიმართ.

9. (მაგრამ ვინც) მეგობრის, კეთილმოსურნის, უცნობის და მის მიმართ გულგრილის, მოკაეშირის, მოწინააღმდეგის, არათანაზიარის, მართალი კაცისა და ცოდვილის მიმართ განწყობილია თანასწორად, მდგომარეობა ასეთი კაცის ითვლება უფრო უპირატესად.

10. დე მჭვრეტელმა გამუდმებით და დაფარულად ყველასგან ჩუმად და არ განცხადებულად (მაგრამ არა გასაიდუმლოებულად) საკუთარ თავში განმარტოებით დგომით და დამკვიდრებით იღვაწოს ღვაწლით ერთადერთით - აღკვეცოს ცვალებადობა აზროვნების და განწყობის გონებისა და გულის მოწესრიგებით, საკუთარ თავში შებრუნების მეშვეობით სხვა არაფრის მიმართ არაფრის არ ნდომით და ანგარების არ ქონით.

11. წმინდა, არ შეურაცხმყოფელ, არ შემაშფოთებელ ადგილზე მოაწყოს დასაჯდომელი მან მყარი თავისთვის, არც ამაღლებული ძალზედ და არც დაბალი, დაფარული რბილი საგებით, ტყაეით ან ბალახით.

12. და იქ დათმენით მჯდომარემ შეაკაოს ერთ რაიმეზე გული (განწყობა, გრძნობა, ყურადღება) ფიქრთა და გრძნობათა ცვალებადობის შეკავებით ერთ წერტილზე ყურადღების, შინაგანი მზერის, გონების მიპყრობით, მართოს მან სფერო გრძნობის და აზროვნების, დაეშვება რა დასაჯდომელზე ურყევ მდგომარეობაში, იმოღვაწეოს მან ამრიგად თვითგანწმენდაში.

13. გაწონასწორებულად და ურყევად სხეულის, თავის და კისრის დაჭერით, შინაგანი გონებრივი მზერის-შეგრძნების, საკუთარი ცხვირის წვეროზე შეკავებით, აქეთ-იქით არ ყურებით.

14. გონებრივი სფეროს დამშვიდებით განიგდება შიში, ითოკებიან წადილნი გულის, უზენაესზე ფიქრით მოდის სიმტკიცე უბიწოების და ერთგულების აღთქმებში.

15. ჭვრეტაში ამგვარად მოღვაწე, გონების მომთვინიერებელი აღწევს უზენაესი გარინდების სიმშვიდეს ღმერთის არსებაში რომ არის.

16. რამეთუ ჭვრეტა არაა იმისთვის, ვინც ჭამს ბევრს და არც იმისთვის, ვინც უზომოდ მარხულობს, არც იმისთვის, ვინც ძილით ნებივრობს და არც იმისთვის, ვინც უძილობით და ფხიზლობით ცოდვილობს.

17. ზომიერისთვის ჭამაში და თავშეკავებაში, ზომიერისთვის მოძრაობებში, საქმეში (მოქმედებებში),

ძილში და უძილობაში, შესაძლებელია ჭვრეტა ნამდვილი, მწუხარების დამთრგუნავი და სევდის წამლები.

18. როდესაც დამშვიდებული შინაგანი სამყარო - გული, გონება და ცნობა (გრძნობა, აზროვნება და ნება) მყარად დამკვიდრდება საკუთარი თავის ფარგლებში (როცა ყურადღება, შინაგანი გონებრივი მზერა, თვითშეგრძნება მთლიანად მოიცავს საკუთარ თავს, მთლიანად მთელი თავისი არსების შეგრძნებით) მაშინ ადამიანი განშორებული ყველა სურვილს იწოდება ნაზიარებად ჭვრეტის ხელოვნებასთან.

19. "ვითარცა ალი სანთლისა უქარო ადგილზე არ იძვრის" ეს შედარება ეხება იმ მჭვრეტელს, რომელიც გონიერ შინაგან სფეროს (ცნობას, გონებასა და გულს) აკავებს ერთ უძრავ განწყობაში გამუდმებით, ყურადღების შებრუნების მეოხებით, მიპყრობით და თავმოყრა-გამახვილებით თავის საკუთარ არსებაში, თავის თავში.

20. იქ, იმ მდგომარეობაში, სადაც ცხრება ფიქრი-წადილი, სადაც ყურადღების და გრძნობის თავმოყრის მეოხებით შებოჭილი ქრება აზრთა წყაროს მღელვარება, და ასევე იქ, სადაც საკუთარ თავს საკუთარ თავში ჭვრეტენ და შეიცნობენ, საკუთარი თავით კმაყოფილდებიან და ხარობენ.

21. იქ, შეიცნობა უმაღლესი, აღქმული მხოლოდ გონების თვალით (მესამე თვალით) ცნობიერების გაველით, გრძნობებზე მაღლივ, მყოფი მასში (ამ სულიერ განწყობაში) არ ასცდება ჭეშმარიტს იგი, სინამდვილიდან არ გადაცდება.

22. ადამიანი ამის მიმღწევი ხვდება, რომ არ არსებობს არაფერი მისაღწევი რაიმე უფრო მაღალი, მასში მყოფი არ ძრწუნდება უზომო უბედურების დროსაც კი.

23. საჭიროა იცოდეს კაცმა, რომ სწორედ ის იწოდება ჭვრეტად, რომელიც მწუხარებასთან კავშირებს არღვევს (თუ მოღვაწეობს კაცი და მწუხარებას თავს ვერ აღწევს, არასწორია რაიმე მის ღვაწლში მაშინ), ამ ღვაწლში, ჭვრეტის მოღვაწეობაში, გონის თავმოყრაში საჭიროა ძალისხმევა და მცდელობა ჭოჭმანის და ორჭოფობის დატოვებით, ყველაფრისაგან განრიდებული ყურადღებით.

24. წარმოდგენებიდან გამომდინარე, გულისწადილთა

მიტოვებით, უკლებლივ ყველასი (ყოველნაირი წარმოდგენის და წარმოსახვის), ყოველი მხრიდან გრძნობების ბრბოს მოთვინიერებით.

25. ნელ-ნელა დე დამშვიდდეს კაცი მყარად შეკავებული ყურადღებით (გულით, შეგრძნებით, გრძნობით უცვალებელით) შემდგარი საკუთარ არსებაში (საკუთარ თავში) დე არაფერზე არ ფიქრობდეს (არ აზროვნებდეს, არ წარმოიდგენდეს, არ მსჯელობდეს).

26. აქეთ-იქით მოხტუნავე, მერყევი და არამდგრადი, ცვალებადი ყურადღება - გონი - გული, საითკენაც არ უნდა გასხლტეს მოაბრუნოს უნდა მოღვაწემ, ძალდაუტანებელი ძალისხმევით და დაშოშმინებით საკუთარ თავში ისევ და ისევ ყოველი მხრიდან.

27. გულის სრული დამშვიდებით ბედნიერებას იძენს უმაღლესს ჭვრეტაში მოღვაწე კაცი, აღწევს დაცხრომას თავმოყვარეობის, დამსგავსებას უზენაეს ერთარს გონებასთან და განწმენდას ცოდვათაგან.

28. ამრიგად, დე გამუდმებით, თავის თავში ჩაძირული და შესული თუკი არის კაცი ჭვრეტით, იგი უკეთურისგან იქნება განზე მდგომი, უზენაეს ერთარს გონთან თანაზიარებით, არის იგი ბედნიერი, უზენაეს ნეტარების განმცდელი და მგემებელი.

29. მთელს არსებულს მყოფს აღმქმელში და მთელს არსებულში ასევე აღმქმელს ხედავს მჭვრეტელი საკუთარ თავთან შერწყმული (საკუთარი არსის მხსომი) მზერის წონასწორობის სრული დაცვით (ყველაფერში ერთგვარობის მმზერი და დამნახველი).

30. ვინც ღმერთს ხედავს (შეიგრძნობს) ყველაფერში და ყოველში და ასევე ერთდროულად ყოველივეს აღიქვამს ღმერთში, მას უფალი არ დაჰკარგავს და არც თვით კაცი ასე მგრძნობი და მხედველი არ დაჰკარგავს უფალს და არ დაივიწყებს.

31. ვინც კი ხედავს ღმერთს მყოფს ყოველ არსებაში და ვინც სცემს მას თაყვანს მყოფს სამყაროს ერთიანობაში, ღმერთის ასეთი მხედველი როგორ ყოფნაშიც არ უნდა იყოს

იგი არსებობს უდაოდ ყოველთვის ღმერთში.

32. თავისი თავის მსგავსს და მაგვარს ყველაში თანაბრად თუ ხედავს ვინმე, იქნება ეს ლხინში თუ ჭირში იგი ნამდვილად არის მხედველი, მჭვრეტელია სრულყოფილი.

33-34. ამდაგვარი ღვაწლისათვის, რაც აქ ითქვა აქამდე "ნათელმა გონებამ" შეიძლება ვერ დაინახოს საფუძველი მყარი, გამომდინარე გონის სიმსუბუქისა და მიმოტაცებას დაქვემდებარების გამო, არამდგრადია ხომ გონი, მოძრავი და ცვალებადი, გულის ზრახვანი კი შეუპოვარნი და ძალუმნი, ძნელია ძალზედ ჩვეულებრივ დაჭერა მათი.

35. თავისთავად, ძნელი მოსათოკია გონი, არ უარყოფს ამას ღვთაებრივი აზრი, მაგრამ მიუხედავად ამისა, თვლის, რომ თავდადებული ძალისხმევით, მცდელობით, გავარჯიშებით და გულგრილობით ყველაფერი იმისაკენ, რაც რამ არის წარმავალი და ფარდობითი, დამორჩილდება გონება იმას, ვინც შეუპოვარია ღვაწლში, ასეთია ამის შესახებ მითითება ღვთაებრივი არსის.

36. ვინც თავის თავის ვერ მფლობელია, ჭვრეტა მისთვის ძნელი მისაწვდომია, მაგრამ ვინც სძლია თავი თვისი, საკუთარი თავით თავისივე თავთან ვარჯიშშია. და ასეთს ძალუძს აითვისოს სათანადოდ ეს ხელოვნება, მოღვაწეობა ჭვრეტის, ერთმიმართებულად გონის მოკრების.

37-39. არაგანდგომილი, მაგრამ რწმენით აღსავსე, ჭვრეტის ღვაწლის გულ ვერ დადებული, ჭვრეტაში წარუმატებელი თუ გადარჩება შეიძლება წარმოიშვას კითხვა.

40. ღვთაებრივი განმარტება ასე გვამოძღვრავს და გვეუბნება, რომ არც აქ და არც იქ იმ ქვეყანაზე არ იკარგება ღვაწლი სათნოებაში დამკვიდრების ძალისხმევის და კაცი ასეთი არ მიემართება უკეთური გზით.

41. ღვაწლით მიღწეული დონის შესატყვის სამყაროში ცათა შინა, უთვლელი ჟამის ცხოვრების შემდეგ წმინდა და ბედნიერ სახლში იშვება ჭვრეტაში წარმატებას ვერ მიღწეული კაცი.

42. ან და მართალ და ღვაწლის მცოდნეთა სახლში იშვება

იგი, მაგრამ ყველაზე ძნელია დაბადება ამგვარი ამ საწუროთოში.

43. იგი იქ მიიღებს წინა ცხოვრებაში მოპოვებულ ცოდნასთან ზიარებას და ხელახლა ახალი ძალით შეუდგება გზას სრულყოფისა და განწმენდის. წინა მოღვაწეობებში დაგროვებული მისწრაფებების ძალის მეოხებით.

44. თავის წინა მოღვაწეობიდან გამოყოლილი ჩვევის ძალით, იგი საკუთარი ნების გარეშე თავისდაუნებურად მიილტვის ჭვრეტის ღვაწლისკენ, და თუ კი იყო იგი მსურველი ჭვრეტის ხელოვნების გულწრფელად დაუფლებისა, გადალახავს ღვთისმსახურების მოღვაწეობას წარმოებულს მხოლოდ სიტყვით, გადალახავს ღვთისთაყვანისცემის აღსრულებას მხოლოდ გარეგნობით, და იქნება გულით ყოველთვის წარტაცებული ღვთისმსახურების უმაღლესი გზისკენ - ჭვრეტისკენ (გონებითი, შინაგანი ღვაწლისკენ).

46. ჭვრეტის ღვაწლი (ანუ უშუალოდ განწმენდა "გულის") აღემატება ხორცის დათრგუნის ღვაწლს, იგი ასევე არის უპირატესი მოღვაწეობაზე განსჯითი ღვაწლის, ღვთისმეტყველების, აღემატება იგი ასევე მოქმედებით (წესით და საქმით) მსხვერპლშეწირვასაც (მოქმედებით მსახურებას) ასე რომ, ღვაწლი უშუალოდ ჭვრეტის (გონის, გულის და მთელი არსების ერთ მიმართულებით მოკრების და მიმართვის) არის ყველაზე უმჯობესი, მოპოვებაა უცილობლად საჭირ მისი.

47. ხოლო უმჯობესი და უპირატესი მჭვრეტელთა შორის არის ის, ვინც საკუთარი თავით იმყოფება საკუთარ თავის შიგნით, გულში მდგომი, მყოფი შეგრძნებით ღმერთში, გულის სხვა არაფრისაკენ არ მიმართვით, მხოლოდ ღმერთისკენ მიმართული ერთგულებით, აი, ასეთი ითვლება უპირატესად ნაზიარებად შემოქმედთან (შინაგანი ღვაწლით).

ასე და ამგვარად, ღვთაებრივი სიმღერის დიად მოძღვრებაში "ერთარსი გონების" სწავლებაში, ჭვრეტის ღვაწლის განმარტებაში ნეტარ "ურყევ ყურადღებასა" და "ნათელ გონებას" შორის გაბაასებაში გვიქადაგებს თავი მეექვსე, წოდებული (გააზრება) ჭვრეტა ჭვრეტისა.

# თავი მეშვიდე, სინამდვილის გამორჩევაზე

1. ღმერთზე გონებით და გულით მიჯაჭვული ყოფნა, ჭვრეტისას ყურადღების მისკენ მიმართეა მასზე ფიქრი, სრულად არდაეჭვებით თუ როგორ ხდება როგორი ხერხით და საშუალებით, როგორი ფიქრით, განწყობით, რა ხედვით, რისი ხსოვნით ან რისი დანახვით ანუ როგორი ცოდნით" არის შესაძლებელი, ამას ავხსნით:

2. ამჟამად რასაც ვიტყვით ეს იქნება "ცოდნაც" (გონებრივი ხატი, გააზრება, ყურადღების თავმოსაყრელი გააზრება, ხედვა, განწყობა, გრძნობა, შეხედულება), და ასევე საკუთარი თავის შეცნობაც, ვინც ეს იცის მისთვსი აქ ამ წუთისოფელში აღარაფერი აღარ რჩება შესაცნობი.

3. ათასი კაციდან დიდი-დიდი თუ ვინმე ერთი მიისწრაფვის სრული მიღწევისაკენ, მოსურნეთაგან და ჭვრეტაში წარმატებულთაგან დიდი-დიდი თუ ვინმე ერთმა ჭეშმარიტად შეიცნო ღმერთი.

4. სიმყარე (მიწა), სითხე (წყალი), სითბო (ცეცხლი), ჰაერი (გაზი), სივრცე (დრო), გონება (გრძნობა-აზროვნება), ცნობა (ნება) და თვითშეგნება (პიროვნება) არიან ნაწილები (ხარისხები, მდგომარეობები) შესაქმისა (ბუნებისა, შექმნილი, გამოვლენილი სამყაროსი).

5. იგია ქვენა, მაგრამ არის განსხვაევებული მისგან, უზენაესი ბუნება ღვთისა, სიცოცხლე, (სული), არსებული, სული ცოცხალი, სული სამყაროს მომცეელი (და განმსჭვალავი) ვის მიერაც შეკავებულია და არ იშლება ეს წარმავალი წუთისოფელი, და აი ამის "ცოდნა" (ხსოვნა) საჭიროა და აუცილებელი.

6. ყველა არსება მისი სამყოფელია, წვდომა საჭიროა ამის, იგია მთელი სამყაროს საწყისი და ასევე მისი დასასრული.

7. მასზე უმაღლესი არაა არაფერი, მასზეა ასხმული ეს ყველაფერი ვით ძაფზე მარგალიტები მძივის მაგვარად.

8. იგია გემო წყლისა და ბრწყინვა მთვარის, ასევე ნათება მზისა, იგია სიტყვა ცხოველისმყოფელი, შემოუსაზღვრავი, ყველაფრის მომცეელი ყველა გალობაში და წმინდა წერილში

- ესაა სახელი ღვთისა, ბგერა სიერცეში და ასევე იგია ადამიანობა ადამიანში.

9. იგია სურნელი მიწისა მიწაში, ნათება ცეცხლში, იგია სიცოცხლე ყოველ ცოცხალ არსებაში, იგია თავდადება მოღვაწე კაცში.

10. "იცოდეს" კაცმა, დე დაინახოს ღმერთი ვითარცა თესლი მარცვალი მარადი, ყოველ არსებაში, იგი არის გონება გონიერთა, და გულადობა მამაცთა.

11. იგია ძალა ძლიერთა ვნება-სურვილზე არ მიჯაჭვულთა, იგია ტკბობის სურვილი არსებებში წესს და რჯულს რაც არ ეწინააღმდეგება.

12. სიმშვიდე, ჯიბრი და გაუბედაობა არსებობის ეს სამი საფუძველი არიან წარმოებულები მისგან, მაგრამ გარჩევაა საჭირო იმის, რომ ესენი არიან მოთავსებულნი მასში და არა პირიქით თითქოს და უფალი მათში.

13. ამ სამი თვისებებით (სიმშვიდით, ჯიბრით, გაუბედაობით; წონასწორობით, მოქმედებით და უძრაობით; შენახვით, აღმშენებლობით და რღვევით; ძალდაუტანებლობით, ძალდატანებით და ინერციით (ხიბლში მყოფი მთელი ეს საწუთო ვერ სცნობს და ვერ ხედავს უფალს, მყოფს მათზე ზემდგომად, წარუშლელ ღვთაებრიობას.

14. ღვთაებრივი ბუნებისაა ნამდვილად ამ სამ თვისებისგან შემდგარი ძნელადდასაძლევი ბუნება, ფარდობითი, მაგრამ ღმერთზე მინდობილი გადამლახველია ამ ფარდობითობის, ბუნების ბორკილების.

15. უგნური კაცი კი ვინც ბოროტს თესავს, მდაბიო და უბადრუკი, უგულველყოფს უფალს, არ ენდობა ღვთის ნებას და ღვთაებრივი ფარდობითობის ძალით მოხიბლული ცოდნაგანძარცვული ემყარება ბნელთა ბუნებას მათ გაგებასთან ზიარებულს ფერი ეცვლება მათი შეგნებით.

16. მოღვაწეობს კაცი ღვთისათვის ოთხი რამით განპირობებული: უბედურებაში შეების გამო, ცოდნის და რწმენის მოპოვებისთვის, ძალაუფლების მიღწევისათვის და უბრალოდ ღვთის სიყვარულის გამო, ღვთის "ცოდნისათვის".

17. მათ შორის (ღმერთისადმი ამ ოთხ დამოკიდებულებას

შორის) "მცოდნე" გამოიყოფა ვითარცა მუდმიეად ღმერთის ერთგული, მხოლოდ ერთი ზრახვით მოცული და ანთებული - სხვა ყველაფრისაგან გამორჩეულად ღმერთის ყურადმღებელი და თაყვანისმცემელი, მხოლოდ მასზე მფიქრებელი, ძეირფასია უფალი "მცოდნისთვის" და ასევე ძვირფასია იგიც ღვთისთვის.

18. ეს ოთხივე განწყობა გულის და დამოკიდებულება ღვთისკენ სვლისათვის წარმატების საწინდრად უნდა ჩაითვალოს და საკმაოდ, მაგრამ მხოლოდ კაცი "მცოდნე" არის ჭეშმარიტი რწმენის მქონე და თანაზიარია ღვთისა, საკუთარ თავში დგომით, მყოფი ღმერთის მიმართ ერთგულებით, აღწევს უმაღლეს სამყოფელს იგი ღმერთში (განსვენებით).

19. მრავალ დაბადების შემდგომ "მცოდნე" აღწევს უზენაესს, "სათნოების ნათელი არისო ყველაფერი" ასეთი ფიქრით, ამ განწყობით ფიქრობს ღმერთზე კაცი სულგრძელი, იშვიათობა თვით მოღვაწეთა შორის.

20. ისინი კი, ვისი "ცოდნაც" (ღმერთის გააზრება, ხედვა, ხსოვნა ან შეგრძნება) გაზრდილია სხვადასხვა ნდომით და სურვილით, მუხლს უდრეკენ სხვა ღვთაებებს (სხვა მიზნებს) მრავალ წესთა და აღთქმათა აღსრულებით საკუთარი მიდრეკილებებისა და მიხედვით.

21. მაგრამ რა ხატებასაც არ უნდა სცემდეს თაყვანს კაცი რწმენით იმ რწმენას ურყევს იძლევა ერთარსი ღმერთი.

22. განმტკიცებული ამ რწმენით კაცი ისწრაფვის იმ ღვთაებისაგან მიიღოს ნასურვები და თუკი ეძლევა მას რაიმე შესატყვისად საკუთარი რწმენის, ეძლევა ეს მხოლოდ ერთარსი ღვთისგან.

23. მაგრამ წარმავალია ეს ნაყოფი მათი, მიღებული არასრულყოფილი გააზრებით ღმერთისა. რადგან იმ ღვთაებას ეზიარება ადამიანი, რომელსაც უხმობდა და თაყვანსა სცემდა.

24. დაფარულის ხილულად გამოვლენას სთვლიან ღვთის სახეს და ხატებას არაგონიერნი (გამოვლენილ სახეს, შესახედაობას ანცალკევებენ არსისგან) უმაღლესი,

წარუშლელი, უფაქიზესი არსების მის გამოსახულებაში ვერ დამნახველნი.

25. იგი არაა ყველასთვის მისაწვდომი, მის მიერვე შექმნილი ფარდობითობის გარემოცულობის ძალით და გამოისობით, ეს მოხიბლული წუთისოფელი ვერ სცნობს მას წარუშლელს და არშობილს (დროით და სიერცით და ნივთიერებით შემოსილს).

26. მან თავად კი იცის აწმყო, წარსული და მომავალი, ასევე ყოველი არსება არსებული, მაგრამ თავად იგი კი არ იცის არავიან.

27. ნდომისა და ზიზღისგან, არნდომის განწყობიდან წარმოშობილი დაპირისპირების ცდომილებიდან ყველა არსება დაბადებიდანვე ხიბლის და მოჩვენების სიბრმავეში შედის.

28. მაგრამ გულით მართალნი (მხოლოდ სინამდვილისკენ, ჭეშმარიტებისაკენ, არსებითისკენ მიპყრობილი გულის მეოხებით) შინაგანად ცოდვებისაგან თაედაღწეულნი (თავის არ გამართებელი) თავის მოტყუებისა და დაპირისპირებისგან განდგომით (აღწევენ) ყურადღების მიპყრობას მისადმი და ამით პატივის მიძღვნას ღეთისადმი, აღთქმებში მტკიცე დგომით.

29. სიბერისა და სიკვდილისაგან თავის დახსნას ვინც მიელტეის და ამის გამო თავშესაფარს უფალში ეძებს (ეძებს თავშესაფარს "მოქმედების მიმართ ურყევ ყურადღებაში") ის ერთარს გონებას (გონის საწყისის სხიეოსნობას) სრულად შეიცნობს, ასევე სრულად შეიცნობს უზენაეს საკუთარ შინაგან არსს (შეიცნობს ღმერთთან საკუთარ მსგავსებას და თანაარსობას) და ასევე შეიცნობს მიზეზთა და შედეგთა ქმედების ჯაჭვს (და მდინარებას ბედისას).

30. მან, ვინც "იცის" (ახსოვს, შეიგრძნობს ან ხედავს) ღმერთი ვით ყოფიერების არსი უმაღლესი, ვით უმაღლესი ღვთაებრიობა, ვით მსხვერპლის გაღება უმაღლესი (და მსხეერპლის გაღების მიზანი უმაღლესი) სხეულიდან გასვლის ჟამსაც კი შემძლე იქნება ახსოვდეს ღმერთი (ამდაგვარი სულის განწყობით, რადგან გონების ღმერთისკენ ასეთი

მიპყრობით იგი იქნება) ვითარცა მასთან შეკავშირებული გონებითა და გულით, მისით განმსჭვალული და მასთან ზიარებული.

ასე და ამგვარად, ღვთაებრივი სიმღერის დიად მოძღვრებაში "ერთარსი გონების" სწავლებაში, ჭვრეტის ღვაწლის განმარტებაში, "ნეტარ ურყევ ყურადღებასა" და "ნათელ გონების" შორის გაბაასებაში გვიქადაგებს თავი მეშვიდე წოდებული "სინამდვილის გამორჩევის ჭვრეტა".

## თავი მერვე, "ერთარს გონებაზე"

1. ვინ (რა) არის "ერთარსი გონი" განუყოფელი გონი (ფუძე გონების, სხივოსნება გონების არსის) ვინ (რა) არის ზემდგომი არსი საკუთარ თავში, რა არის მიზეზი ბედის განპირობების, რა იწოდება უმაღლეს სინამდვილედ, ეის ჰქვია ზემდგომი ღვთაება.

2. რა არის ყველაზე დიდი მსხვერპლი და როგორ შეიწირება ამ სხეულში, გარდაცვალების ჟამს როგორ შეიცნობა ღმერთი ერთგულთა მიერ (აი განწყობები გონების, გამომწვევენი თავის შეცნობის სურვილის ალძვრის).

3. "ერთარსი გონი" განუყოფელი გონი (ფუძე გონების, სხივოსნობა გონების არსის) არის უკიდურესად შემოუსაზღვრავი ყოვლისმომცველი უზენაესი უსაზღვროება მზერის გამთლიანება, გაერთიანება ყოვლის (სიტყვა ამოუწურავი); საკუთარი არსება, "მე", "გული" - არის უზენაესი არსი, თვითშეგრძნება; ბედის მიზეზი და განპირობება კი, მოქმედების უნარი და შესაძლებლობაა ამ ქვეყანაში საკუთარი ნებით.

4. უმაღლესი სინამდვილე - შეგრძნობაა წარმავალობის; ღვთაება ზემდგომი კი მოწმე, მაყურებელი, შინაგანი, არსება, სული "მე"; უმაღლესი მსხვერპლი კი - ყურადღება განუყოფელი და უცვლელი ამ სხეულში.

5. ვისაც ამ სხეულიდან გასვლის ჟამს ახსენდება "ერთარსი გონი" განსხეულებული გადავა ერთარსი ღმერთის სამყოფელში ეჭვის გარეშე თუა ეს ხსოვნა მისი.

6. რამეთუ ვინც რა არსს (არსებას, საგანს ან მდგომარეობას) იხსენებს გასვლისას სხეულს რომ ტოვებს (იქნება ეს შიშით, სიყვარულით თუ გამოწვეული სხვა რამით) იმ არსის (არსების, საგნის ან მდგომარეობის) თანაზიარი მას ერწყმის იმ არსად ქცეული.

7. ასე რომ, საჭიროა ყოველქამს ღვთის ხსოვნა და ამ ხსოვნით დე მოქმედებდეს მოღვაწეობაში მყოფი კაცი, გულითა და გონებით ღმერთისკენ მიმართულით, რაც არის საწინდარი ღმერთთან მისვლისა ეჭვის გარეშე.

8. გონებით მიცემული ჭვრეტის მოღვაწეობას - გონებით ლოცვას, გონების თავმოყრას, სხვა არაფერზე არ მოცდენილი ყურადღებით, მიემართება უზენაეს სულთან - აღმქმელთან ის, ვინც მასზე ფიქრობს გამუდმებით.

9. ღმერთზე ვინც ფიქრობს ვითარცა ბრძენზე, უძველესზე, წინამძღვარზე, უფაქიზესზე და უმცირესზე, სამყაროს შემოქმედზე, წარმოუდგენელზე რაიმე სახით, მზისფერზე, ბნელეთის მიღმა მყოფ უზენაეს უკუნეთზე (ვინც ასე გრძნობს და ასხოვს).

10. განსვლის ჟამს ურყევი გულით და გონით, ჭვრეტის განსორციელებით (გონების თავმოყრით და გამახვილებით) მთელი ძალისხმევით ყურადღებისა და გრძნობა-შეგრძნებათა ძალების წარბთ შორის (შუბლის სივრცეში) თავმოყრის მეოხებით აღწევს უზენაეს ღვთაებრივ აღმქმელს, სულს უზენაესს იგი აღწევს.

11. იმას, ვისაც მცოდნენი უწოდებენ ამოუწურავს, წარუშლელს, ვისკენაც მიისწრაფვიან ვნებათაგან განთავისუფლებული მოსაგრენი, მწირნი მოგზაურობით ვისაც დაეძებენ, იმ სიტყვას განეაცხადებო მოკლედ.

12. სხეულის ყველა ბჭის, ყურადღების გარეთ გამავალ ორგანოთა დახშობით, გონების "გულში" მიპყრობით შეგრძნების და მზერის, შინაგანში გაჩერებით და საკუთარი არსებობის შეგრძნების საკუ[illegible] თავის გრძნობის შუაგულში ჩაყენებით, თავში ყურადღების მოთავსებით, შეხების გრძნობის შუბლის უკან გაჩერებით, საკუთარი არსების შეგრძნების შეკუმშვის შეკავებით, მიიღწევა ურყევი

მეტრიალება საკუთარ თავში, რითაც ჭერეტის მდგომარეობის სიმტკიცეს აღწევს კაცი.

13. მხოლოდ ერთი სიტყვის - ღმერთის სახელის გამოუთქმელად წარმოთქმით, ხმობით, ამ ერთი უწყვეტი უზენაესი ბგერის წარმოთქმით წარმოდგენების გარეშე მზერის ერთ წერტილზე შეკავებით ღმერთი ახსოვდეს მთქმელს, და ამგვარი ხსოვნით ვინც გავა სხეულის დატოვებისას იგი მიაღწევს ადგილს უზენაესს.

14. სხვა არაფერზე თუ არ ფიქრობს, გამუდმებით ვისაც ახსოვს ღმერთი, ასეთისათვის, გამუდმებით ერთგულად მდგომისთვის ღვთის მზერის წინაშე, მიღწევა ხდება ადვილი ღმერთამდე.

15. ღმერთთან მისული სული დიდსული, განწმენდის სრულყოფას მიღწეული აღარ იღებს ახალ დაბადებას ამ გასაჭირისა და წარმავლობის სამყოფელში.

16. "ცანი" (აღქმის ხარისხები ცნობიერებისა) ერთარსის ცამდე, უკლებლივ ყველა ექვემდებარებიან წრიული ბრუნვის კანონს, წესს უკუგების (გაცემულის მიღების), მაგრამ კაცი მიმღწევი გონების ერთარსობის, (ცნობიერების ფუძის, განსხივოსნებული გონების) აღარ განიცდის ხელახალ დაბრუნებას წუთისოფელში.

17. მან, ვინც "იცის" (ახსოვს, აქვს ყურადღებული) თუ რა არის ერთი "დღე" უზენაესის, რომელიც მოიცავს ათას ჟამს წუთისოფლის შექმნის ჟამისას, და "იცის" ღამე ღმერთისა, შემცველი ათასი ჟამის, მან შეიცნო დღე და ღამე შემომქმედის (სამყაროს შექმნის და შექმნის წინა მდგომარეობის).

18. დაფარულიდან წარმოიშვება ნათლად ხილული დღის დადგომისას, ღამის მისვლის ჟამს კი ქრება ყოველი იმაში, რასაც (ვისაც) უწოდებენ ფარულს, არგამოვლენილს.

19. ეს აუარება არსებანი განმეორებით დაბადებულნი, საკუთარი ნების გარეშე ქრებიან ღამის დადგომისთანავე და კვლავ ვლინდებიან, როდესაც დგება დღის ჟამი.

20. ამ დაფარულის ზღვარს იქით არსებობს არსებობა სხვაგვარი, ყოფნა-მარადიულად ფარული, რომელიც არ იღუპება სხვა ყველა არსების გაქრობასთან ერთად.

21. დაუნახველს, წარუშლელს, არ შემოსაზღვრულს უწოდებენ მას, გზას უზენაესს, მისი მიმღწევი აღარ ბრუნდება უკან, იგია სასუფეველი უზენაესი ღმერთის არსების.

22. იგი ზემდგომი "მე"-ა, აღმქმელი (საკუთარი არსების უზენაესი საფუძეელი) მოწმე უზენაესი, მიიღწევა განუყოფელი ერთგულებით (ყურადღებით) და მინდობით, მასში არსებობენ ყველა არსებები, მისით განმსჭვალულია ეს წუთისოფელი.

23. როგორ ჟამს გადიან დაუბრუნებლად და როგორ ჟამს გადიან უკან დაბრუნებით მჭვრეტელნი აეხსნით ქვემოთ:

24. ჭვრეტისას, ან განსხეულების დროს (თუ თვალთახედვის წინ ვლინდება) ნათება ცეცხლის, დღის სინათლე, ბადრი მთვარე (ნათებით) მზის (სიკაშკაშე) ექვსთვიანი სვლისას ჩრდილოეთით, ამათ დროს თუ გავიდა კაცი, რომელმაც "იცის" (ახსოვს) ერთარსი გონი (სხივოსანი ფუძე გონების) მიემართება ერთარს გონებასთან (გონების სხივოსნობასთან).

25. კვამლი (ბუნდოვანება სივრცის), ღამე ბნელი მთვარე (მიმქრალი სხივოსნობა), ექვსთვიანი სვლისა მზისა სამხრეთით, აქ მთვარის შუქში შესვლის შემდგომ (უსხეულო მდგომარეობისას) უკან ბრუნდებიან მჭვრეტელნი.

26. ნათელი და ბნელი ეს ორი გზა ითელება მუდმივად სამყაროში (რაიმე მესამე არ არსებობს) ერთით მიდიან დაუბრუნებლად, მეორეთი კი ბრუნდებიან უკან.

27. თუკი მჭვრეტელმა "იცის" განსხავება ამ გზების, იგი აღარ შეცდება მათ გარჩევაში შემდგომ, და ამიტომ, არის საჭირო, რომ სწორად წარმართული ჭვრეტის ერთგული იყოს კაცი.

28. გალობებში, მსხვერპლში, თავდადების ღვაწლში, ასევე ძღვენში (და ყველანაირ ღვთის მსახურებაში და რელიგიურ მოღვაწეობაში) რაც არის არსებითი, რაც მოიპოვება მათი მეოხებით, იმას მოიცავს ღვაწლი უშუალოდ ჭვრეტის (გონის თავმოყრის, შინაგანი გონებითი ლოცვის), კაცი ჭვრეტის ხელოვნებას ნაზიარები: მყოფი ჭვრეტის ღვაწლში, აღმატებული სხვა ყველა სათნოებაზე და სხვა ყველა

მოღვაწეობაზე ზემდგომი, შედის პირეელსაწყისის უზენაეს სამყოფელში.

ასე და ამგვარად, ღვთაებრივი სიმღერის დიად მოძღერებაში "ერთარსი გონების" სწაელებაში, ჭვრეტის ღეაწლის განმარტებაში ნეტარ "ურყევ ყურადღებასა" და "ნათელ გონებას" შორის გაბაასებაში გვიქადაგებს თავი მერვე წოდებული "ერთარსი გონების ჭვრეტა".

## თავი მეცხრე, სრულყოფილ "ცოდნაზე"

1. ეხლა ითქმება შინაგანად, არგანცხადებულად, გონებით და გრძნობით წარმოებულ გულისმიერ სამუშაოზე, ღმერთზე საფიქრელ, გასააზრებელ მოცემულობაზე, უზენაეს "ცოდნაზე" (ყურადღების მისაპყრობ შინაგან გონებრივ ობიექტზე), რომლის მეოხებით და შეცნობით თავისუფლდება უკეთურისაგან მისი მცოდნე.

2. სამეუფეო სწავლება, სამეუფეო საიდუმლო (პირადი, სხვებისთვის არგანცხადებული, შინაგანი გონება-განწყობითი ღეაწლი) იგია უმაღლესი განმწმენდელი, თვალნათლივი (არა ოცნებითი ან მოგონებითი) მისაღწევი, კანონზომიერი, ადვილად საქმნელი, წარუშლელი.

3. ის, ვინც არ დაიჯერებს ამ სწავლებას და მას არ მიჰყვება ღმერთს ვერ მიღწეული (სხეულის, კვდომის შემდგომ) ბრუნდება უკან სიკვდილისა და წრებრუნვის გზით.

4. ღმერთით, უზენაესით, ერთარსი გონით (ცნობიერების სხივოსანი ფუძით) აღმქმელით (სულით) განმსჭვალულია მთელი ეს სამყარო ფარული სახით, მასში არსებობენ ყველა არსებები, მაგრამ თვით იგი არ იმყოფება მათში.

5. და ასევე, ამავ დროს არ არიან არსებანი უშუალოდ მასში (აი, საკვირველება ღვთაებრივი ფარდობითობის კანონის) საჭიროა დანახვა ღვთის ამ საოცრების (კერძოდ იმისა, რომ ყველაფერი ღმერთშია და ასევე, რომ ღმერთია ყველაფერში, მაგრამ ამავ დროს ის, რომ არაფერი არსებული ღმერთი არ არის და, რომ არაფერ არსებულში ღმერთი არ არის) აი ეს არის საუფლო ჭვრეტა (ხედვა, შეგრძნება ამ

სამყაროში ღმერთის და ამ სამყაროსი ღმერთში დანახვის) არსებათა მატარებელი, მაგრამ არ მყოფი არსებებში იგია თვით არსებათა შემომქმედი, დასაბამი წუთისოფელის.

6. ვითარცა ყველაფრისგანმსჭოლი დიადი ქარი ყოველთვის არსობს და იმყოფება სივრცეში, ასევე ყველა არსება იმყოფება და რჩება ღმერთში, საჭიროა ჩაწვდომა ამის.

7. ყველა არსება შედის ღვთის ბუნებაში გამოვლენის დასასრულს და გამოვლენის დაწყებისას უფალი მათ წარმოშობს ისევ.

8. თავის ნამოქმედარში არ მყოფი უფალი წარმოშობს ამ უამრავ არსებებს მათი ნების გარეშე ისევ და ისევ, ბუნების კანონზომიერების და ძალის მეოხებით.

9. ხოლო თავად მას, შემომქმედს ამ ყოვლის, არ ბოჭავენ ეს მოქმედებები და საქმენი, იმყოფება რა არათანამონაწილე, მიუბმელი საკუთარ შემოქმედებასთან და განზე მდგომი.

10. მისი მეთვალყურეობით ბუნება იღწვის და წარმოშობს მოძრავს და უძრავს და ამ მიზეზით წრებრუნვაშია ეს წარმავალი სამყარო-წუთისოფელი.

11. არაგონიერნი შეურაცხყოფენ უფალს, როდესაც იგი ადამიანის სახეს იღებს. არ უწყიან რა მისი უზენაესი არსი, არსებათა დიადი მეუფის.

12. ამაოა იმედები, ამაოა საქმენი, ამაოა ცოდნა, მოღვაწეობა და ძალისხმევა ვინც მინდობილია ამასოფლიური სარგებელის პოვნას, ხორცთმაამებელთა სწავლებას და დარიგებას. არა ნათელთა, შეცდომილი ბუნების მქონეთა მითითებას, არაგონიერია მათი მინდობა.

13. დიდსულოვანნი კი ღვთაბრივ ბუნებას მინდობილნი და მიმთხვეულნი, განუყოფელი ფიქრით - აზროვნებით ყურადღების ღმერთისკენ მიპყრობით პატივს მიაგებენ უზენაესს, ყოველი არსების წარუშლელი საწყისის შეცნობით მას თაყვანს სცემენ.

14. გამუდმებით მისი დიდებით (სიტყვით), აღთქმების მტკიცედ აღსრულებით, ეთაყვანებიან ღმერთს მოსაგრენი მისი შეგრძნებით და გამუდმებით მისკენ მიმართული

გონებრივი მზერით.

15. სხვანი კ ასეეე, მსხვერპლს გაიღებენ გონებრივი ღვაწლით, გონებრივი ქმედებით, "ცოდნის" მსხვერპლის გაღებით, პატივისმცემელნი, შემგრძნობნი ღვთისა ვით ერთარსებისა, ვით მრავალფეროვნებისა, ვით ორმხრივობისა, მრავალსახისა, ყველგანმყოფისა.

16. იგია წესი მსხვერპლშეწირვისა, იგია მსხვერპლი, იგია წინაპართა ხსოვნა, იგია ფესვი, იგია ლოცვა, იგია სამსხვერპლო ზეთი, იგია ცეცხლი, იგია მიძღვნა.

17. იგია მამა მთელი სამყაროსი, დედა, შემომქმედი, წინაპარი, საგანი ცოდნისა, განმწმენდელი, სიტყვა ჭეშმარიტებისა - სახელი ღვთისა, იგია წერილი წმინდა და ხედვა.

18. იგია გზა-მიზანი, მეუღლე მარჩენალი, დამრიგებელი, მოწმე, სავანე, მფარველი მეგობარი, წარმოშობა, გაქრობა, საყრდენი, საგანძური, თესლი, მარცვალი უკვდავი და წარუშლელი.

19. იგია სიმხურვალე, ბუნების მამოძრავებელი, იგი უკვდავებაა და ამავე დროს სიკვდილი, იგია ყოფიერება და ამავე დროს არყოფნა.

20. წმ. წერილის - რჯულის (მოცემული ხედვების), მცოდნენი, წესის აღსრულებით ზიარებულნი, აღიარებით ცოდვებ განწმენდილნი, მსხვერპლის შემწირველნი ლოცვათა ღაღადით (გარეგნული მოქმედებითი ღვაწლით) ზეციური გზის მსურველნი მიაღწევენ რა ცათა სასუფეველს სიკვდილს შემდგომ გემულობენ ნეტარებას ღვთაებრივს და ზეციურს.

21. მანამ სანამ არ დაშრეტენ დამსახურების შედეგს, რის შემდგომ ხვდებიან მოკვდავთა სამყაროში, ამრიგად მისდევენ რა წმინდა წერილთა და რჯულის კანონთა აღსრულების წესს, სასურველის მსურველნი აღწევენ აღმასვლას და დაღმასვლას მხოლოდ.

22. ხოლო, ვინც გამუდმებით ერთაზროვნებით ერთგულებენ (გონების თავმოყრას) და არ ფიქრობენ რაიმე სხვაზე, ყურადღებას მიაპყრობენ მხოლოდ ერთარსს, ისინი გრძნობით ზიარებულნი უფალს, ჭვრეტის სიმშვიდეში შეჰყავს

მაცხოვარს.

23. ხოლო, ვინც ეთაყვანება სხვა ღვთაებებს და მსხვერპლს სწირავენ მათ სასოებით და რწმენით, ისინიც მას, ღმერთს ერთარსს სწირავენ იმ მსხვერპლს თუმც კი არაპირდაპირი წესით, არაპირდაპირი გზით.

24. რამეთუ ერთარსი ღმერთი (ფუძე გონების, საფუძველი სამყაროსი, არსი ქმნილების) არის მიმღები და უფალი ყოველი მსხვერპლის, მაგრამ მას ისინი ვინც სხვა ღვთაებებს მიაპყრობენ ყურადღებას ჭეშმარიტად ვერ შეიგრძნობენ და ამიტომ რჩებიან განზე (მისი შეცნობისგან).

25. ღვთაებებთან მიდიან ღვთაებების თაყვანისმცემლები, გარდაცვლილ სულთა სამყოფელში - გარდასულ სულთა თაყვანისმცემლები, ძალებთან და საწყისებთან - ძალების მოსურნენი, ხოლო სული წმინდის მოსიყვარულენი მიდიან მასთან (ცოცხალს სინათლესთან).

26. ფოთოლი, ყვავილი, ნაყოფი, წყალი ან სულერთია სულ მცირედიც კი რაიმე (მიძღვნა აღსრულებული ყურადღებაში დგომით, ღმერთში მყოფობის შეგრძნებით) მოწიწებით მიძღვნილი სული წმინდისთვის, მიიღება ასევე მოწიწებით სული წმინდის მიერ, იმათგან ვისაც მორჩილი და თვინიერი აქვს გული.

27. რასაც არ უნდა აკეთებდეს ადამიანი, რასაც არ უნდა ჭამდეს, რასაც არ უნდა იძლეოდეს, რასაც არ უნდა სწირავდეს მსხვერპლად, რა ღვაწლს არ უნდა იქმოდეს დე მოქმედებდეს, დე აკეთებდეს ამას ყველაფერს ვითარცა ღვთისადმი მიძღვნას.

28. ამგვარი მოქმედებით თავისუფლდება კაცი, როგორც კარგი ასევე ცუდი შედეგის ზეგავლენისგან, მათზე დამოკიდებულებისგან და მოქმედებებში შებორკვისგან, ზიარებული საკუთარ სულს ჭვრეტით (თვით ყურადღებით, უკან შებრუნებით) განთავისუფლებული შინაგანად უახლოვდება სული წმინდას.

29. უფალი ერთნაირია ყველა არსების მიმართ, არ არის მისთვის არც სასურველი და არც საძულველი, მაგრამ ის მოღვაწენი, რომელნიც იღწვიან მის მიმართ განუხრელი

ყურადღებით და ამით მას თაყვანს სცემენ, მასში არიან და იგიც მათშია.

30. და თუნდაც ძალზე ცუდი ნამოქმედარის მქონემ თუ სული წმინდის მიმართ ჰპოვა ერთგულება და სხვა არაფერს აღარ ემონება გულით, იგი ჩაითელება გულმართალ კაცად, ვითარცა სწორი გადაწყვეტილების ამომრჩევი, მიზნისკენ სწორი გზით უდრეკად მავალი.

31. მალე ასეთი გადაწყვეტილების და არჩევანის მქონე კაცი, გახდება მართალი და წმინდა (რამეთუ სწორი არჩევანით გარდაქმნა დაიწყო შინაგანით) და მარადიულ სიმშვიდეში შევა, ასე რომ, იმის შეგნებაა და რწმენა აუცილებელი, რომ არ იღუპება ღმერთის ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი.

32. რადგან ის, ვინც ეძიებს სული წმინდის მფარველობას თუნდაც იყოს მდაბიო დაბადების ან და შობილი ქალად (ვნებებს დამოკიდებული და ამპარტავანი) ან კაცი ანგარი, ვაჭარი, ან და მოსამსახურედ, მონად გაჩენილი, თუ დაბადებიდან საგნებს ან ტკბობას მიბმული ან და საკუთრებას ჩაჭიდებული და სიკვდილის შიშით შეპყრობილი, იგი მაინც მიდის გზით უზენაესით.

33. მითუმეტეს, წმინდა და კეთილმორწმუნე მოაზროვნენი ან კიდევ უზენაესი გზის მცოდნენი, და თავადნი, ასე რომ, შემოსულმა დაბადებით ამ წარმავალ და ცვალებად საწუთროში, ტანჯვით და უსიხარულობით სავსეში, თაყვანი უნდა სცეს უფალს (ანუ ღმერთს მიუძღვნას ყურადღება).

34. იფიქროს მასზე, პატივს მიაგებდეს, მსხვერპლს მისთვის გაიღებდეს, მას მსახურებდეს, აი ასე შესძლებს მასთან მიახლებას ადამიანი მას მინდობილი, მისი, უმაღლეს მიზნად ამღები, საკუთარ თავში მისი მიმღწევი.

ასე და ამგვარად, ღვთაებრივი სიმღერის დიად მოძღვრებაში "ერთარსი გონების" სწავლებაში, ჭვრეტის ღვაწლის განმარტებაში ნეტარ "ურყევ ყურადღებასა" და "ნათელ გონებას" შორის გაბაასებაში გვიქადაგებს თავი მეცხრე წოდებული სრულყოფილი "ცოდნის" ჭვრეტა.

∴

## თავი მეათე, ხილულ ხატებზე

1-2. მაშ ასე: სული წმინდის წარმოშობა არ იცის არვინ, არც უსხეულოთა ნათელმა დასებმა, არც ღმერთშემოსილმა მოციქულებმა და არც განსხივოსნებულმა დიადმა მოძღვრებმა, რადგან იგია საწყისი ყველა ღვთაების და ყველა დიადი მოძღვრის.

3. ვინც "იცის" (გაუაზრებელია, ფიქრობს, შეიგრძნობს, ახსოვს) იგი დაუბადებელი, უსაწყისო, დიადი მეუფე სამყაროსი, იგი არ ცდება და სწორია მოკვდავთა შორის, თავისუფლდება ყოველი ცოდვისგან იგი.

4. გონიერება, წვდომა, თავმდაბლობა, ეჭვის არ ქონა, მოთმინება, გულწრფელობა, თავშეკავება, მყუდროება, სიხარული, ტანჯვა, წარმოშობა და რღვევა, შიში და უშიშრობა.

5. თვინიერება - არძალადობა, გაწონასწორებულობა, კმაყოფილება, თავდადება, გულუხვობა, მოწყალება, ღირსება და უღირსობა ასეთია მრავალგვარი მდგომარეობები კაცის (გონების, გულისა და განწყობის) ღვთისაგან დაშვებული.

6. შვიდი დიადი ყოვლისმომცველი სიბრძნის მღუმარება სამყაროსი (განზომილებები გარკვეული გონებრივი წყობის) ასევე ოთხი მდგომარეობა გონის (პირველსაწყისის) დაბადებულნი ღმერთის არსებიდან, მისი არსიდან გონებით და გულით, მათით არიან ეს არსებები, (ისინი წარმოადგენენ ფუძეს შესაქმესი).

7. ვინც დიად გამოვლენას ჭვრეტს (უმზერს ამ წუთისოფელს არაფრის მიმართ არ მიკერძოებით, ანუ ჭვრეტით (და ერთდროულად ამასთან ერთად "იცის" (ხედავს, ახსოვს, იაზრებს) უფალი ამ სინამდვილეში, იგი განუყოფელი ჭვრეტით გამგდებია ეჭვის (ხიბლის, მოჩვენების).

8. ღმერთია საწყისი სამყაროსი, მისგან იშვება ყველაფერი, ამას ჩამწვდარნი მას ეთაყვანებიან გონების და გრძნობის გაწონასწორების (გონის თავმოყრის, ჭვრეტის ლეაწლის) მსხვერპლის მიძღვნით.

9. ღმერთზე ფიქრით, სიცოცხლის ღმერთზე მინდობით,

ისინი მოძღერავენ ურთიერთს, გამუდმებით მასზე მობაასენი, ხარობენ და მშვიდდებიან (მისი ხსოვნით).

10. მათ, გამუდმებით დაკავშირებულთ გრძნობით (ღმერთთან), აღვსილთ მის მიმართ დამოკიდებულების განწყობით, უფალი ასაჩუქრებს გონების თავმოყრით, ჭვრეტის ხელოვნების დაუფლებით, რომლის მეოხებით სული წმინდას აღწევენ ისინი.

11. ღვაწლში თავდადებულებს თანაგრძნობის და მოწყალების გულისთვის არცოდნის სიბნელეს უფანტავს საკუთარ არსში ("მე"-ში, გულში) დამკვიდრების "ცოდნის" მეშვეობით წარმოშობილი განსხივოსნებით ღმერთი.

12. "ნათელი გონება" თუ მიუკერძოებლად გაიაზრებს იმას, რაც ითქვა ზემოთ დასაწყისიდან აქამომდე, არ შეიძლება არ აღიაროს, რომ: სული წმინდა არის ერთარსი გონი, უზენაესი საფარველი, უმაღლესი განმწმენდელი, უზენაესი მარადიული სული.

13. რომ იგი არის ღმერთი უპირველესი, დაუბადებელი, უმაღლესი უფალი, ასე უწოდებენ მას ღირსნი მამანი, მოძღვარნი და მოსარგენი.

14-15. მისი აღქმა არ ძალუძთ სრულყოფილად არც ზეციურ ღვთაებებს, ნათელთა დასებს, არც უსხეულო ნათელ არსებებს, თვით მან კი იცის საკუთარი თავი საკუთარივე თავით, იგია საწყისი არსებათა, მეუფე არსთა, უფალი სამყაროსი, ღვთაება ღვთაებათა.

16-17-18. რა ძალთაგამოვლენით მკვიდრობს სული წმინდა ამ სამყაროში და როგორი ხატებებით უნდა შევიცნოთ იგი, მასზე როგორ ვიფიქროთ, როგორ შევიგრძნოთ იგი, ქვემოთ ვიტყვით:

19. სული წმინდის შინაგან არსებობის და ძალთა გამოვლენას არ აქვს საზღვარი, მაგრამ უპირატესები მდგომარეობენ შემდგომში:

20. თვით იგი მკვიდრობს ყოველი სულდგმულის გულში, იგია საწყისი, შუაგული და ბოლო არსებათა.

21. თავისუფლებებს შორის იგია შინაგანი "ცოდნა" (ჭეშმარიტი თავისუფლება, თავისუფლებაა, გონების,

აზროვნების, შინაგანი ღვაწლი, ფიქრი) მანათობელთაგან იგია მზე სხივმბრწყინვალე, უხორცოთაგან იგია სხივი ნათელის (ზეგარმო მოვლენილის) ვარსკვლავთაგან იგია მთვარე.

22. წმინდა წერილში იგია სადიდებელი გალობანი, (ღმერთის გამომხატველ), დაწერილ აღწერილობათაგან იგია სიტყვა, სიდიადის გამომხატველი, ღვთაებათაგან იგია შთაბეჭდილების-ნების-აღმომაცენებელი "გული", აღსავალთა შორის იგია საკუთარი თავის მწვერვალის დაპყრობა, გრძნობის ორგანოებიდან იგია გონება, არსებებში კი იგია ცნობიერება.

23. ძალთაგან იგია კეთილგანწყობა, დაუფლება-დაპყრობებს შორის იგია ფლობა სიმდიდრის, სათნოებათა შორის იგია ჭვრეტის მხურვალებით განწმენდა საკუთარი თავის, შინაგანი ცეცხლით (გონის თავმოყრით გამოწვეულით).

24. მღვდელმსახურთა შორის იგია უპირატესი, ხელმძღვანელთაგან იგია მკვირცხლად მომქმედი, წყალსატევებიდან იგია ოკეანე.

25. დიად მოძღვართაგან იგია რჩევას ვინც იძლევა ძალდაუტანებლად და ეჭვთა დამთრგუნველად, სიტყვათაგან იგია (ერთი უწყვეტი) მარადიულის აღმნიშვნელი სიტყვა (სახელი ღვთისა), მსხვერპლშეწირვებს შორის იგია ჩურჩული ლოცვის, განმეორება და ხმობა ღვთის სახელის, ურყეობებს შორის იგია ცივი მდუმარება არსათქმელის არ ითქმის.

26. განტოტვილობებს შორის იგია განტოტვილი ძარღვები გრძნობების, ღვთაებრივ მოძღვართა შორის იგია სიკეთე ადამიანის, კეთილსურნელებათა შორის იგია უშუალო ბუნებრივი სიხარული, ნეტარებათაგან იგია გონების მდუმარება.

27-31. მისი შეცნობა შეიძლება ყოველთვის უპირატესში, მმართველთა შორის იგია სიკვდილი, სიგრძეთა შორის იგია უსასრულობა, დამრიგებელთაგან იგია შემბორკავი ვალი-უღელი მოვალეობის, სათვალავთაგან იგია დრო, მოციქულთაგან იგია მომტანი სიხარულის, სულის

განთავისუფლებისგან გამოწვეულის, განმწმენდელთაგან იგია ძლიერი ქარი (ენერგია).

32. იგია დასაწყისი, ბოლო და ასევე შუაგული ქმნილებების, ცოდნათა შორის იგია სწავლება უმაღლეს შინაგან არსზე, საკუთარ "მე"-ზე, იგია სიტყვა მჭერმეტყველთა პირში.

33-35. ასოთაგან იგია ასო "ა", შეფარდებათაგან იგია ტოლობა ორმხრივობის, იგია უკიდეგანო დრო, იგია ქამი სიკვდილის, იგია მომხდარი, რაც მოსახდენი იყო, ქალებში იგია სილამაზე, გონიერება, სიტყვა-პასუხი, მოკრძალება, ღირსების გრძნობა.

35. იგია ღეთის სახელი გალობებში, ლექსში ზომიერება და წყობა, წლის დროთაგან კი ყვავილობა.

36. თვალთმაქცობაში იგია ალბათობა, იგია დიდებულება დიდებულთა, იგია გამარჯვება, გამბედაობა,იგია სიმართლე მართალთა პირში.

37. ღვთაებათა მოდგმაში იგი არის "სიკეთის ნათელი", ბუნებრიობასა და უბრალოებაში იგია სარგებელზე, დამსახურებებზე ზე დგომა, არ ნდომა ანგარების, მდუმარებებში იგია განდგომა, გამიჯენა შინაგანი, მგალობლებში კი იგია თავეგამოდება.

38. იგია მმართველთა მმართველობა, ძალაუფლება ხელმწიფობისკენ და გამარჯვებისკენ მისწრაფებულთა, იგია მდუმარება საიდუმლოთა, იგია ცოდნა მცოდნეთა.

39. ის, რაც ყოველ სულდგმულში არის ვით თესლი, არის იგი (მარცვალი, ამომავალი წერტილი არსების) და არ არსებობს არსება მოძრავი ან და უძრავი, რომელიც მას იყოს მოკლებული.

40-41. არა აქვს ბოლო მის ღვთაებრივ გამოვლინებებს, ყველაფერი, რაც ძალუმია, ჭეშმარიტი და ნამდვილი, რაც ლამაზია, მყარი და მაგარია, ყოველივე სული წმინდის სიდიადიდან არის ნაშობი.

42. მაგრამ რა საჭიროა ამდენი ხატებები და მათი "ცოდნა" (მათი ხსოვნა) მთელი სამყარო ერთი ნაწილით შეიცნობა, რამეთუ იგი მკვიდრობს ყველაფერში, და იმ ნაწილშიც,

რომელიც არის ყოველი ადამიანის საკუთარ არსებაში, მის საკუთარ გულში.

ასე და ამგვარად, ღვთაებრივი სიმღერის დიად მოძღვრებაში "ერთარსი გონების" სწავლებაში, ჭვრეტის ღვაწლის განმარტებაში "ნეტარ ურყევ ყურადღებასა" და "ნათელ გონებას" შორის გაბაასებაში გვიქადაგებს თავი მეათე წოდებული ხილული ხატებების ჭვრეტა.

## თავი მეთერთმეტე, უხილავ ხატებებზე

1-8. დაუსაბამო და წარუმავალი უზენაესი სულის, უზენაესი არსის საკუთარ თავში, საკუთარ არსში მჭვრეტი მოღვაწე იხილავს მრავალფეროვნებას მისი სახიერების, რაც რაიმე არის ამ სამყაროში და როდესაც ღმერთის გააზრების, მასთან ურთიერთობის ჩამოყალიბებული ხედვა-განწყობით- "ცოდნით" მოინდომებს ჭეშმარიტების ნამდვილი შეცნობის განხორციელებას ადამიანი, მიმართავს რა უფალს მის შეწევნაზე დაიმედებული, გონების სრული თავმოყრით იხილავს "ღმერთებს", ღვთაებებს, უსხეულოთა რიგებს, ძალებს და სამყაროებს, სულებს გარდაცვლილებს, ცხოვნებულებს და დაცემულებს, ბნელებს და მოჩვენებებს, ღმერთში, სულში, საკუთარ არსში იხილავს მთელ ამ წარმავალ წუთისოფელს '(საკუთარი ძალისხმევით გონის თავმოყრაში წარმატებული).

მაგრამ, რომ იხილოს ადამიანმა თვით სული წმინდა, დიადი მაცხოვარი, უფალმა მას უნდა უბოძოს სხვა მხედველობა, უფრო მაღალი ხარისხის აღქმის შესაძლებლობა, ღვთაებრივი ჭვრეტის უნარი და თუ ეს ებოძა მოკვდავ არსებას იგი იხილავს უზენაეს ღვთაებრივ ხილვას: (საკუთარი ძალისხმევით რაც არ იპოვება).

9-11. იხილავს სახებას ღმერთისას სრულისას, მრავალი თვალებით, მრავალი ხელით, მრავალი პირით, ზღაპრული მოვლენებით, მრავალფერი ღვთაებრივი მორთულობით, ყოვლად მბრწყინავის, მოგიზგიზის ვით ცეცხლი, უსასრულოსი,

ყოველგან მყოფის, ყველა სახიერის (ყველა თვალებში, ხელებში, პირებში, მოვლენებში, ფორმებში და ნათებებში იხილავს პიროვნებას ღვთისას).

12-14. და რომ ზეცაში ერთბაშად წარმოშობილიყვნენ ათასი მზეები ერთდროულად, მათი ნათელი დაემსგავსებოდა იმ ნათელს, რომელიც ახლავს უდიადესს, უწმინდესს სულს, მის სხეულში, ღმერთების ღმერთისა, ერთბაშად აღიქმება ერთიანად ერთიანი და განუყოფელი სამყარო მრავალნაწილიანი და ფარდობითი, ამ ხილვის შეკავება, რომლის მიღების ბედნიერება თუ ხედა ვინმეს, ცოტას თუ შეუძლია და თუ გაუძლია ცოტას, რადგან ამ უდიადეს ხილვაში იხილება თუ რამ არის, იყო და იქნება სამ სამყაროში.

15... იხილავს "ნათელი გონება", რომ ღმერთი არის დრო, მდინარებით რომ მოაქვს ნგრევა ქვეყნის, რომ იგია მომქმედი, განმსაზღვრელი და მქმნელი ერთადერთი, რომ არსებები იარაღები არიან მხოლოდ მისი, რომ მისით ხარობს და დღესასწაულობს წუთისოფელი, რომ მისით ინთქმებიან სულნი ბოროტნი, რომ მას ქედს უხრიან ნეტარნი ულევნი, რომ იგი არის უფრო დიადი ვიდრე ერთარსობა გონების, პირველი დასაწყისი, უსასრულო, მეუფე ცათა, სამყაროს მპყრობელი, მუდმივი ყოფნა და არყოფნა, რომ ის არის მღვარს იქითა არსი.

38. იგია თავდაპირველი უფალი, სული უძველესი, იგია უზენაესი თავშესაფარი სოფლის, იგია შემცნობი და შესაცნობი, უმაღლესი სამყოფელი, იგია ის ვისით განმსჭვალულია სამყარო უსასრულოდ მრავალსახოვანი.

39. იგია ქარი, ზღუდე-სიკვდილი, ცეცხლი, წყალი, ნათება უკუნეთში, უფალი არსთა და წინაპარი, ვისაც დიდებას მიაგებდეს საჭიროა ყოველი, ათასწილადად, მუდამ და მუდამ.

40. უსასრულოა მისი ძალი და განუსაზღვრელი მისი მოქმედება, იგი ყოველივეში განმსჭვალულია, რამეთუ თვით არის ყოველივე, და წვდება განათლებული გონება მაშინ, რომ უმეცრებისგან დაბრმავებული მას იგი ვერ მიაგებდა და ვერ მიაგებს ჯეროვან ყურადღებას და პატივს.

41. რომ მას ვერ სცნობდა წოლის, ჯდომის, სიარულის ან

სხვა საქმის დროს, რომ მის სიდიადეს სტოვებდა და სტოვებს უპატიოდ, როდესაც ბნელით მოსილი უდარდელად ცხოვრობდა და ცხოვრობს.

42... ხედება, რომ იგია მამა მოძრავ-უძრავის, რომ არის მოძღვარი ჭეშმარიტი მხოლოდ იგი, რომ არ არსებობს მასზე მაღალი სამ სამყაროში, რომ იგი არის მშობელიც, მეგობარიც და საყვარელიც, ხედება, რომ ამგვარად ღმერთის ხილვა არ ძალუძს არვის თვით უფლის ნების გარეშე.

48... რამეთუ იგი ვერ შეიცნობა ვერც წმინდა წერილთა შესწავლით-კვლევით, ვერც ძღვენთა მირთმევით და საჩუქართა გაღებით, წეს-ჩვეულებათა აღსრულებით, ვერც ქველმოქმედებით, ვერც მხოლოდ ღვაწლით გარეგნულით - აღსრულებულით მხოლოდ მოქმედებით, ვერც მკაცრი და თავდადებული მოსაგრეობით - ხორცთა ტანჯვით და თვითგვემით, თუკი ადამიანი დარჩება თავის ადამიანურ (შემოფარგლული მხოლოდ აზროვნებით და წარმოდგენით) შეგნებაში და არ გადაინაცვლებს (აწმყოში ყურადღების დამკვიდრებით) გონების ნათელში.

52-53. ეს ხილვა, რომლის ხილვა და შემდგომ ჭვრეტა ძალზედ ძნელია, რომელსაც ესწრაფვიან თვით ღვთაებანი და უსხეულო ზეციური არსებანი, არც წმინდა წერილის მეშვეობით და არც მოღვაწეობის მეშვეობით, არც მოწყალების მეშვეობით ან რაიმე მიძღვნის გამო და არც მსხვერპლშეწირვით არ მიიღწევა.

54. მხოლოდ და მხოლოდ განუყოფელი ყურადღების მიპყრობით, გამუდმებით, არსებულ სინამდვილეში ვინც ხედავს და ამჩნევს უფალს - ახსოვს გამუდმებით იგი, მისი მზერის ქვეშ დგომით საკუთარი თავის შემგრძნობი, ამ "ცოდნით", ამ გრძნობით - ფიქრით - განწყობით, შესაძლებელია იხილოს კაცმა და ჭვრიტოს ღმერთი.

55. ვინც აღასრულებს უფლისთვის საქმეს, მას, უზენაესს მიზნად ვინც დაისახავს, ვინც მას ერთგულებს, განდგომილია მიკერძოებიდან და არ არის მტრულად განწყობილი არავის მიმართ, ასეთი კაცი მიაღწევს უეჭველად უფალს.

ასე და ამგვარად, ღვთაებრივი სიმღერის დიად

მოძღვრებაში "ერთარსი გონების" შესახებ სწაელაში, ჭვრეტის ღეაწლის განმარტებაში "ნეტარ ურყევ ყურადღებასა" და "ნათელ გონებას" შორის გაბაასებაში გვიქადაგებს თავი მეთერთმეტე წოდებული უხილავი ხატებების ჭვრეტა.

## თავი მეთორმეტე, ღმერთზე მინდობაზე

1. ის, ვინც გამუდმებული ყურადღებით - ხსოვნით, დაკავშირებული არის ღმერთთან (ღმერთის შესახებ ფიქრთან, გრძნობასთან, განწყობასთან) მისი მეთვალყურეობის ქვეშ დგომის განწყობა-გრძნობით, უფალს გამოვლენილ სახეში ვინც სცემს პატივს და ასევე ვინც უსაზღვროს, დაუნახავს, უსხეულოს, არაცხადლივს სცემს თაყვანს, მათ შორის, ვინ უფრო მართებულად არის ჭვრეტის წამმართველი ვიტყვით ქვევით:

2. ღმერთის გამოვლენილ სახეში გული ვინც ჩაძირა და მის გამოვლენილ სახეს მიაპყრო ფიქრი, ვინც გამუდმებით მასთან კავშირშია მის მიმართ პატივისცემის განწყობით, აღვსილი უღრმესი ნდობით და რწმენით, ის უნდა ჩაითვალოს უმჯობეს სახედ ჭვრეტის წარმოების და უფრო ღრმად ღმერთთან დაკავშირებული.

3. მაგრამ ის, ვინც (ღმერთის არსებას პიროვნულს) ამოუწურავს, წარუშლელს, შეუგრძნობელს, განუსაზღვრელს, აღუწერელს, გამოუთქმელს, დაუნახავს (ობიექტურად) სახის არ მქონეს, ყველგან მყოფს თუ შეიგრძნობს ყველაფერში და მუდამ ახსოვს, გონების მზერით და თვალთა მხედველობით თუ ყველაფერს მსჭვალავს მზერით კერძოდ არაფერზე არ შეჩერებულით, გონებაში არაფრის არ წარმოდგენით, შუბლის არეში ერთ წერტილში საკუთარი არსების შეგრძნების თავმოყრით, საკუთარი არსების "მწვერვალზე" მდგომი, უძრავად და მყარად გონების შეკავებით.

4. ყველა გრძნობების შემბოჭველი ყურადღების

თავმოყრის მეოხებით, ყველაფრის მიმართ ერთნაირი თანაბარი გულის განწყობით, ასეთი ღვაწლით ასევე აღწევს ღმერთამდე კაცი, ყოველი ცოცხალი არსების მიმართ თანაბარი გრძნობით, კეთილგანწყობილით.

5. მაგრამ ძალზე ძნელია იმათი ღვაწლი, ვინც გონება-განწყობით თაყვანისმცემელია უხილავის, გამოუვლენელის, რამეთუ უხილავს ძნელად თუ მიაღწევს კაცი.

6. იმას კი, ვინც ყოველი მოქმედებით სახიერი ღმერთის სახეში, ღვთაებრივ გამოვლენაში გულით ჩაძირა მოქმედებებიდან განმდგარი, ღვთის მეთვალყურეობის ქვეშ დგომის განწყობით და გრძნობით, მისი ხატების განუწყვეტელი ხსოვნით და ჭვრეტით, მასზე ფიქრით პატივის მიმგები და ამგვარად თაყვანისმცემელი თუა იგი.

7. ასეთ კაცს გონებით და გულით ჩაძირულს მასში, უფალი მალე ევლინება ვით მაცხოვარი, ამა სოფლის წრებრუნვისა და სიკვდილიდან გამომყვანი.

8. საჭიროა გულის, გრძნობის ჩაღრმავება ღმერთში, ჩასვენება გონებისა უფალში, რამეთუ მხოლოდ ამის მეოხებით დამკვიდრდება კაცი მასში, რის შედეგად ამაღლდება და დადგება ეჭვებზე ზევით.

9. მაგრამ თუკი კაცს ვერ ძალუძს გულში ჩაღრმავდეს ურყევი და მტკიცე გონით უფალზე მფიქრელით ერთაზროვნებით, დე იგი ღმერთისკენ ფიქრის მიმართვას, მის მიღწევას ეცადოს "ხორცის" დაძლევის ვარჯიშებში ძალისხმევით.

10. თუკი თავის დაძლევისაც ვერ შემძლეა იგი (ხორცით სუსტი), დე საქმენი აკეთოს მან ღვთის გულისათვის, ღმერთის მეთვალყურეობის ქვეშ დგომის შეგრძნება-განწყობით. მისი ნდომით, ღვთის გულისათვის მოქმედებით აღწევს სრულყოფას ადამიანი.

11. მაგრამ თუ საქმის აღსრულებაც არ ძალუძს ადამიანს, დე ღმერთთან ფიქრით შეერთებულით განუდგეს ნაყოფს და სარგებელს, მისაღების ნდომას ნამოქმედარისა და საქმიდან მისაღების.

12. რამეთუ "ცოდნა" (ხედვა, იდეა, შინაგანი გონებითი

სამუშაო), სჯობს თავის დათრგუნვას (სხეულებრივ ვარჯიშს, გარეგნულ მოქმედებას) გონებით წარმოდგენას და გააზრებას (საღვთისმეტყველო აზროვნებას) სჯობს ჭვრეტით თეითგანწმენდა (გონების თავმოყრა), უანგარო მოქმედება, მოქმედების ნაყოფისაგან განდგომა კი სჯობს ჭვრეტას (გონების გამახვილებას), რადგან მოქმედებათა შედეგზე უარის თქმით, ნაყოფისაგან განდგომით უშუალოდ იშვება სიმშვიდე და გონების დაწმენდა, (ნაყოფის არ ნდომა ხომ არის მორჩილება და თავმდაბლობა).

13. სიძულვილის გარეშე არსებათა მიმართ, გულმოწყალე, თანამგრძნობი, საკუთრების გარეშე, "ჩემის" და "მეს" გრძნობის გარეშე.

14. ერთნაირი მწუხარებაში და სიხარულში, დამთმენი, კმაყოფილი, საკუთარი თავის შეცნობის ღვაწლში უცვლელი, მტკიცე გადაწყვეტილებებში, გულით და გონებით ღმერთზე შეკავებულით, საკუთარი ცნობიერების ღმერთისთვის დამთმობი, ვინც ერთგულია ერთარსისა და სახიერი ღვთის სახისა იგი ძვირფასია მისთვის.

15. ვისგანაც არ ილტვის ეს სოფელი, არ წუხდება (ვისაც არ გაურბის წუთისოფელი ვითარცა მიუწვდენელი ნდომის საგანი და ასევე არ გაურბის მას მისგან შეწუხებული) და ვინც ამა სოფლისგან არ ილტვის არ წუხდება, ვინც თავისუფალია სიხარულისაგან, მოუთმენლობიდან, შიშისგან, მღელვარებისგან, ის ძვირფასია ღვთისთვის.

16. ყურადღება გაუფანტავი, წმინდა, გაბედული, აუღელვებელი, გულგატეხილობას არ თანაზიარი, ყოველგვარი წამოწყების და თავგამოჩენის დამტოვებელი, ვინც ერთგულია უფლის ის ძვირფასია მისთვის.

17. ვინც არ განიცდის სიამოვნებას და არც მძულვარებას, არ სევდიანობს, არ ქინიანობს, არ ნატრობს, ვინც დაუტევა კარგი და არაკარგი, მორიდებული და თავმდაბალი ძვირფასია ღვთისთვის ასეთი კაცი.

18. ერთნაირი არამოკეთესა და მეგობრისადმი, გულგრილი პატივთან და შეურაცხყოფასთან, გულგრილი სიცივისა და სიცხის მიმართ, სასიამოვნოსა და

უსიამოვნოსთან, თავისუფალი მიკერძოებისაგან.

19. გულგრილი განკიცხვისადმი და ქებისადმი, მდუმარე, უტყვი და კმაყოფილი, რაც გინდა რომ მოხდეს, სახლის გარეშე, მედგარი, არაცვალებადი გულის ზრახვებში, თაყვანისმცემელი და მორიდებული, მეგობარია ასეთი კაცი ღვთისა.

20. ვინც ამ უკვდავ დარიგებას, რაც ზემოთ ითქვა პატივს მიაგებს რწმენით აღვსილი, ვისთვისაც ღმერთი გამხდარა მიზანი უმაღლესი, თაყვანისმცემელი, ასეთი ძეირფასი არის ღვთისათვის.

ასე და ამგვარად, ღვთაებრივი სიმღერის დიად მოძღვრებაში "ერთარსი გონების" შესახებ სწავლებაში, ჭვრეტის ღვაწლის განმარტებაში "ნეტარ ურყევ ყურადღებასა" და "ნათელ გონებას" გორის გაბაასებაში გვიქადაგებს თავი მეთორმეტე წოდებული: უზენაეს არსებაზე მინდობის ჭვრეტა.

## თავი მეცამეტე, აღმქმელზე და აღსაქმელზე

1. აღსაქმელი (საკუთარი სხეული, საკუთარი ბუნება, საკუთარი თავი) და აღმქმელი - მცოდნი აღსაქმელის (სული, შინაგანი ადამიანი, "მე" - სუფთა არსობა) "ცოდნა" და ცოდნის საგანი ეხლა გავარჩიოთ.

2. ეს სხეული იწოდება აღსაქმელად, იმას, ვინც მას შეიცნობს - აკვირდება და აღიქვამს, მცოდნენი უწოდებენ აღმქმელს - სულს მარადიულს.

3. დე შეიგნოს კაცმა ის, რომ უფალია შემცნობი და აღმქმელი აღსაქმელისა ყველა აღსაქმელში, ყველა ნივთში, საგანში, სხეულში და არსებაში, აღსაქმელის და აღმქმელის აღქმა კი (გაობიექტურება, ყურადღების არეში მოქცევა, გაცნობიერება) არის ცოდნა" (შესამეცნებელი საგნის).

4. ეს სხეული აღსაქმელი, როგორია, რანაირი, რარიგ ცვალებადი, საიდან, ვინ და რა ძალის არის, განვიხილოთ მოკლედ და ზოგადად ეს ყველაფერი.

5. დიად მოძღვრებს და გზის მასწავლებლებს აღწერილი

არაერთგზის აქვთ ის იმის მითითებით, რომ ჭეშმარიტად მის გარდა შესაცნობი ქვეყანაზე სხვა არ არის არაფერი.

6 დიადი ხუთი საწყისი მდგომარეობა (სიმყარე, სითხე, სითბო, ჰაერი და სივრცე), პიროვნულობის ღერძი (ზღერული "მე" - თავმოყვარეობა), გონება დაფარული მდგომარეობაში, თერთმეტი ორგანო გრძნობის და ხუთი გრძნობათა სფერო.

7. ლტოლვის, ზიზღის, სასიამოვნოს და უსიამოვნოს კავშირი ცნობიერებასთან მტკიცედ, აი აღსაქმელი მოკლედ, რაზედაც შესაძლებელია, რომ დაკეირეება განხორციელდეს.

8. თვინიერება, პატიოსნება, უბოროტობა, მოთმინება, გულწრფელობა, სიმტკიცე, თავდაჭერილობა.

9. გრძნობის საგნებიდან განდგომა, თავმოყვარეობის არ ქონა, დაბადების, სიკვდილის, სიბერის და ავადმყოფობის ტანჯვათა შეგნება.

10. არაფერზე არ მიჯაჭვულობა, ცოლის, შვილების, სახლის და სხვა რამის მიმართ მიკერძოების არ ქონა, გამუდმებული გაწონასწორება ფიქრის და განწყობის სასურველ და არასასურველ მოვლენებში.

11. უცვლელად ღმერთის თაყვანისცემა, განუყოფელი ერთგულებით და ძალისხმევით ფიქრის მიპყრობა, განმარტოებაში ყოფნა, საზოგადოებაში ყოფნის სიამოგენების არ ქონა.

12. გამუდმებული ძალისხმევა უზენაესი არსის, "მე"-ს შეცნობაში, ჭეშმარიტების ცოდნის მოპოვების უპირატესობის დანახვა სხვა ყველაფერთან შედარებით - აი ამას ჰქვია ცოდნა, სხვა ყველაფერ ამის გარეშე კი არის არცოდნა, უმეცრება.

13. რა უნდა იქნას შეცნობილი, რისი შეცნობითაც აღწევენ უკვდავებას, დაუსაბამო ერთარს უზენაეს გონს, ამას ეხლა ავხსნით, - იგი არც ეს არსებულობაა და არც ამ არსებულის გამოუვლენელი მხარე, ამას ჩაწვდომა უნდა.

14. მას გააჩნია ყველგან ხელნი, ფეხნი, ყველგან აქვს თვალნი, თავნი, სახენი, ყველგან ასხია ყურნი, მოიცავს ყველაფერს, იგი იმყოფება აუღელვებლობაში, უძრაობაში.

15. ყველანაირი გრძნობების თვისებებით მბრწყინავი და

ალვსილი, ყოველგვარ გრძნობიერებას მოკლებული ამავ დროს, მიუკერძოებელი და მიუბმელი თუმცა თანამდგომი და შემწე ყოვლის და ყველაფრის, თვისებების არ მქონი და თვისებებით ნეტარი (არ საგულისხმებელი არსებათა მიღმა და არც ისე საგულისხმებელი თითქოს და ეს არსებები თვით იგი იყოს).

16. არსებების შიგნით და გარეთ მყოფი, მოძრავი და ამავე დროს უძრავი, იგი (ობიექტურად) შეუცნობელია სიფაქიზის გამო, იგი შორსაა და ამავე დროს ახლოს (არ წარმოსადგენი, რომ იგი ამ სამყაროს იქითაა, სადღაც და არც იმის ფიქრი, რომ იგი ეს სამყაროა თავად, რამეთუ იგი სუფევს ამ სამყაროში და მასშია სამყარო ჩასვენებული და აღმოცენებული).

17. განუყოფელი, იმყოფება იგი თითქოს და დანაწილებული არსებებში, იგი უნდა "იცოდეს" კაცმა (ახსოვდეს, მასზე ფიქრობდეს, შეიგრძნობდეს) ვითარცა არსებათა მატარებელი, დამთქმელი და მწარმოებელი.

18. იგია წყარო სინათლისა ყოველნაირ მნათობში, და ასევე წყარო ნათელისა ზღვარს იქითა უკუნეთში (მზისა "მზიან ღამეში" როგორც ამბობენ, რომელსაც ჭვრეტს ჭვრეტის დროს ადამიანი) იგი არის ხსოვნა მიზნისა და თავად მიზანი ყურადღებითა და ხსოვნით გამოწვეული, არსებული ყოველი არსების გულში.

19. აი, ეს არის მოკლედ ახსნა იმისა, თუ რა არის აღსაქმელი, "ცოდნა" (გრძნობა, ფიქრი, ყურადღება გარკვეული მიმართულებით შეკავებული) და ცოდნის საგანი, მისი ჩამწვდომი და მხსომი ღმერთისა შედის უზენაესის სასუფეველში.

20. ბუნებას ნივთობრივს და სულს, არცერთს არა აქვს დასაწყისი რაიმე ნივთიერი, ეს საჭიროა, რომ კაცს ახსოვდეს და აგრეთვე ის, რომ ბუნების გარდაქმნები და თვისებები თვით ბუნებაში იშვებიან თავისთავად.

21. ეს ბუნება ითვლება მიზეზად მოქმედებისა, შედეგისა და საფუძვლისა (მოტივისა), სული კი ითვლება მიმღებად სასიამოვნოსი და უსიამოსი (მაყურებელი ყოველივე ამის

და შეუხებელი).

22. რამეთუ სული (შინაგანი ადამიანი) მოთავსებული ბუნებაში (სხეულში) იღებს ნეტარებას ბუნებისაგან შობილი თვისებებით, და ეს მიჯაჭვა ამ თვისებებზე არის მიზეზი დაბადებისა კარგ და ცუდ სამყოფელში.

23. მჭვრეტელი, მიმღები, ნების დამრთეელი, მეუფე, მოწმე, მგემებელი ნეტარების, დიადი უფალი, უზენაესი აღმქმელი - "მე", ასე უწოდებენ ამ სხეულში უზენაეს სულს, აღმქმელს.

24. ვინც იცის" (ვისაც გამუდმებით გაცნობიერებული აქვს, ვისაც ახსოვს) სული და ბუნება, აღმქმელი და აღსაქმელი თვისებებთან ერთად და ხედავს მათ განსხვაეებას ურთიერთდამოკიდებულებაში, იგი თუმც განაგრძობს არსებობას აღარ დაიბადება კვლავ წუთისოფლის წრებრუნვაში.

25. ზოგნი გონების თავმოყრით ჭვრეტენ საკუთარ თავში საკუთარ თავს, არსს საკუთარს, სხვანი კი განსჯითი გამოთვლით აღასრულებენ ჭვრეტის ღვაწლს, კიდევ სხვები კი მოქმედებას თავისას ჭვრეტენ და აკვირდებიან საქმის დროს თავის თავს უანგაროდ მომქმედნი, და ამავ დროს საკუთარ თავს, გულს, განწყობას, მოქმედებაში.

26. ზოგიერთებმა კი ესეც რომ არ იციან სხვათა მოსმენით სული წმინდას ეთაყვანებიან და ისინიც კი ძლევენ სიკვდილს თუკი არიან მოძღვრების ერთგულნი, მიმყოლნი განაგონის.

27. სადაც კი არ უნდა იშვას რაიმე არსება უძრავი ან მოძრავი, ეს ხდება აღსაქმელის აღმქმელთან კავშირის მეოხებით საჭიროა ეს "იცოდეს" კაცმა (ახსოვდეს, გრძნობდეს, რომ ფორმას ქმნის სული ყოველთვის).

28. ვინც ხედავს უზენაეს მეუფეს თანაბრად მყოფად ყოველ არსებაში, ხედავს წარუმავალს წარმავალში, ასეთი კაცი ჭეშმარიტად ხედავს.

29. ყველაფრისადმი მიპყრობილი თანაბარი მზერით, ყველა არსებაში თანაბრად მყოფს ღმერთს ვინც ხედავს, ასეთი კაცი არ ეცემა საკუთარ თავში და გზას უზენაესს აღგას იგი.

30. რამეთუ ვინც ხედავს, რომ ყეელა მოქმედებებს

აღასრულებს სხეული - ბუნება და რომ აღმქმელი არის უმოქმედო ვითარცა მოწმე (ანუ სული არის უძრავი და არაცვალებადი), ასეთი კაცი ნამდვილად ხედავს.

31. როდესაც კაცი განცალკევებულად მყოფ არსებებს ერთიანში არსებულად და მასში წარმოშობილად ხედავს და აღიქვამს, მაშინ იგი მიდის ერთარსობასთან გონების (ბრწყინვალებასთან გონების საწყისის და ფუძის).

32. დაუსაბამო, უსაწყისო, თვისებების არ მქონი, უზენაესი არსი - "მე" (სული) წარუშლელი, სხეულში მყოფი არ მოქმედებს და არ იბილწება არაფრით.

33. ვითარცა ყოველივეს აღმვსები სივრცე არ იბილწება და არ ისვრება თავისი სიფაქიზის გამო, ასევე არსი, აღმქმელი, ყოველ სხეულში მყოფი არ იბილწება, არ ისვრება სული.

34. როგორც მზე ერთიანად ანათებს მთელ ამ წუთისოფელს, ასევე უფალი აღსაქმელის, ბატონი სხეულის, ანათებს მთლიანად აღსაქმელს თავისას.

35. მაშ ასე, ის, ვინც ანსხვავებს აღსაქმელს და აღმქმელს შინაგანში შინაგანი მზერით, ვინც სულით გაემიჯნება სხეულს და ხედავს სულს დამოუკიდებლად მყოფად მისგან (ხედავს სულის დამოუკიდებლობას ბუნებიდან) იგი უახლოვდება უზენაესს.

ასე და ამგვარად, ღვთაებრივი სიმღერის დიად მოძღვრებაში "ერთარსი გონების" შესახებ სწავლებაში, ჭვრეტის ღვაწლის განმარტებაში  ურყევ ყურადღებასა" და "გონების ნათელს" შორის გაბაასებაში გვიქადაგებს თავი მეცამეტე წოდებული აღმქმელისა და აღსაქმელის განსხვავების ჭვრეტა.

## თავი მეთოთხმეტე, სამგვარობაზე

1. გავაგრძელოთ მოძღვრება "ცოდნათა" შორის უპირატეს "ცოდნაზე" (ღმერთის გააზრების უმაღლეს მოცემულობაზე), რომლის შეცნობის მეოხებით ყველა მდუმარე განდეგილი მჭვრეტელი აღწევდა სრულყოფას უზენაესს.

2. ამ ცოდნაზე დაყრდნობით ღმერთშემოსილები, მასთან

გაიგივებულნი აღარ ღორძინდებიან სამყაროს გამოელენისას და აღარ ქრებიან ქვეყნის დასასრულისას (აღარ ელინდებიან ფორმაში და არ რჩებიან უფორმო მოლოდინში).

3. აღმქმელის (სულის) სამყოფელი - დიადი ერთარსი გონია (სხივოსანი ფუძე გონების ერთარსობის) მასში იგი ჰქმნის ჩანასახს (ფორმის, სახის) ასე წარმოებს წარმოშობა ყოველი არსების.

4. სიცოცხლის ყოველნაირი სახიდან, როგორადაც არ უნდა იშვან და სადაც არ უნდა ჩაისახონ, დიადი ერთარსი გონია (ცნობიერების პირველსაწყისი უსაზღვრო "სიერცეა") მათი ჩასახვის ადგილსამყოფელი, "გამიზნული მოქმედებისკენ მიმართული ყურადღება ურყევი" - თავად უფალი კი - მამა, "თესლის", საწყისის მიმცემი.

5. არსობის გრძნობა" (აწმყოში დგომა, უჯიბრობა, გაწონასწორება, სიმშვიდე), "თავის გამოელენა" (პირველობის ნდომა, ჯიბრი, მომაელისაკენ მიპყრობა, მოქმედება, ვნება) და "თავის შენახვა" (ჩვეულში ყოფნა, გაუბედაობა, შიში, ინერცია, წარსულის მოჭიდება, უმოქმედობა) აი სამი თვისება ბუნების მიერ წარმოებული, რომლებიც ბოჭავენ სულს წარუვალს სხეულში განხორციელების ჟამს.

6. ამათგან უჯიბრობრობა - სიმშვიდე, ნათელია, ჯანმრთელი, მაგრამ ბოჭავს სულს ცოდნით, უბიწოებით - სიწმინდით, ბედნიერებით და "ცოდნის" ბორკილით.

7. ჯიბრი - ბუნებით ვნებაა, თავის გამოჩენის სურვილი, მიკერძოებისაგან იშვება იგი, სურვილებიდან, ქინიდან, იგი მოქმედებით და საქმიანობით ბოჭავს კაცს წუთისოფელში.

8. გაუბედაობა - შიში - ვერმოქმედება მიმდინარეობს თავის შენახვის, თავის დაზღვევის ნდომიდან ანუ უმეცრებიდან, ყოველი სული მას შეცდომაში შეჰყავს, ბოჭავს უქმობით, ვერმოქმედებით, სიჩლუნგით, ძილით, სიზარმაცით და თავდაჯერებით - ეჭვით.

9. უჯიბრობა კაცს ბედნიერებაზე აბამს, ჯიბრი კი აბამს მას მოქმედებაზე, საქმეზე, ხოლო, როდესაც თავის შენახვის გრძნობა, გაუბედაობა, შიში შემოსავს ცოდნას, კაცს იგი

უმოქმედობით ბოჭავს და თრგუნავს.

10. როცა დაიძლევა უმოქმედობა და ჯიბრი, იშვება მაშინ უჯიბრობა და დამშვიდება (არსებობა ბუნებრივი), როცა არც ჯიბრია და არც უჯიბრობა (აღარაა შეგრძნება სინამდვილის), მაშინ ვლინდება უმოქმედობა - გაუბედაობა - შიში; უმოქმედობას ვინც განუდგება, მაგრამ უჯიბრობას არ გაჰყვება, მაშინ თავის გამოჩენის სურვილი გამოჩნდება, წარმოჩინდება ჯიბრი.

11. როდესაც ამ სხეულის ყოველ კუნჭულში და ბჭეში იმარჯვებს ნათელი, განსხივოსნება იპყრობს მთელს არსებას "ცოდნის" მიმართ ყურადღების თავმოყრის მეოხებით ანუ ჭვრეტით (როდესაც სხივოსნდება ადამიანი შინაგანად ზეგარდმო მოვლენილი ნათლით, სულიწმინდის მადლით), მაშინ მატულობს თვისება უჯიბრობის (საკუთარი არსობის შეგრძნების) ბუნება სიმშვიდის, აღქმა სინამდვილის, ასეა ნათქვამი განსასაზღვრი.

12. ქიში, საქმიანობა, მოუსვენრობა, წადილი - ვლინდებიან მაშინ, როდესაც ღორძინდება ჯიბრი.

13. გაურკვევლობა, უმოქმედობა, ტკბობის მოყვარება და ეჭვი - ხიბლი, იშვებიან, როდესაც სჭარბობს თავის შენახვის წადილი, გაუბედაობა, შიში.

14. თუ უჯიბრობის ჟამს გარდაიცვლება კაცი, იგი წმინდა სავანეებს მიაღწევს ცათა შინა, უზენაესის შემმეცნებელ მოღვაწე მჭვრეტელთ, რომ ხელეწიფებათ.

15. ვნებიანნი, ჯიბრში მყოფნი როცა კვდებიან იშვებიან საკუთარ ვნებებისაგან გამომდინარე შედეგთა ხლართებში, ხოლო ბნელნი, ეჭვიანნი, როდესაც კვდებიან, აგრძელებენ არსებობას ცდომილ არსებათა სამყოფელში.

16. მოქმედება აღსრულებული ვნების გარეშე უჯიბრობას იძლევა შედეგად, ნაყოფი ჯიბრისა ტანჯვაა მუდამ, უცოდინარობა ანუ სიბნელე გონისა მოსდევს ნაყოფად უმოქმედობას, შენახვას თავისას.

17. უჯიბრობისგან წარმოიშვება ცოდნა, თავის გამოჩენიდან - ქიში, სიხარბე, უმოქმედობიდან კი იშვება ტკბობის სურვილი, არცოდნა და ხიბლი.

18. უჯიბრობაში მყოფნი ზეეით იზრდებიან, ვითარდებიან, განიწმინდებიან, ჯიბრიანები - არ ეითარდებიან, შუაში ჩერდებიან, უმოქმედონი კი თანდათან ეშვებიან, სიბნელეში, უსინათლობაში ეცემიან.

19. თუ მჭვრეტელი ვერ ხედავს სხვა მომქმედს ვერავის ამ სამ თვისებათა გარდა და "იცის" - ახსოვს ამ სამ თვისებაზე ზემდგომი, აღმქმელი, სული უკვდავი და შეუხებელი, მაშინ იგი შედის უზენაესის სამყოფელში.

2-. თუ შესძლებს ამ სამ თვისებაზე ამაღლებას სული სხეულში განხორციელებული (მათგან გამიჯვნით, გამოყოფით, განდგომით) განთავისუფლდება დაბადებისა და სიკვდილისაგან, სიბერისა და გაჭირვებისგან და დატკბება უკვდავების ნეტარებით.

21. რა ნიშან-თვისება აქვს ისეთ ადამიანს, რომელიც ამ სამ თვისებაზე მაღლა დადგა, როგორ იქცევა და როგორ მაღლდება ამ სამ თვისებაზე, ავხსნით მოკლედ.

22. თუ ადამიანს არ უხარია და არ ელტვის რაიმეს და არ სძაგს და აგრეთვე არ სწუხს როდესაც ხვედრი ბედისა, წარმატება ან მარცხი განსხივოსნების მიღწევაში, მოქმედება და შეცდომა მასთან მოდიან ან სტოვებენ მას,

23. თუ იგი ამ სამ თვისების გავლენის ქვეშ არ არის მყოფი, მათი არ თანამგრძნობი განწყობით, მათგან გამიჯნული, ფიქრით: "ბუნება ამ სამი თვისების მეოხებით თავად მოქმედებს და იქმს"-ო, - აი, ასეთი ფიქრით - განწყობით თუ განზე დგება, გაემიჯნება თავის ბუნებას და შინაგანად არ იძვრის.

24. ზომიერი და ერთგვარი ტანჯვაში და განცხრომაში, თუ ის რჩება ჩაღრმავებული - მდგომი საკუთარ თავში, საკუთარ გულში, ერთნაირი დამოკიდებულებით ქვის, მიწის და ოქროს მიმართ, ერთგვარი სასიამოვნოს და უსიამოვნოს მიმართ.

25. აუღელვებელი და თანაბარად მყოფი განკითხვისა და ქების მიმართ, პატივში და დამცირებაში უცვლელი განწყობით, უცვლელი და ერთნაირი მეგობრული და მტრული განწყობების მიმართ, დამტოვებელი ყველანაირი

წამოწყებისა, ბუნებაზე ამაღლებულად იწოდება ამნაირი კაცი.

26. ვინც ღმერთს სცემს თაყვანს ურყევი ყურადღებით, ღმერთის ზედამხედველობის ქვეშ დგომის განწყობით-გრძნობით, მასზე მინდობილი ამაღლდება ბუნების იძულების ზეგავლენაზე, ამ სამი თვისების ზემოქმედებაზე და ამდაგვარი ზედგომით ხორცზე, მზადმყოფია შეიმოსოს ღმერთით, მზადმყოფია იქცეს იგი ერთარსი გონებით, მისი სხივოსნებით.

27. რამეთუ ერთარსი გონის, ერთარსი ღმერთის ნათელი, სხივოსნება, არის სასუფეველი უკვდავი და წარუშლელი ღვთისა, მარადიული კანონი ზნეობის და ღირსების (და ამიტომ მისი მიღწევა შეუძლებელია უზნეობითა და უკეთურობით, თუნდ სულ მცირედით, იგია კანონი ჭეშმარიტების) და საბოლოო ბედნიერების.

ასე და ამგვარად, ღვთაებრივი სიმღერის დიად მოძღვრებაში "ერთარსი გონების" შესახებ სწავლებაში, ჭვრეტის ღვაწლის განმარტებაში "ურყევ ყურადღებასა" და "ნათელ გონებას" შორის გაბაასებაში გვიქადაგებს თავი მეთოთხმეტე წოდებული: ბუნების სამგვარობიდან გამიჯვნის ჭვრეტა.

## თავი მეთხუთმეტე, უზენაეს აღმქმელზე

1. ფუძით აღმა მიმართული (შინაგან, გონებრივ მოქმედებაში) და ქვევით განტოტვილი (გარეგნულ მოქმედებებში) ხე ღვთისმსახურების მოღვაწეობისა (ხე, ანუ თავის შესაფარებელი, განსასვენებელი, ჩრდილის მომცემი ადგილსამყოფელი და დასაყრდენი, ხე - ფორმა, სხეული წეს-ჩვეულებათა და კანონთა, განრიგისა და რჯულის წყობისა) ითვლება წარუშლელად, გალობანი (გარეგნული მოქმედებანი, ღვთისმსახურების მოქმედებით აღსასრულებელი სახეები) მისი ფოთლებია, ვინც ეს იცის (გაუაზრებია ის, რომ ფოთოლი შესამოსელია ხისა, ხოლო ფასი კი ედება მას ნაყოფით მისი ჯიშისა) იგი მცოდნეა წმინდა წერილისა (და მისით გამოხატული მასში მოცემული

ჭეშმარიტების ხედვებისა).

2. ზევით (გონებაში, შინაგანში) და ქვევით (მოქმედებაში, გარეგანში) განფენილია მისი ტოტები, წარმოშობილნი ბუნების სამი თვისებიდან (გარეგნული ღვთისმსახურების სახე, როგორიც არ უნდა იყოს ის, რა სახის, არ სცილდება დროისა და სივრცის საზღვრებს) შეგრძნობა საგნისა (გრძნობიერ სფეროში გაღვიძებული ღეაწლი) მისი კვირტებია, ქვევითაც ასევე (მოქმედებებში) მიემართებიან მისი ფესვები შემბოჭველები მოქმედებებით, იძულებითი წესებით, წესებით ამ წუთისოფელში (რამეთუ ფუძე ძირი, საწყისი მოქმედების, სუფევს გონებაში, მაგრამ საერთო ჯამში, მთლიანობაში მოქმედება და არსი სუფევს განუყოფლად ერთარსობაში).

3. ამ ხის (წეს-ჩვეულებათა) ჩაწვდომა და მისი სახის აქ ხილვა (დადგინება წესთა რაობის, ნამდვილობის, შედეგის, აუცილებლობის) ან ბოლოსი, ან დასაწყისის, ან ფუძისა შეუძლებელია, მისი ფესვების გადჭრა კი შესაძლებელია გულგრილობისა და განდგომის იარაღით (მიუკერძოებლობის და საკუთარი ნების გატარების უარყოფით).

4. (და ამის შემდგომ) საჭიროა მოიძიოს და ესწრაფოს კაცი იმ გზას და სამყოფელს (იმ ადგილს შიგნით - საკუთარ გულში ან გარეთ - გარემოებაში, იმ საშუალებას), საიდანაც უკან აღარ დაბრუნდება (გარეგნულისაკენ) და იქ მიენდოს პირველსაწყის სულს, ვისგანაც იშვა ყველა წესი და ღვთისმსახურება.

5. სიამაყისა და თავდაჯერების გარეშე, მიკერძოებაზე გამარჯვებული, გამუდმებით მყოფი უმაღლეს "მე"-ში, საკუთარი არსების უზენაეს სფეროში, წადილთა და ჟინთა უკუგდებით ორმხრივობისგან-დაპირისპირებისგან განთავისუფლებული, სასიამოვნოსა და უსიამოვნოს არჩევანზე მიუბმელი, მოუხიბლავად მიაღწევს (ამგვარი შინაგანი წყობით) ღვთაებრივ მდგომარეობას მარადისობის.

6. იქ არ ანათებს მზე, არც მთვარე, არც ცეცხლი, იქ ფეხშედგმული უკან არ ბრუნდება - აი, ეს არის უზენაესი

სამყოფელი.

7. ცოცხალთა სამყოფელში (ამ წუთისოფელში) ღმერთის - "განუყოფელი ყურადღების" ნაწილია მხოლოდ, იქცევა რა ცოცხალ არსებად (ხორცშემოსილად) "განცალკევებულ ყურადღებად" გონებითა და ხუთი გრძნობით შემოსილი, შემოსაზღვრული, გამუდმებით იბრძვის იგი მყოფი ბუნების საზღვრებში მოქცეული.

8. როდესაც ღებულობს სხეულს უფალი - "ყურადღება ზემდგომი" და ასევე როდესაც მას იგი ტოვებს, თან მიაქვს შთაბეჭდილებები მათი სამყოფელიდან ვითარცა სურნელი მიაქვს ნიავს.

9. სმენის, მხედველობის, შეხების, გემოვნების, ყნოსვის და ასევე გონების დაუფლებით იგი ტკბება გრძნობადი საგნებით.

10. მას განსხეულებულად არსებულს ანდა ტკბობის დროს ბუნების თვისებებით შემოსილს ვერ ხედავენ უცოდინარნი, მაგრამ ხედავენ მცოდნე თვალები, გონებრივი, შინაგანი მზერით, "ცოდნის თვალით".

11. ჭვრეტის ღვაწლში მყოფი მოღვაწე ხედავს მას საკუთარ თავში მყოფს, საკუთარ "მე"-ში, ხოლო საკუთარი თავის ვერ შემცნობნი, არა თავმოყრილნი გონით, რომც მოღვაწეობდნენ (ღვაწლით თავდაუზოგავით, მაგრამ მხოლოდ გარეგნულით) მას ვერ დაინახავენ ვერაფრის დიდებით.

12. მთელი ამ ქვეყნის განმანათებელი მზის ბრწყინვალება, ასევე სინათლე მთვარის და ცეცხლის, არის ბრწყინვალება ღმერთის - "აწმყოში მიმართულ მოქმედებისკენ უცვლელი ყურადღების".

13. მისგანაა სიმყარე მიწის, მისი ძალით, ასევე მცენარე იზრდება მისი შემწეობით, იგია გემო ხის ნაყოფში, მისი ძალითაა ყოველი არსება არსებული.

14. იგია მხურვალება, სითბო, ძალა სულდგმულთა ტანში; მიმღებ და გამცემ ძალებად ქმნილი იგი ამუშავებს საკვებს სხეულში.

15. იგი არსებობს ყოველი არსების გულში, მისგანაა

მახსოვრობა, ცოდნა და განსჯა, იგია ის, რაც შეიცნობა წმინდა წერილის მეშვეობით, იგია მოძღვრებათა მთხზველი, ასევე მათი შემსწავლელი და მცოდნე მათი.

16. ორია თვითშეგრძნება ამ ქვეყანაზე განსაზღვრული, წარმავალი და წარუმავალი, განუსაზღვრელი, წარმავალი ყველა არსებაშია, წარუმავალად იწოდება მდგომი მათ თავზე, მდგომი "მწვერვალზე" (საკუთარი არსების), თხემის ადგილზე მდგომი.

17. მაგრამ უზენაესი თვითშეგრძნება, უზენაესი აღმქმელი, პიროვნება უზენაესი სულ სხვაა, უმაღლესი, ზღვარსიქითა არსი, "მე" სუფთა, - ასეა წოდებული, მეუფე სამი სამყაროსი, მფლობელი და განმსჭვალავი მათი,შემნახველი და მპყრობელი, ღმერთი წარუშლელი.

18. და რადგან იგი წარმავალზეც და განუსაზღვრელზეც ზემდგომია ამ წუთისოფელში და მოძღვრებებში მას უწოდებენ სულს ზემდგომს, უზენაესს.

19. მან, ვინც იგი ამნაირი "იცის" (ხედავს, შეიგრძნობს და ახსოვს) და არ მოხიბლულს არაფერი სხვა რამით იგი ახსოვს ვით სული ზემდგომი, და ამდაგვარად გრძნობს მას ყველაფერში, და ამ განწყობით გამოწვეული ყურადღებით მთელი არსებით მისკენაა მიმართული.

20. ამგვარად, ამ შინაგანი, პირადი, არგანცხადებულად, სხვებისთვის შეუმჩნეველი სამოღვაწეო სწავლებით, ამ "ცოდნით" - ღმერთზე საფიქრელი, მოცემულობით, უძვირფასესით, ცოდვათაგან განწმენდით, მისი განხორციელებით ხდება კაცი ცოდნამოპოვებული ყველაზე უპირატესი სწავლებით, რომლის აღსრულების შემდგომ აღარაა აღარაფერი რაიმე, რომ იყოს ამ წუთისოფელში აღსასრულებელი და საქმნელი.

ასე და ამგვარად, ღვთაებრივი სიმღერის დიად მოძღვრებაში "ერთარსი გონების" შესახებ სწავლებაში, ჭვრეტის ღვაწლის განმარტებაში "ურყევ ყურადღებასა" და "ნათელ გონებას" შორის გაბაასებაში გვიქადაგებს თავი მეთხუთმეტე უზენაესი აღმქმელის "ცოდნის" ჭვრეტაზე.

# თავი მეთექვსმეტე, სიკეთესა და უკეთურებაზე

1. უშიშრობა, სულის სიწმინდე, სიმტკიცე შემეცნების და ჭვრეტის ღვაწლში, გულუხვობა, თავდაჭერილობა, მსხვერპლის გაღება, თვითდაკვირვება - ლოცვათა ღაღადი - კითხვა, ხორცის დაქვემდებარება, პირდაპირობა.

2. ზიანის არ მიყენება, სამართლიანობა, ურისხველობა, მიუკერძოებლობა, სიმშვიდე, უზაკველობა, გულმოწყალება, უანგარობა, დამთმობელობა, მოკრძალება, არ მერყეობა,

3. სიფხიზლე, მოთმინება, გამბედაობა, სიწმინდე, შურის არ ქონა, ეჭვის არ ქონა, პატივის არ ნდომა, - თვისებები და ხვედრია ნათელთა ცხოვრებისათვის დაბადებულთა.

4. მოტყუება, სიამაყე, თავდაჯერება - ქედმაღლობა, მრისხანება-პატივმოყვარეობა, უხეშობა და უვიცობა (სინამდვილის დადგენის არ ნდომა) ხვედრია და თვისებები სინათლის მტერთა ცხოვრებისათვის შობილთა.

5. ნათელთა ცხოვრებისათვის განკუთვნილი წილხვედრი ღირსებები წამყვანია განთავისუფლებისაკენ, ხვედრი სინათლის მტერთა კი არის შებორკვა, "ნათელი გონება" ნათლისთვისაა შობილი, სინათლის მოპოვებისკენ ვინც არის მოწადინებული.

6. ორგვარნი არიან არსებანი ამ ქვეყანაზე ნათელნი და ბნელნი, ნათელთაზე ითქვა ზევით, განვიხილოთ ეხლა ბნელნი.

7. არანათელმა ადამიანებმა არ უწყიან არც მოქმედება და არც უმოქმედობა, მათ არა აქვთ სიწმინდე ("ცოდნის", გონებრივი, შინაგანი მრწამსის) და არც წესი ქცევის, არა აქვთ არც სიმართლე და არც სამართალი.

8. ისინი თვლიან, რომ წუთისოფელი უსამართლო, უსაფუძვლო და უღვთოაო, წარმოიშვაო არა მიზეზთა და შედეგთა ნაკადით და კანონზომიერებით, არამედ სხვა არაფრით თუ არა ვნებითო.

9. ამ წარმოდგენებში დამკვიდრებულნი, თავისი თავის დამღუპველნი მცირედგონიერნი, ნაშობნი ბოროტებისთვის, არიან ამ წუთისოფლის მომხმარებელნი, გამჩანაგებელნი და

ზიანის მომტანნი.

10. გაუმაძარ ენებებს აყოლილნი, აღვსილნი სიცრუით, სიამაყით და ამპარტავანი განუსჯელობით, დაბრმავებულნი. უგონოდ ირჩევენ წარმავალი შედეგის მქონე საქმეებს, ცხოვრობენ უწმინდური წესების მიმდევრობით.

11. უთვალავ დამღუპველ ფიქრებში და შიშებში ჩაძირულნი, ჩაფლულნი ვნებათა ღელვაში და ბრაზში, უზენაეს ღვთაებად ქინის დაკმაყოფილება, რომ აქეთ არჩეული, ფიქრობენ: "ასეთიაო ეს ცხოვრებაო, ეს წუთისოფელი".

12. ასობით იმედების ბორკილებით შეკრულ-დაბმულნი და მრისხანებას მიცემულნი, წადილის დაკმაყოფილების ყოველნაირად მცდელნი და დამგროვებელნი უკუღმართად მოპოვებული ქონების, არაწესიერი გზით.

13. "ეს მიღწეულია დღეს ჩემით, ამ სურვილის შესრულებას მე კიდევ მივაღწევ, ეს სიმდიდრე ჩემია, ეს ჩემი იქნება შემდგომში".

14. "ეს მტერი მე მოვკალი, სხვებსაც ასევე მე მოვკლავ, მე ვარ ბატონი, მე ვარ გამგებელი, მე ვარ მგემებელი, მე ვარ ძლიერი, მე მივაღწიე, ვარ ბედნიერი".

15. "მე ვარ მდიდარი, ვინ არის ჩემდაგვარი, მე გავცემ მოწყალებას, დავასაჩუქრებ და სიტკბოებას მივანიჭებ", ასე ამბობენ უმეცრებისგან მზერა-დაბინდულნი.

16. მრავალ ფიქრებში გახლართულნი, გაბმულნი ცდომილების და ხიბლის ბადეში, მიბმულნი ვნების სიტკბოებას ხვდებიან ისინი უწმინდურ ქვესკნელში.

17. მზვაობარნი, თვითკმაყოფილნი, მედიდურნი, თავხედნი, ანგარებით გონებააღვსილნი, ამაყნი და განუსჯელნი, თვალთმაქცურად ცრუ მსხვერპლის შემწირველნი, წესთა ცრუ დამცველნი მხოლოდ სახელის გულისთვის, სათნოების კანონთან არ შეთანხმებით.

18. პატივმოყვარეობას, ძალადობას, სიამაყეს, ქინს, მრისხანებას მიცემულნი, მათ სძულთ სულიწმინდა, როგორც საკუთარ, ისე სხვათა სხეულში, შეურაცხყოფენ მას შურიანნი.

19. მათ, მძულვარეებს, უმოწყალოებს, შურიანებს და უვარგისებს კაცთა შორის, უფალი, ამ წუთისოფლის

გამუდმებულ წრებრუნვაში გამეორების მეშვეობით და საშუალებით, უწმინდურ ბნელთა სამყოფელში ათავსებს განუწყვეტლივ.

20. უკეთურთა სამყოფელში მოხვედრილები დაბადებიდან დაბადებამდე უკეთურდებიან და ვერ აღწევენ სული წმინდას, ყველაზე დაბალი გზით მიემართებიან.

21. სამგვარია კარიბჭე ამ ქვესკნელისა ადამიანთათვის საკუთარი თავის დამღუპველი - ავხორცობა, მრისხანება და სიხარბე, ამიტომ საჭიროა განდგომა ამ სამისაგან და აუღელვებლობა, გულგრილობა მათი ზეწოლისაგან მოვლენილი ტალღისადმი.

22. ამიტომ, დე წმინდა მოძღვრება იყოს კაცისთვის საზომი იმის, თუ რა უნდა აკეთოს და რა არა, დე ამგვარი მიმდევრობით წმინდა წერილისა, მოქმედებდეს და იქმოდეს საკეთებელს იგი.

ასე და ამგვარად, ღვთაებრივი სიმღერის დიად მოძღვრებაში "ერთარსი გონების" შესახებ სწავლებაში, ჭვრეტის ღვაწლის განმარტებაში "ურყევ ყურადღებასა" და "ნათელ გონებას" შორის გაბაასებაში გვიქადაგებს თავი მეთექვსმეტე წოდებული სიკეთისა და უკეთურების გარჩევის ჭვრეტა.

## თავი მეჩვიდმეტე, სამგვარ მოღვაწეობაზე

1. ისინი, ვინც არ მისდევენ წმინდა წერილით მითითებული ღვთის მსახურების წეს-ჩვეულებას, კანონს რჯულისას, მაგრამ აღვსილნი რწმენით ღმერთს მსხვერპლს სწირავენ საკუთარი შეხედულებით, საკუთარი ჭკუით, თუ როგორია მათი მდგომარეობა - უჯიბრობისა (ანუ ღვთის სათნო და სწორი), ჯიბრისა (პატივის და სარგებლის მიღებისა) თუ სიჩლუნგისა (თავის არ შეწუხებისა, ცხოვრებაში მორგებისა, ბნელი) ავხსნით ქვევით:

2. სამნაირია რწმენა სულდგმულთა მათი საკუთარი ხასიათიდან წარმოქმნილი - პირველია სათნო, სამყაროს გაწონასწორებასთან თანხმიერი, მეორეა - გამოწვეული

ვნებით, მიკერძოებით, საკუთარი პიროვნების დამკვიდრებისთვის ქმნილი, და ბოლოს, არის რწმენა ბნელი - საკუთარი თავის დაზღვევის, არ შეწუხებისაგან გამოწვეული, შურით შემოსილი, ძალაუფლების მოპოვებისკენ მიმართული, საჭიროა გარჩევა მათი.

3. თვითეული არსების შესატყვისია რწმენა მისი, ადამიანი შექმნილია და აწყობილია რწმენით, როგორიცაა მისი რწმენა, ისეთიევა იგი.

4. სათნოებისკენ გულით მიპყრობილნი მსხვერპლს სწირავენ არსებებს მოსილებს ზეგარდმო ნათლით (შუამდგომლებს და მიმყვანებს საწყისთან გონების და ფუძესთან ზნეობის), ვნებიანნი ქედს უხრიან ტკბობას და სარგებელს - მსხვერპლს სწირავენ გონების ძალებს, შესაძლებლობებს, ხოლო საკუთარი თავის მოყვარენი, მოშიშნი, სწირავენ მსხვერპლს სულებს და მოჩვენებებს.

5. ისინი, რომელნიც აღასრულებენ საშინელ თვითგვემას, რაც სათნოების და ზნეობის კანონით არ არის მოწონებული, აღვსილნი თვალთმაქცობით და პატიმოყვარეობით, მოცულნი ვნებათაღელვით, ქინით, ძალმომრეობით.

6. უგნურად მწვალებელნი და მტანჯველნი საკუთარი სხეულის, და მასში მყოფი სფეროების, შემაწუხებელნი უფლის (უფრო მართებულად რომ გამოვთქვათ ხელის შემშლელნი უფლის გამოვლენის საკუთარ თავში) მყოფის მათი არსების წიაღში, წარმომადგენლები არიან სიბნელის, უკეთურობიდან მომდინარეობს ქცევა მათი ამდაგვარი.

7. ასევე საკვები სამგვარია გემოვნების მიხედვით ისევე, როგორც მსხვერპლშეწირვა, ქველმოქმედება და მოსაგრეობის ღვაწლი, აი, განსხვავება მათ შორის:

8. საკვები დღეგრძელობის, ძალების, სიმაგრის, ჯანმრთელობის, სიფხიზლის და კარგი თვითშეგრძნების გულისთვის მიღებული და მათი მომტანი, წვნიანი, ზეთიანი, გემრიელი, გამაძლიერებელი, სასურველია სათნო ადამიანთათვის.

9. ცხარე, მჟავე, მწარე, მლაშე, მდუღარე ანწინულიანი, აღმგზნები, მშრალი, მცხუნვარე საკვები საყვარელია

ვნებიანთათვის, ტანჯვის, სიმძიმის, ავადმყოფობის მომტანი.

10. ღამენათევი, გემოთი მძაფრი, სუნიანი, გადანარჩენი, უვარგისი შეთავაზებისათვის და მიძღვნისთვის, სასიამოვნოა საკვები ამგვარი სხეულს დამონებულთათვის, ცნობიერებით ჩლუნგთათვის, უკეთურთათვის.

11. ასევე, გაღება მსხვერპლის, წესის მიხედვით, ანგარების გარეშე, ფიქრით: "საჭიროა გავცე" და შესატყვისი გულის განწყობით არის კეთილი, გამომხატველი ნათლის,

12. მსხვერპლის გაღება ანგარებით, სარგებლისთვის, ფარისევლურად ანდა პატივის გამო, არის მოსილი ვნებით, ქმნილი ანგარიშით გამომხატველია ვნებით დაბინძურებული გონების.

13. არანაირ წესს არ დაქვემდებარებული მსხვერპლი, მიძღვნის გარეშე, სიტყვის გარეშე, გარეშე რწმენის, არის უკეთური და ბნელი.

14. სულიერ ღვაწლში მოღვაწეთა, საკუთარი თავის დაძლევაში ძალისმსხმეველთა, საკუთარი საქმის ოსტატთა და მოძღვართა პატივისცემა, სიწმინდე, ქცევაში სისადავე და უბრალოება, ძალმომრეობის უარყოფა სხვის მიმართ, იწოდება სხეულის ფლობად.

15. სიტყვა არ გამაღიზიანებელი, არ აღმგზნები, მართალი და ზრდილობიანი, ასევე ლოცვათა ღაღადი - კითხვა - ჩამოლოცვა იწოდება სიტყვის ფლობად.

16. ორაზროვნად არ განთიშული, არამედ ერთობით გონისა და გულის მართვა, მდუმარებით თავის ჭერა, საკუთარ თავზე დაკვირვება, თვითგანწმენდის ძალისხმევა იწოდება გონის ფლობად.

17. ეს სამმაგი ძალისხმევა წარმართული მტკიცე რწმენით, სარგებლისკენ არ მიმართვით, ნაყოფის არ მონდომებით, ერთგულების გულის წყობით ნიშანია სწორედ იმის, რომ სრულდება მოღვაწება სათნო გონითი და განწყობით.

18. ღვაწლი, შრომა, ძალისხმევა, დიდების და პატივისთვის ანდა ძალაუფლებისთვის არის ღვაწლი ვნებით ქმნილი, მერყევი და არამყარი.

19. მოღვაწება დაწყებული განუსჯელი ძალისხმევით,

საკუთარი თავის გვემით ანდა სხვისი ფლობისათვის, იწოდება და არის ბნელი.

20. მოწყალება და ქველობა უკუგების არ ლოდინით, გაღებული უანგაროდ, განწყობით: "საჭიროა გაეცე", მესატყვის გარემოში, თავის დროზე, ღირსისათვის ამ შეწევნის, ჭეშმარიტად ვინც საჭიროებს, არის სათნო და ქმნილი სწორად.

21. თუ წყალობა გაიღება სარგებელის გულისათვის ანდა რამე შედეგისთვის, ანდა კიდევ უხალისოდ, იგი ვნების არის პირმშო, შობილი ამპარტავნებიდან.

22. მოწყალება გაღებული უდროოდ და უადგილოდ, ვისაც იგი არ სჭირდება ან ვინც ღირსი ამისა არ არის, ანდა კიდევ ქედმაღლობით ანდა კიდევ უპატივცემლობით, არის ქმნილი ბინძური გულით, და ამიტომ არის ბნელი.

23. შეგრძნება საკუთარი არსობისა და საგანთა მიღმა არსის, უხილავი მეთვალყურის და ასევე აწმყოს სინამდვილე, არის სამი მისამართი ფიქრის, მზერის მისაპყრობი, შინაგანი, გონის თვალის, საჰილველად ერთარსი ღმერთის, რომლისგანაც წარმოიშვნენ ყველა წესი და სწავლება და მოძღვარნი ძველთაგანვე.

24. თავის თავის ყურადღებით, საკუთარ არსობის შეგრძნების გრძნობის ჭვრეტით, ასრულებენ მოქმედებას წირვაში და ძღვენში, ღვაწლში, წესში, ხილულის მიღმა უხილავი არსისკენ მზერის მიპყრობით, ყოვლისმომცველი და ერთიანი არსების ხსოვნით, ღვთის სახელის ღაღადებით და ჩურჩულით, მცოდნენი ჭვრეტის.

25. უხილავი არსების მზერის ქვეშ დგომის შეგრძნებით, მისდამი მიმართული გონების განწყობით, მოქმედებენ უანგაროდ, უკუგებაზე არ ფიქრით ღვაწლში, წესში, წირვაში, ქველმოქმედებაში ისინი, ვინც მოსურნენი არიან განთავისუფლების.

26. აწმყო სინამდვილის საზღვარს არ სცდებიან ყურადღებით, მზერით, წარმოდგენით და გონებით ისინი, ვისაც სურს მოპოვება ჭეშმარიტების და სიკეთის, ღმერთის სახელის ხმობის თანხლებით და აწმყოსთან მისი შეთავსებით

და ასევე ქმედება ჭეშმარიტი და საქმე კეთილი შეიცნობა და განისაზღვრება აწმყოდან არ განშორებული გონებით.

27. საკუთარი თავის უარყოფით მოქმედება მსხვერპლში, ღვაწლში, წყალობაში და სხვა მხრივ, შესაძლოა მხოლოდ აწმყოდან ყურადღების არ გასვლით და არის აწმყოში არსებობა, და ასევე ღმერთისთვის მოქმედება მაშინ არის ნამდვილი, ნაღდი, არათვალთმაქცური, ყურადღებით თუ არ ცდება აწმყო სინამდვილის საზღვრებს გონი.

28. ხოლო ის, რაც მსხვერპლში, ძღვენში ან რაიმე საღვთო ღვაწლში აღსრულდება ანგარებით, რაიმე ნაყოფის სურვილით, მომავალზე ფიქრით, იმედით ანდა წარსულის გახსენებით, ანუ ღმერთის დავიწყებით, მისი შეწევნის გრძნობის არ ქონით, ანუ მასზე არ მინდობით, არის ქმედება არა ნაღდი, ღვაწლი ყალბი, იმ ქვეყნად არაფრის არ მომცემი, ისევე როგორც ამ ქვეყნად ფუჭი.

ასე და ამგვარად, ღვთაებრივი სიმღერის დიად მოძღვრებაში "ერთარსი გონების" შესახებ სწავლებაში, ჭვრეტის ღვაწლის განმარტებაში "ურყევ ყურადღებასა" და "ნათელ გონებას" შორის გაბაასებაში გვიქადაგებს თავი მეჩვიდმეტე წოდებული სამგვარ რწმენას შორის სხვაობის ჭვრეტა.

## თავი მეთვრამეტე, განდეგილობაზე

1. ეხლა განვიხილოთ განსხვავება განრიდებას და განდეგილობა შორის.

2. სასურველ საქმეთა მიტოვებას ძველნი ეძახდნენ განრიდებას, ყველა მოქმედების ნაყოფის დატოვებას კი ბრძენი მდუმარენი ეძახიან განდეგილობას.

3. მოქმედებანი, საქმენი უნდა დაუტეოთო ვითარცა სიბოროტეო, ამბობენ ზოგიერთნი, სხვები კი თვლიან, რომ მსხვერპლშეწირვის, მოწყალების და მოღვაწეობის საქმენი არ უნდა იქნას მიტოვებული.

4. განმარტება განდეგილობისა ღვთისაგან თქმული მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის სამი სახის, ძველთაგან

როგორც იყო მიჩნეული.

5. მსხვერპლშეწირვა - ღვთისმსახურება ქველმოქმედება და მოწყალება, ხორცთდათრგუნვა და თავის დაუფლება მიტოვებული არ უნდა იქნას, რამეთუ მსხვერპლი, წყალობა და ძალისხმევა - კანონთა წესი, არიან განმწმენდი თვით სრულყოფილ სულთათვისაც კი.

6. მაგრამ ეს საქმეები და ქმედებანი მათზე მიჯაჭვის და მიბმის გარეშე, მიჩვევის გარეშე უნდა იქნან აღსრულებულნი, ყოველნაირი სარგებლის დატევებით, აი, ეს არის მითითება ღვთაებრივი გონების.

7. დაწესებულ წესს და კანონს არ უნდა განუდგეს მოღვაწე კაცი, რამეთუ წესთა უარყოფა შეცდომაა და ითვლება ბნელად.

8. "ეს გაჭირვებააო", ვინც ასე ფიქრობს და წესს ტოვებს, როგორც შემაწუხებელს ან სხეულის ტანჯვის შიშის გამო, კაცი ასეთი ანხორციელებს რა განდგომას ვნებით, ვერ იმკის ნაყოფს განდეგილობის.

9. "საჭიროებს აღსრულებას", ვინც ასეთი ფიქრით, ამგვარი განწყობით აღასრულებს აუცილებელ მოქმედებას განდგომილი ჩვევისგან და სარგებლისგან, განდეგილობა მისი სათნოა და მნეკეთილი.

10. ჭეშმარიტი განდეგილი არ მიელტვის სასიამოვნო საქმეს, არაა მიბმული იგი მასზე, და ასევე არ ეზარება მას არასასიამოვნო საქმე რაიმე, სათნოებით და სიკეთით აღვსილი მცოდნე" მდუმარე, ეჭვებგაფანტული, ბუნებრივად და უშუალოდ მოქმედი არის საქმეში იგი.

11. რადგან არ ძალუძს ხორცშესხმულ არსებას საყოველთაოდ მიატოვოს მოქმედება წუთისოფელში და ამიტომ, ვინც განუდგება ნაყოფს მოქმედების, სარგებელს საქმისას იგი ჩაითვლება ვითარცა განდეგილი.

12. არასასურველი, სასურველი და შერეული, ასეთია შედეგები ნამოქმედარისა ცხოვრებაში გარდაცვალების შემდეგ უსხეულობაში იმათთვის, ვინც მიბმული იყო საქმეთა ნაყოფს, განდგომილთათვის კი არ არსებობს არანაირი.

13-15. ხუთი მიზეზი, რაც იწვევს მოქმედებას

წარმოჩნდებიან განსჯის მეშვეობით, აი, ისინი: გარემოება, მომქმედი, შესაძლებლობა - სხვადასხვაგვარი, წადილნი მრავალფერნი და მეხუთე არის ნება ღვთისა, ღვთაებრივი განგებულება, რა მოქმედებაც არ უნდა ქნას ადამიანმა სიტყვით, სხეულით, თუ გონებით, კეთილი თუ უკეთური, მიზეზი მათი არის ეს ხუთი.

16. მაშ ასე, თუ ვინმე უგნური თვლის, რომ იგია თავად მომქმედი, არის იგი გონნაკლული, ვერ დამნახველი (ჭეშმარიტის).

17. ვისი არსებაც არ არის პატივმოყვარული, ვისი გონებაც არ არის ვნებით დაბინძურებული, ის კიდეც რომ მოქმედებდეს არ მოქმედებს შინაგანში და ამიტომ არ იკვრება, არ იბოჭება ამ საწუთროში.

18. ცოდნა, ცოდნის მიზანი და მცოდნი ცოდნისა - ეს სამია მოქმედებისკენ ბიძგის მიმცემი, მიზეზი, მოქმედება და მომქმედი არის სამმაგი ჯამი ნამოქმედარის, შემადგენელი ნაწილები გამოვლენის.

19. ცოდნა, მოქმედება (საქმე) და მკეთებელი, სამგვარია თვითეული, ბუნების სამგვარი თვისების შესატყვისი (უანგარო, პატივისთვის ან საკუთარი სარგებლისთვის).

20. ის “ცოდნა“ (ხედვა სამყაროსი), რომლის მეშვეობით ყველაფერში ერთ არსებას ხედავს კაცი, განუყოფელს განყოფილში, წარუმავალს წარმავალში არის თვისებით სათნო, აღვსებული შინაგანი ნათლით.

21. ის “ცოდნა“ (ის ხედვა), რომელიც ვერ სცდება სამყაროს დანაწევრებულ ხედვას, და დანაწევრების და დაყოფის გამო ყოველ არსებაში დამოუკიდებელ და ცალკე მყოფ არსს როცა ხედავს, არის “ცოდნა“ ვნებით შემოსილი.

22. თუკი “ცოდნა“ (ანუ ყურადღება) მიბმულია იმ მიზანზე, რომელიც ამ საწუთროში არის არსებული ვით საგანი, წარმავალი და არის ცოდნის არ მომცემი, არის ცოდნა უბადრუკი ბნელიდან ვერ გამომყვანი.

23. თუკი წესი ვალდებული აღსრულდება გულით დინჯით, მასზე გულის მიუბმელად, მიკერძოების გარეშე, ვნების და ალგზნების არქონით, ქმედებაზე მიუბმელად, სარგებლის არ

ლოდინით, ანდა სიძულვილის არ ქონით, მოქმედება ამდაგვარი არის ქმნილი სათნოებით.

24. მოქმედება, საქმე, წესი თუ სრულდება რამის ნდომით, წადილით და ანგარებით ანდა პატივის გულისათვის ან კი თავმოყვარეობით ან კი ძალის დატანებით, იგი არის ქმნილი ვნებით.

25. მოქმედება და ის შრომა, დაწყებული გაურკვევლად, შედეგის არ გააზრებით, თავის თავზე დაჯერებით, მძულვარებით, უხეშობაში ანდა კიდევ ძალადობით, არის საქმის ქმნა გონის დაბნელებით, მოქმედება უკეთური.

26. მიკერძოებიდან თუა ხსნილი კაცი საქმის მკეთებელი, თავმოყვარებით არ შეპყრობილი, შემართებით და სიმტკიცით აღვსებული, მარცხში და წარმატებაში უცვლელი გულის განწყობით იგი არის საქმის მქმნელი სათნოებით შემოსილი.

27. ვისაც საქმიდან სურს ნაყოფი განსაზღვრული, სარგებელზე მიმართული, აღგზნებული, შურიანი, თავმოყვარეობით დალახვრული, არაწმინდა, ეჭვიანი, წყენას და ხარებას მონებული, არის გულით ვნებაში მყოფი.

28. ჯიუტი და უკარება, ორგული და მატყუარა, თვალთმაქცი, მზაკვრული ფიქრით, ფარულად მკეთებელი, ცბიერი, შეურაცხმყოფელი სხვების, სულსწრაფი, მოღუშული, ზარმაცი და ნელი, არის ამგვარად მომქმედი უეჭველად ბნელი.

29. ეხლა ავხსნათ სამგვარი სხვაობა გონის და საქმეში სწორად დგომის, შესატყვისად ბუნების სამი თვისებისა:

30. იმ შეგნებამ, ვინც რომ იცის დასაწყისი საქმის და ასევე მისი ბოლო, ან თუ რაა სამოქმედო, რაა კარგი, რაა ცუდი, სახიფათო, უხიფათო, რა შემზღუდი, რა განმხსნელი, არის კეთილი და სათნო.

31. ზნეობას და უზნეობას, საკეთებელს და არ საქმნელს თუკი ერთმანეთში ურევს გონი და ვერ არჩევს შესატყვისად, იგი არის მყოფი ვნებით, მომქმედი მიკერძოებით.

32. ის გონება, რომელიც რომ უზნეობას თვლის ზნეობად და ყველაფერს ატრიალებს უკუღმართად შებრუნებით,

დაპირისპირების გულისათვის, საკუთარი სარგებლისთვის, დაბინდული არცოდნით, არის ბნელი, უკეთური.

33. ის სიმტკიცე, ის თავდაჭერა, რაც გონებას, გულს და გრძნობებს, ასევე სხეულის მთელს ძალებს, მიმართავენ ჭვრეტისაკენ, ჩაითვლება ძალისხმევად სათნოების გამოვლენად.

34. ის სიმტკიცე, ის შემართება, რითაც წესი აღსრულდება აღგზნებული ანგარებით, დაწყებული ნაყოფის ნდომით, არის ღვაწლი ქმნილი ვნებით.

35. თავის ძალის დატანება და საქმეში ძალისხმევა, რომელიც კაცს ვერ შველის შიშში, ვერ ხსნის სევდის, ტკბობის, ნდომის, ძილის და სიცრუის ბორკილიდან, არის ღვაწლი არასწორი, ბნელი და არაგონიერი.

36. ეხლა კი თქვათ სიხარულზე, შესატყვისად სამნაირზე, - მაშ ასე, ღვაწლში ის ძალისხმევა, რომლის გამეორება სიხარულით გულს აღავსებს, რომლის მზარდი ძალისხმევა ტანჯვას უმცირებს მოღვაწეს.

37. დასაწყისში თუა მწარე წამალივით, ხოლო შემდგომ თუკი ტკბება ნექტარივით, ამდაგვარი სიხარული არის სათნო, ზნეკეთილი, იგი არის გამოვლენა საკუთარი არსის, საკუთარ თაეზე გამარჯვების.

38. სიხარული მიღებული გრძნობად საგნებთან ერთობით დასაწყისში ვით ნექტარი, შემდგომ კი მწარე ვით შხამი, არის ვნებისგან მოსული.

39. წარმავალი საგნებიდან მიღებული სიხარული, ძილის, ზანტობის და ტკბობისგან წარმოქმნილი, საკუთარი თავით მოხიბლული, არის სიხარული ბნელი.

40. არც მიწაზე და არც ზეცაში, და არც უსხეულო დასთა შორის, არავინ არ არის დახსნილი ბუნების ამ სამ თეისებისგან.

41. ოთხგვარია შეგნების წყობა და განწყობა საქმისადმი შესატყვისად კაცთა შორის, მათი ბუნებისდაგვარად პირველია - გონით ვინც წვდება, მეორე, ვინც შედეგით რწმუნდება, მესამეა სარგებლით მქმნელი, მეოთხე დასჯის შიშით შემსრულებელი.

42. სიმშვიდე და თავდაჭერა, ხორცთა ფლობა, მოთმინება, სიწმინდე და პატიოსნება, "ცოდნის" ქონა და თვითშემეცნება - რწმენა, არის ნიშნები გონით მოღვაწეთა.

43. გმირობა და უკან არ დახევა, გულადობა, ბრძოლაში მარჯვობა-უშიშრობა, შემართება, წინამძღვრობის გრძნობა, არის განწყობა ხელმძღვანელთა მოქმედებაში ვინც ეფლობა.

44. მეურნეობა და ვაჭრობა, საქმის ძღოლა თავის მობმა არის ნიშანი საქმის მქმნელთა, ვალი შემსრულებელთა კი არის მომსახურეობა ამ დანარჩენთა.

45. კაცი კმაყოფილი თავისი ხვედრით, საკუთარი თვისებებით და ასევე ვალით, მიმღწევია სრულყოფილებისა, ხოლო თუ როგორ იქმს ამას კაცი თვისი ბედის კმაყოფილი, აღვწერთ ქვევით:

46. ვისგანაც წარმოიშვა ეს სამყარო - წუთისოფელი და მასში მყოფი ყველა სულდგმული, ვისითაც განფენილია ეს სამყარო, მას როდესაც უძღვნის საკუთარი მოვალეობის აღსრულებას ადამიანი პატივისცემით, აღწევს სიმშვიდის მდგომარეობას იგი ამით.

47. სჯობს საკუთარი საკეთებელი ქმნილი თუნდაც არასრულყოფით, ვიდრე საკეთებელი სხვისი გაკეთებული სრულყოფით, საკუთარი თვისებებიდან გამომდინარე, თავის შესაძლებელს როცა იქმს კაცი, იგი აღარ ებმება ცოდვაში მაშინ.

48. დაბადებიდან თანდაყოლილი თვისებებიდან გამომდინარე, შესაძლებლობებს არ უნდა განუდგეს კაცი, თუნდ მისი საქმიანობა ცოდვასთან იყოს შერეული, რამეთუ ყოველნაირი წამოწყება და საქმე რაიმე ცოდვით არის შემოსილი მაინც, ვით ცეცხლი ბოლით.

49. გონებით საქმესთან არ მიბმული, ყველაფრისაგან გონებით გამიჯნული, მჯობნი საკუთარი თავის, წადილთაგან განრიდებული, საქმეში უკიდურესი მიუბმელობის განხორციელებით აღწევს განდეგილობის წესს ადამიანი.

50. თუ როგორ მიაღწევს ერთარსი გონების სრულყოფილებას კაცი, ეხლა აღვწერთ - ეს არის უკიდურესი მწვერვალი ცოდნის.

51. გონებით (ყურადღებით) თვითგანწმენდაში დაკავებული, მტკიცედ საკუთარი თაეის მხსომელი, დამტოვებელი ბგერის და ყოველგვარი სხვა გრძნობითი საგნის, მიმტოვებელი ნდომის და ზიზღის.

52. მყოფი განმარტოებაში, კვებაში ზომიერი, ამლაგმველი ენის, გონების და ხორცის, გამუდმებულად ჩაბმული ჭვრეტის ღვაწლში, ფიქრით ჩაძირული უფიქრელობაში.

53. განთავისუფლებული თავმოყვარეობიდან, ძალმომრეობიდან, მედიდურობიდან, წადილიდან, ბრაზიდან, საკუთრობის გრძნობიდან, უარმყოფელი თავის, დამშვიდებული, აი, ასეთი კაცი არის მზადმყოფი და ღირსი განღმრთეევების, ღმერთით შემოსვის.

54. შეიქმნება რა ერთარსის თანაარსად სულით, არ ნაღვლობს და აღარც რა სურს ადამიანს, ერთნაირი ყველა სულდგმულის მიმართ აღწევს უზენაეს თაყვანისცემას ღვთისას.

55. თაყვანისცემით, ერთგულებით, მასზე მინდობით იგი შეიცნობს უფალს თუ როგორია იგი ჭეშმარიტად, ხოლო შემცნობი მისი ჭეშმარიტი, იძირება უშუალოდ მასში.

56. თუმც კი იქმს ყოველთვის რაიმე საქმეს, მძებნელი უფლის მფარველობის, უფლისავე წყალობით და თანადგომით მარადიულ და წარუშლელ სავანეს აღწევს.

57. გონება-განწყობით ყველა საქმის ღმერთზე მინდობით, უზენაეს მიზნად ღმერთი ვისაც ჰყავს არჩეული, გონების ჭვრეტას მთლიანად მიძღვნილი, გამუდმებითი ფიქრით ღვთისადმი, ღმერთით საკუთარი გონების მუდმივად აღმვსები.

58. გადალახავს ყველა სიბნელეს ღმერთისვე წყალობით, ხოლო თუ თვითნებობით და თავდაჯერებით მოხიბლული არ იქნება დამჯერი, ვერ მიაღწევს ვერაფერს კარგს კაცი ასეთი და იქნება იგი დაცემული.

59-60. თუ თვითნებურად მიიღებს გადაწყვეტილებებს ამით იუარესებს მდგომარეობას, რამეთუ მაინც საკუთარი ბუნების წყალობით თავისი ნების გარეშე იძულებული იქნება ის გააკეთოს, რაც არ სურდა გამომდინარე სიჯიუტიდან, რომ

ექმნა.

61. უფალი სუფევს ყოველი არსების გულში და ამოქმედებს ყველა არსებას თავისი ძალით.

62. ამრიგად, ღმერთის ნების ქვეშ დგომაა მთელი არსების შეგრძნებით საჭირო და ამის მეშვეობით, მისი წყალობით კაცი დამკვიდრდება უზენაეს სასუფეველში და სიმშვიდეში მარადიულში.

63. აი, ნათქვამი თითქმის განსრულდა, შინაგანი, არგანცხადებული, გონით წარმოებული ღვაწლის შესახებ, "ცოდნის" შესახებ იდუმალისა, იდუმალებაზე თვით იდუმალისა. შინაგანი ღვაწლისა, გულის გულში საქმნელისა, დე დაუფიქრდეს ყოველივე ამას მსმენელი და თავად გადაწყვიტოს, თუ როგორ ილვაწოს, რა მოიმოქმედოს.

64-65. ამრიგად, სიტყვა საბოლოო იქნება ასეთი: დე კაცმა ღმერთზე იფიქროს, ღმერთი შეიგრძნოს, მისი მზერის ქვეშ თავი დაიყენოს, მას სწიროს მსხვერპლი, მას სცეს პატივი, რამეთუ ასე მიაღწევს მას ადამიანი, რადგან ასეა ღვთისგან ნათქვამი.

66. ყველა ვალდებულება მოიხსნას და მხოლოდ ქმნას ერთი - მიენდოს უფალს, ეძიოს ღმერთში მან თავშესაფარი, და განათავისუფლებს მას უფალი ყოველი ცოდვისგან და მწუხარებისგან.

67. დე ეს მოძღვრება და თქმული სიტყვა არ ექადაგოს იმას, ვინც არ მტვირთველია ღვაწლის, ვინც არ არის მორიდებული და პატივისმცემელი, ან ვინც არის ჭირვეული, უზრდელი, თავნება, ავყია ენის და არის შურიანი.

68. ხოლო, ვინც ამ ღვთაებრივ მოძღვრებას, ამ უზენაეს საიდუმლო სწავლებას გადასცემს და უზიარებს თვინიერ და მორჩილ მსმენელს, ამით იგი აღასრულებს თაყვანისცემას უმაღლესს ღმერთის და მიაღწევს უეჭველად იგი უფალს ამით.

69. არ არის ღმერთისათვის კაცთა შორის უფრო სასურველი თუ არა მოქადაგე მწყურვალთათვის ღვთის სიტყვის.

70. თუკი ვინმე ამ მოძღვრების კითხვა-გარჩევა-

შესწავლით ღმერთზე ფიქრს თავის თავში გამოიწვევს და სიკეთეს საკუთარ თავს შეახსენებს, ამით იგი ღმერთს მიუძღვნის მსხვერპლს გონებით, ცოდნით, მსხვერპლს შესწირავს ცოდნის მსხვერპლით (ყველაზე უპირატესი და საუკეთესო მსხვერპლით).

71. და ის კაციც კი, ვინც მხოლოდ ამ სწავლებას ისმენს ყურით, მაგრამ დრტვინვის გარეშე და რწმენით, აქ ნათქვამის დაჯერებით, ასეთიც კი განსხეულებული ნათელთა სამყოფელს წმინდას მიაღწევს.

78. ასე და ამგვარად, იქ, სადაც "გამიზნული მოქმედებისკენ მიპყრობილი ურყევი ყურადღება" სუფევს და ასევე არის "ნათელი გონი", იქ არის სიკეთე, სათნოება და უცილო გამარჯვება, ძალა, ზნეობა და სათნოება.

ასე და ამგვარად, ღვთაებრივი სიმღერის დიად მოძღვრებაში "ერთარსი გონების" შესახებ სწავლებაში, ჭვრეტის ღვაწლის განმარტებაში "ურყევ ყურადღებასა" და "ნათელ გონებას" შორის გაბაასებაში გვიქადაგებს თავი მეთვრამეტე წოდებული განდგომისა და განდეგილობის გარჩევის ჭვრეტა.

ამით ღვთაებრივი სიმღერა სრულდება.

## “ბარდო თხოდოლ“
## განთავისუფლების დიადი მოძღვრება ანუ სწავლება გარდაცვალების შემდგომ უსხეულო მდგომარეობაში საკუთარი მდგომარეობის გაცნობიერებისა
## (თავისუფალი თარგმანი)

მიეაპყროთ ყურადღება (და ამით გამოვხატოთ მოწიწება და თაყვანისცემა) წმინდა გონების სამ (პირველსაწყის) მდგომარეობას, სამ განზომილებას, სამ ფორმას, სამ სხეულს ჭეშმარიტებისას (სინამდვილისას).

პირველია “უკიდეგანო ბრწყინვალება (ცოცხალი სხივოსნობა, ფუძე და არსი არსებობისა), თვითყურადღების მეოხებით გამოვლენილი, მას უწოდებენ სხეულს (სახეს, ფორმას) ზნეობის კანონზომიერების.

მეორე, ასევე გონების თავმოყრის შედეგი - ღვთაებრივ გრძნობათა გაწონასწორება - უწოდებენ სხეულს შეგრძნების, რომელშიც აქვთ ადგილსამყოფელი და ვლინდებიან ღვთაებები (ხასიათების მიხედვით, გრძნობათა მიხედვით, მრისხანენი ან კეთილნი).

მესამე კი არის სფერო არ აზროვნების, ერთ აზრზე (განწყობაზე, ზრახვაზე) ყურადღების შეკავების, უწოდებენ სხეულს თავდავიწყების, წინამძღვარს, მცველს და მფარველს ცოცხალი არსებების.

ეს არის დიადი მოძღვრება განთავისუფლებაზე, რომელიც მიიღწევა მოსმენის მეშვეობით, და რომელიც თავის მიმდევრებს ანიჭებს განთავისუფლებას და განსხეულებულ მდგომარეობაში, თუნდაც, რომ ჰქონდეთ მათ უბრალო გონება, რას ნიშნავს უბრალო გონება? - უბრალო გონება ნიშნავს გონების თავმოყრაში გაუვარჯიშებელ გონებას, ლოცვაში გამოუცდელ გონებას.

სწავლება შესდგება სამი საფეხურისაგან: მოსამზადებელი, ძირითადი და დასკვნითი.

## ცნობიერების დინების (მიმართულების) გადართვა

ძალუმად განვითარებული გონიერებით, გონების ერთ რაიმეზე თავმოყრის შემძლეობით ადამიანი უცილობელად მიაღწევს განთავისუფლებას, ხოლო თუ იგი ვერ განთავისუფლდა (სხეულში ყოფნის ჟამს), მაშინ განსხეულებულ მდგომარეობაში სიკვდილის ჟამს საჭიროა გონების მიმართულების გადართვა და მარტო ამის გახსენება მიანიჭებს კაცს განთავისუფლებას.

ჩვეულებრივი გონების მქონე ადამიანიც ამავე გზით არის შემძლე განთავისუფლების მიღწევის, ხოლო თუ იგი ვერ განთავისუფლდა და თავი ვერ დააღწია პირობითობას უსხეულო მდგომარეობაში საკუთარი მეხსიერების მეოხებით, საჭიროა და აუცილებელი ჰყავდეს მას შემხსენებელი, დამხმარე გარეგანი. გარდაცვალებულს სჭირდება უსხეულობაში გამყვანი, შემხსენებელი ამ დიადი მოძღვრების, ან უბრალოდ ვინმე მლოცველი, ღმერთის არსების შემახსენებელი.

უპირველეს ყოვლისა, ადამიანმა უნდა განსაზღვროს სიკვდილის ნიშნები, რომლებიც თანმიმდევრულად წარმოიშვებიან მის მომაკვდავ სხეულში და როდესაც გამოვლინდებიან ყველა ნიშნები, მან უნდა განახორციელოს გადართვა ცნობიერების - ყურადღების. ამის შესახებ მხოლოდ გახსენებაც კი იძლევა განთავისუფლებას (არა საბოლოო განთავისუფლებას ჩვეულებრივი მოკვდავისთვის, არამედ განთავისუფლებას სხეულზე მიჯაჭვისაგან, გაცნობიერებას სიკვდილის, განსხეულების, რაც არის საწინდარი გონების არ დაბინდვის, ცნობიერების არ დაქვეითების.

## კითხვა "შეხსენების"

თუკი ყურადღების გადართვა განხორციელდა წარმატებით (თუკი სიკვდილის ჟამს არ დაიბნა კაცი) შეხსენების კითხვა არ წარმოადგენს საჭიროებას, ხოლო

თუკი გადართეა ფიქრის მიმდინარეობისა არ განხორციელდა, შეხსენების კითხეა საჭიროა გარკვეეით, შეცდომების გარეშე, მიცეალებულის სხეულის გვერდით.

ხდება ისე ხანდახან, რომ სხეული არაა, მაშინ საწოლი ან სავარძელი, რომელსაც ჩეეული იყო განსეენებული, უნდა დაიკაოს მკითხეელმა და ამით დაამყარებს უფრო ადეილად კავშირს შეხსენების კითხვისას, შემდეგ მოუხმობს რა გარდაცვალებულის ყურადღებას, უნდა დაიჯეროს შეგრძნების დონეზე, რომ მიცეალებული იმყოფება მის გვერდით, მოსილი ყურადღებით და ამ რწმენით წაიკითხოს, ამ დროს არცერთ ახლობელს არ ეძლეეა უფლება მოთქმა-ქეითინის, ეს საზიანოა გარდაცელილისთვის.

## თუ როგორ ეიკითხოთ "შეხსენება"

ხოლო თუ სხეული აქეეა, საჭიროა, რომ "შეხსენება" წაიკითხოს მღედელმა, ან გარდაცეალებულის მოძღეარმა, თუ ეს არ ხერხდება, მაშინ წაიკითხოს გარდაცეალებულის მეგობარმა, თუ არც იგია, მაშინ ერთმორწმუნემ, თუ არც ესაა შესაძლებელი, სულ ერთია, წაიკითხოს ეინმემ, რამეთუ დახმარება საჭიროა და აუცილებელი.

კითხეის დაწყებისას მკითხეელმა მიაპყროს ბაგეები მიცვალებულის ყურს (მიაპყროს სიტყვები გარდაცვალებულის სმენას) და დაიწყოს კითხვა დიადი შეხსენების, მხოლოდ ნუ შეეხება მიცვალებულის სხეულს.

შემძლეობისა და მიხედეით, დე თავი მოუყაროს მთელ თავის შესაწირავს და მიუძღვნას სამ სხეულს ჭეშმარიტებისას (შესაწირავში იგულისხმება ყველაზე ძეირფასი, ანუ წარმტაცი ყურადღების, ყურადღების მიმართვა ჭეშმარიტებისაკენ ნიშნავს მსხვერპლის შეწირვას ყურადღების მეოხებით), ხოლო თუ ეს ვერ შესძლო ადამიანმა, მაშინ მიუძღვნას სურვილი მსხვერპლის შეწირვის, ანუ სინანული უყურადღებობის.

ამის შემდგომ (ამგვარად კითხვისთვის გამზადების შემდგომ) შვიდგზის ან სამგზის, გარკვეეით და გამოთქმით

დაიწყოს კითხვა შეხსენების დიადი მოძღვრების, აღაელენს რა ლოცვებს და საჲედრებლებს წმინდანებისა და ღვთაებების მიმართ.

პირველი ნაწილი ეძღვნება სიკვდილის ნიშნების გამოცნობას პირისპირ შეხვედრისას.

მეორეა - უსხეულო მდგომარეობაში ჭეშმარიტების გამოცნობის ხელოვნება და ბოლოს, თუ როგორ დავაღწიოთ თავი ხელმეორედ შობას ამ წუთისოფელში ან უარეს შემთხვევაში თუ როგორ ვიშვათ ხელსაყრელ გარემოში.

## შეხსენება სიკვდილის ნიშნებისა გარდაცვალების ჟამს
## ნათელი, რომელიც ევლინება გონებას გარდაცვალების ჟამს

მითითება წმინდა ნათელთან შეხვედრისა განსხეულებისას სიკვდილის ჟამს არის შემდეგი:

შეიძლება კაცმა მთელი ცხოვრება ისმინოს რელიგიური დარიგებანი, ქადაგებანი და სწავლებანი, მაგრამ ვერ შეიცნოს ის, რაც იქადაგება წმინდა წერილით, და ასევე, შეიძლება ნაწილობრივ განახორციელოს შეცნობა, მოიპოვოს რწმენა (შეგრძნობა ნაქადაგარის), მაგრამ არა მყარი, ხოლო იმან, ვინც ჰპოვა ცოდნა ერთარსობისა და განუყოფელობისა, ღმერთის, სულის რწმენა, შეგრძნობა, ხედვა, ვითარცა ერთადერთი რეალობისა, აუვლის რა გვერდს განსხეულებისას გარდამავალ მდგომარეობებს, პირდაპირ წარუდგება პირისპირ დაუსაბამო წმინდა ნათელს, შედგება რა დიად აღმაეალ გზაზე, მიაღწევს დაუსაბამო, მარადიულ, გაწონასწორებული კანონზომიერების უსაწყისო სამყოფელს.

მაშ ასე, კარგია თუ არის მოძღვარი, რომელიც მოძღვრავდა გარდაცვლილს, თუ არაა, მაშინ მივიდეს თანამოძმე, მეგობარი, თუ ესეც შეუძლებელია, მაშინ იყოს ერთმორწმუნე და მცოდნე და თუ არც ესაა შესაძლებელი, მაშინ იყოს ვინმე, ვინც იცის კითხვა გარკვევით, აიღოს თავის თავზე გარჯა კითხვისა.

თუ გარდაცვლილი სიცოცხლეში ეცნობოდა სწავლებას (იყო რელიგიური, თუ ჰქონდა სულ მცირედიც ღვაწლისა ღვთისმოსაობაში), შემძლე იქნება გაიხსენოს წაკითხული (სიცოცხლეში ნამოქმედარი) და ამის მეოხებით მიაღწევს განთავისუფლებას და ან კიდევ უფრო მეტ შეებას.

## რა დროის მონაკვეთში უნდა იქნას წაკითხული "შეხსენება"

მომაკვდავის ბოლო ამოსუნთქვისას, მისი სიცოცხლის ძალა ანუ მისი პიროვნული შემგრძნობელობა წარიტაცება "გულის" სფეროში ანუ სიბრძნის ადგილსამყოფელში. შეიკუმშება გულმკერდის არეში სხეულებრივი განზომილებებით თუ განვსაზღვრავთ და აღმქმელი ანუ ცნობიერება, სული, ინდივიდუალური, პიროვნული გონება გონიერებისა და გრძნობის, აღიქვამს წმინდა ნათელს მის პირველსაწყის ბუნებაში, ისეთს, როგორიც არის. შემდგომ ამისა ეს სიცოცხლის ცნობიერი ძალა იქნება განვდებული ქვევით მარჯვენა და მარცხენა მილისებრ სადინარებში, და აღმოჩნდება განსხეულებულ მდგომარეობაში.

ეს მითითებები უნდა აღსრულდეს მანამ, სანამ სიცოცხლის ძალა წარიტაცება მარცხენა სადინარში, როდესაც გადაკვეთს ჭიპის არეში ცნობიერების მოჭიდების სფეროს. ამ ძალის გადაადგილება მიმდინარეობს ან ერთი ამოსუნთქვის განმავლობაში, ან დახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში.

ცნობიერების გადართვა ყველაზე კარგია, როდესაც სუნთქვა სადაცაა უნდა შეწყდეს (მაგრამ ჩვეულებრივი გონებისათვის ამის აღსრულება თითქმის შეუძლებელია) და თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ გარდაცვლილს ესაჭიროება დახმარება გარედან, მას უნდა მიმართოს მკითხველმა, ვითარცა ცოცხალს:

"აი, დაგიდგა შენ (სახელი გარდაცვლილის) ჟამი გზის მოძიებისა, გზის არჩევისა.

შენი სუნთქვა ეხლა შეჩერდება, იყავი მზად წმინდა

ნათელთან შესახვედრად, ის მოგევლინება შენ, რომელიც გაუწყა წმინდა მოძღვრებამ, რომელსაც უწოდებენ საწყის ბრწყინვალებას, პირველ მდგომარეობას უსხეულო არსებობისას, შენ აღიქვამ მას ისეთად, როგორიც არის იგი ამ განსხეულებულ მდგომარეობაში, იგი არის აბსოლუტური არსი ყოფიერებისა, გახსნილი და თავისუფალი ვითარცა სივრცე, მბრწყინავი სიცარიელე, სუფთა განშიშვლებული გონი მსგავსია ცისა, ხოლო განძარცვული გონება, დაუბინდავი, მსგავსია გამჭვირვალე სიცარიელის, უსაზღვროსი და საყრდენის არ მქონის. შეიცან იგი, მყოფმა მის სხივოსნობაში, მის ნათელში, შეიცან თავი შენი, გააცნობიერე თავი შენი ამ მდგომარეობაში და შეჩერდი ამ სიმშვიდეში, მე მოგეხმარები შენ".

დე მკითხველმა გაუმეოროს ეს სიტყვები მომაკვდავს მრავალგზის ყურში, ზუსტად იმ დროს, როდესაც იგი წყვეტს სუნთქვას, და ეს საჭიროა იმიტომ, რომ აღიბეჭდოს თქმული მის გონებაში.

თუკი სუნთქვა სადაცაა უნდა შეწყდეს, გადააბრუნე მომაკვდავი მარჯვენა გვერდზე, ხოლო არტერიები ყელზე როგორც მარჯვენა, ისე მარცხენაც ხელის მოჭერით გადაკეტე. თუ მომაკვდავი იძინებს ან უკვე ჩაიძინა, გამოაფხიზლე, ძილს ხელი უნდა შეუშალო არტერიების გადაკეტით ყელზე, ფრთხილი, მაგრამ ძლიერი მოჭერით, ეს აუცილებელია, რადგან ადამიანი უნდა მიიცვალოს გაცნობიერებით, ამ მოქმედებით, სიცოცხლის ძალა ვეღარ დაბრუნდება ცენტრალური სათავესიდან ქვევით და დატოვებს სხეულს თავის ქალის გავლით ნათხემიდან, ეს კი ძალზედ საყურადღებოა, რადგან თუ სხვა ადგილიდან გავიდა სიცოცხლე, მაშინ ამ ორგანოს, ამ ადგილის შესატყვის არსებობას დაიმკვიდრებს შემდგომ იგი, და ამიტომ უკვე სუნთქვა დატოვებულ სხეულს აღარ უნდა შეეხოს ვინმე.

ეხლა შევუდგეთ რეალობასთან, სინამდვილესთან, ჭეშმარიტებასთან შეხვედრის განმარტებას. ამ წამებში, ანუ სხეულის დატოვების ჟამს ყველა ცოცხალი არსება ხედავს პირველ გაელვებას ჭეშმარიტების წმინდა ნათლისას,

სრულყოფილი გონების ერთიანობის სახეს.

გამოსუნთქვისა და ახალი ჩასუნთქვის დროის მონაკვეთით არის ის დრო, რომლის დროსაც სიცოცხლის ძალა იმყოფება შინაგან გაწონასწორებულ ადგილსამყოფელში, ადამიანები ამას უწოდებენ მდგომარეობას, როდესაც წყდება დინება გარეგანის შეცნობისა. მისი ხანგრძლივობა სხვადასხვაა და დამოკიდებულია სხეულის მდგომარეობაზე, ნებისყოფის ძალაზე და სიცოცხლის ძალაზე. იმას, ვისაც ჰქონდა თუნდ სულ მცირედი გამოცდილება გონების ღრმა თავმოყრაში ან ვინც დაჯილდოებულია ძლიერი ხასიათით, ის ამ მდგომარეობაში შეჩერდება დიდხანს, ოთხი, ან ხუთი ან შვიდი დღე, მაგრამ ცნობიერების ნაკადი ყოველთვის შეიძლება არ იყოს სხეულში თუ ამის გამოცდილება არ არის (აქ ლაპარაკია უსუნთქველობის მდგომარეობაზე, "ექსტაზის" აღტაცების მდგომარეობაზე, რომლის გამოწვევა შეუძლია გამოცდილ მოსაგრეს სიცოცხლის ჟამს და ასევე სიკვდილის ჟამს, ამ დროს ცნობიერების არსს, შეუძლია დარჩეს სხეულში ან დატოვოს იგი). საერთოდ კი, ცნობიერების ნაკადი ტოვებს სხეულს სიკვდილის წამებში, თუმცა არ წყვეტს კავშირს სხეულთან, სანამ ეს მდგომარეობა არ დამთავრდება.

მხოლოდ კაცს დაოსტატებულს ჭვრეტაში ძალუძს შეუფერხებლად განაცალკევოს ცნობიერების ნაკადი სხეულიდან, გონების დაბინდვის გარეშე.

ჭეშმარიტების შეცნობის დარიგებისას საჭიროა მისი გამეორება მიცვალებულისათვის მანამდე, სანამ გვამის სხვადასხვა ხვრელებიდან არ დაიწყებს დინებას მოყვითალო სითხე.

ის, ვინც ცხოვრობდა უმართებულოდ და დროს ატარებდა ცოდვით, ვისაც აქვს სუსტი ხასიათი და სუსტი ნებისყოფა, ვინც არის სულმოკლე და სულსწრაფი, შეჩერდებიან ამ მდგომარეობაში (სულის სხეულიდან გაყრის მდგომარეობაში) ზუსტად იმ დრომდე, რაც რომ საჭიროა თითის გატკაცუნებისათვის, უფრო ძლიერები კი, რაც საჭიროა კარგად დანაყრებისათვის.

ზოგნი ამბობენ, რომ გაურკვევლობის მდგომარეობა

გრძელდება სამ ნახევარი დღით, სხვები კი, უმრავლესობა თვლის, რომ ამას სჭირდება ოთხი დღე. ამ დროის განმაველობაში საჭიროა ვუკითხოთ მითითება წმინდა ნათელთან შეხვედრისა გარდაცვალებულს განუწყვეტლივ.

გამოყენება ამ მითითებისა შემდეგშია:

თუ ადამიანს ძალუძს გარჩევა სიკვდილის ნიშნების კვდომის ჟამს, მან დაუყოვნებლივ უნდა გამოიყენოს თავისი ცოდნა, სხვის დაუხმარებლად შეიცნოს წმინდა ნათელი. ხოლო თუ იგი ამის ვერ შემძლეა, მაშინ მას უცილობელად სჭირდება შემწე და მშველელი გარედან, ან მოძღვარი, ან მეგობარი, ან ერთმორწმუნე, ვინც შეახსენებს მას და წარმართავს მის ყურადღებას.

მკითხველმა უნდა მოუწოდოს მომაკვდავეს ყურადღებისკენ და დაუხასიათოს ნიშნები კვდომისა:

“აი, ეხლა დაიწყება სტიქიათა რღვევის ნიშნების აღქმა, თუ როგორ უჩინარდებიან თანამიმდევრულად სიმყარე - სითხეში, სითხე მხურვალებაში, მხურვალება ჰაერში, ჰაერი სივრცეში, სივრცე კი მბრწყინავ სიცარიელეში.

გამოჩნდება ნიშანი “მიწისა“ - სიმძიმის, წონის, სიმყარის გრძნობა, რომელიც დაიწყებს ჩაძირვას, გაუჩინარებას წყალში, მდინარებაში, - სხეულში შეიგრძნობა ამ დროს სიმძიმე, გაქვავება სხეულის - ნუ მოადუნებ ყურადღებას, ნუ შეშფოთდები.

შემდეგ შეიგრძნობ სიცივეს თითქოსდა სხეული აღმოჩნდა წყალში, რომელიც შემდგომ თანმიმდევრულად გადავა სიმხურვალეში, ამის შემდგომ შეიგრძნობ, რომ თითქოს სხეული შენი იფარტება ნაწილებად და ამის შემდგომ თითქოსდა გეცლება საყრდენი.

მკითხველმა მომაკვდავეს უნდა მოუხმოს სიფხიზლისაკენ და შეახსენოს:

“დაგიდგა ჟამი შენ იმისა, რასაც ეძახიან სიკვდილს, იფიქრე მასზე აი ასე:

“ - აი, დადგა ჟამი ჩემი სიკვდილისა, ვისარგებლებ მე ამ ჟამით, რომ მივაღწიო ცნობიერების განსხივოსნების სრულყოფილ მდგომარეობას, მე ვიხილავ სამყაროს

განსხივოსნებული გონების თვალთახედვით, კეთილგანწყობით და თანამგრძნობელობით, მიეაღწეე სრულყოფილ განსხივოსნებას უკიდეგანო, უსასრულო სივრცეში ყოველ ცოცხალ არსებათა თანაგრძნობისთვის".

აი, ამ ფიქრით, ამგვარად გულის განწყობით იყავი დარწმუნებული, რომ მოიპოვებ უშენაეს სიკეთეს დიადი მდუმარების სამყოფელში, რომელშიც იმყოფები, და განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც საყოველთაო ერთიანობის კანონზომიერების წმინდა ნათელი უშუალოდ შენს წინაა, იცოდე, რომ შენ იმყოფები მასში.

(ნათელში დარჩენა თავისი ძალებით ძალუძს მხოლოდ იმას, ვინც სხეულში ყოფნის ჟამს ილწეოდა თვითგანწმენდაში, სხვაგვარად ადამიანი დამძიმებული შთაბეჭდილებებით ეშვება შთაბეჭდილებათა სფეროებში სულ დაბლა და დაბლა ახალ დაბადებამდე).

იფიქრე ასე: თუმც მე ვერ ვერკვევი ამ მდგომარეობაში და თუ ვერ შევიძელ დარჩენა ნათელში, მე უნდა შევიცნო უსხეულობა თუ როგორი არის თავისი ბუნებით, დავექვემდებარები რა განუყოფლობის დიად მდუმარებას და ვიქნები თანამდგომი ყოველი ცოცხალი არსებისათვის უკიდეგანო სივრცეში, რა გზასაც არ უნდა მიჰყავდეს ამ მიზნისაკენ".

აი, ამგვარი გადაწყვეტილებით არ დაუშვა გამოსვლა ამ განწყობიდან და შეეცადე გაიხსენო ის წესი ღვთისმსახურების და ჭვრეტის (შინაგანი ლოცვის), რომელიც აითვისე სხეულში ცხოვრებისას.

მკითხველმა ეს შეხსენება უნდა წაიკითხოს მკაფიოდ და მიცვალებულის ყურთან ახლოს, რომ არ მისცეს მას ყურადღების გაფანტვის საშუალება.

როდესაც სუნთქვა სრულიად შეწყდება, მყარად მიჭერით გადაკეტე საძილე არტერია ყელზე და თუ მიცვალებული მღვდელია ან შენზე უპირატესი, ან შენზე სწავლული ან შენზე კეთილშობილი მოდგმის, შეახსენე შემდეგნაირად:

"პატივცემულო ბატონო, ამჟამად როდესაც შენ სჭვრეტ დაუსაბამო წმინდა სხივოსნობას, შეეცადე დარჩე მის

სამყაროში, რომელშიც "იმყოფები".

რაც შეეხება სხვა ადამიანებს მათი დამოძღვრა საჭიროა ჭეშმარიტებასთან შესახვედრად ასე:

"ო, კეთილშობილო (სახელი) მისმინე! ეხლა შენ სჭვრეტ ყოვლისმომცველი არსის სუფთა ბრწყინვალების ბრწყინვას შენს წინ, შეიცან იგი, ამ წამს წმინდა სიცარიელე არის ბუნება შენი გონების, ცნობიერების, გონება შენი თავისუფალია, შენი შემეცნების სფერო ცარიელი, იგი ეხლა არ არის მოცული არავითარი და არანაირი ბუნებით. იგი უფორმოა, არ არის მოცული არც ნივთიერებით, არც თვისებით თუნდაც სინათლის მსგავსით, იგი არის წმინდა სიცარიელე, განუპირობებელი, არსი, იგია თვით სინამდვილე, საყოველთაო სიკეთე. უკიდეგანო გულმოწყალება პირველსაწყისი გონების.

იცოდე, ეს მდგომარეობა გონის, არ არის აღუესებლობა და არყოფნა, იგია ყოფნა, მას ვერაფერი და არაფერი არ ბურავს, იგი მბრწყინავეია, სუფთაა, წმინდაა და მთრთოლვარე და იგი არის ცნობიერება გულმოწყალების.

ეს არის შენივე გონება, ცნობიერება, აღმქმელი ცარიელი, მაგრამ ეს არ არის სიცარიელე არ არსებობის, ცნობიერება თავისთავად - თავისუფალია. მოციმციმე, ნეტარი, ეს არის თავად აღმქმელი, ყოვლისმომცველი სიკეთე განსხივოსნებისა (სადაც მჭვრეტელი და საჭვრეტი განუყოფელია), განუყოფელნი არიან ისინი - შენი გონება, რომლის ბუნება არის სიცარიელე, აღუვსებლობა ნივთიერებას მოკლებული და შენი გონება მთრთოლვარე და ნათელი, იგი არის სხეული გონების ზნეობის კანონის.

შენი გონება, შენი მიმართული მზერა ფორმის გარეშეა და ცარიელი, და შენი გონებაც სხივოსანი და ნეტარი - ისინი ორივე არიან განუყოფელნი, მათი ერთობა არის სწორედ გაწონასწორებული კანონზომიერების სრულყოფილი განსხივოსნება (ამ ორის - აღმქმელის და აღქმის პროცესის ერთიანობა არის ჭეშმარიტების სხეული, ეს არის მდგომარეობა წმინდა, მიღმა სამყაროების, ცნობიერება ზე სამყაროსეული, საზღვრებისგან თავისუფალი). ეს შენი გო-

ნია - სხეისაონი, ცარიელი, განუყოფელია სინათლის დიადი წყაროდან, დიადი ბრწყინვალების სხეულიდან, იგი არ იბადება და არ კვდება, იგი ჩაუქრობელი სინათლეა, ცნობიერება უკვდავი ბრწყინვალების, განსხივოსნებული გონება უსაზღვრო ნათლისა.

ამის ცოდნა საკმარისია, შეიგნებ რა, რომ შენი გონების წმინდა ბუნება, სიცარიელე არის მდგომარეობა განსხივოსნებული ცნობიერებისა და განიხილავ რა მას ვითარცა შენს საკუთარ მდგომარეობას, შენ შეინარჩუნებ განსხივოსნებული გონების მდგომარეობას, მიაღწევ ღვთაებრივი გონების მდგომარეობას, ჩაიხედავ რა საკუთარ თავში.

დე მკითხველმა ყველაფერი ეს გაუმეოროს მიცვალებულს სამჯერ ან სულაც შვიდჯერ, ეს დაეხმარება გააღვიძოს ცნობიერებაში ადრე მოსმენილი, ნაქადაგები მოძღვრის, ასევე ეს დაეხმარება საკუთარი გონების სიცარიელეში იხილოს წმინდა ნათელი და ბოლოს, გააცნობიერებს რა საკუთარ თავს ასეთად, მომაკვდავი სამუდამოდ შეერწყმება ჭეშმარიტების ნათელს და მიაღწევს განთავისუფლებას.

## მოძღვრება მეორე საფეხურისა
## მეორადი წმინდა ნათელი, რომელიც აღიქმება სიკვდილის შემდგომ იმავ წამს

აი, ასე შეიცნობა წმინდა ნათელი და მიიღწევა განთავისუფლება (როდესაც ვამბობთ შეიცნობაო, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვერ შეცნობა ნიშნავს ვერ დანახვას, არამედ იმას, რომ ნათელთან შეხვედრისას მოუმზადებელ ადამიანს ერევა თავგზა, ჩვეულებრივი ადამიანის ძალა და სისუფთავე არაა საკმარისი, რომ შესძლოს მან ნათელში დარჩენა და ხდება მისი ნელ-ნელა დაშვება, ან შეიძლება ითქვას დაბნელება, ან კიდევ სხვაგვარად - ჩამოქვეითება საგონბრივ და ნივთიერ აღქმების მდგომარეობამდე. სიკვდილის ჟამს გონება რაღაც გარკვეული დროით მიდის სრულყოფილ მდგომარეობამდე წონასწორობისა და

ერთობის, მაგრამ ვერ ინარჩუნებს შთაბეჭდილებებით დამძიმებული და მიდრეკილებების გამო ქვეითდება განცალკევებულობაში წონასწორობა დაკარგული, რომელსაც აკარგვინებს პიროვნულობის, ეგოიზმის გრძნობა), მაგრამ თუ არის იმის ეჭვი, რომ დაუსაბამო წმინდა სინათლე არ იქნა მიღწეული და შეცნობილი, მაშინ გარდაცვალებულის წინ უცილობლად წარსდგება ეგრეთწოდებული მეორადი წმინდა სინათლე. იგი მოვლინდება სუნთქვის შეწყვეტის შემდეგ, სულ ცოტა, კარგად დანაყრებას რომ სჭირდება აი, იმ დროის მონაკვეთში.

ადამიანის ცოდვებისა და შესატყვისად მისი სიცოცხლის ძალა გაემართება ან მარჯვენა ან მარცხენა სადინარით და გავა სხეულის ერთ-ერთი ხვრელიდან, ამის შემდგომ დადგება ცნობიერების გამოფხიზლება, როდესაც სიცოცხლის ძალა შედის ცენტრალურ სამყოფელში (გულის არეში) მომაკვდავი ხედავს წმინდა სინათლეს და თუ ვერ შეჩერდა იგი მასში, ჩაიძირება უფრო დაბალ სინათლეში.

პირველ საწყისი სინათლის ხილვის დრო დაახლოებით უდრის კარგი სადილის ხანგრძლივობას, ასევე დამოკიდებულია ხასიათზე, ნებაზე და გამოცდილებაზე გონების თავმოყრაში.

როდესაც სიცოცხლის ძალა ტოვებს სხეულს, იგი ეკითხება საკუთარ თავს: "ცოცხალი ვარ თუ მოვკვდი?" - და არ ძალუძს პასუხისგება, იგი ხედავს თავის ახლობლებს და ნათესავებს, როგორც ხედავდა სხეულში მყოფი, ესმის მათი გოდება, შემაძრწუნებელი ხილვები ჯერ არ დაწყებულან მისთვის, ეს ის ხილვებია, რომლებიც მოდიან შემდგომ მისი ნამოქმედარით გამოწვეულნი, საშინელი განცდები ჯერ არ დამდგარან ეს ის განცდებია, რომლებიც ევლინებიან სიკვდილის ღვთაებისგან ნამოქმედარის მიხედვით და დამსახურებით.

აი, ამ დროს მღვდელმა არ მკითხველმა უნდა წაიკითხოს შემდეგი დარიგება:

თუ გარდაცვლილი სრულყოფილი იყო ლეაწლში, თუ უპირატესი გააზრებით და შეხედულობით ფიქრობდა

ღმერთზე, ჭეშმარიტებაზე ანუ ფიქრობდა ჭეშმარიტებაზე ყოველგვარი ფორმის გარეშე, მას უნდა მოუხმონ სახელით და შეახსენონ მოძღვრება წმინდა ნათელთან შეხვედრაზე, თუკი გარდაცვლილი იმყოფებოდა ხილული ხატებების თაყვანისცემის დონეზე, მაშინ მას უნდა წაუკითხო მისი მფარველი ღვთაების ხმობის შესახებ და უნდა შეახსენო ასე:

"ო, კეთილშობილო (სახელი) მიმართე შენი ყურადღება შენს ღვთაებრივ მფარველზე, შენს ღვთაებაზე საყვარელზე, შენს მაცხოვარზე, ნუ მოადუნებ ყურადღებას მთელი გულისყურით თავი მოუყარე შენს ყურადღებას მასზე, იფიქრე მასზე (წარმოისახე და შეიგრძენი) ისე, თითქოს და იგი მთვარის ანარეკლივით არის წყალში, ხილული და ამავე დროს არ არსებული თავისთავად, იფიქრე მასზე ისე, როგორც ფიზიკური სხეულის მქონებელზე".

ამის თქმით მკითხველი ამ წარმოდგენებს აღბეჭდავს გარდაცვალებულის ცნობიერებაში.

თუ გარდაცვალებული უბრალო ადამიანია ანუ რელიგიური პრაქტიკის არ მქონე, მაშინ მიმართე ასე:

"იფიქრე დიად და ყოვლადმოწყალე ღმერთზე".

ამის შემდგომ ისიც კი, ვისგანაც არ მოელიან, რომ შესძლებს შეცნობას და გარკვევას უსხეულო მდგომარეობაში, უეჭველად შეიცნობს განსხეულებას და არ დაიბნევა.

ის კი, ვისაც მოძღვარი მოძღვრავდა ჭეშმარიტებასთან შეხვედრის შესახებ სხეულში ყოფნისას, მაგრამ ვინც ვერ გაიწაფა ამაში, დამოუკიდებლად გაუჭირდება შეცნობა უსხეულობის, მას აუცილებლად დასჭირდება დახმარება და მშველელი. ისევე, როგორც ცურვის შესახებ შეიძლება ბევრი მოისმინოს ადამიანმა, მაგრამ ცურვა ვერ შესძლოს. ასევე, ვისაც არა აქვს ლოცვის ძლიერი გამოცდილება, ვერ შესძლებს ცნობიერების უწყვეტობის შენარჩუნებას სიკვდილის შემდეგ, მას უცილობელად სჭირდება მოძღვარი, მაგრამ იმას, ვინც ულირსი ქმედებებით არის დამძიმებული, მას ვერ უშველის ვეღარც მოძღვარი.

შესაძლოა, რომ ადამიანმა აითვისა ეს სწავლება, მაგრამ

ავადმყოფობისა და უძლურების გამო, რომელმაც გამოიწვია სიკვდილი, ვერ შესძლოს წინ აღუდგეს მოჩვენებას, ცდომილებას გონების, მაშინ მას უცილობლად სჭირდება დახმარება.

ასევე, შეიძლება, რომ ადამიანი, რომელმაც ადრე კარგად უწყოდა ეს სწავლება, შემდგომ განუდგა, უგულეელყო, იწყო დარღეევა წესთა, მოვალეობის აღსრულების დარღვევა, რაც მისთვის საწინდარი იქნება დაბალ სამყაროებში ჩაქვეითებისა სიკვდილის შემდგომ, მისთვისაც ეს შეხსენება აუცილებელია.

ყველაზე უკეთესია, ვისარგებლოთ განსხეულებული მდგომარეობის პირველი საფეხურით, თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ მეორე საფეხურზე მაინც უნდა გავაცნობიეროთ განსხეულება. ამ მეორე საფეხურზე მიცვალებული იძენს მოჩვენებით სხეულს. ვერ გებულობს მოკვდა თუ ცოცხალია, თუ კითხეა - შეხსენებამ წარმატებით ჩაიარა, მაშინ გარდაცვალებული ერკვეეა სიტუაციაში, იძენს ცნობიერების გამოფხიზლებას და ხდება მისი შეყრა ჭეშმარიტებასთან პირისპირ, შეყრა შვილისა მშობელთან, რის შედეგადაც ქარწყლდება ცოდეათა ზეგავლენა, ვითარცა მზის სხივი ფანტაეს ბნელს, ასევე წმინდა სხივოსნობა ზღვარს უდებს ცოდვათა ზეგავლენას, მაშინ ფიქრისგან შემდგარი სხეული ანუ მიდრეკილებების სხეული შედის უსხეულო მდგომარეობის მეორე საფეხურზე და შემცნობი უახლოვდება იმ სფეროებს, რომლებშიც ხორციელდებოდა მისი მოღვაწეობა სხეულში ყოფნისას, აი, ამ დასაწყის საფეხურზე უსხეულო მდგომარეობისა არის კარგი შესაძლებლობა დარჩენისა ნათელში, რადგან ამ საფეხურზე სულს ჯერ არ მოელენიან მისი ნამოქმედარიდან გამოწვეული ხილვები, და ამიტომ არაფერი არ აიძულებს მას მიზნიდან განზე გადახვევას, მიზანი კი არის განსხივოსნება.

## ნაწილი მეორე

## ჭეშმარიტების წვდომა განსხეულებაში დარიგება ჭეშმარიტების გამორჩეეისა უსხეულობის მესამე საფეხურზე, რომლის დროსაც სულს ევლინებიან მისი ნამოქმედარის მიერ გამოწვეეულნი ხილვები.

თუ დაუსაბამო წმინდა სინათლე ვერ იქნა შეცნობილი, მაგრამ შეცნობილი იქნა წმინდა ნათელი მეორე საფეხურისა, განთავისუფლება მიღწეულია. მაგრამ თუ განთავისუფლება ვერ იქნა მიღწეული ვერც მეორე საფეხურზე, მაშინ დგება მდგომარეობა მესამე საფეხურისა უსხეულობაში ყოფნისა.

ამ საფეხურზე ვლინდებიან ხილვები ნამოქმედარიდან გამოწვეულნი, შეხსენების კითხვა ამ მონაკვეთში ძალზე საჭიროა და შეუძლია მოუტანოს გარდაცვალებულს დიდი შეწევნა და სარგებელი.

ამ მონაკვეთში გარდაცველილი ხედავს თუ როგორ ხდიან მის სხეულს სამოსს, როგორ ჰგვიან ადგილს, სადაც მას ეძინა, როგორ გადასდებენ მისთვის განკუთვნილ საჭმელს, იგი ხედავს და ესმის გოდება, მოთქმა ახლობლების, და თუმც ხედავს და ესმის თუ როგორ უხმობენ მას, თვით მისი მიმართვა არ ესმის არავის და იგი დაუკმაყოფილებელი შორდება იმ ადგილს.

ამ დროს გამოჩნდებიან ხილვები, მოისმებიან ხმები და იხილვება სინათლე, ყველაფერი ერთად. ეს მოვლენები აშინებენ გარდაცვალებულს, აძრწუნებენ მას, აცბუნებენ და იწვევენ ძლიერი დაღლის გრძნობას, ამ დროს საჭიროა კითხვა შეხსენებისა, თუ როგორ განხორციელდეს შეცნობა ჭეშმარიტებისა უსხეულობაში, მკითხველმა უნდა მიმართოს მიცვალებულს სახელით:

"ო, კეთილშობილო (სახელი) ისმინე ყურადღებით, გაუფანტავად, არის უსხეულო მდგომარეობის ექვსი სამყარო, ან შეიძლება ითქვას, რომ არის ექვსი მდგომარეობა უსხეულოდ არსებობისა, ბუნებრივი უსხეულობა დედის

საშოში, უსხეულო მდგომარეობა ძილისა, უსხეულო მდგომარეობა ღრმა ჭვრეტისა, უსხეულო მდგომარეობა სიკვდილის ჟამისა, უსხეულო მდგომარეობა უპირობო საყოველთაო არსთან შერწყმისა და უსხეულო მდგომარეობა წუთისოფელში დაბრუნებისა.

შენ გაივლი სამ უსხეულო მდგომარეობას - სიკვდილისას, ჭეშმარიტების ხილვისას და ახალი დაბადებისკენ ლტოლვისას. ამ სამიდან პირველი შენ უკვე იგემე, როდესაც მოკვდი და თუმც დაუსაბამო ნათელმა გაგაცისკროვნა, შენ ვერ ჩასწვდი მას და ვერ დარჩი მასში, ამიტომ ამჟამად, ეხლა შენ გელის ორი დანარჩენის გავლა. თუ სიკვდილის ჟამს უსხეულო მდგომარეობაში, უპირობო არსში, განსხივოსნებულობაში ვერ შეიცნობ არსებობის არსს, იძულებული იქნები იბორიალო ამ უსხეულო მდგომარეობაში. ამის შემდგომ შენ მოგეცემა შესაძლებლობა განიცადო უსხეულო მდგომარეობაში უპირობო არსი და დაბრუნება წუთისოფელში, ამიტომ იყავი ყურადღებით, არ გაიფანტო გონებით.

მაშ ასე, შენ დაგიდგა ის ჟამი, რასაც უწოდებენ სიკვდილს. შენ ტოვებ ამ წუთისოფელს, მაგრამ ამ წუთისოფელს ტოვებ არა მარტო შენ, ეს მოუწევს ყველას, ასე რომ, შეეცადე უკუაგდო სურვილი და სევდა წუთისოფელში ცხოვრებისა, ნუ მიებმები ხორციელ ცხოვრებას, ნუ ეჭიდები მას რადგან ვერც წადილი და ვერ სევდა ვერ შეგაძლებინებენ ამ წუთისოფელში დარჩენას, შენ არ გეყოფა ძალები დასარჩენად, და ვერ მოიპოვებ სხვას ვერაფერს გარდა ხეტიალისა საგნობრივი სამყაროს ფარგლების წრებრუნვაში. სისუსტეს ნუ დანებდები, გახსოვდეს სამ რამ: განსხივოსნება, წესი და თანადგომა.

ო, კეთილშობილო, რანაირი შემაშინებელი და საზარელი ხილვები არ უნდა მოგევლინონ შენ უსხეულობაში, რა შიშმა და ძრწოლამ არ უნდა შეგიპყროს შენ, ნუ დაივიწყებ ამ მოძღვრებას და გასწი წინ, გახსოვდეს აი, ეს: "გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნისას როდესაც განმასხივოსნებს უპირობო არსი და ჩემს წინ წარმოჩნდება ხილვა, მე

უკუეაგდებ შიშითა და ძრწოლით აღვსებულ ყველა ფიქრსა და ზრახვას, მე ვიცი, რომ ყველაფერი რაც ჩემ წინ წარმოიშვება, არის ანარეკლი ჩემივე გონების, მე ვიცი, რომ ბუნებით ისინი არიან გარდამავალი მდგომარეობის ფარდობითი მოვლენები. ასე რომ, მე ამ გადამწყვეტ წამს არ შევუშინდები აურაცხელ მშვიდობიან და მრისხანე ღვთაებებს, რომელნიც არიან ჩემივე გონების ელფერით გამოწვეულნი".

აი, ამ სიტყვებით, ამ განწყობით გასწი წინ და ასეთი გადაწყვეტილებით რანაირი ხატებებიც კი არ უნდა დაგიდგნენ, რანაირი საშინელი ხილვებიც კი არ უნდა მოგევლინონ, შენ გამოიცნობ მათ, მხოლოდ არ დაგავიწყდეს არსი სწავლების, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ყველაფერი ეს არის შენივე გონების ანარეკლი, შენივე წარმონაქმნი.

იმ წამს, როდესაც განცალკევდებიან შენი სხეული და გონება შენი, როცა შენი ცნობიერება განშორდება შენს სხეულს, შენ იხილავ უპირობო საყოველთაო არსის სხივოსნობას, ჭეშმარიტების წმინდა ბრწყინვალებას, ნათელ, წმინდა, მბრწყინავი, მოკაშკაშე, დამაბრმავებელი, სანუკვარი, დიდებული, სხივოსანი, მთრთოლვარე შემაშინებელი ბრწყინვალებით, მსგავსი მირაჟისა, რომელიც უწყვეტი მოციმციმე დინებით მსჭვალავს გაზაფხულის პეიზაჟს, ნუ შეშინდები, ნუ შეშფოთდები, ნუ შეცბუნდები - ეს არის ბრწყინვა, ბუნებრივი ნათება შენივე პირველსაწყისი არსის, შენი ჭეშმარიტი არსების, - მაშ შეიცან იგი.

ამ სხივოსნობის სიღრმიდან მოვა ძალუმი გრგვინვა, გაისმება ჭეშმარიტების ბუნებრივი ხმა, თავისთავადი ბგერა, რომელიც წააგავს ათასი მეხის გავარდნას, ეს არის ბუნებრივი ხმა შენი ჭეშმარიტი "მე"-სი, შენივე პირველსაწყისი არსის. ამიტომ ნუ შეუშინდები მას, ნუ შეძრწუნდები, ნუ ითრგუნები.

შენ ამჟამად ხარ მფლობელი არა ხორციელი, არამედ ფიქრით შემოსაზღვრული სხეულისა, მიდრეკილებების სხეულის, გაუცნობიერებელი მისწრაფებებით მოსილის, შენ

არ გაქვს სხეული სისხლის და ხორცისგან შემდგარი და ამიტომ ვერანაირი ხმები, ფერები, სხივები, ხილვები ან რაიმე გარეგანი და ვერაფერი გარეგნული ვერ ხელგყოფს და ვერ დაგაზიანებს შენ, შენ აღარ ექვემდებარები სიკვდილს, შენთვის საკმარისია იცოდე, რომ ისინი - შენი საკუთარი აზრებია, შენივე გონების გამოვლენები, იცოდე, რომ ყველაფერი ეს არის უსხეულობაში გარდამავალი მდგომარეობა.

ო, კეთილშობილო, თუ შენ ვერ შესძლებ იმის შეცნობას, თუ ვერ გამოიცნობ იმას, რომ ეს მოვლენები შენივე გონების გამოვლინებებია რანაირი ღვაწლით, რანაირი ჭვრეტის ხელოვნებით არ უნდა გემოღვაწა შენ სიცოცხლის დროს წუთისოფელში, თუ შენ ვერ მეხვდები იმას, რასაც ეძიებდი, რაც დაისწავლე, მაშინ ფერები შეგაშინებენ შენ, ხმები გამოიწვევენ შფოთს, სხივოსნობა ნათლისა შეგაძრწუნებს შენ, თუ მიუხედავად შენი სულიერი მოღვაწეობისა გონების თავმოყრაში და მორჩილებაში, შენ ვერ გამოიცნობ საკუთარ ფიქრებს, განწყობებს, თუ ვერ ჩაწვდები ამ სწავლების იდუმალ არსს, შენ ვერ შეიცნობ ხმებს, ფერებს, სხივებს, ხილვებს განწირული იქნები საგანთა სამყაროში ხეტიალისა.

## (ანგელოზთა დასი)
## მშვიდობიანი ღვთაებების მოვლენა პირველიდან მეშვიდე დღის ჩათვლით

როდესაც გარდაცვალებული ჩვეულებრივი კაცია, ანუ უძლურია გონების თავმოყრაში, მაშინ მისი ნამოქმედარის ზეგავლენის გამოისობით, მიუხედავად იმისა, რომ მოისმინა დარიგება ნათელში დარჩენის შესახებ, იძულებული იქნება ორმოცდაცხრა დღე იმყოფებოდეს უსხეულოდ არსებობის გარდამავალ მდგომარეობაში. ქვემოთ იქნება აღწერილი ყოველდღიური განსაცდელები და გამოცდები, რომლებსაც იგი შეეჩეხება და რომელნიც უნდა დასძლიოს და გადალახოს პირველი შვიდი დღის განმავლობაში, რომლის დროსაც მას მოევლინებიან მშვიდობისმყოფელნი ღვთაებები, პირველი

დღე ითვლება ის დღე, როდესაც გარდაცვლილმა გააცნობიერა, რომ მოკვდა, ანუ გარდაცვალებიდან სამნახევარი, ოთხი დღის განვლის შემდგომ.

## დღე პირველი

ო, კეთილშობილო, სამ დღენახევარი შენ იყავი გაურკვევლობაში და ოდნავ გამოფხიზლდი თუ არა, იფიქრე: "რა დამემართა მე?" "რა მოხდა?" შეეცადე გააცნობიერო უსხეულობა, ამ დროს საგონბრივი სამყარო მიიღებს სხვა ელფერს, გახდება სხვანაირი შესახედაეი და შენ დაიწყებ ყველაფრის ყურებას სინათლი ფარდის ქვეშ, ვითარცა წარმოდგენა, ხოლო ცა იქნება განსხივოსნებული მუქი ლურჯი ფერით. შენს წინაშე გამოცხადდებიან არსებები, რომლებიც არიან ერთარსნი დასაბამისა, გონების არსისა, ეს არსებები არიან გონებები მყოფნი ჭვრეტის მდგომარეობაში, ნათელი სულები, ყოველი მათგანი გამომხატველია გონების რომელიმე მდგომარეობისა, პირველი იქნება არსება გამომხატველი ფენომენალური სამყაროს შეცნობის ძალისა, იგია გონების ბუნების ცენტრალური საწყისი, სივრცობრიობის ჩამომყალიბებელი საწყისის თანმხლებით, ეს არის "მატერია" - თავის პირვანდელ, საწყის მდგომარეობაში მყოფი, რომლის სახე, შესახედაობა არის ცისფერი სინათლე.

მისი გულიდან გამოვა სიბრძნე კანონზომიერების წვდომის, ცისფერი სილურჯისაკენ გადახრით მბრწყინავი სინათლე, დიდებული, დამაბრმავებელი და იმდენად ძლიერი მოკამკამე სინათლით, რომ გაგიძნელდება გასწორება თვალის, ეს არის გონიერი სინათლე საგნების საშუალებით მოაზროვნე გონებისა, თავის პირველსაწყის სიწმინდეში, სამყაროს კანონზომიერების სიბრძნე უკიდეგანო ყოვლისმომცველი სივრცისა, რომელშიც იშვება და ქრება ყოველნაირი გამოვლენა ყოფიერებისა.

ეს პირველი ხილვა მბრწყდინავი ძალმოსილების, ყოვლისგანმჭოლი მხედველობის არის გულადობა და ძალა

თავისი თვისებით, განმგდები სიძულეილისა და მრისხანების, საპირისპირო ბუნებაა თავნებობისა და თავმოყვარების, - იგია ნათელი, სხივოსანი, მკვეთრი და მბრწყინავი, განგმსჭვალავს ბრწყინვალებით თვალთა მზერისთვის გაუძლებელით და მასთან ერთად იმავე დროს რბილი თეთრი სინათლე ინდივიდუალური, პიროვნული არსებობის ბუნებისა მოვა და განგმსჭვალავს შენ, და ამ წამს შენი ცოდვების გამო, შენი ნამოქმედარის ზეგავლენით ცისფერი ბრწყინვალება კანონზომიერების სიბრძნისა გამოიწვევს შენში შიშს და ძრწოლას, მისი კაშკაშა ლურჯი ბრწყინვა დაგთრგუნავს შენ, შენ მოგინდება გაქცევა მისგან და ამის საპირისპიროდ გაგიჩნდება ლტოლვა მქრქალი თეთრი ნათებისაკენ, მოგინდება თავის შეფარება რბილი, თეთრი, ინდივიდუალური არსებობის შენარჩუნების სამყაროს სინათლეში, რომელიც მომდინარეობს ღვთიურთა ბუნებიდან, ღვთაებათა სამყოფელიდან.

ნუ შეუშინდები მკვეთრ, მოკაშკაშე, ღვთაებრივ ლურჯ სინათლეს, რომელიც ბრწყინავს დამაბრმავებლად, დიდებულებით, ნუ შეუშინდები მას, იგია სხივოსნობა წმინდა გონების, რომელსაც უწოდებენ "კანონზომიერებათა წვდომის სიბრძნის ნათებას", მიენდე მას. დაეყრდენ მას, ილოცე და იფიქრე მასზე ვითარცა მომდინარეზე მაცხოვარის გულიდან, იგია კურთხეული მბრწყინავი ძალმოსილება, იგი მოემართება, რომ მიგიღოს შენ თავის მფარველობაში უსხეულო მდგომარეობის ძნელ და სახიფათო გზებზე. ეს სხივი არის "გულმოწყალება მაცხოვნებელი ძალმოსილების ნათელის".

ნუ ცდუნდები და ნუ ეძიებ თავშესაფარს და ნეტარებას რბილ, თეთრ სინათლეში, ინდივიდუალური არსებობის ბუნებიდან რომ არის მოვლენილი. ნუ გაგიტაცებს იგი, ნუ ინალვლებ მასზე, განერიდე მას, ნუ დაუთმობ სისუსტეს, თუ მას გაყვები, მოხვდები ღვთაებათა სამყაროში და წუთისოფლის წრებრუნვა ჩაგითრევს შენ, ეს სინათლე ზღუდეა განთავისუფლებისაკენ მავალ გზაზე, ნუ უმზერ მას, ღრმა რწმენით მიმართე შენი მზერა მოკაშკაშე ლურჯ

სხივოსნებისკენ. გონება გაამახვილე მაცხოვარზე ლოცვა-ვედრებით და მინდობით მასზე. მიმართე შენი ყურადღება მისკენ და ილოცე: "უფალო შემიწყალე", "ღმერთო მილხინე მე ცოდვილსა ამას".

ილოცე თაემდაბლობით, მტკიცე რწმენით, და შენ შეერთდები გულთან მაცხოვარისა, და შემოსილი ნათელი სხივოსნობით განსხივოსნდები ცათა სასუფეველის იმ განზომილებაში, რომელიც აღვსებულია პირველსაწყისი მიზეზით, სამყაროს ძალების და ნივთების საფუძელებით, საიდანაც აღარაა დაცემა, დაქვეითება.

## ᲓᲦᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ

თუ მიუხედავად ამ დარიგებებისა, მიცვალებული მრისხანების ზეგავლენის გამო ან გონების დამაბნელებელი ცოდვების გამო შეძრწუნდება და გაექცევა დიად სხივოსნობას და ლოცვის მიუხედავად მოექცევა ხილვების ზეგავლენის ქვეშ, მეორე დღეს მის წინ გამოელინდებიან; "უცვალებელი არსი ჭეშმარიტებისა" დამანგრეველი ყოველი ცვალებადობის და არაჭეშმარიტის და მასთან ერთად გარდაცვალებულის ბოროტებანი ჯოჯოხეთისკენ წამყვანნი.

შეხსენება ამ დროს იქნება ამგვარი:

ო, კეთილშობილო (სახელი) მისმინე ყურადღებით, ნუ მოცდები რაიმეზე, მეორე დღეს გამობრწყინდება თეთრი სინათლე, დაწმენდილი საწყისი წყლისა და იმაე წამს მოგევლინება მუქი ლურჯი სივრციდან, რომელიც არის უზენაესი ბედნიერების სფერო, "ყველა გრძნობათა მეუფებისა" "- მედგარი უშფოთველობა", ჭეშმარიტებით მლახვარი, თავისი სახით, მისი ფერი ლურჯია, მასშია ძალმოსილება ჭეშმარიტებით აღვსებისა, მას თან სდევენ ღვთაებები - საწყისები გონების, მდედრობითი ხასიათისა, ესენი არიან: "მზერა გონებისა, სილამაზის", "მიმზიდველობა", "სიყვარული", ასევე დაწმენდილი გონებრივი საწყისები, არსნი შემოქმედებისა და სილამაზისა, მყარად დაარსებულნი განსჯის პრინციპის ტახტრევანზე, კრიტიკული ლოგიკის ანუ

გამომკვლევი მსჯელობის ძალაზე, რომელსაც შეუძლია მიიყვანოს გონება ჯოჯოხეთისა და განსჯის სამყარომდე, თუ იგ არ იქნა დამყარებული ღვთაებრივ საუნჯეზე, მისი მეოხებით გონება შეიძლება შევიდეს აკვიატებული გაუაზრებელი ზრახვების საუფლოში.

შენი გონების ფუძე - პირვესახე, რომელიც არის სიბრძნე, მაგვარად სარკისა აირეკლაეს სინათლეს გამომაეალს უზენაესი ბედნიერების სფეროს გულიდან და განბრწყინდება კაშკაშა მბრწყინავი ნათელით, ეს დამაბრმავებელი, თეთრი, კაშკაშა ნათელი განგმსჭვალავს შენ ისე, რომ ვერ გაუსწორებ მზერას, იგი გაგაოცებს, გაგაოგნებს შენ, მაგრამ ამ სხივოსნობასთან ერთად, რომელიც სიბრძნეა სარკისმაგვარი ან ალმასისმაგვარი, ჯოჯოხეთიდან, ქვესკნელიდან აღინთება რბილი, ფაქიზი, დაბინდული სინათლე ნაცრისფერი, მიმზიდველი და გამთანგველი. და ამ წამს შენივე მრისხანების გამო შენ შეშინდები, რადგან შენში მოქმედი მრისხანების ძალა წარმოშობს შენში შიშს, და შეგეშინდება მოკაშკაშე თეთრი სხივოსნობისა და უკუიქცევი მისგან, მოგინდება თავის შეფარება ნაზ რბილ სინათლეში, ნაცრისფერ დაბინდულ ნათებაში, რომელიც არის ნათება ჯოჯოხეთისა, შეეცადე ყველანაირად, რომ განაგდო შიში დამაბრმავებელი თეთრი ბრწყინვალების მიმართ, იცოდე, რომ იგია სიბრძნე, გულწრფელად და თვინიერად დაემორჩილე მას, ეს ნათელი არის მოწყალება მაცხოვარის, "მე ვპოვებ შენში თავშესაფარს" აი, ამ ფიქრით - განწყობით ილოცე.

გახსოვდეს, რომ ამ სხივოსნობის მეოხებით მოდის შენსკენ მაცხოვარი შენს საშველად და გიწვდის თავის მბრწყინავ ხელს შველისათვის.

მაგრამ შენივე მრისხანების გამო შენ შეშინდები და უკუიქცევი წმინდა ბრწყინაეი ნათლისაგან და მოგინდება თაეის შეფარება ნაზ, დაბინდულ სინათლეში, ნუ იზამ ამას, ნუ ცდუნდები მიმქრალი, ნაცრისფერი სინათლისგან, რომელიც მომდინარეა ჯოჯოხეთიდან, იგია გზა წამყვანი ჯოჯოხეთში, მასზე გიბიძგებენ შენივე უკეთური ნამოქმედარი

საქმენი ქმნილნი მრისხანებისაგან და სიძულვილისგან, თუ ცდუნდები ამ ნაცრისფერი სინათლით, მოხვდები ჯოჯოხეთში და განიცდი აუტანელ ტანჯვებს, ამ სამყოფელში არ გეცოდინება ჟამი ამ ტანჯვების დამთავრებისა, აქედან არ ჩანს გამოსავალი, ეს არის ზღუდე განთავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე, ნუ მიმართავ იქითკენ მზერას და განუდექი მრისხანებას, სიბრაზეს, გაღიზიანებას, ნუ გაგიტაცებს მიმქრალი სინათლე, მიენდე დამაბრმავებელ თეთრ სხივოსნობას, მთელი გულწრფელობით გაუღე კარი გულისა მაცხოვარს და ილოცე, ილოცე ღრმა რწმენით და შენ შეუერთდები მაცხოვარის გულს მბრწყინავი სხივოსნობის ათინათებში.

## დღე მესამე

მაგრამ ხდება ისე, რომ მიუხედავად ამ დარიგებებისა, მიუხედავად მბრწყინავი სხივის დახმარებისა, გარდაცვალებული დამძიმებული საკუთარი უკეთური ნამოქმედარით და ამპარტავნობით, გაურბის ნათელს გონება დაბინდული. ამ შემთხვევაში მესამე დღეს მის წინ მოევლინება - "თვითარსობის საწყისი" და მისი თანმხლები ღვთაებები და საწყისები და ასევე ნათელი, ადამიანთა სამყაროდან მოვლენილი. მესამე დღეს გაბრწყინდება ყვითელი სინათლე - "მიწის" პირველსახე, სიმყარის პირველსაწყისი, რომლიდანაც მოევლინდება "თვითარსობა" თავისი პიროვნებით და მისი თანმხლები ღვთაებები - "სივრცის დასაწყისი", "გაწონასწორებული სათნოება", სიბრძნე წონასწორობისა და სხვა ძალები და საწყისები, ცნობიერების ექვსი ფორმის ღვთაებები და საწყისები.

თვითშემეცნების გრძნობის, შეხების გრძნობის პირველსახიდან, მისი გულიდან წამოვა ყვითელი სინათლე მგრძნობელობის საწყისის, მოვა სიბრძნე წონასწორობისა, მბრწყინავი, ყვითელი, დამაბრმავებელი, მოსილი სინათლის წრეებით, კამკამა, ნათელი, სხივოსნობის ათინათებით და განმსჭვალავს შენს გულს ისე, რომ თვალები ვერ გაუძლებენ

მის ბრწყინვალებას, იმ წამსვე სიბრძნის ნათელის მოსვლასთან ერთდროულად შენს გულს განმსჭვალავს ნაზი ნათება ლურჯი სინათლის, ადამიანთა სამყაროდან მოვლენილი და გადამწყვეტ წამს შენშივე დაბუდებული ამპარტავნებისა და სიამაყის ზეგავლენით შეუშინდები კაშკაშა ყვითელ სხივოსნობას და იძულებული გაიქცევი ნაზი მოლურჯო-მოყვითალო ნათებისკენ ადამიანთა სამყაროში წამყვანისკენ.

ნუ შეუშინდები დამაბრმავებლად მოკაშკაშე ყვითელ სინათლეს, მკვეთრს, ნათელს, წმინდას, არამედ გაიაზრე იგი ვითარცა სიბრძნე, დე შენი გონება ჩაესვენოს მასში, მოშვებული, უმოქმედო, მიენდე მას, მორჩილებით და გულწრფელი ნდომით, და თუ შენ მას შეიცნობ, გააცნობიერებ ვითარცა შენივე საკუთარი გონების ბუნებრივ ბრწყინვას, რომც ვერ გრძნობდე რწმენას და რომც არ ლოცულობდე - ყველა ფორმები, ფერები და სხივები განუყოფლად შეგერწყმიან და შენ მიაღწევ განსხივოსნებას, ასე რომ, იცოდე, შენს წინ აღნთებულია ნათელი შენივე საკუთარი გონების.

ხოლო თუ ვერ შემძლე ხარ მისი შეცნობის ვითარცა შენივე გონების ბუნებრივი ბრწყინვალების, მაშინ იფიქრე ვითარცა ნათელზე მოვლენილზე მაცხოვარისგან გულმოწყალებით, რომ მასში შენ ჰპოვო თავშესაფარი, და ამ განწყობით ილოცე და ევედრე მაცხოვარს.

ნუ ცდუნდები და ნუ მოისურვებ ნეტარებას ნაზ, მიმქრალ ლურჯ ნათებაში, რომელიც მომდინარეობს ადამიანთა სამყაროდან, იგია გზა მაცდუნებელი გაუცნობიერებელი ლტოლვების, რომლებიც დაგროვებულნი არიან ძლიერი სიამაყის ზეგავლენით, გზა მიკერძოებებისაგან შექმნილი, შენივე შექმნილი და მიმართული შენსკენვე, თუ ცდუნდები მისით ისევ მოხვდები ადამიანთა სამყაროში, განიცდი დაბადებას, სიბერეს, მწუხარებას და სიკვდილს და არ გექნება შესაძლებლობა მიწიერი არსებობის ჭაობიდან ამოსვლისა, შენ ხელიდან გაუშვებ შესაძლებლობას წუთისოფლის დატოვებისას, იგია ზღუდე ხელისშემშლელი

განთავისუფლების გზაზე, ნუ უმზერ მას, განაგდე სიამაყე, მიკერძოება, ლტოლვები, მიენდე მოკამკამე ნათელ სინათლეს, გულწრფელად ჩაღრმავდი მაცხოვრის ლოცვაში, ილოცე ღრმა მორჩილებით და რწმენით, გონების თავმოყრით და შენ შეუერთდები მაცხოვარის გულს და განსხივოსნდები დიდებით მოსილი.

## ᲓᲦᲔ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

ამგვარი შეხსენებით, გარდაცვალებული რაც არ უნდა სუსტი იყოს გონებით, უცილობლად მიაღწევს განთავისუფლებას, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებმაც მიუხედავად ხშირი დარიგებისა, დააგროვეს უკეთურ მოქმედებათა დიდი მარაგი, ან ვერ შესძლეს აღთქმათა აღსრულება, ან ვერ შესძლეს გაგება, რომ არ არიან მოკლებულნი შესაძლებლობას უზენაესი სულიერი მიზნის განხორციელებისას, მათი უმეცრება და უკეთური გულის განწყობა ანგარებითა და სიძუნწით ჩამოყალიბებული ბადებს მათში შიშს ხმების, ნათებების და მოელენების მიმართ და ისინი გაურბიან მათ, თუ გარდაცვალებული განეკუთენება ამგვართა რიგებს, მაშინ მეოთხე დღეს მის წინ გამოელინდება - "უსაზღვრო შთაუწვდომელი სინათლე" მისი თანმხლები ღვთაებებით გარშემორტყმული და ერთდროულად მიმქრალი ნათება მომდინარე მშიერ სულთა სამყაროდან შობილი სიხარბისა და მიკერძოებებისაგან.

მეოთხე დღეს აღმობრწყინდება წითელი ნათელი - პირველსახე ცეცხლისა, პირველსაწყისი ცეცხლისა და გამოჩნდება შენი მზერის წინ - "უსაზღვრო ნათელი სიცოცხლისა", თავის პიროენული ხატებით, და მისი თანმხლები ღვთაებები და საწყისები აღმობრწყინდებიან ათინათებით მოსილნი. იგი მოსულია განუსაზღვრელი ნეტარების სამყაროდან, მისი სხეული წითელია, იგია მიმზიდველი, თბილი, გახსნილი და თანამგრძნობი, უსაზღვრო სინათლე ბუნებრივად მბრწყინავი სამაგიეროს არ მთხოვენი.

მისი ცეცხლოვანი ბუნება - ყოვლისმომცველობაა, იგია არსი სიწმინდის, მას თან ახლავენ ღვთაებები მდედრობითი ბუნების - "სიწმინდით მოსილობა" და "თანაგრძნობა", ასევე ძალუმნი არსნი - "სფეროთა მეთვალყურეობა", "შემწეობა", გონებაზე ზემდგომი ძალები - "სათნოება", "თანაგრძნობა გააზრებული", "საწყისი სიტყვის", "მუსიკალობის" და "რითმის საწყისები" მდედრობითნი, ექვსი გონებრივი ფორმა, გამოელინდებიან ესენი ყველანი გაცისკროვნებული სიერციდან.

"უკიდეგანო ნათელის" გულიდან მოვა შენთან წითელი სინათლე აღქმის საწყისის, მისი პირვანდელი, თავდაპირველი სიწმინდით, მოვა სიბრძნე გარკვევისა, მბრწყინავი, წითელი, მოცული სინათლის წრეებით, ნათელი და კაშკაშა, მკვეთრი და ელვარე, იგი განმსჭვალავს შენს გულს, მზერისთვის გაუძლებელი სხივოსნებით, ნუ შეშინდები, ამ მბრწყინავ ნათელთან ერთდროულად აღინთება მქრქალი მოწითალო ნათება მშიერ სულთა სამყაროდან მომდინარე, ეცადე ყოველმხრივ, რომ გულმა არ გაგიწიოს მისკენ, ეს არის გზა გაუცნობიერებელი ლტოლვების, რომლებიც დაგროვდნენ ძლიერი სურვილებით და ვნებებით, და თუ იგი წარგიტაცებს შენ, მაშინ დაემვები მშიერ სულთა სამყაროში. შენივე დაგროვებული ვნებები და ლტოლვები გაიძულებენ გაექცე წითელ სხივოსნობას და ეძიო თავშესაფარი დაბინდულ მოწითალო-ყვითელ ნათებაში, ნუ შეუშინდები დიად წითელ ნათებას, მბრწყინავს, მოკაშკაშეს, გააცნობიერე ის, რომ იგია სიბრძნე, დაამდაბლე შენი გონება და შენ შეერწყმები მას განუყოფლად და განსხივოსნდები.

ხოლო თუ ვერ შესძლებ ამის გაცნობიერებას, მაშინ ილოცე და ირწმუნე, რომ ეს სინათლე არის მაცხოვარის მოწყალება, რომელშიც უნდა ჰპოვო თავშესაფარი შენ, მიენდე მას, ნუ გაექცევი და რომ გაექცე იგი გამოგყვება, რადგან განუყოფელია შენგან, ნუ გაგიტაცებს მიმქრალი მოყვითალო-წითელი ნათება, იგია გზა შექმნილი შენ მიერვე, წუთისოფელში ცხოვრების ნდომის სურვილიდან შობილი და მომართული შენსკენვე, შენივე ნდომით. თუ ცდუნდები მისით,

მოხვდები უბედურ სულთა სამყაროში და განიცდი აუტანელ ტანჯვას და შიმშილ-წყურვილს და არ გექნება შესაძლებლობა იქ განთავისუფლების მიღწევის, მიმქრალი ნათება ზღუდეა განთავისუფლების გზაზე, ნუ მოიხიბლები მისით, განაგდე მიკერძოება, უკუაგდე სულმოკლეობა, მიენდე თვალისმომჭრელ მოკაშკაშე წითელ სხივოსნობას, მიმართე შენი გული მაცხოვარისკენ რწმენით და ილოცე მორჩილებით და მოშურნეობით და შენ შეუერთდები მაცხოვარის გულს და განსხივოსნდები.

## დღე მეხუთე

წარმოუდგენელია, რომ გარდაცვალებულმა ვერ მიაღწიოს განთავისუფლებას ყველაფერი ამის შემდეგ, მაგრამ ამგვარი შეხსენების მიუხედავად, არიან ისეთებიც, რომლებსაც არ ძალუძთ განუდგნენ თავიანთ ლტოლვებს დიდიხნის ჩვევის გამო, უკეთური მოქმედებების და შურის გრძნობის გამო, ასევე შიშისა და ძრწოლის გამო, რომელთაც აღძრავენ ხმები და ნათებები, ასე რომ, მათივე უკეთურებიდან გამომდინარე, სულის სიმძიმის გამო ბრწყინვალე ნათლის სხივებმა ვერ შესძლეს მათი სულების აღტაცება და ამიტომ ისინი მეხუთე დღესაც იძულებულნი არიან იხეტიალონ უსხეულობის გარდამავალ მდგომარეობაში, თუ გარდაცვალებული განეკუთვნება ამდაგვართა რიცხვს, მაშინ მოწყალების ნათელის შუქზე მას მოევლინება "საყოველთაო ძალმოსილება" და ასევე სინათლე ბნელთა სამყაროდან, რომელიც იშევება შურიანობის ბოროტი გრძნობიდან.

მაშ ასე, მეხუთე დღეს გამობრწყინდება მწვანე სინათლე, განწმენდილი პირველსაწყისი ჰაერის და იმავე წამს შენს წინ აღიმართება კურთხეული "საყოველთაო ძალმოსილება, ყოვლისშემძლეობა დასრულებულობის". დასრულებული მოქმედებების სამყაროდან, მისი სხეული არის მწვანე ფერის, მას ვერაფერი წინ ვერ აღუდგება, რამეთუ იგია მთავარი ყველანაირი მოქმედებების განსრულების, იგი მფლობელია

დაურღვეველობის, მას უპყრია ჯვარი - ნიშანი მოქმედებათა დამთავრების, სამყაროს ყოველი მიმართულებით ქმედების აღსრულების. მას თანხლებად მიჰყვებიან ღვთაებები მდედრობითი საწყისები - "სიტყვის, აღთქმის დაცვა", "ძალთა მმართველი", "ზღუდეთა მრღვევი", ასევე აღქმის ხარისხები, "მოქმედების ქმნის ცოდნა", "ჭვრეტის ხელოვნება", "ქმედებათა გარეგნული ფორმის იქით შინაარსის დანახვის ნიჭი", თანხმლებნი ექვსი ფორმა გონებრივი სხივოსანი სივრციდან მოვლენილნი.

ნებელობის პირველსახიდან, რომელიც არის დასრულების სიბრძნე, მოსილი მწვანე ბრწყინვალებით, თვალისმომჭრელით, სხივოსანით, დიადით, შემაშინებელით, შარავანდებით მოსილით, შენსკენ წამოვა და განმსჭვალავს შენს გულს სხივოსნობა მწვანე, საწყისი წარმოსახვის, ნუ შეუშინდები მას, იგია უნებლიე თამაში შენივე გონების, იგია ბუნებრივი ენერგია შენივე საკუთარი გონების, გაყუჩდი უდიადეს მორჩილებასა და აუღელვებლობაში, განისვენე ამ უზენაეს მდგომარეობაში, რომელიც თავისუფალია მოქმედებისგან და ზრუნვისგან, რომელშიც არაა არც ახლობელი და არც შორსმყოფი, არც სიყვარული, არც სიძულვილი.

ამ დიად სინათლესთან ერთად შენ გაგანათებს შურით გამოწვეული მიმქრალი წითელი სინათლე შურით აღვსებული არსებების სამყაროსი, უმზირე მას მიკერძოების გარეშე, ზიზღისა და წადილის გარეშე, დე შენს მზერაში გაქრეს სხვაობა სიყვარულსა და სიძულვილს შორის, ნუ განიცდი მისდამი ლტოლვას, მაგრამ თუ შენი გონება სუსტია, მაშინ უბრალოდ ნუ მოისურვებ მასში განცხრომას.

საწინააღმდეგო შემთხვევაში აუტანელი შურის გრძნობის გამო შენ დაითრგუნები თვალისმომჭრელი ნათლისგან და შეძრწუნებულს მოგინდება გაქცევა მისგან. და გაგიჩნდება ლტოლვა უსინათლოთა სამყაროს მიმართ. შურიან სულთა სამყოფელში, თუ წახვალ მიმქრალი წითელი ნათებისაკენ, რომელიც არის გზა შექმნილი შენივე ნამოქმედარიდან მიღებული შედეგების, რომლებიც შურის გრძნობიდან იქმნენ

ქმნილნი ჩაშვები შურიან სულთა სამყაროში და აუტანელ ტანჯვას განიცდი ბრძოლებში და ჩხუბში.

ნუ შეუშინდები დიად მწვანე სხივოსნობას, იცოდე, რომ იგია სიბრძნე, დამორჩილდი, მიენდე მას, იფიქრე მასზე ვითარცა მაცხოვარის მოწყალებაზე, და იცოდე ის, რომ რომც გაექცე მას იგი არ მიგატოვებს შენ, მაინც გამოგყვება, რამეთუ განუყოფელია შენგან, ნუ ცდუნდები მიმქრალი წითელი-მომწვანო ნათებით, რომელიც მომდინარეობს დემონთა სამყაროდან, იგია შურისგან გამოწვეული მოქმედებების შედეგი, შენივე გონების ნამოქმედარი, რომელიც შენსავე შესახვედრად მომდინარეობს, თუ ცდუნდები მისით განიცდი აუტანელ ტანჯვას ბრძოლის და მტრობისას. იგია ზღუდე განთავისუფლებისაკენ მაღალ გზაზე, განაგდე მიკერძოება და სულმოკლეობა, მიენდე თვალისმომჭრელ სხივოსნობას, თავი მოუყარე მთელს შენ ფიქრებს ღვთაებრივ მაცხოვარზე და ილოცე, ილოცე ღრმა რწმენით და მორჩილებით და შენ შეუერთდები მაცხოვარის გულს.

## დღე მეექვსე

ასე და ამგვარად, ყოველ ეტაპზე დამოძღვრებითა და შეხსენებით, გარდაცვალებული, რაც არ უნდა სუსტი იყოს გონებით, შინაგანი სულიერი ძალით, ერთ-ერთ საფეხურზე ყოველნაირად უნდა შესძლოს მან გაცნობიერება. უსხეულო მდგომარეობაში საკუთარი თავის გაცნობიერებით კი, არ შეიძლება არ მიაღწიოს მან განსხივოსნებას და მაინც მიუხედავად ხშირი დარიგებებისა, ის, ვინც ჩაძირულია თავის ჩვევებში, ვინც ვერ მიეახლა სიბრძნეს და არ შეიყვარა იგი მთელი რწმენით, გატაცებული შეიძლება იქნეს თავისი უკეთური მოქმედებებისა და მიდრეკილებების მიერ უკან, ზეგარდმო ნათლის სხივები არ აღიტაცებენ მას და იგი იძულებული იქნება იხეტიალოს და დაეშვას სულ ქვევით და ქვევით შიშისა და შეძრწუნების განცდებით სინათლისა და ხილვების მიმართ, მაშინ მის წინაშე წარმოჩნდებიან ექვსივე

სფეროს ღვთაებები ერთდროულად და მათთან ერთად ალინთებიან სხივები გამომავალნი ექვსივე სფეროდან ერთდროულად.

მაშ ასე, დღემდე ხუთი სახის ღვთაებები გევლინებოდნენ შენ თანმიმდევრობით და გმოძღვრიდნენ ჭეშმარიტებასთან შესახვედრად, მაგრამ შენიეე უკეთური მიდრეკილებებისა და გამო შეშინდი და ამიტომ ამდენი დროით დაყოვნდი შენ უსხეულობაში.

შენ რომ გაგეცნობიერებინა ის, რომ ყოველი სინათლე ამ ხუთიდან გამომდინარეობდნენ შენივე საკუთარი გრახვებიდან, მაშინ შენ განსხივოსნდებოდი და შეერწყმოდი მრავალფერ შარავანდედს ამ ხუთიდან რომელიმეს, ეხლა იყავი ყურადღებით, ხუთი სახეობის სინათლე სიბრძნისა გამოჩნდება შენ წინ, შეეცადე შეიცნო იგი.

მეექვსე დღეს შენს წინ გაბრწყინდებიან ოთხი სხივოსნობა, ოთხი ნათელი პირველსაწყისები ოთხი სტიქიისა - მიწის, წყლის, ცეცხლის, ჰაერის, და ამ საწყისების გონიერი არსებები ასევე მოგევლინებიან შენ, ამ ოთხი საწყისის ფერადოვანი სხივოსნობის და მათი თეითოეული მათგანის შესატყვისი გონიერი არსებების კვალდაკვალ მოგევლინებიან მრისხანე არსებები, მრისხანე ღვთაებები, სიბრძნის ექვსი საწყისი არსებანი, რიცხვით ორმოცდაორი ღვთაება, გამომავალნი არიან შენივე გულიდან და მოგევლინებიან შენ, ისინი არიან სუფთა ფორმები შენივე გულის წყობისა, - შეიცან ისინი.

ყველა მოვლენილი სფეროები და ღვთაებები ევლინდებიან არა საიდანმე გარედან, არამედ ისინი გამომდინარენი არიან შენივე გულის, ოთხი მხარიდან, რომლებიც ერთობლიობაში შუაგულთან ერთად ქმნიან ხუთ მიმართულებას, იქიდან მომდინარეობენ ისინი თავისი სხივოსნობით, ღვთაებები ჩნდებიან არა საიდანმე გარედან, არამედ ისინი მარადის არსებობენ შენს საკუთარ გონებაში, გახსოვდეს, რომ მათი ბუნება ამგვარია; ღვთაებრივი ღვთაებები წარმოადგენენ მეტყველების პრინციპებს, სათნო ღვთაებები - გულისას, ემოციათა დადებით ფუნქციებს, მრისხანენი კი - გონებრივ

ფუნქციებს, განსჯისას, აზროვნებისას, წარმოსახვისას და ხსოვნისას. პირველები მოთავსებულები არიან გულის არეში, ბოლონი კი - თავის ტვინის საზღვრებში. ეს ღვთაებები არც დიდნი არიან და არც მცირენი, არამედ ზომიერნი, ყველას აქვს თავისი შესახედაობა, ნირი, ისინი ქმნიან ჯგუფებს - მამაკაცები მატარებელნი არიან მამაკაცური ღვთაებრივი საწყისის, ქალები კი - დედობრივი საწყისის, ისინი მოგვევლინებიან დიადი საკრებულოთი, ისინი არიან შენი დამცველები, იცოდე, რომ ჭეშმარიტად ისინი არიან ამგვარნი.

მაშ ასე, ორმოცდაორი ღვთაება ალავსებს მთელ სიერცეს. მთელი სული წარმოდგება თვალთახედვის წინ. ეს სახეები ამოდიან შენივე შინაგანი სიერციდან, ისინი მხოლოდ საწყისი და უნებლიე თამაშია შენი გონების - შეიცან ისინი სწორედ ამდაგვარად.

მათი გულებიდან შენ განგასხივოსნებენ სხივები ყოველი მათგანის შესატყვისი ფერისა, სიბრძნის მომცემნი, წმინდა, მზის სინათლის მსგავსნი, ამ ბრწყინვალებათა ფონზე გაბრწყინდებიან თვალისმომჭრელი შარავანდედნი სიბრძნის არსისგან გამომავალნი, თვითოეული გადმობრუნებული თეფშის მაგვარია, გარემოსილი შარავანდედით, თანამგზავრებით, მბრწყინავი ვარსკვლავებით, მათ არ აქვთ შუაგული, არც ზღვარი, ისინი არიან ფერით ცისფერნი მბრწყინავი ნათელნი, ყოველი არსების გულიდან შენს წინ მოვლენილთა, გამოვა შემეცნება სხვადასხვა სიბრძნისა, თანასწორობისა, გარჩევისა, აღქმისა, სარკის მსგავსად არეკლით.

ყველა ეს განცდა - ყველაფერი ეს - შენივე საკუთარი გონების წარმოქმნილია. ეს ნათებები არ მოდიან გარედან, ამიტომ ნუ ცდუნდები მათით, ნუ გაერთობი მათით, ნუ მიეცემი უძლურებას, ნუ გეშინია მათი, იყავი მშვიდად და მოშვებულად, დამკვიდრდი უფიქრებლობის მდგომარეობაში, თავისუფალი ფიქრებისგან და მაშინ ყველა ხილვა და სხივოსნობა შეგერწყმებიან შენ და მიაღწევ განსხივოსნებას.

მაგრამ გახსოვდეს, რომ შენს წინ არ აღინთება მწვანე ბრწყინვალება, რომელიც არის გზა სიბრძნისა - სრულყოფილ

მოქმედებათა ცოდნისა, რამეთუ შენი გონება არაა ჯერ სრულყოფილი.

ხოლო ის, რაც მოგევლინა შენ, არის სინათლე ოთხი სიბრძნისა, სადაც არის დასაწყისი არსობის სიმტკიცის გზისა.

ამ დროს შენ უნდა გაიხსენო მოძღვრის დარიგება, თუ გაიხსენებ მიხვდები, რომ ხილვები აღმოცენებულნი შენს წინ არიან შენი შინაგანი სინათლის ანარეკლები, განსახიერებანი, და თუ აღიქვამ მათ ვით შენს მეგობრებს, შენ მიენდობი მათ და იცნობ მათ შეხვედრისას. უკუაგდე ეჭვი, შენ შეიცნობ შენივე გამოვლენებს და შედგები ჭეშმარიტი საყოველთაო არსის წმინდა, უცვლელ გზაზე. დარწმუნდები რა წმინდა და ნათელი ჭეშმარიტების ბუნების უცვლელობაში, შენ შეიგრძნობ შენში უშფოთველი ჭვრეტის მიმდინარეობას, რამეთუ რწმენა მიგიყვანს განუწყვეტელ ჭვრეტამდე და შეხვალ რა სრულყოფილი გონების სხეულში, შენ განივრცობი დიად თვითარს სიბრძნეში, და გადაიქცევი განსხივოსნებულ ცნობიერებად ნეტარების სხეულში, აქედან აღარაა დაბრუნება უკან.

სიბრძნის სხივებთან ერთად შენს წინ აღინთებიან მოჩვენებითი ნათებანი ექვსი ილუზორული სამყაროსი, მიმქრალი თეთრი სინათლე ღვთაებების სამყაროსი, მიმქრალი წითელი სინათლე შურიან სულთა სამყაროსი, მიმქრალი ყვითელი სინათლე ადამიანთა სამყაროსი, მიმქრალი ლურჯი სინათლე პირუტყვთა სამყაროსი, მიმქრალი მწვანე სინათლე მშიერ სულთა სამყაროსი, მიმქრალი ნაცრისფერი სინათლე ჯოჯოხეთის სფეროსი, ეს ექვსი სინათლე აღინთება ერთდროულად სიბრძნის ექვს ნათებასთან ერთად, ნუ შეუშინდები მათ, ნუ ცდუნდები მათით, დარჩი უფიქრელობის მდგომარეობაში, რადგან თუ შეუშინდები სიბრძნის სხივოსნობას ამ ექვსიდან თუნდ რომელიმეს და აქედან გამომდინარე, წარგიტაცებს რომელიმე მიმქრალი სინათლე არაწმინდა ექვსი მდგომარეობის, ექვსი ქვეყნა სამყაროსი, შენ მიიღებ სხეულს ამ ექვსი სფეროდან ერთ-ერთის შენს მიერვე არჩეულის შესატყვისს და განიცდი უბედურებას სხეულში არსებობისას

და შენ ვერ შესძლებ წრებრუნვიდან თავის დაღწევას, იხეტიალებ ტანჯეათა შორის წრიდან წრეში. ასე რომ, დე ნუ შეგაშინებს წმინდა ნათელი სიბრძნის და დე ნუ წარგიტაცებს ჩამქრალი ნათება ექვსი სფეროდან მომაეალი, რომ არ დაიბადო იმ სამყაროში, რომლის ნათებასაც მიემთხვევი და რომ არ წახვიდე დაბინდული გზით, რამეთუ არ გექნება გამოსავალი ამ წუთისოფლის უკიდეგანობიდან.

თუ შენ შეგაშინებენ ეს სახეები, რომელნიც მოგევლინებიან შენ და თუ შეგაშინებს მკვეთრი სინათლე სიბრძნისა, მაშინ შენ წარგიტაცებს არაწმინდა ნათელი წუთისოფლისა, ნუ იზამ ამას, არამედ ეთაყვანე ნათელს წმინდას, მკვთრსა და ელვარეს. თუ შენ არ მისდევდი რელიგიურ სწავლებას, მაშინ მოულოდნელობისაგან და არცოდნიდან გამომდინარე, შეუშინდები ცოცხალ სინათლის წმინდა სხივოსნობას და ღვთაებებს, შეშინებული კი გაიქცევი არაწმინდა ნათებისაკენ, რომელიც წუთისოფლის წრებრუნვაში აბრუნებს არაწმინდა სულებს, ამიტომ მორჩილებით მიენდე ცოცხალი სინათლის მბრწყინავ ბრწყინვალებას, დაიცავი შენი გონება რწმენით და ილოცე, განუდექ გონების, მომწავლეელ ხუთ სიბინძურეს - ვნებას, სიძულვილს, პატივმოყვარეობას, შურს და უვიცობას (თავდაჯერებას).

ლოცვით სწვდებიან შინაგან ნათელს, საკუთარ ნათელს, უბრალო ადამიანი მორჩილი რწმენის მეშვეობით შეიცნობს საკუთარ თავს და ამით აღწევს განთავისუფლებას. ყველაზე არარაობაც კი ადამიანთა შორის წმინდა ლოცვის ძალით შემძლეა დახშას კარიბჭე ამ ექვსი მაცდუნებელი მდგომარეობის, და ოთხი სიბრძის სხივოსნობის შეცნობის მეშვეობით გარდაიქცეს განსხივოსნებულ გონებად სიცარიელის გზაზე არსობის სიმყარის გაცნობიერების მეოხებით.

ვინც მივა ჭეშმარიტების გაცნობიერებამდე, იგი თავისუფლდება, ხოლო გაცნობიერება კი არის საჭირო იმისა, რომ უსხეულობაში ყოველნაირი ფორმის უკან არა სდგას არანაირი სინამდვილე მოჩვენების გარდა, რომ ეს ყველაფერი წარმოებული თვალწინ არის ნაწარმოები

დაგროევებული შთაბეჭდილებების მიერ გონებაში და სხვა არაფერი.

მაგრამ კანონზომიერების კანონის ზეგაელენით უკეთურნი უკეთურთა შორის, რომელთაც აქვთ დაგროევებული ძალზედ უკეთურნი მოქმედებების ანაბეჭდები ანდა მათ, ვისაც არა აქვთ მიდრეკილება არანაირი რელიგიური აზროვნებისკენ ანდა კიდევ, ვინც არ აღასრულებს აღთქმებს მათი საკუთარი ნამოქმედარის შედეგთა მიზეზით გამოწვეული ხილვების ზემოქმედებით ვერ ეზიარებიან სინამდვილეს, ვერ გააცნობიერებენ ჭეშმარიტებას და გააგრძელებენ წრებრუნვას სულ ქვევით და ქვევით.

## ᲓᲦᲔ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ

მეშვიდე დღეს წმინდა მდგომარეობის სფეროდან, წმინდა სამყაროს განზომილებიდან შენს შეუცნობელ გონებაში აღინთება წმინდა მრავალფერი სინათლე და ცოდნების მფლობელნი წმინდა მდგომარეობის სფეროდან. წმინდა სამეფოს სივრციდან მოგევლინებიან შენ, რომ წარგიტაცონ, მათი მოელენის შემდგომ მოვლენ აუარება არსებები, არსებათა ბრბოები, რომლებიც აღავსებენ მთელი სამყაროს სივრცეს. ეს არსებები მოსული არიან იმისთვის, რომ წარიტაცონ წმინდა სფეროებში იმათი არსება, ვინც ერთგულნი იყვნენ აღთქმის და დასაჯონ ისინი, ვინც დაივიწყა აღთქმა.

მაშ ასე, შენს წინ წარმოჩნდებიან ღვთაებები, ცოდნის მფარველნი, და ერთდროულად შენს წინ გაიხსნება გზა პირუტყვთა სამყაროსკენ, რომელიც წარმოიშვება გონებადამძიმებული ვნებისგან, უმეცრებისგან, ყოველი მიდრეკილება მიემართება მსგავსი გარემოსკენ, ხოლო განწმენდილი მიდრეკილებების სხივები აკაშკაშდებიან მრავალფერი ათინათებით და დაწმენდილი სფეროდან გამოვლენ ღვთაებები შესახვედრად ერთგულთა და არაერთგულთა დასასჯელად.

ხუთფეროვანი ბრწყინვა სიბრძნისა - გაცნობიერების

სფეროდან, ხუთი ზემდგომი საწყისიდან გონისა, განწმენდილი მიდრეკილებების სფეროდან მოეა წმინდა ბუნებრივი სინათლე სიბრძნისა, მბრწყინავი, მოციმციმე, თვალმომჭრელი, ხუთფეროვანი სხივებით ნაირფერი ჩახლართული ძაფების მსგავსი, მკვეთრი, მოკაშკაშე, ელვარე, დიდებული, შემაშინებელი, იგი განმსჭვალავს შენს გულს თვალისმომჭრელი სხივოსნებით, ისეთი მკვეთრი ბრწყინვალებით, რომ ვერ გაუსწორებ მზერას.

მასთან ერთდროულად აღინთება მიმქრალი მწვანე ნათება პირუტყვთა სფეროდან მომდინარე და შეშინებული მკვეთრი ბრწყინვალებისგან თავშესაფარის ძებნას ეცდები ამ მკრთალ ნათებაში, რომელიც არის წამყვანი პირუტყვთა მდგომარეობაში, გაქცეული და დამფრთხალი ხილვებისაგან, რომლებიც არიან შენივე მიდრეკილებებისგან ნაშობნი, მოხვდები პირუტყვთა სამყაროში, ნუ შეუშინდები მკვეთრ ბრწყინვალებას, ნუ უფრთხი სიბრძნის სხივოსნებას, იცოდე, რომ იგი შენივე საკუთარი სიბრძნეა.

ამ სიბრძნის სხივოსნების სიღრმიდან გაისმება ბუნებრივი ხმა ჭეშმარიტებისა, რომელიც წააგავს ათასი მეხის ხმას, იგი იქუხებს და იგრგვინებს და მასში გაისმება შემაძრწუნებელი ყვირილი: "დაჰკარ", "მოჰკალ", ნუ შეშინდები, ნუ დაფრთხები, ნუ გაიქცევი, ნუ შეძრწუნდები, იცოდე, რომ ეს ბგერები შენი შინაგანი სინათლის გონებრივი შინაარსია, გააცნობიერე იგი, როგორც შენივე გონების თამაში, შენივე გონების ანარეკლი. ნუ ცდუნდები მკრთალი სინათლით პირუტყვთა სფეროსი, ნუ დაუთმობ სისუსტეს, რამეთუ მას თუ გაყვები დაიტანჯები შთახვალ რა ცხოველთა სამყაროს უმეცრებაში, გაწვალდები უგუნურობით, უტყვობით და მონობით, საიდანაც არ ჩანს გამოსავალი და გაივლის ძალზე დიდი დრო, სანამ შენ შესძლებ დატოვო იგი. ისწრაფე ნათელი ხუთფერი სინათლისკენ, მიენდე მის სიკაშკაშეს, მოუყარე გონებას ვავი წმინდანებზე და ილოცე, ლოცვა ღრმა რწმენით და თვინიერებით უცილობლად შეგაძლებინებს დაბადებას სამოთხის წმინდა სასუფეველში ხუთფეროვან ნათელთან შერწყმის მეოხებით.

ყოველი მორწმუნე ამ საფეხურზე თუ მიეა სინამდვილის გამორჩევასთან, მიაღწევ განთავისუფლებას და ისიც კი, ვინც არის დამძიმებული უკეთური მოქმედებების შთაბეჭდილებებით.

## (ღემონთა)
## მრისხანე ღვთაებების გამოელენა მერეედან მეთოთხმეტე დღის ჩათელით

ეხლა ითქმება მრისხანე ღვთაებების გამოელენის შესახებ.

სათნო ღვთაებების გამოელენაში იყო შვიდი საფეხური, შეხსენება ყოველ მათგანზე უნდა დახმარებოდა გარდაცვლილს გაცნობიერებაში და განთავისუფლებაში რომელიმე ერთ-ერთის დროს. ბევრმა ამგვარად მიაღწიეს განთავისუფლებას, მაგრამ მაინც დიდია რიცხვი იმ სულების, რომელთა წყობა დამძიმებულია უკეთური მოქმედებებით, უმეცრებით, მიდრეკილებების უცვლელობით, ასე რომ, თუმც შეხსენებით მრავალს ახსენებენ, მაინც საკმაოდ ბევრია იმათი რიცხვი, რომლებიც ვერ გამოსულნი წუთისოფლის წრებრუნვის ხიბლიდან ეშვებიან სულ დაბლა და დაბლა ბნელში.

ამიტომ მშვიდობიანი ღვთაებების წასვლის შემდგომ გარდაცვალებულის წინ ცეცხლოვანი შარავანდედით მოსილნი წარდგებიან მრისხანე ღვთაებები.

ეს ღვთაებები წარმოადგენენ იგივე ღვთაებებს სათნო ხატებით, რომ მოევლინენ გარდაცვალებულს და რომლებმაც ეხლა შეიცვალეს სახე ადგილის ცვალებადობის გამო, ღვთაებები ღებულობენ სათნო სახეს, როდესაც ცნობიერება გაჩერებულია გულის არეში, ანდა ყელის არეში. მრისხანენი კი ჩნდებიან თაეში, ტვინში შეჩერებით. ეს სახეები წარმოადგენენ ერთი და იგივე საწყისების სხვადასხვა განწყობით გამოხატულებას.

ასე იწყება ჟამი მრისხანე ღვთაებების მოვლინებისა უსხეულობაში სულისთვის, და ის, ვინც მოექცევა შიშის, შეძრწუნების და თრთოლვის ზეგავლენის ქვეშ ამ

განყოფილებაში თავისი მდგომარეობის გაცნობიერების მიღწევა იქნება მისთვის ძალზედ ძნელი.

იმ გონებამ, რომელმაც ვერ მიაღწია დამოუკიდებლობას, იძულებული იქნება იხეტიალოს ერთი გონებადაბინდული მდგომარეობიდან მეორეში, გაურკვეველ არსებობაში.

და მაინც, გარდაცვალებული თუ შესძლებს სულ მცირე, სუსტ გაცნობიერებასაც კი, მისთვის შესაძლებელი იქნება განთავისუფლება ამ საფეხურზე. კითხვაზე: "თუ რატომ?" - პასუხი იქნება: "იმიტომ, რომ ხილვების გამოჩენისას, რომლებიც იწვევენ შიშსა და ძრწოლას, გონება გარდაცვალებულისა ხდება თავმოყრილი და ყურადღებიანი, და აი, ამიტომ".

თუ ამ საფეხურზე გარდაცვალებული ვერ გაიგონებს სწავლებას, ანუ თუ არ ექნა შეწევნა მიწიდან, მისი რელიგიური ცოდნა რომც იყოს ასეთივე განუზომელი, ვითარცა ოკეანე, ამაო იქნება ის მისთვის. თვით ასკეტი ბერები და ბრძენნი ფილოსოფოსნიც კი ცდებიან გზიდან ამ საფეხურზე და განთავისუფლებას ვერ მიღწეულნი, მიმოილტვიან წრებრუნვაში, რაღა ვთქვათ უბრალო მოკვდავებზე, შიშით იძულებულები, ძრწოლითა და თრთოლვით შეპყრობილები ისინი ვარდებიან ქვენა სამყაროთა ჯურღმულებში და განიცდიან იქ ტანჯვას. მაგრამ ერთიანობისა და განუყოფლობის სწავლების ყველაზე უვარგისი მიმდევრარი კი, როგორც კი იხილავს ამ მრისხანე ღვთაებებს, გააცნობიერებს მათ ვითარცა მფარველებს და მიენდობა რა მათ, ანუ მიენდობა რა მათ საკუთარი ნების დატევების მეოხებით, შეერწყმის მათ და გახდება განსხივოსნებული.

ჯერ კიდევ ხორცში ცხოვრებისას ღვთაებების მიმართ ყურადღება, მათზე ფიქრი, მათი გააზრება, პატივისცემა, დიდება და უბრალოდ მათი ხატების ყურება-მზერა ხელს უწყობს მათ გაცნობიერებას, ამაშია მთელი ხელოვნება.

ხოლო ისინი, ვინც არ არიან გაცნობილნი უსხეულობის არსებობის მდგომარეობის მოძღვრებას, რა მოშურნეობითაც არ უნდა აღასრულებდნენ რელიგიურ წესებს, და რა

სიბრძნითაც კი არ უნდა იყვნენ აღვსებულნი, რანაირი ხელოვნებითაც კი არ უნდა მარტაევდნენ წმინდა წერილს, იქნება ის ბერი თუ ფილოსოფოსი, არ მიეცემათ არანაირი ნიში მათ არც ფერადი შარაევანდედისა და არც წმინდა ნაწილებით მათი დაკრძალვისას, თუ მათ არ მიიღეს სწავლება იდუმალი საკუთარ გულში. და ქედმაღლური დამოკიდებულებით შინაგანი ღვაწლისადმი, შინაგანი სწავლებისადმი, ვერ შეიცნვს და ვერ განახორციელეს სწავლება შინაგანი თაეიანთ თაეში და ამიტომ ასეთნი, როდესაც მათ ევლინებიან ღვთაებები უსხეულობაში, ვერ სცნობენ მათ, და დაინახაეენ რა მოულოდნელად იმას, რაც მათ არ უნახიათ ადრე და არ გაუაზრებიათ მაინც, აღიქვამენ სამტროდ მოვლენილებს მათდამი. რადგან თვით გარდაცვალებულში აღიძვრება განწყობა მტრობისა მათდამი და ამის გამო მათი გონება ქვეითდება მდაბალი ანუ დაპირისპირების და განცალკევების განწყობების სფეროში, ასე რომ, თუ ბერებსაც და ფილოსოფოსებსაც არა აქვთ გამოცდილება შინაგან იდუმალ (მდუმარე, გონით წარმოებულ) სწავლებაში, მათ არ მიეცემათ შესაძლებლობა საკუთარი თავის გაცნობიერებისა უსხეულო მდგომარეობაში.

უმდაბლესი კი ადამიანთა შორის და ყველაზე წარუმატებელიც კი გარეგნულ ცხოვრებაში, მოძღვარი შინაგანი ღვაწლის სწავლებისა, რომც იყოს უხეში, ზარმაცი, ჩლუნგი, აღთქმათა დამრღვევი, ცუდმიდრეკილებიანი და არასწორი წესით (არატრადიციული წესით მლოცველი) წესთ აღმსრულებელი, დე მაინც ნუ იქნება შეურაცხყოფილი და ეჭვმიტანილი მისი სწავლების მიმართ, არამედ მოეპყრას პატივით იმ შინაგან საიდუმლო სწავლებას, რომელსაც იგი ფლობს. ეს საკმარისია, რომ მიღწეული იქნას განთავისუფლება იმათი, ვინც გამომხატველი იყო პატივისცემისა ჭვრეტის ხელოვნების.

და თუნდ ის კაცი, ვინც იყო მიმდევარი შინაგანი ღვაწლის სწავლებისა ცხოვრობდა არცთუ მთლად სათნოდ, სიკვდილის შემდეგ მას ექნება შეწევნა, რამეთუ შინაგანი ღვაწლი,

სწაელება იდუმალი, ღეაწლი ჭერეტისა შემცეელია დიადი ძალის და მჟარეელობის.

ასე რომ, ის ადამიანები, თუნდ ჩვეულებრიეი გონებრივი განეითარებით, რომლებიც ვარჯიშობდნენ გონების თავმოყრაში და მთავარ ლოცვათა გამეორებაში არ დაეშვებიან ამ საფეხურამდე, როგორც კი გაჩერდება მათი სუნთქეა, წმინდანები, მოწამეები და მოღეაწე მამები წარუძღვებიან მათ წმინდა სასუფეელისკენ. ნიშმად ამისა ცა იქნება უღრუბლო (სივრცე იქნება გამჭეირეალე და ლაქვარდი) და ამ სიერცეში, "ცაში" ისინი შეერწყმებიან მრავალჟერ ბრწყინვალებას. მზე აჩქეფდება სინათლის დინებებით, ჰაერში გავრცელდება სურნელება, ახმიანდებიან ჰანგები აღმავსებელნი ცისა, და სხეულიც შეიძენს სურნელებას.

ამიტომ ბერებს, ფილოსოფოსებს და შინაგანი ღეაწლის იმ მიმდევრებს, რომლებმაც ვერ დიცეეს აღთქმები და ასევე უბრალო ხალხს, აქ მოწოდებული ეს მოძღვრება ესაჭიროება აუცილებლად;

ის კი, ვინც გონმოყრით, მოთმინებით იაზრებდა დიადი სრულყოფილების არსობას, და დიადი მდუმარების არსს სიკვდილის ჟამს გააცნობიერებს დიად ნათელს, წმინდა ბრწყინვალებას და მიაღწევს ჭეშმარიტების სამყოფელს. ასეთისათვის აღარაა საჭირო კითხვა შეხსენების, სიკედილის ჟამს წმინდა ნათელის გაცნობიერებით იგი ასევე გააცნობიერებს ღვთაებათა ხილვებს და მიაღწევს გრძნობათა გაწონასწორების სამყოფელს, ან გააცნობიერებს ჭეშმარიტებას დაბრუნების ჟამს და მიაღწეეს გონებაზე ზემდგომ არსებობის მდგომარეობას, იშვება რა ერთ-ერთ უზენაეს სამყაროში შემდგომ დაბადებაში შეიცნობს სწავლებას შედეგთა და მიზეზთა უწყვეტობის კანონზომიერებისას.

ასე რომ, ეს წინამდებარე სწაელება შეხსენებისა არის ის, რისი მეშვეობითაც რომც არ მოღვაწეობდეს ჭვრეტაში ადამიანი, შესაძლებელია შეიქმნას განსხივოსნებული. ეს არის სწავლება, რომელიც ანთავისუფლებს ადამიანს მხოლოდ

მოსმენითაც კი, ეს არის სწავლება, რომელსაც ყველაზე ცოდვილი ადამიანიც კი მიჰყავს გზით იდუმალით, სწავლება, რომელიც ერთ წამში შობს სხვაობას მასთან ზიარებულსა და ამ ყველაფრის არმცოდნეს შორის, ის, ვინც ეზიარა ამ სწავლების მოძღვრებას, აღარ მოხვდება ქვენა სფეროებში.

## დღე მერვე

დე მკითხველმა განაგრძოს შეხსენება:

ო, კეთილშობილო (სახელი) ისმინე ყურადღებით, ეხლა ითქმება მრისხანე ღვთაებების მოვლინებაზე უსხეულობისას.

ისმინე ყურადღებით, ნუ მოსცდები, თუმც შენ მოგევლინენ კეთილი ღვთაებები უსხეულობის უმაღლეს განზომილებაში შენ ვერ შესძელი განთავისუფლება, შენ ვერ შეიცან ისინი და ამიტომ გაურკვევლობაში მყოფი გაიხლართე ამ მდგომარეობაში, ხეტიალობ უსხეულოდ გარდამავალ მდგომარეობაში, შუალედ სივრცეში.

ეხლა მერვე დღეს მოგევლინებიან მრისხანე ღვთაებები მსმელები სისხლის, იმოქმედე ისე, რომ შენ შეიცნო ისინი, ნუ გაიფანტები ყურადღებით, გონმოკრილად შეიცან ისინი.

ეს ღვთაებები გამოვლენ შენივე გონიდან, ისინი არიან შენივე გონების ანარეკლები. ნუ შეშინდები, მიაგე ყურადღება, ეს მბრწყინავი შემაძრწუნებელი ღვთაებები შენივე მფარველი ღვთაება, იგი სინამდვილეში არის შენივე მფარველობის არსის მრისხანე სახეცვლილება, ამის გაცნობიერებასთან ერთად მოვა განთავისუფლებაც, იცნობ რა მათში მფარველ ღვთაებას, შეერწყმები მას და განსხივოსნდები ამ მეორე საფეხურზე.

ასევეა მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე დღეს მეთოთხმეტე დღემდე. ამ დღეებში თუმც კი ძალზედ ძნელია, მოძღერის დარიგებანი შეელიან იმის გაცნობიერებას, რომ ეს აზრ-ფორმები შობილნი არიან ჩვენივე საკუთარი გონების მიერ.

თუ იმ დროს, როდესაც ღვთაებები, რომლებიც წარმოადგენენ ამ წუთისოფელის ნდომის და სურვილის შენივე განწყობათა სახეებს, ტოვებენ შენს გონებას და

გამოცხადებით დაგიდგებიან თვალწინ, შეიცნობ ანუ გააცნობიერებ მათ ვითარცა შენივე გონების გამოსხივებები, მაშინ შენ იმ წამშივე შეერწყმები ღვთაებათა სხივოსან სხეულს და განსხივოსნდები. ღვთაებები არიან განსახიერებები, შენივე მიდრეკილებების, რომლებიც დააგროვე წინა გამოცდილებებით, ვინც მათ შეხვდება აუღელვებლად და უშფოთველად ვითარცა ძველ ნაცნობებს, იგი მიაღწევს გაცნობიერებას მათი ჭეშმარიტი ბუნების.

სათნო ღვთაებები იშვებიან სიცარიელიდან კანონზომიერების სივრცისა, მრისხანე ღვთაებები კი იშვებიან ამ ცარიელი სივრცობრიობის ბრწყინვალების მეოხებით შეგრძნობის სივრციდან. საჭიროა მათი გაცნობიერება, და თუ შენ გააცნობიერებ მათ, რომ ყველაფერი მოვლენილი იშვება შენივე სხივოსანი გონებიდან, შენ იმავ წამს იქცევი განსხივოსნებული და განუყოფელად ღვთაებებისგან.

ხოლო, თუ შენ ვერ გაიგებ ამას და შეგეშინდება, მაშინ ყველა სათნო ღვთაება მიიღებს სიკვდილის გამგებლის სახეს, ხოლო მრისხანე ღვთაებები ნების გამოვლენის გამგებლის სახეს, ყველა შენი ზრახვა იქცევა დამაბრკოლებელ ზღუდედ, შენ დაინახავ მათში მეუფეს სიკვდილისას და შეიგრძნობ შიშს და სისუსტეს. შენივე გამოვლენები იქცევიან დემონებად და გაიძულებენ ხეტიალს წუთისოფლის წრებრუნვაში, მაგრამ თუ შენ არ გექნება არც ლტოლვა და არც შიში, შენ თავს დააღწევ მის ზეგავლენას.

ის, ვინც ვერ გააცნობიერებს თავის საკუთარი ზრახვების სახეებს, რაც არ უნდა ნაკითხი იყოს რელიგიურ ტექსტებში, როგორც კი არ უნდა აღასრულებდეს წესებს ასი ათასი წლის განმავლობაშიც კი, ვერ მიაღწევს განსხივოსნებას გონებისას, ვინც გააცნობიერებს - ის განსხივოსნდება.

თუ გარდაცვალებული ვერ შეიცნობს თავის საკუთარ ზრახვების სახეებს სიკვდილის ჟამის დადგომისას, მაშინ მეორე საფეხურზე გონების ჩაცურების გამო წარმოიშვებიან სიკვდილის მეუფის სახები გარდაცვალებულის მზერის წინ,

მისი ყველაზე დიადი სახე აღწევს ზეცამდე, საშუალო მთის ზომისაა, მცირე კი, თერამეტი ერთიმეორეს მხრებზე დამდგარი კაცის სიმაღლის. ეს სახეები ავსებენ მთელს სამყაროს, ისინი საშინელებებით ევლინებიან გარდაცვალებულს.

მათი გამოჩენისას შიშს ნუ გაიელებ გულში მათ მიმართ, არამედ გაცნობიერე ისინი, როგორც საკუთარი გონების ბუნებრივი ბრწყინვალება, მაშინ შენი საკუთარი ბრწყინვალება განუყოფელად შეერწყმება სხივებს და სახეებს და შენ განსხივოსნდები.

ყველაფერი, რასაც კი შენ ხედავ, როგორი საშინელიც კი არ უნდა იყოს, გააცნობიერე ვითარცა შენივე გონების გამოვლინება, გააცნობიერე როგორც სინათლე, ბუნებრივი ნათება შენივე გონების, თუ ამას გააცნობიერებ, განსხივოსნდები იმ წამსვე.

თუ შენ გააცნობიერებ ყველაფერს ამგვარად, თუ შენ მიენდობი მფარველ ღვთაებებს, თუ ირწმუნებ, რომ ისინი მოვიდნენ, რომ გიხსნან შენ უსხეულობის მდგომარეობის ხიფათებიდან და ილოცებ, მაშინ ყველა შენი შიში გაქრება და შენ განსხივოსნდები იმ სფეროში, რომელსაც შეიძლება ეწოდოს "ვნებების გაწონასწორების სხეული". იყავი ყურადღებით და ილოცე ღვთის ხმობით, და რა ცოდეილიც არ უნდა იყო, თუ მოიპოვებ გაცნობიერებას, შეუძლებელია, რომ არ მიაღწიო განთავისუფლებას.

ხოლო თუ მოხდა ისე, რომ შენ ვერ განახორციელებ ამას, თუ ვერ გააცნობიერებ და გძლევს შიში მათ მიმართ, ეს შენივე ზრახვები მოგევლინებიან შენ დემონებად ქცეულნი, თუ ვერ გააცნობიერებ შენივე საკუთარ გამოვლინებებს, ვერ იქცევი განსხივოსნებულ გონებად, მაგრამ თუკი გემახსოვრება ეს ყველაფერი, მხოლოდ ერთი მითითება და ერთი სიტყვა გაქცევენ შენ ნათლით შემოსილად. გაურკვევლობაში მყოფს კი ეს ღვთაებები მოგევლინებიან სიკვდილის მეუფის სახით სიკვდილის ჟამს, აღავსებენ მთელს

სივრცეს. მათ უკავიათ ადამიანთა ნამოქმედარის ნუსხები და განკითხვით მოგაყენებენ გან-უზომელ ტანჯვას.

ო, კეთილშობილო, როდესაც ამგვარად მოგეელინებიან შენივე გულის განწყობის ანარეკლები, ნუ შეშინდები, გახსოვდეს, რომ შენ იმყოფები ფიქრის სხეულში გაუცნობიერებელი მისწრაფებებით შექმნილში, ამიტომ ვერ მოკვდები რომც მოგკლან და დაგჭრან ნაწილ-ნაწილ, ჭეშმარიტად შენ ხარ ბუნებრივი ფორმა სიცარიელის, ამიტომ არაა მართებული შიში, შენს წინ გამოცხადებულნი სიკვდილის მეუფენიც წარმოშობილნი არიან შენივე საკუთარი მბრწყინავი გონებიდან, ისინი არ არიან მყარი ნივთიერებიდან შექმნილნი. სიცარიელეს არ ძალუძს დაზიანება სიცარიელის. იყავ დარწმუნებული იმაში, რომ როგორც მშვიდობიანი-სათნო ღვთაებები, ისევე მრისხანე ღვთაებები, მბრწყინავი სინათლე და ყველაფერი სხვა მოვლენილი შენს წინ არ არსებობენ სინამდვილეში, არამედ იშვებიან შენივე გონების უნებლიე თამაშიდან. თუ შენ შეიცნებ ამას, ბუნებრივად განთავისუფლდები შიშისგან და განუყოფელი ბრწყინვალებისგან გახდები გონი ნათელშობილი, თუ ასე შეხვდები მათ, ისინი იქნებიან შენი დამცველები.

იფიქრე მთელი დაძაბვით, რომ ესენი მოსულნი არიან შენი ხსნისთვის, გახსოვდეს სამ რამ: განსხივოსნება, წესი და თანადგომა. და ამათთან ერთად გახსოვდეს მაცხოვარი ნათელი, იდიდე მისი სახელი და ლოცვით ევედრე მას.

მაშ ასე, როგორი რელიგიური ღვაწლი არ უნდა ჰქონდეს ადამიანს - უმნიშვნელო თუ სრულყოფილი, სიკვდილის ჟამს მის წინ ჩნდებიან სხვადასხვა, შეცდომაში შემყვანი ილუზიები, ამიტომ ეს შეხსენება არის აუცილებელი, ის, ვინც ბევრს მოღვაწეობდა გონების თავმოყრით ჭვრეტაში ჭეშმარიტება წარმოუდგება უცბადვე სხეულის კვდომის ჟამს, რა დროსაც ცნობიერების ნაკადი დასტოვებს სხეულს. ამიტომ ძალზედ საჭიროა გარკვეული· გამოცდილების მიღება სხეულში არსებობის ჟამს, ვინც სხეულში ცხოვრების ჟამს ჩაწვდა საკუთარი არსობის ჭეშმარიტ ბუნებას, ის უსხეულობაში

იძენს დიად ძალმოსილებას, როდესაც მის წინ აღინთება წმინდა ნათელი, ასევე გონების თავმოყრაში მოღვაწეობა ღვთაებებზე სხეულში ყოფნისას, იძლევა დიდ გავლენას უსხეულობაში მოელენილ ხილვებზე, ასე რომ, ძალზედ საჭიროა სხეულში ყოფნისას სიკვდილთან შეხვედრის შესწავლისა, მომზადებისა გარდაცვალებაში მზადყოფნისა.

უბრალოდ მოსმენაც კი ამ მოძღვრებისა დიდ შეწევნას აძლევს ადამიანს სიკედილის ჟამის დადგომისას. რადგან რომც ვერ გაიგო მოსმენილი, უსხეულობაში გაიხსენებ ყველაფერს ბოლო სიტყვამდე, რამეთუ იქ გონება განძარცვული ხორციდან ხდება ცხრაჯერ ძლიერი და ამიტომ ეს სწავლება აუცილებელია წაეკითხოს გარდაცვალებულს და ყოველ ცოცხალს.

## წიგნი მეორე
## კვლავ დაბადების წინა მდგომარეობა უსხეულობაში

თუმც წინა საფეხურებზე ყველაფერი იქნა გაკეთებული, ცუდი და უკეთური ნამოქმედარის გამო გარდაცვალებული ძნელად მოდის გაცნობიერების მდგომარეობაში და შერჩენილია მეთოთხმეტე დღემდე. ამიტომ მას კვლავ უნდა წაეკითხოს შეხსენება.

### უსხეულობის ფორმა და შესაძლებლობები

ო, კეთილშობილო ისმინე ყურადღებით: ჯოჯოხეთური არსებები ანუ დაბადება ჯოჯოხეთში, ღვთაებები ანუ დაბადება ნათელთა სამყაროში და ფიქრის სხეული ანუ ზებუნებრივი დაბადება უსხეულობაში იშვებიან თავისთავად, გამომდინარე შენივე მზადყოფნისა და ნამოქმედარით დაგროვებული შედეგისა.

როდესაც საყოველთაო არსის სივრცეში, უსხეულობაში შენ იხილე სათნო და მრისხანე ღვთაებები, შენ ვერ

გააცნობიერე ჭეშმარიტება და ამიტომ ამოძრავებული სიკვდილის შიშით დაახლოებით სამი დღის განმაელობაში დასუსტებული იმყოფებოდი გაურკვევლობაში, სამი დღის განვლის შემდგომ შემცნობი პრინციპი შენი არსებისა დაუბრუნდა რა თავის პირველ საწყის სახეს, გახდა მიზეზი გარეგნობით ბრწყინავი სხეულის ანაზდად წარმოშობისა, უწინდელი სხეულის მსგავსისა.

უწინ იმისა ნიშნავს, რომ შენ გახდი მფლობელი ისეთივე სხეულის, როგორიც გქონდა გარდაცვალებამდე ხორცისგან და სისხლისგან შემდგარი, ისეთი, როგორიც შენ ის გახსოვს. მაგრამ ამასთან ერთად იგი ასხივებს სინათლეს და აქვს ისეთი ნიშნები, რომელნიც არიან დამახასიათებელნი ოქროს ხანის ადამიანთათვის. მას უწოდებენ ფიქრის სხეულს ან უფრო სწორედ სხეულს გონებრივ-შეგრძნებითს, ეს მბრწყინავი სხეული, რომელიც გვაგონებს უწინდელს, დაჯილდოვებულია განსაკუთრებული თვისებებით და სრულყოფით, როგორებითაც აღჭურვილნი არიან არსებები უმენაესი განწესებისთვის.

ეს სხეული შობილი სურვილის ძალით - მოჩვენებაა ზრახვათა გამოხატულებისა უსხეულო მდგომარეობაში და იწოდება სურვილთა სხეულად. ამ დროს თუ შენ შენი მონაპოვარის გამოისობით დაიმსახურე შობა ნათელთა სამყოფელში ნათელ არსებად, შენს წინ აღმოცენდებიან სილვები ნათელთა სამყაროდან და შეიგრძნობ ამ სამყაროს, ასევე, თუ გიწერია დაბადება ეჭვიან სულად, შეიგრძნობ ამ სამყაროს და იხილავ შესატყვის ხილვებს, ასევე რა არსებადაც არ უნდა იშვა - ადამიანად, ან პირუტყვად, მშიერ სულად, ან ჯოჯოხეთის არსებად შენ შეიგრძნობ შესატყვის გრძნობებს და იხილავ შესატყვის ხილვებს.

მეოთხე დღის შუადღემდე შენ იყავი გაურკვევლობაში, ფიქრობდი, რომ შენ ფლობდი იგივე სხეულს როგორც ადრე ფლობდი - ხორციელს, წინა არსებობაში ჩვეული მიდრეკილებების გამო, მალე შენ მოგევლინება ხილვა შემდგომი დაბადების ადგილისა, შემდგომი დაბადების მდგომარეობისა.

როგორი ხილვებიც კი არ უნდა წარმოიშვან შენს წინ ამ დროს, ნუ გაჰყვები მათ, ნუ მოიხიბლები მათით, იყავი მტკიცე აუღელვებლობაში, თუ მიებმები მათ და გაჰყვები, მოგიწევს ხეტიალი ექვს სამყაროში, ექვს სფეროში, გონების ექვს მდგომარეობაში.

თუმცა გუშინდლამდე შენ გევლინებოდნენ სახეები, შენ ვერ შეიცან, ვერ გააცნობიერე უსხეულობა საყოველთაო არსის უსხეულო მდგომარეობაში და ამიტომ იძულებული ამ მდგომარეობაში ხეტიალისა ეშვებოდი სულ ქვევით და ქვევით, ეხლა, რომ დაეუფლო ჭეშმარიტებას, შენს გონებას უნდა მისცე დაწყნარების საშუალება, ყურადღების თავმოყრით ჩაასვენო უფიქრებლობის დაუბინდავი მდგომარეობით გონების პირველსაწყის, წმინდა, გამჭვირვალე სხივოსან სიცარიელეში, თუ შესძლებ მოშვებას აღუქმელობის და უმოქმედობის მდგომარეობაში, შენ მიაღწევ განთავისუფლებას და აღარ შეხვალ დედის საშოში.

თუ შენ არ ძალგიძს გაგება, მაშინ ვინც არ უნდა იყოს შენი მფარველი ღვთაება და მოძღვარი, გონმოყრით იფიქრე მათზე სიყვარულით, თვინიერებით, ნდობით ვითარცა შენს დამცველებზე, წარმოიდგინე შენს თავს ზემოთ ნათხემზე შენი მაცხოვარი ან მოძღვარი და შეეცადე განიცადო თაყვანისცემა. ეს ძალზედ აუცილებელია, ნუ გაიფანტები გონებით.

ისმინე ყურადღებით, თუ შენ ხორციელ სხეულში ყოფნისას იყავი ბრმა, ყრუ ანდა კოჭლი, ან სახიჩარი აქ უსხეულობაში შენი თვალები ხედავენ სახეებს, ყურებს ესმით ხმები და ნათქვამი, და შესატყვისად ყველა გრძნობის ორგანო იქნება დაურღვეველი, ყველა შენი გრძნობა ნათელია და სრულყოფილი და გაფაქიზებული. არსებობის ეს ნიშნები, რომელშიაც შენ ეხლა იმყოფები იმის დამადასტურებელია, რომ შენ მოკვდი ხორციელი სხეულით და იმყოფები უსხეულობაში, ეცადე შეიგნო ეს, გააცნობიერო ეს მდგომარეობა, გახსოვდეს დარიგებანი, გაიხსენე სწავლება.

რამდენადაც შენი ამჟამინდელი სხეული, რომელიც არის ფიქრის სხეული ანუ სურვილთა სათავსი ფორმა და შენი

გონება გამოყოფილია თავის უწინდელ ადგილსამყოფელს - ხორციელ სხეულს, აღარ გაგაჩნია სხეული მყარი ნივთიერებისაგან ქმნილი, შენ შემძლე ხარ გაიარო და შეხვიდე, სადაც შენ გინდა, კედლებში, მთებში, ბორცვებში, ქვებში, მიწაში, ყველაფერში გარდა ცნობიერების სხივოსნობის წყაროსა და ამყამინდელი დედის საშოში, ესენი, დედის საშო და წმინდა ადგილი ასხივებენ იმდაგვარ სხივოსნობას, რომ სრულყოფას ვერ მიღწეულისათვის შეუძლებელია ამ ნათლის გადალახვა. ეს არის ნიშანი იმისა, რომ ხეტიალობ უსხეულობაში წუთისოფელში დაბრუნებისთვის. ამ მდგომარეობაში გახსოვდეს მოძღვარი შენი და ილოცე დიადი მაცხოვრის მიმართ.

შენ ეხლა ხელგეწიფება სხვადასხვა საოცარი შესაძლებლობანი, რამეთუ შენ ხარ ამ მდგომარეობაში დაჯილდოვებული საოცარი ძალით, უნარით ნირის შეცვლის, სიდიდისა და რაოდენობრივად ცვალებადობის ნიჭით, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის მოპოვებული შენს მიერ ჭერეტის ხელოვნების დაუფლებით ანდა სათნოებების აღსრულებით, არამედ წარმოიშენენ შენში ბუნებრივი კანონზომიერების ძალით უსხეულობაში სულის ბუნების თვისების გამო შენ შეგიძლია და შეგწევს უნარი თვალის დახამხამებაში გადასერო კონტინენტი, შემოუარო მთებს, გადაინაცვლო, სადაც შენ გსურს იმ დროის მონაკვეთში, რა დროშიც ადამიანი გაიწევდის და დაუშვებს თავის ხელს, მაგრამ ნუ მოიწადინებ ამ ძალებს ილუზიისა და გარდაქმნებისას, ეს ნიჭები შენ არ გამშვენებს, ნუ იფიქრებ მათზე.

ეხლა შენ შეგიძლია აღასრულო ყველაფერი, რასაც მოისურვებ, რასაც გაიფიქრებ, არ არსებობს არანაირი ძალთა გამოვლენა შენ რომ არ შეგეძლოს მისი აღსრულება, შენ ხელგეწიფება ყველანაირი შესაძლებლობა განუსაზღვრელი მოხმარებით, იცოდე ეს, გააცნობიერე და ილოცე შენი მოძღვრის მიმართ.

იცოდე, რომ არსებები, რომლებიც ფლობენ ერთნაირ ბუნებას მსგავსი წყობილებით ან ცოდნის დონით უსხეულობისას ხედავენ ურთიერთარსს, ასე რომ, ვისაც

უწერია ერთი და იგივე სამყაროში დაბადება, უსხეულობაში დაინახავენ ურთიერთს, ყოველი ხედავს იმას, ვინც მფლობელია მისივე შესატყვისი ბუნების. ნუ მიებმები იმათ, ვისაც დაინახავ, არამედ ილოცე ღვთის მიმართ. ასევე ძალუძთ დანახვა უსხეულო არსებების იმათ, ვინც ჭვრეტაში მოღვაწეობით განიწმინდა მზერა, მაგრამ ხედავენ ისინი მათ არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჭვრეტის დროს გონებას თავს მოუყრიან ერთი მიმართულებით მათკენ. მაგრამ სხეულში მყოფნი ექვემდებარებიან გონების გაფანტვას და ამიტომ ყოველთვის არ ძალუძთ მათი ჭვრეტა.

## განსაკუთრებული არსებობა უსხეულობაში

ამ ახლადწარმოშობილ სხეულში მყოფი გარდაცვალებული იხილავს იმ ადგილებს, რომლებიც მისთვის კარგადაა ცნობილი, თავის ნათესავებს, იხილავს ყველაფერ ამას თითქოსდა სიზმარში. მაშ ასე, ო, კეთილშობილო, შენ დაინახავ ახლობლებს და ნათესავებს და მიმართავ მათ, მაგრამ პასუხს ვერ მიიღებ, დაინახავ თუ როგორ დაგტირის ოჯახი და იფიქრებ: "მე მოვკვდი, რა ექნა ეხლა მე?" და დაიტანჯები ვითარცა თევზი ნაპირზე ამოგდებული. მაგრამ ტანჯვა ვერ იქნება შენი მშველელი, უნაყოფოა ეხლა მწუხარება შენი. თუ გყავს მოძღვარი ღთაებრივი, მას ევედრე, ილოცე, ან ევედრე მაცხოვარს, მფარველ ანგელოზს, მიჯაჭვა ახლობლებზე ვერ გიშველის ამ დროს, ამიტომ დაივიწყე აწი ისინი, ილოცე ღვთის მიმართ და თავს დააღწევ მწუხარებას, შიშს და ფორიაქს.

შენი გონება ამ მდგომარეობაში საყრდენგამოცლილი და ნიადაგის არ მქონე, დევნილი დაგროვებული ცოდვების ქარიშხალით დაფარფატებს უსხეულობაში ვითარცა ქარში ბუმბული. იძულებული განუწყვეტლივი გადაადგილების, მქროლავი ერთი ადგილიდან მეორესკენ, დაუწყებ ხმობას მოტირალთ და ეტყვი: "მე აქ ვარ, ნუ ტირით", მაგრამ ისინი ვერ გაიგონებენ შენსას, და შენ იფიქრებ: "მე მოვკვდი" და მოგეძალება მწუხარება, ნუ მინებდები ამ წუხილს.

ამ მდგომარეობაში შენს ირგვლივ ნაცრისფერი ბინდბუნდი, მიმქრალი ნაცრისფერი სინათლით აღესებული სიერცე გადაიშლება, შემოდგომის ალიონის ნაცრისფერი სინათლის გვარი, დღისით და ღამით, ან უფრო სწორედ არ იქნება არც დღე და არც ღამე, რადგან ამ მდგომარეობაში ვერ ხედავენ მზის, მთვარის ან ვარსკვლავთა და რაიმე სხვა ნივთიერ სინათლეს, არამედ აღიქვამენ მხოლოდ გონების ნათელს, ამ მდგომარეობაში შენ დაჰყოფ ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი ან შვიდ კვირას, ორმოცდაცხრა დღის ფარგლებში. ამბობენ, რომ მესამე საფეხურის უსხეულობაში ტანჯვები გრძელდება ოცდაორი დღე, მაგრამ ცოდვათა გამო ზუსტი დროის განსაზღვრა შეუძლებელია.

დაახლოებით ამ ჟამისათვის შენ მოგევლინება ძლიერი ძალა ქარივით მქროლავი და შენი წარმტაცი ვითარცა ხმელი ფოთლისა, მძვინვარე ქროლვა, შემაძრწუნებელი და გაუსაძლისი, იგია შენივე ნამოქმედარის შედეგთა ქარიშხალი. ნუ გეშინია მისი, ნუ შეუშინდები მას, იგია შენივე საკუთარი მოჩვენება, შენივე გაუცნობიერებელი განწყობა გულისა. შენს წინ აღიმართება სქელი, შემაძრწუნებელი უკუნეთი, იგი შემოგაწვება და მის სიღრმიდან შემოგესმება ხმები "დაჰკარ, მოჰკალ" და სხვა მუქარები. საკუთარი ეგოიზმისა და გამო ყველაფერი მტრულად ეჩვენება ადამიანს უსხეულობაში.

ვინც ჩაიდინა დიდი ბოროტება, ვისაც ცოდვები ძალზედ მძიმე აქვს, საკუთარი მოქმედების შესატყვის დემონებს იხილავს მრავალს, შეიარაღებულებს. რომლებიც გამოსცემენ აუტანელ ხმაურს და გაჰკივიან: "დაჰკარ, მოჰკალ", ისინი გეცემიან და ურთიერთს ექიშპებიან შენი დაპატრონებისათვის, ასევე გამოჩნდებიან ადამიანები ველური ცხოველების მიერ დევნილები, შენ შეიგრძნობ, რომ შენზე ნადირობენ სხვადასხვა მხეცები, რომ გდევნიან მრავალრიცხოვანი მეომრები, მოხვდები თოვლის ქვეშ, წვიმაში, სიბნელეში, ქარბუქში, შენ გაიგონებ თუ როგორ ირღვევიან მთები, როგორ იძვრის მიწა, მოხვდები წყალდიდობაში და დაინახავ, თუ როგორ ნთქავს ყველაფერს

ქარიით აღგზნებული ცეცხლი.

ამ ხმების გამგონე შეძრწუნებული გაიქცევი მათგან ხან ერთი მიმართულებით და ხან საპირისპიროდ თავგზააბნეული, რომ მონახო თავშესაფარი, მაგრამ შენს წინ გადაულახავ ზღუდედ აღიმართება სამი უფსკრული უძირო და საშინელი. სამი უფსკრული ფერით განსხვავებული წითელი, შავი და თეთრი. და გარდაცვლილისთვის თუ არ შეაჩერებს თავის სრბოლას, შეუძლებელია მის წინ აღმართულ უფსკრულებში არ შთავარდნა, ამიტომ გახსოვდეს, რომ ისინი სინამდვილეში უფსკრულები კი არ არიან, არამედ მრისხანება, ვნება და უვიცობა. გააცნობიერე ის, რომ შენ ამჟამად იმყოფები მესამე საფეხურის უსხეულობაში, წუთისოფელში უკან დაბრუნებისა, მიმართე სახელით მაცხოვარს და ილოცე, გააკეთე ყველაფერი, რომ არ დაგავიწყდეს ეს.

ვინც იყო კეთილი, სათნო და ჰქონდა დამსახურება, ვინც გულწრფელად მიუძღვნა თავი რელიგიას, მთელი არსებით შეიცნობს ნეტარებას, ბედნიერებას და სიმშვიდეს. ის კი, ვინც იყო გულგრილი, არც ბოროტი და არც კეთილი და იყო უცოდინარი, ვისაც არა აქვს დამსახურება და არც ბევრი უკეთური რამ დაუგროვებია, ვერ განიცდის ნეტარებას, არც მწუხარებას, არამედ მხოლოდ გულგრილობა და ვერგააზრება იქნება ხვედრი მისი.

გახსოვდეს, რაც არ უნდა შეგემთხვეს, რანაირი ნეტარებაც კი არ უნდა განიცადო, ნუ ცდუნდები ამით, ნუ მიებმები მათ, მიუძღვენი მათგან განდგომა როგორც საჩუქარი მაცხოვარს ან შენს მოძღვარს, განაგდე გულიდან მიკერძოება და ქიში. ასევე, თუ შენ ვერ განიცდი ვერც ნეტარებას და არც ტანჯვას, არამედ ხარ უგრძნობელი, აიძულე შენი გონება ჩაესვენოს ფიქრით დიად მდუმარებაში, აუღელვებლობის მდგომარეობაში, სადაც აღარა თვით ფიქრი იმის შესახებ, რომ ფიქრობ, სადაც აღარაა ფიქრიც კი ჭვრეტაზე, ეს აუცილებელია რომ გახსოვდეს.

შეიძლება ამ მდგომარეობაში შენ რღაცა დროით მოხვდე სხვადასხვა ადგილებში, წმინდა ადგილებში, ტაძრებში,

მონასტრებში, მაგრამ შენ ვერ გაჩერდები იქ დიდხანს, ვერ შესძლებ ერთ ადგილას დიდი ხნით შეჩერებას, რადგან შენი გონება გამოცალკევებულია ხორციელი სხეულიდან, არ გექნება ძალა, რომ შეჩერდე ერთ ადგილზე, გამოწვეული გონების უწმინდურობის გამო. და შენ განიცდი ფორიაქს, განგაშს და შიშს, გაღიზიანებას და სიციეეს. შენი ცნობიერება გახდება ჰაეროვანი, მოუთმენელი, ჭოჭმანი და არათანმიმდევრული. მაშინ შენ იფიქრებ: "მე მოვკვდი", "რა ვქნა ეხლა მე?" შენი გული ამ აზრისგან დაცარიელდება, სევდით მოცული და განიცდი უზომო მწუხარებას, და რადგან შენ არ ძალგიძს არსად შეჩერება და ხარ იძულებული მიმოიძროდე განუწყვეტლივ, ნუ ფიქრობ მრავალ საგნებზე, არამედ შენს გონებას მიეცი უფლება იყოს უცვლელი, განისვენოს თავის პირვანდელ მდგომარეობაში.

მოვიდა დრო, როდესაც შენ არ გაქვს არანაირი საკვები, შენ ძალგიძს იგემო მხოლოდ ის, რაც მომზადებულია შენთვის და არანაირი სხვა, რაც შეეხება მეგობრებს, ისინი ვერ დაგეხმარებიან შენ, მათ შესახებ გარკვევით რაიმეს თქმა შეუძლებელია, აი, ასეთია ნიშნები უსხეულობაში სურვილთა სხეულში ყოფნისა, რომელიც არის ნიშანი მდგომარეობისა წუთისოფელში უკან დაბრუნებისა. აქ გარდაცვლილის მიერ ცხოვრებაში ნამოქმედარით განისაზღვრება მისი ტანჯვა თუ ნეტარება. შენ იხილავ შენს სახლს, ახლობლებს და შენს გვამს და იფიქრებ: "მე მოვკვდი, რა ვქნა?" და მოცული ღრმა მწუხარებით დაიჭერ თავს იმის ფიქრში, რომ: "რას არ მივცემდი, რომ შევიძინო ისევ სხეული". ამ ზრახვით შენ ივლი ერთი ადგილიდან მეორეში სხეულის მოსაპოვებლად.

შენი სხეული უკვე განადგურებულია ან დაიფერფლა, ან დამარხეს, და რომც შეხვიდე მასში ცხრაჯერ ეს არ მოგცემს შენ არაფერს. ამიტომ, რადგან შენ ვერ პოვებ შენ სხეულს, შეიგრძნობ შენს თავს მიუსაფრად და სასოწარგეკვეთება და თავს შეიგრძნობ ისე, თითქოსდა შენ გტენიან ვიწრო კლდეების და ნაპრალების შორის, ეს მწუხარება გამოწვეულია შენივე ნამოქმედარის მეოხებით და შენ ვერ

შესძლებ დააბრალო რაიმე ვინმეს, ეს ყველაფერი არის შენივე საკუთარი ცოდეების ბრალი. ეს ტანჯეები უსხეულობაში იშვებიან, როდესაც არის ნდომა ახალი დაბადებისა. შენ ეძებ სხეულს და ვერ პპოვებ ვერაფერს ტანჯვისა და მწუხარების გარდა, უკუაგდე სურვილი სხეულის ნდომის, მოთოკე გონება, იმოქმედე ისე, რომ შერჩე უსხეულობას.

## საშინელი სამსჯავრო

თუკი ისევ ვერ გააცნობიერე, თუ რა ხდება შენ თავს, მაინც იყავი ყურადღებით. შენი ტანჯვების მიზეზი შენი საკუთარი მოქმედებების შედეგია, რომელნიც მოიმოქმედე ხორციელად ცხოვრების განმაელობაში, გახსოვდეს, მიზეზი მხოლოდ შენი ნამოქმედარია და სხვა არაფერი. ამგვარად სხვა დაცვა შენ არ გაგაჩნია გარდა ლოცვისა ღვთის მიმართ. ილოცე მაცხოვარის მიმართ და ის დაგიცავს შენ. თუ შენ არ იცი ხელოვნება გონების თავმოყრით-ჭვრეტით ღმერთზე ფიქრისა და არც ლოცულობ, მაშინ შენ შენი სინდისის მიხედვით წარდგები სამსჯავროზე, ამ დროს შენ მოგევლინება შენთან ერთად შობილი შენი კეთილი საწყისი, შენი მფარველი ანგელოზი, სული კეთილი, რომ დათვალოს შენი კეთილი ნამოქმედარი და იმავ დროს შენ მოგეელინება ასევე შენთან ერთად შობილი სული ბოროტი, შენი საწყისი ბოროტი, შენი მსაჯული ანგელოზი, და დაგითვლის ბოროტებით ნამოქმედარს, ამ მსჯავრის დროს შენ შეგიპყრობს შიში და ძრწოლა, შეცბუნდები და დაიწყებ თავის გამართლებას, იტყვი: "მე არ შემიცოდავსო", შეეცდები მოიტყუო: "მე არავითარი ბოროტი არ მიქნიაო", მაშინ მეუფე სიკვდილისა გეტყვის: "მე ჩავიხედები სულის ჩანაწერების სარკეში, რომელშიც აირეკლებიან ნამოქმედარნი" და ამ სიტყვებით შენს წინ წარმოჩნდება მთელი შენი ცხოვრება განვლილი, ანაზდად ამ სარკეში ნათლად და მკვეთრად გამოჩნდება ყველა შენი ცოდვა და საქმე კეთილი, ასე რომ, უაზრობაა თქმა ტყუილისა, და ამის შემდგომ სიკვდილის

მეუფის მსახურნი წარგიტაცებენ შენ და დაიწყებენ შენს გვემას ცოდვათა შესატყვისად, სიკვდილიც რომ მოგისაჯონ შენ ვერ მოკვდები, რამეთუ ხარ უსხეულო, და აქედან გამომდინარე, ყოველი გვემის შემდეგ შენ კვლავ დაუბრუნდები საწყის სახეს, ეს კი ტანჯვა გაუთავებელი.

მაგრამ ყოველივე ამის გამო ნუ შეშინდები, ნუ შეძრწუნდები, ნუ შეუშინდები მეუფეს სიკვდილისას, პირველ რიგში ნუ მოიტყუები და თავს ნუ იმართლებ. შენ ეხლა ხარ სხეული ფიქრის, ასე რომ, შენ ვერ სელიყოფები, ვერ მოკვდები, ვერ იგვემები, ჭეშმარიტად შენ ხარ ბუნებრივი ფორმა სიცარიელის, ასევე მეუფეც სიკვდილისა ფორმაა ბუნებრივი სიცარიელისა, სიკვდილის ღმერთი და ღვთაებები მისი შენივე სილვებია, გახსოვდეს, შენ შემოსილი ხარ ფიქრის სხეულით, რომლის ბუნება სიცარიელეა, შენ ხარ სიცარიელე, შეუცნობელი ზრახვებისგან ქმნილი ფორმა შეგრძნების, შენი სურვილების სხეული, შენი მიდრეკილებებისაგან ქმნილი ფორმაა შეგრძნების სიცარიელეში შეკავებული. ასე რომ, სიცარიელეს არ ძალუძს დაზიანება სიცარიელის, უთვისებო ზიანს ვერ მიაყენებს უთვისებოს.

არც სიკვდილის მეუფე, არც დემონები, არც ბოროტი სულები, არც ღვთაებები არ არსებობენ ადამიანის გარეთ, არ ფლობენ არანაირ სინამდვილეს შენივე საკუთარი გაუცნობიერებელი გულისწყობების გარდა, ყველა ისინი - მოჩვენებებია, იცოდე ეს, გააკეთე ყველაფერი, რომ გააცნობიერო ეს. გააცნობიერე ის, რომ შენს ირგვლივ არის უსხეულობა. და რომ შენ ხარ უსხეულო, მხოლოდ შეგრძნება ფიქრის.

გონება მოუყარე ყურადღების გაწონასწორებას ღმერთზე, ჭვრიტე დიადი მდუმარება, თუკი არ ძალგიძს ჭვრეტა, მაშინ გაიაზრე იმის ჭეშმარიტი ბუნება, რაც გაშინებს შენ, ჩააცქერდი იმის არსს, რაც იწვევს შენში შიშს. დაინახე, რომ სინამდვილეში ყველაფერი მოკლებულია ფორმას, რომ ყველაფერი არის სიცარიელე, შენ დაინახავ, რომ ყველაფერი სიცარიელეა რაიმე ბუნების არ მქონი, ამას ეძახიან

კანონზომიერების სხეულს, სხეულს გაწონასწორების.

მაგრამ ეს სიცარიელე არ არის არ არსებობა ან არაფერი, იგია სიცარიელე ჭეშმარიტების. მის წინაშე მდგომი ხდება მოწიწებული და მთრთოლი, მისი არსი იწეევს თაყვანისცემას, გონება მის წინ მდგომი იძენს ღიად სიწმინდეს და ნიჭს გაცნობიერების. იგია მდგომარეობა "ნეტარების სხეულის", ვისი მადლითაც ბრწყინაეს გონება, გონების ეს მდგომარეობა არის "სხეულება გრძნობათა გაწონასწორების". იმ სფეროში, რომელშიც შენ ამჟამად იმყოფები, შეიგრძნობ განუსაზღვრელი ძალით განუყოფლობას სინათლისა და სიცარიელის.

სიცარიელეს აქვს ბუნება სინათლის, სინათლეს აქვს ბუნება სიცარიელის. სინათლე განუყოფელია სიცარიელისაგან. ეს არის სფერო პირველსაწყისი, უცვალებელი გონების - პირველადი სხეული, მისი ენერგია, გამოსხივებული ყველგან, მბრწყინავი ყველგან, ეს არის სხეული უფიქრელობის.

განუყოფელი სინათლე - სიცარიელე, განშიშვლებული გონი არსობს შეუქმნელ მდგომარეობაში თვითმბრწყინვალების სხეულში, ზეგონებრივ სხეულში.

ისმინე ყურადღებით, როგორც კი გააცნობიერებ ამას, მიაღწევ განსხივოსნებას, გაწონასწორებული გონების ოთხი სხეულიდან რომელიმეში, ნუ გაიფანტები გონებით, ისმინე, აქ გადის ზღვარი, რომელიც ჰყოფს განსხივოსნებულებს ყოველი ცოცხალი არსებისაგან. ამ წამის მნიშვნელობის გაცნობიერება მნიშვნელოვანია და განუსაზღვრელი, თუ შენ ეხლა გაიფანტები ყურადღებით, დაგჭირდება მაშინ უთვალავი დრო განსათავისუფლებლად წუთისოფელში ტანჯვიდან. იფიქრე, რომ ერთ წამში მიაღწევ განსხივოსნებას.

აი, ამ დრომდე, რომელშიც შენ ეხლა იმყოფები, შენს წინ გაიარა უსხეულო მდგომარეობის ყველა მოვლენამ, მაგრამ შენ ვერ შესძელი მათი გაცნობიერება, რადგან ვერ მოუყარე თავი გონებას, და ამიტომ შენ განიცადე შიშები და ძრწოლა. მაშ ასე, გახსოვდეს, რომ თუ ეხლაც გაიფანტები გონებით უყურადღებობაში, ჩაქრებიან ღვთაებრივი სხივები მოწყალე

სინათლის მზერისა და შენ მოხელები იქ, საიდანაც არ არის ადვილი თავის დახსნა, ამიტომ იყავი ყურადღებით, თუ აქამომდე შენ ვერ შესძელი განთავისუფლება ამას მიაღწევ აქ, თუ მოინდომებ. იყავი ყურადღებით, რადგან სხვაგვარად გაწყდება ძაფი თანაგრძნობისა და შენ გაემართები იქ, სადაც არაა განთავისუფლება.

თუ შენ არ იცი ჭვრეტის ხელოვნება, გაიხსენე მაცხოვარი, წესი, საძმო, და ილოცე, იფიქრე, რომ ყველა ის ხილვა და გამოცხადება, რომლებიც მოგევლინენ შენ და შიშს გგვრიდნენ, არიან მოვლენილნი შენივე სახსნელად ღვთისგან, გაიხსენე სახელი ღვთისა, სახელი შენი მოძღვრისა და მაშინ შენ აღარ შთავარდები განსაცდელში.

რასაც შენ ეხლა განიცდი იქნება მსგავსი ქანქარისა, განიცდი წამებს განუსაზღვრელი სიხარულისა და შემდგომ ამისა, განცდას სევდისას, რომელიც წააგავს მზეილდის, ლარის დაჭიმვას და მოდუნებას. არანაირ შემთხვევაში არ მიეჯაჭვო სიხარულს და ნურც მწუხარებას ნუ გაექცევი, ნუ გამოიწვევ შენში ნურანაირ გრძნობას ვნებიანს ან ბრაზიანს. რადგან ამან შენ შეიძლება წაგიყვანოს უფრო დაბალ მდგომარეობაში.

შენ დაინახავ შენს ახლობლებს, რომლებიც შენი სულის მოსახსენიებლად აღასრულებენ რაიმე წესს, მაგალითად, შესწირავენ ცხოველებს მსხვერპლად, შენ კი შენი მზერის დაბინძურების გამო შეიძლება განრისხდე მათზე, თუ არ დაემთხვა მათი ქმედება შენს შეხედულებას წესზე ან იმიტომ, რომ მსხვერპლად შეწირული ცხოველების სულები შეგაწუხებენ შენ, მაგრამ გახსოვდეს, განრისხება უსხეულობაში საწინდარია ჯოჯოხეთში დაბადების, ასე რომ, რასაც არ უნდა აკეთებდნენ შენიანები, არ განრისხდე, იფიქრე მათზე გულმოწყალებით.

თუ შენ მიბმული ხარ დანატოვარ ქონებაზე, და თუ ხედავ, რომ შენი ქონება გამოიყენება სხვების მიერ, და თუ გაბრაზდი ამის გამო, დაიბადები ჯოჯოხეთში ან სულების სამყოფელში სამოთხის მკვიდრადაც რომ ყოფილიყავი გამიზნული, გახსოვდეს, რანაირადაც არ უნდა იყო მიბმული

დანატოვარ ქონებას, მას აწი შენ ეღარ მოისმარ, ამიტომ იყავი მტკიცე და განუდექი მათზე ფიქრს, შესწირე ქონება შენს მოძღვარს ან უფალს.

ასევე, როდესაც შენ შეგისრულებენ დასაკრძალ წესს და თუ გაბრაზდები, როდესაც დაინახავ, რომ აღასრულებენ უგულისყუროდ, უდებებით, უწმინდურად - ყველაფერმა ამან შეიძლება მიგიყვანოს რწმენის დაკარგვამდე და რელიგიის მიმართ გულის გაცრუებამდე და იფიქრებ: "ისინი მატყუებენ". ეს აზრი მოგიტანს შენ წყენას, ალშფოთებას, დაეჭვებას, ურწმუნოებას და თუ ეს დაგემართა ამ ძალზედ პასუხისმგებელ წამს, შენ დაიბადები რომელიმე დაბალ მდგომარეობაში. ასეთი აზრები არა თუ რაიმე კეთილს მოგიტანენ შენ, არამედ პირიქით მოგაყენებენ დიდ ზიანს, ამიტომ რანაირადაც კი არ უნდა აღასრულებდნენ წესს, უდიერად, არასწორად და როგორადაც არ უნდა იქცეოდნენ წესის აღმსრულებელნი, იფიქრე აი, ასე: "ჩემი ზრახვები არაწმინდაა, განა შეიძლება არასწორი იყოს ან არაწმინდა ღვთისმსახურება ან წმინდა სიტყვები? ნამდვილად, ეს ჩემი ხედვაა უკეთური და მე ვერ ვხედავ. რაც შეეხება მღვდელებს და წესის სხვა მსახურებს, ისინი წარმოადგენენ ღვთის სიმბოლოებს, მათი სიტყვები - წესთა სიტყვებია, მათი ფიქრები ღვთისგან ქმნილია, რამეთუ გონება მათი ღვთაებრივი ბუნებისაა, მე ვპოვებ მათში თავშესაფარს".

აი, ასე იფიქრე, მიენდე მათ და გამოავლინე მათ მიმართ გულწრფელი სიყვარული. ასეთი დმოკიდებულებით, რასაც არ უნდა აკეთებდეს მღვდელმსახური და მიწაზე დარჩენილები, ყველაფერი შენი შეწევნისათვის იქნება, აი, ამიტომ აუცილებელია კეთილგანწყობა. არ დაივიწყო ეს.

თუ შენთვის აღასრულებენ წესს მთელი კანონის დაცვით, მონდომებით და პატივისცემით, ეს შენ გიშველის, უფრო მაღალ მდგომარეობაში დაბადებაში, გამიზნული რომც იყო მდაბალი დაბადებისთვის, ხოლო წესის სწორად აღსრულების დანახვა შენზეა დამოკიდებული, აი, ამიტომ საჭიროა წმინდა აზრების შეკავება. და თავისთავად, თუ შენ მოგიხდება ისე, რომ გიწერია რომელიმე ერთ მდაბალ სამყაროში დაბადება

და სინათლე ამ სამყაროსი უკვე ალინთო შენს წინ, შენი მომხსენებლების მადლით, რომლებიც აღასრულებენ წესს შენი სულის ხსნისათვის წესის სრული დაცვით, ბერთა ლოცვა ვედრებით, წესიერი მღვდელმსახურებით, შენი აღტაცება და სიხარული ამ სანახაობის ხილვით გამოწვეული თავისთავად მოახდენენ ისეთ ზეგავლენას ამ საყურადღებო წამს, რომ შენ მოხვდები მაღალ ნეტარ სამყოფელში, ამიტომ გაექეცი განკითხვას, იყავი კეთილი და თვინიერი ყველას მიმართ, ეს უაღრესად საყურადღებოა. იყავი ძალზე ყურადღებით.

გაიაზრე ის, რომ შენი გონება უსხეულობაში დასაყრდენის გარეშეა, მსუბუქია და განუწყვეტელ მოძრაობაშია და ყოველი შენი ფიქრი იქნება იგი კეთილი თუ ბოროტი, იძენენ დიდ ძალას, ამიტომ ნუ იფიქრებ უკეთურად, არამედ გახსოვდეს რომელიმე რელიგიური წესი, ან თუ არ იცი წესი, მაშინ მორჩილებითა და თავმდაბლობით ილოცე მოძღვრის, მფარველი ღვთაების ან უფლის მიმართ.

ეს გულწრფელი ლოცვა იქცევა შენს მცველად, დარწმუნებული იყავი, რომ იგი არ გიმუხთლებს. ლოცვის მნიშვნელობა ძალზედ დიდია, იმეორე იგი და შენში დაბრუნდება გახსენება გაცნობიერებისა და მიაღწევ განთავისუფლებას და ასევე ყოველნაირ შემთხვევაში იყავი დარწმუნებული; რომ შენ არ გატყუებენ, ეს ძალზედ საჭიროა.

## ექვსი სფეროს, ექვსი მდგომარეობის, ექვსი სამყაროს გამომხატავი სინათლის გამოჩენა

მაშ ასე, თუ შენ აქამომდე ვერ შესძელი გაგება თქმულისა და, გამომდინარე აქედან, ვერ გააცნობიერე ის, რაც გველინებოდა შენ, მაშინ შენი წინა ცხოვრებისაგან გამოყოლილი შთაბეჭდილებებით შექმნილი ფიქრის სხეული დაიწყებს გაფერმკრთალებას, ხოლო ის სხეული, რომელიც შენ უნდა შეიმოსო შემდგომ არსებობაში თანდათან მიიღებს გამოსახულებას. შენ იგრძნობ სევდას და დაიწყებ ძიებას რაიმე სხეულისა, გაუჩერებლივ და გონებაგაფანტულად

ისეტიალებ ადგილიდან ადგილზე და გაიქცეეი იმისკენ, რაც კი გამოჩნდება ეითარცა შემცელელი სხეულისა. შემდეგ შენს წინ გამოჩნდება სინათლე, სხივი ექსი, ექსი მდგომარეობის შესატყვისი, ექვსი სფეროს ნათება საწ·ურთოში არსებობის განსაზღვრებისა და ყველაზე მკაფიოდ იბრწყინებს იმ სამყაროს სინათლე, რომელშიც მოგიწევს შენ კვლავ დაბადება, რომლის ბუნებაც შენ უნდა იტვირთო, გამომდინარე შენივე დამსახურებიდან.

შესსენება ამ წამებში ძალზედ საყურადღებოა.

რანაირი სინათლეც არ უნდა გასხივოსნდეს, შენ ამ ექვსიდან მთელი გონების მოყრით იფიქრე მასზე, ვითარცა მაცხოვარზე, ან უფრო სწორედ მაცხოვრისგან მოვლინებულზე. ეს არის სწავლების შინაარსი და იგი არის დამცველი აზრი, რომ არ იშვა შენ ხელმეორედ. ამ წამებში შენი სხეული მიიღებს იმ სინათლის ფერს, რომელ სფეროშიც გიწერია შენ დაბადება და ასევე რაც შეიძლება დიდხანს იფიქრე შენს ღვთაებაზე, ან მოძღვარზე, ან უკეთესია - მაცხოვარზე. იფიქრე მასზე, წარმოიდგინე იგი, როგორც ხილვა, რომელსაც არ გააჩნია საზღვრული ბუნება, რომ მისი სახე არის მხოლოდ გამოსახულება, შეეცადე ეს სახე შემდგომ თანდათან გააქრო, სანამ მისგან არ დარჩება არაფერი, ხოლო თავად ჩაიძირე სიწმინდის და სიცარიელის მდგომარეობაში, რომლის წარმოდგენა (როგორც რაიმესი) შეუძლებელია, დარჩი რამოდენიმე ხანს ამ მდგომარეობაში, შენ იქნები რაღაც დროის განმაველობაში გან·უსაზღვრელ მდგომარეობაში, ბუნებრიეი არსისა, სიცარიელის ბუნებაში, შემდეგ ისევ მიაპყარი ყურადღება შენს მფარველ მაცხოვარს და ისევე დე გაქრეს იგი უწინდებურად ნელ-ნელა ნაპირებიდან შიგნით და შენი ყურადღება დე მიებჯინოს სხივმოსილებას ბუნებრივი სიცარიელის სივრცის, ასე აკეთე თანმიმდევრობით, მონაცელეობით, შემდეგ აიძულე შენი გონებაც, რომ გაქრეს ნაპირებიდან შიგნით. ყველგან, სადაც კი არის სივრცე, არის იქ გონება, სადაც კი არის გონება, იქ ყველგან არის კანონზომიერების სფერო, ამ სფეროში დამკვიდრებით, მარტივ და თავის უარმყოფელ "უ-მე-ობო"

მდგომარეობაში მიიღწევა თავის დაღწევა ხელახლად დაბადებისგან და მიიღწევა განსხიეოსნება კანონზომიერების სხეულში.

## ნაწილი მეორე
## ხელახალი დაბადება და მითითება დედის საშოს დახშვისა

თუკი გარდაცვლილი ძალზედ სუსტია ლოცვებში ანდა უცოდინარობის გამო ვერ შემძლეა გაიგოს მოძღვრება, ილუზია იმძლავრებს მასზე და იგი მიუახლოედება დედის საშოს კარიბჭეს, ამ საფეხურზე დარიგება საშოს კარიბჭის დახშვის შესახებ ძალზედ სიჭიროა, ძალზედ მნიშვნელოვანი.

თუ შენ ვერ გაიგე ადრე ნათქვამი და ვერ გააცნობიერე ის, რაც მოგაველინა აქამომდე ამ დროისათვის საკუთარი დაგროვებული შთაბეჭდილებების ზეგაველენის გამო, შენ შეიგრძნობ იმას, თუ შენი ნამოქმედარი როგორ გდევენის შენ, შეიგრძნობ იმას, რომ ან მაღლა იწევი, ან ეშვები დაბლა. ამიტომ გონმოყრით იფიქრე მაცხოვარზე.

შემდეგ, როგორც უკვე იყო ნათქვამი, შენ შემოგქროლავენ ქარები, ყინულოვანი ქარბუქები, სეტყვა, შემოგეელება უკუნი სიბნელე, დევნას დაგიწყებენ ადამიანთა ბრბოები, ამ ილუზიებიდან თავის შეელისას იმას, ვისაც აქვს ცოდვებით დამძიმებული სული, იგრძნობს, რომ მოხვდა ტანჯვების სფეროში, იმას კი, ვისაც სინდისი აქვს სუფთა, მოეჩვენება, რომ მოხვდა ნეტარების სამყოფელში. ასე რომ, დევნილი და გაქცეული თავშესაფარის მოსაძებნად, ვინც დააგროვა კეთილი ქმედებანი, შეიგრძნობს, რომ მირბის სიხარულის ადგილისაკენ, იმან კი, ვინც დააგროვა ბოროტება, იგრძნობს, რომ სდევენიან მას ტანჯვისაკენ.

ამ დროს გამოჩნდებიან ნიშნები იმ სამყაროსი, სადაც გიწერია შენ შობა შემდგომი.

ეხლანდელი დარიგებანი ძალზედ მნიშვნელოვანია და აუცილებელია, თუ აქამომდე ვერ გაიგე არსი სწავლების, ეხლა შენ მას გაიგებ, რადგან ისიც კი, ვინც სუსტია ლოცვაში,

შესძლებს გამოიცნოს ნიშნები, ამიტომ იყავი ყურადღებით.

არსებობს ორი მთავარი ხერხი საშოს კარიბჭის დახშვის, ან შეკავება იმის, ვინც განმზადებულია შესელად ან კარიბჭის დახშვა, რომელშიც აპირებენ შესელას.

## შეკავება საშოში შესვლისა

ვინც არ უნდა იყოს შენი მფარველი ღვთაება, მშვიდად იფიქრე მასზე, წარმოიდგინე იგი ვითარცა ანარეკლი მთვარისა წყალზე, ან იფიქრე უფალზე მის განსხეულებაზე ხილულზე, მაგრამ მაინც არ არსებულზე, როგორც ჯადოსნობით გამოწვეულ სახეზე.

შემდეგ მფარველი ღვთაების სახეს მიეცი საშუალება, რომ გაქრეს და გონებას თავი მოუყარე სხივმოსილ სიცარიელეზე, ისე რომ, ზრახვა არ გაფორმდეს არანაირ ფორმაში, ჭვრიტე სხივმოსილი სიცარიელე, სადაც არაფერზე არ შეიძლება გაჩერება ფიქრით, ამით თავს დაიცავ საშოში შესელისგან, ეს არის ძალზედ ღრმა ხელოვნება.

გონების თავმოყრა ამ მდგომარეობაში ძალზედ აუცილებელია, რამეთუ რაზედაც არ გაამახვილებ ყურადღებას, ის მოხდება. ამიტომ არ იფიქრო ბოროტ საქმეებზე, არამედ გაიხსენე სწავლება ღმერთზე, ეს აუცილებელია.

## პირველი ხერხი საშოს დახშვისა

თუ ზემოთაღწერილს ვერ შესძლებ, ხელი რომ შეუშალო შენს შესელას საშოში და თუ შენ იგრძნობ, რომ მიექანები მისკენ, აი, მითითება, თუ როგორ დაახშო კარიბჭე საშოსი.

განაგდე შური და გონმოყრით ილოცე მაცხოვარზე, მოუყარე თავი შენს კეთილ საქმეებს და იყავი გულწრფელი.

თუ შენ ჩაიხედავ წყალში ან სარკეში და ვერ დაინახავ შენს საკუთარ თავს, ან ასევე თუკი შეამჩნევ, რომ შენი სხეული ჩრდილს არ იკეთებს, იცოდე, რომ შენ დაგიტოვებია შენი ხორციელი სხეული, და ეს მაჩვენებელია იმისა, რომ

ხარ უსხეულობაში.

ესლა შენ გონების გაუფანტავად უნდა მიიღო ერთადერთი გადაწყვეტილება გონებით, მიღება ამ გადაწყვეტილებისა ძალზედ საყურადღებოა, იგი წააგავს ცხენებშებმულ ეტლის მართვას.

როგორც უკვე გითხარი, შენ ამჟამად რასაც კი არ გაიფიქრებ, რასაც კი არ მოისურვებ, ყველაფერი აღხდება, ამიტომ უნდა აიძულო თავი არ იფიქრო უკეთური, რის გამოც შენი გონება გაყვანილი იქნება განზე. იფიქრე სწავლებაზე, მორწმუნეებზე, მთელი გულისყურით იფიქრე კეთილ საქმეებზე, რომელიც გაგიკეთებია, ნუ გაიფანტები, ზუსტად აქ, ეხლა, ამჟამად გადის ზღვარი აღმასვლასა და დაქვეითებას შორის, თუ იჰოჭმანებ თუნდ ერთი წამითაც, შენ მოგიწევს ხანგრძლივად ტანჯვა, გახსოვდეს, დაგიდგა ჟამი, მტკიცედ ჩაეჭიდე ერთადერთ მიზანს - შეკრიბო ჯაჭვად ყველა კეთილი საქმე შენ მიერ ქმნილი, აი, ეხლაა ჟამი ამ მოქმედებით საშოს კარიბჭის დახშვის.

## მეორე ხერხი საშოს დახშვისა

შენს წინ ამ დროისთვის გამოჩნდებიან სხეულები ქალთა და კაცთა ურთიერთ შერთვისას, როცა მათ იხილავ, გახსოვდეს, რომ არ შეიძლება მათ შორის სივრცეში მოქცევა, არამედ იფიქრე მათზე ვითარცა ღვთის გამოვლენაზე, გონებით იყავი თავმოყრილი ღმერთზე და ილოცე, ფიქრით ეცი მას თაყვანი, გამოავლინე რწმენა, გონებით აღასრულე გონებრივი ღვთისმსახურება, გაბედე და სთხოვე მათ სულიერი ხელმძღვანელობა.

შენი ამგვარი მტკიცე გადაწყვეტილება უეჭველად დახშავს საშოს კარიბჭეს, მაგრამ თუ იგი მაინც არ დაიხშო და შენ იგრძნობ, რომ მიექანები მასში, მაშინ იფიქრე მფარველ წმინდანზე, მაცხოვარზე ან სულიწმინდაზე. გონებით მათზე იყავი თავმოყრილი, მიუძღვენი მსხვერპლშეწირვა მათ გონებით, გადაწყვეტილად სთხოვე მათ შემწეობა და მაშინ უეჭველად უნდა დაიხშოს კარიბჭე საშოსი.

## მესამე ხერხი საშოს დახშვისა

თუ მაინც იგრძნობ, რომ წარიტაცები საშოსკენ, არის მესამე ხერხი, აი, ის: არსებობს ოთხი სახე დაბადების: კვერცხიდან, საშოდან, ზებუნებრივი და სითბოსა და სითხის ურთიერთშეხებიდან.

როგორც გითხარი, შენს წინ გამოჩნდებიან სხეულები ქალების და კაცების ურთიერთ შერთულნი, თუ მოხვდი შენ მათ შორის, უთუოდ დაიბადები. გააჩნია რა წყვილს შორის მოხვდები, თუ შეხვალ საშოში წადილისა და ზიზღის გრძნობას დაქვემდებარებული, ენებით და მრისხანებით შეპყრობილი უთუოდ დაიბადები პირუტყვული გრძნობების და ბუნების მქონედ, ან მარტივი, მდაბიოდ.

ის, ვინც უნდა იშვას მამაკაცად, შეიგრძნობს ლტოლვას დედისკენ და უკუქცევას მამის მხრისაკენ და პირიქით, ქალად ვინც უნდა იშვას, ის მიილტვის მამისკენ და გაურბის დედას.

როდესაც ცნობიერება შედის იმ სიერცეში, სადაც ერწყმიან ურთიერთარს კვერცხუჯრედი და სპერმა განიცდის იგი განუზომელ ტკბობას და კარგავს აღმქმელობის უნარს, კარგავს გაობიექტურების უნარს, გაცნობიერების ძალას. ამისგან თავის დასაღწევად საჭიროა განუდგე ენებას და მრისხანებას. ეს უნდა გახსოვდეს, რადგან სხვაგვარად შენ შეიძლება დაიბადო ლეკვად, გოჭად, ჭიანჭველად ან რაიმე მწერად, მატლად, და ამ მდგომარეობებიდან არ გექნება საშუალება სწრაფად გამოსვლისა, პირუტყვობა, უვიცობა, მონობა და სხვა ტანჯვები - აი, ამ მდგომარეობის ხვედრი. ამგვარადვეა საქმე ჯოჯოხეთში მოხვედრაზე, ან უბედურ სულთა სამყაროში ან რომელიმე ექვს მოხსენიებულ სამყაროში, სადაც შენ შეიძლება დაიტანჯო.

ის, ვინც ხარბად ელტვის წუთისოფელში ცხოვრებას, ეისაც გულში არ ეშინია მისი, ვინც არ ისმენს მოძღვრის დარიგებას, ჩავარდება წუთისოფლის უძირო უფსკრულში და მისი ტანჯვა იქნება გაუთავებელი, და რომ შენ არ გეწიოს ამგვარი ბედი, ისმინე ყურადღებით:

განაგდე ვნება და გაბრაზება, ეს პირველ რიგში. იყავი

გულწრფელი, არ მოიტყუო თაეი, ამიტომ უარყავ შური, როგორც ითქვა, ეინც რომელ სქესში უნდა განხორციელდეს უჩნდება ლტოლვა საპირისპიროსი და ზიზღი საკუთარის, ამიტომ გაგიჩნდება თუ არა ლტოლვა ან ზიზღი, იცოდე, რომ ეს არის ძალა შენი წარმტაცი და წუთისოფელში აღმომაცენებელი, ამიტომ უნდა განუდგე მათ, ეს საკმარისია საშოს კარის დახშეისა, - არ მონდომება სქესისა, განხორციელდება კი ეს ღმერთისადმი ლოცეით. იყაეი ყურადღებით დ მტკიცე გადაწყეეტილებაში.

## მეოთხე ხერხი საშოს დახშეისა (ობიექტიური მონიზმი)

მაგრამ თუ ამანაც არ დაახშო კარი და შენ შეიგრძნობ, რომ მიექანები საშოსკენ, საჭიროა მისი დახშეა იმ სწავლებით, რომელსაც ეძახიან "ცრუ მოჩეენებითი". საჭიროა ამ სწავლების მიხედეით აი, ასე ფიქრი, მოკრება გონების:

"ყეელაფერი ამ სამყაროში მოჩეენებაა და სიზმარი, დედა, მამა, ბუნება და ყველა ხილვები თაეისი ბუნებით არიან მოჩეენებითნი რანაირი სახითაც არ უნდა გამოჩნდნენ, მათში არ არის სინამდეილე, ყველა მოვლენა მოჩვენებითი და მაცდუნებელია, ვითარცა სიზმარი ან მოჩვენებები, წარმაეალნი არიან ისინი და ცვალებადნი, რა აზრი აქვს მათ მონდომებას, რა აზრი აქეს მათ მიმართ შიშს და ძრწოლას? არ შეიძლება არ არსებულის არსებულად მიღება, ყეელაფერი ეს მოჩეენებაა ჩემიეე საკუთარი გონების და თეით გონებაც მოჩვენებაა და არ არსებობს დაუსაბამოდ, მაშ სადლა შეიძლება არსებობდნენ ეს მოელენები?

აქამომდე მე ეს არ მესმოდა, მე ეიღებდი არ არსებულს არსებულად, მოჩეენებითს ჭეშმარიტის მაგიერად და ამიტომ დიდხანს ეიხეტიალე წუთისოფელში და ეხლა თუ ვერ გაეაცნობიერე, ამ ყეელაფრის მოჩეენებითობა, მე ისევ უეჭველად მოეხვდები უბედურებათა ჯაჭეში.

ყეელაფერი ეს მსგავსია სიზმრის, ზმანების, მირაჟის, ანარეკლისა სარკეში, ან მთვარისა წყალში, ეს ყეელაფერი

არანამდვილია თუნდ ერთი წამითაც კი არა აქვს სინამდვილე, ჭეშმარიტად არანამდვილია და ცრუა".

აი, თუ ამგვარ ხედვამე მოუყრი გონებას თავს, მაშინ არსებული მოვლენების სინამდვილის რწმენა გაგიქრება და გონების შინაგანი უწყვეტობის მიერ წარტაცებული შენ შეტრიალდები უკან. და თუ ეს ხედვა მოვლენათა არანამდვილობისა ღრმად აღიბეჭდა შენში, მაშინ საშოს კარი უეჭველად დაიხშობა შენთვის.

## მეხუთე ხერხი საშოს დახშვისა (სუბიექტიური მონიზმი)

მაგრამ თუ რწმენა წუთისოფლის და გამოვლენილი სამყაროს სინამდვილისა შენარჩუნებულია, მაშინ არ დაიხშობა საშო, და თუ შენ იგრძნობ, რომ მიექანები მისკენ, მაშინ მისი დახშვა შეიძლება გონების მიპყრობით წმინდა ნათელზე. აი, ეს არის მეხუთე საშუალება. ფიქრის წარმართვა კი აქ აი, ასეა საჭირო:

"ყველა მოვლენა და ყველაფერი ნივთიერი ჩემივე საკუთარი გონებაა, ჩემი შეცნობის ძალაა, ხოლო ჩემი გონება კი არის სიცარიელე უწყვეტი და დაუსაბამო, უსაზღვრო".

აი, ასეთი ფიქრი-განწყობით მიეცი შენს გონებას საშუალება იმყოფებოდეს უქმნელობის მდგომარეობაში თავის პირვანდელ უცვლელობაში, როგორც წყალი ჩასხმული წყალში, თავისუფალ, გახსნილ, მოშვებულ, შეუბოჭავ და მთრთოლვარეში, თუ გონება დარჩება ამ მდგომარეობაში არმოქმედებისა და არქმნილებისა, მაშინ კარიბჭე საშოსი დაისშობა უეჭველად.

აქ მოყვანილი იყო არცთუ ისე ცოტა საშუალება საშოს დახშვისა და წარმოუდგენელია, რომ მათ ადამიანს ვერ მოუტანონ სარგებელი როგორი განვითარებისაც არ უნდა იყოს იგი. რატომ უნდა მოხდეს ეს უეჭველად?

პირველ რიგში, იმიტომ, რომ უსხეულობაში, გარკვეულ გარემოში ცნობიერება ფლობს ზებუნებრივ უნარს აღქმისას

და ქმედებისას, და რასაც არ უნდა ეუბნებოდნენ უსხეულობაში მყოფს, ყველაფერი იქნება აღქმული მის მიერ. მეორე რიგში ის, რომ თუნდ იგი სხეულში ყოფნისას რომ ყოფილიყო ბრმა, ან ყრუ, უსხეულობაში იგი იქნება მხედველი და მსმენელი, რამეთუ აქ ყველა მისი უნარი ხდება სრულყოფილი. და იგი ისმენს ყველაფერს, რასაც არ უნდა ეუბნებოდნენ. მესამე რიგში, გამუდმებით შიშითა და შეძრწუნებით დევნილი ფიქრობს: "რა ექნა ეხლა მე?" და ამის მეოხებით ინარჩუნებს სიფხიზლეს და ამიტომ ესმის ყველაფერი ის, რაც მის მიმართ იყო თქმული, ასევე, როდესაც ცნობიერებას გამოცლილი აქვს საყრდენი, ანუ ხორციელი სხეული, იგი დაუყოვნებლივ მიემართება იქით, საითაც მიუთითებს გონება. მეოთხე რიგში, ცნობიერების მიმრთვა ადვილია, აქ მახსოვრობა ცხრაჯერ უკეთესია, ვიდრე ხორცში ყოფნისას, თვით ადრე ჩლუნგი გონებაც კი აქ იქცევა ნათელ გონებად უწინდელთან შედარებით, რაც გამოწვეულია მოქმედებათა დანაგროვების ზემოქმედების ძალით, განთავისუფლება აქ გარდაუვალია, რადგან აღმქმელი ფლობს ყველაფერ ამას.

აი, ამ მიზეზის გამო წესის აგების წესი ძალზედ მომქმედია, აი, ამიტომ ლოცვათა დაჟინებული კითხვა ორმოცდაცხრა დღის განმავლობაში მნიშვნელოვანია, ერთი დარიგებით ვერ განთავისუფლებული განთავისუფლდება მეორეთი, ამით აიხსნება დარიგების მრავალფეროვნება.

## სამოს ამორჩევა დაბადებისთვის

და მაინც, არიან ძალზედ ბევრნი ადამიანთა შორის, რომლებმაც მიუხედავად დარიგების და შეხსენებისა, თუ როგორ მოუყარონ აზრებს თავი, ვერ მიაღწიეს განთავისუფლებას საკუთარი უკეთური მოქმედებების შედეგების ზეგავლენის გამო, და ასევე იმიტომ, რომ მათ არ გამოიმუშავეს ჩვევა სათნო მოქმედებებისა, რადგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაეჩვიენენ უკეთურ ჩვევებს, ამიტომ თუ საშოს კარიბჭე აქამომდე არ დაიხშო,

დადგა დრო საშოს ამორჩევის სწაელების.

მაშ ასე, ისმინე, თუმც აქამომდე შენ გმოძღერავდნენ, თუ როგორ უნდა გადარჩენილიყავი, შენ ვერ გაიგე ეს, ამიტომ კარი საშოსი ღიაა და შენ დაგიდგა ჟამი სხეულში განხორციელების. ესლა, რაც შენს ხელთაა ყველა შესაძლებლობათაგან დარჩენილი არის ის, რომ ამოირჩიო ხელსაყრელი ადგილი შენი დაბადების.

## წინასწარი ხილვები ახალი შობის ადგილის განმსაზღვრელი

ისმინე, შენ იხილავ ნიშნებს და სახასიათო თვისებებს შენი დაბადების ადგილისას, გააცნობიერე ისინი, გახსოვდეს ის, რომ არასასურველი ადგილისადმი საჭიროა უარყოფითი განწყობის გამოწვეეა, ხელსაყრელი კი არის ის ადგილი, სადაც რელიგიური აზროვნებაა პატივცემული.

თუ გიწერია დაბადება კეთილშობილად, შენ დაინახავ ოქროსგან ქმნილ ტაძრებს, იქ შედი, ნუ იჭოჭმანებ.

თუ გიწერია დაბადება მდაბიოდ, იხილავ ცეცხლოვან წრეებს და ტყეპარკებს, ეცადე იქ არ შეხვიდე.

თუ გიწერია დაბადება უბირთა შორის, იხილავ გამოქეაბულებს, კლდეებს, სოროებს, ნისლს, ეცადე იქ არ წახვიდე.

თუ გიწერია დაბადება საწყალთა შორის, იხილავ უდაბურ ადგილებს, ორმოებს, ჭაობს, გამხმარ ტყეს, ნუ წახვალ იქ, იქ განიცდი შიმშილს და წყურვილს.

თუ გიწერია შობა ჯოჯოხეთში, მოგესმება სიმღერა მოთქმის მაგვარი გამოწვეული უკეთური ბედისწერით, იქით წასვლის სურვილი იქნება ძალზედ დიდი. შენს წინ გამოჩნდება უდაბური დალევრემილი ადგილი, შავი და წითელი სახლები, შავი ორმოები მიწაში, შავი ფერის გზები, რომლებზედაც მოგინდება სვლა, ის, ეინც წავა ამ გზებით, მოხვდება ჯოჯოხეთში და დიდხანს ვერ შესძლებს თავის დახსნას აუტანელი სიცხისა და სიცივისაგან ტანჯული. გამოიწვიე წინააღმდეგობის გრძნობა და არავითარ

შემთხვევაში არ წახვიდე იქით, მოკრიბე მთელი შენი ძალები, რომ არ წახვიდე იქით.

## დემონებისაგან თავის დაცვა

შენივე ნამოქმედარის შედეგებისაგან გამოწვეული იქნები დევნილი დემონებისაგან, რადგან ვისაც არ აქვს დაგროვებული გამოცდილება გონების თავმოყრაში, მას გაუჭირდება თავისი ნებით მოქმედება, რამეთუ არ ყოფნის მას სულიერი ძალა, და რომც არ გინდოდეს, იქნები იძულებული დევნილი ბოროტი ძალებისა და დემონების მიერ იგრძნობ, რომ იძულებული მიიმართები სურვილის საწინააღმდეგოდ, შენ თავს დაგესხმიან მწვალებელი დემონები, საკუთარი ნების გატარების მცდელნი, ასევე შემოგიტევს უკუნეთი, ქარბუქი, ჭექა-ქუხილი, თოვლი, წვიმა, ქარბორბალა და სეტყვა, ყინულოვანი ქარი და ნამქერი, ყველაფერი ეს აღგიძრავს სურვილს გაქცევის. და აი, შენს წინ, მიმისაგან თავშესაფარის პოვნის მოსურნეს წინ გამოჩნდებიან ხილვები: სახლები, ნაპრალები კლდეში, სოროები, ტყეები, ბუჩქნარები, შენ დაიმალები რომელიმე ერთში შეშინებული და ვერ შემძლები იქედან გამოსვლისა. შენ იფიქრებ: "გამოსვლა ეხლა არ შეიძლება". შეშინებული შენი თავშესაფარის დატოვებისა, მაგრამ სინამდვილეში ის, სადაც შენ ხარ ამჟამად ჩამალული, არის სამო, ხოლო გამოსახულება იყო ამ სამოს ხარისხის აღმნიშენელი, შენ იგრძნობ ძლიერ მიჯაჭვას შენი თავშესაფარისადმი. თუ შენ შეშინებული გარეთ გამოსვლისა, სადაც შენი ფიქრით გელიან საშინელებანი უსხეულობისა დარჩები ჩამალული თავშესაფარში, შენ ამით დაიბადები უკიდურესად ცუდ სხეულში და განიცდი აუარება ტანჯვას.

ეს მდგომარეობა იმის მაჩვენებელია, რომ ბოროტი სულები და დემონები ხელს გიშლიან კარგი დაბადებისკენ სვლაში. ამის საწინააღმდეგოდ მოიქეცი ასე:

როდესაც შენ დაგიწყებენ დევნას მწვალებელი დემონები და შენ შეგიპყრობს მიში და ძრწოლა, იმწამსვე

წარმოიდგინე საკუთარი გონებით მაცხოვარი სრულყოფილი ხატებით და იგი დაამხობს ყველა დემონს, დაუყოვნებლივ წარმოიდგინე იგი შენი გონებრივი მზერის წინ, მისი მადლის ძალა და მოწყალება და თანადგომა განდევნის შენგან ყველა დემონს და შენ შეგეძლება ამოირჩიო სამო შენი შესაფერისი, ეს არის ძალიან საყურადღებო დარიგება, ამიტომ დაიმასსოვრე კარგად.

ღვთაებები შობილნი არიან გონების თავმოყრის შედეგით.

ბოროტი და მდაბალი სულები კი არიან ის სულები, რომლებმაც გააცნობიერეს უსხეულობაში თავისი თავი თვით უსხეულობა და უსხეულო არსებობის შესაძლებლობანი და რომლებმაც გამოიცვალეს თაეიანთი გრძნობები, გონების წყობა და მიიღეს ფორმა, რაც განახორციელეს თავიანთი გამოცალკევების გრძნობის შემწეობით, ხოლო ეს კი თავითავად ჩამოიყალიბეს საკუთარი თავდაჯერებით, მცდარ დასკვნებზე დაყრდნობით, მთლიანობის და ერთარსობის ვერ გააზრებით, არსთა განცალკევებულად არსებობის სინამდვილის დაჯერებით, რის გამოც უსხეულობაში, ფიქრის სხეულში ყოფნის საბოლოო მიზნად და აღსრულებად მიღებით შერჩნენ უსხეულობაში ყოფნას. ამ ფიქრის სხეულში შეჩერებული სულები - დემონები, გარდაცვლილნი, ეჩვევიან უსხეულობას და მათი სულიერი წინსვლა ჩერდება, რადგან თაედაჯერებულნი სთვლიან, რომ უსხეულობაში შესაძლებელია მათთვის სულიერი განვითარება და არ ცდილობენ დატოვონ ფიქრის სხეულის სფერო. ყოველი ასეთი სული იმყოფება თავისივე გამონაგონი სამყაროს ჩარჩოში მისივე გონების შიგთავსის შესატყვისში, რომელიც მოიპოვა სხეულში ყოფნისას.

მათ ძალუძთ შეიცვალონ ნირი. მოვლინება შეუძლიათ სხვადასხვა მოჩვენებით ფორმებში, მათ შორის, არის სხეაობა ხარისხში, ძალთა გამოვლენაში და სიბრძნეში. ისინი არსებობენ სივრცეში და დაფრინავენ ცაში. ეს 80 000 სახეობა ბოროტი სულების გახდნენ ასეთები გრძნობების შეცვლის გამო, როდესაც იმყოფებოდნენ ფიქრის სხეულში უსხეულოთა სამყაროში.

ამ დროს, მათი თაედასსმის დროს, ყველაზე კარგია გონების თავმოყრა დიადი სიცარიელის დიად მდუმარებაზე, თუ შენ ეს არ ძალგიძს ან არ ხარ გაცნობილი ამ სწავლებას, მაშინ მთელი შენი სულიერი ძალები მიმართე იმისკენ, რომ დაინახო ყველა საგნები ეითარცა მოჩვენება, ხოლო თუ ესეც არ შეგიძლია, ნუ ცდუნდები ნურაფრით, მოკრიბე ყურადღება მაცხოვარზე და შენ განსხიეოსნდები ამ განზომილებაში ამ დონეზე.

## არჩევანის შესაძლებლობა

და მაინც თუ შენ იძულებული იქენი შენი შიგთავსის გამო შეხვიდე საშოში, მაშინ ეცადე აირჩიო მაინც ხელსაყრელი. ამიტომ ნუ შეხვალ პირველ შემხვედრ საშოში, როდესაც მდევნელი დემონები გაიძულებენ შენ ამას, გონება მოიკრიბე მაცხოვარზე, ილოცე მის მიმართ. გაიხსენე, რომ შენ ეხლა ხარ მფლობელი ზებუნებრივი ძალის წინაგანჭვრეტისა, ასე რომ, შენი დაბადების ყველა შესაძლებელი ადგილი შეიძლება გახდეს ცნობილი შენთვის. შენ გაქვს შესაძლებლობა არჩევანისა.

არსებობს ორი შესაძლებლობა ცნობიერების დინების გადართვისა: განსხივოსნების წმინდა საუფლოში და დედის საშოს ამორჩევა წუთისოფელში.

## დამკვიდრება წმინდა სასუფეველში

პირველი შესაძლებლობა წმინდა სასუფეველში დამკვიდრებისა ხორციელდება აი, ასეთი ფიქრი-განწყობაზე გონების მთელი ძალის მოკრებით:

"წუთისოფელი ხიბლია, არაფერი ფასეული მასში არ არის, ცნობიერება არის თვითშეგრძნება და საწინდარი განსხივოსნების. აი, დადგა ჟამი წუთისოფლიდან გაქცევის, მე უნდა ვიშეა მაცხოერის ფერხთით".

ამ ფიქრი-განწყობით წარგზავნე შენი მტკიცე გადაწყვეტილება მაცხოვარის სფეროსკენ.

ანდა მოჰკრებ რა გამახვილებულ გონებას, მიმართე იგი საკუთარი სურვილისამებრ რომელიმე სფეროსკენ, რომელიც შენ გსურს, ასეთი მოქმედებით შენ დაუყოვნებლივ იშვები იმ სფეროში, ოღონდ გახსოვდეს, რომ ეს არ უნდა იყოს შენი წარმოდგენით შექმნილი სფერო, რადგან ასეთი მოქმედებით შენ დემონად გარდაიქცევი და თავს ვერ დააღწევ ამ მდგომარეობას სამყაროს დასასრულამდე.

თუ შენ გსურს გაჩნდე მოწყალე ღმერთთან სასუფეველში, მიმართე შენი გონება ამ სფეროსკენ და იფიქრე: "აი, დადგა ჟამი ჩემი გადარჩენისა უსხეულობაში" და შენ საოცარი სახით იშვები მაცხოვარის შორიახლოს.

## შობა საშოდან, დაბრუნება ადამიანთა სამყაროში

თუ შენ ვერ შესძელი სასუფეველში დამკვიდრება და შენ ხარ იძულებული შეხვიდე საშოში, მაშინ ის მაინც შესძელი, რომ ამოარჩიო საშო.

გამოიყენე შენი ამჟამინდელი უნარი განჭვრეტისა და მიმოიხილე წუთისოფელი, ამოირჩიე ის ადგილი, სადაც ბატონობს რელიგია.

თუ შენ უნდა დაიბადო ქალის და კაცის შერთვით შენ მათკენ მიგიზიდავს კეთილსურნელება და ამ გზით მოხდება შობა.

რანაირი სახითაც არ უნდა წარმოგიდგნენ შენ ისინი, ან საშო, ან ხილვები ნუ ჩათვლი მათ იმად, როგორადაც გეჩვენებიან, განუდგები რა ლტოლვას და ზიზღს, შენ შესძლებ შენთვის ხელსაყრელი საშოს ამორჩევას.

საშოში შესვლის წინ იფიქრე მაცხოვარზე და იმაზე, რომ დაიბადო მისი სიწმინდეების შორიახლო და შენ დაიბადები კარგ ადგილას.

სხვაგვარად, თუ შენ ძალაუნებურად უნდა დაიბადო, ეცადე სიხარბისაგან და ვნებისგან განდგომა, ლტოლვის და ზიზღის უკუგდება, და მიუკერძოებლად იფიქრე რაიმე ამაღლებულზე და სუფთაზე.

საშოში შესვლა საჭიროა ყურადღებიანი ფიქრით. შესვლისას კი დალოცე საშო ვითარცა ღმერთის ადგილსამყოფელი.

იფიქრე ასე: "მე უნდა დაეიბადო მოაზროვნედ, ან მოღვაწე მცოდნეთა შვილად, ან კეთილშობილი მოდგმის ოჯახში, ან რელიგიურ მოღვაწეთა სახლში, მე უნდა მქონდეს ღირსებები, რომ ვემსახურო ცოცხალ არსებებს". აი, ასეთი ფიქრით შედი საშოში. ილოცე ღვთისადმი და შედი საშოში.

საშოს არჩევისას შეიძლება შესცდე, შენში ჩაბუდებული ექვსი ძალის მეოხებით კეთილგანწყობილი გრძნობა შეიძლება მოგეჩვენოს მტრული, ხოლო მტრული კი პირიქით, ამ შეცდომისგან არ ხარ დაზღვეული. ამიტომ თუ საშო მიგაჩნია სასიკეთოდ, ნუ ენდობი და ასევე თუ მოგეჩვენა არასანდოდ, ნუ განუდგები, აქ ხელოვნება იმაშია, რომ მიაღწიო აუღელვებლობას, სადაც არ არის არც კარგი და არც ცუდი, არც მიღება და არც უარყოფა, არც ვნება და არც მრისხანება.

მცირედი გამონაკლისის გარდა, რომელთაც ჰქონდათ რელიგიურ ღვაწლში გამოცდილება ქმედითი, ყველა დანარჩენისთვის არ არის ადვილი თავის დაღწევა ბოროტი ჩვევებისგან.

ამიტომ ვინც მოსილია სუსტი გონებით და არის დამძიმებული ცოდვებით, არ ძალუძს თავის დაღწევა ზიზღის და ლტოლვის განწყობიდან და ამის გამო დაიწყებს თავშესაფარის ძიებას პირუტყვებს შორის.

თუ შენ ვერ თავისუფლდები ვნებისა და მრისხანებისგან, თუ არ გაქვს ნიჭი მიკერძოებისაგან თავის დაღწევის და არ იცი რანაირად და როგორ ამოირჩიო საშო, მაშინ რანაირი გრძნობებიც არ უნდა მოეიდნენ შენთან, რანაირი ხილვებიც არ უნდა წარმოიშვან შენს წინ, მოუხმე მაცხოვარს, ეძიე მასში თავშესაფარი. ილოცე, და გასწი წინ უშიშრად. იცოდე, რომ ხარ უსხეულობაში, უკუაგდე სევდა ახლობლებზე და ნათესავებზე, ისინი ვერ გიშველიან.

## ბოლოსიტყვაობა

ამ მოძღვრების სათანადო კითხვით, ის, ვინც წარმატებულია გააზრებაში შემძლეა გამოიყენოს თავისთვის სასარგებლოდ ცნობიერების გადართვა სიკვდილის დროს. მისთვის არაა აუცილებელი შესვლა უსხეულო სამყაროში ფიქრის სხეულით არსებობის მდგომარეობაში. ის წავა ამის გვერდის ამვლელი დიადი გზით ზე. სხივოსნობაში, შეიცნობს სიკვდილის ჟამს ან გაჰყვება გზას მიმავალს ზე. უფრო ნაკლებად გამოცდილი კი განთავისუფლებას მიაღწევს საკუთარი უნარისა და ნამოქმედარის ჯამის ზეგავლენით მომდევნო ორი კვირის განმავლობაში, როდესაც მოევლინებიან მას ღვთაებები.

არსებობს რამოდენიმე საკვანძო გამოსავალი. განთავისუფლება შესაძლებელია მიიღწეს ყოველ მათგანში გაცნობიერების მეოხებით.

ხოლო, ვისი ნამოქმედარი ძალზე უკეთურია, ვისი გონების დაბინდვაც დიდია, ბოროტების სიმრავლის გამო იძულებული იქნება ჩაეშვას უსხეულობაში კიდევ უფრო ქვემოთ, ანუ სიბნელეში, მაგრამ გაცნობიერების მეოხებით განთავისუფლება შესაძლებელია ყოველ საფეხურზე.

ისინი კი, ვინც სუსტია გონების თავმოყრაში, ვისაც ძალზე სუსტი აქვს კავშირების ძაფი, ხსოვნის ძაფი, ვერაფრის ვერ გამცნობიერებელნი ექცევიან შიშისა და ძრწოლის ზეგავლენის ქვეშ, სწორედ მათთვისაა მითითებანი თუ როგორ დახშონ საშოს კარი.

როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში საჭიროა დაეუფლოს კაცი უნარს გონებრივი მზერის წინ საჭირო ხატების და სახის გამოწვევის, მაგრამ ლოცვა ყოვლისშემძლეა, არარაობაც კი პირუტყვის მსგავსი შემძლეა ტანჯვას გაექცეს ლოცვის მეოხებით. მიიღებს რა ახლად შობისას შეუბორკავი კაცის სხეულს იგი უსათუოდ შეხვდება მოძღვარს, მეგობარს კეთილისმყოფელს, რომელიც ღვთაებრივ სიბრძნეს აზიარებს.

თუ სწავლება შენ მიიღე, როცა იყავი ფიქრის სხეულში,

იგი იქნება კვანძი სათნოებების შეკრების.

და ისიც კი, ვინც უზომო ცოდვებით არის დამძიმებული, მხოლოდ მოსმენითაც ამ სწავლებისა და შემდგომ გააზრებით შემძლეა გადარჩენის მიღწევის. რადგან უსხეულობაში მხოლოდ მოსმენაც კი ამ მოძღერებისა სცელის აზროვნებას.

გარდაცვალებულს, რაც არ უნდა შორს იყოს წასული უსხეულობაში, მაინც ესმის მის მიმართ თქმული. ერთ წამში გაიხსენებს და გაიაზრებს რა ყველაფერს ამას, შემძლეა შესცვალოს გონება თავისი. ამიტომ შეხსენება ძალზე საჭიროა.

გარდაცვალებულის სხეულთან მყოფმა გულმოდგინედ და დაბეჯითებით უნდა შეახსენოს და შთააგონოს გარდაცვლილს მისი მდგომარეობა კიდევ და კიდევ.

სხეულს არ შეეხო, არ შეაწუხო.

არცერთი ცხოველი არ დაიკლას მის სახელზე.

ახლობლებმა არ იტირონ სხეულის ახლოს.

აღსრულდეს მოწყალება მის სახელზე.

ეს სწავლება ან სხვა წმინდა მოძღვრება წაკითხულ უნდა ექნეს მიცვალებულს. ეს ძალზე შემწე საშუალებაა სულისთვის.

## ტილოპა
## მაჰა მუდრა უპადეშა ტანტრა
## დიადი მდუმარების დამოძღვრება
## (თავისუფალი თარგმანი)

აღვუსრულოთ თაყვანისცემა ყურადღების მიპყრობით ერთობლიობაში ერთდროულად აღქმის გაცნობიერებას (რითაც აღსრულდება უზენაესისადმი სრულყოფილი ღვთისმსახურება).

1. დიადი უძრაობა, დიადი სიმშვიდე, დიადი მდუმარება ყოველგვარ სიტყვაზე და ხატზე ზემდგომია, ჩვენება მისი

შეუძლებელია, მაგრამ გამგონე შეგირდს, გულწრფელს და ერთგულებით მოძღვრის პატივისმცემელ მოწაფეს, ხორცის ძლევაში გამოცდილს, გაჭირვებაში დამთმენს, გონიერებით განმსჯელს შეუძლია შეისმინოს და მიიღოს ეს დარიგება საკუთარ გულში.

2. ისმინე, ყურადიღე, სიცარიელე არ მოითხოვს საყრდენს, დიადი უძრაობა თვითვეა საყრდენი საკუთარი თავის, მდუმარება დიადი თვით არის საყრდენი თავისი თავის. ძალდატანების და ძალისხმევის გარეშე, მყოფი თავისუფალ, ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფმა, შესაძლოა გაგლიჯო ბორკილები და მიაღწიო განთავისუფლებას.

3. თუკი გონება იმზირება სივრცეში და ხედავს არაფერს, თუკი საკუთარი გონებით სჭვრეტ საკუთარ გონებას, მაშინ იშლებიან განსხვავებები და მიიღწევა ბუნება განსხვიოსნების. თუკი აღიქვამ სივრცეს, ქრებიან შთაბეჭდილებები შუაგულის და კიდის (ქრება შეგრძნება მაყურებლის და ფორმის). თუკი გონება უმზერს საკუთარ ყურადღებას, წყდება გონებაში ყოველნაირი სახის მოქმედება და დამკვიდრდება იგი უძრავ არმოქმედებაში, გამცნობიერებელი ცნობიერების სხივოსანი არსის.

4. მიწის ოხშივარი ზეცაში ასული იქცევა ღრუბლებად და შემდგომ მასშივე ქრება, არავინ არ უწყის მათი მისამართი, ცაში მოცურავე ღრუბლებს არ გააჩნიათ ადგილი და ფუძე, ასევე არიან ზრახვები გონებაში, რომ დაცურავენ, მათი ტალღების მდინარება შობილი ენებათა ოხშივარით გონებაში, ქრებიან, როდესაც გონებით აკვირდებიან გონების სივრცეს და უყურებენ არაფერს.

5. სივრცეს არ გააჩნია არც ფერი და არც ფორმა, იგი უცვლელია, არ არის შეფერილი შავით ან თეთრით, ასევეა განსხვიოსნებული გონი, უფეროა და არ მქონი ფორმის, არ ფერადდება არც შავით, არც თეთრით, არ იმოსება მბრწყინავი გონი სათნოებით და არ ბინძურდება უკეთურებით.

6. როგორც მზის წმიდა და სხივოსანი ბრწყინვა, მისი არსი, მისი ბუნება, შეუძლებელია რომ დაიფაროს თუნდ

ათასსაუკუნოვანი სიბნელით, ასევე ამ წუთისოფლის შემოქმედებას არ ძალუძს დააბნელოს სხოვოსანი არსი გონების, ნამოქმედარი და შთაბეჭდილებანი თუნდ ათასწლოვანი ჟამის ხნისანი ვერ დაჰფარავენ გონების წმინდა სინათლეს, არსს, ნათელს გონებისას ვერ დაფარავენ ისინი.

7. თუმც წარმოთქვამენ სიტყვებს, რომ განმარტონ, რომ ახსნან სიცარიელე, მაგრამ ამას, ვერ ახერხებენ, ამაოა ეს მცდელობა. შეუძლებელია განმარტება იმის, ვისგანაც შობილია თვით განმარტება, თუმც ვამბობთ, რომ სივრცე ცარიელიაო, მაგრამ მისი აღწერა შეუძლებელია, ასევე, თუმც ვამბობთ, რომ გონება მბრწყინავი ნათელიაო, მაგრამ იგი ყოველნაირ განსაზღვრებაზე ზემდგომია, ამ განსაზღვრებას არ ძალუძს მისი არსებობის დამტკიცება, სივრცეს არ გააჩნია ადგილმდებარეობა, ასევეა გონი, თუმც იგი სიცარიელეა, მაგრამ იგი მოიცავს და შეიცავს ყველაფერს, დიადი მდუმარების მიმღწევი არ იმყოფება არსად.

8. ნურაფერს ნუ იქმ სხეულით, არამედ მოეშვი, დე სხეულის მოძრაობა გახდეს რბილი, ბუნებრივი, დაუძაბავი, შეწყვიტე უქმი მეტყველება, მოკუმე ბაგენი და დადუმდი, დააცარიელე შენი გონება, ნუ იფიქრებ ნურაფერზე, დე მეტყველება შენი იქცეს გამოხმაურებად მხოლოდ, დე ნუ გექნება განსჯა, შეფასება, მაგრამ იქონიე ვალდებულება, მზადყოფნა გადაწყვეტილების, ნახტომის.

9. დამკვიდრდი უცვალებელად, უძრავად საწყის მდგომარეობაში, დაუძაბაეად და განხორციელების სურვილის გარეშე და უეჭველად ბორკილები შენი შესუსტდებიან, გონების არსი სივრცის მაგვარია, ამიტომ არ არსებობს რაიმე, რომ მისით არ იყოს მოცული.

10. ბამბუკის ღრუ ღეროს მსგავსად შეიგრძენი შენი სხეული ვითარცა შიგნით ცარიელი, რომელსაც არ გააჩნია რაიმე ნივთიერი საფუძველი, დე დაისვენოს შენმა სხეულმა, გონებაც, მსგავსი სივრცისა, სადაც არ არის არანაირი საყრდენი ფიქრისთვის, არ არის მასში რაიმე ადგილი რაიმე ზრახვისთვის, დე დარჩეს გონება თავისუფალი, მაგრამ არა

ძალისხმევით შეკავებული, და არც ისე, რომ დაქროდეს აქეთ-იქეთ, ნურც გასცემ და მიღებითაც ნუ მიიღებ ნურაფერს, ამით დაწყნარდება იგი, თუკი გონებას არა აქვს ლტოლვა განხორციელების, არ გააჩნია არჩეანი, მიზანი შემდგომში მისაღწევი, ეს მდგომარეობა მისი იქნება სწორედ მდგომარეობა დიადი მდუმარების, დიადი მდუმარების მსგავსია გონება, რომელიც არაფერს არ არის მიბული.

11. ივარჯიშე ამ ღვაწლში და გარკვეული დროის შემდეგ მიაღწევ მდგომარეობას გონების განსხივოსნების. ლოცვათა ღაღადით, ქველმოქმედებით, მოძღვრებათა და მცნებათა განმარტებით, წმიდა წერილთა, წესთა, ვალდებულებათა, დარიგებათა და მითითებათა მიმდევრობით ვერ იხილავ სხივოსნობას გონების დიადი მდუმარების. გარეგნულად წესთა მიმდევრობა ვერ გიშველის არსებული ჭეშმარიტების გაცნობიერებაში.

12. რადგან თუ გონება მოცულია რაიმეს ნდომით, მიილტვის მიზნისკენ რაიმეს განხორციელების და აღსრულების განწყობით, იგი ამით მხოლოდ ფარავს სინათლეს, აფორიაქებს გონების მდუმარებას, გონება მოქმედებების არ მქონი, ლტოლვისაგან განთავისუფლებული, თაეის თავში დამშვიდებული, საკუთარ არსებობაში მდგომი შეგრძნებით, მსგავსია იგი წყლის ტალღის. სხივოსნობა იფარება მხოლოდ სურვილთა წარმოშობით.

13. ის, ვინც მიმდევარია საკუთარ თავში დიადი მდუმარების შეცნობის ღვაწლის, მაგრამ აგრძელებს განსხვავებას, ამით ღალატობს სულს, ერთიანობის ჭვრეტის მოძღვრების, ჭეშმარიტი წესი სათნოების ირღვევა კანონმდებლობათა და წესდებათა მეშვეობით აზროვნებით, მიატოვე საქმიანობა ყოველგვარი, უარყავი სურვილი ყოველგვარი, დე აზრები აღმოცენდნენ და ჩაქრენ თავისი ნებით, ტალღების მსგავსად ოკეანეში.

14. თუ შენ არცერთ ადგილს არ ხარ მიბმული გულით, თუ შენ არაფერს არა ხარ მიკერძოებული გრძნობით, თუ შენ არ დგები აზრშეუცვლელად საკუთარ თვალსაზრისზე, მაშინ წმინდაა მოღვაწეობა შენი, მსგავსი ჩირაღდანისა

ბნელში. თუ არასოდეს არ არღვევ მიუკერძოებლობის წესს და ასევე წესს განურჩეელობის, მაშინ მტკიცედ იდგები ჭვრეტის ღვაწლში.

15. თუკი დატოვე ყველა სურვილი თუ არა ხარ უკიდურესობებში გახლართული, თუ არ ხარ მიჯაჭვული არც აქაურზე და არც იქაურზე, მაშინ ჩაწედები ჭეშმარიტ მნიშვნელობას ყველა სწავლების, თუკი განმსჭვალავ გონებას ამგვარი განწყობით, განთავისუფლდები ამ წუთისოფლის ბორკილიდან დიად მდუმარებაში, დიად უძრაობაში იფერფლებიან ყველა ცოდვები, დიად უძრაობაში ღებულობს განთავისუფლებას ამ სოფლის ბორკილებისგან არსი ცნობიერების, ეს მდგომარეობა არის უზენაესი ჩირაღდანი ზნეობის.

16. თვით ყველაზე უბირნიც ადამიანთა შორის მიმთხვეულნი და ერთგულნი ამ სწავლების, ამ დარიგების წყალობით დააღწევენ თავს ამ წუთისოფელში არსებობის წრებრუნვის ზეგავლენას და გახდებიან განთავისუფლებულნი, დასანანია ის, რომ ურწმუნონი და დაუჯერებელნი განიცდიან ტანჯვას და სიდუხჭირეს ჩაძირულნი ქვე მდგომარეობაში.

17. განთავისუფლების მსურველი, მის მოპოვებაში უნდა მიენდოს მოძღვარს, მასზე დაყრდნობილი იგემებს განთავისუფლებას, როდესაც მოძღვარი კურთხევას იძლევა, მასზე მინდობით თავი უარიყოფა, ხოლო მორჩილისათვის და თვინიერისათვის შორს აღარაა განთავისუფლება.

18. ყველაფერი ამ წუთისოფელში არის ამაო, ყველაფერი სხვა არაფერია თუ არა წუხილი, მცირე სწავლებები ასწავლიან წესსა და ქცევას. საჭიროა, რომ იყო მიმდევარი დიადი მოძღვრების, ამ წუთისოფელში ქცევის და სამართლის წესი მცირეა, იგი იწვევს შიშს და მრისხანებას, ჩვენ მიერვე შექმნილს არ გააჩნია თვითარსობა, ამიტომ საჭიროა ძიება უზენაესი, უპირატესი არსის, გონებით ქმნილ წესს არ ძალუძს დაგანახოს არსი ზეგონების, მოქმედების წესს არ ძალუძს არმოქმედების მნიშვნელობის წვდომის მდგომარეობამდე მიყვანა გონების.

19. განცალკევების უარყოფა მეფური მიზანია და ხედვაა მეფური, გონების გაფანტულობის აღკვეთა კი საქმიანობა მეფური, გზა არმოქმედებისა (შინაგანად უძრაობა მოქმედებისას) არის გზა ყველა განსხიეოსნებულის, ამ გზით მრავალი იმოსება ნათელი სხივოსნობით, ეს არის მეფურად უპირატესი თვალსაზრისი, ხედვა, ფიქრი, შეგრძნება სხვა ყველა დანარჩენთან შედარებით, რომელიც ხედავს ერთიან ცოცხალ არსს საგანთა, ნივთთა და არსებათა საზღვრებს იქით, ცარიელს სივრცესავით; ის არის მეფურად უპირატესი ღვაწლი გონების თავმოყრის ყველა სხვა დანარჩენ გონის თავმოყრის ხერხებთან შედარებით, რომელიც ყურადიღებს უცვლელობას ზრახვების. ის არის მეფურად უპირატესი მოქმედება, საქმიანობა ყველა სხვა დანარჩენ ქმედებებთან და საქმეებთან შედარებით,რომელიც აღასრულებს მოქმედებას არა ძალისხმევით, არა ძალდატანებით, განხორციელების გრძნობის არ ქონით, მომავლის არ მოლოდინით და შიშის არ ქონით, მხოლოდ მიზნის გააზრებით და ხსოვნით.

20. დიადი სიმშვიდე არავის არ უშვია ამ ქვეყანაზე, შეუძლებელია მისი შებილწვა, შეუძლებელია მისი წინააღმდეგობა, დაუსაბამოა, არ ნაშობია სიწყნარის ზღვარს იქითა მდუმარება, არ არის მასში არანაირი მოქმედება, შთაბეჭდილება ან ზღუდე რაიმე, დე გაჩერდეს გონი, დარჩეს დაუსაბამო, პირველსაწყის არსებობაში, აზრის წარმოქმნის წინა მდგომარეობაში, მაშინ აღარ იქნება სხვაობა ჭვრეტაში მოღვაწეობის დროსა და სხვა დანარჩენ დროს შორის, როდესაც გონების მოქმედების ჩვევა დაწყნარდება თავისთავად ლტოლვების ამოწურვით, მიიღწევა მდგომარეობა უზენაესი, მეფური, ყოველნაირი ზღუდისაგან და ზრახვებისაგან თავისუფალი.

21. უზენაესი, გონების მეფური მდგომარეობა, უპირატესიმდგომარეობა ჭვრეტისა, უსაზღვროა და ულრმესი, უმაღლესი ხარისხის გაცნობიერება და შეცნობა საკუთარი თავის, საკუთარი არსების, არის საკუთარი თავის აღქმა ყოველგვარი ძალისხმევისგან თავისუფალი, მაგრამ მეუფე

ყოველნაირი სახის ძალისხმევისდა მოქმედების, და ასევე საკუთარი თავის ჭვრეტა ჭეშმარიტი, არის თავისუფალი ყოველნაირი იმედისგან რაიმეს განხორციელების, რაიმეს შემდგომში მიღწევის, და სწორედ ეს არის მეუფება ყოველნაირი განხორციელების.

22. სხივოსანია ბუნება გონის, მასში არ არის საგანი, ნივთი აღქმის, მასში არ არის საკუთარი არსისგან დამოუკიდებლობა რამის, განცალკევებულად არსებობა საგნის, როდესაც მოღვაწეობაში აღარ იქნება, გაქრება გზა ჭვრეტის, განხორციელების, რაიმეს მიღწევის და მოპოვების, მაშინ მიიღწევა, მაშინ აღმოჩნდება გზა გონების სხივოსნობით შემოსვის განხორციელების, ჭვრეტისას ვინც მოღვაწეობს რაიმეს აღქმის უარყოფაში იგი მიაღწევს აღქმას გონების სხივოსნობის.

23. ის, ვინც ებღაუჭება გონებას ვერ ხედავს თუ რა იმყოფება გონების მიღმა, გონების ზღვარს იქით, ის, ვინც ვარჯიშობს წესში ვერ ჰპოვებს ჭეშმარიტებას იმისას, რაც იმყოფება წესის ზღვარს იქით, რომ შეიცნო თუ რა იმყოფება წესის ზღვარს იქით, და გონების განსჯის იქით, საჭიროა სრულიად განჰკვეთო გონების ფესვი.

24. ვისაც სურს მიღწევა ზეგონიერი მდგომარეობის და გარეგნულად მოქმედებისას შინაგანად არმოქმედების წვდომის, დე მან განჰკვეთოს ძირი გონების და მზიროს შეიარაღებული თვალით, დე ცნობიერება დარჩეს განძარცვული, დე დაიწმინდოს ბინძური დინება გონების მოქმედების, არ არის საჭირო მცდელობა შთაბეჭდილებების და წარმოდგენების შეჩერების, საჭიროა თავის დაღწევა გარჩევისგან ყოველნაირის, დე თავისით დამშვიდდნენ ისინი, საჭიროა დამკვიდრება სიწყნარეში, არჩევანი მონობაა, არჩევანის არ ქონა კი თავისუფლება, ირჩევ, და ებმები ბორკილში, ნურც მიიღებ და ნურც უარყოფ, დიადი სიმშვიდე ყოველნაირი მიღებისა და უარყოფის მიღმაა.

25. მოჰკვეთე ხეს ფესვი და ფოთლები დასჭკნებიან, მოკვეთე ფესვი გონების და მისი მოქმედებები დასცხრებიან, საუკუნოვან სიბნელეს ჰფანტავს ერთი ჩირაღდანიც კი, და

ამგვარადვე გონების ბრწყინვალება ნათელი ერთ წამში ანადგურებს არცოდნის საფარველს, გონების სხივოსნობის განცდა სწვავს ცოდვების სიბინძურის ბნელს.

26. მდაბალი წვდომის მქონეთ, უძლურებმა ამ ჭეშმარიტების მიღების, დე მოუყარონ თავი გონებას, გაცნობიერებაზე საკუთარი სუნთქვის მიმდინარეობის, მიმართონ ყურადღება სუნთქვაზე, ანდა ისარგებლონ ყოველნაირი საშუალებით და ხერხით გონების თავმოსაყრელად და მისაპყრობად მზერის, დაიქვემდებარონ გონება, სანამ არ დამშვიდდება თავისთავად და ძალდაუტანებლად იგი.

27. თუკი ეძებ შენ კავშირს, თანადგომას, ურთიერთობას გულწრფელად, მაშინ ჰპოვებ, იშვება ცოდნა, შეგრძნობა კავშირისა სივრცისა სიხარულთან, სიცარიელისა ნეტარებასთან, საკუთარი ცნობიერებისა სიცოცხლის სივრცესთან; კავშირი შინაარსისა, გააზრებისა, ხედვისა, თვალსაზრისისა გონების თავმოყრის ხერხთან, რომელიც მომტანია განხორციელების და ძალებით აღვსების, განახორციელე ეს და მიეცი სვლა წრიულ დინებას ძალისა შენს საკუთარ სხეულში, მიმართე გარკვეულ ადგილებზე შენს არსებაში და განავრცე მთელს შენს სხეულში.

28. დასაწყისში მოღვაწე გრძობს, რომ მისი გონება მოსჩქეფს ვით ჩანჩქერი, შუაგულში მიედინება ვითარცა მდინარე მდორედ, ბოლოში კი ეს არის დიადი უკიდეგნო ოკეანე, სადაც ერწყმის ერთმანეთს ყველა მდინარე, ან ჰგავს შეხვედრას შვილისა და დედის.

29. თუკი შიგნით არ არის არავითარი სურვილი ან ლტოლვა, იშვება კავშირი სიხარულის და სიცარიელის ანუ ნეტარების და ცოცხალი სივრცის, გონიერი სივრცის და ამით მოიპოვება ხანგრძლივი ცხოვრება ჭაღარის გარეშე, ბრწყინვალება მაგვარად მთვარის, სხივოსნობა და მფლობელობა ზეჩვეულებრივი ძალის, სწრაფი მიღწევა შინაგანი ძალების, ხოლო მათ შემდეგ აუცილებელია მოპოვება განუსაზღვრელის.

30. შეხედე ამ წუთისოფელს, წარმავალია ვითარცა

სიზმარი ან ზმანება, იგი არაა მყარი, მუდმივი, უარყავე, განდექი, შეეშეი ახლობლებს, განერიდე ამქვეყნიურ საქმეებს, ისინი არიან მრისხანების და ვნების მომტანნი; იმოღვაწე გონების თავმოყრაში განმარტოვებით მთებში, ტყეებში, სენაკში, უდაბნოში და თუ ძალდატანების გარეშე, დაუძაბავად, შეუბოჭავი დამკვიდრდები განხორციელების ნდომის და მოლოდინის გარეშე გონების თავმოყრის მდგომარეობაში დათუ შესძლებ მიღწევას რაიმეს მიღწევის არ მოლოდინის განწყობის, მიაღწევ დიადი უძრაობის დიად მდუმარებას, მიაღწევ მიუღწეველს, გონების განსხივოსნებას.

დე დარჩეს ეს სწავლება დიად მდუმარებაზე ყოველი ადამიანის გულში.

## მილარეპა
## (ამონაკრები, თავისუფალი თარგმანი)

განთავისუფლება წუთისოფლისგან განპირობებულის მარწუხებიდან მძიმეა ისევე, როგორც ადამიანის სახის მიღება, თავისუფალის და სათნოებით მოსილის.

წუთისოფლის ტანჯვის გაცნობიერება და დანაწევრებიდან გასვლის ძიებაა ძნელი. სუფთა მბრწყინავი ცნობიერების ასი მაძიებლიდან ძნელია პოვნა თუნდ ერთის, რომელსაც ჰქონდა საშუალება მოეპოვებინა სუფთა და ხელსაყრელი გარემოება ღვაწლისთვის. ამ ცხოვრების ხიბლისგან თავის უარყოფა - მძიმეა, ისევე, როგორც სარგებლის სრულად მოპოვება ადამიანური სხეულიდან.

მცირეა იღბალი შეხვედრისა თანაამგრძნობ მასწავლებელთან, რომელმაც უწყის ტრადიცია და არსი საქმის.

მაგრამ კიდევ უფრო იშვიათია გულწრფელი და ერთგული მევირდი, რომელიც შემძლეა განახორციელოს მიმდევრობა წესის.

იპოვო ტაძარი შიშის და ამაოების გარეშე, ძნელია, ძალზე ძნელი.

იპოვო უანგარო თანამგზავრი, ეისი შეხედულებები,

მოღვაწეობა და სწავლება თანხმიერი იქნება შენი, იშვიათობაა და ძნელი.

მოიპოვო სხეული ტკივილებისადა უძლურებების გარეშე, ამტანი მძიმე მოღვაწეობისა, ძნელია, ძალზე ძნელი.

და მაშინაც კი, როცა ყველა ეს მონაცემები სახეზეა, მაინც ძნელია გონებრივი მზერის თავმოყრა ყურადღების გაუქცევლობაზე.

აქ ჩამოთვლილი პირობები ძნელად საქმნელი არიან ერთობ.

მაგრამ რა საძნელონიც არ უნდა იყვნენ, შემართებით და მოღვაწეობით შესაძლებელია მათი დაძლევა.

გამოცდილ მოძღვარზე დაყრდნობა გამყვანია წუთისოფლის საზღერულობიდან უსაზღვრობაში.

უანგარო გულმოწყალება უზრუნველჰყოფს მოგზაურობას.

როგორც სავსე მთვარე ანათებს ნათლად ღამის სიბნელეს, ჭეშმარიტი გამოცდილება მზერის შეკავებისა ასხივოსნებს გონს. ეს არის თანამეგობრობა, რომელიც უნდა ეძიო მეგზურად.

დაგროვილი სიმდიდრე შესწირო სწავლებას, არის წუთისოფლის მდინარებისთვის ხომალდის მომზადება.

თუ დგახარ მიკერძოებული გამორჩეულობისგან თავისუფალ თვალსაზრისზე, მაშინ შესაძლებელია მზერის მოკრება გაუფანტავად.

თუ მოქმედება შეესატყვისება გონის განსხივოსნების სწავლებას,მაშინ მითითება სუფთაა, და მოძღვარი კმაყოფილი.

ჯილდო იქნება სიკვდილი სინანულის გარეშე.

ნათესაობა, მფარველნი და მიმდევარნი უმნიშვნელოა მოღვაწისათვის.

მხოლოდ ისინი, ვინც წუთისოფლით ცხოვრობენ, საჭიროებენ მათ.

დიდება, წარჩინება და პატივი, უმნიშვნელო არიან მოღვაწისთვის, სურვილებს დამონებულთ ესაჭიროებათ ისინი.

საკუთრება, ბარაქა და საზოგადოება უმნიშვნელოა

მოღვაწისთვის, დიდების მოყვარულნი ვერ ძლებენ მათ გარეშე.

თავის მოვლა, განბანვა და მორთვა უმნიშვნელოა მოღვაწისთვის, სავსებით არ საჭიროებს მათ, სჭირდებათ კი იმათ, ვინც ახალგაზრდობას ელტვის. ესენი ზემოჩამოთვლილნი არ ეხებიან მოღვაწის გულს.

უწყოდეთ, რომ ყველას არ ხელეწიფება ამ მოღვაწეობების ტვირთვა, მაგრამ, მაინც გაიაზრეთ აქ თქმული.

ვისაც სურს ბედნიერება ცხოვრებაში, მისდიეთ წესს მნეობის, უარყავით მხოლოდ გარევნული და შეჩერდით განმარტოებაში, ელტვოდეთ განდეგილობას ქედუხრელს, გული აღივსეთ ნდომით, განსხივოსნებული გონის მდგომარეობის, და თქვენი ძალა სულისა გაიზრდება, რითაც დათრგუნავთ დემონთა შემოტევას.

* * *

გონების უძრაობის ღვაწლში მოღვაწეობით გამოიხატება მადლიერება მასწავლებლის მიმართ.

ღირსებით იცხოვრო მთების ჭიუხებში, ეს არის გზა მთის ჯიქის.

იფრინო ცისგაბლით, არის გზა შევარდენის.

ცურვა კი არის გზა თევზის.

მთაში, ტყეში განმარტოებით შეაჩერო მზერა უძრავად, სიცარიელეზე, არის გზა განდეგილის. არა იმიტომ, რომ ეშინოდეს თითქოს დაკარგვა გააზრების, არამედ იმიტომ, რომ გამუდმებულად გონებრივი მზერის თავმოყრა არის გზა მდუმარებაში მყოფი განდეგილის. ყურადღების გაუქცეველად მზერას მიმართავს გარინდებული მოღვაწე უსასრულობის წმინდა წრეწირზე, არა იმიტომ, რომ ეშინია გზიდან აცდენის, არამედ იმიტომ, რომ მისდიო საკუთარი თავის გაცნობიერებას არის გზა გონების უძრაობის ღვაწლში მოღვაწის, როდესაც მოღვაწე მუშაობს შინაგან ხმაზე, სუნთქვის მოძრაობაზე და წერტილის აღქმაზე, იგი დაცულია

ხელისშემშლელთაგან და ხიბლისგან, არა იმიტომ, რომ სწავლებას გააჩნია უშუსტობა რაიმე თაეის თაეში, არამედ იმიტომ, რომ ამგვარი ხერხით უმჯობესდება ჭეშმარიტი გაცნობიერება საკუთარი თაეის.

ბუნებრივად და უშუალო მოქცეეისას, რა თქმა უნდა, შეეჩეხები უთეალავ საზრუნავს და გულის განწყობას, არა იმიტომ, რომ იქ არის განსხვავება და განმაცალკეეებელი ფიქრი, არამედ იმიტომ, რომ მთელი გამოელენა - ხილული, არის არსობრივად მიზეზობრივი და ურთიერთ დაპირისპირებული.

როდესაც მცოდნე ხელს უწყობს სხვების წინსვლას,აჩვენებს რა ქმედების და უკუქმედების კანონის ძალას, თუმცა კი ხედავს უშუალოდ და ერთბაშად ბოროტს და კეთილს, ეს არა იმიტომ, რომ იგი დაიბნა თაეის ღეაწლში და ეეღარ არჩეეს კეთილს და ბოროტს, არამედ იმიტომ, რომ განუმარტოს სინამდვილე სხეადასხვა მსმენელს. იძულებულია შეარჩიოს ჩვენების მისაღები სახე.

იმ დიად მოღეაწეებს, რომელთაც მიაღწიეს ღეაწლის დაუფლებას, აღარ სურთ აღარაფერი ამ წუთისოფელში რაიმე. და არა იმიტომ, რომ მიელტვიან დიდებას, მყოფობენ განდეგილობაში, არამედ იმიტომ, რომ ეს არის ერთადერთი ნიშანი მათი გულიდან გამომავალი ჭეშმარიტი მიუბმელობის გრძნობის და განრიდების.

მოღვაწენი მქონენი შინაგანი ჩაღრმაეების გზის ღვაწლის, ყოეელთვის ცხოვრობენ მთებში და ქვაბებში, არა იმიტომ, რომ არიან დამცინავნი და უცნაურობით თაეისმომწონნი, არამედ იმიტომ, რომ თავი მოუყარონ ყურადღებას მზერის შინაგანში ჩაღრმაეებისთვის. ეს არის მათი პირადი არჩევანი.

* * *

მოძღვარი, შეგირდი და დაფარული მოღვაწეობა
სიმტკიცე, არმერყეობა და რწმენა
სიბრძნე, გულმოწყალება და ადამიანური სახე
ესენი წამმართველები არიან გზაზე, დასაწყისნი.

განმარტოეება განგაშისა და შეძვრათა გარეშე
წამმართველნი არიან შინაგანში ჩაღრმაეების დაცვის.
სრულყოფილი მოძღვარი, არის წინამძღვარი
გამფანტველი სიბნელის და უმეცრების.
რწმენა სევდის და დაღლის გარეშე, წინამძღვარია
წამყვანი... ბედნიერებასთან,
ხუთი გრძნობის შეგრძნებები, არია, წინამძღვარნი
რომლებსაც მიჰყავთ ურთიერთობის გარეშე თავისუფლებასთან.
სიტყვა - სწავლება მოძღვართა თანმიმდევრობის,
არიან წინამძღვარნი, განმმარტებელნი ცოცხალი სხივოსნობის
სამი სახების.

* * *

როდესაც თქვენ პატივს მოგაგებენ მომსახურეობით და ძღვენით, იყაეით ყურადღებით და გაფრთხილდით: "დე სიამაყე არ აღდგეს ჩემს გულში", აი, ამ ფიქრით.

ყოველ ჟამს და ყოველ დღე მზირეთ საკუთარი თავი. გამუდმებით ეცადეთ დაიმორჩილოთ ბოროტი მრახვები თქვენს გულში.

რაც არ უნდა შეგხვდეთ თქვენს ყოველდღიურ საქმიანობაში, კერძოდ სიარულისას,დგომისას, ჯდომის თუ წოლისას, ყოველთვის გახსოვდეთ მათი ბუნების ცარიელი მოჩვენებითობა, საკუთარი თავის ხედვით მათთან ურთიერთობაში.

ამაზე მეტს ვერცერთი ბრძენი და წმინდანი ვერ იტყვის, დე თქვენ მხიარული გულით მიუძღვნათ ზნეობრივი კანონის აღსრულებას თავი.

* * *

თუკი ვინმე მიაღწევს უზენაესი ცის უფორმო მდგომარეობის სამყოფელს, ამას მაინც არა აქვს მარადიულობის ფასი და მნიშენელობა, დიდებულია ზეციური

საკვები მოპოვებული ჭერეტით, ღირსია სიყვარულის და გრძნობის შეჩერების, დამატკბობელი ზეციური სიჭაბუკის ყვავილნარი, მაგრამ რა ნეტარებადაც არ უნდა გეჩვენებოდეს ეს დასასრული არის განშორება. თუმც ზეციური ნეტარება წარმოგიდგება უკიდურესად ეს მაინც არის მოჩვენება, სალი თვალსაზრისიდან გადამყვანი ხიბლი. სინამდვილეში, სწორედ ეს არის მიზეზი ტანჯვაში დაბრუნების.

თუკი დაფიქრდები საწუთროს მწუხარებებზე, თავს ვერ შეიკავებ ზიზღის და დაწუნებისგან, ტანჯვის გრძნობისა და გრძნობების აშლილობისგან.

და თუ გადაწყვეტ იმოღვაწეო ცოცხალი სინათლის მოძღვრებაში, უნდა ეცადო მოიპოვო თავშესაფარი რჯულში, მორჩილებაში, წესში, და ილოცო ამისთვის, მოეპყრო პატივით და მომსახურეობით წუთისოფელში ყველა არსებას. წყალობდე უპოვართ და უძღვნიდე მოძღვარს, ყველასთვის სიკეთის კეთებას მიუძღვენი საკუთარი ღვაწლი. გახსოვდეს ყოველთვის, რომ სიკვდილი შეიძლება მოვიდეს ყოველ წუთს. საკუთარი სხეული შეიგრძენი, ვით ცოცხალი სინათლის წარმონაქმნი, საკუთარი ხმა კი ლოცვათა გამომვლენი, უნდა ხედავდე ყველგან მხოლოდ სიცარიელეს, სივრცეს შემცველს ყველანაირი სიბრძნის, უმზერდე ირგვლივ მოაზროვნე სივრცეს და გამუდმებით იყავი განმგებელი საკუთარი გონების ამგვარიმ ღვაწლით.

* * *

ვისაც სურს იმოღვაწეოს ნათელი გზა ცოცხალი სინათლის დე მოისმინოს აქ ქვემოთ თქმული.

თუმც წუთისოფლის ბედნიერება და ნეტარება მოსჩანან საამურად და აღტაცების მომგვრელად, ისინი წარმავალნი არიან წამში.

თუმც ქალები წარჩინებულ ფენებში არიან ამაყნი და ქედმაღალნი თავისი ამპარტავნებით, რა თავშესაფარი და რა დასაყრდენი აქეთ მათ მოპოვებული? ამ წუთისოფლის

ალმოდებულ სახლში ცხოვრება ხანდახან შეიძლება სჩანდეს საამო, თუმც კი ძირია მწუხარების.

თუკი ძეს მოსილს ნიჭებით, არ გააჩნია საკუთარი თაეის ღირსების ზომა, და არ მცდელობს საკუთარი თავის დაძლევას, მისი მშობელი ვერ მიიღებს ვერაფერს მწუსარების გარდა.

თუკი შეგირდი იქმს ბოროტმოქმედებას, იგი უნდა დაეცეს კვლავ წუთისოფელში. რა დიდი მოძღვარიც არ უნდა ჰყავდეს.

ადვილია მოსმენა ზნეობის რჯულის, მაგრამ ძნელია ღრმა რწმენის მოპოვება მის მიმართ. ამისთვის გამუდმებით გახსოვდეთ ტანჯვები საწუთოსი.

ტკივილს და ტანჯვასუყურეთ ვით მეგობრებს ამ ცხოვრებაში, რომლებიც თანაგიდგანან უსაზღვრობისკენ მიმავალ გზაზე. ამიტომ მადლობდეთ ცხოვრებაში გადამხდარ ყველა მწუხარებას, დე გახსოვდეთ ეს.

თუკი ვინმე ლაპარაკობს სიტყვათა ზღვარს იქითა მდგომარეობის საფეხურზე, მაგრამ აკეთებს განცხადებას ან ამის ან იმის მიმართ, ან იმის ჩვენების მაგიერად, რაც არის ყველა სიტყვების იქით, თუ ის მაინც ახვავებს სიტყვათა მთებს, მაშინ ის არის უმეცარი.

თვითმპყრობელობით, ძალაუფლებით საკუთარი ნების გამტარი და მზერის უძრაობის მოღვაწე, ყოველგვარი სიტყვის ზღვარს იქით მყოფ საფეხურზე მდგომი, ასეთი რამე საერთოდ არ არსებობს სინამდვილეში. საგანთა განურჩეელობა სიცარიელით, არის სახე კანონზომიერების, რომელშიც საზღვრულობა და უსაზღვრობა შეიგრძნობა ერთიდაიგივედ. ეს არის ნიშანი ერთგვმოვნების საფეხურის,ასე ამბობდნენ ბეერნი. ეინც ამბობს ყველაფერი ერთიაო, ჯერ კიდევ ზღუდაეს, ერთგვმოვნების საფეხურზე არ არის ასეთი სიბრმავე. არ მომქმედ, გაჩერებულ გონებაში მოხეტიალე აზრი წარმოადგენს არსს სიბრძნის, წინამდგომარეობას და ნამდვილს. მიზეზი და შედეგი არიან მსგავსნი, ეს არის გააზრება სხივოსნობის სამი სხეულისა საკუთარ თავში. ეს არის არ მოღვაწეობის საფეხურის

განხორციელება მოღვაწეობის გზაზე, ძალდატანების გარეშე მოქმედების გზაზე.

როდესაც ვინმე ლაპარაკობს არ მოღვაწეობის ღვაწლზე, მაგრამ გონება მისი ჯერ კიდევ მოქმედია, იგი ლაპარაკობს სხივოსნობაზე, მაგრამ სინამდეილეში ბრმაა, არ მოღვაწეობის ღვაწლის საფეხურზე, არ არის ესეთი რამე. პირადი ნების გამოელენის გარეშე მოქმედების ქმნაში არ არის ასეთი რამე.

გონების მოქმედებები, მზის სხივით განათებულ სივრცეში გაფანტულ მტვრის მირიად ნაწილაკებს აღემატება მრავალფეროვნებით, ღმერთის მსგავსებით მოსილი მოღვაწე აცნობიერებს ამ გამოელენების შინა ბუნებას.

არსებათა ჭეშმარიტი ბუნების სინამდვილე არასდროს არ არის შედეგი მიზეზის ან გარემოების, ღმერთის მსგავსებით მოსილი მოღვაწე აცნობიერებს სინამდვილეს ერთადერთს ყოვლისმომცველად და ულაპარაკოდ.

და ათასი მახვილიც რომ აღმართოს მუქარით მისი მზერის წინ, არ შეირყევა მისი თვალთახედვა გამჭოლი ყოველი საგნის შინაგანი მზერით გულისკენ მიპყრობილი, ამგვარად დამჭერი გონების უძრაობის, კეთილგანწყობილი ძალდაუტანებლობით იმორჩილებს ყველა სისუსტეს, მიკერძოებას და მიბმას.

გამუდმებით მოძრავი გონი ძალზე ძნელია მოთვინიერდეს, თუნდაც, რომ ჩავკეტოთ რკინის ზარდახშაში, მაგრამ კეთილშობილმა მოღვაწემ იცის, რომ ყველა ეს წარმონაქმნები არიან მოჩვენებანი და ზმანებები.

თუ თქვენ აპირებთ იმოღვაწეოთ ზნეობრივი რჯულის კანონი ხშირად შინაგანად თქვენ უნდა იმოღვაწეოთ მზერის ერთ წერტილში შეკავება და ამ წერტილის შეგრძნება.

განდგომა გარეგანი საქმიანობისგან მორთულობა იქნება თქვენი, ეს საშუალება ატარეთ გონებაში, გარეგან მოქმედებებში ჩათრევისგან თავის დასაცველად. თავდაჭერილობით და ყურადღებით აუცილებლობაში დგომით. დიდება-აღუშფოთველობაა გონების და სიტყვის. დიდება-უარყოფაა მრავალფერი მოქმედების. და თუ

შეხედებით არაკეთილგანწყობილ გარემოებას და მიუღებელ პირობებს, რომლებიც აფორიაქებენ გონს, მზერა შემოაბრუნეთ საკუთარი თავის დაკვირვებისკენ და იყავით ფხიზლად ყურადღებიანი. შეახსენეთ საკუთარ თავს: "ხიფათი მრისხანებისა ზღურბლზეა მომდგარი".

და თუკი საწყენი, შეურაცხმყოფელი სიტყვები შეეხებიან თქვენს სმენას, უყურეთ საკუთარ თავს და იყავით ფხიზელი, შეხსენებით: "განმანაწყენებელნი ბგერები მხოლოდ მოჩვენებაა სმენის".

როდესაც თქვენ ურთიერთობთ მეგობრებთან, იყავით ყურადღებით და ფრთხილობდეთ: "დე არ წარმოჩნდეს ჩემი თავმოყვარეობა ჩემს გულში".

ბრძენმა იცის, თუ როგორ იმოღვაწოს მზერის უძრაობა, მსგავსი სივრცისა ყველაფერში, რასაც ის საქმობს დღის განმავლობაში, იგი არ ებმის არაფერს, განთავისუფლებული სულით, მას არა აქვს ნდომა სიმდიდრის და სილამაზის, საჭიროა დანახვა ყველაფერი ხილულის ვითარცა ნისლის. თუმც საჭიროა ყოველი ცოცხალი არსების ხსნისთვის იყო მზადყოფნით, მაგრამ საჭიროა ცოდნა იმისა, რომ მთელი ხილული მსგავსია ანარეკლის მთვარისა წყალში.

მიუბმელი და მიუკერძოებელი ცოდნით საჭიროა იცოდე, რომ სხეული ადამიანის სხვა არაფერია, თუ არა ჯადოსნური შეთქმა.ამით მოიპოვება თავისუფლება ყოველნაირი შემბოჭველისგან, როგორც ლოტოსი არ იფარება ჭუჭყით. ამით მიიღწევა დარწმუნებულობა ღვაწლში. გონი ყველგანმყოფია ვითარცა სივრცე, იგი ნათელს ფენს მთელს ხილულს როგორც კანონზომიერების სახე, მან იცის ყველაფერი და ამჟღავნებს ყველაფერს, ეს იხილვება ვით ხელისგულზე დადებული ქვა ძვირფასი.

არაფერი არ მოდის დასაწყისში, არაფერი არ რჩება შუალედში, არაფერი არ მიდის ბოლოს, გონების სფეროში არ არის წარმოქმნა და გაქრობა. ასე რომ, რჩები თანაბრად წარსულში, აწმყოში და მომავალში.

აზრის წინა მდგომარეობა სუფთაა ვითარცა ცა, დადებითი და უარყოფითი ქრებიან თავისთავად, ოთხი საწყისის კვალიც

კი არაა არსად, ყველგანმყოფი გონი ირეკლავს სივრცეს იგი არასდროს არ ცალკევდება უშობელის სფეროდან. იგი ჰკვეთს გზას, წარმტაცს წუთისოფლის სამი ყოფნისკენ. ეს არის დარწმუნებულობა განსხივოსნების.

თუ მოღვაწეს აქვს ამის გაცნობიერება, როდესაც ტოვებს იგი მომაკვდავ სხეულს და შედის გარდამავალ მდგომარეობაში უსხეულობის, მას ძალუძს აღასრულოს დამსახურებული, შთამწვდარი სწავლების სიღრმეს. მას ხელეწიფება დედა სინათლეს შეურწყას სინათლე ძისა. და თუ ვერ შესძლებს მათ გაერთიანებას, მაინც უსხეულობაში გარდაქმნების ცოდნის წყალობით მას ექნება შესაძლებლობა გარდაქმნას გარდამავალი მდგომარეობის მოჩვენებითი სხეული ნეტარების წმიდა სხეულად, დაბადების ერთდროულობის სწავლების ცოდნის მეოხებით. და თუ მან იცის ის, რომ თვით საკუთარის შეგრძნების სხეული არაა სინამდვილე, ვით ჩრდილი, როგორღა დაიბნევა იგი. ეს უცილელად ჩემი საკუთრებაა, თუ ფიქრობს ყველაფერზე გარდამავალი მდგომარეობისას, სწორი დარწმუნებულობაა უსხეულობაში სიკვდილის შემდეგ.

* * *

თაყვანისცემა უზენაეს მასწავლებელს

მიბმა გონების განსჯაზე, წუთისოფელის წარმონაქმნია.

იმის გაცნობიერება, რომ მიუკერძოებელი და სხივოსანი თვითგაცნობიერება დაუბადებელია და აზრის წინამდგომარეობაა, ნიშანია ერთმიმართულებით მზერის შეკავების საფეხურის მიღწევის.

თუ ვინმე ამბობს ორზე ერთში, მაგრამ ჯერ ისევ მზერას აჩერებს სხეულებრიობაზე, თუ ვინმე აღიარებს ნამოქმედარის უკუგების სინამდვილეს, მაგრამ ჯერ კიდევ იქმს უკეთურებას, ის ჭეშმარიტად მოღვაწეობს მზერის შეკავებაში ბრმად და მიკერძოებით, ვნებით.

ასეთი რამ არასდროს არ ხდება, როცა არის მიღწეული

ნამდვილად საფეხური გონის ერთმიმართულების. სხივოსანი და მიუბმელი გონის გაცნობიერებაში, მის განხორციელებაში მრავალში, და ყველა სათამაშო სიტყვებს ზღვარს იქით მყოფი, შეიძლება იხილო ბუნება საკუთარი გონების ისე ნათლად, როგორც დიადი სივრცე, ეს არის ნიშანი სათამაშო სიტყვების მიღმა საფეხურის და სიტყვებით თამაშის მდგომარეობის მიღმა არსებობის მიღწევის.

უარყავ წუთისოფელი, და თავდაუზოგავად ილტვოდე წესში, მოძღვრის, უფალის და წმინდანებისადმი აღვლენილი ლოცვით, ღია გულით და არა მარტო სიტყვებით. შეინახე ეს შენს ხსოვნაში როცა მოგზაურობ დედამიწაზე.

საკვებად მიიღე ურყევი თავმოყრა გონების და შეიმოსე სამოსი სუნთქვის შენელების მიმართ ყურადღების, ამხედრდი ჯადოსნურ რაშზე სუნთქვის შეკავების, ასე იმოგზაურე დედამიწაზე.

ყოველთვის შეიკავე გონება სუფთად, შეუბღალავი შთაბეჭდილებებით, თუ შეგიპყრობენ მოძალადენი გაიხსენე არარაობა წუთისოფელში ყოფნის, ნუ განაბნევ შენ ძალებს და მონაპოვარს, იმოგზაურე გაწონასწორებული და მხიარული გონით.

* * *

გამოუვლენელი ცნობიერება, ნიადაგია კარგი.
შინაგანი სწავლება, თესლია დათესილი.
განხორციელება და მზერის არ გაქცევა - კვირტი.
სამი სხეული გონების სხივოსნობის, ნაყოფი მოწევნული,
ესენი არიან დასაყრდენნი ზეციური მიწადმოქმედების.
თქვენი მიწიერი მეურნეობა ზმანებაა და მოჩვენებითი.
უბრალოდ მონური შრომაა შიმშილის გამო.
სიცარიელის წარმტაცი საცავები
ზემიწიერი მდგომარეობებია, საუნჯენი გულის.
რწმენა საფეხურია ჩემი სახლის
მოშურნეობა მართავს მაღალ კედლებს

მზერის არ გაქცევა აქანდაკებს მძლაერ აგურებს
და სიბრძნე კი არის ქეა ქეაკუთხედი.

* * *

როდესაც ვინმე კარგაეს ამ წუთისოფლისადმი სარგებლის სურეილს, მაშინმისი რწმენა და საჭიროება ღვთის მოძღვრებისადმი მძლაერდება. ძნელია დატოეო კავშირი სასლთან, ამიტომ მხოლოდ საკუთარი მშობლიური მხარის დატოვების შემდგომ, შეიძლება იყო უგრძნობელი მრისხანებისადმი. ძნელია მოთოკო მოგიზგიზე ენებები ახლო ნათესავთა და მეგობართა მიმართ, საუკეთესო ხერხი მათი მოშორების, გაწყეეტაა ყველანაირი კავშირების.

შეუძლებელია ცოდნა იმისა, თუ რაა სიმდიდრე საკმარისი.

დაკმაყოფილებულობისთვის, საჭიროა ატარო უბრალო სამოსი სელის. ამით შეიძლება დაიმორჩილო გადაჭარბებული სურვილი მომხვეჭელობის.

ძნელია მოთოკო სიამაყე და თავმოყვარება, ამიტომ იცხოვრე მთებში ცხოველიეით. ასეთია გაგება ჭეშმარიტი, წარმოშობილი შემართებით.

დაკავედით საქმით მნიშენელოეანით და მოიპოვეთ დამსახურება.

ვითარცა სივრცე, სხეული კანონზომიერების, მსჭეალავს მთელ მგრძნობიარე არსებებს და მაინც ბრმა, ანგარებიანი ქმედება უბიძგებს ყველას წუთისოფლის მორეეში, სულ ადვილია ხილვა კანონზომიერების სხეულის ერთი წამით,მაგრამ ძნელია, მუდმივად შეაკაო გაცნობიერება მისი. და აი, ალყას არტყამენ მრავალგზის გონებას ხუთი მარწუხი შხამის. თუ სიცარიელე გაცნობიერდა მყარად, მაშინ ორგანოები და გრძნობები მოძრაობენ თაეისუფლად და შვებით, მოუჭიდებლად რამის, მაშინ იშვება შერწყმა სამ სხეულთან მარადიულად. ეს არის დარწმუნებულობა განსხივოსნებაში.

გონის უძრაობის სინამდვილე და ამ მდგომარეობის დასასრული ორი მდგომარებაა ახალბედებისათვის, მყარ

ცნობიერებაში ეს ორი ურთიერთშია როგორც ერთი, მზერის გაუქცეველ გონის უძრაობაში ექვსი უმიზეზო გრძნობა ყოველთვის ჯანყდება, მაგრამ საჭიროა მყარად დგომა განუყოფელ სამ სხეულობაში. მიუკერძოებელი და მიუბმელი ძალისხმევით ივლის მაშინ ადამიანი. თავისუფალი რამეს ჩაჭიდებიდან, მოიმუშაკებს დამსახურებას სანუკვარი სურვილის აღსრულებით.

* * *

ჩვენ, მგრძნობიარე არსებანი, სამყაროსი ვართ მეგზურნი, მივყვებით დინებას თავქვე: შობის, ავადმყოფობის, სიბერის და კვდომის ტანჯვის მდინარებაში, მაგრამ ამასთან შედარებით რამდენად არის ზარდამცემი შემდგომში უწყვეტი ცხოვრებები და გარდასახვები წუთისოფელში.

ამიტომ, რატომ ეხლა არ ვიღვაწოთ შექმნა ხომალდის, წუთისოფლის ოკიანის გადაცურვის საშუალების?

საკითხი ჩვენი შემდგომი ცხოვრების, საზარელია და არის უფრო ყურადსაღები, ვიდრე ზარდამცემი დემონები, სულები ბოროტნი და სიკვდილის გამოცდები.

მაშ, რატომ არ მოგიმზადოთ ჩვენთვის გამყვანი მეგზური სიკვდილის ზღვარს იქით? თვით შავბნელი ვნებები - ანგარება, მძულვარება და უგუნურება არ არიან ისე საშიშნი, როგორც გაურკვევლობა ჩვენი მომავლის.

მაშ, რად არ მოვიმზადოთ თავდაცვა ჩვენი არსებობის.

უკიდეგანოა სამეფო წუთისოფლის სამი სფეროსი, მაგრამ უფრო დიდია უსასრულო გზა შობა-სიკვდილის.

სჯობს, რომ იმოღვაწეოთ ზნეობის წესში, თუ არ გაგაჩნიათ რწმენა საკუთარი თავის.

* * *

ბედნიერი ვარ, რამეთუ დავტოვე ჩემი კავშირები და იმიტომ, რომ განვაგდე მიკერძოება ჩემი წარმოშობის და იმიტომ, რომ გულგრილი ვარ ამ ადგილის მიმართ. და

იმიტომ, რომ არ ვატარებ სამოსელს ღვთისმსახურის.

ბედნიერი ვარ, რამეთუ არ ველტვი სახლს და ოჯახს, და იმიტომ, რომ არა მსურს არც ეს და არც ის, და იმიტომ, რომ მფლობელი ვარ სწავლების საგანძურის, და იმიტომ, რომ არ ვზრუნავ ქონებაზე, ბედნიერი ვარ, რამეთუ არ მეშინია დავკარგო რამე, და იმიტომ, რომ არ მაშინებს გათანგვა სხეულის, და კიდევ იმიტომ, რომ სრულყოფილად გავაცნობიერე ბუნება გონების.

ბედნიერ ვარ, რამეთუ არა მაქვს საქმე დამქანცველი, და არც დაქანცულობა, და იმიტომ, რომ არ მჭირდება რაიმესთვის მომზადება, რამეთუ რასაც კი ვაკეთებ თანხმიერია კანონზომიერების.

ბედნიერი ვარ, რამეთუ არ ვარ მოწადინებული არანაირი მოძრაობის და იმიტომ, რომ სიკვდილზე ფიქრი მე შიშს არ მგვრის, და იმიტომ, რომ მოძალადენი, მპარავნი და დამბრვევნი არ მაწუხებენ მე. და აი, ყოველ დროს ვარ მე ბედნიერი.

მოვიპოვებ რა საუკეთესო გარემოებას წესის ღვაწლის აღსრულებისთვის. ვარ ბედნიერი, დავტოვებ ბოროტის ქმნას და ვანებებ თავს ცოდვის ქმნას, ვარ ბედნიერი, მიყდევ გზას დამსახურების მოპოვების, ვდგები განზე სიძულვილისგან და წყენისგან, ვკარგავ სიამაყეს და შურს, ეწედები ამქვეყნიური ქარების ქროლვის ხასიათს, ვიძირები რა სიმშვიდისადა გაწონასწორების მდგომარეობაში, გონებით როცა ვუმზერ მე გონებას, ყველა ამ შემთხვევისას ვარ ბედნიერი. იმედისა და შიშის გარეშე, მიუბმელ სხივოსნობის სივრცობრივობაში, განურჩეველი სიბრძნე კანონზომიერების არის თავად ბედნიერება, როცა ნებას რთავ გონების ექვს სახეს თავისუფლად მიმდინარეობდეს, რათა დაუბრუნდე მათ ჭეშმარიტ ბუნებას, ბედნიერებაა, ხუთი მბრწყინავი კარი გაცნობიერებისა. ყველა საქმე მე აღმავსებენ ბედნიერებით. გააჩერო გონი, წარმავალი და მომავალი, ბედნიერებაა, აი, რამდენი მაქვს მე ბედნიერება.

* * *

საკუთარ გონებაში საკუთარი თავის დამკვიდრების შემდგომ გაიგივება, შერწყმა მოძღვრის გონებასთან ჭეშმარიტად ბედნიერი რამ არი.

საკუთარი არსებობის გრძნობა, სინამდვილის არსია.

ამ დაუსაბამო, დაუბადებელი კანონზომიერების სახის გაცნობიერებით მიიღწევა შერწყმა არმოქმედების სამყაროსთან.

უპირატეს და ნაკლებ ღვაწლებს ანსხვავებს გარემოზე დამოკიდებულების ოდენობა. ბუნება გონის კი არის სინათლე და სივრცე, სიცარიელე.

სინათლე - სივრცის სწავლების გაცნობიერებით ხორციელდება საკუთარი თავის შერწყმა ძალდაუტანებლობის პირველსაწყის მდგომარეობასთან.

კარგი და ცუდი გამოცდილება სულერთია ასეთისათვის.

ძალდაუტანებელი გონის წყობით შეიგრძნობა სიხარული და ბედნიერება.

ექესი გრძნობა და გრძნობის ორგანო იფანტებიან არმოქმედების ყოფნაში.

იქ, სადაც განუყოფელია საკუთარი თავი და რაიმე საკუთარი თავისგან ცალკე.

იქ ერწყმიან ურთიერთს ბედნიერება და მწუხარება.

იქ არის შესვლა არ მოქმედების პირველყოფილ მდგომარეობაში.

სწორ და არასწორ მოქმედებებს სადაც არ არჩევენ.

ჭეშმარიტად ბედნიერია გონი არ მოქმედების მდგომარეობაში მყოფი.

თვით ზნეობრივი რჯულის სახე შეიცნობა ათასი მისი გამომხატველობით.

ათასი გამომხატველობა კი სხივოსანი სიცოცხლის არმომქმედი გონის სახეა.

ამ თვალსაზრისის ხსოვნით როგორ გარემოებასაც არ უნდა შეეჯახო, იქნები თავისუფალი, განთავისუფლების ბედნიერ სამყაროში მყოფი.

ცოცხალი სხივოსნობის სახლში დაბრუნების სურვილი ნიშნავს ძალისხმევას.

ჭეშმარიტად ბედნიერია ეს გონება ამ ძალისხმევის, არ მოქმედების.

* * *

მე მუხლს ვიდრეკ მოძღვრის წინაშე, გთხოვ მომცე მე გაგება ჩემი საკუთარი სხეულის, ვითარცა სახლისა ცოცხალი სინათლის. გთხოვ მომცე მე ეს სწავლება უეჭველი.

მე აღვაშენე ეს სახლი შიშისგან, შენობა სიცარიელის, საგანთა ცარიელი ბუნების.

ეხლა კი მე აღარ მეშინის, რომ დაირღვევა იგი.

მე ვარ მჭვრეტელი მფლობელი ჯადოსნური ქვის, სურვილთა აღმსრულებლის. სადაც არ უნდა ვიყო, ვიმყოფები სიხარულში და ბედნიერებაში.

მე ვძრწოდი სიცივის წინაშე და ვეძებდი შესამოსს. და ვპოვე სამოსი ცხოველისმყოფელი მხურვალების სახით სუნთქვის მეოხებით ქმნილის, და მე აღარ მაშფოთებს ყინვა. მე ვძრწოდი სიდუხჭირის წინაშე და ვეძებდი სიმდიდრეს, და ვპოვე სიმდიდრე შვიდი წმიდა საუნჯის სახით, და აღარ მაშინებს სიღარიბე.

მე მეშინოდა შიმშილის და ვეძებდი საკვებს, და ვპოვე საკვებად ჭვრეტა მსგავსების. და აღარ მაშინებს შიმშილის გრძნობა. მე მაშინებდა სიმარტოვე და ვეძიებდი მეგობარს, და მე ვპოვე მეგობრად უსასრულო გონიერი სიცარიელე-სივრცე და აღარ მეშინია მე სიმარტოვის. მე ვშიშობდი გზა არ ამრეოდა და ვიკვლევდი სწორ მიმართულებას, მაგრამ ვიპოვე მე გზა განიერი ორის ერთით გამთლიანების სახით, და ამის შემდეგ აღარ ვწუხვარ გზის არევაზე.

მე ვარ მოღვაწე მფლობელი ყველაფრის რაც კი რამ შეიძლება მოისურვო, ადამიანი ბედნიერი, სადაც კი არ უნდა ვიყო.

* * *

დამცველნი სამი წესი, თანადგომა, სივოსნობა.
არიან წინამძღვარნი უშეცდომო, უღალატო,
ამ წინამძღვრებით მავალი კაცი აღწევს
დონეს გონების ფლობის, მყოფი
დაუნაწევრობის სამყაროში
რომელშიც აღარაა არანაირი თვალსაზრისი
და თამაში სიტყვის.
დარჩენა საკუთარი თავის გაცნობიერების და
საკუთარი თავის გამოთავისუფლების სფეროში
ჭეშმარიტად სასიხარულოა და ბედნიერება.
დამკვიდრებული უკაცრიელ ველზე
დარწმუნებული და მცოდნე ცხოვრობს თავისებურად.
მჭექარე ხმით იგი გალობს ცნობიერების უძრაობის ჰანგს
და ათი მიმართულებით იფანტება წვიმა დიდების.
და მისით ყვავილობს ყვავილი და ფოთლები მოწყალების.
ცოცხალი სხივოსნობის ღვაწლი აღავსებს მთელს სამყაროს.
და სუფთა ნაყოფი გულის ცოცხალი სინათლის სრულყოფილდება ამით.

* * *

მე ვაცხადებ ჩემს პატივისცემას ჩემი მოძღვრისადმი
მე გთხოვ ღირს მყავ შენი კეთილისმყოფელი სულიერი ტალღების
გთხოვ, შემეწიე მე, რომ კეთილად შევძლო მზერის ჩაღრმავება საკუთარ თავში
თუმც თქვენ ხართ ძენი ახალი თაობის, ცხოვრობთ ქალაქებში, რომლებიც
არიან წალეკილები მაცდუნებელი მოქმედებით
კავშირი ზნეობის კანონთან მაინც არსებობს მათში.
ხოლო თქვენ თუკი გესმით სიტყვა ცოცხალი სინათლის,
მიდით მოძღვართან და აღარ დაიბნევით, გზა არ

აგერევათ.

გამუდმებით იმოღვაწეთ ქველმოქმედებაში, წესში, მოთმინებაში,

კეთილსინდისიერებაში და მზერის არგაქცევაში, და აღზრდით

მიდრეკილებას ზიარებისადმი.

თქვენში შემოვლენ კეთილისმყოფელნი კეთილი ნების ტალღები.

და ამით შესატყვისი და ჭეშმარიტი გაცნობიერება თანდათან მოიმატებს გონებაში.

მაგრამ ეს ყველაფერი მაინც მცირეა შეწევნისათვის, თუ არ მოიღვაწებთ

სრულყოფილ ოსტატობას ჭვრეტის, მზერის არ გაქცევის, შიგნით შებრუნების, ამიტომ მომისმინეთ

როცა თქვენ იქნებით განმარტოებაში, ფიქრს ნუ დაიწყებთ ამაობაზე

თორემ თქვენ გულში აღიმართება ბოროტი ვინმე.

შემოატრიალეთ თქვენი გონება შიგნით, და მოიპოვებთ თქვენ საკუთარ გზას.

როდესაც შემართებით და მოშურნეობით მცდელობთ მზერის შიგნით მიმართვას

იფიქრეთ ამ წუთისოფლის გაჭირვებებზე და სიკვდილის მოულოდნელობაზე.

უფრთხილდით ამქვეყნიური სიკეთეების მოხვეჭას,

გამბედაობა და მოთმინება იმატებენ ამით თქვენში.

როდესაც თქვენ ხართ მოღვაწეობის ღრმა არსობრივი მხარის მაძიებელნი.

ნუ იქნებით ჟინიანად მიდრეკილნი გამოძიებისა და დასწავლისადმი,

რადგან ამაო მოქმედება და სურვილები იმძლავრებენ თქვენში და ეს ცხოვრება გახდება გადასაგდები სანაგვეზე.

იყავით პატივისმცემელნი და მოკრძალებულნი და იპოვით გზას.

როდესაც თქვენთან მოდიან მზერის შეკავებისგან შობილნი შედეგები

ნუ გაამაყდებით და ნუ მოისურეებთ მოუთხროთ სხვებს ამის შესახებ.

ამით თქვენ შეაწუხებთ ზეციურ არსებებს.

მზერა მიმართეთ შიგნით გაუქცეველად,

და ჰპოვებთ თქვენს გზას.

როდესაც მიჰყვებით თქვენს მასწავლებელს

ნუ შეაფასებთ მის დადებითს თუ უარყოფითს

რამეთუ ჰპოვებთ შეცდომათა მთებს

მხოლოდ რწმენით და მოთმინებით

მოიპოვებთ თქვენს გზას.

როდესაც თქვენ თანამზრახველთა ხართ ძმობაში

ერთმორწმუნე ძმებთან და დებთან

ნუ მიელტვით იყოთ მთავარი, რომ არ გამოიწვიოთ

სიძულვილი და ვნებიანი სურვილი, რადგან ეს

არის დარღვევა წესის.

საკუთარ თავს შეახსენე ეს და გაუგეთ ერთმანეთს

ამით მოიპოვებთ თქვენს გზას.

როდესაც მოწყალების მისაღებად მიდიხართ ნუ

გამოიყენებთ სწავლებას სარგებლის მისაღებად.

ამით დაეშვებით ქვე მდგომარეობაში.

იყავით გულწრფელნი და პატიოსანნი.

ასევე გახსოვდეთ მუდამჟამ ყველგან ის, რომ

არასდროს არ იყოთ თავდაჯერებულნი ან მომწონი საკუთარი თავის,

რადგან თავდაიმედებულნი საკუთარ თავზე, შესაძლებლობაზე ზედმეტს აიღებთ

და გადაიტვირთებით თვალთმაქცობით.

თუკი უარყოფთ მოტყუებას და კუთვნილებას საკუთრებით ქონების

მაშინ მოიპოვებთ თქვენი გზის მიმართულებას.

ვინც გზა მონახა, შეუძლია სხვების დამოძღვრა

ამით შეეწევა სხვებსაც და საკუთარ თავსაც

მაშინ მის გულში რჩება მხოლოდ ერთი აზრი,

"გავსცე" აი, ეს ერთადერთი, სწორი ნიშანი, სწორი გზის.

* * *

ო, მოძღვარი, რომელმაც იცის უშეცდომო გზა განთავისუფლების,

მაცხოვარი სრულყოფილი, დიადი თანმგრძნობი, იგი გამუდმებით

თავს ადგას შეგირდს ვით სახურავი დამფარველი თოშის, თქეშის და ცხუნვის,

ისმინეთ ღვაწლის მიმდევრებო, ეი, მჭვრეტელნო, აქ მჯდომნო,

თუმც კი მრავალრიცხოვანნი არიან სწავლებანი ცოცხალი სინათლის

ის, ვინცშესძლებს განახორციელოს ეს ღვაწლი შინაგანი ჩაღრმავების გზის,

ჭეშმარიტად ნიჭიერია.

თუ ვინმეს სურს იქცეს ცოცხალ სინათლედ ერთ ცხოვრებაში, არ უნდა იხვეჭდეს ამქვეყნიურ ნივთებს და არ აღიზიანებდეს საკუთარ ნდომებს, სხვაგვარად გაიხლართება კეთილსა და ბოროტს შუა და აღმოჩნდება სამეფოში სიდუხჭირის.

როდესაც ემსახურები საკუთარ მოძღვარს თავი შეიკავე აზრისგან: "მე ვემსახურები, ის კი სარგებლობს". რადგან მაშინ განხეთქილებას ვერ აუვლი გვერდს. და არასოდეს აღარ შესრულდება შენი სურვილი.

როდესაც აღასრულებ რჯულის წესს შეაჩერე წარმოდგენა ბოროტების და უკეთურების.

რომ არ დასნეულდე ბოროტი ზეგავლენით, და წესის დარღვევის წინაშე არ დადგე

როდესაც მეცადინეობ გაცნობიერებაში ნუ მიებმები სიტყვებს თაემომწონედ,

რომ არ აღიგზნას ცეცხლი სიამაყის და შურის, რითაც განადგურდებიან სათნო ფიქრე[illegible] ქმედებები.

როდესაც მოღვაწეობ გონის თავმოყრაში, განრიდებულ ადგილზე, ნუ გამოედევნები ძალზედ ბევრს, სხვაგვარად შენი კეთილმოქმედება შეჩერდება და ურთიერთობა განქარდება.

როდესაც მოღვაწეობ სხეულებრიეობის გამოყენებით,
ანდა იდუმალი შინაგანი ხედვის მეშვეობით
დემონებს ნუ მბრძანებლობ და სულების განდეენას ნუ ეცდები შენგან.
რომ არ წამოიმართონ დემონები შენი გონების შიგნით.
და რომ არ აღინთოს მიწიერი მიზნებისკენ ლტოლვა.
როდესაც მოღივაწებ მიახლებას და განხორციელებას
ნუ წარმოაჩენ ნურც ძალებს და ნურც ნათელმხილველობას რომ იდუმალი სიტყვები და სიმბოლოები არ გაგისხლტნენ შორს.
და რომ მონაპოვარი და სულიერი წვდომა არ შეგისუსტდეს.
გახსოვდეს ეს ხაფანგები და განერიდე მათ,ნუ მოიმოქმედებ ბოროტს
ნუ იგემებ ცდუნების ნაყოფს, ნუ აიკიდებ მკვდარს.
ნუ წარმოსთქვამ მაამებლურ სიტყვას რომ ასიამოვნო სხვას.
იყავი მოკრძალებული და თავშეკავებული და იპოვი გზას.

* * *

მზერა მიმართული ცარიელადმბრწყინავ გონებაზე, ცხოვრებაა ბედნიერი,
სათნოა სხეული ცოდვილი მოქმედების გარეშე,
სათნოა ვნებათა და გრძნობათა მოკვდინება,
ბედნიერებაა არ განიცადო უძლურებადა ავადმყოფობა,
და ასევე ის, რომ სიხარული და ტანჯვა, რომ ერთია ამის განცდა,
ბედნიერებაა იმოძრაო სხეულით გონის თავმოყრის ჟამს,
ბედნიერია გონი ძლიერი და დარწმუნებული
ჩაძირული მეფურ ერთობლიობაში
უკიდურესი ნეტარებაა საყოველთაო ძალის თვითგამოვლენა.

* * *

თუ თქვენ გსურთ განახორციელოთ შემეცნება გონების არსის
თქვენ უნდა იმოღვაწეოთ შემდგომი მოქმედება:
რწმენა, ცოდნა და წესს დაქვემდებარება
ეს სამი, არიან გონების ხე სიცოცხლისა.
ეს არის ხე, რომელიც უნდა დარგოთ და მორწყათ.
მიუბმელობა, მიულტოლეელობა და თვალხილულობა (თვალის არ გაქცევა)
ეს სამი, ფარია გონისა.
გონების თავმოყრა, ბეჯითობა და შემართება
ესენი არიან რაშების გონის.
საკუთარი ცნობიერების გამცნობიერებელი, საკუთარი ცნობიერების სინათლის მხედველი და საკუთარიცნობიერების ნეტარების მხილველი, ეს სამი ნაყოფებია გონების შეჩერების.
დათესეთ და მოიმკეთ.

* * *

უშფოთველობა და მოძრაობა ერთიც სასიამოვნოა და მეორეც,
თუმც მოჩვენებაა ეს სხეული სახალისოა მოვლა მისი,
ძილზე გამარჯვებული, ჯდომა სიჩუმეში საამოა, ასევე გონების
შეკავება უძრავად თანმიმდევრულობაზე მაღლა, ნეტარების ჭაშნიკია.
სითბოს გამომწვევ გონის თავმოყრაში ყოფნა ჭეშმარიტად საამოა.
მოწყინებისა და შიშის გარეშე მოღვაწეობაა ამისთვის საჭირო.
ძალდატანების გარეშე ძალისხმევის სრულყოფაა საჭირო ღვაწლში
მზერის გაქცევის გარეშე განმარტოვებაში ყოფნა არის

ჭეშმარიტად ბედნიერება ყოფნის.

ბედნიერებაა გზა ყველაფრის ერთდროულად ხედვის და მზერის არ გაქცევის. ხედვის ორისა ერთში, გაცნობიერება არ მოსვლის და არ წასვლის.

ბედნიერებაა ლაყბობის უარყოფა, არც ამაო კავშირები და არც ლაპარაკი.

ბედნიერებაა გაგება არ მოჭიდების, და გონების მიმდინარეობა უწყვეტად ერთი მიმართულებით.

ბედნიერებაა სრულყოფილება იმედისა და შიშის გარეშე. ასევე მოქმედება უცოდინარობის გარეშე.

ბედნიერებაა გონების სხივოსნობა, ფიქრის და ცვალებადობის გარეშე, ასევე ნეტარებაა დამკვიდრება პირველსაწყის ერთობლიობაში გონების, ასევე ფორმათა სამყაროს გაუჩერებელი მდინარების ერთობლიობაში ხედვის.

დე მოძღვარმა მიშველოს სიცარიელის სინამდვილის გაცნობიერება სხივოსნობა, უფიქრობა და გაუტაცებლობა ჭვრეტის ჭაშნიკია.

ულტოლველობა, მიუბმელობა და სრული გულგრილობა ქმედების ჭაშნიკია.

იმედის უქონლობა, შიშის უქონლობა და არ შეცბუნება სრულყოფის ჭაშნიკია.

არ მცდელობა, არ დამალვა და არ დაჩაგვრა წესის ჭაშნიკია.

* * *

დემონები გამუდმებით მფრინავენი და მოგზაურნი ცაში, გამუდმებით დახარბებულნი საკვებს, არიან მშიერი მოჩვენებები ამოძრავებულნი და აღძრულნი მომწიფებული უკუგებით, შობილნი არიან ვით გამუდმებით მშიერნი სულნი.

ასევე ბოროტი ნამოქმედარის უკუგებით, სხვებისთვის ვნების მომტანნი, შემდგომშიც მოხვდებიან უკუნ სიბნელეში.

ვინც გააცნობიერა კანონი მიზეზის და შედეგის, ქმედების და უკუგების. ის იმოღვაწებს თავის დაძლევაში ბეჯითად

და შეურყევლად. ის დაინახავს ბუნებას გონის და გაცნობიერებს სხეულის არაფრობას. რომ ეს ყველაფერი არის მოჩვენება.

ამით გათავისუფლდება „ჩემის" მიზიდულობისგან, და მოიკვეთს ბორკილს: აღმქმელის და აღქმულის გაყოფას, რაც არის წუთისოფელი. იგი მიაღწევს სხივოსნობას გონის, უცვალებელ გამოხატულებას კანონზომიერების, იგი გახდება მჭვრეტელი, ადამიანურ გონებაზე ზემდგომი.

ასეთ გონს ვერ ხელჰყოფენ დემონები, გონების ამრევნი, ბოროტმომქმედნი და ბოროტ მზრახველნი, საკუთარი თავის დამღლელნი, მაგრამ მჭვრეტელისათვის უვნებელნი.

გონება წყაროა სიძულვილის, ზეციდან დაწყებული ჯოჯოხეთამდე, რომც შეიკრიბონ ყველა ძალები მოწინააღმდეგედ, მჭვრეტელის გონში უმნიშვნელო რხევას თუ გამოიწვევენ, რადგან შიში არაა ამდაგვარ გონებაში.

* * *

სითბოსა და სიცივის სულერთობა მსუბუქი სამოსია და ასევე სიხარბის დამძლევი.

თავმოყრა მზერის, ხმობაზე, გაიგივებაზე და გარდაქმნაზე, არიან დამძლევნი უსხეულობის.

გაერთიანება გონების და სუნთქვის, წარმართველია ყველა მიმართულების. საკუთარი სხეულის შეწირვა არის სწავლება პირადობის დაქვემდებარების.

ყოფნა განმარტოებით და ჩაღრმავება საკუთარ თაეში არის გზა განსხივოსნების.

* * *

მოძღვარი, ღმერთის სახეა იდუმალი, სხივოსნობა გონიერი ადამიანური სხეულით. მამა მოძღვარს თაყვანისცემა მის ფერხთა შეხებით.

ჭექა-ქუხილი, ელვა და ღრუბლები,

წარმოიშვებიან ციდან როგორც ეს მათ შვენით,

და ისევ გეშორდებიან და ქრებიან ისევე ცაში.

ცისარტყელა, ნისლი და მოღრუბლული დღე იშვებიან ჩვეულებრივ ცის კიდიდან და ასევე გეშორდებიან იმავე გზით.

თაფლი, ხილი და ჭირნახული აღმოცენდებიან მიწიდან და ისევ მიწაში ბრუნდებიან, ასევე ყვავილები, მცენარეები და ხეები.

ტალღები, მოქცევა და მიქცევა ზღვისა წარმოიშვებიან ჩვეულებრივ დიადი ოკიანიდან. ყველანი ისევ ქრებიან მასში და მასში ბრუნდებიან.

საერთო თვალსაზრისს აყოლილი აზროვნება, ლტოლვები და სურვილები წარმოიშვებიან ჩვეულებრივ ცნობიერების პირველსაყწის გარინდებულ მდგომარეობიდან. მასშივე ქრებიან და ბრუნდებიან.

საკუთარი თავის გაცნობიერება, საკუთარი სხივოსნობას მიახლება და საკუთარი თავის გამოთავისუფლება წარმოიშვებიან ჩვეულებრივ გონების არსობიდან, და ყველა ქრებიან და უჩინარდებიან ისევ გონებაში.

არ წარმოშობა, არ ჩაქრობა და არ გამომხატველობა წარმოიშვებიან ზნეობის კანონზომიერებიდან და კვლავ მას უბრუნდებიან.

გასაოცარი რამეები, ჩვენებები და დემონთა ხილვები, ყველა გონის თავმოყრიდან იშვებიან და კვლავ მასში ქრებიან.

თუკი ვინმე იქნება მიდრეკილი ხილვების სინამდვილედ აღიარებაში, თავგზა აებნევა ჭვრეტის მოღვაწეობაში.

ვინც არ იცის ის, რომ ყველა წინააღდგომანი წარმოაჩენენ გონის გამოვლენათა სიცარიელეს, მაშინ მოტყუვდება ჭვრეტისას.

თვით ყოველნაირი ფორიაქის ძირი ასევე წარმოიშვება გონიდან.

ის, ვინც აცნობიერებს გონების ამ ბუნებას, ხედავს დიად და დიდებულ სხივოსნობას ყოველგვარი მოსვლის და წასვლის გარეშე.

ვინც აკვირდება ყველა გარეგანი ფორმების ბუნებას, იგი აცნობიერებს იმას, რომ ისინი სხვა არაფერი არ არიან თუ

არა მოჩვენებითი სურათები გონების.

იგი ასევე ხედავს იგივეობას სიცარიელის და ფორმის.

და კიდევ უფრო მეტი, განხორციელება ჭვრეტის, არის მოჩვენებითი აზრი ისევე, როგორც არ ჭვრეტის აზრი ასევე არის მოჩვენებითი. სულერთია, ჭვრიტო თუ არჭვრიტო.

გარჩევა ორის, ანუ ჰო-სი და არა-სი, არის წყარო ყველა მცდარი თვალსაზრისის, უმაღლესი ხედვის წერტილიდან, არ არსებობს თვალსაზრისი, როგორც ასეთი. ეს არის ბუნება გონების.

განსჯითი დაკვირვება ბუნების კანონზომიერების, გამოიხატება შედარებით სივრცესთან, საჭიროა კი ჩაუკვირდე მნიშვნელობას აზრების მიღმა.

საჭიროა შესვლა მზერის გაუქცევლობის შეკავების სამყაროში.

უნდა იმოქმედო ბუნებრივად, უშუალოდ და მოუმზადებლად, წამიერად. გონებაში გამუდმებულად მნიშვნელობის, მიზნის, არსობის შეკავებით.

სიტყვათა ზღვარს იქით არის სრულყოფილება, იმედისაგან და შიშისგან თავისუფალი. სიტყვები უქმად არ უნდა იბნეოდნენ, მრავალი შეკითხვა, ცნობისწადილია, უბრალოდ მოეშვი და იჯექი თავისუფლად.

ვინც ამას განახორციელებს, იგემებს პურს დიადი ნეტარების და შესვამს ნექტარს უკვდავების.

* * *

ტრადიციას მიმთხვეული ღებულობს შეწევნის ტალღებს კეთილი ნების ძალიდან წამოსულის, ვინც გონებას თავსუყრის, მთელი შემართებით, ვინც ძალისხმევით მოღვაწეობს ჩაღრმავების მდგომარეობაში, მისთვის არ არსებობენ არანაირი ეშმაკები და არანაირი წინააღმდეგობები.

შინაგანი სამყაროს გაცნობიერებით, არხებისა და მამოძრავებელი ძალების აღქმით შესაძლებელია დიადი სასწაულების მოქმედებების მოპოვება.

მცირედი სწავლებების სადაზროვანი ჭეშმარიტებები შესაძლოა იყვნენ მოჩვენებითნი.

ჭეშმარიტად ძნელია დაიქვემდებარო ვნებები, დამსახურებული შესაძლებლობების გამო.

ვინმემ შეიძლება ილაპარაკოს მაღალფარდოვნად ღვაწლზე, მაგრამ ლაპარაკიდან მცირეა სარგებელი, როდესაც გეწვევა ტანჯვა და მწუხარება, ამგვარი მოძღვარი, ღვაწლისგან შორსმდგომი, თავს ვერ უშველის, და მხოლოდ სიძულვილს მოიღვაწებს.

* * *

ვინც საკუთარ თავს ჭვრეტს, უარყოფს წუთისოფელს.

ვინც საკუთარ თავს ჭვრეტს, არის ძე თავისი მასწავლებლის.

ვინც საკუთარ თავს ჭვრეტს, არის საცავი ძვირფასი ცოდნების.

არის გულახდილი და ერთგული.

ვინც საკუთარ თავს ჭვრეტს, იქვემდებარებს გონს და შეიგრძნობს არსს ყოფიერების.

ვინც საკუთარ თავს ჭვრეტს, ყველა არსებებისადმი დამოუკიდებელია ვით დედა.

ვინც საკუთარ თავს ჭვრეტს, იგი ურყევია და უშიშარი.

იგი აკავებს სულს ზეციური ცოცხალი სინათლის სულში.

იგი ოსტატია სხივოსნობისკენ მისწრაფებული გულის.

ვინც საკუთარ თავს ჭვრეტს, ყოველთვის არის გამტარი სიკეთის.

დიდი თანაგრძნობით საბოლოოდ ბღვარს უდებს ყოველგვარ ზრახვას უკეთურს.

ვინც საკუთარ თავს ჭვრეტს, იმყოფება გამოქვაბულში განრიდების და აღსრულებს გონის უძრაობას მზერის გაუქცევლად.

თუკი ვინმე ვერ პოულობს ბედნიერებას, თვითვეა ამაში დამნაშავე,

უფრთხილდით, საკუთარის დაცვისკენ სწრაფვა ბევრად

უფრო დიდია თქვენზე.

იცოდეთ, თავშეუკავებელი გრძნობათა გამოხატვა ბევრად უფრო ძლიერნი არიან თქვენზე.

გახსოვდეთ, ბოროტი ნება მოჩვენებაა, რომელიც ბევრად საზიზღარია თქვენზე.

შეიგნეთ, რომ მიღებული თვალსაზრისებით აზროვნება ბევრად უკეთ წარმოაჩენს თქვენი ხასიათის სისუსტეს თქვენზე.

თქვენი გაუთავებელი დინება ფიქრთა კი წარმომჩენია თქვენი დაუდგრომლობის,

მოჩვენებათა არსებულად აღიარება, მომტანია ფორიაქის და სხვა არაფრის.

გააზრება, მოჩვენების არა ნამდვილობისა არის გზა განსხივოსნების.

გაცნობიერება იმის, რომ მოჩვენება და არსი ერთი და იგივეა, არის გზა განთავისუფლების.

დარწმუნებულობა იმაში, რომ ყველა მოჩვენება წარმონაქმნია საკუთარი გონების, არის ჩამოყალიბება სწორი შეგნების.

ცოდნა იმისა, რომ თავად მოჩვენება არის საყოველთაო გონი, პატივია დიდი.

დემონურმა გონებამ, რომ იმოღვაწეოს სწორი ღვაწლით, უნდა ირწმუნოს აქ მოთხრობილი, ასევე უნდა დაიცვას წესი ზნეობის, უარი უნდა თქვას დიად თანხმიერებაში უთანხმოების შეტანაზე, არ შეეჯიბროს სხეულში, სიტყვაში და გონში მორწმუნეებს, რადგან ასეთი ჯიბრით ხვდება გონება უკიდეგანო უკუნში.

* * *

როდესაც მოწაფე უვარგისია, ანუ შინაგანი განწმენდისაკენ როცა არ არის მოწადინებული, მასწავლებელი კარგზე უკეთესიც რომ იყოს, ვინ იქნება შემწე მისი. ისინი, ვინც მხოლოდ ისმენენ ან კითხულობენ სწავლებას ღვთაებრივი გზის, ეჭიდებიან მხოლოდ სიტყვებს,

არ აქვთ გაგება ღვაწლის არსის, მაღალფარდოვანი და დამაჯერებელი შეიძლება იყოს მათი სიტყვა, მაგრამ სარგებელსა და ფასს მოკლებული, სიტყვათა დაწყობა და თანმიმდევრული მეტყველება არაა საშუალება დაბინძურებული გონის განწმენდის.

მიღებულ შეხედულებებზე დამოკიდებული აზროვნებით, ვნებებისაგან გამომდინარე მიკერძოებული განსჯით, შეუძლებელია დაცვა ზნეობრივი წესის და დაურღვეველობა აღთქმის. ეს კი აყალიბებს გონებას მიდრეკილს სხვებისთვის ზიანის მიყენების მზადყოფნით, უკუგების კანონისადმი უდიერი დამოკიდებულებით გონება ივსება ბოროტებით.

* * *

როდესაც საკუთარ თავზე დაკვირვების მიმდინარეობის გაცნობიერება აღინთება ვით ლამპარი და გაცნობიერების ყურადღება მთლიანად თავისუფალია, და ამჩნევ ამ ყურადღების თავისუფლებას, მიმართავ რა მზერას ზევით უკიდეგანო ცის სილურჯეში, მაშინ შეიგნებ ყოფიერების სრულფასოვან სრულყოფილ ბუნებას.

თვალნათლივი არსობრიობიდან არ გადმოგეცემა არც ფორიაქი და არც შიში.

როდესაც შეხედავ მზეს და მთვარეს, მაშინ იაზრებ მათ არა არსებითობას, მათ გამოსხივოსნებას გონება არსიდან.

და აღარა გაქვს თვლემისა და გაფანტულობის შიში.

როდესაც მზერ მთათა მწვერვალებს, გააცნობიერებ უცვლელობას გონების უძრავობის.

მიმდინარეობისა და ცვალებადობის აღარაა მაშინ შიში.

როდესაც მიმართავ მზერას ქვევით, მდინარის დინებაზე, მაშინ სრულყოფილად გაიაზრება ნივთიერების მოძრაობა საყოველთაო მარადიულ მოძრაობაში.

შემთხვევითობის მცდარი თვალსაზრისის მიმართ აღარ არის მაშინ ფორიაქი და შიში.

როდესაც შეხედავ სიცარიელეს, მაშინვე ფიქრს იწყებ არსებულის მოჩვენებითობაზე და ნათლად დაინახავ

იგივეობას ფორმის და სივრცის.

როგორც უარყოფითი, ისე დამოწმებითი თვალსაზრისების მცდარობის წინაშე აღარ იქნება მაშინ არანაირი შიში.

მთვარის ანარეკლის მსგავსად წყალში ცნობიერდება ლტოლვების არმქონე გონის თვითგამოვლენა და მაშინ აღარაა მე და არა მე-ს მსგავსი გამყოფი აზრის შიში.

როდესაც მზერას მიაპყრობ შიგნით თვითგამცნობიერებელ გონებისაკენ ნათლად დაინახავ შინაგანი ლამპარის სინათლეს, და უმეცრების სიბნელის წინაშე აღარ იქნება მაშინ შიში.

როდესაც მოგესმება მოჩვენებების ხმები, სრულყოფილად უნდა გააცნობიერო ბუნება საკუთარი თავის გაცნობიერების, წინააღმდეგობების და სიძნელეების წინაშე აღარ იქნება მაშინ შიში.

საჭიროა არ მოტყუვდე, ჭეშმარიტად კი გესმის ბუნება გონის? თუ კი აკეთებ ბოროტ და საძრახის საქმეს, თუკი ხარ უვიცი ზნეობის რჯულში და დაუდევარი ხარ, ზნეობის მიმართ.

ამიტომ, ყურადღებით იყო უნდა, წუთისოფელში ტანჯვების და უარყოფითის მიმართ, უარყო უპირობოდ საქმენი ბოროტნი, რომ მოიპოვო აღმოცენება სხივოსანი გონების.

* * *

უღრანი ტყის სიხშირეში მთის ვეფხვი ხარობს კეთილდღეობით.

მხეცებს შორის რჩეული, სიამაყით, ხარობს ძალმოსილებით.

როცა ვიწრო ბილიკზე მიდის მისგან იფრქვევა სიამაყე და თვდაჯერება.

და რომ არ თავმომწონებდეს თავისი მოჩვენებითი ზოლიანი სხეულით

ხაფანგი მონადირის მას ვერ მოიხელთებდა მოუმზადებლად.

უკიდეგანო ზღვის სილურჯეში მუცელთეთრა თევზი ხარობს კეთილდღეობით.

იგი ამ სტიქიის მოლაღეა და აქეს კადნიერი თავმომწონება ამის.

თავისი გემოთმოყვარეობით იგი უთვალთვალებს გემრიელ ლუკმას.

და რომ იგი არ იყენებდეს სხეულს ამისთვის, რომელიც არის მოჩვენება მხოლოდ და მხოლოდ, რას დააკლებდა მას ბადე მებადურის.

მაღალი მთის წვერზე ბუდობს არწივი გოროზი, ფრინველთა მეფე, ნეტარი კეთილდღეობით, იგი ამაყია თავისი მეუფებით, როდესაც ეძიებს სისხლს და ხორცს საკვებად. იგი ტრიალებს მთების მწვერვალებს ზევით და რომ თავდავიწყებით არ აცხრებოდეს თავის ნადავლს, დაგებული მახე-ბადე როგორ გახლართავდა უცებ.

როდესაც მთის გამოქვაბულში, უპოვარი მოღვაწე ძღვენს უძღვნის კეთილმოქმედებას, როცა თვლის, რომ იქმს სიკეთეს, როგორც თავისთვის ისე სხვათათვის, აყვავილებული სრულყოფილი გულში სხივოსნობით ყურადღებით საკუთარ შინაგანში ჩაღრმავებით, იმის მცდელობით, რომ ამ ცხოვრებაში იქცეს განსხივოსნებული და შეეწიოს მოწყალებით ყველა სულდგმულს, ამ თვითჩაღრმავებაში თავდავიწყებით, ძლიერი ძალა ჩამოყალიბებული თვალსაზრისების აღსდგენ და აღაგზნეს თვითშეგნება, რომელიც იწვევს განყოფას მოჩვენებითს,

და რომ გონებაში ფიქრი დამჩაგვრელი "მტერი" არ წარმოშობილიყო, ვერანაირი დემონი ვერ მიაყენებდა ვერანაირ ზიანს ასეთ გონს. ამიტომ საჭიროა ცოდნა იმის, რომ ერთადერთი, საკუთარი გონიდან გამომდინარეობს ბოროტება ჩამოყალიბებული თვალსაზრისის.

რა სარგებელია მისდიო რჩევებს, თუ არაა გაცნობიერება გონების სინამდვილის.

ის, ვინც ვერ გებულობს სიცარიელეს გონების, ერასდროს ვერ განდგება ზეგავლენიდან ბოროტის.

თუ ვინმემ იცის გონება თავისთავადი როგორც ასეთი,

ყველა ზღუდე და სიძნელე იქცევიან შემწე საშუალებებად.
მაშინ ყველა დემონი იქცევა თანაშემწე თანამშრომელად.

* * *

მისდევდე ბოროტ ქმედებას არის დანაშაული მძიმე.

უნდა დაფიქრდე უკეთურებაზე.

მართვას უნდა დაუქვემდებარდეს ყველა ზრახვა მომტანი ვნების და უზნეობა გულის.

და თუ არ გაცნობიერდა ის, რომ ყველა საგანი არის გონებიდან, ბოლო არ ექნება მოჩვენებით, უმართავ, მცდარ თვალსაზრისებს.

და თუ არ გაცნობიერდა ის, რომ გონების არსი არის სიცარიელე, როგორ იქნება შესაძლებელი განდევნა უკეთური სულის განწყობის.

* * *

თუკი ვინმე ძალზედ დიდხანს იმყოფება მეგობრებთან,

მაშინ ყველა იღლება მისით.

ცხოვრება სიახლოვეში იწვევს სიძულვილს და დაწუნებას

ადამიანურია, ელოდო და მოითხოვო ზომაზე მეტი.

მტრობა კაცის ბუნებაში იწვევს დარღვევას წესის და რიგის,

ცუდი საკრებულო კი შლის ყველა კეთილ საქმეს.

სიტყვას პირდაპირს მოაქვს ბოროტება როცა ითქმება ბრბოში,

კამათი თუ ვინ არის სწორი და ვინ მტყუანი მხოლოდ ამრავლებს მტრობას.

მიდრეკილება სექტანტური ფანატიზმისკენ და დოგმისკენ, ბოროტგამზრახველად და კიდევ უფრო ცოდვილად კაცს აქცევს.

ერთგულთა მიერ მორთმეული ძღვენის ყურადღება ყოველთვის იწვევს ეჭვიან აზრებს.

ძღვენი მორთმეული ერის კაცთაგან ყოველთვის არის

უღირსი და მდაბალი, მრუდე.

ლიქნი და მაამებლობა თავისთავად იწვევს დაწუნებას, დაწუნებიდან იშვის სიძულვილი და ზიზღი.

რაც უფრო მეტი ქონების მფლობელი ხარ, მით უფრო მეტად იტანჯები სიკვდილის ჟამს, რომელიც თითქმის გაუსაძლისია.

* * *

უგუნურებაა ცოდავდე და არ ფიქრობდე (ცოდავდე დაუფიქრებლობით).

იმ დროს, როდესაც ღვთაებრივი წმინდა ყურადღება განიფინება ჩვენ ზედ.

უგუნურებაა გაატარო ცხოვრება უაზროდ იმ დროს, როდესაც საოცარი საჩუქარი ადამიანური სხეული გაქვს ნაბოძევი.

სასაცილოა ცხოვრება სატუსაღოს მსგავს ქალაქებში და ამ სივიწროვის ატანა.

დასაცინია ჩხუბი და დავიდარაბა ცოლებთან და სანათესაოსთან, რადგან სტუმრები არიან ისინი მხოლოდ თქვენი.

უაზრობაა ფანტავდე დიდებულ და ფაქიზ სიტყვებს, რომლებიც სხვა არაფერია თუ არა ექოთა სიცარიელე ძილში დასიზმრებული.

უგუნურებაა უგულველყოფა სიცოცხლის, მტრებთან ბრძოლისას, რომლებიც არიან ვით ბალახები გამხმარნი ველში.

უგუნურებაა იტანჯო ფიქრებით ოჯახზე. რომელიც გაბამს მოჩვენებითობის სამყაროზე.

სიჩლუნგეა ბრწოლა ქონებასა და მაყუთზე, რომლებიც არიან მხოლოდ ვალები სხვებისთვის ბოძებულნი.

სასაცილოა მორთვა სხეულის და განაზება, რომელიც არის მხოლოდ ჭურჭელი სავსე სიბინძურით.

უჭკუობაა დაძაბვა გრძნობის, სიმდიდრისა და ნივთებისათვის და უგულველყოფა შინაგანი სწავლების

სიტკბოების.

უგუნურთა შორის გამრჩევი და ბრძენი უნდა მისდევდეს გზას საკუთარი თავის შემეცნების.

* * *

თუკი არსებობენ ზღუდენი
მას არ შეიძლება ვუწოდოთ სივრცე,
თუკი არსებობენ რიცხვები
ამას არ შეიძლება ვუწოდოთ უთვლელი ვარსკვლავეთის
არ შეიძლება ითქვას "ეს მთაა"
თუკი ის იძვრის და ირყევა.
ეს არ შეიძლება იყოს უკიდეგანობა ოკიანის
თუკი იგი იზრდება ანდა იკუმშება,
არ შეიძლება იმას ვუწოდოთ მოცურავე
ვისაც სჭირდება ხიდი
ის აღარაა უკვე ცისარტყელა
თუკი შევიძლებთ მის ხელის ხლებას.
საზღვრები განსაზღვრულისა
ზღუდავს გააზრებას.
თელემა და გაფანტულობა
არაა თვითჩაღრმავება.
მიღება და უგულველყოფა
არაა ნების გამოხატულება
განუწყვეტელი დინება ფიქრის
არაა დაქვემდებარება გონის.
თუკი არსებობენ აღმოსავლეთი და დასავლეთი
ეს არაა უკვე სიბრძნე
თუკი არის სიკვდილი და დაბადება
ეს აღარაა განსხივოსნება.
უკუნეთის მაცხოვრებლები დათრგუნულნი არიან მძულვარებით,
მშიერი სულები - სიღარიბით.
მხ-ეცები - სიბრმავით
ადამიანები შეზღუდულნი არიან ვნებით

ბოროტი სულები კი შურით.
მანათობელნი სულნი კი სიამაყით.
დასაბამი ბუნებრივი სიბრძნე
არის დასაწყისი ადგილი შინაგანი სიღრმის
არ არსებობს გარეგანი ან შინაგანი გაცნობიერების სფეროში
არ არის ნათელი ან ბნელი უშუალო წვდომის სამეფოში
ყველგანმყოფი და ყოვლისმომცველი, არის სამყარო კანონზომიერების
არ არის მუტაცია და მოდულაცია შესაქმეს სფეროში
არ არის წვეტითობა გამოცდილების სფეროში.
ნეტარება აღიმართება, როცა ამოქმედდება სიცოცხლისმომცემი სითბო
როდესაც სუნთქვის მდინარება ორი გვერდითი არხიდან შეედინება ცენტრალურ არხში
როდესაც გონი სხიეოსანი გარდამოედინება ზეგარდმო
როდესაც ხდება განწმენდა ქვევით
როდესაც თეთრი და წითელი ერთდებიან შუაგულში
და აღგიტაცებს სიხარული სხეულის მთლიანობის გრძნობის
ეს არის ექვსი ნეტარება გონის თავმოყრის გამოცდილების.
პირველი ექვსი არის გარეგნული ქარაგმად თქმული,
მეორე ექვსი კი შინაგანი შეცდომები.
მესამე ექვსი, ხელის შემშლელნი განთაეისუფლების,
მეოთხე ექვსი ურყევი სამეფონი არსის.

* * *

თავგამოდებითი ერთგულებით გრძნობის ორგანოებს აკლდებათ კვება
სათნო მიღწევები გროვდებიან ამით.
უშუალო გონი არაა მქონებელი პირველმასალის
ეს არის არაფერი, უმცირესი უმცირეს ნაწილაკზედაც.
როდესაც მხედველი და დასანახი აღარ ირჩევა, მიმართვა
მზერის გაგებულია სწორად.

რაც შეეხება მოქმედებას, საქმეს, სინათლის მდინარებაში ვერ პოვებ საფეხურებს.

მუდმივობა მოქმედებაში ურყეეია, როდესაც აღარ ირჩევა მოქმედება და მომქმედი.

სინათლის სამეფოში, სადაც პიროვნება და საგნობრიობა ერთია, ჯერ დაინახავ მიზეზს, რამეთუ ყველაფერი არაფერია და ცარიელი.

როცა გაქრებიან მოქმედება და მოქმედი, ყველა მოქმედება სწორია - მაშინ

საბოლოო ზრახვები განითქვიფებიან კანონზომიერების სივრცეში.

წუთისოფლის რვა ქარის ქროლვას არ მოაქვს არც იმედი და არც შიში.

როდესაც ქრებიან წესდებები, წესი იცვება საუკეთესო სახით.

იმის ცოდნით, რომ საკუთარი გონი არის სხეულებრივი სახე კანონზომიერების

სხივოსნობის სხეული სრულყოფილი.

გულწრფელი გულმოწყალებისაკენ მოშურნეობით

ქრებიან საქმე და მკეთებელი.

ამით იდიდება დიდებული ღვაწლი.

ყველაფერი ეძლევა ძალისხმევის გარეშე ამდაგვარად მომქმედს,

ვინც მისდევს გზას სინათლის შემეცნების.

არაა საჭირო ხვნა მიწის, თუკი არაა მოთხოვნილება საკვების,

სავსეა ყველაფერი მოღვაწისათვის.

საკუთარ გონებაზე დაკვირვებით ყველა საგანი ხდება დასანახი.

არა მაღალ დასაჯდომელზე ჯდომით მიიღწევა სიმაღლე სამეფო ტახტის.

სრულყოფილება კი მიიღწევა მოძღვრის კურთხევით

გულუხვობა ფასდება რჯულის კანონში ღვაწლით.

* * *

ბოროტი, ანგარებიანი ნამოქმედარის შედეგად იქმნება დაბურული სიბრმავე და გაუვალი გამრუდება, რაც ხელს უშლის იმ არსის გააზრებას, თუ რა არის აზრი საბოლოო ჭეშმარიტების.

ჭეშმარიტება არის ის, რომელსაც ყოველთვის აღიარებდნენ კეთილგონიერი ძველი მოძღვრები, ჭეშმარიტებას უკუგების კანონის შეგვახსენებდნენ, რომ ყოველი მგრძნობელი არსება არის ნათესავი ვინმესი, ეს ჭეშმარიტებაა მარადიული და უჭკნობი, ამიტომ საჭიროა სმენა გულმოწყალების სწავლების.

* * *

გარეგანი ხელისშემშლელი ზღუდენი მხოლოდ თეატრია ჩრდილების, ხოლო ეს სამყარო გასაოცარი, მაგიური თამაში დაუბადებელი გონების, გონების შიგნით ყურებით ხედავ, რომ გონება, ბუნებაა უნივთო. სიცარიელის ნიშან-თვისებით.

განმარტოებაში საკუთარ თავში ჩაღრმავების ღვაწლით, მოძღვართა კეთილგანწყობით და თანამიმდევრობის დაცვით მოიპოვება შინაგანი ჭეშმარიტება განსხივოსნების. შინაგანში ჭეშმარიტი სხივოსნობა, უნდა იყოს მიზანი საკუთარ თავში შებრუნების და ჩაღრმავების ღვაწლის. მზერის შეტრიალების და მზერის ჩაღრმავების მოღვაწეობით, ძალა სიცოცხლისა აღინთება და შინაგანი გონი შინაგანი სამყაროსი მოიპოვება

მოჩვენებითი ზღუდეების შიში გარეგან სამყაროში ქრება მაშინ, როდესაც საკუთარ გონებაში ვინმე ფიქრობს გონების პირველსაწყის მდგომარეობაზე.

მოჩვენებით ზრახვები ქრებიან თავისთავად საყოველთაო კანონზომიერებაში. მაშინ აღარც ნაწყენი და აღარც წყენის მომტანი აღარ არის.

წმინდა წერილთა ამომწურავი გააზრება არ იძლევა ამაზე მეტს.

* * *

რა წარმტაციც არ უნდა იყვნენ სწავლების სიტყვები
ეს მხოლოდ ყურის დამატკბობელია, თუკი არაა
მოჭიდება ჭეშმარიტების მნიშვნელობაზე გონების.
თუკი ქარაგმა არ შეესატყვისება სწავლებას გონის სხივოსნობის
რა კარგი ჟღერადობაც არ უნდა ქონდეს, არის მხოლოდ გამოძახილი ექოსნაირი
თუკი ვინმე არ მოღვაწეობს თვითჩაღრმავებაში, როგორც არ უნდა
თვლიდეს თავს მცოდნედ, თავის მოტყუება იქნება მხოლოდ.
განმარტოებაში ცხოვრება სატუსაღოა საკუთარი ნებით, თუკი არაა
მიმდევრობა თვითგაცნობიერების.
მორჩილება კი საკუთარი თავის დასჯა, თუკი მორჩილი უდიერია სწავლებისადმი გონის სხივოსნობის.
ვინც უდიერად ეპყრობა საკუთარი ზნეობის ხარისხს
ლოცვები მისთვის სასურველის სინამდვილედ მიჩნევა იქნება მხოლოდ.
ის, ვინც ქადაგებს იმას, რასაც არ იქმს, მქადაგებლობა მზაკვრობა იქნება მხოლოდ.
არასწორ მოქმედებებისაგან თავის შენახვა, ცოდვათა შემცირებას ნიშნავს თავისთავად.
კეთილ საქმეთა აღსრულება კი დამსახურების მოპოვებას
დარჩი განმარტოვებაში და განმარტოვებით იღვაწე
ჩაღრმავებაში საკუთარ თავში.
ბევრი ლაპარაკი - ამაო საქმეა
მისდიე აქ თქმულს და იმოღვაწევე გონის თავმოყრაში.
, დარჩი განმარტოებაში და ჭვრიტე სიცარიელე გონის.
რომ გულის სიღრმიდან გაიფურჩქნოს ყვავილი გონების - განსხივოსნება არსის.
გაძარცვული და განთავისუფლებული ყოველნაირი ფიქრისგან,

იცოდე, რომ არ არსებობს ისეთი რამე, რასაც ეძახიან გონს.

მაშინ ისადგურებს უშიშრობა და ხდება შერწყმა სინათლესთან

და ცნობიერება დიადი სინათლის სამეფოში იძირება.

მაშინ იხილვება ცარიელი ბუნება აღქმის ექვსი საშუალების.

თუკი ქმედების და უკუგების კანონი მოქმედებს და

პიროვნება მოქმედებას აღასრულებს ამ დროს, იგი ღებულობს

დამსახურების და მიხედვით თავისს. და ძალა

მომწიფებული უკუგების, მას საგანჯეელში და მწუხარებაში იპყრობს.

ყველაზე კარგი პატივისცემა მოძღვრის, არის ღეაწლი გონებაში გონების თვითჩაღრმავების.

ცხოვრება განმარტოებით გამოქვაბულში, არის სათნო მსახურება უფლის.

თავი მიუძღვენა თვითშემეცნების კანონს არის საუკეთესო მსახურება ღმერთის.

მთელი ცხოვრება მიუძღვნა შიგნით შებრუნებას, არის საუკეთესო დახმარება ცოცხალი არსებების.

გიყვარდეს სიკვდილი და ავადმყოფობა - არის სიკეთე ცოდვათაგან განმწმენდი.

თავშეკავება არმისაღები საკეებისგან არის მომცემი წვდომის და განსხივოსნების.

* * *

თუკი ვინმე მიაღწევს მზერის უძრაობას
დახშავს კარებს გარდაცვლილ წინაპართა სამყოფელის.
თუკი ვინმე მიაღწევს ყინვისადმი გულგრილობას
თვითჩაღრმავებისას მხურეალების აღძვრით
დახშავს კარებს ჯოჯოხეთის ცეცხლის და ყინულეთის
ხოლო ვინც კი იგემებს ჭვრეტის გემოს ის აღარასოდეს
დაიბადება ქვენა სამყაროს სამ სამეფოში.

ვინც კავშირშია განსხვოსნებულ მოძღვართან
ის აღარ იშვის მდაბალ სამყაროში, თანდათანობით
მიაღწევს მიზანს, მავალი გზაზე განსხივოსნებული გონის
იმას, ვისაც ესმა ერთხელ მაინც სახელი მოძღერის და ამით
მოიპოვა რწმენა, შვიდი ცხოვრების განმაველობაში ემახსოვრება
საკუთარი სახელები და მდგომარეობები.

* * *

მოისმინეთ ერთგულნო რწმენის,
ყოველგანგანმვრცობი კანონზომიერების სხეულზე,
მისი ჭეშმარიტი ბუნება სიცარიელეა.
არავის ძალუძს თქმა: მე მას დავეუფლეო ან მე იგი დავკარგეო.
როდესაც სივრცე შთანთქავს სხეულს მიწიერს,
რჩება მისგან მაინც ნიშანი კვერცხის მაგვარი ფორმის
ის იქცევა სამიზნედ, გამომსხივებელი სხივოსნობის
მის საზღვრებში ყველას ძალუძს ღვაწლი და მოპოვება სათნოებების.
ხოლო ეს სამიზნე ზეგარდმო სამყაროში ყოველთვის მყოფობს
დაცული ზეციური არსებებით, ღვთაებები და ზეცის მცხოვრებნი
მას მიაგებენ პატივს, მიწაზე დარჩენით კი იგი ქრება თანდათანობით.
ამ სამიზნის მეოხებით ხდება მიღწევა კანონზომიერების სხეულის აღქმის.
ხოლო, ვინც ამის აღქმისკენ იღწვის უნდა ახსოვდეს შემცდენელი მსგავსებები.
მათი დავიწყება არ შეიძლება, ხსოვნა გამუდმებით უნდა იყოს გულში.
რომ წარმატებული იყოთ მართებულ გზაზე და აიცილოთ ხიფათი უკეთური გზის.

სრულყოფილი მოძღვარი და იღბლიანი, მოხერხებული კაცი შეიძლება მსგავსი მოგეჩვენოს, ამიტომ იყაეი ფრთხილად არ შეგეშალოს.

სიცარიელის ჭეშმარიტი შეცნობა და მოჩვენებითი ხილვები გონების, შეიძლება მსგავსი მოგეეჩვენოს, ამიტომ იყავი ფრთხილად არ შეგეშალოს.

თვითჩაღრმაევების შედეგად შეცნობა წმინდა, შეუბღალავი მდგომარეობის და ჩაძირვა უშფოთველ მდგომარეობაში ტრანსის, შეიძლება მსგავსი მოგეჩვენოს, ამიტომ იყაეი ფრთხილად არ შეგეშალოს.

ღრმა შინაგანი ხედვა და თავდაჯერებული დარწმუნებულობა, რომ "ეს სწორია", "ეს არასწორი" შეიძლება მსგავსი მოგეჩვენოს, ამიტომ იყავი ფრთხილად არ შეგეშალოს.

თვალნათლივი წვდომა უძრავი გონებისა და კეთილშობილი ლტოლვა სხვების თანადგომისა შეიძლება მოგეჩვენოს მსგავსი, ამიტომ იყავი ფრთხილად არ შეგეშალოს.

მიღწევები სულის სამყაროში, როგორც შედეგი მიზეზთა მომწიფების და დროებითი დამსახურება, მომტანი მიწიერი კეთილდღეობის შეიძლება მსგავსი მოგეჩვენოს, ამიტომ იყავი ფრთხილად არ შეგეშალოს.

სულიერი შეწევნა და წინასწარმეტყველური დარიგება ბოძებული ღვთაებრივ დამცველთა მიერ, და ცდუნებანი ბოროტ სულთაგან და მოჩვენებებისაგან შეიძლება მსგავსი მოგეჩვენოს, ამიტომ იყავ ფრთხილად არ შეგეშალოს.

კეთილი დამოძღვრება ანგელოზთაგან და ცდუნება და ხელისშეშლა მოწინააღმდეგე სულისგან შეიძლება მსგავსი მოგეჩვენოს, ამიტომ იყავი ფრთხილად და არ შეგეშალოს.

განზომილება საყოველთაო კანონზომიერების სხეულის, სრულყოფილი და განზომილება ზეციური სიწმინდეების ნივთიერების ნიშნით, შეიძლება მსგავსი მოგეჩვენოს, ამიტომ იყავი ფრთხილად არ შეგეშალოს.

განხორციელებული ყვავილი გამქრალი გონების სხეულის და ციური ყვავილი გრძნობადი სამოთხის შეიძლება მსგავსი

მოგეჩვენოს, ამიტომ იყავი ფრთხილად არ შეგეშალოს.

ბრწყინვალება შექმნილი საოცარი სახით ანგელოსთა მიერ და ბრწყინვა, რომელსაც გიჩვენებენ დემონები შეიძლება მსგავსი მოგეჩვენოს, ამიტომ იყავი ფხიზლად არ შეგეშალოს.

სხივოსანი ცისკროვანება მომასწავებელი მოვლენათა სამყაროსი და ცისარტყელა გამოწვეული ბუნებრივი მიზეზებით შეიძლება მოგეჩვენოს მსგავსი, ამიტომ იყავი ფრთხილად რომ არ შეგეშალოს.

რწმენა როგორც შედეგი ნამოღვაწარის დაგროვებიდან და წარსული კავშირებიდან მიღებული და რწმენა, გაღვიძებული ხელოვნური ხერხით, შეიძლება მსგავსი მოგეჩვენოს, ამიტომ იყავი ფრთხილად რომ არ შეგეშალოს.

ჭეშმარიტი რწმენა შობილი გულიდან და რწმენა ვალდებული დაფუძნებული სირცხვილსა და ვალზე შეიძლება მსგავსი მოგეჩვენოს, ამიტომ იყავი ფრთხილად, არ შეგეშალოს.

გულწრფელი წადილი ღვთისშემეცნების და მაჩვენებლური აღტკინება, მხოლოდ ერთი მიზნით, რომ აამო მოძღვარს შეიძლება მსგავსი მოგეჩვენოს, ამიტომ იყავი ფრთხილად არ შეგეშალოს.

მიღწევა ჭეშმარიტი განხორციელების და წარმატება ხოტბაშესხმული, მაგრამ მცირე მნიშვნელოვანი, შეიძლება მსგავსი მოგეჩვენოს, ამიტომ იყავი ფრთხილად არ შეგეშალოს.

* * *

თუ თქვენ შეგიძლიათ იცხოვროთ განმარტოვებით

ანგელოზები და წმინდანები შეგროვდებიან თქვენს ირგვლივ.

თუ თქვენ გულწრფელად ხართ თქვენ რელიგიურ მოღვაწეობაში

ეს იქნება საწინდარი მიღწევებისა გონის თავმოყრაში.

თუკი თქვენ წუთისოფლის მონაპოვრებისკენ არ ხართ სწრაფული

თქვენი ცოდეები იქნებიან აღმოფხვრილნი.

თუ თქვენ ცხოვრობთ არა საკუთარი თავისთვის და არ აგროვებთ სიმდიდრეს

ბოროტი სულები და სული წინააღმდეგობის არ მოგეახლებიან თქვენ.

თუკი რწმენაში და ადამიანთა დახარისხებაში განსხვავებები არ არსებობენ თქვენთვის

ეს ნიშნავს, რომ სწორად არის გააზრებული თვალსაზრისი და მიზანი.

თუ თქვენ შესძლებთ გააცნობიეროთ საზღვრულობა და უსაზღვრობა როგორც სიცარიელე, არაფერი.

ეს ნიშნავს, რომ თქვენი თვითჩაღრმავება არის სწორად წარმართული.

თუკი ხართ მფლობელი მოზღვავებული ძალის და შემართების,

ეს ნიშნავს, რომ თქვენი მოქმედება სწორად არის მიმართული.

თუკი მოძღვრისგან თქვენ ღებულობთ წინასწარმეტყველურ წინასწარმეტყველობებს

ეს ნიშნავს, რომ თქვენი ერთგულება სწორადაა მიმართული.

თუ თქვენ ძალგიძთ დაეხმაროთ ყველა ცოცხალს

ეს ნიშნავს, რომ შედეგი სწორია თქვენი ძალისხმევის.

თუკი მოძღვარი და შეგირდი გულით არიან ერთნი

ეს ნიშნავს, რომ მათი ურთიერთობა არის სწორი.

თუკი წყალობას ანგელოზთაგან და კეთილ ნიშნებს თქვენ ღებულობთ თქვენს გონებაში

ეს ნიშნავს, რომ თქვენი აზრები არიან სწორი.

ერთგულება ერთმანეთის, გამოცდილება და კმაყოფილება

დე ესენი იყვნენ თქვენთვის სანუკვარი საგანძური.

მოძღვარი არის კანონზომიერების გამოხატულება
კეთილი ზრახვები გაწონასწორებული გრძნობის გამოხატულება
ზემოქმედება კეთილი გამქრალი გონის გამოხატულება.
ის, რასაც გააჩნია ბუნება არაშექმნილის, არა შობილის,
სიცარიელის, არაფრობის, არა აქვს დასაბამი და არასდროს არ დასრულდება.
თვით შობას და კვდომას აქვთ ბუნება არაფრობის.
ასეთია ჭეშმარიტი სინამდვილე ჭეშმარიტების.

* * *

საზღვრულობის უკიდეგანო ოკეანეში, სამ სამყაროში,
ფიზიკური სხეული, ტანი, არის ყველაზე დიდი მტერი.
საკვებისა და ჩასაცმელის მოპოვებით არის დაკავებულ
წუთისოფლის საზრუნავს განუწყვეტლივ მიჯაჭვული.
ამიტომ შეეშვი ყველა საზრუნავს ამა სოფლის.
ამ ფიზიკურ ფორმათა სამყაროში
ამასოფლით დაკავებული გონი არის დიადი მტერი.
იგი ემსახურება სხეულს შექმნილს სისხლით და ხორცით და
მოუცლელია იგი ჭეშმარიტების ბუნების გაცნობიერებისთვის.
ამიტომ შეიცანი ჭეშმარიტი ბუნება გონის.
ნივთიერებისა და გონების შორის ზღვარზე თვითშობილ ან შექმნილი ცოდნა არის დიდი მტერი.
იგი ყოველთვის ფხიზლობს, უბედურება რაიმე, რომ არ მოხდეს.
მოუცლელია იგი გააცნობიეროს ჭეშმარიტი ბუნებ დაუბადებელი სინამდვილის ცოდნის. მოთაესდი საიმედო სიმაგრეში დაუბადებელისა და შეუქმნელისაში.
ცნობიერება თვითშობილი, მტერია ძალზედ დიდი

იგი ეძებს ფორმას, რომელიც წაერთვა და
მოუცლელია ჭეშმარიტების გააზრებისთვის.
ამიტომ შეიცანი ბუნება მარადიული სინამდვილის
ექვსი სამყაროს მოჩვენებით საუფლოში, ცოდეები და გაურკვევლობანი
შობილნი ცუდი ნამოქმედარის უკუგებით, არის მთავარი ზღუდე
აქ მოკვდავზე ბატონობს სიამოვნება და შეწუხება და მისთვის არაა მოცლა
რომ დაინახოს მთლიანობა ერთიანობის განუყოფლობის.
ამიტომ სიამოვნებას და უსიამოვნებას განუდექ განზე.
ერთ-ერთ უხილავ ზეციურ ქალაქში სრულყოფილი ცნობიერება
დახელოვნებული ფაქიზ გონებაჭვრეტით ანალიზში, ხსნის რთულ და
ღრმა წარმავალ ჭეშმარიტებებს, და ამიტომ მის მსმენელთ არა აქვთ
მოცლა გააზრებისთვის მარადიული სინამდვილის, განუდექი ფაქიზ გონებაჭვრეტით განსჯას.
მოძღვარი, ანგელოზები და წმინდანები, გააერთიანეთ ისინი ერთ სიტყვაში და ეთაყვანეთ მას.
მიზანი, თვითჩაღრმავება და მოქმედება, დააერთიანეთ ისინი ერთ სიტყვაში და მიაღწიეთ უშუალო ცოდნას.
ეს ცხოვრება, ცხოვრება მომავალში და შუალედი მდგომარეობა "ორს შორის", აღიქვი როგორც ერთი და ჩაიბეჭდე ეს აზრი შენში.
აი, ეს არის სწავლება პრაქტიკული.

* * *

ძვირფასი ქვის დაკარგვის გამო, რომელიც არის აღმსრულებელი სურვილების, ზოგნი ქვითინებენ და ზოგნი კი დაუძლეველი მწუხარებისგან გრძნობას კარგავენ.
ამ მწუხარების ჟამს კოცონი გიზგიზებს თავისთავად, საწვავის დაუჭირვებლად და ალი იღებს რვა ფოთლიანი

ლოტოსის ფორმას, რვა ბედნიერების ნიშანს, შვიდი ძვირფასეულობის და სხვადასხვა წარმტაცი ნაბოძვარის.

ხმები აღძრული მოგიმგიმე კოცონის მოისმის ვით ჰანგი ბაკნის, ციმბალის, არფის, ფლეიტის, ბარაბანის და ტიმპანების, ხოლო მოგიმგიმე ნაპერწკალთაგან გამოდიან ღვთაებები განცხადებულ, დაფარულ და იდუმალ დასთაგან, მომტანნი ძღვენების გასაოცარი გემოვნებით, ბოლი კოცონის ანათებს ყოველნაირი ფერით ცისარტყელის.

* * *

ვინც განუწყვეტლივ ჭვრეტს სიცოცხლის ძალის ღვთაებრივ ცეცხლს.

ვინც მთელ ცხოვრებას ანდომებს ჭვრეტას და საკუთარ სხეულს ჭვრეტს ვით ღვთაებრივ ფორმას.

ვინც საკუთარ თავში ხედავს დასაწყისს და ბოლოს.

ვინც განუწყვეტლივ ინახავს გონებაში ანთებულ ლამპარს, ყოველთვის ანთებულს სიცოცხლის სუნთქვასთან ერთად.

ვინც ყოველთვის გემულობს ნექტარს.

ვინც სიწმინდით იმოსება და თავისუფალია განყოფის ცდომისგან.

ვინც იყნოსს ზეციურ სურნელს და ისმენს ზეციურ გალობას.

ვინც შეიცნო "ის" აღარ საჭიროებს არაფერს ნივთიერებით გამოხატულს.

მას არ სჭირდება ცეცხლი კოცონის, არ სჭირდება ხატი და არ სჭირდება ლოცვა, არ საჭიროებს ლამპარს და შესაწირავ პურებს. არ საჭიროებს წმიდა წყალს და საკმეველს, არ სჭირდება გალობის სმენა.

მაგრამ თქვენ იყავით ლოცვაში, წმინდანებისგან და მოძღვრისგან მოცემულ აღთქმებს ნუ დაუმატებთ მითითებებს და ახსნებს, ნუ იკამათებთ და იტყვით "ეს ჩვენია", არამედ დარჩით თვითჩაღრმავებაში, იდუმალ და ღრმა სწავლებებზე მოძღვართა და განსხივოსნებულთა დანატოვარზე ნუ, ამაოდ ნუ ილაპარაკებთ. სჯობს იყოთ მდუმარებაში, ნუ გააუბრალოებთ წმინდა და რჩეულ

სწავლებებს და მითითებებს, რომლებიც ატარებენ ნიშნებს ანგელოსთა სუნთქვის, განერიდეთ და ეძიეთ მარტოობა, თქვენს ცხოვრებაში ბევრი შეგხვდებათ უკუღმართობები და ამიტომ ილოცეთ მდუმარედ არ განცხადებით, მისდიეთ მოძღვრის დარიგებას და უკუაგდეთ ყოველგვარი ეჭვი, მოძღვრის სადიდებლად არაა საჭირო სიტყვიერი ენამზეობა, იმ წრებრუნვისთვის, რომელიც გამოხატავს უსასრულოს, გარეგანი მოვლენები და გონი ერთი და იგივეა, ამიტომ უკუაგდეთ დანაწევრება და გაყოფა, დე ყოველმა უცვალებელად აღასრულოს თავისი ვალი.

და რადგან ყველა ფორმა არანამდვილია გონების გარდა, ყველა ფორმა ერწყმის საყოველთაო მთლიანობის ხარისხს.

* * *

პატივისცემით მუხლს ვიდრეკ მოძღვრის ფერხთა წინაშე.

თუ თქვენ ესწრაფვით ემსახუროთ ღვთის შემეცნებას და მიაღწიოთ სიბრძნეს და არ აირჩევთ თქვენთვის კეთილგონიერ მოძღვარს და არ იქნებით მისი ერთგულნი ცოტა მადლს თუ დაიმსახურებთ, მიუხედავად რწმენისა და თვინიერების.

თუ თქვენ არ მიიღებთ თანაზიარობას ღრმა და იდუმალი შინაარსის გააზრების, სიტყვები სწავლების იქნებიან მხოლოდ თქვენი ბორკილები.

თუკი თქვენ არ შეადარებთ გამოცდილებას მამათა სწავლებასთან, ყველა თქვენი აღსრულებული წესები იქნებიან თქვენი ხლართები.

თუკი თქვენ არ ჩაუღრმავდებით მამათა დარიგებებს, განდგომა წუთისოფლისგან იქნება თქვენთვის ტანჯვა ამაო.

თუკი თქვენ არ ჩააქრობთ ცოდვის აღმძვრელ ვნებებს საწინააღმდეგო მიმართებით, სიტყვით ქადაგება იქნება ბგერა ცარიელი თქვენთვის.

თუკი თქვენ არ იცით სრულყოფილი ხერხი და გზის მიმართულება ცარიელი მოშურნეობით, არც თუ ისე ბევრი იქნება მიღწევა.

თუკი თქვენ არ იცით იდუმალი სრულყოფილი ხერხი, მარტო თავგამოდებით თქვენ ვერ შეძლებთ გზა შეამოკლოთ.

თუ თქვენ არ მოიღვაწებთ დიდ დამსახურებას, და საკუთარი თავისთვის იცხოვრებთ მხოლოდ, თქვენი ცხოვრება საზღვრულ სამყაროში ხანგრძლივად გაგრძელდება.

თუკი თქვენ ღვთისშემეცნების გულისთვის არ უარყოფთ დაგროვებულ ქონებას, განუწყვეტელი ლოცვის მიუხედავად ვერ მოიღვაწებთ მნიშვნელოვან ცოდნას.

თუკი თქვენ არ მოიპოვებთ დაკმაყოფილებას მცირედით, მონაპოვარი თქვენი იქნება გამამდიდრებელი სხვების.

თუკი თქვენს შიგნით არ ანთია სინათლე მშვიდობისმყოფი, სიამენი და კეთილდღეობა გარეგანი, წყაროდ იქცევიან მწუხარების.

თუკი საკუთარ აზრზე გამარჯვებას ვერ მოიპოვებთ, ვერ დაძლევთ დემონს სიამაყის, პატივმოყვარეობა მიგიყვანთ განადგურებამდე და დაცემამდე პასუხის გებით.

მაამებლობა აღვიძებს ხუთ შხამიან ენებას, მომხვეჭელობას განხეთქილება შემოაქვს ყველაზე ახლობელთა შორის, ერთის განდიდება კი ნიშნავს, დაამცირო სხვები.

მშვიდი იყავით და მაშინ განხეთქილებას და შუღლს გაექცევით, დაიცავით თავმოყრა მზერის და გაქრება გაფანტვა გონის.

იყავით განმარტოებაში და ჰპოვებთ მეგობარს, დასაჯდომელი დაიკავეთ ყველაზე დაბალი და ამაღლდებით ყველაზე უმაღლესზე.

იჩქარეთ დინჯად და მიხვალთ მალე. უარყავით მიზანი მიწიერი ყველანაირი და უზენაესი მიზნის იქნებით მპოვნელი.

თუკი ივლით იდუმალი გზით, ეს თქვენთვის იქნება გზა უმოკლესი, თუკი შეიცნობთ სიცარიელეს, თქვენს გულში თანაგრძნობა დაისადგურებს.

თუკი თქვენ სხვებს განასხვავებთ თქვენი თავისგან, მაშინ თანადგომას და მსახურებას ვერ შესძლებთ მათსას.

თუკი სხვების მომსახურებით თქვენ მათ სარგებელს მოუტანთ, მაშინ თქვენ შეხვდებით მოძღვარს სხივოსნობის.

და მისი მიღებით, თქვენ მიაღწევთ მდგომარეობას განსხივოსნების.

მოძღვარს, ღვთაებას და წმინდანებს ევედრეთ გულწრფელად და განუსხვავებლად.

* * *

სხვათა თანადგომა და მსახურება დასაშვებია, თუ აღსრულდება თვით უმნიშვნელო პირადი სარგებლის გარეშეც კი. მაგრამ ამდაგვარი უანგარობა იშვიათია და სხვების მსახურებას იშვიათად მოაქვს სარგებელი, თუ შემწე სრულიად არ განთავისუფლდება პირადი სარგებლიდან. თვით საკუთარი თავისათვის ძალისხმევა, მოითხოვს დიდი ძალების დაძაბვას. სანამ თქვენ არ მიაღწევთ ჭეშმარიტების გაცნობიერებას სრულყოფილად, ნუ მოიწადინებთ აჩქარებით სხვების შველას, სანამ იარსებებს სიცოცხლე, იქნება დახმარების საჭიროება, და ყველას ექნება საშუალება მისი აღსრულების. ეხლა კი, მთავარია სურვილი განსხივოსნების მიღწევის. და ეს იქნება ყველაზე დიდი დახმარება ყველა ცოცხალის, მოიღვაწე თვინიერება და დაკმაყოფილდი მცირედით, ჩაიცვი უბრალოდ. თვინიერად გადაიტანე უკმარობა, შიმშილი, სიღარიბე, დათმე ყველა ზრახვა მიწიერ დიდებაზე, მოაკვდინე ხორცი და ავარჯიშე გონი, და გამოცდილებით შესძინე ცოდნა.

* * *

თვით ხუთი მომაკვდინებელი ცოდვა, უსაზღვრონი თავისი ბოროტი შედეგებით შეიძლება გამოსყიდულნი იქნან, თუკი დროულად იქნება მონანიება მათი. საწყალია ის, ვინც იქმს ბოროტებას მოძღვრის, დამრიგებლის და მშობლების მიმართ.

წრებრუნვა დაბადების და სიკვდილის და განთავისუფლება მათგან, შესაძლოა იხილო ან ჩავწვდე მხოლოდ ნათელი

სინათლის საუფლოში.

როდესაც ჯდები თეითჩაღრმავებისთვის, დიადი მდუმარება გადებს ბეჭედს თავისას. და ამით მოიპოვება აუღელვებლობა სრულყოფილი და უშიშრობა დამძლევი ყოველგვარი ზღუდის და მაშინ ბოროტი სულები, ავადმყოფობა, ცოდვები და დაბნელება მზერის, ხდებიან მხოლოდ მოსართავები ღეაწლის. ისინი ჩაკეტილები იქნებიან შიგნით, როგორც ნერვები, სითხე და თესლი. ძღვნად მიღებული როგორც მოსართავენი, დასამტკიცებლად სრულყოფილების სულის.

* * *

თუკი მოძღვარი არ ეკუთვნის უწყვეტ სამოციქულო იერარქიას, რა სარგებელი აქვს ხელდასხმას და ზიარებას.

თუკი არსი ღვთისმოსაობის არ შესულა გულში, რა სარგებელია წმიდა წერილის ზეპირად სწავლის.

წუთისოფელისგან სრული არგანდგომით, რა სარგებელია ჭეშმარიტებებზე გონის ჩარღმავების. თუკი სხეული, სიტყვა და გონი თანხმიერი არ არის სწავლების, რა სარგებელია რელიგიური წესების დაცვის.

თუკი მრისხანება არაა დამარცხებული სიყვარულით, რა სარგებელია მოთმინებაზე დაფიქრებით.

თუ დატოვებული არაა მიკერძოება, მოწონება და დაწუნება, რა სარგებელია ლოცვათა ღაღადის.

თუკი პირადულობა აღმოფხვრილი, არაა გულიდან, რა სარგებელია ქველმოქმედების.

თუკი მცხოვრებლებს მთელს ექვს სამყაროში ჩვენ არ ჩავთელით ჩვენს ნათესავებად, რა სარგებელია მღვდელმსახურის ხარისხში კურთხევის.

თუკი თაყვანისცემა და სუფთა სიყვარული არ აღმოცენდებიან გულში, რა სარგებელია ტაძრების აშენების.

თუკი თვითჩაღრმავების უნარი არ არის მთელი დღე-ღამის ჟამში, რა სარგებელია...

თუკი წარმოთქმული ლოცვა არ იშვება გულის სიღრმეში,

რა სარგებელია თარიღთა დაცვაში. თუკი არ იყო მოცემული იდუმალი სწავლება, რა სარგებელია ტანჯეის დათმენაში.

თუკი წმინდანისადმი არ იყო რწმენა და სიყვარული მის ცხოვრებაში, რა სარგებელია მისი გვამის და ხატის თაყვანისცემის.

თუკი ადამიანში არ იშვის სინანული, რა სარგებელი აქვს სიტყვებს "თავი უარყავ და შეინანე".

თუ არ ირჯები სხვების სიყვარულში საკუთარ თავზე მეტად, რა სარგებელია უბრალოდ სიტყვით თანაგრძნობის.

თუკი ყველა ცოდვიანი ვნება არ იქნა დაძლეული, რა სარგებელია ხანგამოშვებით რელიგიური ღვაწლის.

თუკი მოძღვრის ყოველ სიტყვას კანონივით პატივი არ ეცება და არ სრულდება, რა სარგებელია ასეთი მოწაფეობის.

ყველა ის საქმე, რაც სარგებლის არ მომტანია, ზიანის გარდა არაფრის მომცემია და ამიტომ ნუ იქმთ ასე.

მჭვრეტელმა, ვინც აღასრულა თავისი გზა მსახურების, ვალდებულება ახალი თავის თავზე აღარ უნდა აიღოს რამის.

* * *

რაც შეესება მეთოდს, თუ რომელიმე ხერხს მიჰყავხართ უარყოფითი თვისებების გაძლიერებისკენ და გიღვიძებთ პირადულობის მიდრეკილებას, მაშინ თავი დაანებეთ მას. რა სათნოც კი არ უნდა იყოს ის, და გააგრძელეთ იმ მოქმედებების ქმნა, რომლებიც გეხმარებიან ხუთ ზიანის მომტან ვნებებთან ბრძოლაში, ეს იქნება სწორი მოქმედება.

ცხოვრება მოკლეა, და სიკვდილის ჟამი უცნობია, ამიტომ გულმოდგინედ გაისარჯეთ თვითჩაღრმავებაში. ნუ იქმთ ცოდვებს და მოიპოვეთ დამსახურება, ძალების დაუზოგავად და თავგანწირვითაც კი.

მოიქეცით ისე, რომ არ შეგრცხვეთ თქვენი თავისა, ამით აღასრულებთ ღვთისმსახურებას.

* * *

თუკი რელიგიას მიმართავთ როგორც მაშველ თავშესაფარს, ღვთაებების და ანგელოზთა თუკი გსურთ ხილვა, იცოდეთ, რომ ბოროტი ნამოქმედარის უკუგების გამო, ნეტარებას პოულობთ ცუდის ქმნაში, გაურბიხართ სიკეთეს და სათნოებას უგულველყოფთ, ნამოქმედარის გამო.

იცოდეთ, რომ დანაგროვები ბოროტი, გამოისყიდება სიკეთის ნდომით. ხოლო, ვინც შეგნებულად ბოროტს აკეთებს, იგი დამცირებას თავისას იმზადებს და იმათ, ვინც არ იციან საით მიდიან, ხელმძღვანელობას იღებენ სხვების, მოაქვთ ზიანი თავისთვის და სხვების.

თუკი გსურთ ტანჯვას გაექცეთ და აირიდოთ მწუხარება, გადაწყვიტეთ, რომ აღარ გაუკეთებთ სხვებს ბოროტებას.

აღსარება და სინანული ცოდვის, ღმერთის და მოძღვარის წინაშე და დადება აღთქმის ცოდვის არ განმეორების, უმოკლესი გზაა სწრაფი შენდობის და განქარწყლების უკეთური ვალის.

მიუძღვენით ფავი ცოდვათა გამოსყიდვას და დამსახურების მოპოვებას და მაშინ არა მარტო იხილავთ ზეციურ არსებებს, არამედ უწმინდეს და დიდებულ ღვთაებებს. ასევე თქვენი გონების არსებით სახეს და იხილავთ რა მას, თქვენ იხილავთ ყველაფერს, უკიდეგანო ყოფიერის, ზღვრულს და უსაზღვროს და მაშინ შეჩერდება მოქმედება ბედისწერის.

ყველაზე დიდი და წმიდა, ღვთაებათა შორის არის გონება სუფთა და სხივოსანი.

* * *

იმ ხნიდან, როდესაც შემოვა შენში მეუფის მადლი
ყოველთვის შესძლებ შეინარჩუნო, თავმოყრა გონის.
თუ მიეჩვევი ფიქრს სიყვარულსა და წყალობაზე
დაივიწყებ სხვაობას საკუთარ თავსა და სხვებს შორის.
თუ მიეჩვევი ფიქრს მოძღვარზე თავს ზევით

გარშემორტყმულ ნათებაზე ფიქრით,

დაივიწყებ ყველა მართველს ავტორიტეტითა და ძალით.

თუ მიეჩვევი ფიქრს ღვთაებებზე განუსხვავებლებზე საკუთარი თავისგან .

ფიქრს დაივიწყებ მიწიერ სხეულებრივ შესამოსზე.

თუ მიეჩვევი ფიქრს არჩეულ ჭეშმარიტებებზე, ჩურჩულით მოცემულზე,

დაივიწყებ ყველა ნათქვამს გადაწერილ და დაბეჭდილ წიგნებში თქმულზე.

თუ მიეჩვევი შესწავლას ერთიანობის ცოდნის

დაკარგავ ცოდნას იმისა, თუ რაა არცოდნა შეცდომასთან მიმყვანი.

თუ მიეჩვევი ჭვრიტო სამი სხეული, როგორც არსებული შენში

დაკარგავ ფიქრს იმედსა და შიშზე.

თუ მიეჩვევი ფიქრს ამ ცხოვრებაზე და მომავალზე როგორც ერთიანზე

დაგავიწყდება შიში დაბადების და სიკვდილის.

თუკი მიეჩვევი, რომ დაეყრდნო საკუთარ გამოცდილებას მხოლოდ

დაგავიწყდება გამოძიება ახლობლებისა და ძმების აზრის.

თუ მიეჩვევი მოპოვებას ახალი და ახალი ცდების

დაგავიწყდება ფიქრი სარწმუნოებისა და დოგმის.

თუ მიეჩვევი ჩაღრმავებას დაუბადებელსა, შეუხებელსა და არსად არ მყოფზე

დაგავიწყდება განსაზღვრება რაიმე კონკრეტული მიზნის.

თუ მიეჩვევი განხილვას მთელი ხილულის ეით სხეულისა ჭეშმარიტების

დაგავიწყდება განსჯა გამომდინარე რაიმე თვალსაზრისით.

თუ მიეჩვევი გონის შენახვას დასაწყის მდგომარეობაში თავისუფლების,

დაგავიწყდება პირობითობა და ყველა ჩვეულება შეკოწიწებული და შექმნილი.

თუ მიეჩვევი მოთოკვას სხეულისა და გონის

დაგაეიწყდება სიამაყე და ქედმაღლობა ძლიერის.

თუ მიეჩვევი სხეულის ჩათვლას საკუთარი განდეგილობის სახლად

დაგაეიწყდება კეთილდღეობა და შვება მონასტრებში ცხოვრების.

თუ მოეჩვევი წვდომას გამოუთქელის გააზრების მნიშვნელობის

დაგაეიწყდება კვლევა-ძიება სიტყვათა ძირების და მათი წარმომავლობის.

* * *

სხიეოსნობის ტაძარში, საკუთარ სხეულში,
მკერდში, სადაც არის საკურთხეველი,
საუნჯეში ზემო სამკუთხედში, რომელიც არის გულში,
გონების რაში, მსწრაფლი ჩერდება ყალყზე შემართული.
რომელი მარყუჟით ითოკება ეს ულაყი
რომელ ბოძს ებმის იგი, რა საკვებს გემულობს,
რა ვასვათ მწყურვალს, სად დავაბათ სიცივისას,
რომ დავიჭიროთ ეს ცხენი საჭიროა ქამანდი - მიზანი ერთადერთი.
მიბმით უნდა მიებას ბოძზე თვით ჩაღრმავების.
საკვებად უნდა მივცეთ მორჩილება მოძღვრის
წყურვილი მოუკლათ მზერის მიმდინარეობით ერთმიმართულით.
სიცივის ჟამს მოვათავსოთ ბაგაში სიცარიელის
უნაგირად - ნება, აღვირად - განსჯა.
ღვედები და სამაგრები კი მზერის უძრაობა
მხედარი მისი გონის სიფხიზლეა.
ჩაჩქანი მხედრის კი მოწყალება ღვთისგულისთვის
აბჯარი - ჭერეტა,
ფარი - მოთმინება.
ცხოვრება განმარტოებაში არის ადგილი, სადაც შეგიძლია გაცვალო ამაო ცხოვრება მარადისობაში.
ტაძარში ანუ შენს სხეულში არის დარბაზი ღმერთთან

შესახვედრი.

განდევილის სენაკში მადლია ძალთა სწრაფი მიღწევის.

* * *

ყველაფერი წარმოიშვება და შემდგომ განსრულდება, გადის და თუ ამას ხედავ, მაღლდები სასოწარკვეთაზე და ტანჯვაზე მოელენილზე და მოსალოდნელზე, აი, გზა განსხივოსნებულების.

არსებობა წუთისოფელში არის სასოწარკვეთა და ტანჯვა, შეისმინე ეს და გადი სასოწარკვეთის ზღვარს იქით. აი, ეს არის გზა ნათელმოსილების.

არსებულობა ფორმათა სამყაროსი არის წარმავალი მდინარება მოჩვენებითობის, გაიაზრე ეს და გადი მის ზღვარს იქით. აი, ეს არის გზა ნათელმხილველების.

სანამ ხარ ძალუმი, სანამ ხარ ახალგაზრდა, არის დრო აღდგომის და შემართების, ამიტომ აღსდექ, რომ გადაუწყვეტლობის და უქმობის გამო არ გაუშვა დრო გზაზე დადგომის.

იყავი მპყრობელი საკუთარი სიტყვის, იყავი მპყრობელი საკუთარი ფიქრის, არასდროს არ მისცე შენს სხეულს ნება ვინმესთვის ზიანის მიყენების. მისდიე ამ სამ წესს სუფთად და აღმოჩნდები გზაზე სიბრძნისკენ მავალის.

დაჯექ სიმყუდროვის სიმშვიდეში, დაჯექ ბინდბურნდში, ბნელში. დაჯექ ჭვრეტის აღსრულებაში, დაჯექ სინათლეში. ამოარჩიე შენი ადგილი და გზა სიბრძნისა გაიზრდება მაშინ, შენს წინ და შენში.

გასჩეხე ტყე, და არა მხოლოდ ერთი ხე, რამეთუ ტყიდან მომდინარეობს ხიფათი, შიში, გაჩეხე ტყე, დააწვინე სურვილი და განითავისუფლე თავი.

სანამ გსურს ქალი როგორც მამაკაცს, მანამდე გონი მიბმულია როგორც ხბო ძროხას.

ამოგლიჯე ისარი სურვილის, როგორც მოგლეჯდი ხავსს ხიდან.

ის, ვინც გამოღვიძებულია, მაჩვენებელია მშვიდობის გზისა,

თავი მიუძღვენი ამ მოგზაურობას.

აქ მე აეაშენებ სახლს, გამოვიზამთრებ, გავატარებ ზაფხულს, შემოდგომას, ასე უგნური აწყობს გეგმებს მომაელის, დამეიწყებელი სიკვდილის ხსოვნის.

სიკვდილი ეწევა ადამიანს სანამ წუთისოფელი იტაცებს და თავბრუს ასხავს მას,

სანამ ზრუნავს ქონებაზე და ახლობლებზე, სიკვდილი იტაცებს მას.

ვითარცა წყალდიდობა მძინარე სოფელს.

მშველელი არავინაა, არც ოჯახი და არც მშობლები, არც შვილები, ან მეგობრები, საჭიროა ამის ხსოვნა.

ამიტომ ეძიო სიბრძნე და სიწმინდე, სწრაფად გამკვლევი გზისა, არის თავად სიბრძნე.

სიამოვნება და ნეტარება, ორი სხვადასხვა რამეა,

პირველისგან თავის შეკავებით მოიპოვება დაუფლება მეორესი

თუკი ვინმე ეწია ბედნიერებას სხვისი ბედნიერების ხარჯზე

ამით მან შეკრა საკუთარი თავი უკუნისამდე.

როდესაც არ აკეთებ იმას, რაც საჭიროა და შენი ვალია

როდესაც აკეთებ იმას, რაც არ არის საჭირო და შენ არ გევალება

ხარ განუსჯელად მოუაზრებელი და სურვილები მატულობენ მაშინ.

მცოდნე ოსტატი კი ფხიზლობს

იგი უთვალთვალებს სხეულის

ყოველ საკუთარ მოქმედებას იგი აცნობიერებს

და ხდება სუფთა, იწმინდება თვითდაკვირვებით

ასეთს ვერ აყვედრებ ვერაფერს, ვერ განიკითხავ, ვერ გაკიცხავ

თუნდაც რომ ჰყავდეს მოკლული მამა, დედა და ორი მეუფე,

მთელი სამეფო და მთელი ხალხი

და ის მეფენი რომ იყვნენ წმინდანნი და ქვეშევრდომნი კი სათნოებით მოსილნი

იგი მაინც იქნება შეუბღალავი.

ვინც მიმდევარია სხისოვანი გონის იგი თავად არის

სხივოსანი

დღისით და ღამით აღასრულებს დაკვირვებას
და გულისხმევით ერწყმის საკუთარ მოძღვარს.
მარად ფხიზელი იგი იცავს წესს.
ის სცნობს თანამგზაერ ძმებს
ის აცნობიერებს სხეულის საიდუმლოს.
ის ჰპოვებს სიხარულის ყველა ცოცხალ არსებაში
ის ნეტარებს ჭვრეტის მოღვაწეობით.
მძიმეა ცხოერება წუთისოფელში,
მძიმეა ცხოვრება წუთისოფლის გარეთ,
მძიმეა იყო მარტო მრავალთა შორის
რა ხანგრძლივია გზა მოხეტიალესთვის
მრავალ ცხოვრებათა შორის მაღალისათვის.
დე იყოს მასთან სიმშვიდე
დე იყოს იგი მწუხარების გარეშე
დე არ ჩავარდეს იგი ტანჯვაში.
თუკი ის არის სათნო ადამიანი
თუკი ის არის რწმენის მიმდევარი, პატივმოსილი და ღირსეული
მას მიაგებენ პატივს, სადაც კი არ უნდა იყოს.
ვით მაღალი თოვლიანი მთა მზეზე, სათნო ადამიანი ბრწყინავს შორიდან
უკეთური კი უჩინოა როგორც ისრები უკუნ ღამეში.
იჯექი,
განისვენე,
დააკვირდი,
საკუთარ თავთან განმარტოებით, დაღლის გარეშე.
ერთი უარყოფს ჭეშმარიტებას,
მეორე უარყოფს საკუთარ ქმედებას,
ორივე ისინი ბნელში მიდიან
და შემდგომ სამყაროში ტანჯვას განიცდიან
რამეთუ ჭეშმარიტება უგულეელყვეს,
რომც ატარებდე ღვთისმსახურის სამოსს
თუ არ გაგაჩნია უნარი განსჯის
მოხვდები უკუნ სიბნელეში ტანჯეის.

თუკი არ გაგაჩნია განსჯის უნარი, სჯობს სვა გამღნარი რკინა ეიდრე,

თანამეინახედ იჯდე სათნოებაში დამაშერალ მოღვაწესთან

თუკი შენ სხვისი ცოლის ხარ მოწადინე,

ამით იმრავლებ შენს სიდუხჭირეს, უძილობას, შეურაცხყოფას,

და ხდები მგზავრი მიმავალი ბნელში

ყველა სიამე მთავრდება შიშით,

და სასჯელი მეუფის არის მკაცრი

როგორც გაუფრთხილებლობით ბალახიც კი ხელს გიჭრის

ასევე განდეგილობა შემძლეა მიყვანისა ბნელში.

## ᲨᲠᲘ ᲡᲕᲐᲛᲘ ᲨᲘᲕᲐᲜᲐᲜᲓᲐ ᲡᲐᲠᲐᲡᲕᲐᲢᲘ
## ᲙᲝᲜᲪᲔᲜᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲭᲕᲠᲔᲢᲐ
## (ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ)
## ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲭᲕᲠᲔᲢᲐ
## (ᲐᲛᲝᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲐᲖᲠᲔᲑᲘ)

გონების თავმოყრა და გამახვილება შეუძლებელია რაიმე საგნის გარეშე, ყურადღებას აუცილებლად სჭირდება ობიექტი, რომელზედაც მას ექნებოდა შესაძლებლობა მეჩერებისა.

გონების თავმოყრა შეიძლება წარიმართოს, როგორც სხეულის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

გონების თავმოყრის დროს გონება არ უნდა განიცდიდეს დაძაბულობას, არ არის საჭირო ბრძოლა გონებასთან, ძალდატანებით მასზე ზემოქმედება იწვევს უკუქმედებას.

გონების თავმოყრა არის ყურადღების შეკავება ერთ რაიმე აზრზე, ერთ განწყობაზე, ერთ გრძნობაზე, ერთ შეგრძნებაზე, ყველა სხვა აზრების, განწყობების, გრძნობების, შეგრძნებების უარყოფით.

გონების თავმოყრას მოსდევს სუნთქვის დამშვიდება, შენელება და გაფაქიზება.

და ასევე სუნთქვის შეგნებულად და გამიზნულად თანმიმდევრობით დამშვიდება, გაფაქიზება და შენელება-გაწელვა იწვევს გონების თავმოყრას და მის ერთი მიმართულებით გამახვილებას.

ყურადღების ძალა იზრდება გონებაში აზრთა რაოდენობის შემცირებასთან ერთად.

ყურადღების ჩაღრმავება მიმდინარეობს ძილისა და მღვიძარების შუა მდგომარეობაში; ამ მდგომარეობის მიღწევა და შემდგომ შენარჩუნება არ არის ადვილი. ამ მდგომარეობის მისაღწევად გამომუშავებული უნდა იყოს სხეულის გარკვეული ფლობა უძრავ მდგომარეობაში, ამას აღწევენ კუნთების მოდუნებით ისე, რომ სხეული იყოს თავისუფალი, დაუძაბავ მდგომარეობაში, საკუთარი სხეულის წონისა და სითბოს შეგრძნების აღქმით, როცა ამაში

დაოსტატდებიან სხეულის თავისუფალ და ბუნებრივ მდგომარეობაში დაჭერას ანხორციელებენ უკეე მოძრაობისას.

თუ ყურადღება გონების თავმოყრაში ვარჯიშის დროს გარბის გარეთ, ამის გამო არაა საჭირო ფორიაქი ან უკმაყოფილების განცდა, დე გონება გაემართოს საითაც სურს და შემდეგ ნელ-ნელა საჭიროა მისი მობრუნება უკან, თაემოყრის ობიექტისაკენ.

ყველა იმ საშუალებათაგან, რომლებიც არსებობენ გონების თავმოსაყრელად, ყველაზე ძლიერნი არიან ისეთები, რომლებიც იყენებენ საშუალებად ბგერას და სინათლეს ანუ მხედველობასა და სმენას. რადგან ამ ორ გრძნობას ყველა სხვათაგან შედარებით ძალუძთ ყურადღების მიპყრობა და გონების დამშვიდება, მათი გამოყენებით ყურადღება თანდათან ხდება ერთმიმართულებითი, თავმოყრილი და შიგნით შეტრიალებული.

გონების თაემოყრის დროს ყურადღება ჩერდება ერთ რაიმე აზრზე, რის გამოც თითქოსდა იკუმშება ერთ წერტილში, იგი აღარ გარბის სხვადასხვა მიმართულებით, გრძნობები მშვიდდებიან და აღარ ფუნქციონირებენ, გონების ღრმა თაემოყრის შედეგად ქრება სხეულის აღქმის გრძნობა და ასევე გარე სამყაროსი.

ვისაც აქვს გამომუშავებული უნარი გონების თავმოყრის, მას შეუძლია, ნათლად წარმოიდგინოს გონებრივი სურათი საგნის გამოსახულებისა.

სუნთქვითი ვარჯიშები და გონების თავმოყრა ურთიერთ კავშირში არიან, თუ წარმართავენ ვარჯიშს სუნთქვის მოთვინიერებაში ამით აღწევენ გონების თავმოყრის გამოცდილებას და პირიქით, თუ ვარჯიშობენ გონების ერთ წერტილზე შეჩერებაში ამით აღწევენ სუნთქვის მართვის ხელოვნებას.

გონების თავმოყრაში წარმატებული მოღვაწეობისათვის საჭიროა მიიღწეს გონებრივი მზერის შიგნით, საკუთარი თავისკენ შეტრიალების უნარი, შიგნით მიმართული გულისყური, შიგნით მიმართული მზერა არის თვისობრივად

სხვაგვარი ძალა გონებისა, საპირისპირო გარეთ მიმართული მზერისა, ამის მიმღწევი აღწევს შინაგან სიმშვიდეს.

როდესაც გონება შეიზღუდება გარეგანის აღუქმელობით საკუთარი არსების შუაგულში მისი შეკავების მეოხებით და ყურადღება მიიმართება თავად გონებაზე, მაშინ მიიღწევა გონების ძალის შეტრიალების თვისება.

გონება სხვა არაფერია, თუ არა აზრთა და გრძნობათა კრებული და რადგან აზრი ანუ შეგრძნება - "მე ვარ" არის ძირი ყველა სხვა აზრებისა, გამოდის, რომ გონება არის ეს ერთადერთი აზრი: "მე ვარ".

საჭიროა შევძინოთ ჩვენს გონებას ულტოლველობის თვისება, იგი უნდა გადავაჩვიოთ სულ რაღაც ახალის ნდომას, ამისათვის საჭიროა მივეჩვიოთ ერთფეროვნებას, რის დროსაც მოვლენ ხელისშემშლელი განწყობები: სევდა, მოწყინება, უიმედობა, მაგრამ ისინი დაძლეულნი უნდა იქნენ ყურადღების ერთმიმართულებით შეკავებაში ვარჯიშის მეშვეობით.

აზრი მოძრავი ძალა, რომლის გადაცემაც შესაძლებელია და მიღებაც.

ყოველ საგანს გააჩნია თავისი გონებრივი ასოციაციები, ამიტომ საჭიროა გონება აევსოთ ამაღლებული აზრებით, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი გრძნობის აღმძვრელ აზრთაგან განთავისუფლება.

გონების თავმოყრა არის გონებრივი სამუშაო, იგი მოითხოვს ყურადღების შიგნით მიმართვას, სხეულის მოქმედებებს არაფერი საერთო· არა აქვთ მის ჩამოყალიბებასთან. სხეულებრივი, გარეგნული მოქმედებითი საქმიანობა თავისთავად ვერ გამოიწვევს გონების თავმოყრას, ეს არის მხოლოდ გონებრივი სამუშაო.

გონებაში, როდესაც ვარჯიშობენ მის თავმოყრაში, არ უნდა იყოს არავითარი დაძაბულობა, საჭიროა სხეულის მოშვება, მოდუნება, თუ ყურადღება გაიქცევა გარეთ, ნუ დაუშვებთ უკმაყოფილების გრძნობას, ნელ-ნელა ისევ უკან მოაბრუნეთ იგი, ყოველთვის დააბრუნეთ გონება უკან, არ გაჰყვეთ მის მიმდინარეობას, როდესაც გადაუხვევს გზიდან.

ეს არის მოღვაწეობის არსი, ყურადღების უკან დაბრუნება არის ჭვრეტაში ვარჯიშის ძირითადი კვანძი, თანდათან იგი შესძლებს იდგეს ერთ წერტილზე უძრავად.

გონების ის მდგომარეობა, რომლის დროსაც მასში არ არის აზრები და განწყობები დაკავშირებულნი გრძნობებთან არის ჭვრეტის მდგომარეობა.

გონებაში ერთი აზრის უწყვეტი მიმდინარეობა არის ჭვრეტა.

წარმატებისათვის ყოველგვარი ფიზიკური აქტივობა უნდა იქნას დაყვანილი მინიმუმამდე, ყველა დამოკიდებულებები შეწყდეს.

გონება არსებობს "მე"-ს ხარჯზე, "მ" არსებობს გონების ხარჯზე. "მე" - მხოლოდ მცნებაა გონებაში, გონება და "მე" ერთი და იგივეა, თუ "მე" გაჰქრება, გონებაც ქრება და პირიქით, როდესაც ქრება გონება ანუ წყდება აზროვნების წარმოება, სახელი და ფორმა სწყვეტს თავის არსებობას და მიზანი მიიღწევა.

ივარჯიშეთ გონების თავმოყრაში დილით და საღამოს და თანდათან გაზარდეთ დრო, ის განწყობა, რომელიც ყალიბდება ვარჯიშის დროს, შენარჩუნებული უნდა იქნას მთელი დღის განმაველობაში, ეს აუცილებელია.

ჭვრეტა არის უწყვეტი დინება აზრისა ერთი საგნის შესახებ, გონება იღებს იმ საგნის ფორმას, რომელსაც იგი ჭვრეტს და ყურადიღებს.

სანამ გონება არ განთავისუფლდება ყველა სურვილებიდან, მისწრაფებებიდან, ღელვებიდან, ილუზიებიდან, სიმპატიებიდან და ანტიპატიებიდან, იგი ვერ შესძლებს მანამდე სიმშვიდის საუფლოში შესვლას.

ვინც ბატონობს ენაზე, ჭამს, სვამს და სძინავს ზომიერად, ვინც დათრგუნა თავმოყვარეობა, სიძვა, სიხარბე და ბრაზი მან შეიძლება სრულყოფილად შესძლოს ჭვრეტა.

თქვენ უნდა ავარჯიშოთ გონება ყურადღების შეკავებაში ერთ რაიმეზე გამუდმებით, რომ ეს გრძნობა ჩამოყალიბდეს გონებაში განუწყვეტელი შეგრძნებით, ყოველდღე, კიდევ და კიდევ.

მოუყარეთ მას თავი თქვენს შინაგან "მე"-ზე. გამოიძიეთ თქვენი "მე", ან მიმართეთ თქეენი მზერა გულში.

როდესაც მიაღწევთ გონების მტკიცე თაემოყრას ერთ წერტილში, შემდეგ საჭიროა ყეელა აზრთა დაოკება, ანუ არ დაშვება გონებაში აზრთა შემოსელისა, რის შედეგადაც გონების ყველა გარდაქმნები და ცვალებადობა წყდება და გონება ხდება წმინდა, შემდგომ ეს წმინდა მდგომარეობაც უნდა დაირღვეს და შეერწყას უზენაეს სულს, ვისგანაც გონება იღებს ნათელს.

ჭვრეტის ღვაწლში მოღვაწეობისას უნდა ერიდოთ თავის მოტყუებას დააკვირდით გონებას, იყავით წინდახედულნი, ფრთხილნი, კეთილგონიერნი და დინჯნი.

ჭვრეტა არის გონების აუღორიაქებელი მდგომარეობა, რომელშიდაც სუფევს ნეტარება, სიხარული, სიმსუბუქე, სიმშვიდე.

ფიზიოლოგიურ შეგრძნებებს ნუ მიიღებთ ჭვრეტის გამოვლენად, სიჩლუნგეს კი ფიქრთა არ ქონად, ნუ მოიტყუებთ თაეს, ერიდეთ ილუზიებს, ოცნებებს, ემოციას ნუ მიიღებთ ერთგულებად და რწმენად, ეგზალტაციას - ექსტაზად, ნერვული დაძაბულობისაგან გამოწვეულ გულყრას აღტაცებად, პატივმოყვარულ დაუდგრომლობას და ფუსფუსს - ღვთის მსახურებად, ინერტულობას და უგრძნობელობას - განდეგილობად. სხეულის სხვადასხვა შეგრძნებებს - ლოცვიდან მომდინარე მოვლენებად, მოჩვენებას - ხილვებად, ფანტაზიებს - აღქმებად, სიზარმაცეს და დახეულ-დაგლეჯილ-დაუბანელობას საგნებისა და სხეულისადმი მიუბმელობად, უდებებას - დიდსულოვნებად, ისწავლეთ გამორჩევა ნამდვილის არანამდვილისაგან, უანგარობისა და ანგარების დადგინებით.

თუ გრძნობთ სიმსუბუქეს და გონება ნათელია, განწყობა კეთილი და მხიარული ეს მიუთითებს იმას, რომ უახლოვდებით გონების სიწყნარეს, ხოლო თუ სხეული მძიმეა, გონება ინერტული და გული გაღიზიანებულია ან უკმაყოფილო, ეს იმის მანიშნებელია, რომ გონება მოცულია ბნელით.

ჭვრეტა არ არის გონების მდგომარეობის შეცვლა შეგრძნების სფეროში იმ დროს, როდესაც არ იცვლება სამყაროს ინტელექტუალური აღქმა, რადგან ეს იგივე იქნებოდა, რაც ღვთისა და ნარკოტიკების ზეგავლენით ხდება, ოღონდ სხვა ხარისხისა.

ჭვრეტა არის არსებული სინამდვილის, ჭეშმარიტების უფრო მაღალი, სრულყოფილი აღქმა, არსებითის გამორჩევა, არსობის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა, იგი იძლევა უფრო მეტ ცოდნას სამყაროს შესახებ, მის დროს გონება ხედავს სამყაროს, ყოფიერების უფრო სრულყოფილ სახეს.

რამდენადაც შეგიძლიათ ეცადეთ ყოველთვის შეინარჩუნოთ გონების უშფოთველობა, ეს არ ნიშნავს იყოთ უგრძნობელნი, პირიქით იყავით მგრძნობიარენი, მაგრამ სხეული და ნერვები მორჩილების ქვეშ იყოლიეთ, მათგან გამიჯვნის მეშვეობით, მათგან განდგომით, მათი გაობიექტურებით.

როდესაც განემზადებით გონების თავმოყრაში სამოღვაწეოდ, სანამ დაიწყებდეთ, განიმზადეთ თავი ლოცვით და გალობით გარკვეული დროის განმავლობაში, ამის შემდეგ საჭიროა გონებრივი შეგრძნების ჩამოყალიბება ყურადსაღები საგნის მიმართ, გონების თავმოსაყრელი საგანის მიმართ თქვენი დამოკიდებულების შეგრძნების გააზრება აუცილებელი პირობაა ჭვრეტის განხორციელებისათვის. მაგალითად, შეიგრძენით უფლის ყოფნა თქვენში და ირგვლივ, გამოიწვიეთ გრძნობა, რომ დგახართ უხილავი მზერის ქვეშ, ფარული დამკვირვებელის წინაშე.

ნუ მიაყენებთ ტკივილს და ტანჯვას ნურცერთ არსებას სიხარბით, თავმოყვარეობით, ამპარტავნებით, მრისხანებით, განუდექით ჯიბრს და ბრძოლას.

თუ წყენა გიპყრობთ, ჭვრეტას ვერ შეძლებთ, დაუთმეთ გარემო პირობებს, გარემოებას, დე წუთისოფელმა იბრუნოს თავისი წყობით.

თავდაჯერება აბნელებს გონებას.

მიიღეთ მითითებანი და დარიგებანი საკუთარ ნაკლის

შესახებ.

ეცადეთ შეიკაოთ უწყვეტად ის შეგრძნება, რაც განიცადეთ ძილისა და მღვიძარების შუა მდგომარეობაში ჭვრეტაში ვარჯიშის დროს.

გონებაში წარმოიშვება ზრახვა, რომელიც დაკმაყოფილდება და შემდეგ მალე ისევე წარმოიშვება ახალი ზრახვა, აი, მათ შორის არსებული გონების მდგომარეობა არის ის თავისუფალი დრო, რომლის დროსაც გონება წყნარია და თავისუფალი ზრახვებიდან. ეცადეთ გაზარდოთ დროის მონაკვეთი ამ ორ ზრახვას შორის მდუმარების მიმართ ყურადღებით, ან ზრახვებზე დაკვირვების მეშვეობით, ზრახვაზე დაკვირვება ნიშნავს აზროვნების მიმდინარეობაზე შინაგანი, გონებრივი მზერის მიპყრობას, მის გაობიექტურებას, რის შედეგადაც ზრახვა ქრება თავისთავად.

მიმართეთ გონება იმ შეგრძნებაზე, რაც იზიდავს მას როგორც სიკეთე, მისი ჩამოყალიბების შემდეგ კი მიმართეთ საკუთარ არსზე, იმაზე, ვინც გრძნობს, მგრძნობელზე, შემგრძნებზე, თქვენს "მე"-ზე.

როდესაც თქვენ სჭვრეტთ რაიმე შეგრძნებას, ობიექტის მიმართ თქვენს დამოკიდებულებას, იმეორეთ გონებაში ამ შეგრძნების გამომხატველი სახელი, სიტყვა, ან სიტყვის მეშვეობით მიაღწიეთ მისით გამოხატულ შეგრძნებას.

ჭვრეტისათვის საჭიროა ისეთი ობიექტი, რომელსაც გონება გაჰყავს გრძნობათა სამყაროდან, ამიტომ არაწმინდა საგანი ვერ იქნება ჭვრეტის გამომწვევი ობიექტი.

ჭვრეტის საგანი შეიძლება იყოს ნივთიერი ან მცნებითი, უნივთო ანუ ხილვადი ან უხილავი, მხოლოდ შესაგრძნობი, მაგრამ თვით უნითო ობიექტის ჭვრეტის დროსაც დასაწყისში საჭიროა გონებრივი ხატების, სახის ან უხილავი ფორმის გამოყენება, მაგრამ ერთი პირობით, რომ იგი არ უნდა გადიოდეს არსებული სინამდვილის ფარგლებიდან წარმოდგენებისა და ოცნებების, ფანტაზიების სფეროში.

თუ გონება წამდაუწუმ მიმართულია გრძნობადი საგნებისაკენ, მაშინ ამ ქვეყნის ცრუ წარმოდგენას ვერ

დააღწევს თავს.

ჭვრეტის დროს თქვენ უნდა გრძნობდეთ საჭვრეტი ობიექტის სინამდვილეს, არსობას, სიტყვა და გრძნობა არ უნდა იყოფოდნენ, უბრალოდ მექანიკური ლოცვა მცირე შედეგს იძლევა. უნდა გრძნობდეთ იმას, რასაც ლოცულობთ, რასაც ამბობთ სიტყვით. თუ სიტყვით თქვენ ამბობთ: "უფალო იყოს ნება შენიო", მაგრამ მოქმედებთ საკუთარი ინიციატივით, გრძნობთ, რომ მოქმედებთ საკუთარი ნებით, ასეთი ლოცვა შედეგს ვერ მოგიტანთ, რა თქმა უნდა, ქმედითი მოღვაწეობაც იძლევა გარკვეულ სარგებელს - ხასიათის სიმტკიცეს, ნებისყოფის გაძლიერებას, იმედს, მაგრამ ეს ძალზედ მცირეა, თუ ამბობთ, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა, მოიქეცით და შეიგრძენით შესატყვისად.

ჭვრეტის მიმდინარეობა ღმერთის არსების გამოძიებისას, მისი მოპოვების მცდელობა შეიძლება წარიმართოს ორი ხერხით: პირველია საგანთა საშუალებით მასზე ფიქრი, მეორე კი - მასზე ფიქრი საგანთა გამორიცხვის მეშვეობით, პირველი ხერხის დროს ღმერთს შეიგრძნობთ მისი ქმნილების სიდიადის გააზრებით, საგანთა და მოვლენათა თვისებების ყურადღებით ვითარცა ღვთის მოქმედების გამოხატულებისა, მეორე ხერხის დროს კი უარვყოფთ ყველაფერ ქმნილს, იქნება ეს ნივთი თუ მოვლენა, თანმიმდევრობით, მყარი ფორმებიდან გააზრების ჩათვლით, რომ ამ უარყოფით მივიდეთ იმასთან, ვინც ქმნილების ზღვარს იქითაა, ამ ხერხის დროს უარიყოფა ყველაფერი, რაც რომ შეიძლება შევიგრძნოთ, წარმოვიდგინოთ და გავიაზროთ როგორც არა არსებითი, გავემიჯნებით რა ყველაფერს შესაგრძნობს, დასანახს ან გასააზრებელს. სული ჩამოშორებული ყველაფერს მიაღწევს იმას, ვინც არის შემომქმედი ყველაფრის.

თუ თქვენ ჭვრეტაში მოღვაწეობის ჟამს გრძნობთ, რომ თქვენს ირგვლივ, და თქვენში და ასევე ყოველივეში და ყველაფეში არსობს უფალი და რომ ის აღგიქვამთ თქვენ, მაგრამ სხვა დანარჩენი დროის განმავლობაში დატოვებთ ამ გრძნობას და ყოფიერებას აღიქვამთ ამ გრძნობის გარეშე

ასეთი მოღვაწეობა ნელი სვლა იქნება მიზნისაკენ.

საჭიროა მუდმივად შეიგრძნობდეთ ღვთის არსებობას, ეს აუცილებელია.

ადამიანი შედგება სულისაგან, გონებისაგან და სხეულისაგან, სულს აქვს ორი ნიშანი - ერთია უცვლელობა, მეორე მოძრავი, ცვალებადი, ცვალებადი იწოდება სამყაროდ, უცვლელი - ღმერთად.

სამყარო არის ღვთის გამოვლენა, მისი შემოქმედება, ღვთის მოქმედება იწოდება სამყაროდ, არ შეიძლება ითქვას, რომ სამყარო, წუთისოფელი არ არსებობს, რომ იგი ჩვენებააო, იგი სინამდვილეა, მაგრამ ფარდობითი, დადებითი ხერხი ღმერთის შემჩნევისა მიმართულია სწორედ ამ მოძრავი ნაწილისაკენ, უარყოფის ხერხი ღმერთზე ფიქრისა კი - უცვლელზე.

სული არის ყოვლის გამჭოლი, უნეტარესი, უძლიერესი, ყოველგან არსებული, მუდმივი, სრულყოფილი და უწმინდესი არსი, იგი იღებს ყველა იმ სახეს, ფორმას - და სახელს, რასაც ჰქვია სამყარო, ამას იქმს თავისი კეთილი ნებით, და არა ნდომით. ანუ მოქმედებს უანგაროდ, მოტივაციის ე.ი. მიზეზის და სარგებელის არ ქონით, ე.ი. შედეგის, ნაყოფის არ სურვილით.

მას არ გააჩნია სურვილი, რადგან განუყოფელია და სრულყოფილი, რადგან მისთვის არ არსებობს ობიექტი, იგი ერთადერითია და არ არსებობს მისთვის მეორე, რომელიც შეიძლება რომ არსებობდეს.

უგნურებაა ფიქრი იმისა, რომ უფალი თავად სრულია ნეტარებაში, ხოლო მისი შემოქმედება განიცდის დამცირებას, ტკივილს და მწუხარებას.

არ შეიძლება ვუსაყვედუროთ რაიმეში უფალს, იგი არ გვაყენებს ტკივილს, ამას იწვევს გონების ბუნების დაცემა, მისი დაბინძურება, რაც მდგომარეობს გამოცალკევების გრძნობიდან: "ჩემი", "მისი", "მე ვმოქმედებ" და ა.შ. აი, ეს აზრები, ეს განწყობები ანუ თავმოყვარეობა, ეგოიზმი არის მიზეზი ტანჯვისა, ხორცთან, სხეულთან საკუთარი თავის გაიგივებისა.

უნდა უარვყოთ ყოველგვარი სურვილი და ნდომა ლტოლვა, თვით ცხოვრების სურვილი, უკედავების ნდომ ნიშნავს ამ მდგომარეობის მიღწევას, მაგრამ ეს არცოდნა იმისა, რომ სიცოცხლე ჩვენი სულის ბუნებაა და არა შენაძენ თვისება, და ამიტომ უაზრობაა გსურდეს ის, რა წარმოადგენს შენს ბუნებას, ეს იმას ნიშნავს, რომ გსურდე შენი საკუთარი არსებობა.

ასე რომ, ყველა სურვილი: მთამომთავლობისა, სიმდიდრის და თვით გადარჩენისა უნდა უკუგდებული იქნას, მოქმედები მოტივი კი უნდა იყოს უანგარო სვლა განწმენდისაკენ.

ნუ გააიგივებთ თქვენსთავს იმასთან, რაც გარედა გაკრავთ თქვენ ანუ სხეულთან და გონებასთან, არამე შეიცანით ის, თუ ვინ ხართ სინამდვილეში.

ჭერეტაში ხელის შემშლელი მიზეზები სინამდვილეშ ჩვენშივე ძევს და არაა რაიმე გარეშეში, არსებებში მოვლენებში ან გარემო პირობებში.

ერთის მხრივ, გარემო პირობები დასაწყისში გარკვეულა ხელს უწყობენ ანდა ხელს უშლიან მოღვაწეობას, მაგრა უნდა გეახსოვდეს, რომ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ყურადღებ მიმართული გარეთ, ექვემდებარება გარემოებას, მაგრა როდესაც გაცნობიერდება ის, რომ შინაგან დამოუკიდებელია გარემოებაზე, მაშინ გარემოება დაიწყებ გადაწყობას შინაგანი წყობის შესატყვისად.

გახსოვდეთ თქვენს გარშემო არსებული გარემოებ გამოხატულებაა თქვენი გონებრივი წყობისა.

ჭერეტას ხელს უშლიან მოწყინება, მოუთმენლობა იმედგაცრუება, სიხარბე, ჩვევა-მიდრეკილებები, შიშები ხსოვნები, განკითხვა, ჯიბრი და ბოლოს, რაც ყველაზე ხელი შემშლელი გრძნობაა - ესაა შური.

ნუ უგდებთ ყურს თქვენს გონებას, როდესაც იგირაიმე გთავაზობთ, რადგან იგი ყოველთვის სჯის ან ანგარები მოტივით ან პატივმოყვარეობ... ...ელისთვის. ყური დაუგდე თქვენს გულისხმას ანუ სინდისს.

უკმაყოფილება თავმოყვარეობიდან გამომდინარე განსჯის კარნახია, გარემო პირობები იქმნება თქვენივე

გონებრივი მდგომარეობების მეშვეობით, ამ მდგომარეობას კი აყალიბებთ თქვენ თქვენი განსჯის მეოხებით.

უქმი საუბრები, უწესო საზოგადოება, ისეთი ადამიანები, რომლებიც პირადული სარგებლიდან გამომდინარე ცხოვრობენ, ვინც ტყუის, მლიქვნელობს, ცრუობს, თვალთმაქცობს, ძუნწობს, ლაზღანდარობს, ხუმრობს და ქალთა საზოგადოება, საზიანოა ჭვრეტის ღვაწლისათვის.

ხმაურიანი ადგილები, ბინძური, შფოთის მომგვრელნი, გამრთობი გარემოება, ხელის შემშლელია დამწყებისათვის.

სხვის საქმეში ჩარევა, სხვათა ნაკლის ძიება, სხვათა კიცხვა, ჭორი, გონებას მიმართავს გარეთ, დე წუთისოფელმა იცხოვროს თავის ნებაზე, თქვენ რა გაკლდებათ ამით? უფალი ხომ მეთვალყურეა ყველაფრის. ეს არ ნიშნავს არ არჩევდე ბოროტებას და სიკეთეს. ოღონდ ეს გარჩევა არ უნდა შეეხოს თქვენს გულს.

საკუთარი თავის გამართლება არის უძლიერესი ზღუდე, რომლის გადალახვა შეუძლებელია თუ არ იქნა უკუგდებული.

თავის განდიდება, თავის ქება, თვითკმაყოფილება, სიჯიუტე, თვალთმაქცობა და სიცრუე თანამგზავრობენ თავის მართლებას.

გემოთმოყვარეობა და ნაყროვანება ვისაც ძლევს, ამავე დროს ვინც ფიქრობს, რომ მიაღწევს წარმატებას ჭვრეტაში, ის თავს იტყუებს, თუ არ გრძნობ შიმშილს არ უნდა ჭამო, პირის გემოს მოთხოვნა და შიმშილი ერთი და იგივე არაა.

არათანმიმდევრულობა უნებისყოფობის გამოვლენაა.

სიძვა - მონობაა, უბიწოების დაცვით შეიძინება ძალა.

ბევრი ლაპარაკი გონების სისუსტეზე მეტყველებს.

თავდაჯერებულობა დაუჯერებლობას ბადებს, ურწმუნოებას, ეჭვიანობას, თვითნებობას, მედიდურობას, თვითკმაყოფილებას და ცრუ დამოკიდებულებას.

სილაღე და თავისუფალი ქცევა, მოურიდებლობას და უკრძალველობას. ე.წ. "ძმაბიჭობა" და "ძმაკაცობა" ბოჭავს კაცს და უბიძგებს კადნიერებაში, ეს კი შობს თავხედობას.

ამასთან ერთად, ჭვრეტის დროს კაცს ხელს უშლის თვლემა და ძილი, თვლემა ნახევრად ძილია და სულ სხვა რამეა,

ეიდრე ძილისა და მღვიძარებას შორის მდგომარეობა, რომელიც ყალიბდება ჭვრეტის დროს, რომელიც არის სრულყოფილი მოდუნების მდგომარეობა, სხეულისა და წარმოადგენს - განსჯის სფეროს პასიური მდგომარეობა ყურადღების სრულყოფილ სიფხიზლესთან ერთდროულად.

ინერტულობა და სიზარმაცე ასევე ებრძვიან მჭვრეტელს, ამიტომ აუცილებელია სხეული დაიტვირთოს მარტივი, მექანიკური, მოძრავი საქმიანობით, თუნდაც უმიზნოდ წარმოებული, შედეგის ან ნაყოფის არმოპოვებისათვის ქმნილით.

სხეულის ფუფუნება და შემოქმედებითი საქმიანობა არ არის მჭვრეტელის საქმე.

კიდევ უფრო ძალუმი მოწინააღმდეგეები არიან ბრაზი, მრისხანება, რაც მიუთითებს სურვილთ ვერ შესრულებაზე და ამრიგად გონების დაცემულობაზე, გაღიზიანება გონების სისუსტეა, ვინც მრისხანება დაათკა უკეთურებას აღარ იქმს, ხოლო, ვინც ღიზიანდება ის ყოველთვის არამართალია.

დე სიტყვა თქვენიიყოს ყოველთვის რბილი და კეთილი. უხეში სიტყვა და ტონი შუღლის საბაბია მართალიც რომ იყოს მთქმელი.

განკითხვა, ავსიტყვაობა, ცილისწამება, შურის შედეგია, შური კი ამ ქვეყნის სურვილი, სურვილი ძალაუფლების, ამ ქვეყნის სურვილს და ნდომას კი მოსდევს სევდა თუ ვერ აღსრულდა სურვილი, ხოლო შემდგომ უიმედობა და ეჭვი.

ეს ყველაფერი გონების ხრიკებია, რომ მიმართოს კაცი ამა სოფლისაკენ, მჭვრეტელი აუცილებელია რომ იყოს გულადი და პირდაპირი, საკუთარი თავის არ მომტყუებელი ცრუ დაიმედებით.

შიში თავის მოტყუებაა, სუსტი ინტელექტის მაჩვენებელი, სუსტი განსჯის და გარჩევის უნარის. რადგან შიში იშვება საფრთხის პროგნოზირების შედეგად, ხოლო გონების ფუნქცია საფრთხის გააზრებისა საჭიროა შესატყვისი მოქმედების გეგმის დასახვისათვის, როდესაც ადამიანი არ მოქმედებს, საფრთხის გააზრება იწვევს შიშის გრძნობას, რომელიც არის სხეულის ხელყოფის და ტკივილის არ ნდომა,

ასე რომ, შიშის საფუძველია სხეულთან საკუთარი თავის გაიგივება. ინდივიდუალური თვითშეგრძნება, ეგოიზმი. საფრთხის დროს მოქმედებისას შიში ქრება, რადგან გონებას არ ძალუძს ორი განწყობის ერთდროულად ყურადღება.

ასევე, მკრეხელური და ბინძური აზრების წარმოშობა გონებაში არ უნდა იქცეს შიშის და შეცბუნების საბაბად, ნუ სწუხართ, ეს სიბინძურე ამოდის დასუფთავების შედეგად.

ჭვრეტის წარმოებას თან სდევენ სხვადასხვაგვარი განცდები და მდგომარეობები, სხეულის რყევები, თრთოლა, სითბური შეგრძნებები, ნათებები და ჩვენებები, ხმები, ბგერები, თავის მოტყუებაა მათით ჭატაცება, ანდა მათი მიღება ვითარცა რაღაც ფასეულობისა ან ჭეშმარიტების გამოელენად, მით უმეტეს შიში მათი, არის გაუკრვეელობის შედეგი, მათდამი ასეთი დამოკიდებულების ქონა არის შედეგი სიხარბისა თავმოყვარეობის და პატივმოყვარეობისა.

სიხარბეს და პატივმოყვარეობას თან სდევს მძულვარება, რომლის გამოვლენებია სხვისი შეურაცხყოფა, დამცირება, დაცინვა, აბუჩად აგდება, გამასხარავება, გამოჯავრება, ყველა ესენი არიან სიძულვილის გამოხატვის ნაირსახეობები და მომდინარეობენ საკუთარი უძლურების არ აღიარებიდან.

მოუთმენლობა ასევე ხელისშემშლელია ჭვრეტაში მოღვაწეობისათვის, ეჭვიანობა და შური კი ჭაობია სულისთვის, სულმოკლეობა იშვება მაშინ, როდესაც სხეულის სიამოვნებას ენიჭება უპირატესობა, ხოლო მდაბიურობა თავს იჩენს მაშინ, როდესაც ზრახვებში უპირატესი ადგილი უკავია ზრახვას: “ჩემი”.

ვინც ჯიუტია, დაუჯერებელი, არ დამთმობი და ავადმყოფურად თავმოყვარე, მიჰყვება თავის ჯიუტ პიროვნულ ნებას იგი, ვერ შევა ჭვრეტის სამყაროში, უპატივცემულო და უმრდელი, დაუჯერებელი და თავის ნება ამპარტავნების მსხვერპლი ხდება, მოკლებული გულახდილობას ექცევა ბნელი ძალების დაქვემდებარებაში.

ვისაც სურს ემიაროს ჭვრეტის ხელოვნებას, მან არ უნდა მოითხოვოს თავისუფლება თავისი წვრილმანი და მდაბიო პიროვნული გონებისა და თავმოყვარეობისათვის.

უნდა უარყოთ საკუთარი აზრის გატანის მაენე ჩვევ სხვისი ჭკუის სწავლება და დარიგება და არა მარტ მოქმედებით, არამედ გრძნობითაც არ უნდა ეგრძნობდე საკუთარი სისწორით სხვაზე აღმატებულებას. სხვისი აზრი უპატივცემულობა, შეუწყნარებლობა, შეურიგებლობა დ ფანატიზმი ახშობს გონებას სიძულვილით.

წარმოდგენები და შინაგანი ლაპარაკი, ოცნებები დ ფანტაზიები იტაცებენ ყურადღებას ფიქრთა სფეროში დ როგორც წესი, ემსახურებიან თაემოყვარეობას, ამიტო აუცილებელია, რომ ჭვრეტა ემყარებოდეს შეგრძნებები სფეროს, ყურადღების თავმოყრა უნდა მოხდეს გრძნობი მეშვეობით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხელისშემშლელი პირობები საწყისი და თავისთავად ყველაზე უპირველეს ხელისშემშლელი ზღუდე არის სიამაყე, დიდების მოყვარებ პირველობის ნდომა, ამპარტავნება, რასაც მოსდევ ფარისევლობა. დიდება და პატივისცემა აბრმავებს გონება ამიტომ იმოღვაწეეთ შეუმჩნევლად, არგანცხადებულად ის რომ არ მიიპყროთ ყურადღება, იყავით უბრალონი დ ბუნებრივნი, რადგან რელიგიური მოღვაწეობა ადამიანი ნორმალური საქმიანობაა და არა რაიმე განსაკუთრებულ და თავისგამოსაჩენი რამ, იგი არის აუცილებელი საქმიანობ ამ წუთისოფელში არსებობის სიძნელეების ღირსეულა სატვირთველად და რაც მთავარია, სიკვდილთან ღირსეულა შეხვედრისათვის მოსამზადებლად და შემდგო განსხეულებისა, უშფოთველობაში დასამკვიდრებლად.

## პრაქტიკული მითითებანი

პირველ რიგში, საჭიროა მომზადდეს ადგილი, სადა იმოღვაწევებთ, თუ არის ამის საშუალება სჯობს მოამზადო ოთახი, გადააქციეთ იგი "ტაძრად" ან "უდაბნოდ" ან "უდაბუ ტყედ", სადაც გექნებათ განმარტოების საშუალება. ეცადე არ შევიდნენ იქ თქვენგან განსხვავებული აზრის მქონ პირები, თვით თქვენც კი ამ ოთახში უნდა შედიოდე

მხოლოდ კეთილგანწყობით და ღმერთზე ფიქრით, ამ ოთახში ჟეჭეიანი, მრუშობის, შურის და მრისხანების გულის განწყობით ყოფნა არ არის სასურველი, ისევე როგორც ლაპარაკი და ფიქრები წუთისოფლის ამაო ცხოვრებისეულ საკითხებზე. და ეს იმიტომ, რომ ყოველი წარმოთქმული სიტყვა და ყოველი აზრი და ასევე ყოველი მოქმედება არ ქრება უკვალოდ, არამედ რჩებიან სივრცის ფაქიზ სფეროებში და აღავსებენ ოთახს და ახდენენ ზეგავლენას მასში მყოფ ადამიანის გონებაზე.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ გარემო პირობები მეორადია, არსებითი კი არის შინაგანი ღვაწლი, ამიტომ თუ არა გაქვთ შესაძლებლობა იქონიოთ ცალკე ოთახი ამის გამო ნუ ააფორიაქებთ თქვენს გონებას წუხილის, უკმაყოფილების და საზრუნავის გამო, გამონახეთ რომელიმე კუთხე და შემოსაზღვრეთ იგი ფარდით ან რაიმე სხვა საგნით, თუ არც ამის შესაძლებლობაა, განმარტოვდით ბუნების რომელიმე ლამაზ პეიზაჟში და მყუდროებით დაცულ ადგილზე, და ბოლოს თუ არც ამის შესაძლებლობაა, ადამიანს ყოველთვის რჩება სანუკვარი და იდუმალი ადგილი განმარტოებისათვის, ეს არის მისი საკუთარი გული, ანუ სხვაგვარად, შინაგანი ადამიანი.

როდესაც თქვენ იმეორებთ ან კითხულობთ ლოცვებს და ახსენებთ ღვთის სახელს, წარმოიშვებიან წმინდა გონებრივი ვიბრაციები, აზრთა ტალღები, რომლებიც ახდენენ გავლენას გარემო სივრცეზე, ასე რომ, გარკვეული დროის შემდეგ თქვენს ოთახში ჩამოყალიბდება წმინდა სულიერი ატმოსფერო, რომელიც თავისთავად იქნება თქვენი შემწე მოღვაწეობაში, თქვენ თვითვე დარწმუნდებით ამაში, როდესაც ამასოფლური საზრუნავისაგან აფორიაქებული შეხვალთ რა თქვენს სალოცავ ოთახში, მიიღებთ სიმშვიდის განწყობას.

შემდეგი, რაც საყურადღებოა ეს არის კვების წესრიგი, გონების თავმოყრაში წარმატებული მოღვაწეობისათვის საჭიროა ყურადღება მიექცეს საკვებს, იგი არ უნდა იყოს დამამძიმებელი, აღმგზნები, მარილიანი და ინერტული,

საკვებისადმი დამოკიდებულება უნდა იყოს როგორც ენერგიის აღმდგენი და არა გემოენების დამაკმაყოფილებელი და სიამოვნების მომგვრელი საშუალებისადმი.

ხორცი, შაშხი, დამჟავებული, ნიორი, ხახვი, სანელებლები და ყველაფერი ისეთი, რაც აღაგზნებს, უკუგდებული უნდა იქნას.

საკვები უნდა იყოს ერთფეროვანი, ისე რომ, პირის გემოენებას არ ართობდეს, კვებით კი, საკმარისია დღეში ერთხელ კვება და ისიც ისე, რომ შენარჩუნებული იყოს სიმსუბუქე კუჭში.

მაგრამ აქაც უნდა გვახსოვდეს, რომ საკვების გამორჩევა გარეგანია და მეორადი, საკვები ვერ გამოიწვევს გონების თავმოყრას, საკვებმა და კვების ჩვეულებამ ხელი არ უნდა შეუშალოს მოღვაწეობას, ეს არის მთავარი დანიშნულება კვების მოწესრიგებისა, აქედან გამომდინარე, თუ გარემო პირობები გაიძულებთ საკვების ხარისხის შეცვლას, ამით არ უნდა დაითრგუნოთ, შეგიძლიათ მოიხმაროთ ყველაფერი, გახსოვდეთ, რომ ღმერთზე ფიქრის შეურაცხმყოფელი საკვები არ არსებობს, ოღონდ დაიცავით ზომიერება.

გონების თავმოყრაში ვარჯიშის დრო ყველაზე კარგია ალიონზე მზის ამოსვლის ჟამს და დაისის დრო მზის ჩასვენებისას,ეს მონაკვეთები ყველაზე მშვიდი მონაკვეთებია ბუნებისა დღის განმავლობაში.

თავდაპირველად ივარჯიშეთ მხოლოდ ორჯერ დღეში დილით და საღამოს, ჯერ დაუთმეთ ამას ნახევარ-ნახევარი საათი, შემდეგ კი ნელ-ნელა გაზარდეთ დრო ისე, რომ შესძლოთ ვარჯიში ხუთი-ექვსი საათი განუწყვეტელად. მაგრამ ეს შემდგომ, ხანგრძლივი ღვაწლის შემდეგ, უფრო ადვილია გაზარდოთ რაოდენობა ვარჯიშის წარმოებისა დღის განმავლობაში, დაუმატეთ შუადღის ვარჯიში, შემდეგ შუაღამის.

გონების თავმოყრაში, ვარჯიში ადვილია ღამით, იგი ბუნებრივად მოცემული გარე მყუდროებაა.

ასევე შეგიძლიათ ივარჯიშოთ მოკლე-მოკლე დროის ვარჯიშებით, მაგალითად, ხუთი წუთის განმავლობაში

ეცადოთ ჩაღრმავდეთ საკუთარ თავში, შემდეგ იმოძრაოთ აკეთოთ საქმე, მაგრამ ეცადეთ გაიყოლიოთ ის შეგრძნება-განწყობა, რაც გქონდათ თვითჩაღრმავების ჟამს, შემდეგ ნახევარი საათის განვლისას ისევ ხუთი წუთით ჩაღრმავდეთ და ასე შემდეგ მთელი დღის განმავლობაში.

საბოლოო ჯამში კი შიგნით მიმართული ყურადღება შენარჩუნებული უნდა იყოს მთელი დღის განმავლობაში.

ეხლა რაც შეეხება ჯდომას, გონების თავმოყრაში ვარჯიშის წარმოება შესაძლებელია ყველანაირ მდგომარეობაში, ისევე როგორც არაა საჭირო და აუცილებელი რაიმე მდგომარეობის მიღება, როდესაც ფიქრობთ რაიმე საინტერესოზე, ფიქრი ხომ შესაძლებელია ყველანაირ მდგომარეობაში, ასევე ჭვრეტა შეიძლება მიმდინარეობდეს ყოველთვის, მაგრამ თავდაპირველად მისი განხორციელება ყველაზე მოსახერხებელია მჯდომარე მდგომარეობაში.

დაჯექით ფეხმორთხმით,ან პატარა სკამზე, ეცადეთ სწორად დაიჭიროთ მკერდი, რომ არ იყოს ჩავარდნილი, დაუშვით მხრები, კისერი გეჭიროთ სწორად, ან დაუშვით თავი მკერდზე ისე, რომ ნიკაპი ეყრდნობოდეს მას.

რაც მთავარია, უნდა ისწავლოთ სხეულის მოდუნება, მოშვება, დაუძაბავ მდგომარეობაში მისი დაჭერა, მოადუნეთ ყველა კუნთი, შეიგრძენით სხეულის სითბო და სიმძიმე, სხეული ისე უნდა იდოს სკამზე, როგორც ქვიშით სავსე ტომარა, მკვრივად და მოშვებულად, მოწყვეტილად, ეს საკმარისია, თვალები თავდაპირველად დახუჭეთ, შემდეგ შეგეძლებათ ღია თვალებით მიმართოთ გონებრივი მზერა შიგნით.

შემდეგი ნაბიჯია სუნთქვის მოწესრიგება, მაგრამ შესაძლოა ზოგს გაუჭირდეს სუნთქვის მოთვინიერებაში ვარჯიში, მაშინ მან უნდა დაიწყოს გონების თავმოყრის ვარჯიშები უშუალოდ გონების გამახვილებაზე ყურადღების შეჩერებით, სუნთქვა კი თავისთავად დაწყნარდება.

მაშ ასე, სუნთქვის მოწესრიგება იწყება რითმული სუნთქვის გამომუშავებიდან, რითმული კი ეწოდება ისეთ

სუნთქვას, როდესაც თანაზომიერად მიმდინარეობს ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა. ივარჯიშეთ იმაში, რომ თანაბარი იყოს ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა,თანდათან შეანელეთ ჩასუნთქვა-გამოსუნთქვის მიმდინარეობა, გაწელეთ სუნთქვა ისე, რომ გახდეს თითქმის შეუმჩნეველი.

გასაადვილებლად თვალეთ რაოდენობა ჩასუნთქვა ამოსუნთქვისა. სუნთქვა თავად შეიძლება იქცეს გონების თავმოსაყრელ ობიექტად, მაგრამ ჩვეულებრივ საკმარისია მისი ოდნავ შეკავება, რომ არ ვისუნთქოთ მოწყვეტით, დიდი ულუფებით, მთავარი კი გონების მიმართვაა ღმერთის გამოძიებისკენ.

ხშირად სუნთქვას უკავშირებენ ლოცვის წარმოთქმას, ასე უფრო ადვილია ლოცვაზე გონების თავმოყრა. მაგალითად, ჩასუნთქვაზე იტყვიან გონებაში ერთ მოკლე ლოცვას, ამოსუნთქვაზე გაიმეორებენ იგივეს და ა.შ.

ეხლა, რაც შეეხება თვით გონების თავმოყრას.

არსებობს სხვადასხვა საგანი და განწყობაგონების მისაბმელად, ის, რაც ხელსაყრელი იქნება ერთისათვის, შეიძლება არ გამოდგეს სხვისთვის.

გონების თავმოყრა არის ერთი რაიმე ობიექტის ფიქსირება გონების მიერ, ან საკუთარი სხეულის შიგნით ან გარე სამყაროში, ან საგანზე ან გააზრებაზე, ან კონკრეტულ ობიექტზე ან აბსტრაქტულზე.

მაშ ასე, აი, თუ რაზე შეიძლება ყურადღების მიპყრობა:

აიღეთ ხატი, დაიდგით თქვენს წინ, დაჯექით მშვიდად და მიაპყარით მზერა ხატს, ეცადეთ გონებრივი მზერა არ გაგექცეთ ფიქრებში, რომლებიც არ ეხებიან ამ ხატს. ნელ-ნელა გადააადგილეთ მზერა ხატზე, დე მზერა დაცოცავდეს მასზე, შემდეგ უმზირეთ ხატს ერთობლიობაში, შემდეგ ისევ ნაწილებს, როდესაც დაიღლებით დახუჭეთ თვალები და ეცადეთ გონების მზერით ნათლად წარმოიდგინოთ ხატი, ასეთი ვარჯიშის დროს გონებაში უნდა იმეოროთ ხატის შესატყვისი ლოცვა, ხოლო გრძნობით უნდა შეიგრძნოთ, თუ როგორ გადმოედინებიან ხატიდან თქვენსკენ ძალა, სიწმინდე, სიყვარული, ასეთი ვარჯიშების შემდეგ სულ ცოტა ექვსი თვის

შემდეგ ეცადეთ წარმოიდგინოთ ხატი გონებრივი მზერის წინ, ჯერ დახუჭული თვალებით, შემდეგ კი გახელილი თვალებით.

ანდა მზერის მიბმა ადვილია ანთებულ სანთლის ალზე, უმზირეთ სანთელს, სჯობს სიბნელეში ჯვარჯიმოთ, მოათავსეთ სანთელი ხელის გაწვდენის სიშორეზე, მიაპყარით მზერა მას და ეცადეთ არ გაუქცეთ იგი, ხოლო თუ აღმოაჩინეთ, რომ გაგიტაცათ ფიქრებმა ისევ მოუბრუნდით საწყის პოზიციას, ამასთან ერთად იმეორეთ საუფლო ლოცვა, ან ღვთის სახელი.

როდესაც გონების თავმოყრაზე მივუთითებთ, მხედველობაში გვაქვს არა მარტო ფიქრის მიპყრობა რაიმესაკენ, არამედ ამ რაიმეს მიმართ თვითშეგრძნების ყურადღება, გრძნობა, განწყობა.

გონების თავმოყრა შეიძლება ლოცვის წარმოთქმაზე, ამისათვის მრავალგზის იმეორებენ ერთი და იგივე რაიმე მოკლე ლოცვას და მთელი არსებით არიან მიმართულნი ამ ბგერების წარმოთქმისაკენ, ხმისაკენ, მიაპყრობენ რა მთელი გულისყურით სმენას.

აიღეთ რომელიმე ადგილი თქვენს სხეულზე ან ჭიპის არე, ან მზის წნელი, ან მკერდის ძვალი, ან ყელი ლავიწების ღრმულთან, ან შუბლის არე წარბებს შორის, ან ნათხემი თავის ქალაზე, ანდა ბოლოს გული. ამოირჩიეთ რომელიმე და შემდეგ ნუ შესცვლით მას, მიმართეთ მთელი თქვენი ყურადღება და გრძნობები ამ ადგილის აღსაქმელად და შესაგრძნობად სხეულის სხვა ნაწილებიდან დამოუკიდებლად.

ანდა მოუყარეთ თავი მთელს თქვენ შეგრძნებებს, აზრის მიმართულებას, მზერას, როგორც გარეგანს, ისე შინაგანს თქვენს "მე"-ზე, თქვენი არსებობის სინამდვილეზე.

დაუკავშირეთ თქვენი არსებობის თვითშეგრძნებას გააზრებები სიყვარულისა, ენერგიისა, ძალისა, სინათლისა.

ანდა მთელი თქვენი არსებით ჩაღრმავდით გულში, მთელი გულისყური მიმართეთ გულისკენ, ასევე გრძნობა, იგრძენით გულის ადგილი მთელი სხეულის გრძნობიდან გამორჩეულად

და ღმერთის სახელის უწყვეტი ღაღადით და გამეორებით მოუხმეთ უფალს.

ანდა ღმერთის სახელი დაუკავშირეთ სუნთქვას, ჩასუნთქვაზე წარმოთქვით სახელი, ამოსუნთქვაზე ისევ, განწყობით იდექით ღმერთის მზერის ქვეშ, ეს საკმარისია.

თუ თქვენ მიმართული ხართ ყურადღებით გრძნობადისადმი, მაშინ ამ წუთისოფლის სინამდვილედ მიღების ცრუ წარმოდგენა არ დაგტოვებთ თქვენ.

ხოლო თუ გონება გამუდმებით მიმართულია სულისკენ, საკუთარი არსობისკენ, სხეულისაგან დამოუკიდებლად არსებულზე, მაშინ ეს წუთისოფელი აღიქმება როგორც სიზმარი ან ზმანება.

ამ სამყაროს საგნებისა და სახელების იქით დაფარულია უნივერსალური ცოცხალი ძალა, ანუ გონი,შეიგრძენით და გაიაზრეთ ხილული საგნების იქით ეს ძალა, გონი, რომელსაც არა აქვს ფორმა, რომელიც აღავსებს ყველაფერს, შეაჩერეთ თქვენი გონება ამ აზრზე.

ანდა შეიგრძენით წარმოდგენით წარმოუდგენელი ამ ყველანაირი ფორმებისა და არსებების უკან არსებული ამ ფორმებს ამოფარებული ცოცხალი ბრწყინვალება, უკიდეგანო და უნივთო.

ან შეიგრძნეთ სივრცე თქვენს ირგვლივ და თქვენში და ყველა საგანში და ყველა არსებაში როგორც ფუძე და გამაერთიანებელი მთელი სამყაროსი.

ამ იდეების შეგრძნებისას და მათზე ფიქრისას იმეორეთ ღმერთის სახელი, გააცნობიერეთ ეს ყველაფერი ვითარცა ღმერთის გამოვლენა.

/ განუდექით სხეულის შეგრძნებას როგორც თქვენი თავისა, უარყავით თქვენი სხეული, ამტკიცეთ: "მე არ ვარ ეს სხეული", " მე ვარ სული, აღმქმელი", ეს უნდა შეიგრძნოთ, თუ მხოლოდ სიტყვით ამბობთ, რომ ხართ სული, ხოლო გულში გრძნობთ, რომ ხართ სხეული დაქვემდებარებული ავადმყოფობას და რღვევას, ამგვარი მოღვაწეობა არ მოგიტანთ წარმატებას//

თუ თქვენ დაიწყებთ გონების მოკრებას სუნთქვაზე, მალე შეამჩნევთ, რომ სუნთქვა ხდება ძალიან ნელი, ხოლო

საბოლოო ჯამში საერთოდ შეწყდება, მაგრამ ამის გაკეთება ძალდატანებით არ შეიძლება, რადგან შეიძლება დაგიზიანდეთ ფილტვები და გული.

შეიძლება მოხდეს ისე, რომ გონების ღრმა თავმოყრის დროს თქვენს წინ გამოელინდნენ არსებები, ფანტასტიკური და საშინელი შესახედაობის, ისინი წარმოადგენენ ე.წ. "მიწისქვეშეთის" სფეროს არსებებს, მათ შემაშინებელი შესახედაობები აქვთ, მაგრამ არ არიან არანაირი ზიანის მომტანნი, ისინი უბრალოდ გამოჩნდებიან, როგორც მსახიობები სცენაზე, ისინი ევლინებიან მჭვრეტელს, რომ გამოსცადონ მისი აღუშფოთელობა, მათ არ ძალუძთ არანაირი ვნების მოტანა და წინ ვერ აღუდგებიან ზნეობრივად მტკიცე მოღვაწეს, ლოცვების ღაღადი და ღმერთისსახელის ხსენება გააგდებს მათ საკმაო მანძილზე, ასე რომ, ჭვრეტაში მოღვაწეობა გულადობას მოითხოვს.

ზე ფიზიკური სფეროების ხილვები ჭვრეტისას მოდიან და მიდიან, მათ თავისთავად არანაირი მნიშვნელობა არა აქვთ.მათი ნდომა სიხარბეა და ცნობისმოყვარეობა, მათი მიღწევა კი მოითხოვს საკმაო გამოცდილებას ჭვრეტაში, ასე რომ, დამწყებისათვის ეს სფეროები მიუწვდომელია, ხოლო მათმა ნდომამ შეიძლება გამოიწვიოს გალუცინაციები და მაშინ ახალბედა მოტყუებული თაეისივე ფანტაზიებით წინ ვერ მიდის. საერთოდ კი თვით გამოცდილ მჭვრეტელთათვისაც კი ისინი უნდა იყვნენ მეორეხარისხოვანი რამ, მთაეარია საბოლოო მიზანი, ანუ ხილვა ღმერთისა,ხოლო ის, ვინც ცდუნდება ამ მოვლენებით მას ეხშობა გზა ზე აღსვლისა, ისინი ხელისშემშლელი მოვლენებია თვითგანწმენდის გზაზე, რადგან, თუ მჭვრეტელმა მიაღწია მათ, მისი გონება მზადაა მთელი დღე იყოს მიჩერებული მათზე და არა ღმერთზე, ამიტომ ნუ გაიკარებთ თვით ფიქრებსაც მათზე.

ასევეა ძალების მიმართ, ნუ მოისურვებთ გონებრივი ძალმოსილობის შეძენას, ეს ყველაფერი წარმავალია და მათ გამოკიდებული თქვენ დაჰკარგავთ მარადიულს.

თუ თქვენ თანმიმდევრულად და სისტემატიურად

ივარჯიშებთ გონების თავმოყრაში, თქვენ მოიპოვებთ გარკვეულ გონებრივ ძალებს, მაგრამ ნუ მიაქცევთ ამას დიდ ყურადღებას, და მით უმეტეს, არ ეცადოთ მათი გამოყენება ანგარების მიზნით, რადგან ასეთ შემთხვევაში თქვენი წინსვლა შეწყდება და საზღაური მოგევებათ დასჯის სახით.

გონების თავმოყრისას ადამიანს ეუფლება ნეტარების სხვადასხვანაირი განწყობები, ტკბობის განცდები, არ შეჩერდეთ მათზე და მით უმეტეს, ნუ იფიქრებთ, რომ თქვენ მიაღწიეთ მიზანს.

ასევე გონება შეიძლება შევიდეს სიწყნარის მდგომარეობაში, სადაც არ არის არც ლტოლვა და არც არნდომა; იგი უნდა დაძლეული იქნას ყურადღების კიდევ უფრო ღრმად შეტრიალებით.

ასევე გონება შევა სიცარიელის სფეროში, ამ მდგომარეობაში თქვენ დარჩებით მარტოობაში თქვენ თავთან, ვერ დაინახავთ ვერაფერს და ვერც ვერაფერს მოისმენთ, დაგეუფლებათ მარტოობის განუზომელი გრძნობა, თქვენ ვაჟკაცურად უნდა გაუძლოთ ამ გამოცდას.

გონების სრულფასოვანი მოკრება უნდა დადგინდეს იმით, რომ გონებრივი მზერის წინ შუბლის არეში აღინთებიან ნათებები. აი, ამ მომენტიდან შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოვარჯიშემ მიაღწია ჭეშმარიტი გონების მოკრების დასაწყის დონეს. ეს ნათებები სხვადასხვა ფერებისაა თეთრი,წითელი, მწვანე, ეს ნათებები სამყაროს საწყისი მდგომარეობების გამომხატველი ნათებელია.

გონების თავმოყრის დროს თქვენი მზერის წინ შეიძლება გამოჩნდეს დიდი მზე ან მთვარე, ასევე ელვისებური ნათებები, ნუ გაერთობით მათით.

ასევე შეიძლება მოხდეს ისე, რომ თქვენ მოგევლინონ წმინდანები, ან ანგელოზები, ან ადამიანთა სულები, მიაგეთ მათ პატივი ყურადღებით, მიმართეთ მათ შეკითხვით, ისინი მოდიან იმიტომ, რომ გაგამხნევონ და შეგეწიონ.

თუ სწორად იქნა წარმოებული ჭვრეტა თქვენ შუბლის შუაგულში იხილავთ დიდებულ მბრწყინავ სინათლეს, რამდენიმე წუთით, იგი გამოჩნდება ან ზევიდან ან

გვერდიდან.

ხანდახან დაინახავთ მზეს 10-20 სანტიმეტრის დიამეტრისზომის, ან სხივმოსილს ან სხივებს გარეშე.

თქვენ ასევე შეიძლება დაინახოთ თქვენი მოძღვარი,როდესაც თქვენ შეიგრძნობთ თქვენს ჭეშმარიტ "მე"-ს, ან ელვარებას, ან ხედავთ დამაბრმავებელ სინათლეს, ანდა განიცდით რაიმე სულიერ განცდას, ნუ უკუიქცევით შეშინებული, არ შეწყვიტოთ ვარჯიში და ღეაწლი, ასევე ნუ მიიჩნევთ ყველაფერ ამას მოჩვენებებად ან ილუზიებად.

გონების თავმოყრის სწორად წარმართვის მაჩვენებელია დროის შეგრძნების გაქრობა, თქვენ დაკარგავთ წარმოდგენას დროის შესახებ და გარემოს აღქმას. ასევე, თანდათანობით გაგიქრებათ სხეულის გრძნობა, ყველა შეგრძნება გაქრება თანდათან, ასევე ნელ-ნელა ჩაქრება ეგოიზმის გრძნობა, პიროვნულობის გრძნობა, აზრის და გონების მოქმედებაც ასევე თანდათან შეწყდება და თქვენ ჩაესვენებით ღრმა ნეტარ მდუმარებაში, შეწყდება სუნთქვა.

წმინდანების და უსხეულო დასების ხილვები და ასევე სხვა რამ მოვა თავისთავად იმასთან, ვინც მიმართულია ღმერთისაკენ.

ღრმა ჭვრეტის დროს ჯერ იკარგება სხეულის შეგრძნება, შემდეგ კი გარემოსი. იმის გრძნობა, რომ თქვენ თითქოს მიიწევთ მაღლა იმის მაუწყებელია, რომ თქვენ გადადიხართ ფიზიკურ სფეროზე უფრო მაღალ სფეროებში.

შეიძლება თქვენ იგრძნოთ ის, რომ თქვენი თავი გამოკიდებულია ჰაერში, ნუ შეშფოთდებით ამით.

ასევე თქვენ შეიძლება გაიგოთ შინაგანი ხმები, ხმები უმთავრესად მოისმის მარჯვენა ყურში, ისინი შეიძლება იყოს ან ზარების ხმა, ან ღოლის ხმა, ან ჩანგის, ან ფლეიტის ხმა, ან მეხის ხმა, ან ზღვის მოქცევის ხმა.

თქვენ შეიძლება ჭვრეტისას დაინახოთ თეთრი სფეროები მზერის წინ სივრცეში მოცურავენი ეს იმას მიანიშნებს, რომ გონება შედის აუღელვებლობის მდგომარეობაში. რამოდენიმე თვის მეორე ეს სფეროები გაიზრდებიან ზომაში და გაბრწყინდებიან დამაბრმავებელი ბრწყინვალებით, ეს

ნათებითიმოვლენები ვლინდებიან მაშინ, როდესაც თქვენ ხართ ძილისადა მღვიძარების მდგომარეობაში, ორ განზომილებას შორის, თქვენ არ უნდა გაინძრეთ ამ დროს, ხოლო თქვენი სუნთქვა უნდა იყოს ძალიან ნელი.

ასევე თქვენ შეიძლება იხილოთ მბრწყინავი დამაბრმავებელი სინათლე ჭვრეტისას, რომელიც ავსებს სივრცეს, ეს უკვე მაღალი დონეა ჭვრეტის, თქვენთვის მტკიცნეული იქნება მისთვის მზერის გასწორება, ეს სინათლე გამომავალი იქნება გულიდან.

ასევე თქვენ დაინახავთ სხეულებს, ჩვეულებრივს და მბრწყინავს.

ჭვრეტის დროს თქვენ შეიძლება დაინახოთ ძლიერი, მზერისათვის გაუძლებელი თეთრისინათლე, ზომით მზეზე უფრო დიდი. ისინი, ვინც გონებას თავს უყრიან, წარბებს შორის შუბლის არეში ამ სინათლეს დაინახავენ იქ, ხოლო ისინი, ვინც ყურადღებას მიმართავენ ნათხემზე, ამ სინათლეს დაინახავენ იქ.

ზოგი კონცენტრირდება გულში, ზოგი შუბლში, ზოგი კი ნათხემზე, ნუ გამოიცვლით არჩეულ ადგილს.

არსებები და საგნები, რომლებიც ევლინებიან მჭვრეტელს, არიან ფიზიკური სფეროს იქით სიმღრმეში არსებული შეგრძნებათა სფეროს არსებები. ისინი გვანან ადამიანებს, მხოლოდ არ გააჩნიათ ფიზიკური სხეული, მათ ასევე აქვთ სურვილები, ვნებები, მისწრაფებანი, უყვართ, სძულთ და ა.შ. ისინი შემოსილები არიან ფაქიზი სხეულებით, მათ შეუძლიათ გადაადგილება თავისუფლად, და ასევე შეუძლიათ მატერიალიზაცია, აქვთ უნარი საკუთარი ზომის შეცვლისა.

მბრწყინავი სხეულები არიან უსხეულოთა დასის წარმომადგენლები, რომლებიც განეკუთვნებიან აზროვნების სფეროს.

ყველაფერი ის, რაც შეუძლია მასწავლებელს, რომ გაუკეთოს მოწაფეს - მისცეს მეთოდი, რომლის მეშვეობითაც მას ექნება შესაძლებლობა აღიქვას ჭეშმარიტება, ან მიუთითოს გზა, სიარულით კი მოწაფემ უნდა იაროს თვითონ. საბოლოო მიზანი კი არის ღმერთთან მიახლება.

აი, ნიშნები წინსვლისა. თუ თქვენ აღარ გაინტერესებთ საერო ცხოვრება, და გრძნობდი საგნები აღარ იწვევენ თქვენში ინტერესს.

თუ აღარ გაქვთ ლტოლვა, შიში, თავმოყვარეობა, და კერძოობის ფიქრი-განწყობა.

თუ აღარ გაქვთ მიკერძოება სხეულისადმი.

თუ აღარ სთვლით "ეს ჩემია"-ო.

თუ სხეული და გონი ხდებიან მსუბუქნი.

თუ ხართ ყოველთვის ხალისიანი და ბედნიერი.

თუ ღმერთის სახელი გამუდმებით თქვენს ბაგეებზეა.

თუ გონება ყოველთვის ფერხთითაა ღმერთისა.

თუ გრძნობთ გულით გამუდმებით ღმერთის არსობას ყველგან და ყველაფერში.

თუ თქვენ გიქრებათ სხეულის გრძნობა, ხოლო თუ მაინც გრჩებათ მისიშეგრძნება, ვითარცა წარმოდგენა, როგორც მთვრალისთვის, რომელისთვისაც სულიერია თუ რა აცვია, თუ თქვენ გრძნობთ თქვენს სხეულს ვითარცა ჩასაცმელს.

თუ თქვენთვის უკვე გასაოცარია სქესობრივი ლტოლვა და გაუგებარი.

თუ თქვენთვის ერთიდაიგივეა ოქრო და მიწა.

თუ თქვენ არ ღელდებით შეურაცხყოფის, გვემის და დევნის დროს.

თუ თქვენ გარე სამყაროში და ასევე შიგნით ვერაფერს ვერ ხედავთ ღმერთის ნამოქმედარის გარდა, თქვენ მაშინ ძალიან ახლოს ხართ ღმერთთან.

პირველად შეიძლება ღმერთი იხილოთ ფიზიკური ფორმით, მას გაებაასებით და შეუვრდებით, შემდგომ კი - მდუმარება იქნება ენა მიმართვისა, თქვენ შეიგრძნობთ, რომ იმყოფებით მასში, თქვენ დაინახავთ, რომ სივრცე თქვენს ირგვლივ განსხივოსნდება სინათლით და რომ ამ სინათლეში იმყოფება ღმერთი, უხილავად, მაგრამ შესაგრძნობად, თქვენ ამ დროს განიცდით განუზომელ ნეტარებას.

ჭვრეტაში მოღვაწეობისას დადგება თქვენთვის ის ჟამი, როდესაც თქვენ იგრძნობთ, რომ გამოეყავით თქვენს ფიზიკურ სხეულს, ამის გამო თქვენ მოგიცავთგანუზომელი

სიხარული, რომელიც შიშთან იქნება შერეული, სიხარული იმის გამო, რომ აღიქვით უსხეულო მდგომარეობა, ხოლო შიში, გამოუცნობი გარემოების მიმართ, დროთა განმავლობაში თქვენ შეეჩვევით ამ მდგომარეობას, როდესაც თქვენ დატოვებთ სხეულს ფიზიკურ განზომილებაში, თქვენ მოხვდებით სხვადასხვა ინტენსივობისა და ფერადოვნების სინათლეში, ხანდახან სივრცე თქვენს ირგვლივ იქნება აღვსებული ცისფერი ნათებით, ხან ნახევრად სიბნელე, ხან კი მკვეთრი, ნათელი ოქროსფერი სინათლე იქნება განფენილი მთელს სივრცეზე.

ეს ყველაფერი აღუწერელი განცდებია, ეს ყველაფერი თქვენ თვით უნდა განიცადოთ.

სხეულის დატოვებას, როგორც წესი, ვერ დააფიქსირებთ, სამაგიეროდ, სრულყოფილად აცნობიერებთ მასში დაბრუნებას. ეს წააგავს სარკისებურ ზედაპირზე მსუბუქ სრიალს. მოგეჩვენებათ, რომ შედიხართ თითქოს მილში, ან ქარქაშში, როდესაც დაბრუნდებით სხეულში თვალში მოგხვდებათ სხვაობა, ამ ორ არსებობას შორის.

აუცილებელია, რომ მოღვაწემ დაიცვას მდუმარება, უტყვობა, დღეში ერთი საათი მაინც, კვირაში ერთი დღე მაინც, წელიწადში ერთი თვე მაინც, მეტყველება - ძალზედ დიდი ძალაა. ნუ გაფლანგავთ მას უქმად. როცა დადგება ჟამი თქვენი პიროვნული არსების ფიზიკურ სხეულთან განშორებისა, მომზადებული შეხვდით ამ წამს, შეინარჩუნეთ ცნობიერების უწყვეტობა, განუწყვეტლივ მოუხმეთ უფალს.

## შრი აურობინდო გხოშ
## ამონაარები წერილებიდან
## (თავისუფალი თარგმანი)

არსებობს რამდენიმე გზა აზრთაგან თავის დაღწევისა, ერთია, ვუყუროთ აზრებს და ვუთვალთვალოთ, დავაკვირდეთ თუ რაში მდგომარეობს გონების ბუნება, რადგან აზრები წარმოაჩენენ ამას, მაგრამ არანაირი თანხმობა და მხარდაჭერა არ დავუშვათ აზრების მიმართ ჩვენი მხრიდან, არამედ მივცეთ მათ თავისუფლება, რომ თავად ამოწურონ თავისი თავი და დაილიონ ჩიხში მომწყვდეულნი.

მეორე საშუალებაა ვუყუროთ აზრებს არა, როგორც საკუთარს, არამედ ვუმზიროთ მათ როგორც მოწმემ, ყოველგვარი თანხმობისა და მიღების გარეშე, მივილოთ აზრები როგორც შემომავალნი ჩვენში გარედან უცხო, ჩვენზე არ დამოკიდებული მოვლენები, და ვუყუროთ მათ ვითარცა შემთხვევით გამვლელებს ქუჩაში როგორც უბრალოდ ჩვენი გონებრივი სივრცის გადამკვეთებს, რომლებთანაც ჩვენ არ გვაქვს არავითარი კავშირი, და რომლებიც არ გვილევიძებენ არანაირ ინტერესს, ამ ხერხის გამოყენების დროს, როგორც წესი, გარკვეული დროის შემდეგ გონება იყოფა ორ ნაწილად - გონებრივ მოწმედ, დამკვირვებელ ნაწილად, რომელიც სრულიად აუღელვებელი და წყნარია და იმ ნაწილად, რომელიც წარმოადგენს დაკვირვების საგანს, მომქმედ ნაწილს, რომელსაც ჰკვეთენ ან რომელშიაც მიმოიძვრიან აზრები, შემდგომში ეს მეორე ნაწილიც შეიძლება მოყვანილ იქნას სიჩუმეში.

არის მესამე, ძალისხმევითი ხერხი, რომლის დროსაც ცდილობენ დაინახონ, თუ საიდან მოდიან აზრები და აღმოაჩენენ, რომ მოდიან ისინი არა საკუთარი არსებიდან, არამედ თითქოს და თავის გარედან, და თუ შესძლებენ იმის აღმოჩენას, თუ როდის მოდიან ისინი, მაშინ განმზადებული სიფხიზლით უკუაგდებენ მათ საკუთარ არსებაში შემოსვლამდე, ეს ყველაზე ძნელი ხერხია და ყველასთვის არ გამოდგება, მაგრამ ვინც შესძლებს მის დაუფლებას, იგი

უმოკლესი გზაა მდუმარებისაკენ.

პირველი მიზანი უნდა იყოს საყოველთაო გონებრივი მდუმარების მიღწევა, ჭეშმარიტი ჭვრეტის განხორციელებისას გონება უნდა იცავდეს სრულ მდუმარებას, სიჩუმეს, რადგან ამ პირობის დაცვითაა შესაძლებელი ცნობიერებისათვის ჭეშმარიტების ცოდნის მიღება.

ჭვრეტაში სრული გულისყურით ვარჯიშისას საჭიროა უარი ვთქვათ გრძნობებზე და გონებრივ ოპერაციებზე, ასევე ყოველივე იმაზე, რასაც გრძნობები ან გონება შემძლეა ჩასწვდნენ, ყველა ამ ქვეყნის საგნებზე და ან იმ ქვეყნისაზე და საკუთარი შეხედულების განზე გადადებით შევჩერდეთ მდუმარებაში.

არსებობს ერთგვარი უძრავი სფერო გონებაში, რომელიც სუფევს დროისა და სივრცის მიღმა, იგი არ მონაწილეობს გრძნობების და ფიქრების თამაშში. პირველი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შევკუმშოთ შეგნება ამ სფეროში და შევაკაოთ იგი აქ, ჩვენი პიროვნების ზღვარს იქით წარმოჩინდება სული, არსი,რომლის თვისებები ვლინდება თანდათან ერთი-მეორის მიყოლებით გონების თავმოყრაში ჩაღრმავების შესაბამისად, იგი ჯერ წარმოჩნდება როგორც მოქმედებათა და გრძნობათა აუღელვებელი მოწმე, შემდეგ გარდაისახება ვითარცა ნების გამტარებელი და ხელმძღვანელი, იგი ან უერთდება სურვილის, აზრის, სხეულის მოთხოვნილებას ან არ ეთანხმება მათ მოთხოვნებზე, შემდეგ საფეხურზე იგი წარმოჩნდება ვითარცა შემცნობი, რომელიც შეიცავს ცოდნას საკუთარ თავში, ამ დონეზე გრძნობის ორგანოები აღარაა საჭირო ცოდნის მისაღებად, და ბოლოს, იგი იხსნება როგორც უფალი, რომელიც მართავს და მოქმედებს თავისი "იარაღების" მეშვეობით, ეს ხდება ორ საფეხურად, პირველად, დაკვირვება არის გონებრივ-შეგრძნებითი, როდესაც ადამიანი შეიგრძნობს თავის გონებას, თავის გრძნობებს და თავის სხეულს, როგორც არა თავისთავს, იგი გრძნობს, რომ მათზე ზემდგომია, არსებობს მათზე მაღლა სივრცე - დროის განზომილების ზემოთ, აქედან

გამომდინარე, იგი იძენს სიმშვიდეს და სიწყნარეს.

რომ მივაღწიოთ ამ მდგომარეობას, პირველ რიგში, უნდა ვისწავლოთ, როგორ გავაჩეროთ აზრთა დინება ნებისყოფის ძალით, ამის განხორციელება შესაძლებელია საკუთარი თავის ანუ "მე"-ს გამოცალკევებით გონებისაგან, არა წარმოდგენით, არამედ შეგრძნებით. მაგრამ დასაწყისში ეს ჯერ გონებრივად, წარმოსახვის მეშვეობით უნდა დაიწყოს, რადგან დასაწყისში სხვაგვარად შეუძლებელია, გამოვაცალკევოთ საკუთარი არსება, საკუთარი თავი გონებიდან, გავემიჯნოთ გონებას, განვდგეთ მისგან და შევხედოთ მას თითქოსდა გვერდიდან, შევისწავლოთ ის, ხოლო როდესაც დადგება ის მდგომარეობა, რომლის დროსაც გონება გაემიჯნება, გამოეყოფა ჩვენს "მე"-ს შეგრძნებით, მაშინ აზრთა დინების შეკავება არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს, ეს არის პირველი გაკეთილი ჭვრეტის ღვაწლში.

იგივე შეიძლება მიიღწეს სხვა გზითაც, მაგალითად, საკუთარი თავის მინდობით უზენაეს საწყისზე იმისთვის, რომ აზრთა დინების შეჩერება მოხდეს ზეგარდმო, საკუთარი ძალისხმევის გარეშე, რის დროსაც უხმობენ უზენაესს შეწევნისათვის მოღვაწეობაში, პირველი ხერხი იმათთვის გამოდგება, ვისშიაც სჭარბობს განსჯა, რადგან ასეთებისათვის ყველაფერი წარმოსახვით და გონებრივად დასაბუთების მეოხებით არის მისაღები.

ამრიგად პირველი ამოცანაა, გამოვაცალკევოთ საკუთარი თავი ჩვენი გონებიდან და შევიგრძნოთ იგი როგორც რაღაც გარეშე, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული და დავიკავოთ დამკვირვებლის პოზიცია, მივუშვათ აზრები თავის ნებაზე, მაგრამ არ მივცეთ უფლება ჩვენი გატაცებისა, ასე ვიმოღვაწეოთ ჭვრეტაში ვარჯიშისას, ხოლო შემდგომ იმას, რასაც ვანხორციელებთ ჭვრეტაში ვარჯიშისას გადავიტანოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

გონებაში რამოდენიმე დონეა, პირველი დაკავებულია წარმოდგენებით და ფორმებით, მეორე - სიტყვებით და იდეებით, მათ ზემდგომ კი ძევს წვდომის სფერო, მაგრამ

არის კიდევ რაღაც მესამე - კერძოდ თავად გონების არსი, რომელიც განირჩევა მისგანვე წარმოებული იდეებისაგან და ფორმებისაგან, ეს არსი მსჭვალავს მთელს სამყაროს, იგი მშვიდი და გამჭვირვალეა, ადამიანები თავს აიგივებენ ამ არსთან და მის მოქმედებებთან, არ უნდა აურიოთ გონება და მისი მოქმედებები, საჭიროა გამოვეყოთ გონების მომქმედი სფეროს და ვაღიაროთ ჩვენი თავი ვითარცა სული, ე.ი. გონების უძრავ სფეროში მდგომი აღმქმელი. მეთოდი, როგორც უკვე აღვნიშნეთ მდგომარეობს იმაში, რომ გავანადგუროთ აზრები მაშინვე, როგორც კი გამოჩნდებიან - უბრალოდ მათზე ყურადღების მიპყრობის მეშვეობით.

სიტყვათა წარმოქმნის გაჩერებისას შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ აზრები აღარ არიან გონებაში, მაგრამ როგორც წესი, რჩებიან წარმოდგენები, მათზე ყურადღების მიპყრობის გაცნობიერებისას ანუ მათგან გამიჯვნისას ძალას იძენენ შეგრძნებები, ბგერები, განწყობები ყოველგვარი სიტყვის და წარმოდგენის გარეშე, ლტოლვები, საჭიროა მათ მიმართაც გაიმიჯნოს დამკვირვებელი.

თავდაპირველად, არ არის საჭირო გამოვეყოთ ყოველ აზრს ან შეგრძნებას, უბრალოდ, საჭიროა ვუყუროთ მათ, როგორც რაღაც გარეშეს ჩვენთან დამოკიდებულებაში.

გონებაში არის ორი ნაწილი, აქტიური და წყნარი, ყურადღებიანი, რომელსაც არ ეხებიან ბუნების მოქმედებანი, საჭიროა გვახსოვდეს ეს განსხვავება, აჩქარება არაა მიზანშეწონილი, გარკვეული სახის აზრები, მაგალითად, ისეთი როგორიცაა: "ეს მე ვარ", ან "ეს არ უნდა მივიღო" და ამის მაგვარნი შეიძლება დარჩეს გონებაში როგორც იარაღი, სხვა აზრების განდევნისათვის.

საჭიროა დავრჩეთ საკუთარი აზრებისა და შეგრძნებების მაყურებელის როლში და ამავე დროს უნდა შევიგრძნობდეთ, რომ ისინი ჩვენს გარეთ არსებობენ და ვერ გვეხებიან ჩვენ, შემდგომში, თუ გონების სიცარიელე დაცული იქნა, ზეგარდმო შთამოვა ზეშთაგონება, რომელიც აიღებს ხელმძღვანელობას საკუთარ ხელში.

არასოდეს არ ებრძოლოთ გონებას, რადგან აქ ის, რაც

ძალით იქნება უკუგდებული დაგიბრუნდებათ ათმაგი ძალით, ებრძოლო - ნიშნავს ფეხი შედგა გაუთავებელი ძალდატანების სფეროში.

ასე რომ, პირველი გასაკეთებელი საქმე იმაში მდგომარეობს, რომ განვათავისუფლოთ გონების მოქმედი, აქტიური სფერო აზროვნებისაგან და მივიყვანოთ იგი უძრავ მდგომარეობამდე, მეორე არის ის, რომ მთლიანად გამოვეყოთ აზრებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვნენ გონების ამ მოძრავ ნაწილში, სადაც ფორმდებიან აზრები, რომლებიც მომდინარეობენ როგორც ქვევიდან, ანუ (ეგოისტური მოტივაციიდან, საკუთარი ნების გატარების და ვნების დაკმაყოფილების განწყობიდან, რომელიც არის დემონური წყობა, ან სფერო), ასევე გარედან (ანუ გარე სამყაროში არსებობის, მოტივაციიდან, რომელიც ითვლება ადამიანთა სფეროდ, წყობად) და ასევე ზემოდან (ანუ ჭეშმარიტების მიღების მოტივიდან, შეცნობის სფეროდან, რაც ითვლება ზეციურ განზომილებად) საჭიროა ვერკვეოდეთ და ვარჩევდეთ მათ ურთიერთისაგან. საჭიროა ვისწავლოთ აზრთა განხილვა, როგორც გარეშე ობიექტებისა და არ დავანებოთ მათ ჩვენი გატაცება.

ასევე, საჭიროა შევაკაოთ ქვეცნობიერი გონება უძრავ მდგომარეობაში (ანუ მექანიკურ ჩვევებს და მიდრეკილებებს არ მივცეთ თავის ნებაზე მოქმედების საშუალება) მზერა მივაპყროთ ზე, რომ მოვახდინოთ იქ ჩვენი ცნობიერების თავმოყრა, გონების მზერის მიპყრობა ზე ნიშნავს როგორც ზეცისკენ მის მიმართვას,ასევე თავის ქალას ზემო ნაწილში ყურადღების თავმოყრას).

გონების თავმოყრა ერთ წერტილში შეიძლება როგორც სხეულის შიგნით,მისი საზღვრების შიგნით სივრცეში ან თავის არეში, ან მკერდის არეში, ან მუცლის არეში, ასევე სხეულის გარეგან რომელიმე ადგილზე, და ასევე სხეულიდან რამოდენიმე სანტიმეტრის დაშორებით გარე სივრცეში, მაგალითად, თავის ქალის ნათხემის ზემოთ ორი თითის დადების სიმაღლეზე.

## "მაჰაიანას" ტრადიცია
## სენსეი ჰუ ნენის, ჰუან ბოს, მა ძის, ლი ჯის, იაი იანის, ბანკეის, "ლანკავატარა სუტრასა" და "ძენ რინი"-დან ამონაკრები აზრები
## (თავისუფალი თარგმანი)

აზრები მიდიან და მოდიან თავისუფლად და ეს არის სიბრძნის ბუნებრივი მდგომარეობა. თუკი საერთოდ არაფერზე არ იფიქრებთ და არაფერზე არ ფიქრობთ და უცებ უბრძანებთ თქვენს ფიქრებს, რომ გაჩერდნენ, გამოდის, რომ საშუალება გბორკავთ თქვენ. ამას ეძახიან "ჩლუნგ მზერას", გონებაზე კონცენტრაცია და მისი გააზრება იმ ზომამდე, სანამ იგი არ დამკვიდრდება სიწყნარეში არის არა ჭვრეტა, არამედ ავადმყოფობა.

სხეულის გათანგვას თუ იგი არ ემსახურება ჭვრეტის განხორციელებას, რა სარგებელი აქვს? თუ დაიწყებთ სიწყნარის ჩამოყალიბების მცდელობას, მიაღწევთ მხოლოდ ყალბ სიწყნარეს, სიწყნარე თავისით უნდა მოვიდეს.

თუ თქვენ ცდილობთ საკუთარი ძალებით განახორციელოთ სულის სიმშვიდე, ეს მცდელობა თავისთავად დაგირღვევთ სულის სიმშვიდეს, თუ თქვენ იმედი გაქვთ, რომ რაიმე საშუალების ან ხერხის მეშვეობით მიაღწევთ მდუმარებას, თავად ეს საშუალება გახდება გადაულახავი ზღუდე.

რომ ვთქვათ გონების რაობაზე თუ რაში მდგომარეობს იგი, მოქმედებაში თუ უძრაობაში, არცერთი არ იქნება ჭეშმარიტი განმსაზღვრელი, უძრაობა, უმოქმედობაა - სიჩლუნგეა, მოქმედება კი - ლტოლვა. არც ორივე ერთად, რადგან ეს იქნებოდა ჩვეულებრივი გონება, არც ორივეს უარყოფა, რადგან ეს მკვდარი გონებაა, ასე რომ, ვინც მცდელობს გონების მოქმედების შეჩერებას, ებმება ამ მოღვაწეობას და იბორკება ამით, ვინც მცდელობს გონების გამახვილებას, ებმება ამ მოქმედებას და იბორკება, თუ მოღვაწეობა მდგომარეობს გონების რაღაც წესდებით შებოჭვაში, რაღა განთავისუფლებაა ეს? ჭვრეტა არ

ექვემდებარება არავითარ წესდებას, უფრო სწორედ არავითარი წესით ჭვრეტა არ გამოიწვევა, მაგრამ თუ ვიტყვით, რომ წესი საჭირო არ არისო, გამოვა ის, რომ ჭვრეტას საერთოდ დავკარგავთ, სწორედ იმიტომ, რომ ასე ელტვიან ჭვრეტის მიღწევას, ღებულობენ საწინააღმდეგოს - კარგავენ მას, რადგან ეს ნიშნავს,რომ ყურადღების საშუალებით ვეძებოთ ყურადღება.მზერით ვეძებოთ მზერა. და ამიტომ, როდესაც ჭვრეტის არსი სწორად არაა გაგებული, ღვთაებრივ გონებას ეძებენ საკუთარი არსების გარეთ და ებმებიან ფორმებს, საშუალებებს, ხერხებს, წესებს იმ დროს, როდესაც ყველაფერი ეს არ არის გზა ჭეშმარიტებისაკენ.

სულში არა აქვს ადგილი არანაირ ძალდატანებას, ამიტომ მოღვაწეობაც ამ ნიშნით უნდა აღსრულდებოდეს, მიყოლა, მინდობა და ბუნებრიობა, აი, ნიშანი ჭეშმარიტი მოღვაწეობისა,არ არსებობს ჭეშმარიტება გონების გარეთ, მაგრამ არც შიგნით არის რაიმე ისეთი, რასაც შეიძლება რომ დავეუფლოთ, იეარჯიშო მდუმარების მოძიებაში ფიქრთა უკუგდებით ნიშნავს ეცადო ცეცხლი ჩააქრო ცეცხლით, მდუმარების მოპოვება უმეცრებაა, რადგან იგი გონების არსია, მისი ბუნებაა, საჭიროა დამკვიდრდე მდუმარებაში და თავი დაანებო ფიქრებს, დე აღმოცენდნენ და გაპქრენ...

როდესაც თვლიან, რომ არსებობს რაღაც განცალკევებულად არსებული გონებისაგან და თვლიან, რომ საჭიროა მისი გაცნობიერება ან მიღწევა და ამისათვის იყენებენ გონებას, ეს ნიშნავს იმის ვერ მიხვედრას, რომ გონება და მიზანი მისი ძიებებისა ერთი და იგივეა და განუცალკევებელნი რომ არ არიან...

გონება არ შეიძლება გამოყენებული იქნას თვეად გონებაში რაიმეს მოსაძებნად, ჭვრეტის დროს არ უნდა იყოს ფიქრები არც მდუმარების მიღწევაზე და არც ცხოვნებაზე, არ უნდა იყოს არავითარი მისწრაფება მომავლისაკენ, არამედ საჭიროა დამკვიდრება სინამდვილეში აწმყოში - ნუ მიაპყრობ ყურადღებას მომავალს, იმედს ნუ დაამყარებ მასზე, ნუ ელი, რომ მერე რაღაც მოხდება ან აღსრულდება, ის სინამდვილე, რომელშიაც ცხოვრობ სავსებით საკმარისია

იმისთვის, რომ აღიქვა ჭეშმარიტება, იგი ყოველთვის შენს წინაშეა, თავიდანვე შენ ხარ ჭეშმარიტება, სინამდვილე, ჭეშმარიტება შენშია და შენს ირგვლივ, იგი არ არის სადღაც მომავალში ან სხვა ალაგას, თუ შენ გაქვს სულ მცირედი სურვილი რაიმეს მიღწევისა ანდა იჩქარი მიაღწიო რაიმეს უფრო ამაღლებულს, ვიდრე შენს წინ არსებული ყოფიერებაა, რომელიც ასევე შენია და ხარ თვით შენ, ამით უკვე ეწინააღმდეგები არსებობას, რადგან მიილტვი საკუთარი შეხედულებისაკენ.

ვინც მიელტვის და ეძებს იმქვეყნიურს და უარყოფს ამ ქვეყანას, ვერ გაუაზრებია ის, რომ უხილავი ხილულისაგან, ან უფრო მართებულად რომ ვთქვათ მთლიანი ნაწილებისაგან განცალკევებულად არ არსებობს, ასეთად მოაზროვნენი ფიქრობენ, რომ ცხოვნება მდგომარეობს მომავალში და სადღაც სხვაგან, საგნისა და აღქმის გარეშე.

გონების მდუმარება ამ ქვეყანაშივეა, თუ ვინმე განიხილავს გონების მდუმარებას ისეთ რამედ, რომელიც ძალით უნდა იქნას დაპყრობილი, ან გამომუშავდეს საკუთარ თაეში რაიმე წესდების დახმარებით, ცდება, გონების არსს ვერ ჩაწვდები აზროვნებით და ვერ ჩაწვდები ვერც არ აზროვნებით, აბსტრაქტული, განყენებული აზროვნება ისეთივე ზღუდეა ჭეშმარიტების აღქმისათვის, როგორც წარმოდგენები, წარმოსახვა და კონკრეტული აზროვნება.

იყო ჭვრეტაში ჭვრეტაში ყოფნის ნდომის გარეშე, თუ გაქვთ ამის უნარი. ეს არის გონების თავმოყრა გონების თავმოყრის გარეშე, სიბრძნე ბრძნობის გარეშე, ღვაწლი ძალისხმევის გარეშე.

## ჯიდუ კრიშნამურტი (ამონაკრები აზრები))

ჭვრეტის მიზანი თავად ჭვრეტა უნდა იყოს, იმის ძიება, რაც ჭვრეტის მეშვეობით შეიძლება მოიპოვოთ ან მის ფარგლებს გარეთ, არის ანგარება. ჭვრეტისადმი დამოკიდებულება როგორც საშუალებისა, რომლის წყალობითაც უნდა მიეაღწიოთ რაიმეს, მხოლოდ აძლიერებს

მიღწევის სურვილს, რაც იქცევა ზღუდედ გონებაში მდუმარების მიღწევისათვის, ყოველნაირი აზრი მხოლოდ გონების წარმონაშობია რაც არ უნდა წმინდა იყოს იგი, ჭეშმარიტება კი გონების მიღმაა მისგან დამოუკიდებელია, უფრო სწორედ თვით გონების არსია, აზრი ჭეშმარიტებაზე თავად ჭეშმარიტებას არ წარმოადგენს, არამედ გამომხატველია მისი.

ჭვრეტა არ არის დამოკიდებული არც წესზე, არც ნებაზე,არც მიმდევრობაზე, არც ყურადღების მოკრებაზე, ყველაფერი ესენი მხოლოდ ობიექტებია გონების ხტუნაობის დასაოკებლად, ჭვრეტა არ არის ყურადღების მოკრება ერთ რაიმეზე სხვათა უყურადღებობით, არც აზრის მიმართ უყურადღებობით ან ყურადღებით, ჭვრეტა არ არის ასევე ყველაფრის უგულვებელყოფა, ჭვრეტა არის ყურადღებაზე დაკვირვება ყურადღების საგნის შეფასების გარეშე.

ყურადღებაზე დაკვირვებას არ სჭირდება არავითარი წესი ან გამომწვევი საშუალება, იგი არ შეიძლება გამომუშავდეს, ან აღმოცენდეს ფიქრით, იგი შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ გონების საყოველთაო მდუმარების დროს. იმ დროს, როდესაც მომქმედი აღარ არის, გონება დუმს და აღიქვამს მხოლოდ, აღიქვამს ყურადღების მიმდინარეობას მხოლოდ. საკუთარი თავის დაკვირევება შესაძლებელია საგნებთან და მოვლენებთან დამოკიდებულებაში მხოლოდ, ყველაფერი საკუთარი “მე“-ს გარდა აბსტრაქციაა, სინამდვილე კი არის ის, რაც უცვლელია.

ამიტომ ჭვრეტის არსი საკუთარი თავის აღმოჩენაა რაიმე საგანთან დამოკიდებულებების, ურთიერთობის მეოხებით.

იქ, სადაც იგულისხმება რაიმე პროცესი, ქმედება, მიმდინარეობა, რაიმე მიღწევა, იქ იგულისხმება, ძალის გამოვლენა, ძალისხმევა, ცნობიერება კი არსებობს, ეს მისი ბუნებაა, ისე არაა, რომ იგი იყოს სადმე და არ იყოს სხვაგან, იგი ყველგანაა, ამიტომ მისი მიღწევა არ შეიძლება, რამეთუ ჩვენ ვიმყოფებით მასში.

ჭეშმარიტი ოსტატი ჭვრეტაში არის ის, ვინც მომქმედია ძალდაუტანებლად.

ყურადღების თავმოყრა ნიშნავს დროის უგულეელყოფას, მთავარი მომენტი არის დრო, ის ყურადღება, რომელიც წარმოებულია ძალდატანების გარეშე, არ იფარგლება ცალკეული ნაწილით, ყურადღება, მოკრებილი ერთი მიმართულებით არის ერთადერთი რამ, რაც იძლევა დროის ზღვარს იქით გასვლის საშუალებას. დროის გამოყენება დროის იქით გასასვლელად შეცდომაა, რადგან აზროვნება, ფიქრი, განსჯა დროშია მოთაესებული - იგი არის ცხადლივი, იმის იმედი, რომ ცხადლივის მეოხებით შეეიცნობთ ფარულს, თავისმოტყუებაა. აზრი - უკვე წარსულია, აღქმა არის უდროო, მას მოსდევს გააზრება, დასახელება, შეფასება და ეს შობს დროს, გონება აღვსებულია წარმოდგენებით, სიტყვებით, სიმბოლოებით, მნიშვნელობებით ან რაიმე ობიექტით და იმზირება მათი გაელით.

აღქმას თან სდევს გააზრება, მათი სრულყოფილებით განისაზღვრება, ხარისხი ცოდნის, აღქმას თან სდევს დასახელება და კვლევა და სწორედ ესენი - ცოდნა, დასახელება და კვლევა უშლიან ხელს აღქმის სიწმინდეს, ამიტომ აღქმა უნდა მივაჩვიოთ მიმდინარეობდეს რაიმე ერთი იდეის, ერთი ხედვის ქვეშ, შემდეგ ეს იდეაც მოვიშოროთ და რაც დარჩება,იქნება სუფთა ალმქმელობა აწმყოსი, ანუ მაყურებელის, მოწმის მდგომარეობა, რა უნდა ვიგულისხმოთ ამაში? - მაგალითად ვისმენთ, ვხედავთ, საგნები არსებობენ, მაგრამ არა მათდამი სურვილები, როდესაც სახეზეა შეგრძნება, მაგრამ არ არის ნდომა, სურვილი, ფლობის სწრაფვა, როდესაც არ მოქმედებს განსჯა, ანალოგია, ასოციაცია, შეფასება, დასკვნა, ცოდნის ჩარევა.

## შრი რამანა მაჰერში

თუკი დაიწყებთ მზერას იქით, სადაც იწყება "მე", იქ უჩინარდება, ქრება გონი, და ეს არის მოღვაწეობის არსი.

როდესაც წარმოითქმება ლოცვა, თუ დაიწყებთ მზერას იქით, სადაც იწყება ბგერა, იქ უჩინარდება, ქრება გონი და ეს არის ლოცვის მოღვაწეობის არსი.

რასაც არ უნდა იქმოდე ყოველთვის გახსოვდეს ერთი რამ, თუ ვინ არის მომქმედი, ვინ არის "მე".

იმის მაგივრად, რომ მოღვაწეობდეთ გონების მოქმედებების შესაჩერებლად ან ამბიციური პიროვნების გასანადგურებლად, სჯობს გამოიძიოთ გონების და პიროვნების ბუნება და ნახოთ ამის შედეგად, რომ ისინი უბრალოდ არ არსებობენ, როდესაც გონება იძიებს თავის ბუნებას ანუ ეძებს თავის თავს, რწმუნდება იმაში, რომ არ არსებობს ისეთი საგანი, რომელსაც ჰქვია გონი. ეს არის პირდაპირი გზა ყველასათვის, გონება - ეს არის ფიქრთა კრებული, მიმართეთ ყურადღება წყაროსკენ და იდექით იქ, მაშინ გონება გაუჩინარდება თავისთავად.

თქვენ ეძიებთ სხვადასხვა გზებს, თითქოსდა თქვენ ხართ სადღაც, ხოლო თქვენი "მე" სხვა ადგილას, და თქვენ გსურთ მიაღწიოთ თქვენს "მე"-მდე, იპოვოთ იგი, მაგრამ სინამდვილეში თქვენი "მე" აქაა, და ამ ჟამს, თქვენ ხართ ის რეალობა გამუდმებით.

## შრი სვამი ვივეკანანდა
## (ამონაკრები აზრები)

გარეთ მიმართული ყურადღების გონებისაკენ შემოტრიალება არის პირველი ნაბიჯი ჭვრეტაში მოღვაწეობისა, იგი ხორციელდება შინაგანში დამკვიდრებით და იქიდან გარეგნულის დაკეირვებით.

მეორე ნაბიჯია ამ მდგომარეობიდან რაიმე ერთზე ყურადღების შეჩერება და სხვა ყველაფრის მიმართ უყურადღებობა.

მესამე ნაბიჯი არის ამ ობიექტთან საკუთარი დამოკიდებულების გამორჩევა.

მეოთხე კი - საკუთარი თავის აღმოჩენა.

კონკრეტულად თუ რა არის გასაკეთებელი: დაჯექით რამოდენიმე ხანს წყნარად და მიუშვით გონება თავის ნებაზე, თავად კი ელოდეთ და უმზირეთ მას, ბევრი მდაბალი და ბინძური აზრი მოვა გონებაში, ნუ შეშფოთდებით, განაგრძეთ

დაკვირვება და თანდათან გონების თავნებობა დაცხრება, აზრთა რაოდენობა შემცირდება და თანდათან გონება დაექვემდებარება თქვენს ნებას, გონების მართვა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს ნებაზე იყოს დამოკიდებული გონების საგნებთან დაკავშირება და მათი ზეგავლენის არ დაშვება.

ამის შემდეგ მეორე ეტაპია გონების შეკავება გარკვეულ პუნქტებზე, ეს იმას ნიშნავს, რომ შევაჩეროთ გონება ერთ წერტილზე სხეულის შიგნით ან მის გარეთ, მაგალითად, გულში ან თავში და ა.შ. ასეთი ვარჯიშები ძალზედ რთულია და შეიძლება გავიდეს წლები, სანამ მოვა პირველი ნიშნები წარმატებისა.

როდესაც დავაჩვევთ გონებას ერთ ადგილზე შეჩერებას, შემდგომი ნაბიჯი იქნება ამ ობიექტისაკენ ჩვენი დამოკიდებულების უწყვეტი მიმდინარეობის დაკვირვება, ხოლო როდესაც ყურადღება კიდევ უფრო შეტრიალდება საკუთარი წყაროსკენ, მაშინ ყურადღების ობიექტის არსი წარმოჩნდება საკუთარ არსებაში ობიექტის გარეგანი ფორმის დამოუკიდებლად.

მოკლედ რომ ვთქვათ, თუ გონებას შეუძლია შეჩერდეს ერთ საგანზე, შემდეგ მიმდინარეობდეს ამ საგნისადმი და ბოლოს შეჩერდეს მხოლოდ აღქმის შინაგან ნაწილზე, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნებოდა საგნის არსის ხილვა, ეს ყველაფერი ერთობლიობაში წარმოადგენს ჭვრეტას.

მხოლოდ ჭვრეტითი დაკვირვება საგნებისა, როგორც მოწმისა მოვლენებისადმი იძლევა ჭეშმარიტ ბედნიერებას.

ჭვრეტის მიმდინარეობაზე დაკვირვების მდგომარეობაში თვალსაჩინო ხდება ფორმის მნიშვნელობის და ზეგავლენის, ანუ აღქმის განცალკევება, რაც სხვა დროს შერეულია ერთად, როდესაც ჩვენი გონება გაძლიერდება და დაგვექვემდებარება ჩვენ, ჩვენ მივიღებთ ფაქიზი აღქმების უნარს, მაშინ უნდა გადავიდეთ ფაქიზი სფეროების ჭვრეტის ვარჯიშზე. წესით, ჭვრეტის საგნად ჯერ აღებული უნდა იქნას კონკრეტული, ხილული, ნივთიერი ობიექტები და შემდეგ ნელ-ნელა უნდა მოხდეს გადასვლა განზოგადებულ,

დაუნახავ, უნივთო ობიექტებზე, თავდაპირველად ჭვრეტა მიმართული უნდა იყოს გარეგან შეგრძნებებზე, შემდეგ შინაგან ძვრებზე, შემდეგ გონების რეაგირებაზე.

როდესაც გონება აღწევს გარეგანი შეგრძნებების მიზეზების ცოდნას იგი იძენს გონების ყველა ტალღების მართვის უნარს და შესაძლებლობას როგორც საკუთარ თავში, ისე სხვებში მანამ, სანამ ეს ტალღები გარდაიქმნებიან ფიზიკურ ძალად, და გამოვლინდებიან მოქმედებაში, ხოლო როდესაც გონება გახდება შემძლე გონებრივი რეაქციის აღქმისა, ცნობიერება იძენს ყოვლისმცოდნეობას, რადგან ყოველნაირი გრძნობიერი საგანი და ყოველნაირი აზრი არის ამ რეაქციის შედეგი, მაშინ ადამიანი დაინახავს საკუთარი გონების ნამდვილ არსს, ფუძეს და გახდება მისი საყოველთაო მფლობელი და იხილავს საკუთარ თავს თუ როგორი არის სინამდვილეში, როგორი იყო, ყოველთვის - უკვდავი, ყოვლისმცოდნე და ყველგანარსობილი, სული ნათელი.

## შრი აურობინდო გხოშის ნააზრევი სატ პრემის გადმოცემით (ამონაკრები, თავისუფალი თარგმანი)

ადამიანი არის კრებული ფიზიკური, ემოციონალური და გონებრივი ჩვევისა, რომლებიც ურთიერთკავშირდებიან და ერთიანდებიან რამოდენიმე მოქმედებისაგან მბიძგებელი აზრებით, სურვილებით და ასოციაციებით, ანუ მოტევებით. ამ მოტევებისაგან განთავისუფლება იწვევს გონების მდუმარების შედეგს.

ყველაზე კარგი საშუალება განწმენდისა არის ის, რომ ვაიძულოთ გონება დადუმდეს.

გონების სიწყნარეში მოღვაწეობა საჭიროა ყველგან და ყოველგვარი მოქმედების დროს.

არის რამოდენიმე საეტაპო საფეხურები გონების მდუმარების მოღვაწეობაში, პირველია მეტყველების გაჩერება, რომელიც იწვევს სიჩუმეს, ამ დროს გონება ჩუმია

და მშადმყოფი, შემდეგ მოდის სიწყნარე, რომლის დროსაც გონებას ეუფლება საზრუნავისაგან განდგომა, ამას მოსდევს მდუმარება, გონებას მოიცავს საყოველთაო მდუმარება, იგი ხდება აუფორიაქებელი და ხელშეუხებელი, რის შემდეგ იგი გადადის სიმშვიდეში, რომელიც წარმოადგენს საყოველთაო უძრაობას სრული ყურადღების დროს.

გონების სიწყნარეში დამკვიდრების მოღვაწეობაში ხელისშემშლელი სიძნელე მდგომარეობს მოწყენილობაში, სანამ გონება მუშაობს და აღგზნებულია იგი გართულია თავის ქმედებაში, მისი დადუმების მცდელობისას კი მას იპყრობს მოწყენილობა, სიცარიელე, აი, სწორედ აქ არის საჭირო მოთმინება და შემდგომ მოწყენილობა ნელ-ნელა ივსება შინაარსით, ზეგარდმო მოვლენილი აღმავსებელი ძალით.

როდესაც გონებაში მყარდება სიწყნარე ზეგარდმო ძალა ზეშთამოდის და აღავსებს ადამიანს, და იღებს ხელმძღვანელობას თავის ხელში, როგორც წესი, ის ჩამოდის ჯერ თავში და ანთავისუფლებს გონებას შებორკვისაგან, შემდეგ ჩადის გულში და აღავსებს სიტკბოებით, შემდეგ ჩადის მუცლის არეში და აღავსებს ძალით, შემდეგ უფრო ქვევით და ქვევით.

თვითშემეცნებაში მოღვაწეობა არის არა რაიმეს დაჩვევა ან დასწავლა ან მოპოვება, არამედ არის მცდელობა დაჩვეულის გადაჩვევისა და დავიწყებისა.

ღვაწლის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ გამუდმებით გვახსოვდეს განსახორციელებელი მიზანი, გონების მდუმარების მიღწევა, და მაშინ მოვა შინაგანში სიცოცხლის ძალის შეგრძნება, არსობის გრძნობა, შემდგომ ეს გრძნობა ძლიერდება და ხდება ხანგრძლივი, იწყება საკუთარი თავის სრულყოფილი შეგრძნობა, და ამის შემდგომ ადვილად ჰყოფენ საკუთარ თავს შეგრძნებით ორ ნაწილად - მდუმარე მხარე და ზედაპირული, მომქმედ მხარედ, ამით იწყება მდუმარე მოწმის საკუთარ არსებაში აღმოჩენა.

მდუმარებაში მოღვაწისათვის გადასალახავ სიძნელეს წარმოადგენს უკეთური აზრების და ბოროტი ნების

შემოტევა, მდუმარებაში მოღვაწე გახსნილია აგრეთვე გარეშე ზემოქმედებებისათვის, აქ მანძილს არა აქვს მნიშვნელობა, რადგან გონებრივი სივრცეში მანძილი და დრო ძალზედ პირობით კატეგორიებია.

აქედან გამომდინარე, თვით მდუმარებაში მოღვაწეც შემძლეა მანძილისა და დროის გარეშე ზემოქმედების, ან ინფორმაციის აღების, ამ შემთხვევაში საკმარისია განეწყოს გონება რომელიმე ობიექტისადმი, ადგილისადმი ან არსებისადმი, რომ მიიღოს შეგრძნება მდგომარეობისა და იგი მიიღებს მეტად თუ ნაკლებად ინფორმაციას, ხოლო ეს მეტად თუ ნაკლებად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შემძლეა მოღვაწე, შეინარჩუნოს მდუმარება გონებაში დაკვირვების დროს, მთავარია, გაჩერებული იქნას განსჯის სფერო, სიტყვათა წარმოების სფერო, რადგან განსჯა ერევა რა საქმეში, ამრუდებს სინამდვილეს წინასჯების მეშვეობით და სურვილთა ზეგავლენით.

მდუმარებაში მოღვაწე შეამჩნევს კიდევ იმას, რომ გონებაში შემოდიან გარედან არა მარტო უცხო აზრები, ანუ სხვა გონებიდან გამომდინარენი, არამედ საკუთარი აზრებიც, რომლებიც გამოსულნი ჩვენგან ბრუნდებიან ვითარცა უცხონი.

როდესაც გონებაში მდუმარება ჩამოყალიბდება, მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებლად, მაშინ გონების უძრავ მდგომარეობაში, უძრავ მდუმარებაში შეიგრძნობა პატარა მბრუნავი ტალღობრივი რხევები, ვიბრაციები და თუ მათ მიეცათ უფლება, რომ შემოვიდნენ ჩვენში, ჩვენს არსებაში, ანუ ჩვენს ყურადღებაში, ისინი გაფორმდებიან აზრებად და წარმოდგენებად.

ის, რაც ჩვენ მიგვაჩნია ჩვენ პირად აზრებად, სინამდვილეში წარმოადგენენ უსასრულო გონებიდან აღებულ რხევებს, რომლებსაც ჩვენ ვაფორმებთ აზრებად ჩვენში.

ადამიანი არ გამოიმუშავებს საკუთარ აზრს, ლაპარაკია ჩვეულებრივ გონებაზე, რადგან აზრი შემოქმედებითი აქტია, ამის შემძლეობა აქვთ მხოლოდ შემოქმედების საწყისთან

შეერთებულ გონებებს.

იდეების ცვლა არ ნიშნავს უფრო მაღალი რხევების, უფრო მაღალი სიხშირეების სფეროში გადასვლას.

როდესაც მოღვაწე მიაღწევს იმ დონეს, რომლის დროსაც მას ექნება უნარი აზრთა შემჩნევისა, თუ როგორ მოდიან ისინი გარედან, მაშინ იგი მიაღწევს ძალაუფლებას საკუთარ გონებაზე. ზრახვებისაგან განთავისუფლება, როცა ისინი შემოვლენ ჩვენში და დამკვიდრდებიან, საკმაოდ ძნელი საქმეა, მაგრამ მათი არ შემოშვება, როდესაც ხედავ მათ მოახლოებას, არ არის ძნელი საქმე.

არა მარტო ბოროტი ნება და უკეთური აზრები არიან ძალმომრეობის გამტარნი და მატარებელნი, არამედ ასევე ეგრეთწოდებული "სიკეთის ქმნა", კეთილის განზრახვა, ამაღლებული გრძნობები, ეს ყველაფერი არის საკუთარი თავის წარმოჩენა სიყვარულისა და თაყვანისცემის მეშვეობით.

განსჯითი ცნობიერება წარმოადგენს ადამიანურ სფეროს და არაა აუცილებელი მოიცავდეს სხვა არსებობის განზომილების ცნობიერებას, არსებობენ ადამიანის ცნობიერებაზე მაღალი და დაბალი განზომილებები, რომლებიც ვერ აღიქმებიან ჩვეულებრივი ადამიანის მიერ და ამიტომ ეჩვენება მას ისინი არაცნობიერად.

ხელის შემშლელს წარმოადგენენ არა მარტო სხვა ადამიანებისაგან წამოსული აზრთა ტალღების რხევები ანდა ქვეცნობიერების საყოველთაო სფეროდან მოსულნი ტალღები რხევებისა, არამედ არიან კიდევ, განცალკევებულად არსებული სახე ვიბრაციებისა, რომლებიც განსხვაედებიან სხვებისაგან თავისი მოულოდნელობით და შეუბრალებლობით, ეს რხევები უაღრესად ცნობიერი ძალებია, რომელთა ერთადერთ მიზანს წარმოადგენს შეცბუნება და შებორკვა მოღვაწეობის გზაზე.

დანახვა საწყისია, გაცნობიერება კი არსობრივი მხარეა აღქმის.

ზოგიერთები მოღვაწეობის გზაზე ხედავენ და აღიქვამენ ჭვრეტისას მხოლოდ სხივოსან ძალებს, სინათლეებს, სხვები კი მხოლოდ სახეებს, არსების ფორმებს, ეს გამომდინარეობს

ადამიანის პიროვნებიდან, უფრო სწორედ აზროვნების ხარისხიდან.

სამყაროს განზომილებები არსებობენ ობიექტურად, ამ სფეროების ყველა ძალები არიან ცნობიერნი, გონიერი არსებები.

ეს სფეროები, სივრცეები, ძალები და არსებები არსებობენ ამ ჩვენი მიწიერი განზომილებისადმი დამოუკიდებლად.

არსებათა ხილვა ისეთივე რეალური ობიექტურობაა, როგორც ძალების ხილვა.

როდესაც ვლაპარაკობთ ძალებზე ეს არ ნიშნავს, რომ ეს ძალები უბრალოდ მექანიკური ძალებია ანუ მოვლენები, ისინი არიან გონიერი არსებანი.

ქვეგანსჯითის სფეროებში ვნებებით დაბინძურებული ძალები შემძლე არიან მიიღონ სახე უფრო მაღალი და სუფთა ძალებისა. თუ მოღვაწე სუფთაა, იგი შესძლებს მათ გამორჩევას.

მაგრამ როგორც უნდა ვიყოთ დარწმუნებულები საკუთარ სიწმინდეში?

თუ ჩვენ არ ვილტვით საკუთარი წარმოდგენებისა და გააზრებების რეალიზაციისათვის, არამედ ვეძებთ სულ უფრო მაღალ სინამდვილეს და მივყვებით ამ სინამდვილის ნებას, ეს არის საწინდარი არ მოტყუებისა.

მთლიანობა ქმნილებაში მოქმედებს მისი ფორმის შესატყვისად, ადამიანის ფორმაში იგი სდებს თვითშეგრძნების, გაცნობიერების ძალას და ადამიანს უჩნდება იდეა - "მე".

ცნობიერება - ძალაა, ცეცხლი, ენერგია. ცნობიერება ძალაა და ძალა ცნობიერებაა. ყველა ძალები არიან ცნობიერნი, საყოველთაო ძალა არის საყოველთაო ცნობიერება, იგი იმყოფება ყველგან, იგი აღავსებს ყველაფერს.

როდესაც ადამიანი იწყებს შინაგანი ცნობიერების გაცნობიერებას, მას შეუძლია მის მიმართ სხვადასხვა მოქმედებების ქმნა, გაგზავნოს იგი ვითარცა ძალის დინება, ან საკუთარი თავის ირგვლივ შეკრას წრე, ან სფერო, ან კედელი ცნობიერებისა, ან მიმართოს აზრი ისე, რომ იგი

შეეიდეს ვინმეს თავში და ა.შ.

უხილავი ძალა, რომელიც შეიგრძნობა როგორც შიგნით, ისე გარეთ, არის ის, რის მიღწევასაც ანხორციელებენ ყურადღების მოკრებით, ეს არ არის რაღაც გაუკრეეეელი შეგრძნება, არამედ არის შეგრძნება კონკრეტული, რომლის მართვაც, დაკვირვებაც მის მოძრაობაზე, მისი მასის შეგრძნობაც და ინტენსივობის აღქმაც წარმოადგენენ ობიექტურ მოვლენებს სუბიექტურ სამყაროში.

ადამიანის არსებაში არის სფერო, რომელიც წარმოადგენს ხელისშემშლელ ზღუდეს, იგი ამრუდებს ყველაფერს, რაც შემოდის გარედან ან ზეგარდმო, იგი გაცოფებული ეწინააღმდეგება გონების სიწყნარეს და ცდილობს გადმოიბიროს გონება თავის განზომილებაში.

ამ სფეროს უარყოფა ან დათრგუნვა არ იძლევა ნამდვილ განწმენდას, ადამიანის ბუნებას ვერ გმოცელი, უარყოფა, დათრგუნვა ხომ ძალადობაა, ეს ქვეცნობიერი თავისთავადი ძალაა და თუ ჩვენ დავთრგუნავთ მას, იგი ათმაგი ძალით დაგვიბრუნებს სამაგიეროს თუ არ გვეყო ნებისყოფა.

ამიტომ საჭიროა დავემორჩილოთ არა მკვდარ წესთა კოდექსს, არამედ სულიერ კანონზომიერებებს.

ქვეცნობიერის დადუმებაც აუცილებელი პირობაა მოღვაწეობაში, ჩვენი შინაგანი მდუმარება წარმოადგენს ძალას და თუ ჩვენ არ ვპასუხობთ გარეგან ზემოქმედებებს, ამით ვაქრობთ მათ ჩვენი მდუმარე შინაგანით.

განგება ანუ განპირობება არის როგორც ერთი მთლიანი და განზოგადოებული, ისე კონკრეტული, თვითეულ სფეროს აქვს თავისი გეგმა მოქმედების განვითარებისა, გამომდინარე საერთო გეგმიდან, პირველსაწყისიდან დაწყებული იგი მრუდდება და იძენს იმ სფეროს შესატყვის პირობებს, რომელშიც გაივლის, უფრო მაღალი განზომილების განგებამ შეიძლება შეცვალოს უფრო დაბალი, თუ ცნობიერება წარიმართება მაღლისაკენ, იგი მეტ-ნაკლებად გამოდის თავისი მდგომარეობის შესატყვისი განზომილების განპირობების ზეგავლენიდან.

ფიზიკურ განზომილებაში პროგნოზირება ახლო

მომავლისა ხდება თითქმის სიზუსტით მის ზემდგომ განზომილებაში ხილვის მეშვეობით, რაც უფრო მაღლა ავდივართ, პროგნოზი ატარებს მით უფრო საერთო ხასიათს, ფიზიკურში მოსახდენი ხდება ჯერ ზემო განზომილებებში, მაგრამ განიპირობება ყოველი კონკრეტული განზომილების მიხედვით.

საჭიროა სრულადმომცველი მოშვება, ყოველგვარი პირადი მცდელობის გარეშე მოქმედება, მინდობა, მინებება იმ გრძნობას, რომლის დროსაც გრძნობ, რომ შენ არ მოქმედებ, არამედ შენით მოქმედებს საყოველთაო ძალა, რომელიც ამოქმედებს მთელ სამყაროს.

## ჯიდუ კრიშნამურტი (ამონაკრები აზრები)

რა არის საწყისი ადამიანის მოქმედების? - გონება, ამრიგად, მთავარია გონების მდგომარეობები და არა გარეგნული პირობები, ასე რომ, გონებრივი მდგომარეობები არსებითია, გარემოება კი არა არსებითი, როდესაც გარეგნული ფორმით ცდილობენ შინაგანის გამოხატვას, ეს არის ხელოვნური მოქმედება, როდესაც მთელ ყურადღებას შინაგანს მიაპყრობენ გარეგნულის მიმართ უყურადღებობით, ეს იწვევს გამოცალკევებას, უბრალოება კი მდებარეობს შუაში, შინაგანისა და გარეგანის განუცალკევებლად ურთიერთგამოხატვაში.

ჭეშმარიტება, სინამდვილე არსებობს თავისთავად, ყველაფრისაგან დამოუკიდებლად, იგი მარადიულია, მარადიული კი უსაზღვროა, უსაზღვრო გამოუხატავია, როგორ გამოიხატოს მარადიულობა? უსაზღვრობა? სინამდვილე? როგორც კი გამოხატავ მარადიულს მას აქცევ დროში, უსაზღვროს - ფორმაში, სინამდვილეს კი - საკუთარ შეხედულებაში. მაშ რა, იგი უცნობია? უხილავია? - არა, იგი უბრალოდ გამოუხატავია, აღუწერელია, ანუ გაუობიექტიურებელია, უბრალოდ, ჭეშმარიტება ხარ თვითონ შენ, იგი სუბიექტია და როგორღა დაინახოს დამნახველმა

თავისი თავი, ჭეშმარიტება თვალწინაა, ასევე მარადისობა თვალწინაა და უსაზღვრობაც თვალწინაა, და რომ იხილო, თუ რა არის იგი, ან თუ როგორია, ან თუ ვინ არის, უნდა დაიწყო მზერა ჭეშმარიტების თვალით, მარადიულობის თვალით, საქმე ისაა, რომ კი არ უნდა მიაღწიო ჭეშმარიტებას, არამედ უნდა დადგე ჭეშმარიტების საზღვრებში, რადგან არ არსებობს არაფერი მისაღწევი, როგორ განვახორციელოთ ეს? - ყურადღების მიპყრობით არსებულ სინამდვილეზე, აწმყოზე, არსებობაზე, როგორ მივაპყროთ ყურადღება აწმყოზე?- უნდა დავანებოთ თავი მომავალსა და წარსულს, ანუ უარი ვთქვათ გონებრივ, განსჯით და წარმოსახვით ოპერაციებზე.

მაშინ გონებაში დაისადგურებს სიჩუმე, რომლის მიღწევა ძალისხმევით არ შეიძლება, იგი მოდის თავისთავად, როდესაც გონება განუდგება არჩევანს, ნდომას და არ ნდომას.

სანამ მოქმედებს ხსოვნა გონებაში, შეუძლებელია სინამდვილის აღქმა ისეთად, როგორიც ის არის, ხსოვნას ყოველთვის შეაქვს გამზადებული ხატებები და მისი საფარით აღიქვამს გონება სამყაროს.

პირველ რიგში, აუცილებელია მოვერიდოთ სიტყვების ხმარებას, რომელთა უკან ვერ ვგრძნობთ ან ვერ ვგულისხმობთ მათ მნიშვნელობას, ან რომელთა მნიშვნელობა არ გვესმის.

სიტყვა, სახელი, არის რაიმე რეალობის გამოხატვა არსებობაში, მაგრამ არა თვით ეს რეალობა, დასახელება თავის თავად გულისხმობს რაღაცას მომავალში, ამიტომ იგი არ გამოდის გონების საზღვრებიდან, მაგრამ დასახელების საშუალებით არსებულში მისი დანახვა, რასაც გამოხატავს სახელი, ნიშნავს სინამდვილის დანახვას. ეს კი შეუძლებელია სახელით გამოხატული მნიშვნელობის გააზრების, ან უფრო სწორედ, შეგრძნების გარეშე, რადგან სახელი, საგნის მიერ აღძრული გრძნობის გამოხატვაა.

დასახელება - ესა დახარისხება სამყაროსი, განსაზღერება მისი, სახელით, სიტყვით იწყება აზროვნება, სიტყვის გარეშე

რჩება მხოლოდ გრძნობა.

მდუმარება არის გონების მდგომარეობა, მდუმარება იმას ნიშნავს, რომ გონებაში არ არის მიკერძოება, წინააღმდეგობა, თაედაჯერება, ხელშეუხებელი დასკვნები, რაიმე გამოცდილების მიერ დანატოვარი ხელშეუხებელი შთაბეჭდილება, და სწორედ ამგვარი განწყობებისაგან განთავისუფლებული გონება ხედავს სინამდვილეს და ამიტომ დუმს.

რადგან ფორიაქი გამომდინარეობს გაურკვეველობიდან, გაცნობიერება სინამდვილისა ანუ სიფხიზლე არის გონების მდუმარების საწინდარი.

გაცნობიერება, ცნობა, ნიშნავს ყურადღების მიპყრობას, მზერის მიპყრობას, გაობიექტურებას, ანუ დროში და სივრცეში დამკვირვებელისა და დასაკვირვებელის დაშორიშორებას, გაუცნობიერებლობა კი არის უბრალოდ საგნის აღქმა საკუთარი არსების შეგრძნების დავიწყებით, ეს არის გაბნეულობა გონებისა.

რა არის ცოდნა? რაიმეს შესახებ ჩამოყალიბებული გაგება, რაიმეს აღწერილობის ხსოვნა თუ რაიმე მოქმედების აღსრულების შემძლეობა? - ცოდნა ჭეშმარიტი გაგებით არის განცდა გამოწვეული მოქმედებით, დანარჩენები არიან მხოლოდ ამასთან მიმყვანი საშუალებები.

როდესაც ვინმე ამბობს "მე ვიცი" ან "ეს ასეა" ან "ეს ასე არააო", ამის მთქმელს გონება გაქვავებული აქვს.

ჭეშმარიტად რომ შესძლო მოსმენა რაიმესი და გაგება თქმულის არსისა, საჭიროა უკუაგდო მიკერძოება, განსჯა, საკუთარი ჩამოყალიბებული აზრი, ცოდნა, შეხედულება, დაპირისპირებისა და წინააღმდეგობის აზრი, შიში და სიფრთხილე.

გონებამ უნდა შეიძინოს მაღალი მგრძნობელობა, მაგრამ შიშის გამო იგი კარგავს ამ უნარს, შიში კი არის აზრი საკუთარი გამოცალკევების, საკუთარი საზღვრულობის შესახებ. საკუთარი არსებობის დაურღვევლობის არ ნდომა, იგი არ არის თავისთავადი, არამედ არსებობს რაიმესთან შეფარდებაში, შიში კონკრეტული ფორმაა აზროვნების,

შეუძლებელია გეშინოდეს იმისა, რაც არ იცის გონებამ, რისი გამოცდილებაც მას არ გააჩნია, უცნობის მიმართ, შიში ემყარება ნაცნობ გამოცდილებას.

გამოცდილება არის ანაბეჭდი გონებაზე, დატოვებული კვალი, ხოლო, როდესაც არავითარი შთაბეჭდილება არ ტოვებს ანაბეჭდს გონზე, ეს გონი იწოდება სუფთა გონებად, რელიგიაში მოღვაწეობა იმისათვის, რომ მიიღო გამოცდილება და რაიმე შთაბეჭდილება არის დაავადება გონების. რელიგიური ღვაწლის დანიშნულება არის გონების განწმენდა შთაბეჭდილებებისაგან.

რელიგიურ ღვაწლში განსჯა შეიძლება წარიმართოს საგნებისა და მოვლენების საერთო ნიშან-თვისებების მოძიებით და აქედან გამომდინარე, გაემაერთიანებელი ნიშნის მიღწევით, მაგრამ ასევე შესაძლებელია წარიმართოს უარყოფის გზით, ანუ ყველაფრის უარყოფით, რაც ექვემდებარება დროში და სივრცეში გაობიექტიურებას და ამით მისვლას იქამდე, რაც არ შეიძლება, რომ იქნას ობიექტი, ეს ხერხი უფრო ძლიერია, რადგან ანთავისუფლებს გონებას ყოველნაირი ობიექტისაგან და მიჰყავს იგი სიჩუმემდე.

რადგან გონება გამ ცალკევებულად ყოფნის მდგომარეობაა, ანუ "მე"-ს გრძნობა, სურვილი "ჩემი", "ჩვენი", ამათი უარყოფით თვითონაც უარიყოფა და მიდის სიჩუმემდე.

ამის განსახორციელებლად არ არსებობს არავითარი გზა, მხედველობაში გვაქვს ობიექტური რაიმე საშუალება, რადგან გზა გულისხმობს მიღწევას და გადაადგილებას, გულისხმობს გონების დაგეგმილის მიყოლას, ხოლო ის კი, რასაც უნდა მიაღწიო, არის შენს წინ, ის არის არსებული სინამდვილე.

ძიება გულისხმობს მოძრაობას რაღაცისაკენ, მიღწევას, ვინც ეძებს მას აქვს მიზანი, ოღონდ მიზანი წარმოდგენითი, არ ძიება ნიშნავს, რომ უკვე გაქვს და გაქვს ამჟამად, აწმყოში.

მოქმედება ნიშნავს კეთებას, მოძრაობას ანუ გადაადგილებას დროში და სივრცეში, განვითარებას ან

დაკნინებას, მაგრამ მთლიანობაში არ შეიძლება იყოს გადაადგილება, რის მიმართ უნდა იმოძრაოს მთლიანმა? ამიტომ იგი უძრავეია და ამიტომ მასში არაფრის მიღწევა არ შეიძლება, რადგან ის, რაც მისაღწევეია ერთი შეხედვით, უკვე იმყოფება იქ, საიდანაც აპირებენ მოძრაობის დაწყებას მასთან მისაღწევად.

მოქმედება მიზნის შემდგომში მიღწევისათვის არის ზერელე მოქმედება ან უფრო სწორედ გადადება ჭეშმარიტი მოქმედებისა შემდგომში, ჭეშმარიტი მოქმედება კი არის მოქმედება, რომელიც გამოხატავს მიზანს, მაგალითად, თუ მიაჩნიათ, რომ რაიმე მოქმედებით უნდა მიაღწიონ სიკეთეს, მაშინ ეს მოქმედება იქნება მისწრაფება სიკეთისაკენ, ხოლო ვინც გაიაზრებს, რომ სიკეთე განუყოფელია ან გამოიხატება შესატყვისი მოქმედებით იგი უბრალოდ მოქმედებს სიკეთით, მოკლედ რომ ვთქვათ, მოქმედება და გრძნობა უნდა იყვნენ ურთიერთ გამომხატველები და ეს არის უანგარო მოქმედება. ანუ მოქმედება, სადაც იკარგება "მე", საკუთარი პიროვნება. და სწორედ ეს არის თავისუფლება, თავისუფლება მოქმედებაა განპირობების გარეშე, განპირობება გულისხმობს წინააღმდეგობას, წინააღმდეგობის დაძლევა მოითხოვს წესს, მეთოდს, წესი კი თავად შეზღუდვაა, რადგან გონების ნაწარმოებია, თავისუფლების მიცემა არ შეიძლება, იგი შენი ბუნებაა, თუ ცდილობ თავისუფლების მოპოვებას, ეს მცდელობა მოპოვებისა იქცევა შეზღუდვად, თავისუფლება წესრიგია, მიდევნა გარემოებას ვითარცა წყალი, და სწორედ ეს არის მორჩილების არსი.

. მორჩილება არ ნიშნავს გარეგნულად სხვის ნებაზე მიყოლას, იგი წარმოადგენს მშვიდი გონების გამოხატულებას, რომელიც ღებულობს სინამდვილეს ისეთად, როგორიც ის არის და მიჰყვება მის განპირობებას, თავის მხრიდან ყოველგვარი კორექციის შეტანის და პრეტენზიის გარეშე. მორჩილება არის გონების მდგომარეობა, იგი არ მოიპოვება თანმიმდევრული გამომუშავებით, იგი უბრალოდ წარმოჩნდება, როდესაც გონება ხდება მსმენელი, მიმღები,

დამჯერე, არათვითდაჯერებული, ანუ საკუთარი პიროვნების გრძნობის უგულველყოფელი, რომლის შენარჩუნებით ყოველთვის იქნება დაპირისპირებული.

დაპირისპირება წარმოადგენს ამ წუთისოფლის სახეს, ეს არის გრძნობა საკუთარი პიროვნულობის დამკვიდრებისა, ეს არის განყოფის, განხეთქილების გამოვლენა, დანაწევრება, ბრძოლა, შეხლა, მტკიცება საკუთარი უპირატესობისა, ეს გრძნობა წარმოიშვება მაშინ, როდესაც გონება მოცულია სურვილით, სურვილი კი წარმოადგენს განუწყვეტელ მოძრაობას, მოძრაობას სარგებლის მიღებისათვის, დაკმაყოფილებისათვის.

დაპირისპირების საპირისპირო განწყობა არის დაქვემდებარება, რომელსაც ხშირად მიიჩნევენ მორჩილებად, სინამდვილეში კი დაქვემდებარება გამომდინარეობს ჩვენივე ჩამოყალიბებული შეხედულებიდან ავტორიტეტზე.

ავტორიტეტი წარმოადგენს ჩვენი შეხედულებით ჭეშმარიტი გამოცდილების მატარებელ არსებას ან ტრადიციას იმ გამოცდილებისას, რომელიც ჩვენ არ გაგვივლია და არ გაგვაჩნია, მაგრამ რომელსაც ჩვენ ვღებულობთ როგორც სარწმუნოს, ამას კი ვადგენთ ჩვენივე გამოცდილებიდან, ყოველგვარი გამოცდილება კი დამყარებულია ან უფრო სწორედ განპირობებულია წინა ცოდნიდან, წინა გამოცდილებიდან, ამიტომ იგი არის მხოლოდ ნაწილობრივი გამომხატველი სინამდვილისა.

ჭეშმარიტი მორჩილება შესაძლებელია მაშინ, როდესაც გონება განთავისუფლებული ავტორიტეტისაგან ექვემდებარება სინამდვილეს მომქმედი თავისუფლად წესრიგში. ამის განხორციელება კი შესაძლებელია გონების განთავისუფლებით ცოდნისაგან და ეს არის მდგომარეობა ჭვრეტისა.

ჭვრეტის პროცესი წარმოადგენს გონების განთავისუფლებას დაგროვებული ცოდნისაგან, ეს არის აღქმა გონების დამოწმების გარეშე, ყოველგვარი დაგროვებული ცოდნების გარეშე, ჭვრეტა წარმოადგენს

გონებით სამუშაოს, გარეგნული არაფერი მას არ იწვევს.

გონებას ძალუძს გააცნობიეროს აზრის წარმოქმნა და ეს გაცნობიერება, ეს ყურადღება არის ის მოქმედება, რომელიც იწვევს გონების მდუმარებას, სიწყნარეს, სიჩუმეს, გამთლიანებას, ანუ ჭვრეტას.

## შრი რამანა მაჰერში (ამონაკრები აზრები)

1. მარადიული გონი არის მოძღვარი ჭეშმარიტი, იგია მხედველი, მაყურებელი, მოწმე ყველაფრის, იგია თვითარსობა, გრძნობა არსობისა, მყოფობა, საკუთარი თავის შეგრძნობა, "მე" არსებობა, იგი იმყოფება გულში, შუაგულში, მკერდში, "მზის კარით შესავალში" - მზის წნულში.

2. ეს მოძღვარი, მარადიული გონი, მარადიულად უწყვეტი ცნობიერება მიიღწევა საკუთარი არსის, საკუთარი "მე"-ს გაცნობიერებით, შეგრძნობით, მიიღწევა თავიდანვე უკვე მიღწეული.

3. მიჰყევი იმ სიკეთეს, რომელიც გწამს და შეტრიალდი საკუთარი თავის შიგნით, გარეთ არ მისწრაფებული განწყობით, არც ნივთებისკენ, არც წესებისკენ, კამათის დატოვებით.

4. სანამ იფიქრებ "მე ვარ ეს", გამოიკითხე, გამოიძიე ჯერ, თუ ვის სურს იყოს ეს.

5. რასაც არ უნდა აკეთებდე, თუნდაც ლოცვისას ყოველივეში ეძიე საკუთარი არსი, მკეთებელი, შეკითხვით "ვინ ლოცულობს?" "ვინ საქმიანობს?"

6. საკუთარი "მე"-ს შეგრძნების ყურადღება, საკუთარი "მე"-ს გამოძიება არის უმოკლესი გზა და როდესაც კაცი ამ გრძნობით იქნება დაპყრობილი და თანდათან ჩაღრმავდება მასში, მისი ზენა არსი მიიღებს მას თავის ხელმძღვანელობაში.

7. საკუთარი თავის გაცნობიერება არ გულისხმობს არავითარ სხეულებრივ მოქმედებას, ან გონებრივ აქტივობას, ან გრძნობისმიერ სამუშაოს, ეს არის სუფთა ცნობისწადილი, გამოძიება, ნახვის სურვილი, ნდომა საკუთარი არსის დანახვისა.

8. საკუთარი თავის გამოძიებას, საკუთარი არსის გამორჩევას არ ჭირდება არანაირი თავის გამოსწორება, ან საკუთარი თავის სრულყოფა, როდესაც ადამიანი მიიმართება საკუთარი წყაროსკენ, ყველაფერი გარეგნული თავისთავად იფანტება და ქრება.

9. რაიმე საგნის ჭვრეტა მხოლოდ აშორებს კაცს საკუთარი არსისგან.

10. ყველაფერს, რასაც არ უნდა აკეთებდეს ადამიანი, უნდა იყენებდეს საკუთარი არსის, "მე"-ს აღმოსაჩენად, მზერა მიპყრობილი საკუთარი თავისკენ კითხვის გამომხატავი გრძნობით "ვინ არის მომქმედი?"

11. ყოველგვარი გარეგანი წესი იმათთვისაა, რომლებიც არ არიან ნაზიარებნი თვითშემეცნებას.

12. ის, ვინც საკუთარი თავის ჭვრეტის ღვაწლშია, მისთვის ყველაფერი განაწესია და წესი, რადგან ის, ვინც საკუთარ თავს ჭვრეტს, რასაც არ უნდა აკეთებდეს, მუდამ ძიებაშია მომქმედის: "ვინ მოქმედებს?" "ვინ ფიქრობს?" "ვინ გრძნობს?" "ვინ ვარ მე?" ასეთია გამოძიება თავისა, ესაა გრძნობა საკუთარი სინამდვილისა, საკთარი ყოფნისა.

13. იმის მაგივრად, რომ ეძიებდე გონების შეჩერების საშუალებას, ან პიროვნების სრულყოფის გზას, სჯობს გამოიძიო ბუნება გონებისა და ჩაწვდე იმას, რომ იგი საერთოდ არ არსებობს, როგორც ასეთი, როდესაც გონება ჯიუტად ეძებს თავის საკუთარ ბუნებას, იგი რწმუნდება, რომ არ არსებობს ისეთი რამ, რასაც ჰქვია გონი.

14. გონება არის აზრთა კრებული, მიმართო მზერა აზრთა წარმოშობის წყაროსკენ და იქ შეჩერდე, ნიშნავს იმას, რომ გონება გაქრეს თავისთავად.

15. საკუთარი არსის გაცნობიერება, საკუთარი თავის შეცნობა, "მე"-ს გამოძიება, არ ემყარება არც სიტყვას, არც თვალსაზრისს, არც ხედვას, არც წარმოდგენას, არამედ უბრალოდ, დამყარებულია საკუთარი თავის, საკუთარი არსების არსებობის გრძნობის მიმართ ყურადღებაზე, და რადგან იგი არ იყენებს არც შეგნებას და არც გრძნობებს, მისი წარმოება ითხოვს გამუდმებულ ყურადღებას განხორციელებულს საკუთარი ნებით.

16. ადამიანი არ არის განცალკევებულად მყოფი მარადიული გონისგან და არასოდეს არ დაუკარგავს ის, რისი მოპოვებისაკენ იგი მიისწრაფის, ყოველი პიროვნული გონება სხვა არაფერია, თუ არა ერთარსი მარადიული გონი და სანამ ეს არ არის შეგნებული, მანამდე იღწვის და ელის, ელის მომავალში აღსრულებას.

17. ხოლო იმის გააზრება და შეგნება იმისა, რომ საკუთარი თავი არის და ყოველთვის იყო მარადიული, ერთარსი, განუყოფელი გონის თანაზიარი და იგივეობა, არის დასაწყისი საკუთარი არსის აღმოჩენის ღვაწლისა.

18. "მე"-ს ჭვრეტა საშუალებაა იმისა, რომ მოვიშოროთ ცრუ წარმოდგენა საკუთარი სულის მომავალში, გაურკვეველი დროის შემდგომ აღქმისა, ასევე ცრუ გრძნობა იმისა, რომ სინამდვილეში არის რაღაც, რომელიც არ ექვემდებარება განსაზღვრებას და რომლადაც უნდა გადავიქცეთ შემდგომში.

19. სინამდვილეში არ არის საჭირო არავითარი საგანი ყურადღების დასაყრდნობად, თვით საკუთარი თავის გამოძიების ძალისხმევაც არ არის აუცილებელი იმისათვის, რომ მოვიძიოთ: "მე ვინ ვარ?" უბრალოდ უნდა დავხუჭოთ თვალები და იმისა და მიხედვით, თუ რამდენად ყუჩდებიან გარეგანი შეგრძნებები, რჩება საკუთარი არსებობის არსებობა, ამას არ სჭირდება რაიმე ხატი ან შეხედულება. ეს არის საკუთარი არსებობის ბუნებრივი მდგომარეობა.

20. გაცნობიერება თავად არის "მე", და რადგან არავინ არ არის მოკვეთილი მისგან, მისი მიღწევის სურვილიც უცოდინარობიდან იშვება, ასე რომ, მისი მიღწევის სურვილით აღწევენ საწინააღმდეგოს, სცილდებიან მას.

21. "მე"-ს მიღწევა შეუძლებელია იმ აზრის მოშორების გარეშე, რომელიც თვლის, რომ "მე"-მდე არ მიგვიღწევია, როდესაც გონება განთავისუფლდება ამ ფიქრისაგან, მაშინ აღმოაჩენს, რომ საკუთარი ცნობიერება არის სწორედ ის, რასაც ამდენი ხანი დაეძებდა.

22. ადამიანები ეძებენ გზებს, თითქოს და იყოს რაიმე გასავლელი მანძილი საკუთარ არსამდე მისაღწევად.

23. სინამდვილეში საკუთარი არსი არის ადამიანის

საკუთარი "მე" და ეს "მე" ყოველთვის იყო აქ და არის აქ ამჟამადაც, ყოველ წამს, და ასევე ყოველი არსება არსია მუდმივად.

24. "მე" არის ადამიანის შუაგული, მისი გული, ასე რომ, სხვაგან სად უნდა მოიძიოს კაცმა თავისი გული, თუ არა თავისივე გულში?

25. "მე" არის საკუთარი ყოფიერება, არსობა ყველაფერი გარეშეს გარეშე, სხეულებრივის, ქმნილის გარეშე, იგია სუფთა ცნობიერება, გონებრივი წყობა მრახვათა გარეშე, "გული" ნდომების გარეშე, არსებობა ანგარების გარეშე.

26. ეს სუფთა "მე" არის არსობის გაცნობიერების და საკუთარი თავის შეცნობის სფერო, ყურადღება მიპყრობილი საკუთარი არსებობის გაცნობიერებისაკენ, ვნებების, სურვილების, ლტოლვების გამორიცხვით და ამიტომ წოდებული "სუფთა "მე"-დ. საპირისპიროდ "მე"-სი, რომელიც საკუთარ თავს აიგივებს სხეულთან, სქესთან, გარემოებასთან, ანუ ამ სამყაროში, სივრცეში და დროში ადგილ-მდებარეობასა და მოქმედების უნართან, რომელიც ქმნის პიროვნებას.

27. როდესაც საკუთარი "მე" აღიქმება ყველა ხუთი გრძნობით და გონებაც მიმართულია საკუთარ "მე"-ში, მაშინ აღიქმება მარადისობა და უსაზღვრობა, რადგან ამდაგვარია ბუნება "მე"-სი, ხოლო სხეული მაშინ აღიქმება, როგორც "მე"-ს ადგილსამყოფელი.

28. გულმკერდში, გულში არის ის ადგილი, ის წერტილი, სადაც შეიგრძნობა უსაზღვრობა საკუთარი თავისა, ამიტომ ღვაწლის წარმართვა შეიძლება მითითებული იყოს მარტივად ასე: "მიმართე მზერა საკუთარ სხეულში გრძნობით: "მე ვარსებობ - არსებობა ვარ მე".

29. როდესაც ადამიანი შეიგრძნობს საკუთარ შუაგულს, იგი იხილავს სინათლეს და უსასრულობის ფერებს, ყველა ნათება, ყველა ძალები, ყველა ფერები და მბრწყინავი ნათელი, გაცნობიერება და დრო, ყველაფერი ეს არსებობს ამ შუაგულში.

30. გონის თავმოყრა, საკუთარი თვითშეგრძნების, "მე"-ს შეჩერებაა საკუთარი სხეულის და არსების რომელიმე ერთ

წერტილში და ამ წერტილშიეე ცნობიერების, აზროვნების, შეგრძნების და ნების მიმართეა.

31. "მე"-ს შეგრძნება შეაჩერე წერტილში, რომლის ადგილმდებარეობა განისაზღვრება ყურიდან ყურში გამავალი და წარბებს შორიდან კეფისკენ გატარებული წრფეთა გადაკვეთის ადგილით თავში, და ეს წერტილი შეაჩერე და მოათავსე "მე"-ში, "მე"-ს შუაში, ამით "მე"-ს გრძნობა დაწერტილებული ერთ ადგილზე ერთდროულად კარგავს საკუთარ კონკრეტულ საზღვრებს და გონება მჭვრეტი ამ ადგილისა არ დაუშვებს არაფერი ხელისშემშლელის შემოსვლას გონებაში.

32. სამი საქმეა გასაკეთებელი, მზერის მიპყრობა საკუთარ სხეულზე ერთ წერტილზე საკუთარი თავის შეგრძნებით გონის მოძრაობის შეკავება და საკუთარ არსებაში შესვლა, შეკუმშვა.

33. საკუთარი "მე"-ს მოძიებისას არასწორია გადააქციო შეკითხვა "მე ვინ ვარ?" განუწყვეტელ გამეორებად, შეეკითხე საკუთარ თავს ერთხელ და შემდეგ შეაჩერე გონება საკუთარი "მე"-ს წყაროს გამოძიებით და ერთდროულად აზრთა წარმოშობის აღკვეთით, თუ ასე განაგრძობთ გამოკითხვას, მოვა პასუხიც.

34. სინამდვილეში "წუთისოფელი" არის მხოლოდ ფიქრი, როცა აღარაა ფიქრი, ქრება "წუთისოფელი" და გონება განიცდის ნეტარებას, მაგრამ თუ ფიქრი კვლავ იშვება, იშვება ტანჯვაც.

35. არ არსებობს ორი გონება კარგი და ცუდი, გონი ერთია, მხოლოდ ჩვევებიდან დანატოვარი ანაბეჭდებია ორი სახის.

36. გონებას არ უნდა მისცე უფლება წუთისოფლის საგნებით მოხიბლისა, ან სხვა ადამიანთა მიმართ ცნობისმოყვარეობის აღძვრისა, რა ცუდნიც არ უნდა იყვნენ სხვები მათ მიმართ დაუშვებელია სიძულვილის გამოვლენა, რაც სხვათა მიმართ გაიცემა ის მიეცემა ადამიანს თავად, თუ გონება მშვიდია, ცხოვრება შეიძლება ყოველნაირ გარემოში.

37. სანამ გონებაში რჩებიან შთაბეჭდილებები, საკუთარი "მე"-ს გამორჩევის ღვაწლი აუცილებელია. აზრთა

წარმოშობისას, აზრები უნდა დავშალოთ იმ წამსვე და იქვე, თვით მათ წყაროში, რითი? გამოძიების გამოყენებით. გამუდმებული ჭვრეტა "მე"-ში მისი გაცნობიერების წამამდე არის ერთადერთი რამ, რაც უნდა გაკეთდეს.

38. ის, რაც არსებობს სინამდვილეში არის "მე", წუთისოფელი, პიროვნება, უფალი, ყველა ესენი მისი ხილვებია.

39. გარე სამყაროს შეცნობაზე უპირატესი საკუთარი თავის შეცნობაა, ხოლო ამის შემდგომ შეიძლება გადაწყვიტო ამოხსნა ყველა სხვა ამოცანა, თუ ისინი დარჩებიან საერთოდ.

40. ადამიანის ჭეშმარიტი ბუნება უპირობოა, სუფთა არსებობა, ყოფნა, "მე" - ყველაფრისგან დამოუკიდებლად, ყოველგვარი ნიშან-თვისების გარეშე, ყოველნაირი ჩამოყალიბებული გააზრების გარეშე, უბრალო "მე არსებობა", გრძნობა - "მე ვარ", ამ ბუნებრივობიდან ადამიანის გადაცდენა ანგარების ბრალია, პირადულობის, კერძოობის, რომელიც წარმოიშვება სუფთა "მე"-ს და სხეულს შორის ურთიერთობიდან.

41. პირადულობა გამომდინარეობს აზრიდან: "მე სხეული ვარ", აზრი "მე" არის ძირი ყველა დანარჩენი აზრისა.

42. პირადულობის ფუძე არის სუფთა ცნობიერება, არსობა, გული, სხეულთან არათანაზიარი, როცა იწყებენ გამოძიებას "მე"-ში, პირადულობა იძირება და ქრება ამ ფუძეში.

43. ჭეშმარიტი გზა სიბრძნისა, ანუ განზოგადებისა, არის განუწყვეტელი გამოძიება "მე"-ს წყაროსი გონების მიერ, რომელიც შეტრიალებულია შიგნით, ანუ არის მაყურებელი საკუთარი თავისა.

44. საკუთარი "მე"-ს თვალთვალი ნიშნავს უმზირო საკუთარ მოქმედებას, რადგან იგია ის სინამდვილე, სადაც წარიმართებიან ყველა მოქმედებები, სინამდვილეში არ არსებობს არც სული, არც უფალი, არსებული დამოუკიდებლად და გარეგნულად "მე"სგან, რადგან "მე" ყველაფერს შეიცავს საკუთარ თავში. ან უფრო სწორად "მე"-ს აღქმის მდგომარეობებია, სული - "მე"-ს აღქმის მდგომარეობა, ასევე ღმერთი, მდგომარეობაა აღქმისა "მე"-

სთვის, ისევე, როგორც "წუთისოფელი" აღქმის მდგომარეობაა "მე"-სი.

45. ადამიანი განუწყვეტლივ ამბობს: "მე", "მე", "მე", შეეკითხე საკუთარ თავს თუ ვინ არის ეს "მე". საიდანაა ეს აზრი "მე", რა არის მისი საწყისი. თუ საკუთარ გონებას მყარად შეაკავებ ამ მიმართულებით, სხვა ყველა ფიქრის გამორიცხვით, ადრე თუ გვიან მიხვალ "მე"-ს შეგრძნებასთან, საკუთარ არსთან.

46. მხოლოდ "მე"-ს გაცნობიერებაა ჭეშმარიტად სულიერი სრულყოფილება და ძალა, ყველა სხვა დანარჩენი ძალები მოჩვენებითია, მსგავსად სიზმრისა ძილში.

47. ძალთა მოპოვება შეუძლებელია გონების მოქმედების გარეშე, მეორე მხრივ კი განთავისუფლება მიიღწევა მხოლოდ გონების სრული დამშვიდების ან მისი მოქმედების ჩაქრობის შემთხვევაში.

48. ჭეშმარიტად, ადამიანს არა აქვს არანაირი საბაბი იყოს უკმაყოფილო ან უბედური, თვით ადამიანი ზღუდავს თავის თავს, თავის ნამდვილ ბუნებას, რომელიც არის უსაზღვრო არსებობა, შემდეგ კი, საკუთარი შეზღუდვიდან შებოჭილი გლოვობს, რომ იგი შეზღუდული არსებაა. ეს შეზღუდულობა კი ჩნდება საკუთარი თავის სხეულად მიღებისას.

49. გააცნობიერეთ ის, რომ სინამდვილეში ხართ უსაზღვრო, სუფთა არსებობა, უპირობო "მე" და ნეტარებაში მყოფი, ნეტარება კი არ ემატება თქვენს ბუნებას, არამედ იგი იხსნება, როგორც თქვენი ბუნებრივი მდგომარეობა, მარადიული და დაურღვეველი, ერთადერთი გზა მწუხარებიდან თავის დახსნისა არის გაცნობიერება საკუთარი თავისა, რომ თქვა: "მე ვარ არსებობა", "არსებობა ვარ მე".

50. გონებასა და სუნთქვას ერთი და იგივე წყარო აქვთ. აზრი გონების ბუნებაა, აზრი - "მე" გონების პირველი აზრია, ეს არის პირადულობა, ზუსტად იქ, სადაც იშვება პირადულობა, სათავეს იღებს სუნთქვა, ამიტომაა, რომ როდესაც გონება მშვიდდება სუნთქვა მართვადია და პირიქით, როცა სუნთქა მართვადია გონება წყნარდება, სუნთქვა თუ შეიძლება ითქვას, არის გონების უხეში ფორმა,

ასე რომ, სუნთქვის მართვა მხოლოდ დამხმარე საშუალებაა, რადგან იგი ამშვიდებს გონებას, მაგრამ არ ანადგურებს მას.

51. ეჭვის გარეშე, უცვლელად მისდიე "მე"-ს შეგრძნობის შეკავებას, ყურადღებაში ფიქრი საკუთარი ცოდვიანობის შესახებ დატოვებული უნდა იქნას.

52. საკუთარი თვითარსობა არის ის, სადაც საერთოდ არაა ფიქრი "მე", და არის ის, რასაც ეძახიან "სიწყნარეს", თვითარსობა თაევად არის მშვიდობა, თვითარსობა თავად არის პიროვნება, თვითარსობა თავად არის ღმერთი.

53. ის, ვინც მთლიანად მიუძღვნის თავს საკუთარი არსის შეცნობას, არის უპირატესად მინდობილი ღვთის ნებას.

54. თუ ყველა წარმოქმნილი აზრი განადგურდება უკვალოდ თავიანთი წარმოშობის ადგილში, ეს იქნება ჭეშმარიტი ნირუცვალებლობა.

55. ღმერთი და მოძღვარი არ სხვაედებიან, ისინი მიუთითებენ ხსნის გზას, მაგრამ თაევად არ მიჰყავთ სული განთავისუფლების მდგომარეობამდე, მისი ნების გარეშე.

56. ყველა წმინდა წერილი ამბობს, რომ განთავისუფლების მოსაპოვებლად საჭიროა გონების დამშვიდება, ასევე აღნიშნავენ, რომ ძალების მოპოვება როგორიცაა აზრთა წაკითხვა, წარსულისა და მომავლის ცოდნა, ნათელმხილველობა, არ წარმოადგენენ გონებრივ გამჭრიახობას, იყო სიმშვიდეში, აი, ეს არის ჭეშმარიტი გამჭრიახობა სიბრძნისა.

57 სურეილების არქონა არის სიბრძნე, სურეილების არქონა ნიშნავს საგნებისაკენ გონების მოძრაობისგან თავის შეკავებას, როდესაც არ იძებნება არაფერი საკუთარი არსობის გარდა, ეს არის სურვილების არ ქონა, ხოლო საკუთარი არსობის არ დატოვება კი არის სიბრძნე.

58. საკუთარი თავის თვალთვალი მდგომარეობს გონების "მე"-არსებობა"-ს გრძნობის შუალუგში შეკავებაში, გაცნობიერება კი ფიქრი, რომ დამკვირვებელი, ანუ საკუთარი აღქმის სფერო არის უკიდეგანო გონი.

59. ჩაყვინთე ღრმად საკუთარი თავის შიგნით, საკუთარი გულის იდუმალ სიღრმეებში, როგორც მარგალიტების მომპოვებელი, შეაკავე მეტყველება და სუნთქვა და

გაფაციცებული მზერით მოიპოვე მარგალიტი, საკუთარი თავი, საკუთარი თავის შიგნით.

60. რა არის სიკეთე? რაც სასიამოვნოა? რაც ტკბილია? არამედ ცოდნა, რომელიც იშვება გაცნობიერებით, უანგარობით, განდგომით. რა არის ბოროტება? რაც უსიამოვნოა? ტკივილის მომტანი? არამედ არცოდნა გაუცნობიერებლობიდან, ანგარებიდან, ლტოლვიდან შობილი.

61. სიკეთე ავსებს, ბოროტება ანგრევს.

62. რა არის ცოდნა? გაცნობიერება საკუთარი არსისა, საკუთარი "მე"-სი. რა არის არცოდნა? საკუთარი თავის მიღება სხეულად.

63. მხოლოდ საკუთარი არსობაა მუდმივი, განდეგილობა ჭეშმარიტად მხოლოდ მაშინ სრულდება, როდესაც საკუთარი არსი არ იგივდება სხეულთან.

64. მხოლოდ საკუთარი თავის შემცნობი, საკუთარი არსების გამუდმებით აღმქმელი შემძლეა იმოქმედოს მიუკერძოებლად, არაფერზე არ მიბმით, ზეგავლენის არ მიღებით.

65. თქვენ გსურთ იხილოთ ღმერთი ყველაფერში? მაგრამ არა საკუთარ თავში? თუ ყველაფერი ღმერთია, თქვენ რა, არა ხართ მიკუთვნებული ამ ყველაფერთან?

66. იხილო ღმერთი, ანუ ხედავდე ღმერთს ყველაფერში, ნიშნავს იყო ღმერთი, არ არსებობს "ყველაფერი" ღმერთისგან განცალკევებით.

67. გამუდმებული მდგომარეობა საკუთარი თავის ყურებისა არის ცოდნა თავისა. არ არსებობს ისეთი რამ, რაც არის მიღწევა საკუთარი არსისა. იგი ყოველთვის თქვენ თვითონვე ხართ, საკუთარი თავი მისაღწევი რომ ყოფილიყო, მაშინ გამოვიდოდა ისე, რომ თითქოსდა საკუთარი თავი არ იმყოფება აქ ამჟამად და რომ იგი შემდგომ უნდა აღმოჩენილიყო და მიღებულიყო, ის, რაც მიღებული იქნება შემდგომ აუცილებლად იქნება დაკარგული და ამრიგად იქნება არამუდმივი, ის, რაც არამუდმივია არ იმსახურებს ძალისხმევის დაძაბვას, ასე რომ, საკუთარი თავი არ მიიღწევა შემდგომში, ყოველი ადამიანი უკვე არის თავისი

თავი ყოველ წამს.

68. ჭვრეტისას არის მხოლოდ გრძნობა “მე ვარ“, ხოლო აზრები არ არიან, ეს კი ნიშნავს იყო მშვიდი.

69. თუ საკუთარი თავი ყურადღებულია, მაშინ რაიმეს მართვა არ არის აუცილებელი, მართვა ნიშნავს გონების მოქმედებას, ხოლო საკუთარი არსი ბრწყინავს მხოლოდ გონების გაქრობის შემდგომ.

70. ადამიანში, რომელმაც გააცნობიერა საკუთარი თავი გონება შეიძლება იყოს მოქმედი ან უმოქმედო, მაგრამ მისთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ საკუთარი არსის მზერას, მისთვის როგორც სინამდვილე არსებობს მხოლოდ არსებობა მთლიანობაში, რადგან გონება, სხეული და წუთისოფელი არ არსებობენ ცალ-ცალკე მისი არსებისაგან დამოუკიდებლად. ეს ყველაფერი მიეკუთვნება მის “მე“-ს.

71. არსობა “მე“, საკუთარი ყოფიერება, მხედველი, ბრწყინავს თავისი საკუთარი სინათლით, იგია “გული“ ადამიანის.

72. ნათელი ამოდის გულიდან და აღწევს თავამდე, რომელიც არის აზროვნების ადგილსამყოფელი, წუთისოფელი აღიქმება გონების მოქმედებით და როცა იგი განათებულია, მაშინ იგი ცნობს წუთისოფელს, თუ გონებას მოვატრიალებთ შიგნით სინათლის წყაროს მიმართულებით, მაშინ საგნობრივი ცოდნა ქრება და საკუთარი არსი, არსებობა, მარტო იგი ანათებს როგორც გული.

73. შინაგანი და გარეგანი არსებობს მანამდე, სანამ არსებობს პირადული და საგნობრივი, ისინი ქრებიან “მე“-ში, “მე“-ს გამოძიებას მიჰყავს გონება სუფთა ცნობიერებასთან, რომელიც აღემატება პირადულს.

74. პირადული გონებისგანაა და იგი შეზღუდულია, რადგან გონება ისაზღვრება სხეულით და პირადი სარგებელით.

75. საკუთარი არსება, მხედველი, ყოველთვის აქაა, საჭიროა მხოლოდ საფარველის მოშორება.

76. საკუთარი “მე“-ს გაცნობიერება ის გრძნობაა, რომელიც არ იკარგება არასდროს.

77. “მე“ არც ფართოვდება, არც მცირდება, არ მატულობს და არ კლებულობს, იგი მარადიულია და უცვლელი.

78. "მე"-ში დამკვიდრება არის ჭეშმარიტი განმარტოება, განდეგილობა.

79. ბუნებრივი მდგომარეობა არის ის, რომ იყო კითხვებისა და ეჭვების გარეშე.

80. იმისათვის, რომ გამოავლინო ნიჭი, საჭიროა, რომ იყოს ვინმე მეორე ამის მოწმე, დამოწმებისათვის , ეს კი ნიშნავს, რომ გამომვლინებელი არ ფლობს დამაკმაყოფილებელ ცოდნას.

81. ჭეშმარიტად არ არსებობენ "სხვები", რომელთაც სჭირდებათ შველა, ვინც განახორციელა საკუთარი თავის აღმოჩენა ყველაფერში ხედავს არსს, "მე"-ს.

82. გარეგნობა და სახელდება არსებათა და ნივთთა მიმართ არსებობენ მანამდე, სანამ არის გაიგივება საკუთარი თავისა სხეულთან.

83. არ არსებობენ "სხვები", რომ მათთან შევერთდეთ, არსი "მე" მხედველი ერთადერთი სინამდვილეა.

84. რაც საჭიროა, რომ იყოს აღსრულებული არის ის, რომ უბრალოდ იყო, ამიტომ არავითარი საჭიროება არაა იყო რამე, ან ვინმე, ან ეს ან ის. ემსგავსო ვინმეს ან თანამიმდევრულად განვითარდე.

85. "მე ვარ რომელიც ვარ" - ეს არის ჭეშმარიტება, საშუალება კი არის ის, რომ იყო მშვიდი, სიჩუმე არის პირადის განადგურება, რადგან გარეგნობა და სახელდება მიზეზია მღელვარებისა.

86. შეგრძნება - "მე - მე ვარ", არის არსობა, არსებობის აღნუსხვა, ხოლო რაიმესთან საკუთარი თვითშეგრძნების მიკუთვნება, გრძნობა "მე ვარ ეს" ან "მე ვარ ესეთი" არის პირადულით შემოსაზღვრა თავისა, სანამ "მე" შენარჩუნებულია მხოლოდ როგორც "მე", მანამდე ეს გრძნობა გამოხატავს საკუთარი არსებობის განცდას, როგორც კი მოხდება გადახრა საკუთარი არსებობის გრძნობიდან და საკუთარ თავს მიაკუთვნებენ რაიმეს ფიქრით: "მე ვარ ესეთი", "მე ეს ვარ", ამით "მე" ისაზღვრება პირადი შეხედულებით, კერძოობის გრძნობით, საკუთრების განცდით.

87. არსი არის ის, ვისაც ვგულისხმობთ ღმერთად, "მე ვარ"

- არის ღმერთის მდგომარეობა, ღმერთი რომ ყოფილიყო განცალკევებულად მყოფი "მე"-სგან, იგი უნდა ყოფილიყო ღმერთი პიროვნების გარეშე, ეს კი შეუძლებელია.

88. მშვიდობა ბუნებრივი მდგომარეობაა, მაგრამ გონება ხშავს მას, როცა გონება ანუ განსჯა აღარ მოქმედებს, მაშინ მყარდება სიმშვიდე.

89. როდესაც წუთისოფელი, რომელიც არის ის, რაც ხილულია, მოშორებული იქნება, დგება განხორციელება არსის აღქმისა, "მე"-ს აღმოჩენისა, რომელიც არის მხედველი, მოწმე ყველაფრის.

90. როდესაც გონება, განსჯა, მიზეზი ყველანაირი სახის ცოდნისა და მოქმედებისკენ აღძვრისა დაწყნარდება, მაშინ წუთისოფელი ქრება როგორც სინამდვილე.

91. გონება, განსჯა არის გასაოცარი ძალა, მოქმედება, რომელიც იმყოფება და მოქმედებს პიროვნებაში, "მე"-ში, არსში, ცნობიერების სივრცეში, იგია მიზეზი აზრთა წარმოქმნისა, არ არსებობს გონება აზრთა გარეშე, ბუნება გონებისა არის ფიქრი.

92. ფიქრისაგან განურიდებლად არ არსებობს დამოუკიდებელი არსებობა წუთისოფლად.

93. გონება გამომდინარეობს "მე"-დან, და იშვება წუთისოფელი, თუ წუთისოფელი მიღებული იქნა სინამდვილედ, მაშინ "მე", არსი, სული, ქრება თვალთახედვიდან, ხოლო როდესაც სულის სხივოსნებაში იძირება მზერა, მაშინ წუთისოფელი ქრება თვალთახედვიდან.

94. გონების ბუნების თავგამოდებული გამოძიებისას გონება მიდის დასასრულამდე და რჩება მხოლოდ "მე", გონება არსებობს რაიმე უხეშთან კავშირში ყოველთვის და არ ძალუძს იყოს თავისთავად, იმას, რასაც ეძახიან ფაქიზ სხეულს, ან ფშვინვიერ სხეულს არის გონება და სხვა არაფერი.

95. ის, რაც ამ სხეულში წარმოიშვება ვითარცა ფიქრი "მე", არის გონება. თუკი გამოვიძიებთ იმას, თუ პირველად სად წარმოიშვება სხეულში ფიქრი "მე", აღმოჩნდება, რომ იგი ჩნდება გულში, გულში არის წყარო გონებისა, უბრალოდ

რომ ეიფიქროთ, მხოლოდ ერთი ფიქრი განუწყვეტლივ; სხვა ფიქრების გამორიცხეით: "მე", "მე", "მე", საბოლოოდ მიეალთ ამ ადგილამდე გულში.

96. ფიქრი "მე" ყველა ფიქრის საწყისია, მხოლოდ პირველი პირის წარმოჩენის შემდგომ ჩნდება მეორე და მესამე პირი აზროვნებაში.

97. აზრი "ვინ ვარ მე?" თრგუნავს ყველა სხვა დანარჩენ ფიქრს, და მსგავსად იმ ჯოხისა, რომლითაც ქექაეენ კოცონს და ბოლოს თაევადაც რომ იწვება, ასევე "ვინ ვარ მე" ფიქრის გაქრობის შემდგომ წარმოიშეება თვით არსობა, ყოფნის მდგომარეობა.

98. სხვა აზრთა წარმოშობისას კი არ უნდა მივდიოთ მათ, არც შეევებრძოლოთ, არამედ წარმოვშეათ კითხვის განწყობა "ვისთვის იშვებიან ისინი?" პასუხი იქნება: "ჩემთვის". და თუ ამის შემდგომ იკითხავთ "ვინ ვარ მე?" მაშინ გონება ბრუნდება თავის წყაროში და მშვიდდება, ამის გამუდმებით კეთებისას გონება ეჩვევა წყაროსთაეში დგომას.

99. როცა გონება გამომდინარეობს გარეთ ტვინის და გრძნობის ორგანოების მეშვეობით იშვებიან სიმყარე, სახელები და გარეგნობები, მაგრამ თუ იგი რჩება "გულში", მაშინ სახელები და ფორმები ქრებიან, ეს არის შიგნით შებრუნება.

100. როდესაც გონება რჩება გულში, მიზეზი ყველა ზრახვისა "მე" უჩინარდება და მაშინ მარადიული არსებობა წარმოჩნდება განუზომელი სხივოსნობით.

101. რაც არ უნდა კეთდებოდეს, უნდა კეთდებოდეს პირადი მე-ს გარეშე, ამგვარი მოქმედებით ყველაფერი წარმოჩნდება ვითარცა ღმერთის არსება.

102. ვინც შეიცნო საკუთარი არსი, მას აღარაფერი აღარ რჩება შესაცნობი.

103. არსობა ყოველთვის ყველასთანაა და ყოველი აღმოაჩენს მას, თუკი გულწრფელად მოიძიებს მას.

104. საყოველთაო სულის შეცნობა არ არის გარედან მოსული ცოდნის ნაყოფი, საჭიროა იმ თვალსაზრისის უკუგდება, რომელიც თვლის, რომ სულის შეცნობა

შეუძლებელიაო, არსი, სული, რომელიც უნდა ჰქნას შეცნობილი სინამდვილეში ხართ თვითონ თქვენ, რომელიც არ არის დაშორებული თქვენგან სივრცით და დროით.

105. ერთადერთი გზა მწუხარებისაგან თავის დაღწევისა არის ის, რომ გააცნობიერო საკუთარი თავი, იყო ის, რაც ხარ.

106. მდუმარება არის სახე უფლისა.

107. გონება არ არსებობს ცალკე ფიქრისგან, რადგან ფიქრები წარმოიშვებიან, საეარაუდოა არსებობა მათი წარმომშობი რაიმე წყაროსი და თუ შიგნით ჩაღრმავდები, რომ გამოიძიო თუ რა არის ეს, წარმოჩნდება ის, რომ გონება საერთოდ არ არსებობს.

108. მხოლოდ "მე"-ს გამორჩევა ანადგურებს ფიქრებს, ყველა სხვა დანარჩენი სახეობა ღვაწლისა ინარჩუნებენ გონების მოქმედებას, როგორც იარაღს გაცნობიერებისა.

109. ღმერთისა და წუთისოფლის ბუნებათა საკითხების გადაწყვეტაზე უადრეს შეიცანი საკუთარი თავი, თუ გაქვს რწმენა, რომ ღმერთი შეგისრულებს ყველაფერ სასურველს, მინებდი მას, წინააღმდეგ შემთხვევაში შეეშვი ღმერთს და გააცნობიერე საკუთარი თავი.

110. ღმერთი და მოძღვარი, სინამდვილეში არ არიან ორი, ისინი ერთიანობაა და იგიეობა.

111. ღმერთი ყოველთვის პირველი პირია "მე", გამუდმებით მდგომი თქვენს წინ, მაგრამ იმის გამო, რომ ამჯობინებენ წუთისოფელს, ღმერთი კარგავს მნიშვნელობას ამგვარი გონებისათვის.

112. რა საჭიროა ფიქრი, თუ რა მოხდება მომავალში? ჭეშმარიტება იმაშია, რომ "მე" არსებობს, დე თავდაპირველად გააცნობიერონ, თუ რა არის ეს "მე", და მერე საკმარისი იქნება დრო იმისა, რომ დაინახონ ჩაიძირება "მე" უზენაეს არსებობაში თუ დარჩება განცალკევებულად მისგან. მოვლენებს არ უნდა გავუსწროთ წინ, რადგან ეს მხოლოდ გონების წარმოდგენა იქნება, სჯობს ვიმოღვაწეოთ სინამდვილეში, აწმყოში დასამკვიდრებლად.

113. საკუთარი თავის გაცნობიერების გარეშე, შემცნობის შეცნობის გარეშე, რომლის გარეშე არ არსებობს შეცნობა

საგნისა, როგორ შეიძლება შეცნობა წუთისოფელის ბუნებისა.

114. წუთისოფელს ხედავს მცოდნეც და არმცოდნეც, მაგრამ მათი ხედვის წერტილი განსხვაედება, წუთისოფლის მხედველი მცოდნე ყველგან და ყველაფერში ხედავს არსს, სულს, არმცოდნე კი სახელებსა და ფორმებს, ხედავს მხოლოდ გარეგნობას და აფასებს იმისდა მიხედვით, თუ რა სარგებელი ექნება ან რა ხიფათი შეიძლება მოდიოდეს მათგან. მცოდნესათვის კი სრულიად არა აქვს არანაირი მნიშვნელობა, როგორ ფორმაში, გამოვლენილში თუ გამოუვლენელში მყოფობს არსი, რადგან იგი თვითვეა არსი გამუდმებით.

115. იმას, ვინც ეძებს ჭეშმარიტებას არ გააჩნია სხვა არჩევანი გარდა ერთისა, რომ მიიღოს წუთისოფელი როგორც არანამდვილი, მოჩვენება, თუკი გონებას სრულიად განვაშორებთ წუთისოფლისაგან, შევატრიალებთ რა მას შიგნით და შევაკავებთ ამ მდგომარეობაში, "მე"-ში, რომელიც არის საფუძველი ყველა განცდებისა, მაშინ წუთისოფელი წარმოჩნდება მოჩვენებითი, ეითარცა სიზმარი ან ზმანება.

116. ცნობიერება თვითგაცნობიერებაა, რადგან თუ რაიმე ცნობიერდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ცნობიერდება საკუთარი თავიც.

117. "მე", ღმერთი, უფალი, მაცხოვარი, სული, გული ერთი და იგივეა, "გული" ნიშნავს ბირთვს, შუაგულს, ყოფიერების ცენტრს.

118. სუფთა ცნობიერება, წმინდა გონი, განუყოფელია, მასში ადგილი არა აქვს გაგებას "შიგნით", "გარეთ", "მარჯვენივ", "მარცხნივ", "ზემოთ", "ქვემოთ", სუფთა ცნობიერება არის "გული", იგი მსჭვალავს ყეელაფერს, რადგან არ არის არაფერი მის გარეთ ან მის გარეშე.

119. "გული", "მე", ცნობიერება, შეუძლებელია, რომ იყოს მოთავსებული სხეულის რომელიმე კერძო ადგილზე, სხეული თვითვეა გონების გამოხატულება, ხოლო გონება თავად არის ძალზე სუსტი გამოხატულება სხივოსანი "გულისა", მაგრამ სანამ ცნობიერება შეიგრძნობს საკუთარ თავს

სხეულში მყოფად, მანამდე შეიძლება მიუთითო რაიმე გარკვეულ ადგილზე სხეულში, გონების მოკრებისათვის.

120. საკუთარ თავში შებრუნების ნამდვილი აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ გონების შიგნით შებრუნების თავეგამოდებული მცდელობით.

121. ის, რაც საბოლოოდ შეიცნობა ამ გამოძიების შედეგად, არის "გული", ვითარცა ხელთუქმნელი სინათლე სუფთა ცნობიერებისა, რომელშიც გონების მკრთალი სინათლე, რომელიც არის ანარეკლი, სრულიად ქრება და უჩინარდება.

122. განსხივოსნებული ცნობიერებისათვის არ არსებობს განსხვავება გონების სამ მდგომარეობას შორის, რადგან თავად გონება გამქრალია და უგულველყოფილია ცნობიერების სხივოსნობაში. ამ მდგომარეობაში სამივე მდგომარეობა ერთნაირად არანამდვილია (სამი მდგომარეობა სიფხიზლის როცა აღიქმება წუთისოფელი, ჭვრეტის როცა აღიქმება ფორმები და ჭვრეტის, როცა აღიქმება შინაარსები).

123. ჩვეულებრივი გონებისათვის გაუგებარია რამის წარმოდგენა ფორმების მიღმა, რადგან ამსოფლიური სამყარო მისთვის სინამდვილეა, განსხივოსნებული ცნობიერებისათვის კი სინამდვილე არსია, დანარჩენი ყველაფერი კი მოჩვენება.

124. სუფთა ცნობიერების სინამდვილე მარადიულია და ამიტომ ერთნაირად არსებობს როგორც მყარ სამყაროში, ისე ფაქიზ ფორმათა და უფორმობის სამყაროში, ისეთისათვის, ვინც შესულია ამ სინამდვილეში, ცნობიერების ნათელში, არ არსებობენ არც გონება და არც ეს სამი მდგომარეობა, და ამიტომ აღარაა გონების მიმართულება არც შიგნით და არც გარეთ, იგი გამუდმებით ფხიზელია მარადიულ არსში, წუთისოფელი მისთვის სიზმარია და სხვა არაფერი, ხოლო შეგრძნება-შეხედულება იმისა, რომ არის სხეული, სამუდამოდ აქვს დაკარგული.

125. როგორც ქოთანში ჩასხმული წყალი ირეკლავს მზეს და აქცევს ქოთნის საზღვრებში, ასევე პიროვნულობის ძალა გონებაში მოქმედებს როგორც ამრეკლავი და დამჭერი ცნობიერების უსაზღვრო სინათლის ნათელისა, რომელიც

მოედინება გულიდან და გარდაქმნის მას იმ მოელენად, რასაც ეძახიან გონების სივრცეს. გამოუცდელი გონება უყურებს რა მხოლოდ ამ ანარეკლს, სთვლის მას უზენაეს არსებად, მაგრამ თუკი გონებას შევატრიალებთ პიროვნების მოძიების მიზნით, მაშინ გონება ქრება შთანთქმული ამ ერთიანი სინამდვილის სინათლით.

126. გრძნობა "მე ვარსებობ" ერთადერთი დაუყოფელი მოცულობაა პიროვნებისა, ხოლო მისი წყაროსთავის მოძიება არის ერთადერთი გზა საკუთარი თავის აღმოჩენისა.

127. პირადულობის ძალა დამაკავშირებელი რგოლია სუფთა ცნობიერებასა და სხეულს შორის, იგი თუ შეიძლება ასე ითქვას, არის ცნობიერების გამკვრივებული კვანძი.

128. სანამ მზერას აწერტილებენ სხეულის რომელიმე ადგილზე, "მ"-ს ადგილსამყოფელი მხოლოდ თეორიად რჩება, ამ დროს მჭვრეტელი ხედავს მხოლოდ ჭვრეტის ადგილს, ეს არის ამ ადგილის შეგრძნობა, მაგრამ როცა ხედავენ თაეად მხედველს, ეს არის "მე"-ში ჩაძირვა, და ეს არის სწორედ "გული".

129. ჭვრეტის შედეგი რა სახეობისა არ უნდა იყოს, არის ის, რომ საგანი, რომელზედაც აჩერებენ გონებას, წყვეტს არსებობას განცალკევებულად და დამოუკიდებლად დამკვირვებელის არსებისგან. დამკვირეებელი და დასაკვირვებელი ხდებიან ერთი, იქცევიან ერთარსად, სულად, და ეს არის "გული".

130. გონების თავმოყრა შეიძლება სხეულის ყოველ ადგილზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ "მე" მყოფობს იქ.

131. შუბლში გონებრივი მზერის თავმოყრა შემდგომში გადადის შეგრძნებაში და შემდგომ გონების ჭვრეტაში, ხოლო პირადულზე უარის თქმა, საკუთარი მიკერძოების გამორიცხვა გამყვანია გონების მიღმა.

132. შუბლში მზერის მიმართვა და ერთ ადგილზე მიპყრობა ერთ-ერთი სახეა ჭვრეტის წარმოების, რითაც ფიქრები საკმაოდ წარმატებით შეიმჩნევიან, ფიქრი ყოველთვის თან სდევს მზერას, შუბლში გონების მიპყრობა თანხლებური უნდა იყოს სიტყვიერი ფორმულის გამეორებით, რადგან

თვალის შემდეგ ყური მეორე ორგანოა მნიშენელობით და ორივე ერთად საკმაოდ იტაცებენ გონებას.

133. "მე"-ს გრძნობა არის ძაფი, გამავალი ყველა სახის მზერის გაჩერების ხერხში, იქნება ეს ნათხემზე, შუბლში თუ მკერდში, გრძნობა "მე ვარ" არის ის ძაფი, რომელსაც უნდა მისდიო მის დასაწყისამდე.

134. პირადულობას, კერძოობას ძალუძს მიიღოს ლეგიონი რაოდენობა სახეებისა, მაგრამ თვითგამოძიების ღვაწლისთვის მხოლოდ ერთი სახეა მისაღები, ესაა "საკუთარი "მე"-სკენ მოძრაობა", ანუ "მე ვარ", "მე"-ს აღმოჩენა, "მე" შეგრძნებაზე თვალყურის დევნა წააგავს ძაღლის მიერ საკუთარი პატრონის, მისი სუნით ძიებას.

135. "მე" გრძნობის გარეშე არანაირ ფიქრს არ ძალუძს არსებობა, მაგრამ "მე" ფიქრს, გრძნობას, ძალუძს არსებობა დამოუკიდებლად ყველა სხვა ფიქრებისაგან და გრძნობებისაგან.

136. საკუთარი არსების სანუკვარ საუნჯეში, "გულში" ბრწყინავს ცნობიერი თვითარსობა, როგორც უპირობო უსაზღვრო გონი, როგორც მე-მე-ში, უნდა შეაღწიო გამოძიებით "მე ვინ ვარ?" ანდა ჩაიძირე შინაგანში სუნთქვის შეკავებით და შემდგომ დარჩი საკუთარ არსებობაში.

137. კერძოსა და პირადის უარყოფით და უგულველყოფით გონებაში რჩება მხოლოდ თვითარსობის გრძნობა, ყოფიერება დამოუკიდებელი ყველაფრისაგან და ეს არის თავისუფლება. "გულში", შუაგულში დამკვიდრება. კერძოობა საკუთარი უფლებამოსილების განცდაა საგანთა და არსებათა მიმართ, პირადულობა კი საკუთარი თვალსაზრისის და დასკვნის უპირატესობის განცდა, რომლებიც მიმდინარეობენ საკუთარი თავის სხეულად მიღებიდან.

# სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი
# (ამონაკრები)

ნუ ამბობთ, რომ შეუძლებელია მიღება ღვთაებრივი სულისა.

ნუ ამბობთ, რომ მის გარეშე შესაძლებელია ცხოვნება.

ნუ ამბობთ, რომ ვინმე მადლმოსილია და თავად კი არ იცის ეს.

ნუ ამბობთ, რომ ღმერთი უხილავია ადამიანთათვის.

ნუ ამბობთ, რომ ადამიანები ვერ ხედავენ ღვთაებრივ ნათელს, ან ის, რომ ეს შეუძლებელია ჩვენს დროში.

ეს არასდროს არ არის შეუძლებელი მეგობრებო და ძალიანაც შესაძლებელია მსურველთათვის.

ნუ მოიტყუებთ თავს, ნუ ჩათვლით საკუთარ თავს რაიმეს მქონებელად იმ დროს, როდესაც არა ხართ არაფრის მფლობელი, ნუ იფიქრებთ, რომ ხართ სულიერნი მანამ, სანამ არ აღივსებით სული წმინდის ნათელით.

ღმერთი არის ნათელი, და ვინც კი იგი იხილა, ყველამ იხილა იგი ვითარცა სინათლე, და ნათლის გარეშე იგი არ ცხადდება, და ასევე, ვისაც არ მიუღია განსხივოსნება მისი, არ მიუღია ღმერთი, მისი მადლი, რამეთუ ვინც ღებულობს სული წმინდის მადლს, ღებულობს განსხივოსნებასაც ღვთიისას, ხოლო ვისაც ჯერ არ მიუღია განსხივოსნება იგი ჯერ კიდევ პირობითობის და ფარდობითობის უღლის ქვეშ არის მოქცეული, ვინც არ უნდა იყოს იგი, მღვდელი თუ უბრალო მოქალაქე, მეფე თუ მონა, ეპისკოპოსი თუ განდეგილი ბერი. ამდაგვარი კაცი ჯერ კიდევ ბნელში ზის და ბნელში დადის.

ცოდნა (ინტელექტუალური და ინფორმაციული) არ არის სინათლე, მაგრამ სინათლე (ზეგარდმო მოვლენილი) არის ცოდნა, რადგან ამ ნათელში და მისი მეოხებით და მისგან არის ყოველივე, და თუ ჩვენთვის უცნობია ამ სინათლის ხილვა, ამით იმას წარმოვაჩენთ, რომ ჩვენ ჯერ არ ვშობილვართ და არ გამოვსულვართ ღვთაებრივ ნათელში.

სიტყვის ძალა აქვთ მხოლოდ იმათ, რომელნიც განსხივოსნებულნი არიან სული წმინდით, ნუ მოვიტყუებთ

თავს, ვინც ბნელშია იგი კარს იქითაა, ვისაც ჰგონია, რომ შეეიდა, მაგრამ შესულია არა განსხივოსნების მეშვეობით, იგი არ არის შესული, რამეთუ ქრისტე არის კარი და სინათლე მშვიდობისა, მაშასადამე, კარი იგი სხივნათელია და არა უბრალოდ კარია მხოლოდ. და ის, ვინც შეეიდა მასში, მან შედგა ფეხი სიმშვიდის ნათელში, ნათელი კი სიმშვიდისა და სამყაროსი არის ქრისტე - არა გრძნობადად სახილველი, არამედ გონებრივად განსაჭვრეტი.

ნივთიერი ეს ჩვენი მზე ნათელს ჰფენს ჩვენი სხეულის ხორციელ თვალებს, და არა მარტო ჩვენსას, არამედ ყოველი არსებისასაც, ხოლო ქრისტე, რომელიც არის მზე გონებრივი, მოვლენილი სოფლად, ნათელს ჰფენს მხოლოდ გონიერ სულებს, და არც მათ სუყველას განურჩევლად, არამედ ღირსების შესატყვისად, იგი არ არის ქმნილება, რომელიც განწესებულია სხვათა მოსამსახურებლად, როგორიც არის ეს ნივთიერი მზე სამყაროსი, რომელიც განურჩევლად ანათებს ყოველს და ყველაფერს. ქრისტე თუმც იწოდება სინათლედ და მზედ, არის უმაღლეს მზესა და სინათლეზე, ვითარცა შემოქმედი და უფალი მზისა და სინათლისა, იგია სიცოცხლე და მაცხოვარი, იგია ჭეშმარიტება, სიმართლე და ნათელღება, მარტივია, არ არის რთული. კეთილია - იგია ყოველნაირი სიკეთე და ყოველნაირ სიკეთეზე უმაღლესია.

პირველ რიგში, დე იმოღვაწეოს ადამიანმა საკუთარი თავის შესაცნობად, რომ შემდგომ შესძლოს შეიცნოს ის, ვინც ჩვენს ზემოა, რადგან ვინც ვერ შეიცნო საკუთარი თავი, როგორღა შესძლებს რაიმე სულიერის შეცნობას, თავს ნუ მოიტყუებს დე კაცი.

თუ ვინმე იტყვის, რომ აქვს სული წმინდა, მაგრამ ვერ გრძნობს და ვერ აცნობიერებს მას, ამის მთქმელი მგმობელია ღვთისა, რადგან სული წმინდა ცხოვნებაა მარადიული და თუ ჩვენ ვერაფერს ამის მაგვარს ვერ ვგრძნობთ ჩვენში, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ ვერ ვიგრძნობთ ვერც სულის ცხოვნებას და ვერ ვიხილავთ სული წმინდას შემდგომ, არამედ ვიქნებით ისეთივე უგრძნობელები, როგორც ამ ცხოვრებაში ვართ.

ღმერთის ხილვა უნდა აღსრულდეს აქ, ამ ცხოვრებაში,

ყოველ შემთხვევაში მოღვაწეობის არსი უნდა მდგომარეობდეს ამაში, ღმერთის ხილვა შეღვგია გულის განწმენდისა და ეს სიწმინდე უნდა მიიღწეს ამ ქვეყანაზე, რამეთუ შემდგომ ამის გაკეთება შეუძლებელი იქნება. იესო ქრისტემ გვითხრა, რომ ღმერთს ვიხილავთ გულის განწმენდით და ამრიგად, როდესაც სიწმინდე ყალიბდება მას მოსდევს ღმერთის ხილვა. ასე რომ, თუკი სიწმინდე აქაა ამ ქვეყანაზე, ხილვა ღმერთისაც აქ იქნება, ხოლო თუ ვინმე იტყვის, რომ ხილვა სიკვდილის შემდგომ იქნებაო, ამით სიწმინდესაც შემდგომში ათავსებს და აქედან გამომდინარე, ამის მთქმელი ვერასოდეს ვერ იხილავს ღმერთს, რადგან სხეულიდან განსვლის შემდგომ აღარ არის აღარავითარი მოქმედება, რომელიც სიწმინდეს აყალიბებს.

ღვთაება არის მადლი ყოვლად წმინდა სულისა, იგი არაეის არსად არ მოელენია რწმენის გარეშე და თუკი ვინმეს მოევლინა როგორც გამონაკლისი, მას იგი მოეჩვენება საშინელად და შემაძრწუნებლად არა განმანთებლად, არამედ მწველად, არა მაცხოვნებლად, არამედ დამსჯელად.

ნეტარ არიან ისინი, რომელნიც მთელი სულითა და გულით, მთელი ძალისხმევით ცდილობენ მივიდნენ ნათელთან, რადგან რომც ვერ მოასწრონ მათ სხეულში მყოფებმა შესვლა ნათელში, ვითარცა მოწადინებულთ და სათნო იმედით მოსილთ შესაძლოა ექნებათ მასში განსხეულების შემდგომ შესვლა თუმც ზომიერად, მაგრამ უდაოდ შეელენ.

სინათლეა მამა, სინათლეა ძე, სინათლეა სული წმინდა, ეს სამი ერთი ნათელია, დროის გარეშე, განუყოფელი, შეურეველი, მარადიული, უქმნელი, დაულეველი, განუზომელი, დაუნახავი (საგნობრივად), ამიტომაც არის და გაიაზრება ვითარცა არსებული ყოველივეზე, არსებულზე ზემდგომ და რომელიც არცერთ ადამიანს არ უხილავს არასოდეს განწმენდაზე ადრე, და არ მოუპოეებია დანახვაზე ადრე, რადგან ჯერ საჭიროა მისი ხილვა და შემდგომ მრავალი ძალისხმევით მისი მოპოვება.

თუ ფიქრობს ვინმე, რომ ქრისტე არის სინათლე სხეულით, მაშინ გამოდის, რომ ზეცად ამაღლების შემდეგ სინათლეც

ამაღლდა და განეშორა მის მოწაფეებს, და გამომდინარე აქედან, ჩვენგანაც და სამყაროდანაც და მთელი სამყარო დარჩა ბნელში.

ხოლო თუ ვინმე აღმსარებლობს, რომ ის არის ნათელი წუთისოფლისა ვითარცა ღვთაება, მაშინ გამოდის, რომ იგი ჩვენს შორის არის და ვერ ვხედავთ მას.

თუ იტყვის ვინმე, რომ სული წმინდა ჩვენშია, მაგრამ იფარება ვნებებისაგანო, ამით ღმერთს აქცევს რაიმე საზიზღრულის დაქვემდებარების ქვეშ. აქცევს მას ბნელისა და ბოროტების მიერ დაქვემდებარებულად, რომლებიც ჩვენშია, ავგონობა და ვნებები საქმეთა გარეშეც ხომ სიბნელეა და ბოროტება.

მაშ ასე, თუ ვინმე ამბობს, რომ აქვს გულში სინათლე დაფარული ვნებათა სიბნელით და ამიტომ ვერ ხედავს მას, ამით იგი ამტკიცებს, რომ ღვთაებრივი ნათელი ითრგუნება ადამიანური სიბნელისაგან, ვინც ამბობს, რომ იცის ქრისტე, მაგრამ ვერ ხედავენ მის ღვთაებრივ ნათელს, მათ ქრისტე თვით ამხელს როდესაც ამბობს: მე ვარ ნათელი ამა სოფლისაო.

ვაი მათ, რომელნიც მოელიან ღვთის დღის მოსვლას შემდგომში და არ მცდელობენ ნათლის მოღვაწეობას ამ ცხოვრებაში, რამეთუ ღვთის მოსვლა მოსულია და მოდის მუდამჟამ მის ერთგულთათვის.

მამა, ძე და სული წმინდა - ღმერთი ერთი, ვისაც ვემსახურებით და თაყვანს ვსცემთ, ღმერთი, სული და სხეული, ადამიანი შექმნილი მსგავსად და ხატად ღვთისა ღირსქმნილი განღმრთევებისა სული წმინდის მადლით.

ადამიანი ხდება ღმერთი მადლის მეოხებით.

ვისაც ჯერ კიდევ აწუხებს თავმოყვარეობა თუნდ სულ მცირედიც კი, იგი ბნელშია, არ უხილავს ღვთაებრივი ნათელი, ვისაც არ უხილავს ღმერთი, როგორ შეიძლოს შეყვარება მისი? რადგან თუ ვინმეს არ უნახავს ვინმე როგორ შეიყვარებს მას? მაგრამ ასევე თუ უწინარესად არ შეიყვარებს მთელი გულით, არ იქნება ღირსი მისი ხილვისა. ისინი კი, ვისაც წილად ხვდა შეერთება მასთან და მოიპოვეს იგი თავის უფლად, ხდებიან თავადაც ღმერთნი მადლის

მეოხებით, ღვთის ძის მაგვარად.

ვინც მოიპოვეა ქრისტე საკუთარ თავში მამასთან და სული წმინდასთან ერთად მისთვის იგი ხილულია, იგი უხილავად მზერს გაუაზრებელ სილამაზეს ღვთისას, დაუპყრობლად უპყრია იგი, შეუცნობელად სწვდება მის უხილავ სახეს, რომელიც შეულამაზებლად მორთულია უხილავი სახეებით და აღუწერელი სილამაზით, რას ჭვრეტენ და რას სწვდებიან? ეს არის უბრალო ნათელი მისი ღვთაებრიობისა, აი, რას ჭვრეტენ გონების თვალით მჭვრეტელნი.

დე მდუმარე განდეგილი მუდამჟამს იმყოფებოდეს მასში და იგი მუდამჟამ ჰყავდეს საკუთარ თავში, დე ბაასობდეს უფალთან პირისპირ, დე იჯდეს სენაკში მოლოდინით ზეგარდმო სული წმინდის მოვლენისა, რომ აღივსოს მისით, დე გამუდმებით სჭვრეტდეს მას განუწყვეტლად მასთან მყოფს, ხედავდეს მას, რომ იგი შიგნით მასთან ერთადაა და იძლევა სიმშვიდეს, რომელიც დე მოიძიოს, და დე მიიღოს მისგან, დე ჩაღრმავრდეს უფაქიზეს ჭვრეტაში ღვთისა და დე შეეხოს მას საკუთარი გონებით ვით ხელებით, შეგრძნებით საკუთარი სულისა, რათა იხილოს და შეიცნოს და თუ იგი მიმართავს უფალს შეკითხვით, უფალი არ შეჰრისხავს მას ამისათვის.

თუ მდუმარებაში მყოფი არ აკავებს გონებას ამგვარი წყობით, რა აზრი აქვს მის განდეგილობას მხოლოდ სხეულით? თუ განმარტოებაში მყოფმა არ იცის ეს გონებრივი საქმიანობა ჭვრეტისა და არ მოეპოვება განუწყვეტლით სულიერ საქმიანობად, მაშ სხვა რა საქმე უნდა აკეთოს მან? ვინც დაუტევა სხეულებრივი საქმიანობა, მაგრამ არ აღასრულებს სულიერ, გონებრივ ღვაწლს ჭვრეტისას, მას დაუტოვებია საერთოდ ღვაწლი. ხოლო, ვინც კი იცის სულიერი სამუშაოს აღსრულება, მას სხეულებრივი საქმიანობა ხელს არ შეუშლის ჭვრეტის ღვაწლში, მაგრამ ვინც მოღვაწეობს მხოლოდ სხეულის მეშვეობით, იგი არასრულყოფილია მოღვაწეობაში.

რამდენი განდეგილობდნენ და განდეგილობენ ამჟამადაც და არ იციან ისიც კი, თუ რას ნიშნავს თავად განდეგილობა და მდუმარება, რამეთუ შეცნობა ღვთისა არ იშვება

გარეგნული მოქმედებებით.

ღმერთი არ არის კეთილგანწყობილი არც მარხვისადმი, არც უძილობისადმი, ან რაიმე სხვა სხეულებრივი ღვაწლისადმი, ან კეთილი საქმისადმი და არ უცხადებს თავს არავის გარდა მდაბალ, უხარებელ და კეთილი სულისა და გულის მქონეთ.

ნეტარ არიან ისინი, რომელნიც მთელი სულით ეძიებენ შესვლას ნათელში ყოველის მიმართ უყურადღებობით, სად უნდა განცხადდეს ჩვენში უფალი? რომელ ადგილას ან სხეულის რომელ ნაწილში უნდა განცხადდეს ქრისტე? სახეში თუ მკერდში? არა გულში, ჩვენს გულში განცხადდება იგი და არა ხორციელად, არამედ უხორცოდ ვითარცა შეჰფერის ღმერთს.

მის ბრწყინვალებას და სხივოსნობას იხილავს საკუთარი თავის შიგნით ადამიანი, იხილავს განცხადებულობას, ხატებას ქრისტესისას, არა მოჩვენებით და წარმოსახვით, წარმოდგენით არარსებულად, არამედ ვითარცა სინათლეს, უსილეელი ხილვადი და გაუაზრებლად შესაცნობი, სახით გამოუსახავით და ხატებით გამოუხატველით, სინათლე უბრალო და წმინდა არის ქრისტე.

ნეტარ არიან ისინი, რომელთაც მუდამჟამ გახსნილი აქვთ გონებრივი თვალი სულისა და ლოცვისას, ყოველი ლოცვისას ხედავენ სინათლეს, ასეთი ადამიანები ქცეულან ანგელოსთა დარნი.

სულის ცხოვნება გვეძლევა ჩვენ არა კეთილ საქმეთა აღსრულებისა გამო, ანუ მარხვების, უძილობის, სხეულის გათანგვის და ამის მსგავსთა მოქმედებების გამო, არამედ გულის მდაბლობის და განწმენდის გამო.

ვისაც არ გააჩნია ყოვლად წმინდა სულის ნათელი, არ შეუძლია კარგად დაინახოს საკუთარი საქმენი და არც ის, თუ რაა ღვთისათვის სათნო, ნათქვამია: "სანათი ხორცისა არის თვალი" და იგულისხმება გონება და ეს თვალი ვერ იქნება უბრალო თუ ვერ ხედავს უბრალო სინათლეს და როდესაც თვალი, ანუ გონი უბრალოა ანუ ნათელი, მაშინ უხორცო სხეულის ანუ სულის ყოველი ნაწილი იქნება ნათელი.

მაშ ასე, ისინი, ვინც ხედავენ ხორციელი თვალებით მხოლოდ ამ ნივთიერი მზის სინათლეს, ბრმები არიან. მათ უნდა ეცადონ გონებრივი თვალების აღხილვა, რომ იხილონ ღვთაებრივი ნათელი. წმინდანთაგან არავინ არ ქცეულა წმინდანად ღმერთის შეცნობაზე უადრესად, სანამ მისი გონება არ განსხივოსნდებოდა სული წმინდით, სანამ არ მიიღებდა ცოდნას, სიტყვას და ძალას და სანამ არ განუცხადდებოდა ნება ღვთისა. ვინც არ არის განსხივოსნებული სული წმინდისაგან, მან არ უწყის თავი თვისი, არ შეუცვნია თავი, არ იცის მოყვასი არც მცნებანი ღვთისა, ასე რომ, საჭიროა მოვიძიოთ ზეგარდმო სული წმინდის მადლის მიღება და ღმერთის ზეშთამოსვლა და დავანება ჩვენში, რამეთუ ამის გარეშე არ არსებობს ცოდეათა მიტევება, ვნებათაგან განთავისუფლება და უსიტყვო ნდომებისაგან თავის დაღწევა. განსხივოსნების გარეშე შეუძლებელია შეიქმნე ძედ ღვთისა. ხოლო ის, ვინც მოიღვაწებს სული წმინდის მადლს არა მარტო თავისუფლდება ყველა სურვილის, ნდომის და ვნებისაგან ან ზრახვისაგან, არამედ იქცევა ღმერთად მადლის მიერ და იმყოფება ღმერთის ახლოს, სხეულის მიღმა და საწუთოს ზღვარს იქით, ასე რომ, დე ნუ იფიქრებს ვინმე თვითნებური თავხედობით, რომ შესაძლებელია განთავისუფლება სული წმინდის მადლის მიღების გარეშე და ვნებების დაცხრომის გარეშე, ირწმუნეთ, რომ არა მარტო იმ ქვეყანაზე, არამედ ამჟამადაც ამ ცხოვრებაში ჩვენს თვალთა წინ, ჩვენს ფერხთა წინ, ჩვენს ხელთა წინ განისვენებს საუნჯე, რომელიც უზენაესია ყოველგვარ საწყისზე და ძალაზე, და ეს საუნჯე არის ნათელი სამყაროსი, ყველამ, ბნელში მსხდომებმა უნდა იხილონ დიადი ნათელი, მბრწყინავი ყველგან, და ნუ იფიქრებს ვინმე, რომ თუმც ნათელი გაცისკროვნებულია თავისთავადად, შეუძლებელია მისი ხილვა ადამიანების მიერ, სხეულში მყოფთათვისო, სინათლე ყოველთვის იყო, ყოველთვის ბრწყინავდა და ბრწყინავს იმათში, ვინც განიწმინდა თავი თვისი, ასე რომ, იმოღვაწეთ მიიღოთ ეს მარადიული სიცოცხლე, რომელიც არის ნათელი ღვთისა, სული წმინდა, განმასხივოსნებელი თავის მიმღებების და მათი

ღმერთებად გადამქცევი მადლის წყალობით.

ღმერთის არც სახელი, არც ბუნება, არც ხატი, არც შესახედაობა, არც პიროვნება არაეის ადამიანთა შორის არ შეუცვნია ისე, რომ შესძლებოდა გადმოეცა ან ეთქვა ან ესწავლებინა სხვებისთვის, რადგან ღმერთი ხელთუქმნელია ჩვენ კი ქმნილნი. იგია სული ყველანაირ სულზე უმაღლესი ვითარცა შემომქმედი და მეუფე სულთა, ღვთაებრივი ბუნება არის რა მიუწვდომელი, არის გაუაზრებელი, ხოლო გაუაზრებელი შეუძლებელია გამოიხატოს, ვის ადამიანთა ან ანგელოზთა შორის შესწევს ძალა განმარტოს უხილავი და მიუწვდომელი, არაეის, არანაირ შესაძლებლობით. რამეთუ არქმნილი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაიაზრება ვერ წარმოიდგინება ადამიანის გონებით და ვერ დაერქმევა სახელი, ღმერთი იყო დაუსაბამო, იგი არის დასაწყისი ყოველის და იქნება მუდამ მიუდგომელი, დაუნახავი, ობიექტურად გამოუთქმელი, გამოუხატავი, შთაუწვდომელი, უსაზღვრო და მარადიული საუკუნეებში მის ქმნილებათათვის.

ღმერთი არის რა უმაღლესი ყოველგვარ დასახელებულ სახელზე და სიტყვაზე და გამოთქმაზე, არსობს ზემდგომად ყველაფერზე და აღემატება ყოველნაირ გონებრივ წვდომას, არის რა არ არსებულობა.

ღმერთი არსად არ არსებობს იმათთვის, ვინც ეძებს მას ხორციელი თვალებით, რამეთუ იგი უხილავია, ხოლო სულიერად მზრახველთათვის იგი ყველგანაა, რამეთუ იგი არსობს, რამეთუ იგი ყველაფერშია და მიღმაა ყველაფრის.

ღმერთის შეცნობის ზრდა ხდება მიზეზი არცოდნისა ყველაფერი დანარჩენისა, მხოლოდ უძრაობაში შეყენებული, გონია შემძლე მიაღწიოს გაუაზრებელს, სრულყოფილების ზღვარს მიღწეული იგი მკვდარია და არც მკვდარია, ცხოვრობს რა ღმერთში, რომელშიც იგი იმყოფება, იგი არსებობს, მაგრამ არა თავისთვის, იგი თითქოსდა ბრმაა, რამეთუ არაბუნებრივად არის მხილველი, რადგან დგება ყოველნაირ ბუნებრივ მხედველობაზე მაღლა ვითარცა ახალი თვალებით შემოსილი, რომელნიც შეუდარებლად უკეთესნი არიან ბუნებრივ თვალებზე, და მზერს იგი ზებუნებრივს. იგი

ხდება უმოქმედო და უძრავი ვითარცა ყველა თავისი გასაკეთებელი საქმის გამკეთებელი, იგი ხდება არა მოაზროვნე ვითარცა ერთიანობაში ქცეული აზრზე ზემდგომი და იმ მდგომარეობაში დამშვიდებული, სადაც არ არის გონების მოქმედება, ანუ საერთოდ რაიმე მოძრაობა აზრისა მოგონებებისათვის ან ზრახვისა ან ფიქრისა, რადგან მას არ ძალუძს გაიაზროს გაუაზრებელი და იგი თითქოს და განისვენებს ამაში, ამ ნეტარ უგრძნობელობის მშვიდ უძრაობაში.

ღმერთი არის, ჭეშმარიტად არის და ეს დაამოწმეს სათნოსმოყვარე მოღვაწეებმა, მაგრამ იგი არ არის არაფერი იმისათაგანი, რაც ჩვენ საერთოდ ვიცით და არაფერი იმისათაგანი, რაც იციან ანგელოზებმა და ამ გაგებით შეიძლება ითქვას, რომ ღმერთი არაფერი არ არის, არაფერი არ არის იმისათაგანი, რაც საერთოდ არის და არსებობს, ვითარცა შემოქმედი ყოველისა, იგი ზემდგომია ყოველზე, რამეთუ ვის შეუძლია სთქვას თუ რა არის ღმერთი, ან სთქვას "იგი არის ეს", ან მაგალითისათვის "აი, ის?" არავინ. არავინ არ იცის თუ როგორია ის, როგორი სიდიდის, როგორი შესახედაობის ან ზომის და თუ არავინ არ იცის, თუ როგორია ღმერთი შესახედაობით, ზომით, მშვენიერებით, როგორღა შესძლებს განმარტვას მისი მოქმედებებისას, როგორ შეიძლება იყოს იგი ხილული (ობიექტურად დასანახი), როდესაც არის უხილავი ყველასათვის, როგორ აღავსებს იგი ყველაფერს და არსად არ არის აღვსილი, როგორ არსებობს იგი ყველაზე ზემდგომ და ყოველგან, ყველაფერი ამის გამოთქმა არავის არ ძალუძს და ვერც შემდგომში ვერ შესძლებს ამას ვერავინ.

ღვთაებრივი ცეცხლი მოუხელთებელია, უქმნელია, დაუნახავია. ყოველნაირი ქმნილების მიღმაა იქნება ეს საგნობრივი თუ უსაგნო, იგი ყველაფრის მიღმაა თავისი ბუნებით, არსით და ძალით, ფუძე ყველაფრის.

ღვთაებრივი ბუნება და სიბრძნე არანაირ შემთხვევაში არ არის არაფერი იმისთაგანი, რაც არსებობს და იგი არც მყოფობს ქმნილებაში ვითარცა შემადგენელი პირველი საწყისი, რადგან იგი მაშინ არ იქნებოდა რა არაფერი

ქმნილი, იქნებოდა მიზეზი, ან ფუძე, ან საწყისი ყველაფრისა, რისგანაც იქნებოდა შედგენილი ყველაფერი და ყოველი.

იგი ყველგანაა და ყველაფერში და აღავსებს ყველაფერს მთლიანად არსებითად, ბუნებით და ასევე სახით. როგორ შევძლოთ გამოვთქვათ სახელი იმის, ვინც შემომქმედია ყველაფრის, მისი სახელი უცნობია და გამოუთქმელი.

ერთობა ღმერთთან გამოუთქმელია, სული ერთდება ღმერთთან, მაგრამ არ ითქვიფება მასში, სული და ღმერთი ხდებიან გაერთიანებულნი, მაგრამ არა შერეულნი, სული ერწყმის ღმერთს გაუთქვეფელად და ერთიანდება გამოუთქმელად და ორივე იქცევიან ერთარსად სული შემოქმედთან და სულში შემოქმედი მთლიანად ერთიანნი ერთიანად, რა არის ეს საიდუმლო, რომლის გამოთქმა შეუძლებელია, სიტყვა უძლურია იმის გამოსახატავად, რასაც ხედავს გონება და რომლის გააზრება არ ძალუძს, გონება ხედავს და სურს გამოთქვას, მაგრამ არ ძალუძს თქმად, რამეთუ ხედავს უხილავს, სრულიად უხილველს, მარტივს, მთლიანად უბრალოს, უსაზღვროს ზომით, იგი ვერ ხედავს დასაწყისს და ვერ ხედავს ბოლოს, ხოლო შუაგულს სავსებით ვერ სწვდება და არ იცის და როგორ თქვას, რას ხედავს? ყველაფერი ერთბაშად აიხილება, მაგრამ არა არსებითის მთაწვდომით, არამედ თანაზიარების მეშვეობით, ასე რომ, თუ ცოდნაში, ქმედებაში და ჭვრეტაში ღმერთი იქცევა მთელ ადამიანად, მაშინ უნდა იფიქრო: მე გავხდი ღმერთი მასთან ზიარების მეშვეობით გრძნობაში და ხედვაში, მაგრამ არა არსით, არამედ ზიარებით, ღვთიური არანივთიერი არსი ხდის თაეის თავს დასანახად ჩვენში და განივრცობა ჩვენში სრულად. მაშინ იხილავს სული მოვლენილ უნათლეს სინათლეს გასპეტაკებულ სივრცეში სულისა, იგი იხილავს ცხადლივ უსაგნო არსს უსაგნოდ, მთელს სულს განერცობილს ყველაფერში და ამის გამო მთელს სხეულს, რადგან სული უსხეულო აღავსებს მთელს სხეულს, მყოფობს მთელს სხეულში თანაბრად და გაბრწყინდება სხეული ისევე, როგორც სული, ხოლო სული ასევე გამოჰყოფს ნათებას ვითარცა მადლით გაბრწყინვებული, დარად ღმერთისა.

ღმერთი არის სინათლე და ვისთანაც იგი შეერთდება,

გადასცემს მას ნათელს განწმენდისა და მიხედვით. მუდმივად მქროლავი გონება მაშინ ხდება უძრავი, როცა დაფარულია ღვთიური უკუნით და ნათლით, ცხოვრობს ცხოვრებაში ცხოვრებაზე მაღლა, ხდება რა სინათლეედ ნათელში, მაგრამ არა სინათლეედ თავის თავში, რამეთუ იგი ხედავს მაშინ იმას, რომ ამ სიდიადისაგან გარდაქმნილი, ფიქრით ვერ აღიქვამს და აღარ იცის თავისი თავი. გონება ქცეული მარტივად, უფრო სწორედ კი განძარცვულად ყოველგვარი აზრისგან და მთლიანად შესული უბრალო ღვთაებრივ ნათელში და მისით დაფარული მთლიანად რჩება ღვთაებრივი ნათლის სიღრმეში გარემესადმი აღუქმელობით.

ღმერთი არის სინათლე, იგი ანათებს ბნელში, ღამით, დღისით, შიგნით და გარეთ, შიგნით ჩვენს გულებში, გარეთ კი გონებაში, ღმერთი არის სინათლე და ვისაც იგი უნახავს ყველას უხილავს იგი, ვითარცა ნათელი, ნათელი ეს არ არის ის სინათლე მზისა და სხვა რამის, რაც აღიქმება ხორციელი გრძნობით, ეს ნათელი აღიქმება გონების თვალით. მაგრამ მხოლოდ იმათ მიერ, რომელნიც განიწმინდავენ თავიანთ გულებს, რაც აღსრულდება სინანულით საკუთარი სიბინძურის გამო, რამეთუ ღმერთი არსობს ჩვენში ვითარცა სინათლე და როგორ ვიხილავთ მას გაბინძურებული გულებით?

## წმინდა იოანე ნიტრიელი

მაშ ასე, თუ წარვუდგებით ღმერთს სუფთა გულით, ჩვენ მაშინ რამდენიც ეს შესაძლებელი იქნება ჩვენთვის ვიხილავთ ღმერთს მისდამი ლოცვისას, მის მიმართ მიმართული გულის თვალით, ვიხილავთ უხილავს, არა ხორციელი თვალებით, არამედ სულით, გონის ჭვრეტით, და ნუ იფიქრებს ვინმე, რომ მას შეუძლია იხილოს თვით არსი ღვთისა, ანუ ის თუ როგორია ღმერთი თავის თავში ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისთვის წარმოედგინა თავის წარმოსახვაში რაიმე შეხედულება, სახე რაიმე ხორციელის მსგავსი, ღვთაებაში არ შეიძლება და შეუძლებელია წარმოვიდგინოთ რაიმე ფორმა, ან გარშემოწერილობა, იგი არ არის გრძნობა,

ან გონება, რომლის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ საკუთარი გულის სიღრმეში და რომელიც შემოდის ჩვენს სულში, მაგრამ რომელიც არის გონებითი მოუცველი, აღუწერელი, გამოუთქმელი.

სულის ჭვრეტა უნდა წარვმართოთ იმგვარ სიმაღლეზე, რომ ღმერთს ვაცნობიერებდეთ ყოველგვარ ბრწყინვალებაზე, ნათებაზე, სხიოსნობაზე, სიდიადეზე მაღლა მდგომად, ყველაფერ იმაზე ამაღლებულად, რაც შეუძლია რომ წარმოიდგინოს ადამიანის გონებამ და ესეც მხოლოდ გულის სიწმინდის ჟამს.

არსებობს მხოლოდ ერთიანი მარადიული ცნობიერება, რომელსაც არა აქვს არც დასაწყისი და არც დასასრული, მისი მოსპობა შეუძლებელია, მას არა აქვს არც ფორმა, არც ფერი, იგი არ არის ნივთი, რომ შეიძლებოდეს მასზე ფიქრი ან მისი წარმოდგენა. იგი არ ძველდება, არ ახლდება, იგი არ განიფინება სივრცეში, მისი შედარება რაიმესთან არ შეიძლება, მას არ შეიძლება უწოდო რაიმე სახელი ან გაზომო რაიმეთი, ამის გაკეთებისას შეცდები, იგი არის განსხიოსნება.

## წმინდა დიონისე აეროპაგელი
## ამონაკრები "მისტიკური ღვთისმეტყველებიდან"

თავი 5. ვუბრუნდები რა ისევ იმ საკითხს, ვკადნიერდები ვამტკიცო შემდეგი: ღმერთი - ეს არც სულია (ფსიქიკა) და არც შეგნებაა და რამდენადაც შეგნებას, აზრს, წარმოსახვას და წარმოდგენას მასში ადგილი არა აქვს, ამდენად იგი არც გონებრიობაა და არც აზროვნება და მისი არც გააზრება და არც განსაზღვრა არ არის შესაძლებელი, იგი არ არის რიცხვი, არც ზომა, არღ დიადია რაიმე, არც მცირე, არც უთანაბრობაა (ერთგვარობა, გაწონასწორება), არც არათანაბრობა (უწონასწორობა), არც მსგავსებობაა, არც არამსგავსობა, იგი არც უძრაობაა, არც მოძრავეია, არც მომცემი დამშვიდების, არ არის მფლობელი ძალაუფლების და თავადაც არ წარმოადგენს ძალმოსილებას, არც სინათლეს, არ არის მფლობელი ყოფიერების და არ წარმოადგენს

ყოფიერებას, არც არსს, არც მარადისობას, არც დროს და მისი მოცვა ფიქრით, წარმოდგენით შეუძლებელია, იგი არაა ცოდნა, არც ჭეშმარიტება, არც სასუფეველი, არც სიბრძნე, არც ერთიანობაა, არც ერთობა, არც ღვთაება, არც სიკეთე, არც სული - იმ გაგებით, როგორადაც ჩვენ წარმოგვეიდგენია სული, არც ძეობაა, არც მამობაა, არც საერთოდ რაიმე იმის მსგავსი, რაც ჩვენს მიერ ან სხვა არსებობის მიერ იქნებოდა შესაძლებელი შესაცნობად, იგი არ არის რაიმე არ არსებული, არც რაიმე არსებული და არც არსებულს არ ძალუძს შეიცნოს იგი მის არსობაში, და არც იგი არ შეიცნობს არსებულს არსებულ ყოფიერებაში, რამეთუ მისთვის (მისი გამოხატვისთვის) არ არსებობენ არც სიტყვები, არც სახელები და არც ცოდნა (სიბრძნე გააზრება, აღწერილობა), იგი არც ბნელია, არც ნათელი (არც უკუნი და არც სიბნელე), არც გაურკვევლობა და არც ჭეშმარიტება (არც მოჩვენება და არც სინამდვილე), მის მიმართ საერთოდ შეუძლებელია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მტკიცებები, ხოლო როდესაც ჩვენ რაიმეს უარვყოფთ ან ვამტკიცებთ მის შესახებ შედარებების მეშვეობით იმასთან, რაც მის მიერ არის შექმნილი, ჩვენ კერძოდ არაფერს არ უარვყოფთ და არც ვსაზღვრავთ, რამეთუ მთელი არსებული ყოფიერების ერთადერთი მიზეზი აღემატება ყოველგვარ მტკიცებას და ყოველგვარ უარყოფას და რომ ვთქვათ მოკლედ: მთელი არსებული ყოფიერების მიმართ უპირატესობა იმისა, ვინც მთელი არსებული ყოფიერის ზღვარს მიღმაა - უსაზღვროა.

## წერილი გაიუს მონაზონს

ბნელი ქრება სინათლეზე, მითუმეტეს ძლიერი (მკვეთრი) სინათლისას, უცოდინარობა (გაუცნობიერებლობა) განიდევნება ცოდნით (გაცნობიერებით) და მითუმეტეს სრულყოფილი (მრავალმხრივი) (დიადის) ცოდნით, თქმული გაიგე პირდაპირ და არა გადატანითი მნიშვნელობით, ეჭვის გარეშე გწამდეს (დარწმუნებით ამტკიცე), რომ არსის და ნათლის შეცნობისაკენ მისწრაფებულთ არ ძალუძთ ღმერთის

არ ცოდნა, რომ ეს მისი ზღვარსიქითა უკუნი იფანტება ყოველგვარ სინათლეზე და ფარავს (ჩრდილავს, აქრობს, აქარწყლებს) ყოველნაირ ცოდნას (გაცნობიერებას, ხედვას) და თუ ვინმემ იხილა ღმერთი და გაიაზრა, შეიგნო, გააცნობიერა ის, რაც მან იხილა - მას ღმერთი არ უხილავს, არამედ რაიმე არსებული და შესაცნობი, ღმერთი კი თავის ზებუნებრივ არსებაში აღემატება გონებასაც და არსებულ ყოფიერს და ამიტომ იგი საერთოდ არ არის არც რაიმე შესაცნობთაგანი, არც რაიმე არსებული, არამედ არსობს ზებუნებრივად და შეიცნობა ზეცნობიერად, და ბოლოს, სრული გაუცნობიერებლობაა (აბსოლუტური წარმოუდგენელობაა, სრული უცოდინარობაა) სწორედ შეცნობა იმისი, ვინც აღემატება ყველაფერს, რაც შეიცნობა (რაც ობიექტიურდება).

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲝᲠᲝᲗᲔ ᲓᲘᲐᲙᲝᲜᲡ

ღვთაებრივი უკუნი - არის ის მიუახლებელი ნათელი, რომელშიც წმინდა წერილის თანახმად განისვენებს (არსებობს, არსობს) ღმერთი, ხოლო რამდენადაც თავისი არაჩვეულებრივი კაშკაშა, მკვეთრი ზებუნებრივი სხივოსნობის გამო უხილავი და მიუახლებელია, მისი მიღწევა ძალუძს მხოლოდ იმას, ვინც დაიმსახურა ღვთის გაცნობიერებით და ღმერთის მოძიებით (გააზრებით, ფიქრით და შეგრძნებით, ხედვით) ჩაღრმავება (ღვთაებრივ) უკუნში, რომელიც ჭეშმარიტად აღემატება ღმერთის გააზრებასაც და ღმერთის წარმოდგენასაც (თეორიულ თვალსაზრისს და ფაქტებში საგნებში მის წარმოდგენას) და ყოველგვარი გააზრების და ყოველგვარი ხედვის (წარმოდგენის) გარეშე შეიცნობს რა იმას, რომ ღმერთი არის გრძნობებით შესაგრძნობ და გონებით შთასაწვდომ ყოველგვარ არსებულის ზღვარს იქით, აღტაცებული ღაღადჰყოფს წინასწარმეტყველთან (დავითთან) ერთად: "საოცარია ჩემთვის ხილვა შენი, არ ძალმიძს შთაწვდომა ამის", ასევე ღვთაებრივი პავლე, ვისზედაც წმინდა წერილში სწერია, რომ შეიგრძნო ღმერთი, ჩაწვდა, რომ აზროვნება და გააზრება

ღვთისა აღემატება მთელ არსებულს, აი, რატომ ამბობს იგი, რომ მისი გზები გამოუკვლეენი არიან, შეუცნობელნი არიან ზრახვანი მისნი, მადლი კი გამოუთქმელი, ხოლო სიმშვიდე მისი აღმატებულია ყოველგვარ წარმოდგენას, ასე რომ, შეიცნო რა ის, ვინც აღმატებულია მთელს არსებულზე, აზროვნებაზე აღმატებული შეგნებით იგი შთაწვდა, რომ ღმერთი ვითარცა მიზეზი მთელი არსებულის, არის მთელი არსებულის ზღვარს იქით მყოფი.

## წმ. დიონისე არეოპაგელი „ღვთაებრივი სახელები" ამონაკრები

1.4... მხოლოდ მაშინ, როდესაც მთლიანად შევწყვეტთ ჩვენი გონების და აზროვნების ყველანაირ მოქმედებას, ჩვენ მივაღწევთ ყოფიერების არსებობის ანუ ქმნილი სამყაროს წინამორბედი სხივოსნობის მდგომარეობას, რომელშიც სრულიად გამოთქმელი სახით არსებობენ არსებობაზე, ქმნილებაზე უადრესად ყველანაირი ცოდნის ყოველგვარი საფუძვლები და არც გააზრება, არც გამოთქმა და საერთოდ არც განჭვრეტა მისი არანაირად არ შეიძლება, რადგან მთელი არსებულის ზღვარს იქით მყოფი მისი არსება სრულიად შეუცნობელია...

1.5... მან, ვინც შეიყვარა ჭეშმარიტება რაიმე ჭეშმარიტებისაგან დამოუკიდებლად, უნდა ადიდოს ყოფიერების წინამორბედი ღვთაებრივი საწყისი, რომელიც არის ზესიკეთე არსებულობაზე აღმატებული არა როგორც გონი ან ძალმოსილება, ან არა როგორც აზროვნება, ან სიცოცხლე ან არსი, არამედ ვითარცა რაღაც სრულად გამომრიცხავი რაიმე ცვალებადობის, თვისების, სიცოცხლის, წარმოსახვის, წარმოდგენის, დასახელების, გონის, აზრის, აზროვნების, არსობის, მდგომარეობის, საფუძვლის, ზღვარის, უსაზღვრობის, ანუ ყველაღერი იმის გამორიცხვით, რაც დამახასიათებელია არსებულისთვის, მაგრამ რამდენადაც, როგორც ფუძე სიკეთისა - იგი თავისი არსობით არის მიზეზი გამოვლენილი ყოფიერებისა, მთელი არსებულისა, აუცილებელია ვადიდოთ ღვთაებრივი განგებულება

ღვთაებრივი საწყისისა, ყველა ხარისხებში რამეთუ ყველაფერი არის მისით, მისგან, მისთვის და მასში მყოფადად და თავისი არსობით იგი არის მიზეზი წარმოშობისა და ფუძე მთელი არსებულისა...

1.6. ამრიგად, ღვთისმეტყველნი ადიდებენ უფალს ხან როგორც უსახელოს, ხან კი როგორც ყველანაირი სახელით მოსილს...

1.7. ასე რომ, ყველაფერს აღმატებულ არსს და მიზეზს ყველაფრისას შვენის როგორც უსახელობა, ასევე დასახელება ყველაფერი იმით, რაც არსებობს... იგი იდიდება და იწოდება ყველაფერი არსებულის სახელით...

2.1. ყოველნაირი სახელი ღვთისა, რომლითაც არ უნდა ადიდებდნენ და უხმობდნენ ღმერთს ნაწილობრივ კი არ აღნიშნავს და გამოხატავს ღმერთის ბუნებას, არამედ მთელი მნიშვნელობით და ღმერთის ბუნების მთლიანი მოცვით, ყველანაირი სახელი ეხება ღმერთს მთლიანად, მთელი მისი სრულქმნილების გამომხატველად...

2.2. აღსანიშნავია ის, რომ ღვთისმეტყველნი იყენებენ როგორც განზოგადებულ, ასევე კერძო სახელებს სადიდებლად ღვთისა, და არ იქნება მართებული განვაზოგადოთ კერძო სახელები ისევე როგორც განვაკერძოვოთ ზოგადი სახელები.

2.7. მაგალითად, თუ ჩვენ ვეძახით ღმერთს სიცოცხლეს, არსს, სინათლეს ან გონებას ამით ვგულისხმობთ, რომ მისგან მომდინარეობენ მაცოცხლებელი, დამაარსებელი, განმანათლებელი და სიბრძნის მომცემი ძალები, თუმც არცერთი ამ დასახელებიდან არ წარმოადგენს საყოველთაოდ მომცველ გამოხატულებას იმ პირველმიზეზისას, ამიტომ სანუკვარი იდუმალი არსის შეცნობას უნდა შევუდგეთ იმით, რომ აღვკვეცოთ ყოველგვარი გონებრივი მოქმედება...

2.8. ღვთის მსგავსნი არსებანი შეიძლება არა მარტო იწოდებოდნენ, არამედ ხდებოდნენ ღმერთებად, ღმერთის ძეებად, და ღვთისნიერ მამებად, და ეს იგულისხმება სულიერი გაგებით, ანუ უსხეულოდ, უნივთოდ...

2.11. წარმოშობს რა საკუთარი თავიდან მთელ

მრავალფეროვნებას მთელი გამოვლენილი არსებული ყოფიერებისას, თავად იგი რჩება უცვლელი ერთიანი მრავალში, მთლიანი დანაწევრებაში...

3.1. აღსანიშნავია ის, რომ თუმც იგი მყოფობს ყველაფერში, მისი მფლობელი არ არის არაფერი და არავინ. იგი არ იმყოფება რაიმე განსაკუთრებულ ადგილას, ანდა შეიძლება არ იმყოფებოდეს სადმე, არ შეიძლება რომ გადაადგილდეს ერთი ადგილიდან მეორეზე და მიუხედავად ამისა, იმის მტკიცებაც, რომ იგი იმყოფება მთელს ყოფიერში, ნიშნავს მისი ყველაფრისმომცველობის და ყველაფრის აღმატებულობის განსაზღვრებას, მყოფისა ყველგან და არსად...

3.2. წმინდა წერილის არსის უშუალოდ წვდომის უნარი ისევე როგორც მის მნიშვნელობებში ჩაწვდომის მიღწევა, შესაძლებელია მხოლოდ იმათთვის, ვისაც აქვს მრავალწლიანი გამოცდილება ღვთისმეტყველების შესწავლისა...

7.2. საჭიროა ვიცოდეთ, რომ ღმერთში აზრი და გონება არ არსებობენ, არა იმიტომ, რომ არ არიან, არამედ სიჭარბის გამო, ამიტომ ჩვენ ვეძახით მას გამოუთქმელს, მას, რომელიც აღემატება ყოველგვარ სიტყვიერ აღნიშვნას...

## ნეტარი ავგუსტინე

"და თუ ამჟამად თქვენ არ ძალგიძთ გაიგოთ, თუ რა არის ღმერთი, გაიგეთ ის, თუ რა არ არის ღმერთი, თქვენ საგრძნობლად წაიწევთ წინ, თუ თავს დაანებებთ ღმერთის რამენაირად წარმოდგენას, რომელიც არასდროს არ შეესატყვისება იმას, რაც თვითონ არ არის. ღმერთი არ არის სხეული, არც მიწა, არც ცა, არც მთვარე, არც მზე, იგი არ არის ვარსკვლავები, არ არის ეს სხეულებრიობა, რადგან თუ იგი არ არის ზეციური, მით უმეტეს არ არის მიწიერი, მაშ ასე, ისმინე კვლავ, ღმერთი არ არის ცვალებადი სული, რა თქმა უნდა, მე ვაღიარებ და უნდა ვაღიარო იგი ვითარცა სული, რადგან სახარებაში ნათქვამია: "ღმერთი არს სული", მაგრამ ამაღლდი ყოველგვარ ცვლილებას დაქვემდებარებულ

სულზე... შენ ვერ ჰპოვებ ღმერთში ვერავითარ ცვალებადობას, ვერ ჰპოვებ, რომ რაიმე მასში ამ ჟამს იყოს ასე, ხოლო სხვაგვარად იყო უწინ, რადგან იქ, სადაც იყო სხვადასხვაგვარობა ექნებოდა ადგილი რამენაირ სიკვდილს, სიკვდილი ხომ იმას ნიშნავს, რომ აღარ იყოს ის, რაც იყო. ღმერთი კი უკვდავია".

"ადამიანის გონებას არ ძალუძს გაიაზროს ღმერთი, რადგან მასზე, მის გონებაზე უარყოფითად მოქმედებენ ვნებები, წარმოდგენები და ოცნებები, ღმერთის შესახებ სწავლებებში შეცდომა არის ის, რომ მასზე ფიქრობენ სხეულის ანალოგიის მიხედვით და მიაწერენ მას თვისებებს, რომლებიც ახასიათებს სხეულს, ან მიაწერენ ფსიქიურ თვისებებს, რაც დამახასიათებელია ინდივიდუალური სულისთვის, ან ასევე გამოხატავენ მას რაიმე საზღვრებში, რომლებიც არ შეესატყვისება სინამდვილეს".

## წმინდა მაკარი ეგვიპტელი

"ჩვენი სულები ამჟამინდელ მდგომარეობიდან უნდა გადავიდნენ სხვა მდგომარეობაში და იცვალონ ფერი ღვთაებრივ ბუნებაში. ამ მდგომარეობას მიღწეულები არიან ძენი, უფალნი და ღმერთნი, იქცევიან უპირატეს პირველ ადამიანზე, რამეთუ ხდებიან განღმრთევებულნი".

## წმინდა გრიგორი პალამა
## წმინდა მდუმარებაზე (თავისუფალი თარგმანი)

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ლოცვის მოღვაწეობის მართებულად აღსრულების შესახებ, მოწინააღმდეგენი საკუთარ თავში ყურადღების მოკრებით ლოცვის წარმართვისა თვლიან, რომ გონების მოქცევა საკუთარი სხეულის ფარგლებს შიგნით ლოცვის დროს არის დარღვევა ლოცვასთან დამოკიდებულებაში, რადგან მათი აზრით, სწორია ყურადღების განვრცობა სხეულის ფარგლებს გარეთ, ანუ ობიექტურ გარემოში, აქედან გამომდინარე, მეთოდს,

რომლის დროსაც იყენებენ სუნთქვის პროცესს, როგორც ობიექტს ყურადღების მოკრებისას და მისი მეშვეობით ყურადღების სხეულის შიგნით შეკავების ჩვევის გამომუშავებისას, თვლიან უაზრობის გამოვლენად, მათი შეხედულებით გონება განუყოფელია სულისგან და ამიტომ შეუძლებლად მიიჩნევენ მის საპირისპირო მიმართულებით მიმართვას, საკუთარი თავისკენ მის შებრუნებას, და ასევე დამცირების საბაბით, არ ჩამწვდარნი საქმის არსს, დაცინვით კილავენ შინაგანი ლოცვის მიმდევრებს თითქოს და ისინი ასწავლიან ღვთის მადლის შეყვანას შიგნით სუნთქვის მეშვეობით.

აი, ამ გაუგებრობის გასარკვევად განვიხილოთ, თუ როგორ და რატომ მოუწოდებენ და ასწავლიან შინაგანი ლოცვის მიმდევრები და მცოდნენი ჭვრეტაში მოღვაწეობის მოსურნეებს განსაკუთრებული მცდელობით იმოღვაწონ გონების საკუთარი სხეულის შიგნით შეყვანაში და მისი საკუთარი თავის შიგნით შეკავებაში.

მაშ ასე, კარგი იქნებოდა იმათთვის, რომლებიც განმარტოვებაში მოღვაწეობენ საკუთარი თავის შეცნობაში, გააზრება იმის, რომ არც ისე უსარგებლო იქნებოდა მათთვის ემოღვაწევათ საკუთარი გონების საკუთარი სხეულის ფარგლებს შიგნით შეკავებაში.

რადგან ამას გვასწავლის თვით წმინდა წერილი, როდესაც გვმოძღვრავს: "ჩვენი სხეულები არიან ტაძრები ჩვენში მცხოვრები სული წმინდისა" (I კორ. 6.19) და ასევე, "ჩვენ ვართ ტაძარი ღვთისაო" (I კორ. 3,1ა) და კიდევ ამბობს უფალი, "ჩავსახლდები მათში და ვალ, და ვიქნები მათდა ღმერთიო" (2 კოპ. 6,16), ასე რომ, რაც განწესდა ღვთის სამკვიდრებლად, განა შეიძლება ჩაითვალოს საკუთარი გონებისათვის დასამკვიდრებელ არამართებულ ადგილსამყოფელად, ვინ, ჭკუითმყოფელი იტყვის ამას, და თვით ღმერთმაც კი თავდაპირველად განა არ ჩაასახლა გონება სხეულში? და რა, ცუდი რამ ჰქმნა მან ამით განა?

ასეთი შეხედულებები იმ ჭკუათმყოფელთა საქმეა, რომლებიც სთვლიან, რომ სხეული ბოროტებააო და ბოროტი საწყისის ქმნილებააო, მაგრამ ჭეშმარიტების ჭეშმარიტ

დამნახველთათვის ბოროტებაა სხეულებრივი სარგებელისათვის გონების გამოყენება და არა გონების სხეულში მოთავსება, რადგან სხეული თავისთავად არაა ბოროტება, ხოლო თუ მოციქული სხეულს ეძახის ბოროტებას ანუ სიკვდილს, როდესაც ამბობს: "ვინ დამიხსნის მე ამ სხეულისაგან სიკვდილისაო" (რომ. 7,24) იგი გულისხმობს გრძნობიერებას საგნების მიმართ და სხეულებრივი სარგებლის ნდომას, და ამას აკეთებს შინაარსობრივი გაგებით, რომ ეს განწყობანი დაკავშირებულნი და გამომდინარენი სხეულის მაამებლობიდან მივაკუთვნოთ სხეულს და არა მარტო სხეულს, არამედ სხეულს სიკვდილს დაქვემდებარებულს, ხოლო ის, რომ იგი უშუალოდ სხეულს არ ადანაშაულებს, არამედ ცოდვიან მისწრაფებებს, ჩანს მისი იმ გამონათქვამიდან, სადაც იგი ამბობს: "მე მივეყიდე ცოდვასაო" (რომ, 7,14), ის, ვინც მიყიდულია, ბუნებით კი არ არის მონა, არამედ გახდა შემდგომში მონებული და ასევე იგი ამბობს იქვე: "მე კი არ ვაკეთებო, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემში იმყოფებაო" და იქვე: "ვინაიდან ვიცი, რომ ჩემში, ესე იგი ჩემს სხეულში, არ იმყოფება კეთილი", ასე რომ, არა სხეულს, არა ხორცს, არამედ იმას, რაც ცხოვრობს მასში ეძახის იგი ბოროტებას.

მაშ ასე, ბოროტება არაა გონება, არამედ ის რჯული, ის ჩვევა, რომელიც ჩვენს არსებაშია და ეწინააღმდეგება ჩვენს გონიერულ რჯულს, ასე რომ, გონების დამკვიდრებით სხეულში, მისი სხეულში მოქცევით ვეწინააღმდეგებით ბოროტების მომტან ჩვევებს, და ვდევნით სხეულიდან სხეულის სარგებლიანობის წესთა ძველ კანონს, ჩვენი გონების, ჩვენი ყურადღების სხეულში მოქცევით ვითარცა ეპისკოპოსისა, რომელიც მეთვალყურეობს და განაგებს ყველაფერს და ამ საშუალებით ამკვიდრებს ყოველი ასოსა და ორგანოს შესატყვის წესს და ჩვეულებას სათნოების რჯულის თანახმად, გრძნობებს ვაჩვევთ თავშეკავებას, სურვილის სფეროს - სიყვარულს, განსჯით სფეროს კი ვაჩვევთ ფიქრს ღმერთზე და სწორედ აი ამას ვეძახით გონების სიფხიზლეს.

2. ვინც თავშეკავებით განწმინდა საკუთარი სხეული, ვინც

მრისხანება შესცვალა სიყვარულით, ვინც თანაგრძნობით შესცვალა ვნების გზნება, ვინც ლოცვით განწმინდა გონი და დააჩვია ღვთის წინაშე დგომას, ის მოიპოვებს და იხილავს მადლს სული წმინდის, ცოცხალ სინათლეს საკუთარ არსების შიგნით, ვითარცა იყო აღთქმული ღვთისგან. და მხოლოდ მაშინ მას შეუძლია თქვას პავლესთან ერთად: "ღმერთმან, რომელმაც ბრძანა გამობრწყინვებულიყო ნათელი ბნელიდან, მან გაანათა ჩვენს გულებში რათა გაგვინათოს ღვთის დიდების შემეცნება იესო ქრისტეს სახეში, მაგრამ ეს განძი გვაქვს ჩვენ თიხის ჭურჭელში" (2 კორ. 4,6,7), თიხის ჭურჭელი არის ჩვენი სხეული, ასე რომ, თუ ჩვენ შევაკავებთ ჩვენს გონებას სხეულის შიგნით, ამით რაიმე ცუდს ჩავიდენთ განა გონების სიდიადის წინაშე? ასე რომ, შეიძლება თქვას მხოლოდ იმან, ვინც სრულიად არაა სულიერად მომწიფებული და გონება გაუცხოებული აქვს ღვთაებრივი მადლის აღქმის მიმართ, თუმც შეიძლება გონიერი იყოს ადამიანური, ამსოფლიური სიბრძნისათვის.

3. ჩვენი სული დაჯილდოებულია ბევრნაირი ნიჭებით და შესაძლებლობებით, ხოლო სხეულს იგი ხმარობს ვითარცა იარაღს, რომელსაც თვითვე აძლევს სიცოცხლის უნარს, მოდით დავფიქრდეთ, თუ რომელი ორგანოთი მოქმედებს ვითარცა იარაღით თავისი მოქმედების დროს სულის ის ძალა, რომელსაც ვუწოდებთ ჩვენს გონებას? არავის, არსად, არასოდეს არ მოსვლია აზრად ის, რომ ეფიქროს, რომ გონება მოქცეულია ფრჩხილებში, ან წამწამებში, ან ნესტოებში, ან რომელიმე ასოში კერძოდ, მაგრამ ყველა თანახმაა იმის შესახებ, რომ იგი, გონება, ჩვენს შიგნითაა, აზრთა სხვაობა მდგომარეობს იმაში, თუ ვინ რას მიიჩნევს მის შინაგან იარაღად, თუ რომელი შინაგანი ორგანოთი მოქმედებს ის, ვითარცა იარაღით? ერთნი თვლიან, რომ იგი მკვიდრობს ტვინში, როგორც აკროპოლში, სხვები კი, მას დასამკვიდრებელ ადგილს მიუჩენენ გულის "გულში". აი, ამ თვალსაზრისს ვიზიარებთ ჩვენც, მხოლოდ ერთი განმარტების დამატებით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სულის გონიერი ძალა სხეულში მოთავსებულია არა როგორც რაიმე უსხეულო განფენილობა სივრცეში, რომელიც ისაზღვრება

ჭურჭლის კედლებით, ერთგვარი შიგნით და გარეთ, არამედ მყოფია გულში ვითარცა თავის ორგანოში, როგორც ჩვენ დავრწმუნდით ამაში საკუთარი გამოცდილებით, რაც ადამიანთაგან კი არ გვაქვს ნასწავლი, არამედ თვით ადამიანთა შემოქმედისგან, რომელიც გვეუბნება სახარებით: "არა ბაგეთაგან შემავალი წაბილწავს კაცს, არამედ ბაგეთაგან გამომავალი წაბილწავს ადამიანს, რამეთუ გულიდან გამოდის ზრახვანიო" (მთ. 15.11.19).

იგივეს ამბობს მაკარი დიდი: "გული მართავს მთელ ორგანოებს და როდესაც მადლი დაიკავებს გულის ყველა განყოფილებას, ბატონდება ყველა ზრახვაზე და ყველა ასოზე, რადგან გულშია გონის და ყველა სულიერი ზრახვების საწყისი". მაშ ასე, გულია უძვირფასესი და უსაიდუმლესი საუნჯე და ტაძარი გონებისა და პირველი ხორციელი ორგანო აზროვნების ძალისა.

4. ამიტომ მას, ვისაც სურს ბეჯითად, სიფხიზლით, უმეთვალყუროს თავის აზროვნების სფეროს, მართოს იგი და განწმინდოს, სხვა ვერანაირი საშუალებით ამას ვერ შესძლებს, თუ არა იმით, რომ თავი მოუყაროს გარეთ გაბნეულ ყურადღებას, გრძნობებში ჩაფლულს და მათით გატაცებულს და შეიყვანოს იგი შიგნით, საკუთარ არსებაში, საკუთარ გულში, რომელიც არის ზრახვათა თავშესაფარი.

ნეტარი მაკარი ასე აგრძელებს ზემოთ მოყვანილ თავის აზრს: "იქ უნდა უმზირო დაპბეჭდა თუ არა მადლმა კანონები სულისა"-ო. რომ ამბობს "იქ"-ო, რას გულისხმობს ამით? გულისხმობს მთავარ ორგანოს, სადაც იმყოფება მადლის ტრაპეზი და სადაც არის გონება და ყველა ზრახვა, ანუ გულისხმობს გულს.

5. მაშ ასე, თქმულიდან ნათლად ჩანს, თუ რარიგ საჭიროა და აუცილებელი იმ მოღვაწეთათვის, რომლებმაც გადაწყვიტეს იმოღვაწეონ მდუმარებაში, განმარტოებაში და საკუთარი თავის შეცნობაში, დააბრუნონ გარეთ მიმართული ყურადღება და მოათავსონ გონება საკუთარი სხეულის ფარგლებში და განსაკუთრებულად იქ, რომელიც არის უშინაგანესი სხეული სხეულისა, ანუ სხეულში მყოფი შინაგანი სხეული, გული, და თუ მივყვებით ფსალმუნს, რომელიც

გვამცნობს:

"მთელი დიდება მეფის ასულისა არს შიგნით"-ო (ფს. 44.14), რაღა საჭიროა მისი ძიება სადმე გარეთ? და თუ მოციქულის სიტყვით ნათქვამია: "მოავლინა ღმერთმა სული ძისა თვისისა ჩვენს გულებში მღაღადებელი - ამბა მამაო" (გალ. 4,6), როგორღა შეიძლება არ ვილოცოთ ჩვენს გულებში ამ სულთან ერთად? თუ ღვთის სიტყვით და ასევე წინასწარმეტყველთა და მოციქულთა სიტყვით: "სასუფეველი ღვთისა ჩვენს შიგნით არის" (ლუკ. 17,21), ხომ არ დარჩება სასუფეველს გარეთ ის, ვინც მთელი ძალით ცდილობს განაგდოს გონება საკუთარი შინაგანიდან გარეთ?

6. ასევე, თუ ვინმეს სურს წინ აღუდგეს ცოდვას ან მოიპოვოს სათნოებანი და მიიღოს გვირგვინი ღვაწლისა ან ამ გვირგვინის თაედები მოიხვეჭოს, ანუ მოიხვეჭოს სულიერი გრძნობა, აუცილებელია, რომ სხეულის შიგნით და საკუთარი თავის შიგნით დააბრუნოს გონება, ხოლო გონების მიმართვა და დამკვიდრება სხეულის გარეთ (მხედველობაში არა გვაქვს სხეულის გარეშე საგნებზე აზროვნება, არამედ დასაკვირვებელ საგნად რაიმეს არჩევა გარემოში, რომ იქ მოიპოვოს გონებრივი ჭვრეტის საგანი) არის ფილოსოფიური, ანუ ელინური ცდომილება, რომელიც არის ფუძე ყოველნაირი ბოროტებისა, დემონთა გამონაგონი, დედა უმეცრებისა, ნაშიერი უაზრობისა (რადგან საკუთარი სუბიექტის გარდა ყველაფერი, რაც ობიექტურდება და ისაზღვრება და ვერ გადის დროისა და სივრცის საზღვრებს გარეთ, არ გამოხატავს არსს) და ამიტომ დემონთა (ანუ საზღვრულობას ვერ გაცდენილ, გამოცალკევებულ, პიროვნებით შემოსაზღვრული გონებათა მიერ) შთაგონებული მოღვაწეები გამოდიან საკუთარი თავის აღქმის ფიქსირების ფარგლებს გარეთ და მეტყველებენ იმას, რისი გაცნობიერებაც არ გააჩნიათ, ჩვენ კი, არა მარტო სხეულის შიგნით და გულის შიგნით, არამედ საკუთარი თავის შიგნითაც კი შეგვყავს ჩვენი გონება.

7. განა არ არიან განკიცხვის ღირსნი ისინი, რომლებიც გრძნობენ და დაუსაბუთებლად ამტკიცებენ იმას, რომ გონება არ არის განყოფილი სულისაგანო, არამედ შეერთებულია

მასთან და წარმოადგენს ერთ მთლიანობასო, და აქედან გამომდინარე, მისი შეყვანა შიგნით მიაჩნიათ შეუძლებლად? როგორც ეს მათი ამ განცხადებიდან ჩანს, მათ არ იციან ის, რომ ერთია არსი გონებისა და სულ სხვაა მისი მომქმედი სფერო, ან შეიძლება იციან, მაგრამ შეგნებულად, სიტყვების თამაშის ხელოვნებით ერთობიან და არ იღებენ რა სულიერი სწავლების უბრალოებას, განსჯის დახვეწილობით ამრუდებენ ჭეშმარიტებას, ცრუგონიერების მიმდევრები (რაც მიკერძოებისა და სარგებელის მიღებისაგან იშვება) მსჯელობის ურთიერთდაპირისპირებულობის მეთოდით მოხიბლულნი მიილტვიან არა ჭეშმარიტების დადგენისაკენ, არამედ საკუთარი ნების გატარებისკენ, ასეთები, როგორც წესი, არიან ისეთი გონებრივი წყობის ადამიანები (რომლები/ თავდაჯერებით ეყრდნობიან მხოლოდ საკუთარი განსჯის დასკვნებს ფაქტობრივი გამოცდილების გარეშე), რომლებსაც არ გააჩნიათ რა სულიერი გამოცდილება აძლევენ საკუთარ თავს უფლებას იმსჯელონ და გასცენ მითითებები სულიერების შესახებ. მათთვის შეიძლება უცნობი არც კი იყოს ის, რომ გონება თვალის მსგავსი კი არ არის, რომელიც უმზერს ყველაფერს, მაგრამ საკუთარი თავის ხილვა რომ არ შეუძლია, არამედ იგი, გონება მზერს რა ყველაფერს, როდესაც მიმართულია წინ, გარეთ, სწორხაზოვნად, შემძლეა ჭვრიტოს საკუთარი თავი, როდესაც შემოტრიალდება რა უკან საკუთარ თავში საწინააღმდეგო მიმართულებითი მოძრაობით ბრუნდება თავის თავში. წმინდა დიონისე ამას ეძახის წრიულ მოძრაობას.

8. მაგრამ გონებისათვის მის მოქმედებებს შორის ყველაზე უფრო ბუნებრივი და საუკეთესო არის ის, რომელშიც იგი საკუთარ თავზე ამაღლებული (ანუ ყოველგვარ განსჯით და გააზრებით მოქმედებებზე და ასევე შემეცნებით და კვლევით აღქმებზე ზე დამდგარი) უერთდება ღმერთს, როგორც ბასილი დიდი ამბობს, გონება, რომელიც არ იფანტება გარეშე საგნებში ბრუნდება საკუთარ თავში და საკუთარი თავიდან ადის ღმერთთან შეუცდომელი გზით. წმინდა დიონისეც ამასვე ამოწმებს, რომ მხოლოდ ეს გზააო (ანუ საკუთარ თავში უკან შებრუნებით გასასვლელი) ყოველგვარი შეცდომისაგან

დამღეეულიო.

მაგრამ მამა ხიბლისა, ტყუილისა და უმეცრებისა, რომელსაც ყოველთვის ულევის სურვილი გადააცდინოს ადამიანი სწორ გზას, ცდილობს დააყენოს ადამიანი იმ გზაზე, რომელზეც მის მოჩვენებებს აქვთ არსებობის მოჩვენებითობა, ვითომდა რეალური არსებობა, რამეთუ მხოლოდ ამ საშუალებით აქვს მას გაატაროს თავისი ნება და ამით დაიკმაყოფილოს ჟინი ძალაუფლებისა, მთელი მონდომებით ცდილობს შინაგანი ღვაწლის მოღვაწეობის დაკნინებას, მაგრამ აქამდე რამდენადაც ჩვენ მოგვეხსენება, ვერ პოულობდა თანამზრახველებს, რომლებიც კეთილი სიტყვით ეცდებოდნენ მიეზიდათ ადამიანები სიცრუისაკენ, ამჟამად კი, ვგონებ იპოვა მან მოკავშირეები, რომლებიც კეთილი სიტყვით ცდილობენ დაარწმუნონ ყველანი იმ სწაელების სისწორეში, რომელიც მოუწოდებს იმას, რომ ლოცვისას თითქოს და უფრო უმჯობესია გონების შეკავება და მიმართვა სხეულის ფარგლებს გარეთ და ამისკენ მოუწოდებენ იმათაც, რომლებმაც აირჩიეს მდუმარე განდეგილობის ღვაწლი, ამით ისინი უსირცხვილოდ ეწინააღმდეგებიან განდეგილობისა და მდუმარების ისეთი დიადი მოძღვრის მითითებას, როგორიცაა წმინდა იოანე კლემაქსე, რომელიც გვმოძღვრავს, როდესაც ამბობს: "მდუმარე განდეგილი არის ის, ვინც არსება უსხეულო - ანუ სული თვისი. შესძლო შეეკავებინა სხეულის საზღვრებში"-ო (სიტყ. 27,6), ამის მიხედვითვე გვასწაელიდნენ ჩვენ ჩვენი სულიერი მამები, რამეთუ თუ არ მოვაქციეთ, დავამკვიდრეთ და ჩავკეტეთ გონება სხეულის შიგნით, როგორღა შევძლებთ ჩვენ სხვაგვარად თავი მოვუყაროთ მას ჩვენს საკუთარ თავში, როგორ მოვუყრით გონებას თავს მის საკუთარ თავში?

9. ამრიგად, არა მარტო სულიერად რომ განვსაჯოთ, არამედ უბრალოდ რომ ვიმსჯელოთ საღი აზრით, უნდა ვაღიაროთ ის, რომ იმან, ვინც გადაწყვიტა ეკუთვნოდეს საკუთარ თავს და თვალთმაქცობის გარეშე, ჭეშმარიტად შინაგანი ადამიანით ანუ თავისი შინაგანი არსებით იყოს ნამდვილი ბერი, უნდა შეიყვანოს თავისი გონება საკუთარი თავის საკუთარი სხეულის შიგნით და გააჩეროს, შეაკაოს

იგი იქ, და ასევე, სრულებით არაა უადგილო ვასწავლოთ ახალბედებს საკუთარი თავის ყურადღება, საკუთარი თავის მეთვალყურეობა და გონების შეყვანა შიგნით, სუნთქვაზე დაკვირვების მეშვეობით, რადგან ვინც ჯერ არ გამხდარა მჭვრეტელი, ვინც ჯერ არ დაუფლებია ჭვრეტის ხელოვნებას, მას ამ საქმის არც ერთი ჭეშმარიტი მცოდნე არ აუკრძალავს ისეთი დამხმარე ხერხების გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობდა გონების შეყვანას საკუთარ თავში და რადგან ახალბედებისათვის, რომელთაც სულ ცოტა ხნის წინ დაიწყეს ამ ღვაწლში მოღვაწეობა, გონების შიგნით მოკრების მცდელობისას ხშირად უსხლტებათ ყურადღება გარეთ და მათ სჭირდებათ მისი ხშირი მობრუნება უკან, ხოლო გონება ამ ხელოვნებაში გამოუცდელისათვის ძალზედ მოძრავია და ყურადღებით მისი შეკავება ერთობის ჭვრეტაში ძნელია, ამიტომ მათ ურჩევენ თავი შეიკაონ ხშირი სუნთქვისაგან და შეძლებისდაგვარად შეაკაონ სუნთქვა, რომ სუნთქვის შეკავებასთან ერთად შეაკავონ გონებაც საკუთარ თავში მანამ, სანამ გონება არ გადაეჩვევა გასვლას გარეთ და გარეშე საგნებში განბნევას და სანამ იგი ღვთის შეწევნით არ გახდება ძლიერი და თავმოყრილად გამახვილებული ერთზე. სუნთქვის გარკვეულწილად შენელება, რომელშიც ყოველი თვითვე დარწმუნდება, თავისთავად თან სდევს გონების გამახვილებას და თავმოყრას, რადგან გაძლიერებულად ერთ რამეზე გონების თავმოყრისას სუნთქვა ნელდება, აუჩქარებლად შედის და გამოდის, იწელება და ხდება თითქმის შეუმჩნეველი, განსაკუთრებულად ეს შესამჩნევია სხეულითაც და სულითაც განდეგილთათვის და მდუმარეთათვის და თავისთავად, ჭვრეტის ღვაწლის სრულყოფილი აღსრულებისათვის საჭიროა და აღსრულება ხასიათდება ყოველგვარი საქმიანობისაგან განდგომით, რამდენადაც ეს მიზანშეწონილია და შესაძლებელი გარემოებისა და მიხედვით, სულიერი, გონებრივი მუშაობის ყოველნაირი მოქმედებების და განსაკუთრებით განსჯა-სჯის და კვლევა-ძიების შეზღუდვით, ასევე ყოველნაირი აღქმების, გრძნობიერების და საერთოდ ყოველნაირი სხეულებრივი

მოძრაობების შემცირებით.

10. ეს ყველაფერი დამახასიათებელია იმათთვის, რომლებმაც მიაღწიეს წარმატებას ჭვრეტაში და მდუმარებაში, რამეთუ, როდესაც სული სრულიად შევა თავის თავში, მაშინ ეს ყველაფერი საჭიროებისადა მიხედვით ხდება თავისთავად, ხოლო ახალბედასათვის საჭიროა ძალისხმევის გამოყენება, მისთვის არაფერი არ ხდება დამქანცველი შრომისა და თანმიმდევრული შემართების გარეშე, თუმც მოთმინება თავისთავად მოსდევს სიყვარულს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ძალისხმევით უნდა ვეცადოთ მოთმინების გამომუშავებას, რათა მივაღწიოთ ჭეშმარიტ სიყვარულს (და არ მოვტყუვდეთ სიყვარულის თავისთავად მოსვლის ლოდინით ან კიდევ უფრო უარესი, არ ვიყოთ დარწმუნებულები, რომ გვაქვს სიყვარული, სინამდვილეში თავმოყვარეობით აღვსებულთ), ასე რომ, ვინც იცის ამ საქმის, ჭვრეტის ხელოვნების არსი, გაცინების მეტი არაფერი დარჩენიათ იმათ მიმართ, რომლებაც არაფერი არ იციან ამ საქმისა გამოცდილებით და ბევრს კი თხზავენ სიტყვით, რამეთუ ასეთ რამეებს ასწავლის არა მხოლოდ სიტყვა, არამედ საქმე, გამოცდილება, რომლის მკეთებელი გაურბის ყოველგვარ კამათს და უნაყოფო ქადაგებას, რომელიც ასე უყვართ მოკამათე და პატივმოყვარე ადამიანებს.

11. ადამიანის დაცემის შედეგად შინაგანი ადამიანი (ანუ გონება-განწყობითი სფერო), როგორც წესი, ექვემდებარება გარეგან ადამიანს (სხეულებრივ სფეროს) და აქედან გამომდინარე, რატომ არ უნდა მივიღოთ ის შეხედულება, რომ ვინც ცდილობს საკუთარი გონება შეატრიალოს თავის თავში, მისთვის ძალზედ ხელის შემწყობი საშუალებაა საკუთარი თვალების მიმართვა სხეულის შიგნით და მზერის მიპყრობა საკუთარი მკერდის შიგნითა სივრცეში, რადგან სხვაგვარად თვალები ჩვეულებრივ დახტუნაობენ აქეთ-იქით, საგნიდან საგანზე, თვალების მიპყრობით გარე სამყაროში საგნებისა და ნივთების აღქმით მზერა ინთქმება აღქმულით და გრძნობაც იფანტება ამ ნივთებში, ხოლო ამის საპირისპიროდ თვალების დახუჭვით და მზერის შიგნით შებრუნებით გონებასაც თავისთავად მიმართავს გარედან

შიგნით, იმ ძალის წყალობით, რომლითაც ცდილობენ მიანიჭონ გარეთ მიმართულ ყურადღებას საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობის უნარი, რათა თავი მოუყარონ გარეთ გაფანტულ გონებას შიგნით.

12. ყურადიღეო თავი შენიო, გვმოძღვრავს მოსე, ყურადიღე თავი, ანუ მთელი შენი არსება, არა ისე, რომ რაღაცა ერთი ნაწილი შენი არსებისა იყოს მოქცეული ყურადღების ქვეშ, ხოლო სხვა დანარჩენი კი არა, არამედ ყურადღებით მოიცავი მთელი შენი არსება, რითი მოვიცვათ? რა თქმა უნდა, გონებით, რამეთუ სხვა არაფრით ამის გაკეთება არ შეიძლება, სხვა არფრით არ შეიძლება ყურადღების ქვეშ მოვაქციოთ საკუთარი თავი მთლიანად, გონება უნდა დადგეს სულისა და სხეულის მცველად, მეთვალყურედ, მოწმედ, ამის მეოხებით ადვილად განთავისუფლდები ბოროტი ვნებისაგან, რომელნიც აღიძვრიან როგორც სხეულიდან, ისე სულიდანაც. მაშ ასე, იდექი საკუთარი თავის წინაშე, დააყენე საკუთარი თავი საკუთარი მზერის, საკუთარი თავის ქვეშ, საკუთარი თავი ათვალიერე, უთვალთვალე, განიხილე, გააცნობიერე. ამით შენს თავშეკავებულ ხორცს დაუქვემდებარებ სულს, და შენს გულში აღარასოდეს აღარ გაჩერდება უკანონობის სიტყვა დაფარული.

13. ასევე, თუ თავს დაგატყდა ბოროტ სულთა და ვნებათა რისხვა, ფეხს ნუ მოიცვლი შენი ადგილიდან. ნუ დატოვებ უმეთვალყურეოდ შენი სხეულის ნურცერთ ასოს (ანუ შენარჩუნებული უნდა იყოს ყურადღების უძრაობა, რომ არ გაიქცეს გარეშე გამაღიზიანებლისკენ), ამის მეშვეობით შეგვეძლება გარჩევა სულთა, მოსული არიან ქვემოდან თუ ზემოდან.

14. მდაბალ სულთათვის ყველაზე მოხერხებული და ხელსაყრელი ადგილი შეტევისათვის არის სხეული და ამიტომ იგი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა იყოს მოქცეული, რამეთუ რაც უყურადღებოდ არის მიტოვებული ჩვენ აღარ გვეკუთვნის, რაც ჩვენი არ არის, როგორ შევძლებთ იმის დაქვემდებარებას. როგორ მოვიგერიებთ მისგან მაცდურს? როგორ შევძლებთ სულიერად წინ

აღუდგეთ ბოროტ სულებს? როგორ დავიცვათ გარეგანი კაცი თუკი გარეგნული ხერხები არ გვეცოდინება, და არ ვიქნებით გარეგნული საშუალებებით საკუთარი თავის ყურადღებას დაჩვეულნი? ეს ეხება არა მარტო ახალბედებს, სრულყოფილნიც კი იყენებენ გარეგნულ ხერხებს, რომლებიც ხელს უწყობენ გონების თავმოყრას.

15. ვინც ეწინააღმდეგება ამ სწავლებას, ის დაავადებულია ფარისევლობით და არაა მსურველი შინაგანი საუნჯის მოპოვების. მათ არა აქვთ სურვილი და მოთხოვნილება უმეთვალყურონ და განწმინდონ საკუთარი გული, ამიტომ ყოველმხრივ უშლიან ხელს საკუთარ თავში ჩაღრმავებით ლოცვის მოღვაწეობას და ქილიკობით განაქიქებენ ყოველნაირ გარეგან დამხმარე საშუალებას, რომელსაც იყენებენ ამ მოღვაწეობაში მოღვაწენი, მაგალითად, ვინც ლოცვის დროს საკუთარი თავის მიმართ ყურადღებაში მეცადინეობს და გარეგნულად მეზვერეს მაგალითისამებრ იქცევა, რომელიც ვერ ბედავდა თვალთა აღპყრობას ზეცად. ზის, ან დგას თავჩაღუნული და ამ გარეგნული ხერხით ეხმარება გონებას შინაგანში თავმოსაყრელად, მათ ეს მოწინააღმდეგენი, ხელის შეშლის მიზნით დაცინვით ეძახიან საკუთარი ჭიპის მჭვრეტელებს, ან ჭიპში სულმაძიებლებს, ამით ისინი თავს ამხილებენ, როგორც ბოროტი ცილისმწამებელნი, რადგან სად, როდის, ვის და ვისთან დასცდენია ის, რომ სული ჭიპშია მოქცეული? ამ ცილისწამებით ისინი ცდილობენ დაამცირონ ეს საქმე სხვების თვალში იმ მიზნით, რომ არ გაჰყვნენ ამ ღვაწლს. გონების თავმოსაყრელად გამოყენებული გარეგნული ხერხის განქიქებით, ამცირებენ თვით ამ მოღვაწეობის არსს, ამის მქმნელნი თავისდაუნებურად ეწინააღმდეგებიან მასაც, ვინც თქვა: "კანონი შენი იშუა მუცელსა ჩემსაო" (ფს. 39.9) და ამით ამის მთქმელსაც არქმევენ "მუცელში სულმოქცეულის" სახელს და თავიანთი გაუაზრებლობით გამოსდით ის, რომ საერთოდ თავიანთი მცდარი სულიერი განწყობიდან გამომდინარე, განიკითხავენ ყველას, ვინც გარეგნული მოქმედებებით და სხეულის მდგომარეობით გამოხატავენ გონებრივს, შინაგანს, სულიერს (ისევ შინაგანისა და

სულიერისადმი ყურადღების დასახმარებლად), მაგრამ ეს ცილისმწამებლები ვერაფერს ვერ დააკლებენ ჭვრეტის ხელოვნების ჭეშმარიტ მცოდნეებს, ხოლო თვითონ კი დარჩებიან ჭეშმარიტების გარეთ და ვერ იხილავენ მისი ჩრდილის ანარეკლსაც კი.

16-17. შინაგანი თვითჩაღრმავების და ჭვრეტის ღვაწლის აღწერილობა საკმაოა ღმერთშემოსილი მამების ნაწარმოებებში, მათ სწავლებაში ნათლადაა მოცემული საქმის არსი, მაგრამ რაღა ბევრი გავაგრძელოთ სიტყვა ძველ მოძღვრებზე, როდესაც ამჟამინდელი მოღვაწენიც საკმაოდ ნათლად წარმოაჩენენ ამ ხელოვნებას ყველა ისინი, ძველნი და ახალნი, ადიდებენ ამ მოღვაწეობას, მოღვაწეობას მდუმარებისას და თვითჭვრეტისას, განსხვავებით ამჟამინდელ იმ მასწავლებლებისაგან, რომლებსაც მდუმარების ნასახიც კი არ უნახავთ და არ იციან, თუ რა არის იგი, მაგრამ კადნიერდებიან ასწავლონ ის, რაც საკუთარი გამოცდილებით კი არ მოუღვაწიათ, არამედ უბრალოდ გონებით მოუფიქრებიათ ან უფრო სწორედ, უბრალოდ უყბედიათ და თავის მედიდურობაში ცდილობენ დაამცირონ თვითჩაღრმავებით თვითჭვრეტის ღვაწლი, რომლის გააზრებაც თვითონ არ გააჩნიათ.

18. ხოლო იმას, ვისაც სურს ჭეშმარიტად ეზიაროს ჭვრეტის ღვაწლს, უნდა მიეახლოს დიდ მამებს მოწიწებით ვითარცა შეგირდი და დაუგდოს ყური, თუ როგორ მოძღვრავენ და მოუწოდებენ ისინი ყველას, საკუთარი გონების თავის თავში მიგნით შეყვანისაკენ და მისი იქ შეკავების და დამკვიდრებისკენ განუწყვეტლივ.

## ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული ამონაკრები ნაშრომიდან "ასკეტიკური გამოცდილებანი" (თავისუფალი თარგმანი)

როდესაც ადამიანის გულში ამოქმედდება ღვთაებრივი მადლი, მაშინ ადამიანის სული თავისი ცნობიერებით შედის გულში და მასთან ერთად გონების და სხეულის ყველა

ძალებიც მიჰყვებიან სულის ამ მოძრაობას, ასე რომ, შიგნით შეტრიალების, შიგნით მყოფობის წესია შეაკაო საკუთარი ცნობიერება გულში და მასშივე მოკრიბო ძალისხმევით მთელი შენი გონებრივი და სხეულებრივი ძალები, შინაგანში დამკვიდრების, შიგნით მყოფობის აღსრულება ნიშნავს ცნობიერების გულში მოთავსებას, მთელი ძალისხმევით, იქ, გონებისა და სხეულის ძალების თავმოყრას შეიძლება ეწოდოს მოღვაწეობის არსებითი მხარე, არსებითი საშუალება, საქმიანობა-ღვაწლი. ვინც გულშია შემდგარი და მოთავსებული, იგი თავმოყრილია, ხოლო ვინც თავმოყრილია იგი გულშია.

გულში მოთავსებული ცნობიერების შორიახლოს, მისირგვლივ თავი უნდა მოვუყაროთ მთელს ჩვენ არსებას, გონებით, ნებისყოფით და გრძნობით.

გულში გონების თავმოყრა არის ყურადღება, ნებისყოფის თავმოყრა კი არის მღვიძარება, გრძნობების თავმოყრა კი სიფხიზლე (ანუ ცნობიერების გულში მოთავსება ნიშნავს გონებრივი მზერის მიმართვას გულის არეში, გონების თავმოყრა კი აზროვნების პროცესის იმ მიდამოში წარმართვას, ნების თავმოყრა წარმოსახვის სფეროს მოთავსებას იქვე, გრძნობის თავმოყრა კი გრძნობებისა და შეგრძნებების იქით მიმართვას, და გულის ადგილის შეგრძნების შეგრძნობას). ყურადღება, მღვიძარება და სიფხიზლე არიან სამი შინაგანად აღსასრულებელი საქმიანობა, რომელთა მეოხებით სრულდება თავის მოკრება და შინაგანში დამკვიდრება, ვინც მოიღვაწა ისინი სამივე ერთობლივ, იგი შინაგანშია, ვისაც აკლია თუნდ ერთიც კი, იგი გარეგანი ადამიანია. ამღაგვარ სულიერ სამუშაოს თან უნდა ახლდეს შესატყვისი სხეულებრივი მოქმედებებიც, ყურადღებას თან უნდა სდევდეს თვალების შიგნით მიპყრობა, მღვიძარებას - მთელი სხეულის შეგრძნება ცენტრირებული მკერდში, სიფხიზლეს კი მთელი სხეულის ტემპერატურის შეგრძნება ასევე ცენტრირებული მკერდში მომადუნებელი შეგრძნებების განგდებით.

საჭიროა იმის გააზრება, რომ შიგნით შებრუნება, თვითჩაღრმავება, შიგნით დამკვიდრება იგივე არაა, რაც

ღრმად ყურადღების თავმოყრა აზროვნების, ფიქრის დროს, თუმც ბევრი რამით წააგავს მას, ფიქრი, გაძლიერებული აზროვნება, მაგალითად, რაიმე ერთი იდეის, პრობლემის, ამოცანის გადაწყვეტის მიმართ, მიმდინარეობს მხოლოდ ფიქრისა და წარმოდგენების სფეროში, იმ დროს, როდესაც სხვა ყველა დანარჩენი სფეროები და ძალები ადამიანისა დატოვებულნი არიან უყურადღებოდ, ან შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარეობს თავში. ხოლო ეს შინაგანში თვითჩაღრმავების საქმიანობა მოიცავს მთელს ადამიანს და უკეთებს მას ცენტრირებას გულში, მისი არსების ცენტრში, შუაგულში, საიდანაც გამომდინარეობენ ყველანაირი მოქმედებანი, რომელიც არის ყველაზე ღრმა სფერო ადამიანში, ფუძე, ძირი მისი, ყველაზე უკანა ხაზი იმისა, რაც კი რამ არის ჩვენში არსებული, რაც ჩვენში ხდება, ასე რომ, ყველაფერი, რაც კი ხდება, ხდება მისი მზერის წინ, და მისი ან დამოწმებით ან უარყოფით, მისი თანხმობით ან არდათანხმებით. აქედან გამომდინარე, შინაგანში დამკვიდრება არის ჭეშმარიტი საფუძველი საკუთარი თავის ფლობისა და მართვისა, იგია ერთადერთი პირობა და მდგომარეობა საკუთარი ბუნების დაქვემდებარებისა და ამიტომ ერთადერთი საშუალება თავისუფლებისა და გონიერებისა და ჭეშმარიტად სულიერი ცხოვრებისა. ამრიგად ყოველნაირი სულიერი მოღვაწეობა და ყოველნაირი ღვაწლი დაწყებული უნდა იყოს აქედან, რადგან სხეაგვარად არანაირი ღვაწლი და მოღვაწეობა არ იქნება სულიერი, არამედ ყოველთვის იქნება შეზავებული საკუთარ მიკერძოებასთან, და ვერ ჩაითვლება რელიგიურ მოღვაწეობად, ამიტომ უნდა იქნას უარყოფილი.

თავმოყრილი უნდა გიზგიზებდეს, რამეთუ ჰკრებს მთელ ძალებს ერთ მთლიანობაში, მსგავსად გამადიდებელი შუშის მეშვეობით მზის სხივების მოკრებისა, რომლითაც წარმოიშვება დიდი მხურვალება ერთ წერტილში მოკრებისას და იწვევს აალებას. ასევეა ჭეშმარიტი გონმოკრებისას, რომლის დროს წარმოიშვება სითბო, სიმხურვალე, ამის დროს სული იწყებს საკუთარი თავის მზერას.

## ᲡᲘᲛᲔᲝᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ
## ᲚᲝᲪᲕᲐᲨᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ
## (ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ)

არსებობს ლოცვისას ყურადღების მოკრების სამი სახეობა, რომელთა მეოხებით ადამიანი ან წინ მიიწევს ან მათი არასწორი გამოყენებით თავს იღუპავს, წარმატებულია ამ საქმეში ის, ვინც ამ სამ ხერხს იყენებს თანმიმდევრულად და დროულად, ხოლო ის, ვინც გამოიყენებს გაუაზრებლად, კადნიერად და თავდაჯერებიდან გამომდინარე, არა თანადროულად, იგი უთუოდ დაეცემა.

ყურადღება, გონების მზერის მიპყრობა ისე უნდა იყოს შეერთებული ლოცვასთან, ანუ ბაგეებით წარმოთქმულ სიტყვასთან, როგორც სხეული შეერთებულია სულთან.

ყურადღება წინ უნდა უძღოდეს ლოცვას, უნდა აყურადებდეს ფხიზელი თვალით სხვადასხვა აზრების შემოტევას და არ უნდა უშვებდეს მათ გონებაში. მას ამოფარებული კი, მდგომი უკან, მიმდინარეობდეს ლოცვა, რომელიც თავისი სიტყვიერი ფორმით და გრძნობიერი განწყობით უნდა აცამტვერებდეს ყოველგვარ აზრთა ფორმებს, რომლებიც ყურადიღო ყურადღებამ. მარტო ყურადღება ვერ შემძლეა მოიგერიოს სამტრო აზრთა შემოტევა (ყურადღება აღმოაჩენს უცხო აზრს შემოსულს გონების სივრცეში, ლოცვა კი დევნის მათ საკუთარი ფორმით).

აი, ამას ეწოდება ბრძოლა, შინაგანი ღვაწლი, ანუ ზრახვებთან ჭიდილი ყურადღებისა და ლოცვის მეოხებით, ამ ბრძოლაზეა სწორედ დამოკიდებული სულის ცხოვნება თუ სიკვდილი.

თუ ყურადღება იცავს ლოცვის სიწმინდეს, მაშინ შინაგანი ადამიანისა იწმინდება, ხოლო თუ გონება ლოცვის მიუხედავად ბინძურდება ბოროტი ზრახვებით, ეს მოღვაწეობა უნდა ჩაითვალოს წარუმატებლად.

მაშ ასე, ეხლა განვიხილოთ სამი სახეობა ლოცვაში ყურადღების მიპყრობისა.

## პირველი სახეობა ლოცვისას გონების თაემოყრისა

პირველ სახედ ლოცვაში გონების თავმოყრისა არის ის ფორმა ყურადღების მოკრებისა და მიმართვისა, რომელიც იყენებს წარმოდგენებს თითქმის ოცნებების დონეზე, ასეთი მოღვაწეობის დროს გონება ხატავს სხვადასხვა წარმოდგენებს, თავისთავად გამომდინარე რელიგიური შეხედულებებიდან, ზეციური სავანეების წარმოდგენით, საკუთარი თავის წარმოდგენით ამ სავანეებში, და ასევე აზროვნებს და მსჯელობს ღვთაებრივი საგნების და ფასეულობების გამო გონებაში ლოცვისას, რაც დაუგროვდა წმინდა წერილის კითხვისას, ამრიგად გამოწვეული გულისწადილით და ლტოლვით ზეციურისაკენ, გონება ილგზნება და აღაგზნებს ხშირ შემთხვევაში ემოციონალურ სფეროსაც, რის შედეგად ადამიანი ვარდება სხვადასხვა სულიერ განწყობებში, ეგზალტაციებში, გულყრებში.

ამ სახის ლოცვის წარმოებისას, როდესაც ადამიანს გაძლიერებულად უმუშავებს წარმოსახვა, იგი როგორც წესი, ნელ-ნელა მკვიდრდება იმ შეხედულებაში, რომ მის მიერ ლოცვისას აღქმული ხასიათის ცვლილებები მოსულია ზეგარდმო შეწევნით მისი გამორჩეულობის გამო, და ამით მედიდური იხიბლება საკუთარი თავის თვითშეფასებით, ეს არის ხიბლი, რადგან ის მცირედიც თუ რამ კარგი იქნა მოპოვებული ამ სახის ლოცვის წარმოებისას ქარწყლდება საკუთარი თავის გამორჩეულობის გრძნობით, სიკეთე ხომ აღარაა სიკეთე, თუ ის არ აღსრულდება კეთილად.

ასეთი ლოცვის ღვაწლში მყოფი ადამიანი თუ განმარტოვდა და მდუმარების ღვაწლიც იტვირთა, შეუძლებელია, რომ გონების დაზიანებას გადაურჩეს, რადგან პიროვნულობის გამძაფრებული გრძნობა და გაძლიერებული წარმოსახვა საწინდარია გონების არევისა, მაგრამ თუ საბედნიეროდ მოხდა ისე, რომ ადამიანი გადაურჩა გონების არევას, იგი მაინც ვერ მოიპოვებს სათნო გულის წყობას და ვნებების დაცხრომას (რადგან მისი ღვაწლი გონის თავმოყრაში მიმდინარეობდა არა შინაგანი სფეროს

დამშვიდების მიმართულებით, არამედ გამოწვეული იყო საკუთარი შეხედულებით გამოწვეული წარმოდგენების მიმართ, რომლებიც იწვევდნენ ინტერესს და ამით იტაცებდნენ ყურადღებას, და გონება ამ შემთხვევაში ვერ გამოდის თავის მიერვე შექმნილ წარმოდგენების სფეროდან) ამ სახის ლოცვის მოღვაწეობის გზაზე მდგომნი იხილებოდნენ ისეთებიც, რომლებმაც იხილეს სინათლე ხორციელი თვალებით, ან შეიყნოსეს სურნელება ყნოსვით, ან ესმით ხმები ყურით (ანუ რომლებმაც გონების თავმოყრით მოიპოვეს შესაძლებლობა განსხვავებული აღთქმებისა), ბევრნი ამათგანი შემდგომში გაუკეთურდნენ, პატივმოყვარეობით შეპყრობილნი დადიან აქეთ-იქით, სხვებმა მიიღეს მაცდური სინათლე ჭეშმარიტების სხივოსნობის მაგივრად და საკუთარ თავდაჯერებაში მყოფნი შერჩნენ თავიანთ ცრუ მდგომარეობას სიკვდილამდე და არ კადრულობენ ვინმესგან რჩევის მიღებას. ამდაგვარი ქედმაღლობით შეპყრობილნი საბოლოოდ მრავალ და სხვადასხვა განსაცდელებში ცვივიან ბოროტისაგან მოტყუებულები, ზოგი თავის მკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს, ზოგი დევნილი მოჩვენებებისა და სულებისაგან იჩეხება ხევში, ვარდება წყალში და სხვა ამდაგვარი. ვინ მოსთვლის იმ განსაცდელებს, რომლებსაც ბოროტი უვლენს ქედმაღალი სულის მოღვაწეებს.

მაშ ასე, ზემოთ თქმულიდან ნათელი უნდა იყოს ის, რომ გონების თავმოყრისათვის წარმოსახვის გამოყენება ლოცვაში მოღვაწეობისას, თუ სწორად არ იქნა გააზრებული და განსაზღვრული წარმოდგენების სფეროს დანიშნულება ლოცვის წარმოებაში, ანუ თუ არ ეხმარობთ მას, როგორც დამხმარე საშუალებას, იწვევს სავალალო შედეგებს, რადგან როდესაც წარმოსახულს ლებულობენ როგორც სინადვილეს, ამით გონებას ბოჭავენ თავისივე ნაწარმოების საზღვრებში და ვერ აღიქვამენ სინამდვილეს, ხოლო ის მცირედი მონაპოვარი გონებრივი თავმოყრისაგან მიღებული, პირიქით უწევს ცუდ სამსახურს მოღვაწეს, რადგან აძლიერებს მის თავდაჯერებას, რაც არის ყველაზე ცუდი.

ეს პირველი სახე ლოცვისა ანუ წარმოსახვის გამოყენებით

ქმნილი, არის დასაწყისი ფორმა ჭვრეტაში მოღვაწეობისა, და არა აუცილებელი ყველასათვის, და თუ მას მიიღებენ როგორც საბოლოო სახეს ღვაწლისას, ამით იხშავენ კარებს განწმენდის გზაზე, და თუ მოხდა ისე, რომ ამგვარი ლოცვის ფორმის მიმდევარი გადაურჩა ყველა განსაცდელს, რაც შესაძლებელია საძმოში თანაცხოვრების მეოხებით, იგი მაინც დარჩება წარუმატებელი სულიერი სრულყოფის გზაზე სიცოცხლის ბოლომდე.

## მეორე სახეობა ლოცვისას გონების თავმოყრისა

ეს მეორე სახეობა გონების თავმოყრისა ლოცვაში წარმოადგენს უფრო მაღალ ფორმას, ან შეიძლება ითქვას, უფრო გააზრებულ ფორმას ლოცვის წარმოების დანიშნულებისას, ამ მეორე სახის ლოცვის მოღვაწეობისას გონება შეჰყავთ საკუთარი გონებისავე შიგნით, არიდებენ რა მას ყოველგვარ გრძნობიერ საგნებს, ამით მცდელობენ საკუთარი გრძნობების დაცვას, ცდილობენ თავი მოუყარონ მთელ თავიანთ ზრახვებს ერთ წერტილში, რომ არ განიბნენ ამასოფლის საგნებში და მოვლენებში, ამას ახერხებენ ან ზრახვებზე ყურადღების მიპყრობით და მათი გამოკვლევით, ან ლოცვის სიტყვებზე ყურადღების მიპყრობით, მათი გააზრებით ან მათი სმენით, ან ყურადღებით არიან გონების გატაცების მიმართ და როგორც კი გაექცევათ ყურადღება ისევ და ისევ აბრუნებენ უკან საკუთარ თავში, მაგრამ ამ მეორე სახეობის ლოცვის ნიშან-თვისება არის ის, რომ ყველაფერ ამას აწარმოებენ ისევ თავად გონებით, ანუ წარმოდგენებისა და ფიქრის სფეროს მეშვეობით, სხვაგვარად, რომ ვთქვათ, მთელი მუშაობა მიმდინარეობს "თავში", ფიქრში, აზროვნებაში და გამოდის ისე, რომ ფიქრს ებრძვის მოღვაწე ფიქრით ამნაირი ღვაწლით.

ასეთი ბრძოლით საკუთარ თავთან, მოღვაწე ვერასდროს ვერ მიაღწევს სიმშვიდეს საკუთარ თავში, ვერც იმის დროს ნახულობს, რომ აღასრულოს სათნოების ვალი, რითაც შეეძლებოდა მოეპოვებინა გვირგვინი ჭეშმარიტებისა. ასეთი ღვაწლით მოღვაწე წააგავს ღამით მომხდურ მტრებთან

შერკინებულ მეომარს, რომელიც იბრძვის ბრმად სიბნელეში, ვერ ხედავს რა თავის მტრებს, ესმის მათი ხმები, იღებს დარტყმებს, მაგრამ არ იცის თუ რამდენი არიან, საიდან მოსულები, როგორები, რატომ და როგორ სცემენ მას. და იგი ამგვარ სიბრმაეეშია იმიტომ, რომ იმყოფება "თაეში", ანუ ფიქრის სფეროში, ბოროტი ზრახვები კი მომდინარეობენ "გულიდან" ანუ შეგრძნება-განწყობის სფეროდან. ის ბნელი, რომელიც მის გონებაშია და ის ქარბუქი ზრახეების, არ აძლევენ მას იმის საშუალებას, რომ გაეცალოს დემონთა შემოტევებს და დაინახოს მათი დარტყმები, ამაოა მისი ეს შრომა, გაჭირვებული საერთოდ კარგავს იმ მცირედსაც, რაც კი შეიძლება ჰქონოდა მოპოვებული და კიდევ უფრო სავალალო ისაა, რომ იგი ხშირ შემთხვევაში ამაო და უშედეგო ღვაწლისგან დაღლილი ნაყოფის მოპოეებისათვის იწყებს სხეების დამოძღვრებას და ჭკუის დარიგებას, მკვიდრდება ამპარტავნებაში, სიამაყეში, საკუთარ თვითშეფასებაში, და იმის ოცნებაში, რომ შემძლეა იყოს მოძღვარი და წინამძღვარი, თვითონ ბრმა კადნიერდება იყოს სხვა ბრმების ხელმძღვანელი.

აი, ასეთია ეს მეორე სახე ლოცვაში მოღვაწეობის (რომელშიც გაცნობიერებულია შინაგანი მოღვაწეობის სამუშაო, მაგრამ ყველაფერი ეს შეკაეებულია განსჯის სფეროში, ამიტომ არის მხოლოდ თეორიული ცოდნა მოღვაწეობისა), თუმც ეს მეორე სახე უფრო უკეთესია პირველზე, ისეთიეე უპირატესობით, როგორც მთვარიანი ღამე სჯობს უმთვარო უკუნ ბნელს.

## მესამე სახეობა ლოცვაში გონების მოკრებისა

ლოცვაში ყურადღების თავმოყრის მესამე სახე თავისი არსით განსხვავდება წინა ორი სახეობისაგან, ბეერისთეის უცნობია და მიუღებელიც, რადგან თავისი ფორმით იმდენად საოცარია და ერთი შეხედვით უბრალო, რომ ვინც გამოცდილებით არ მიიღო მისგან შედეგი, ვერ იჯერებს მისი განხორციელების შესაძლებლობას, ამ მესამე სახის ლოცეის განხორციელება შესაძლებელია ამსოფლიური საზრუნავიდან

საყოველთაო განდგომის შემდეგ, ამის განხორციელება კი აღსრულდება მორჩილების გზით, ისეთი განწყობით, რის დროსაც აღასრულებენ დავალებას ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე საკუთარი შესედულებიდან გამომდინარე და ასევე ყოველგვარი გადამოწმების ან უკმაყოფილების გარეშე.

ამ მესამე სახის გონების თავმოყრა მიმართული არაა საკუთარი შეხედულებით ჩამოყალიბებულ წარმოდგენებში, როგორც პირველი სახის ლოცვაში, ასევე არც იქითკენაა მიმართული, რომ გონებით, ნებისყოფის ხარჯზე მცდელობდე გონებისავე დაჭერას, რაც თითქმის შეუძლებელია.

არამედ ვისაც ჭეშმარიტად სურს მოიღვაწოს შინაგან სამყაროში შესვლის ბედნიერება უნდა პირველ რიგში, განუდგეს ყოველგვარ საზრუნავს და დადგეს გადაწყვეტილად უზრუნველობაში, უზრუნველობა გამოისატება მორჩილებაში, მორჩილებაში გარემოების მიმართ და მოძღვრის მიმართ, მორჩილების გარეშე შეუძლებელია, რომ სინდისი არ აწუხებდეს კაცს, სინდისის დაცვა კი ადამიანს მართებს სამი მიმართულებით, ღმერთთან დამოკიდებულებაში, რაც გამოიხატება იმის არ ქმნაში, რაც ეწინააღმდეგება ღვთის მცნებებს, მეორეა, სინდისის დაცვა მოძღვრის მიმართ, ეს კი აღსრულდება სრული გამგონეობით, არ უნდა გააკეთოს არაფერი იმაზე მეტი, ან იმაზე ნაკლები მორჩილმა, რაც აქვს დავალებული მოძღვრისგან, უნდა მისდიოს მის გადაწყვეტილებას და აღასრულოს მისი ნება. მესამეა, სინდისის დაცვა ადამიანების და საგნების მიმართ, ადამიანების მიმართ არ უნდა გაკეთდეს არაფერი ისეთი, რაც საკუთარი თავისთვის არ სურს ადამიანს, ნივთების მიმართ კი არ უნდა იყოს უდიერი დამოკიდებულება და მიკერძოება. აი, ასეთი განწყობის შემდგომ შესაძლებელია წარმატებული მოღვაწეობა მესამე სახის ლოცვის ღვაწლში.

მესამე სახე გონების თავმოყრისა ლოცვისას მიმართულია არსებული რეალობისაკენ, ანუ აწმყოსაკენ, როგორც ითქვა პირველი და მეორე სახის ლოცვის ფორმების დროს ყურადღება მიმართული წარმოდგენისაკენ და გონების მოქმედებისაკენ წყდება არსებულ სინამდვილეს და მიიმართება იმ ობიექტებისაკენ, რომლებსაც არ გააჩნია

თვითარსობა, უფრო სწორედ წარმოადგენენ მოვლენებს და პროცესებს, რომლებსაც აქვთ დასაწყისი და ბოლო, ამიტომ ვერ იქნებიან მარადისობის გამომხატველნი, რაც შეეხება ყურადღების სწორი მიმართულებით მიმართვას, იგი წარმოებული უნდა იყოს იმ არსისაკენ, რომელიც უცვლელია, ადამიანისთვის კი ამ ყოფიერებაში ერთადერთი უცვლელი სინამდვილე არის მისი არსი, მისი "გული", მისი შინაგანი ადამიანი, რომლის ნივთიერი ადგილსამყოფელი არის მისივე ხორციელი გული, სწორედ გულში მიმართული ყურადღებით, გონების გულში თავმოყრით წარმოებული ლოცვა არის ლოცვაში გონების თავმოყრის მესამე სახე.

დე გონებამ დაიცვას გული, როდესაც ლოცვის მოღვაწეობაში იმყოფება მოღვაწე, დე როდესაც გონება ლოცულობს, ტრიალებდეს, მიმოიძვრებოდეს გულის არეში ყურადღების მოუნაცვლებლად და იქიდან, გულის სიღრმიდან დე მიმართავდეს ლოცვით ღმერთს, აი, ეს არის მთელი ღვაწლი, ეს მოღვაწეობა უნდა სრულდებოდეს საკუთარი ძალისხმევით მანამდე, სანამ არ იგემებს ადამიანი გულის ადგილს, სანამ არ შეიგრძნობს შეგრძნებით გულს, არ იგემებს გულში, ერთ წერტილში გონების და მთელი სასიცოცხლო ძალების თავმოყრისაგან შობილ ტკბობას, ხოლო როდესაც გონება მოეჭიდება გულის არეს, დამკვიდრდება გულში, შეიგრძნობს სიტკბოებას გულში ჩაღრმავებისას, იგი უკვე ძალდაუტანებლად დამკვიდრდება გულში, და აღარ მოუნდება ამ ადგილის დატოვება, აქედან გამომდინარე, იგი გამუდმებით დაიწყებს მზერას გულის შიგნით, გულისკენ და იქ გამოუსვლელად დამკვიდრებული შეგრძნებით, გონებრივი მზერით და ხორციელი მზერითაც აღარ შეუშვებს აღარავითარ ბოროტ და უკეთურ ფიქრს, განწყობას, წადილს, მათთვის, ვისაც არ გააჩნიათ არანაირი ცნობა ამ საქმიანობის შესახებ და არ იციან იგი, გაცნობისას ეჩვენებათ ძნელად აღსასრულებლად და შეუძლებლადაც კი, მაგრამ იმათ, რომლებმაც გამოცდილებით იგემეს ამ საქმის სიტკბოება საკუთარ გულებში, ღმერთს აღარ შორდებიან ფიქრით, გრძნობით და წადილით გულში დამკვიდრებულნი.

ასე რომ, გამოცდილნი და მცოდნენი ამ ხელოვნებისა

მოუწოდებენ ღვთით სათნოდ ყოფაში მოსურნეებს შეეშვან სხვა ყველანაირ მოღვაწეობას და პირველ რიგში, მოიპოვონ ეს სათნოება, გულში დამკვიდრება, გულის დაცვა, რამეთუ ამის აღსრულებით თაეისთავად სრულდება ყველა სხვა დანარჩენი სათნოებანი, და პირიქით, გულის სიწმინდის გარეშე შეუძლებელია სრულყოფილება სათნოებათა დაცვაში.

ამ საქმიანობას მოღვაწე მამები აღნიშნავდნენ სხვადასხვა სახელით, ზოგი მას უწოდებდა "გულის მდუმარებას", სხვები ეძახდნენ "ყურადღების თავმოყრას", კიდევ სხვები - "სიფხიზლეს" ან "ზრახვებთან შერკინებას", ზოგი "გონების დაცვას", მაგრამ სუყველა მოღვაწეობდა სწორედ ამ ღვაწლში, კერძოდ, გონების და საკუთარი არსების საკუთარ გულში თავმოკრებაში, საკუთარ თავში შეტრიალებაში და ამით მიაღწიეს მათ საღვთო მადლის მიღებას, ხოლო, ვისაც ეეჭვება, დე გადაავლოს თვალი წმინდა მამათა სწავლებებს და დარწმუნდეს აქ თქმულში.

მოკლედ, რომ ვთქვათ, ვინც საკუთარ თავს დაკვირვების საგნად არ იღებს (არა წარმოდგენილს ან ფიქრებში განხილულს, არამედ ობიექტურს, რეალურს), ვინც არ იცავს საკუთარ გონებას (არა ფიქრებზე ყურადღების მიპყრობით, არამედ არსებულ რეალურ შეგრძნებაზე გონების თავმოყრით), ის ვერ შესძლებს გულის განწმენდას და გამომდინარე აქედან, ვერ გახდება ღირსი ღმერთის ხილვისა, საკუთარ თავს ვინც ყურად არ იღებს, ვისაც საკუთარი თავი მოქცეული არა აქვს საკუთარი მზერის ქვეშ, იგი ვერ გახდება გლახაკი სულით, ვერ შესძლებს ცოდვათა შენანებას და თავის ბრალობას, ვერ იქნება წყნარი და თვინიერი, ვერ იქნება მოსწრაფე და მნდომი ჭეშმარიტების აღქმის, ძალა არ ექნება უანგარო მოწყალების, და არ ექნება შემართება მშვიდობისმყოფელობის, არ ექნება მოთმინება სიმართლისათვის დევნის ატანის, და ერთი სიტყვით, არ არსებობს არანაირი სხვა საშუალება სათნოებათა მოპოვებისა, გარდა საკუთარი თავის შეცნობისა, თვითყურადღებისა, საკუთარ თავში შეტრიალებისა, საკუთარ გულში დამკვიდრებისა.

მაშ ასე, ვისაც სურს შეისწავლოს ამ ღვაწლის

განხორციელება, უპირველეს ყოვლისა, სამი რამის დაცვა უნდა აღასრულოს, პირველ რიგში, უზრუნველობა ყველაფრისადმი, არა მარტო ამაოსა და არაკეთილისადმი, არამედ თვით კეთილისადმიდაც, რამეთუ წარმავალია ყველაფერი ამ საწუთროში, მოკლედ, უნდა იყო ვითარცა მკვდარი ამა სოფლისადმი. მეორე რიგში, საჭიროა სინდისის დაცვა, რომ არ ქენჯნიდეს იგი მოღვაწეს არავისა და არაფრის მიმართ, და მესამე - რაიმესადმი მიჩვევის არ ქონა, რომ არ შეიბოჭოს ამით ადამიანი. გონებრივი მზერით, შეგრძნებით, ყურადღებით შეტრიალდი საკუთარ თავში, დადექი საკუთარი თავის შიგნით, გულში, იქ მოკრიბე მთელი შენი არსება, შენი გონება, მიაბჯინე ერთ წერტილს შენი გონებრივი მზერა და ეცადე ყოველნაირად, რომ მოიპოვო ადგილის შეგრძნება, იმ ადგილისა, სადაც არის გული, ამ მცდელობისას გონება თავად მოსძებნის იმ ადგილს, სადაც მისთვის ყველაზე ხელსაყრელია დაფუძნება. და ეს მოხდება მაშინ, როდესაც გონის თაემოყრის შედეგად წარმოიშვება სითბო და ტკბილი შეგრძნება, რაც მაუწყებელია სწორად წარმართული ღვაწლისა, ამ წუთიდან და შემდგომ რა მხრიდანაც კი არ უნდა წარმოიმართოს ან გამოჩნდეს რაიმე ზრახვა, რაიმე ფიქრი, სანამ იგი შემოვა შიგნით და გაიაზრება ან წარმოიდგინება, მანამდე განიდევნება გონების მიერ ლოცვის დაურღვევლობის არ სურვილის გამო, ამავე ჟამიდან ადამიანს უჩნდება მძულვარება და ზიზღი მდაბალი ზრახვებისადმი და ხდება მოწინააღმდეგე და მებრძოლი მათ მიმართ.

ამ ღვაწლის განხორციელებისას უკეთესია მოიძებნოს განმარტოებული ადგილი, სიადვილისათვის ჯობია მჯდომარე მდგომარეობა არც ძალიან მაღალ და არც ძალიან დაბალ სკამზე, თავი სჯობს იყოს დაღუნული, დაბჯენილი ნიკაპით მკერდზე, ხორციელ თვალთა მზერა მიიმართოს შიგნით, მკერდში, გულის მიმართულებით, მიებჯინოს გულს, დანახვის განწყობით, სუნთქვა შენელდეს, გახდეს ფაქიზი, ნელი, გაწელილი, თავისუფალი, თანაბარი ჩასუნთქვა-გამოსუნთქვით, მაგრამ არა ძალდატანებით, გონება-შეგრძნება შემოიფარგლოს გულის ადგილით მთელი

სხეულის შეგრძნებიდან გამორჩევით, თავდაპირველად ამის განხორციელება საჭიროა ძალისხმევით, მაგრამ არა ძალადობით, მერე კი, ჩვევის გამომუშავების შემდეგ, ამგვარად გულის ყურადღება უნდა გაიზარდოს თანდათან.

რაც შეეხება პირველ და მეორე ლოცვის სახეობას, ისინი არასწორი არიან არა თავისთავად, არამედ მათი არასწორად გამოყენებისადა გამო (პირველი სახის ლოცვის გამოყენება ანუ წარმოდგენის და წარმოსახვის გამოყენება არ ჩაითვლება შეცდომად, თუ მას ვიყენებთ როგორც საშუალებას, როგორც ობიექტს გონების თავმოყრისათვის და არ გვავიწყდება ეს, რადგან წარმოსახული საკუთარი გონების ნაწარმოებია და მისი მიღება სინამდვილედ არის შეცდომა, ასევე მეორე სახის ლოცვისას, როდესაც ცდილობენ ფიქრთა წარმოების აღკვეცას ეს უნდა განახორციელონ არა აქტიურად ფიქრთა წარმოქმნის პროცესში ჩარევის მეშვეობით, რადგან ამის მოწადინება ისევ ფიქრითვე ხდება და გამოდის ის, რომ გონების აქტივობას ებრძვიან გონებისავე აქტივობის მეშვეობით და ამით თავს აყენებენ გაუთავებელი ძალისხმევის წრებრუნვაში, არამედ ფიქრთა შეჩერების განხორციელება უნდა აღსრულდეს ამ ფიქრთა და წარმოდგენათა სფეროსგან განდგომის შეგრძნობით და უბრალოდ პასიური მაყურებლის მდგომარეობაში დადგომით, ანუ ისევ საკუთარი თავის რეალურ შეგრძნებაში დადგომით, ეს ორივე სახე ლოცვისა, თავისთავად სრულდება მესამე სახის გონების თავმოყრისას, ანუ გულში, ერთ წერტილში გონების თავმოყრისას).

არსებობს საფეხურები ლოცვის წარმოების, გამომდინარე და შესაბამისი მოღვაწის შემძლეობის; ერთნი ვნებებს თრგუნავენ და თავს იდრეკენ, მორჩილებაში ვარჯიშობენ, ეს გარეგნულია და დასაწყისი, მეორენი ლოცულობენ კითხვით, გალობით, ეს უკვე დასაწყისია გონებითი ღვაწლის, სხვები მცდელობენ ილოცონ გონებით, ვარჯიშობენ ფიქრის ერთმიმართულებით შეკავებაში, და ბოლოს ზოგნი მაღლდებიან ჭვრეტის ხელოვნებაში.

მაშ ასე, მოღვაწეობის დასაწყისია გონების თავმოყრის დაჩვევა და ვნებათა დაცხრომა, ეს კი სხვა არაფრით არ

ხერხდება, თუ არა გულის განწყობების ცვალებადობებისაგან დაცვით და ზრახვებისადმი ყურადღებით, ამაში წარმატების შემდგომ გონება ეძიებს ღმერთთან მიახლებას და არასოდეს ვნებების დაცრომაზე უწინ. ამ განწყობის მოპოვებით გონება იმოსება ძალით, რომლის მეოხებით წინ აღუდგება ირგვლივ მყოფ და შიგნით შემოსასვლელად განმზადებულ ზრახვებს, ასევე დემონთა შემოტევებს, ერთ წერტილში მიმართული გონი უცბადვე აღადგენს შინაგან სიმყუდროვეს, რომელიც ყოველთვისაა გონების სიღრმეში, ზრახვებს და დემონებს არ ძალუძთ აამღვრიონ გონების შინაგანი სიღრმე, არამედ აფორიაქებენ მხოლოდ მის ზედაპირს, სრული აუღელვებლობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სრულყოფილთათვის, რომლებიც განრიდებულნი ყველაფერ გარეგანს მყარად არიან ჩაღრმავებულნი ჭვრეტით გულში.

ასე რომ, თავდაპირველად საჭიროა გულის განწმენდა წადილებისა და ვნებებისაგან და მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი ღვთისადმი მთელი არსებით გულის მიმართვა და ზრახვათა წინააღდგომა, ასევე ზეცად თვალთა აღპყრობა (ანუ გარეთ ღმერთის მოძიება და ხედვა), ანდა გონებრივი მზერის მიპყრობით მისი ჭვრეტა (გონებრივი მზერით ხედვა ღვთისა) და ასევე ჭეშმარიტად სუფთა და სრულყოფილი ლოცვა.

თუმცა, გარეთ გრძნობადი, ხორციელი თვალთამზერის მიმართვას უნდა მოვერიდოთ რამდენადაც შეგვიძლია, რადგან გარე სივრცეში მყოფი უსხეულო არსებების ზეგავლენით და მათ მიერ შექმნილი მოჩვენებების მოვლინებით გონება შეიძლება შევიდეს შეცდომაში, მოტყუვდეს, ღმერთი ჩვენგან მოითხოვს მხოლოდ ერთს- გულის განწმენდას ყურადღების მეშვეობით, რადგან ნათქვამია, რომ თუკი ფესვი წმინდაა და სალი ჭეშმარიტად სალი იქნებიან რტონიც და ნაყოფიც.

ხოლო თუკი ვინმე არ დაიცავს ამ რიგს მოღვაწეობაში და დასაწყისშივე მიაპყრობს თვალთა მზერას გარე სივრცეს და წარმოიდგენს თავისივე ნაფიქრალს, იგი იხილავს თავისსავე ნაოცნებარს, რაიმე ყალბს და არა სინამდვილეს, რაც არის შედეგი გულის არაწმინდობისა, ასე რომ, პირველი

და მეორე სახე ლოცვაში გონების თავმოყრისა არ მისცემს გულით დაბინძურებულ ადამიანს ღვაწლში წინსვლის წარმატებას.

მაშ ასე, ყველაფერი ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, პირველ რიგში, ჩავყაროთ საფუძველი ანუ გონების თავმოყრით დავიცვათ გული და განვდევნოთ მისგან ყველა წადილი, ენება და განწყობა, მისი შეგრძნების, მასში ყურადღების თავმოყრის შეგრძნების ერთადერთი განწყობის მეშვეობით და ამის შემდგომ შეგვეძლება განვდევნოთ ავი სულების მიერ ჩვენივე გრძნობების მეშვეობით ჩვენში აღძრული ფორიაქი უმოკლეს დროში, ამას შედეგად კი მოჰყვება სრული დავიწყება ყველაფრის და მთლიანად მინდობა ღვთის ნებაზე, რითაც დასრულდება ადამიანის ძალისხმევით აღსრულებული მოქმედება იესო ქრისტეში (რის შემდეგაც მოქმედებას იწყებს ადამიანში თვით მაცხოვარი), რომელსაც შვენის ყოველი დიდება და თაყვანისცემა უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

# შენიშვნები

# შენიშვნები

გვ. 152 უნდა იყოს:

22 ვინც ბნელეთის ამ სამი კარიბჭისაგან განთავისუფლდება იქმს სიკეთეს თავისთვის და მიემართება უმაღლესი გზით, ფვრეცის შემძლეობით.

23. ის კი ვინც უარყოფს სათნოების და ზნეობის კანონის მითითებებს, ცხოვრობს სურვილთა ზეგავლენით, ვერ აღწევს იგი ვერც სრულყოფას და ვერც ბედნიერებას და ასევე ვერ აღწევს ვერც დაუფლებას უმაღლესი გზის, ფვრეცის ხელოვნების.